საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია
ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

ფილოსოფიური ძიებანი

კრებული ოცდამეოთხე

PHILOSOPHICAL INVESTIGATIONS

COLLECTED ARTICLES VOLUME TWENTY – FOUR

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019 Tbilisi

ISSN 1512 – 2468
UDC (უაკ) 1 (479.22)
(061.2) ფ. 562

„ფილოსოფიური ძიებანის“ ოცდამეოთხე კრებული ტრადიციულად ძველი და ახალი თაობის ფილოსოფოსთა ნაშრომებს მოიცავს და საქართველოში მიმდინარე ფილოსოფიურ კვლევა – ძიებას ასახავს.

მთავარი რედაქტორი: **ირაკლი კალანდია**

რეცენზენტები: **მამუკა დოლიძე**
ნაპო კვარაცხელია
საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები

სარედაქციო კოლეგია

ასათიანი გურამი
ბრეგაძე ანზორი
ბერძენიშვილი ამირანი
ბურჯალიანი არსენ
გახოკიძე რამაზი
დოლიძე მამუკა
იმედაძე ირაკლი
კალანდია ირაკლი **{მთ. რედაქტორი}**
კვარაცხელია ნაპო
ფანჯიკიძე თეიმურაზ
ქეცბაია კახა
{მთ. რედაქტორის მოადგილე}
ხასაია ზურაბ

ლიტ. რედაქტორები: მარინე ამბოკაძე
ჯემალ შონია

EDITORIAL BOARD

Asatiani Guram
Bregadze Anzori
Berdzenishvili Amiran
Burjaliani Arsen
Gakhokidze Ramaz
Dolidze Mamuka
Imedadze Irakli
Kalandia Irakli **{Ch. Editor}**
Kvaratskhelia Napo
Panjikidze Teimuraz
Ketsbaia Kakha
{Dep. Ch. Editor}
Khasaia Zurab

LIt. Editor – Marine Ambokadze
Djemal Shonia

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019
თბილისი, 0186, ა. ჯოლიტაოვსაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E – mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობა

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო ორგანოს „ფილოსოფიური ძიებანი“-ს XXIV კრებულში ტრადიციულად იბეჭდება როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ფილოსოფოსთა ნაშრომები, რომლებიც გარკვეულწილად ასახავს ფილოსოფიური აზროვნების დონეს ჩვენს რესპუბლიკაში.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელი საიუბილეოა ჩვენი აკადემიისათვის, რომელიც 1995 წელს დააფუძნეს ქართველმა ფილოსოფოსებმა ცნობილი ფილოსოფოსის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ეროვნული პრემიის ლაურეატის, პროფესორ სერგი ავალიანის ინიციატივითა და თაოსნობით.

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ღირსეული მემკვიდრეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსფიის ინსტიტუტისა, რომელიც გასული საუკუნის შუა ხანებში (1946 წ.) დაარსებულ იქნა პროფ. პეტრე შარიას მიერ და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ავტორიტეტულ და ანგარიშგასაწევ სამეცნიერო – კვლევით დაწესებულებად; დაწესებულებად, რომელიც მთელი საბჭოეთის მასშტაბით სამართლიანად ითვლებოდა ლიბერალური აზროვნების ერთ-ერთ გამორჩეულ ცენტრად.

სამწუხარო ფაქტია, რომ მესამე ათასწლეული ჩვენს ქვეყანაში დაიწყო როგორც ფილოსოფიურ, ასევე სხვა მეცნიერებათა მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულების დამკვიდრებით, რასაც მეცნიერების, მათ შორის ფილოსოფიისა და სულიერი კულტურის სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების ნგრევა მოჰყვა. კერძოდ, ფაქტობრივად, დაიხურა უდიდესი ტრადიციების მქონე ფილოსფიის ისნტიტუტი,

იგივე ბედი გაიზიარა სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებმა და მათ შორის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმაც.

ამ მოკლე წინათქმაში მკითხველს თავს არ შევაწყენთ ვითარების დაწვრილებითი და საფუძვლიანი გადმოცემით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ნეობოლშევიკურად მოაზროვნე ნაციონალური მოძრაობის ცნობილმა იდეოლოგებმა, ილიაუნის ხელმძღვანელობამ (რექტორი გიგი თევზაძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგო რატიანი) 2011 წელს, ფაქტობრივად, გააუქმა ფილოსოფიის ინსტიტუტი, რომელიც თანამშრომელთა ნების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე წლის წინ ილიაუნის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი (დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სტატუსით).

უნდა აღინიშნოს, რომ ამის შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა სასამართლოს ყველა ინსტანციაში მოვიგეთ პროცესი და სამსახურიდან ჩვენი მასობრივი განთავისუფლების გადაწყვეტილება უკანონოდ იქნა მიჩნეული, მაინც დღემდე ფილოსოფიის ინსტიტუტის აღდგენის საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების არცერთი შესაბამისი ორგანო, მაღალჩინოსანი, ვინც დაინტერესებული უნდა იყოს და ზრუნავდეს საქართველოში მეცნიერების განვითარებაზე (ჩვენ მათ არაერთხელ მივმართეთ), არანაირ ყურადღებას არ იჩენს აღნიშნული საკითხისადმი. ხოლო საქრთველოს პარლამენტში ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის (აწ უკვე ყოფილმა) თავმჯდომარემ ასე „დაგვმოძღვრა“: მთავარია ფულის შოვნის გზები გამონახოთ, რომ ინსტიტუტმა იფუნქციონიროსო. ასეთი პოზიცია იმ შეხედულების გამოძახილია, რომლის მიხედვითაც, ჩვენს პრაგმატულ, ძირითადად მატერიალურ კეთილდღეობასა და კომფორტზე ორიენტირებულ საუკუნეში ყველაფრისაგან, ჩვეულებრივ ელოდებიან უშუალო პრაქტიკულ სარგებელს. არადა, ფილოსფიის (ისევე როგორც სხვა

ჰუმანიტარული მეცნიერებების) შემთხვევაში საქმე ხომ სხვაგვარადაა: გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მართალია, ფილოსოფიას საზოგადოებისათვის არ მოაქვს (და ეს არც არის მისი ფუნქცია და დანიშნულება) ისეთი უშუალო, პირდაპირი პრაქტიკული სარგებლობა, როგორც საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებს, მაგრამ მისი ღირებულება სხვა მიმართულებითაა საძიებელი. კერძოდ, ეს არის თეორიული აზროვნების სფერო, მსოფლმხედველობრივი „დატვირთვა". თუ საზოგადოებას თეორიები და კონცეფციები, ღირებულებითი ორიენტაციები, იდეალები, შეფასებები და ნორმები სჭირდება (ეს კი საზოგადოებას, ადამიანებს ნამდვილად სჭირდება), მაშინ მისთვის ფილოსოფიაც აუცილებელია, რადგანაც ფილოსოფიურ – მსოფლმხედველობრივი გააზრების გარეშე მათი დაფუძნება და კრიტიკული შეფასება შეუძლებელია. ასევე არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ სამოქალაქო საზოგადოება, რომლისკენაც მიისწრაფვის მსოფლიო, უნდა იყოს ის საზოგადოება, სადაც კიდევ უფრო ამაღლდება საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა და როლი (ვინაიდან აქ სწორედ საზოგადოებამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გააკონტროლონ სახელმწიფოსა და მისი ბიუროკრატიული აპარატის საქმიანობა). ეს კი გარდაუვლად გულისხმობს და მოასწავებს იმას, რომ სხვა გონით მეცნიერებებთან ერთად, ფილოსოფიური განაზრებებიც ხელს შეუწყობენ გლობალურ დემოკრატიულ გარდაქმნებს, სამშვიდობო პროცესებს და ზოგადსაკაცობრიო ლიბერალურ – დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრებას.

ფილოსოფიის ასეთი „უნივერსალური" მნიშვნელობისა თუ დანიშნულების გათვალისიწნებით, ცხადი უნდა იყოს, რომ ფილოსფიის ინსტიტუტის გაუქმება, სადაც თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე ორგანიზებულად მიმდინარეობდა აქტუალური ფილოსოფიური პრობლე-

მების კვლევა, ნიშნავს არა ერთი რომელიღაც დაწესებულების გაუქმებას, არამედ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჩვენი გამოჩენილი წინაპრებისა და მასწავლებლების მიერ დიდი ხნის განმავლობაში უდიდესი ძალისხმევითა და თავდადებით ჩამოყალიბებული სამეცნიერო ტრადიციების მიზანმიმართულ მოშლა – განადგურებსთან; ხოლო ამ ტრადიციის კვლავ აღდგენა და დამკვიდრება, საეჭვოა საერთოდ მოხერხდება თუ არა უახლეს მომავალში.

ამჟამად ფილოსოფიის (და არა მარტო ფილოსოფიის) სფეროში არსებული უმძიმესი ვითარების მიუხედავად, როგორც არაერთხელ გვითქვამს, საქართველოში ფილოსოფიის გადასარჩენად, კვლავაც ენთუზიაზმის საფუძველზე აგრძელებს საქმიანობას საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია და მისი ბეჭდვითი ორგანო „ფილოსოფიური ძიებანი“, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და არის ჩვენში ფილოსოფიურ ძალთა გაერთიანებით, ერთიანი ძალისხმევით, საქართველოში ფილოსოფიური კვლევის სფეროში წინა თაობების ფილოსოფოსთა მიერ ჩამოყალიბებული მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიციის გაგრძელება და შემდგომი განვითარება.

ირაკლი კალანდია
2020 წლის 17 იანვარი

ნაწილი პირველი

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ცნობარი

2019

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები

1. ასათიანი გურამ
2. ბალანჩივაძე რევაზ
3. ბერძენიშვილი ამირან
4. ბრეგაძე ანზორ
5. ბურჯალიანი არსენ
6. გახოკიძე რამაზ
7. გოლეთიანი რობერტ
8. დოლიძე მამუკა
9. იმედაძე ირაკლი
10. კალანდია ირაკლი
11. კვარაცხელია ნაპო
12. მთიბელაშვილი თეიმურაზ
13. სარჯველაძე ნოდარ
14. ფანჯიკიძე თეიმურაზ
15. ფაჩულია თეიმურაზ
16. ფორჩხიძე ბადრი
17. ქეცბაია კახა
18. ჩანტლაძე რაულ
19. ხასაია ზურაბ

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

1. პრეზიდენტი – **ირაკლი კალანდია**
2. ვიცე – პრეზიდენტი – **არსენ ბურჯალიანი**
3. აკადემიკოსი – მდივანი – **კახა ქეცბაია**
4. ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **ნაპო კვარაცხელია**
5. მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **რამაზ გახოკიძე**
6. პოლიტიკური ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **გურამ ასათიანი**
7. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **ანზორ ბრეგაძე**
8. ეთიკისა და ესთეტიკის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **მამუკა დოლიძე**
9. რელიგიის ფილოსოფიისა და რელიგიათმცოდნეობის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **თეიმურაზ ფანჯიკიძე**
10. სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **ამირან ბერძენიშვილი**
11. უცხოეთისა და ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **ზურაბ ხასაია**
12. კულტურის ფილოსოფიის განყოფილების აკადემიკოსი – მდივანი – **თეიმურაზ მთიბელაშვილი**

FIRST PART

REFERENCE BOOK
OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

2019

ACADEMICIANS OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

1. ASATIANI GURAM
2. BALANCHIVADZE REVAZ
3. BERDZENISHVILI AMIRAN
4. BREGADZE ANZOR
5. BURJALIANI ARSEN
6. CHANTLADZE RAUL
7. GAKHOKIDZE RAMAZ
8. GOLETIANI ROBERT
9. DOLIDZE MAMUKA
10. FORCHKHIDZE BADRI
11. IMEDADZE IRAKLI
12. KALANDIA IRAKLI
13. KVARATSKHELIA NAPO
14. KETSBAIA KAKHA
15. KHASAIA ZURAB
16. MTIBELASHVILI TEIMURAZ
17. SARJVELADZE NODAR
18. PANJIKIDZE TEIMURAZ
19. PACHULIA TEIMURAZ

PRESIDIUM OF THE ACADEMY OF PHILOSOPHICAL SCIENCES OF GEORGIA

1. **PRESIDENT –** KALANDIA IRAKLI
2. **VICE – PRESIDENT –** BURJALIANI ARSEN
3. **ACADEMICIAN SECRETARY –** KETSBAIA KAKHA
4. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF ONTOLOGY, GNOSEOLOGY AND LOGIC –** KVARATSKHELIA NAPO
5. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF PHILOSOPHY OF SCIENCE –** GAKHOKIDZE RAMAZ
6. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF SOCIAL AND POLITICAL PHILOSOPHY –** ASATIANI GURAM
7. **ACADEMICIAN SECRETARY OF DEPARTMENT OF PHILOSOPHYCAL ANTHROPOLOGY –** BREGADZE ANZOR
8. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT ETHICS AND OF AESTHETIC –** DOLIDZE MAMUKA
9. **ACADEMIC SECRETARY OF THE DEPARTMENT OF PHILOSOPHY OF RELIGION AND THE STUDY OF RELIGION –** PANJIKIDZE TEIMURAZ
10. **ACADEMIC SECRETARY OF THE DEPARTMENT OF SOCIOLOGY AND SOCIAL PSYCHOLOGY –** BERDZENISHVILI AMIRAN
11. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF FOREIGN AND GEORGIAN PHILOSOPHY –** KHASAIA ZURAB
12. **ACADEMICIAN SECRETARY OF THE DEPARTMENT OF PHILOSOPHY OF CULTURE –** TEIMURAZ MTIBELASHVILI

ნაწილი მეორე
ფილოსოფიური ძიებანი

SECOND PART
PHILOSOPHICAL INVESTIGATIONS

ონტოლოგია, გნოსეოლოგია
ONTOLOGY, GNOSEOLOGY

Mamuka Dolidze **–** Doctor of Philosophy, professor of Tbilisi State University**,** Since 1974 year He worked in the Georgian Institute of Philosophy, Tbilisi. He was research worker and then the chief of department of Theoretic Philosophy. Since 2012 he works in the department of humanitarian sciences at Tbilisi State University. He is an author of five Monograph and more then sixty philosophical articles published in Georgia and abroad. In 2019 he took part (with reports) in international conferences: American study, TSU May 15 – 17; Athens, conference of Greek Philosophical society, July 10 – 13; Institute of philosophy at the department of humanitarian sciences TSU, November 21 – 23; University of Riga, conference – Edmund Husserl 160, Martin Heidegger 130. December 10 – 12.

PHENOMENOLOGY AND METAPHYSICS

Phenomenology and metaphysics – both seem to be mutually exclusive concepts. The first refers to the phenomena – things, events, ideas, desires, emotions, imaginary contents, works of art, poetry, literature – in short, all the contents of our internal and external life, all the forms of being, which are open toward the other forms of being and first of all, which are given to our consciousness.

Metaphysics appeals to the so called the "Thing in Itself" – the transcendent object which has never been given to the consciousness. It is closed in itself and presents unknown object.

This traditional distinction between phenomenology and metaphysics seems not to comply with the modern philosophical thinking. The diversity of modern philosophy abounds with innumerable attempts to break the borders between these two main branches of philosophy.

To resolve this problem, in our work we used the special phenomenological method – the method of bracketing the phenomenon that means to wrest it from the determinism of objective being.

Unfolding this position, finally we have come to the point that, it would be the influence of the metaphysical world that create obstacles to insight completely the self of subject and to cognize the world in the absolute light of logical accuracy.

Therefore, the elusiveness of the self and the error of human cognition, both have positive values, since they have indicated the influence of metaphysics on the phenomenological world.

Phenomenology and metaphysics – both seem to be mutually exclusive concepts. The first refers to the phenomena – things, events, ideas, desires, emotions, imaginary contents, works of art, poetry, literature – in short, all the contents of our internal and external life, all the forms of being, which are open toward the other forms of being and first of all, which are given to our consciousness.

Metaphysics appeals to the so called the "Thing in Itself" – the transcendent object which has never been given to the consciousness. It is closed in itself and presents unknown object. This traditional distinction between phenomenology and metaphysics seems not to comply with the modern philosophical thinking. The diversity of modern philosophy abounds with innumerable attempts to break the borders between these two main branches of philosophy.

The unknown concept of the "Thing in Itself" has no resistance against the critical philosophical peruse. Who can characterize the metaphysical object as an unknown thing if it is absolutely unknown? Since the very process of characterization has already brought to light the transcendent kingdom of an absolute darkness. Nevertheless, philosophers introduced this concept and moreover: they harbingered in handling this concept to resolve philosophical – cognitive problems.

One of the ways to explain this paradox is the following: while speaking about the metaphysical "Thing in Itself", the philosophers do not imply specifically the unknown and transcendent object. They have in mind the meaning of this object which, as a significant content, is open to the consciousness. Thus the meaning and the existence of the "Thing in Itself" differ from each other in principle;

the first is open, whereas the second is closed to the consciousness. Hence the meaning of the metaphysical object cannot reflect the existence of the same one. So, this way of explanation comes to the split between the meaning and existence of metaphysical object.

Our judgment seems to be scurrilous and maybe superficial point of view on the problem of metaphysics, mentioned above. More thorough and profound investigation leads us not only to the depth of more refine distinction, coming eventually to the integrity of meaning and being but to the alteration of the style of thinking and to the break of the stereotypical forms of judgment we have been accustomed to.

The first obstacle we encounter here concerns the problem of being of the "Thing in Itself". How one could speak about the being of object if it was absolutely unknown? One could never assert whereas this object existed or not. One must take into account the "Thing in Itself" out of claim of being or not – being. One must take this object in brackets and that is the very phenomenological description of the metaphysical object.

Such weird and, moreover, self – contradictory issue of our metaphysical inquiry, (since we have encountered the incredible result for philosophical logics – the result of integrity of the metaphysics and phenomenology) is not certainly the synthesis of incongruous conceptions if we share the position of Edgar Allan Poe about the poetic principle (1).

The great romantic writer came to the exactly phenomenological point of view of the poetic principle; a writer would be worth naming a certain poet if he had not been involved in an immediate experience of beauty and romantic life. He must have kept the distance between his desires, feelings, emotions, poetic ideas, stream of an artistic thoughts, wills, etc.

The distance shows that instead of a physical existence of beautiful things and psycho – emotional, romantic state of soul, a certain poet strives for the sublime, metaphysical beauty.

When an author or a reader of a poem bursts into tears it happens not because of the excessive emotions but because of the sorrow that he is unable to attain the metaphysical beauty and cannot reach the sublime state of merging with the spiritual source of romantic feelings.

To put it differently, in the concepts of Bible, that is the sorrow for the Paradise which is lost forever. Therefore a poet's emotion is not purely aesthetical; it deals with the ethical principle as well. Striving for the metaphysics does not lead him to a poem for the sake of poem and to the beauty for the sake of beauty but it deals with moral sense of sinfulness because of the Fall. Thus the poetical strive for metaphysics does not attain the "Thing in Itself" (the beauty for the sake of beauty).

It turns into phenomenological way which deals with the phenomenon of morality.

Unfolding this poetic principle in phenomenological manner, we can say that the poet undergoes not only the sorrow for unattainable beauty but he at the same time strives for attaining this unattainable goal. He does not reject the beauty of physical things and internal reality of his psycho – emotional state. He uses these aesthetical points to construct the poem but uses them conditionally keeping the distance between his self and his emotions, since his intentionality has been directed to the metaphysical, unattainable beauty.

Here he comes across with the problem again: the distance between him and his work of art (since it has presented an issue of his romantic experience) inevitably reveals that he certainly deals with the metaphysical world and that his poem plays a role of a mediator between him and eternity.

On the other hand, if he had not been involved in the stream of creative emotions and thoughts, the poem would have become the dry skeleton of symbols, metaphors and ideas calling for revealing the unknown, metaphysical sphere.

If, than, the structure of symbols and ideas was able to draw the curtain of the kingdom of metaphysical things, the latter would lose their mystery and become the knowing things. Consequently, instead of the "Thing in Itself" which is unknown in principle we find the "Thing for the Consciousness" and the metaphysical world would be lost.

Therefore the poet follows the vocation to keep the distance not only with the physical beauty but also with the symbols leading him beyond physical reality to the kingdom of metaphysics.

Such double distance toward the opposite worlds is possible only in contradictory state of motion. The poet must be involved in physical and psychological experience of beauty (to make the distance and keep the inaccessibility of metaphysics) and at the same time, he must not be involved in the same experience of a physical beauty (to keep the strife for an inaccessible world).

Scrutinizing this position of this twofold distance, it becomes obvious that the poet comes to the phenomenological attitude. Keeping and not keeping the distance toward his poetical self (which bears the experience of the real, sensible beauty) the poet uses the phenomenological method; he takes this experience in brackets, keeps it conditionally as a phenomenon but not as a real state of his soul. He turns his romantic experience into a metaphor of the metaphysical beauty and plays a role of a person who seems to be involved in this experience.

Generalizing this poetical principle into the principle of creativity of art, we come to the conclusion: it is an artistic reality of work of art which makes the bridge between phenomenology and metaphysics.

The problem of relation of phenomenology and metaphysics is far to be exhausted either by the poetical principle, considered above or by the sphere of creativity of work of art in general.

We encounter here with a very difficult crux of the human thinking which always slips away from the logical judgment.

As it was noted, the radical change of style of thinking seems to be unavoidable here. The crux of the matter is in fact that instead of constructing the process of thinking, we must deconstruct it.

The certain creativity, the ontopoesis from nothing, excludes the project, an *a priori* idea, preoccupation and foreseeing of the result of creativity. The work of art essentially arises in the space of freedom in the internal womb of creative action, without been enforced from outside, despite all the projects and ideas as attempts to anticipate and determine it in advance.

However, this ideal work of art dwells on a half way between phenomenology and metaphysics. If we were astute to come over this bridge and continue our way toward an unattainable and unknown object, we would keep our loyalty toward the principle of deconstruction of thinking at all. That means to reject not only any kind of project which would be given in advance but also to withstand to any kind of mental construction which arises on its own in the freedom of creative action. That is certainly impossible state of thinking, since we are in permanent striving for deconstruction of any construction arising in our mind despite the fact, that the very process of deconstruction needs some constructive basis of resistance against any basis of construction. Yes, that is unobtainable state of mind but we are urged to aspire this impossible state, to continue our way toward metaphysics.

There are two ways of helping us out from this state:

The first leads to intentionality of deconstructing and disintegrating all the constructions and eventually all the logical structure of thinking.

Such total deconstruction turns our language either into rambling of a madman, or into an utmost private, intimate and subjective speech, which would be deprived of communicative function and become absolutely incomprehensible.

In his “Allegory of Cave”, (2) Plato pointed out this metaphysical language which sounded as a rambling of a madman.

In respect of this way, it would be worth noting that we could not follow this path, leading to the ultimate form of subjectivity. Otherwise, we would be in danger to be unknown and this paper could lose its scientific value.

The second way is specifically phenomenological.

On the way of creative activity, we are not in charge of deconstruction of mental contents arising in freedom of thinking. We can take them in brackets, or keep them conditionally, changing their meanings and abolishing their claims of being or not – being. That is the phenomenological way of deconstruction of the "giveness" of being to change it in the content of thinking: the way of shifting the sense from an existence to an essence.

Revealing the essence through the "giveness" of being, we attached the metaphysical sense to the phenomenon. The essence is worth considering being an inexhaustible source of revealing phenomena. Hence, the essence is not the phenomenon. It realizes itself through the phenomena but since this realization has been interminable, the essence does not completely disclose itself as a phenomenon. Inasmuch an essence reveals itself as a phenomenon, it conceals itself as a metaphysical object. Here the way of self – revealing coincides with the way of self – concealing. On the one hand, we are unable to grasp the metaphysical object, since our consciousness has always dealt with the phenomena but on the other hand, we are responsible to take into account that the "openness" of phenomena derives from the metaphysical object which is unobtainable and inexhaustible source of our thinking.

The second, phenomenological way, leading to the metaphysical object, has something in common with the first way leading to the same goal through the ultimate subjectivity of language. The thing is that although the metaphysical object is unknown, it influences and leaves a trail on our phenomenological world. This trail runs through the subjectivity of being.

Disintegration of logical structure of thinking and devaluation of communicative function of language both appear to be the tribute to keep the unknown status of metaphysical object.

Phenomenological shifting of sense of mental constructions, arising in creative freedom of thinking seems to be an attempt to grasp the trail of metaphysical object leaving it in our world of phenomena.

What kind of trail we are speaking about?

This trail could not be the element of our cognition; otherwise, it would not correspond to the metaphysical object which has never become the object of knowledge.

It would be an obscure and unconscious trail of influence of unknown "thing in itself", which has always strove against objectification of the knowledge and through the contingency and freedom it breaks the order of objective world.

In word, that is the subjectivity of being, which manifests itself in two spheres: in the sphere of consciousness, through the elusive self of psycho – emotional phenomena and in the sphere of external world, through the freedom and irreducible probability of natural events.

Emergence of the quantum theory in atomic physics and disclosing the irreducible probability and indeterminism of quantum events clearly confirmed these objective forms of subjectivity in the physical reality.

Quantum theory obviously shows that the matter as a phenomenon has an ability of self – interpretation and the essence should be considered beyond phenomena, as a metaphysical object. (3)

The influence of this metaphysical essence introduces the subjective agent versus to objectivity of knowledge, against necessity and determinism of reality.

Therefore, to take into account the essence of phenomenon, above all we need to fix this subjective agent which deconstruct the regularity of objective being. ,

The special phenomenological method is used to accomplish this task – the method of bracketing the phenomenon that means to wrest it from the determinism of objective being.

Unfolding this position, finally we could come to the point that, it would be the influence of the metaphysical world that create obstacles to insight completely the self of subject and to cognize the world in the absolute light of logical accuracy.

Therefore, the elusiveness of the self and the error of human cognition, both have positive values, since they have indicated the influence of metaphysics on the phenomenological world.

* * *

Looking back through our opus, the feeling of dissatisfaction accompanies us, since instead of deconstruction of the mental forms leading certainly to the unknown object, we use ready – made phenomenological conception to bridge the gap over phenomenology and metaphysics.

Therefore, the subtle way of creativity between certainty and uncertainty of thinking slipped away.

Therefore, this work could be considered as incomplete in principal. It would be open in perspective of further discussions to keep certain creativity leading to the mystery of the metaphysical world.

Literature:

1. Poe Edgar Allan . *The poetic principal*, in the book : American Literary Criticism. Moscow “Progress” 1981 Pp. 59 – 68
2. The Republic of Plato. book VII 514 a 2, 517 a 7,. Translated by Bloom, Allan; USA Basic books, 1968. Pp. 193 – 196
3. Dolidze Mamuka, *Phenomenology in Science and Literature*, Encyclopedia – Phenomenology World – Wide (Analecta Husserliana Vol. 80, Pp. 608 – 616)

მამუკა დოლიძე – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, საქართველოს ფილოსფიურ მეცნიერებათა აკადემიის კადემიკოსი. თბილსიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიის მიმართულების პროფესორი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის, ფენომენოლოგიის, რელიგიის ფილოსოფიის სფეროებში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიები ქართულ და უცხოურ ენებზე. ცნობილი მწერალი და დრამატურგი.

ფენომენოლოგია და მეტაფიზიკა

რეზიუმე

ფენომენოლოგია და მეტაფიზიკა ყოფიერების ორ განსხვავებულ, ერთმანეთის გამომრიცხავ სფეროს შეეხება. თუკი ფენომენოლოგია აღწერს ფენომენთა სამყაროს, რომელიც ღიაა ცნობიერების წინაშე, მეტაფიზიკის ობიექტია "ნივთი თავისთავად" – ის, რაც არ შემოდის ცნობიერების ველში და ვერასოდეს იქცევა ცოდნის ობიექტად.

ჩვენი მოსაზრებით, ეს ტრადიციული წყალგამყოფი ფენომენთა სამყაროს და მეტაფიზიკურ სფეროს შორის შეიძლება კიდეც დაირღვეს ფენომენოლოგიის თანამედროვე მიღწევათა შუქზე. თუკი "ნივთი თავისთავად" სრულიად შეუმეცნებადია, როგორღა შეიძლება ვთქვათ, რომ ის არ შემოდის ცნობიერების ველში და ვერასოდეს იქცევა ცოდნის ობიექტად? ამის თქმა უკვე მის გარკვეულ დახასიათებას და მაშასადამე, გარკვეულ გაცნობიერებას ნიშნავს. იქნებ ასეთი საუბრისას მხედველობაში გვაქვს არა მეტაფიზიკური ობიექტი, არამედ მისი საზრისი, ანუ ის კვალი, რაც მისი ზეგავლენით აღიბეჭდება ცნობიერების ეკრანზე? მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მეტაფიზიკური ობიექტი და მისი საზრისი ორი განსხვავებული შინაარსია. ერთი განეკუთვნება არაცნობიერის სფეროს, მეორე კი ცნობიერების ველს. ასეთი გახლეჩვა რომ არ მოხდეს, შეიძლება მივმართოთ ენის

დეკონსტრუქციის პრინციპს. ენა, როგორც აზროვნების ფორმა, მიისრაფვის გარკვეულობისკენ, სიცხადისკენ. გარკვეული შინაარსის წარმოჩენით ენა შორდება არაცნობიერის სფეროს და ფიქსირდება ცნობიერების ველში. ამდენად ენობრივი კონსტრუქცია კარგავს მეტაფიზიკური ობიექტის იდუმალებას.

იმისთვის, რომ გავიდეთ ცნობიერების გარეთ და გადავიდეთ საზრისიდან მეტაფიზიკურ ობიექტზე, საჭიროა მოვახდინოთ ენის დეკონსტრუქცია, ანუ დავარღვიოთ მისი შესაბამისობა ობიექტურ რეალობასთან და აღმოვაჩინოთ ის სტიქიური ელემენტი, რომელიც არ ობიექტივირდება და საგნობრივ კრისტალიზაციას არ განიცდის. ფაქტიურად ეს არის ენის, როგორც სუბიექტური ფენომენის ჩვენება, რაც მუდმივად ეწინააღმდეგება ცოდნის შინაარსთა ობიექტივაციის პრინციპს. ენის ამ სუბიექტურ სტიქიაში ისახება კავშირი ფენომენსა და ინტერფენომენს, ცნობიერსა და არაცნობიერს შორის რაც ფენომენოლოგიური სამყაროს ღიაობას ნიშნავს მეტაფიზიკის მიმართ.

ნინო თომაშვილი – ფილოსოფიის დოქტორი, თბილსიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიისა და ლოგიკის სფეროებში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიებიც.

ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიურ დისკურსში

ენის ფილოსოფიის პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერთა მიერ ენის ფუნქციების კვლევა და შესწავლა თანამედროვე სამეცნიერო სივრცეში ინტენსიურად მიმდინარეობს და მუდმივი დახვეწისა და გაფართოების პროცესშია. ამ კვლევებმა დაადასტურა, რომ ენას ბევრი ფუნქცია აქვს; თუმცა ჯერჯერობით მაინც არ არის ნაპოვნი რაიმე ზოგადი პრინციპი ენის ყველა შესაძლო ფუნქციის გამოსავლენად. თანამედროვე ფილოსოფიაში გამოიკვეთა თვალსაზრისი ენის ფუნქციებსა და დისკურსის ტიპებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაციური აქტები.

დისკურსი, ისევე როგორც ენა, სოციალური და საზოგადოებრივი მოვლენაა. იგი ენის განუყოფელი ნაწილია და აისახება სხვადასხვა კონკრეტულ სოციუმში, რომელთაგან თითოეულს გააჩნია დამახასიათებელი ლინგვისტური თვისებები. ენის ეს სპეციფიკა გარკვეულ სოციალურ კონტექსტში რეალიზდება ზეპირი, ან წერილობითი ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსის სასაუბრო თუ წერილობითი ტექსტები შედგება გარკვეული ელემენტებისაგან, რომლებიც ხშირად დისკურსში დომინანტურ როლს ასრულებს და კონტექსტზე ზემოქმედებას ახდენს. მეცნიერთა მიერ ამ ელემენტების შესწავლა მიმდინარეობს ისეთი ფაქტორების

გათვალისწინებით, როგორიცაა მოსაუბრე, მიზანი, ინტენ-ცია, ადგილი და სხვა.

არსებობს დისკურსის მრავალი განმარტება. ზოგიერ-თი მკვლევარისთვის იგი „ტექსტების“ ერთობლიობაა, ზო-გიერთისთვის – დისკურსულ „პრაქტიკაში“ განხორციელე-ბული ურთიერთობა, ზოგისთვის კი „სამეტყველო კომუნი-კაციის სახეობა”. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნების განსაზ-ღვრებას ხვადასხვა მეცნიერული ცოდნის ფარგლებშიც კი ერთმნიშვნელოვნი არა რის.

ფილოსოფიური დისკურსიც კომუნიკაციის (და არამ-ხოლოდ სამეტყველო) ერთგვარი სახეობაა და გააჩნია სხვე-ბისაგან განსხვავებულილინგვისტურიწესები და, შესაბამი-სად, ენა.ფრანგმაპოსტმოდერნისტებმაფილოსოფიურ დის-კურსად ფილოსოფოსთა მიერ შექმნილი თხზულებების, ანუ სპეციფიური ფილოსოფიური ლექსიკით, სინტაქსით და სე-მანტიკით შექმნილი ტექსტების ერთობლიობა მიიჩნიეს, რო-მელიც ერთგვარი პრობლემური სივრცეა. ჟ. დელიოზმა და ფ. გვატტარიმ ერთობლივ ნაშრომში „რიზომა“ ("Rhizome", 1976) დისკურსის სივრცე შეადარეს „რიზომას“ (რიზომა – ფრანგ. „ქსელი“) – ჯუჯა მცენარეს, რომლის ფესვი და ყვა-ვილი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. „რიზომა“ ისეა მოწყობილი, რომ მასში ყოველ ძაფს აქვს შესაძლებლობა გა-დაკვეთოს მეორე. ეს არის ერთგვარი ლაბირინთი, პრობლე-მური სივრცე, რომელიცცნობიერების უწესრიგომიმართუ-ლებას გამოხატავს.ესაა მრავალიაზრისთანაარსებობა,რო-მელთა შორის არ არსებობს მთავარი (ცენტრი) და მეორეხა-რისხოვანი (პერიფერია); ყველა აზრი მნიშვნელოვანია, ერ-თნაირად იმსახურებს ყურადღებას და ერთნაირად აისახება ტექსტში. ასე გაგებული „რიზომა“ გახდა ფილოსოფიური დისკურსის კონსტრუქციის მოდელი.

პოსტმოდერნისტების აზრით, ყოველი ახალი ფილოსო-ფიური ტექსტი ხდება სხვა უკვე არსებული ფილოსოფიური

ტექსტების გადაკვეთის ადგილი – „რიზომის“ ძაფი, რომელიც გარკვეულ დროს შეიძლება იქცეს ფილოსოფიური დისკურსის „გარდატეხის წერტილად“, რაც გამოიხატება ცალკეულ ფილოსოფიურ ტექსტებში ცნებათა, მსჯელობათა, კვლევის ობიექტების შეუთავსებლობაში. ისინი არიან შეუსაბამონი და ამავე დროს, ეკვივალენტურნიც, რამდენადაც მათი ფორმირება ხდება ერთი და იმავე წესებით, ერთსა და იმავე პირობებში. სწორედ ამ წერტილებში ხდება ფილოსოფიური პარადიგმების ცვალებადობა, წარმოიქმნება ახალი მიმდინარეობები და იდეები. სწორედ ამიტომ ფილოსოფიურ დისკურსში განსაკუთრებული ინტერესის საგანი ხდება გამოუთქმელი, მაგრამ ნაგულისხმევი აზრი – პრესუპოზიციები, ვინაიდან პოსტმოდერნისტებისათვის ფილოსოფიური ტექსტი წარმოადგენს უკვე არსებული და ახლადწარმოშობილი აზრების კვეთას, მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და, როგორც აღვნიშნეთ, დიდი რაოდენობით ნაგულისხმევი ცოდნის არსებობას, რომელიც დისკურსისათვის მოუმზადებელი ადამიანისათვის ტექსტს გაურკვეველს ხდის.

არის თუ არა ასე გაგებული ფილოსოფიური ტექსტი მეცნიერული? მეცნიერები შეთანხმდენენ, რომ ნებისმიერი თეორია მისდამი წაყენებულ მეცნიერულობის მოთხოვნას აკმაყოფილებს მაშინ, როდესაც მასში გამოთქმული ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე დებულებები დასაბუთდება. ზოგიერთი მკვლევარის აზრით,ვინაიდან ფილოსოფია სხვა კერძო მეცნიერებებისაგან განსხვავებით სწავლობს სამყაროს როგორც მთელს, კულტურას, კერძო მეცნიერებათა მიზნებს და საკუთარ თავსაც, და ცდილობს საკუთარი დებულებების მოწესრიგებულ და დასაბუთებულ მთლიანობად წარმოდგენას, იგი განსაკუთრებული მეცნიერების სტატუტს იძენს, რომელიც „თითქოს ზემოდან დაჰყურებს სამყაროს“ (2, გვ. 350). ამ თვალსაზრისის მომხრეთა მიხედვით,ფილოსოფიური დისკურსიმეცნიერულ დისკურსთა რიცხვს მიეკუთვნება დამასში ვლინდება ამ უკანასკნელი-

სათვის დამახასიათებელი ენის ყველა სპეციფიური თვისება. მეცნიერება, როგორც კ. პოპერი ამბობს, თავისი სპეციფიური მიზნებისათვის ენის ფუნქციათა მრავალფეროვნებიდან უპირატესობას ანიჭებს დესკრიფციულ, არგუმენტაციულ და დეფინიტორულ ფუნქციებს (6. გვ. 335).

დეფინიცია, როგორც მეცნიერების ენის დომინანტი ფუნქცია, გარკვეული ტერმინის მნიშვნელობას ქმნის სხვა ტერმინების კომბინაციების გამოყენებით, რომელსაც თან ახლავს სპეციალურად ამ მიზნის გამომთქმელი სიტყვები. პოპერის აზრით, დასაბუთების პროცესში ენა ამავე დროს ავლენს გამომსახველობით ფუნქციას, რადგან წარმოადგენს ფისიქიკური თუ ფსიქოლოგიური შინაგანი ვითარების გარეგან სიმპტომს. გარდა ამისა, რამდენადაც ენა ადასტურებს გარკვეულ შეხედულებებს რაიმე ვითარების შესახებ, ის დესკრიფციაცაა და რამდენადაც რაიმე შეხედულების დასაცავად მოიძიებს საჭირო საბუთებს, ის ასრულებს არგუმენტაციულ ფუნქციასაც.

უნდა დავეთანხმოთ კ. პოპერს, რომლის აზრითაც, ენის არგუმენტაციული ფუნქცია არის მეცნიერებისათვის უმაღლესი სხვა ფუნქციებს შორის და ის ვლინდება ნებისმიერი საგნის კრიტიკულ განხილვაში. პოპერი მიიჩნევს, რომ არსებობს ენის ისეთი ფუნქციები როგორიცაა, მაგ., პრესკრიფციული, კონსულტაციური, მაგრამ მხოლოდ დასახელებულ ოთხს შორის არის გარკვეული იერარქია იმ აზრით, რომ თითოეული უფრო მაღალი ფუნქცია უფრო დაბალი ფუნქციების გარეშე არ შეიძლება იყოს მოცემული მაშინ, როცა უფრო დაბალი ფუნქციები შეიძლება მოგვეცეს უფრო მაღალის გარეშე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა მკვლევარის აზრით, ენა ერთსა და იმავე კომუნიკაციურ აქტში შეიძლება ერთდროულად ასრულებდეს სხვადასხვა ფუნქციას, რომ ენის ყოველი გამოყენებისას, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, გვაქვს ფუნქციების ერთობლიობა და არა რომელიმე

ფუნქცია, თუმცა მათ შორის ზოგიერთი დომინანტურ როლს თამაშობს. ამის გათვალისწინებით კ. პოპერმა ივარაუდა, რომ მის მიერ გამოყოფილი ოთხი ფუნქცია ქმნის იერარქიას: ექსპრესიული და სასიგნალო ფუნქციები უფრო დაბლა დგას იერარქიაში და ახასიათებს ცხოველთა ენებსაც მაშინ, როდესაც დესკრიფციული და არგუმენტაციული ფუნქციები მხოლოდ ადამიანთა ენებისთვისაა დამახასიათებელი.

თუ ფილოსოფია მეცნიერებაა, მაშინ მეცნიერების ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიისთვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ თუ ფილოსოფია არის უკვე არსებული და ახლადწარმოშობილი აზრების კვეთა და მათი განსხვავებული ინტერპრეტაციების, ტექსტების ერთობლიობა (როგორც ამას პოსტმოდერნისტები ამბობდნენ), მაშინ მისი ენის მთავარ ფუნქციებად წარმოგვიდგება კ. ბიულერის მიერ დასახელებული ენის, უფრო ზუსტად, მეტყველების სამი ფუნქცია: კომუნიკაციის, გამოხატვის და მიმართვის ფუნქციები, რომელთაც შეესაბამება გამოთქმათა, წინადადებათა სამი ტიპი: თხრობითი, ძახილის და მასტიმულირებელი. ბიულერის აზრით, კომუნიკაციური ფუნქცია ადამიანის ინტელექტს უკავშირდება, გამოხატვის ფუნქცია – ემოციას, მიმართვის ფუნქცია კი – თხოვნის, სურვილის, დარწმუნების სიტუაციებს.რ. იაკობსონი ფილოსოფიის ენის შემდეგ ფუნქციებს გამოყოფდა: ემოციური, კონოტატიური (მიმართვის ობიექტში გარკვეული განწყობის შექმნის ფუნქცია), პოეტური, მეტაენობრივი, დენოტაციური, კოგნიტური და ფატიკური ფუნქციები. ვფიქრობ, დასახელებულთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიურ დისკურსში ევოკაციური ანუ მასტიმულირებელი ფუნქციაა.

ევოკაციური (ევოკაცია – გამოწვევა, სტიმულირება) ფუნქცია მიმართულია მსმენელში გარკვეული აზრების, შეფასებების, გარკვეული ქმედების განხორციელებისათვის განწყობის შესაქმნელად. ენის ამ უნარს შეუძლია ფილოსო-

ფიურ დისკურსში მონაწილე სუბიექტებში აღძრას კითხვებზე პასუხების ძიების სურვილი, როგორც „შინაგანი“, ისე „გარეგანი“ მეტყველების ფორმით.

ფილოსოფიური დისკურსი შესაძლოა იყოს მონოლოგურიც და დიალოგურიც. ენის ევოკაციური ფუნქცია ორივე შემთხვევაში ვლინდება, როგორც დომინანტური. ეს კარგად ჩანს მაგ., პლატონის დიალოგურ და ჰაიდეგერის მონოლოგურ ტექსტებში, სადაც ფილოსოფოსი, პირველ რიგში, თავის თავს უსვამს კითხვას „რა არის ეს ფილოსოფია?“ და ფიქრისთვის განაწყობს თავს, ხოლო შემდეგ ტექსტად აქცევს საკუთარ ნააზრევს უკვე სხვისთვის.

ჰაიდეგერისთვის ფილოსოფია არის შემეცნების სპეციფიური – ბერძნული – ორიენტირი, გზა, შეკითხვების დასმის წესი. სწორედ ამ წესით ინარჩუნებს არსებობას თანამედროვე ფილოსოფიური დისკურსიც, რომელშიც ენა ფილოსოფიური კითხვების დაყენებისა და პასუხების მოძიების სტიმულატორი უფროა, ვიდრე სამყაროს პრობლემებზე ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი პასუხების გაფორმების საშუალება.

კითხვას „რა არის ეს?“ წარმოშობს სამყაროს საიდუმლოებანი, რომელთაც შეუძლიათ ფილოსოფოსის გაოცება. ეს არის შეკითხვის შემეცნებითი ფუნქცია, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესახებ უკვე არსებული ზოგადი წარმოდგენების დაკონკრეტებასა, შევსებასა და დაზუსტებასთან. შეკითხვის ფორმით ხორციელდება მეცნიერებაში ახალი პრობლემების დაყენება. ნებისმიერი შეკითხვა ეყრდნობა გარკვეულ ცოდნას, რომელიც ამ შეკითხვის წანამძღვარია. პლატონი ამბობდა: ნებისმიერ ადამიანს როცა რამეს ეკითხებიან, შეუძლია სწორი პასუხის გაცემა, ოღონდ იმ პირობით, რომ კითხვა უნდა იყოს სწორად დასმული. მისი დიალოგებიდან ჩანს, რომ კითხვების ლოგიკას კარგად იყენებდა სოკრატე. ამ მეთოდით იგი

აიძულებდა, სტიმულს აძლევდა მოსაუბრეს თავად მიეგნო ჭეშმარიტებისათვის.

სოკრატეს შეკითხვები მასტიმულირებელია არა მხოლოდ მოსაუბრისათვის, არამედ თავად სოკრატესთვისაც, რათა დაიწყონ ფიქრი პასუხის მოსაძიებლად ანუ „ჩავარდნენ ფიქრში“, როგორც აბობდა მ. მამარდაშვილი. „პლატონი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ფილოსოფიური ტექსტი შექმნა, რომელშიც მოვლენას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ტექსტიდან გამომდინარე მოვლენას. ამ ტექსტებს მან დიალოგები უწოდა. მასში ხედავ ფილოსოფიური მეტყველების მშვენიერ მაგალითს, რაც ძალზე სპეციფიური მეტყველებაა.“ (5, 28) თავის ლექციებში, რომელსაც „ფილოსოფიური საუბრები“ უწოდა, მ. მამარდაშვილი ასე მიმართავდა მსმენელებს: „თქვენთვის გამოსადეგი იქნება ის, თუ ჩემგან გადმოგეცემათ რთული, ამ თითქმის შეუძლებელი აზროვნების ჩვევა“ (4, გვ. 43).

ზოგიერთი ფილოსოფოსი ენის ევოკაციურ ფუნქციას მხოლოდ მეტყველების ფუნქციად მიიჩნევს. მ. მამარდაშვილის აზრით, პლატონისათვის აზრის გაელვება ხდება მხოლოდ მეტყველებაში, ანუ ზეპირ აზროვნებაში და არა ნაწერში. „როცა ვწერთ, იქ არაფერი ხდება; ნაპერწკალი ჩნდება, როცა ინტენსიურ კონცენტრაციაში ვართ და ეს ნაპერწკალიც ჩვენი მოგონილი არ არის, ის სწორედ უნდა მოხდეს. წერის დროს კი შანსიც აღარ არის, რომ რაიმე მოხდება“ (4, გვ. 43). ამდენად, მამარდაშვილიც სოკრატეს მეთოდს ირჩევს და ფილოსოფიურ დისკურსში დიალოგს ანუ სამეტყველო კომუნიკაციას ანიჭებს უპირატესობას. ვფიქრობ, ეს ძალიან ინდივიდუალურია. კანტის, ჰეგელის და მრავალი სხვა ფილოსოფოსის ნაწერთა სიმრავლე გვაუწყებს, რომ მათთვის სიბრძნის წვდომისათვის აზრის ნაპერწკალი წერის პროცესშიც ჩნდებოდა.

ამდენად, ენა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მრა-

ვალფუნქციურია, ფილოსოფოსისათვის, პირველ რიგში, ფილოსოფიური განსჯის სტიმულატორი და სააზროვნო პროცესის შემოქმედია.

ლიტერატურა:

1. ბიულერი, კ. „ენის თეორია. ენის რეპრეზენტაციული ფუნქცია“ , „პროგრესი“, მოსკოვი, 1993 (რუსულ ენაზე);
2. ბუაჩიძე თ., ფილოსოფიური ნარკვევები – II, თბ., 2005;
3. დელიოზი, ჟ. გვატარი, ფ. „რიზომა“, https://www.twirpx.com (რუს. ენაზე);
4. მამარდაშვილი, მ. საუბრები ფილოსოფიაზე, „მეცნიერება“, თბ., 1992;
5. მამარდაშვილი მ., ჩახშული ფიქრი, საუბრები ანი ეპელბუანთან, თბ., 1992;
6. პოპერი, კ. ვარაუდები და დარღვევები, „კვარი“, თბ., 2000;
7. ჰაიდეგერი, მ. რა არის ეს ფილოსოფია? „მიმომხილველი 6 – 9“ , თსუ, თბ., 1972.

Nino Tomashvili – Doctor of Philosophy; Associated Professor at IvaneJavakhishvili Tbilisi State University; studies problems of theoretical philosophy and logic; if the author of many scientific works among them monographs.

DOMINANT FUNCTIONS OF LANGUAGE IN THE PROCESS OF PHILOSOPHICAL THINKING

ABSTRACT

Study of language functions, search and analysis of their various models are intensely carried out and constantly developed

and expanded in science by those scholars who are interested in philosophy of language and problems of linguistics in general.

Dominant functions of the science language are characteristic of philosophical thinking as well. Though evocative, stimulative or signal function, which was named by K. Bühler among three main functions of language or, more precisely, speech, also should be considered as an important function of language in philosophy. It is directed towards forming certain ideas, evaluations, readiness to perform certain acts in listeners. Language interpreted in such a manner can arouse in listeners desire to look for answers to questions and not only in listeners but also in the person controlling the process of communication, transfering information and, at the same time, "speaking" himself internally, thinking. Dominant role of this function of language in philosophy is perfectly demonstrated in Plato's dialogues.

Philosophy, like other sciences, has an ambition to comprehend mysteries of the universe. As Heidegger stated, it is a Greek reference point, a way, a rule to ask questions. In philosophical discourse language stimulates search of answers to these questions.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და ლოგიკის განყოფილებამ.

მეცნიერების ფილოსოფია
PHILOSOPHY OF SCIENCE

რამაზ გახოკიძე – საქართველოს ფლოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს და აშშ – ის ღირსების ორდენების კავალერი. 500 – ზე მეტი პუბლიკაციის – სამეცნიერო ნაშრომების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, აღმოჩენისა და გამოგონებების ავტორი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. კემბრიჯის ბიოგრაფიულმა საერთაშორისო ცენტრმა იგი დაასახელა საუკუნის დიდ მოაზროვნეთა შორის.

მეცნიერება და მორალი

დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.
ილია ჭავჭავაძე

დღეს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა მეცნიერების და საზოგადოებრივი მორალის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. მეცნიერება, ერთი შეხედვით, მიუკერძოებულია, რადგანაც იგი ობიექტურ რეალობას სწავლობს და ზნეობასთან თითქოს კავშირი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეს არ არის სწორი, რადგან მეცნიერებას ქმნიან ადამიანები, რომელთაც სხვადასხვა მორალური თვისებები გააჩნიათ. სწორედ ამიტომ არ შეიძლება მეცნიერის მოღვაწეობის ზნეობრივი ასპექტის უგულებელყოფა.

შეიძლება თუ არა მეცნიერული გამოკვლევები საერთო ჯამში ჩაითვალოს საზოგადოებისთვის სასარგებლოდ, უნდა იფიქროს თუ არა მეცნიერმა თავისი გამოკვლევების შესაძლო შედეგებზე? აი, ის კითხვები, რაც დღეს აღელვებს მსოფლიოს პროგრესულ მოღვაწეებს.

ერთი შეხედვით, მეცნიერება და მორალი შორს დგას ერთმანეთისგან. მეცნიერება – სამყაროზე თეორიულ შეხედულებათა ერთობლიობაა, რომელიც ორიენტირებულია სინამდვილის ობიექტური მახასიათებლების გამოხატვაზე ცნებებით და მათემატიკური ფორმულებით. მორალი, პირიქით, წარმოადგენს ღირებულებების და ნორმების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას და აზროვნებას სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებულობის თვალსაზრისით.

განსაკუთრებით მწვავედ დგას მეცნიერების და ზნეობის საკითხი იმ მეცნიერთა წინაშე, რომლებიც მოღვაწეობენ გამოყენებით სფეროებში. ამის ნათელი მაგალითია მწვავე დისკუსიები, რომლებიც გაჩაღდა ცხოველების და ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, კლონირება შეიძლება გამოყენებულ იქნას უბედური შემთხვევით ან დაავადებით დაზიანებულ ორგანოთა შესაქმნელად. ამ შემთხვევაში კლონირება სიკეთეა, ჰუმანურია, რადგან ადამიანს ეხმარება სულიერის გახანგრძლივებაში. თუმცა, მეორეს მხრივ, კლონირებით რეალურად შესაძლებელია ადამიანთა „კოპირება“, ადამიანი – მონების, წინასწარგანზრახული თვისებების მქონე ადამიანის კონვეირული წესით შესაქმნელად, რაც ნამდვილად ზნეობრივი დრამა გახდება კაცობრიობისათვის. მორალური პრობლემები წარმოიქმნება ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემთხვევაშიც. თუ მეცნიერება შეძლებს ერთი ადამიანის ტვინის გადანერგვას მეორე ადამიანში, ერთ-ერთი დაზარალებულის გადასარჩენად, როგორ უნდა აიხსნას ეს მორალური თვალსაზრისით?

აღსანიშნავია, რომ მორალური პასუხისმგებლობა აკისრიათ მეცნიერ – ჰუმანიტარებსაც, არანაკლები, ვიდრე ფიზიკოსებს, რომლებმაც შექმნეს ატომური ბომბები და ბიოლოგებს, რომლებმაც ლაბორატორიაში გამოიყვანეს შავი ჭირი. ფსიქოლოგების მიერ დამუშავებული თეორიები, რო-

მელთა გამოყენებამ პედაგოგიურ საქმიანობაში შეიძლება ძლიერად იმოქმედოს ადამიანებზე, რადგან არაცნობიერი, არარსებული მანკიერების მინიჭებას ადვილად დააზიანებს პაციენტს. არანაკლები პასუხისმგებლობა აკისრიათ ისტორიკოსებსაც. სწორედ ისინი აყალიბებენ ჩვენს კოლექტიურ მეხსიერებას და, ჩვეულებრივ, მათ წესიერებაზეა დამოკიდებული ფაქტების განმარტება. ისტორიის კონიუნქტურულად შექმნილ ახალ ვერსიებს შეუძლია გამოიწვიოს ქაოსი და დეზორიენტაცია მასობრივ ცნობიერებაში. რამაც შეიძლება გააღვივოს სოციალური და ეთნიკური წინააღმდეგობები და თაობებს შორის კონფლიქტი.

მორალური თვალსაზრისით მწვავედ დგას ცხოველებზე ექსპერიმენტების საკითხი. ძაღლს ძეგლიც კი დაუდგეს. წამლებს და მომწამლავ ნივთიერებებს ცდიან ცხოველებზე: კურდღლებზე, ვირთხებზე, ლაბორატორიულ თაგვებზე. ხელოვნურად იწვევენ ტკივილის შოკს, სიმსივნეების ზრდას და მრავალ სხვა მოქმედებას. ამჟამად მეცნიერები მუშაობენ, რომ დაიცვან თავიანთი „უმცროსი ძმები“ და შეისწავლონ აუცილებელი პროცესები ინფორმაციული მოდელების ჩარჩოებში. სისტემური მიდგომის პოზიციებიდან მეცნიერება და მორალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთიანი მთლიანი სისტემის – სულიერების შემადგენელი ელემენტები.

დღეს მეცნიერება უკვე აღარ არის „პირადი საქმე“. იგი უშუალოდ გარდაისახება ტექნიკაში, წარმოებაში, ცვლის ადამიანთა ყოველდღიურ ყოფას. მას საზოგადოების იერარქიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მეცნიერული კვლევის ეთიკამ მწვავედ დააყენა ბევრი საკითხი. პირველი წარმოიშვა იაპონიის ქალაქებში ატომური აფეთქების შემდეგ. მეორეა ეკოლოგიური მოძრაობა, რომელსაც გასული საუკუნის 60 – იან წლებში ჩაეყარა საფუძველი.

70-იანი წლებიდან ფართო რეზონანსი ჰპოვა ბიოსამედიცინო და გენეტიკური გამოკვლევების შედეგებმა და პერსპექტივებმა.

პროგრესული მეცნიერები ყოველთვის მტკიცედ და გადაჭრით იცავდნენ მეცნიერების ჰუმანურ საფუძვლებს და პრინციპებს, მოითხოვდნენ, რომ მეცნიერთა მოღვაწეობას ჰქონოდა ერთადერთი მიზანი: სარგებლობა მოეტანა საზოგადოებისთვის.

მეცნიერების მილიტარიზაცია მრავალ სოციალურ და მორალურ პრობლემას ბადებს. ჩვენი პლანეტის სირცხვილია ის, რომ რეაქციული ძალები მიისწრაფვიან გაანადგურონ ჰუმანური ტრადიციები, მეცნიერთა მიღწევები გამოიყენონ პოლიტიკური და საომარი მიზნებისთვის. ამ პროცესმა კი კატასტროფამდე შეიძლება მიგვიყვანოს. კაცობრიობას მასობრივი განადგურების საშიშროება ემუქრება. გასაიდუმლოებულ ცენტრებსა და ლაბორატორიებში სპეციალისტები მონდომებით „შრომობენ“ ახალ საომარ მომწამლავ ნივთიერებათა მისაღებად, ისეთი მწერების გამოსაყვანად, რომლებიც ადამიანებს დააავადებენ და მდგრადი იქნებიან წამლების მიმართ. და ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როცა მსოფლიოს პროგრესული მეცნიერები არა თუ ადამიანთა, არამედ მავნებელ მწერთა და სარეველა ბალახთა მასობრივი განადგურების წინააღმდეგნიც კი არიან და სასოფლო – სამეურნეო მცენარეთა დაცვის ახალ, ბუნებისთვის უვნებელ მეთოდებს გვთავაზობენ.

ერთხელ ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა კურტ ვონეგუტმა მწარედ იხუმრა: „რაც არ უნდა გამოიგონონ მეცნიერებმა, მაინც იარაღი გამოუდითო“. ახლახან მეცნიერებმა უხმო ასაფეთქებელი ნივთიერება – დემოლიტი მიიღეს. მას შეუძლია ააფეთქოს ბეტონის ფუნდამენტი, კედლები, უზარმაზარი კაჭრები და ძლიერ მტკიცე მასალებიც რყევის და გამაყრუებელი ხმაურის გარეშე ისე, რომ, მტვერიც კი არ დააყენოს, რაც დიდ გამოყენებას პოვებს სამთო თუ სამშენებლო საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამოგონება შეიძლება ადამიანის საწინააღმდეგო იარაღადაც იქცეს სამხედ-

რო უპირატესობისადმი პოლიტიკანთა მანიაკური სწრაფვის გამო.

სამხედრო იარაღებს შორის ყველაზე საშიში ქიმიური იარაღია. მასვე განეკუთვნება ე.წ. „სუპერქიმიური“ იარაღი – ნეიტრონული ბომბი, რაც არა მარტო აბინძურებს, არამედ დამღუპველადაც მოქმედებს გარემოზე. მდინარე იპრის ნაპირებზე და პირველი მსოფლიო ომის სხვა ფრონტებზე გერმანელების მიერ პირველად იქნა გამოყენებული მასობრივი განადგურების ქიმიური იარაღი. „ქიმიური ბომბის მამად“ გერმანელ ქიმიკოსს ფრიც ჰაბერს თვლიან (მიაქციეთ ყურადღება: იგივე ჰაბერი ითვლება სასუქების წარმოების მამამთავრადაც!), რომელიც ამ იარაღს შედარებით იაფ და მოულოდნელობის ეფექტის მომცემ იარაღად მიიჩნევდა*. სხვადასხვა მომწამვლავ ნივთიერებათა მიერ გამომწვეული დაზიანების მექანიზმი განსხვავებულია, მაგრამ თითოეული მათგანი, უმცირესი დოზითაც კი, ცოცხალი ორგანიზმის უჯრედში მოხვედრისას არღვევს სასიცოცხლო პროცესების ნორმალურ მსვლელობას. კიდევ უფრო საშიშია მომწამლავ ნივთიერებათა მიერ გამოწვეული გენეტიკური შედეგები.

მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები გამოდიან ქიმიური იარაღის გამოყენების დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1925 წლის 17 ივნისს ჟენევაში 37 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ისტორიულ ოქმს, რომელიც ითვალისწინებს ომის შემთხვევაში მხუთავი, მომწამლავი და სხვა მსგავსი გაზების და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენების აკრძალვას. 1927 წელს ამ

---

* აკადემიკოსი პ. კაპიცა იგონებდა: „ჰაბერი იყო ბრწყინვალე ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, აბსოლუტურად პირველხარისხოვანი მეცნიერი... ჩვენ ფიზიკოსებს, რეზერფორდსა და სხვებს არ გვქონდა მასთან შეხვედრის სურვილი, ვინაიდან მორალურად იგი ნამდვილად დიდი მეცნიერის შესახებ ჩვენს შეხედულებებს არ პასუხობდა... მორალი: არ შეიძლება ერთდროულად ემსახურო ღმერთსა და მამონას“.

ოქმის ხელის მომწერებს საბჭოთა კავშირიც შეუერთდა. ამ-ჟამად მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო ცნობს ამ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებას. ჰიტლე-რულმა გერმანიამაც კი ვერ გაბედა მისი დარღვევა მეორე მსოფლიო ომის დროს, თუმცა ქიმიური იარაღი მზადყოფნა-ში ჰქონდა.

ყოვლად გაუმართლებელია მომწამლავი ნივთიერებე-ბის გამოყენება არათუ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღ-მდეგ, არამედ საომარი მიზნებისთვისაც კი. უნდა აღინიშ-ნოს, რომ 1987 წელს საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად გა-ნაცხადა იარაღის განადგურების და მისი წარმოების შეწყვე-ტის შესახებ.

ამის მიუხედავად, დღეს მთელ რიგ ქვეყნებს ხელთა აქვთ ქიმიური იარაღის უზარმაზარი მარაგი, რომელიც საკ-მარისია ჩვენს პლანეტაზე ყველა ცოცხალი არსების მრავალ-გზის მოსასპობად (მაგალითად, ბოტულიზმის გამომწვევი ბაქტერიებიდან მიღებული ნივთიერება, რომლის 3 კილოგრა-მი საკმარისია მთელი კაცობრიობის გასაწყვეტად ან ლიზერ-გინის მჟავას დიეთილამიდი – ჭვავის სოკოსგან გამოყოფილი ნარკოტიკი (100 გრამ ამ ნივთიერებას შეუძლია ფსიქიკურად დაავადოს მილიონი ადამიანი). ამერიკის ქიმიური ასოციაცი-ის მონაცემებით, შეერთბული შტატები ფლობს ქიმიური ია-რაღის ისეთ პოტენციალს, რომელსაც 5 ათასჯერ შეუძლია დედამიწაზე ყოველი ცოცხალი არსების მოსპობა.

ჯ. სვიფტის ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „ის, ვისაც შეუძლია ორი თავთავის მოყვანა იმ ადგილას, სადაც მანამ-დე ხარობდა მხოლოდ ერთი თავთავი, კაცობრიობის ქება – დიდებას იმსახურებს, ხოლო თავის ქვეყნისთვის იგი გაცი-ლებით მეტს აკეთებს, ვიდრე ყველა პოლიტიკოსი ერთად აღებული“. ის „სპეციალისტები“ კი, რომლებიც კულტურულ მცენარეთა ტოტალური განადგურების საშუალებებს ქმნი-ან, კაცობრიობის წყევლას იმსახურებენ.

ჰიროსიმა და ნაგასაკი, თერმოატომგულური საფრთხე, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და მეტეოროლოგიური ომები – აი, რა შეუძლია მოიტანოს მეცნიერების არასწორმა, ანტიჰუმანურმა გამოყენებამ.

1945 წელს ალბერტ აინშტაინი წერდა: „ფიზიკოსები დღეს ალფრედ ნობელის მდგომარეობაში არიან, რომელმაც თავისი დროის უმძლავრესი ფეთქებადი ნივთიერება – პიროქსილინი გამოიგონა. მონანიების მიზნით, თავისი სინდისის დასამშვიდებლად მან დააწესა პრემია მშვიდობისათვის ბრძოლისა და მისი შენარჩუნებისათვის. დღეს ფიზიკოსები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ყველა დროის ყველაზე საშინელი და ყველაზე საშიში იარაღის შექმნას, განიცდიან მსგავსი პასუხისმგებლობის გრძნობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაშაულის გრძნობას“.

„ჩვენ, ფიზიკოსებმა აკრძალული ნაყოფი ვიგემეთ ცოდნის ხიდან და შევიგრძენით რა არის ცოდვა“. ეს სიტყვები აინშტაინის სულიერმა მემკვიდრემ, „ატომური ბომბის მამამ“, პროფესორმა რობერტ ოპენჰაიმერმა წარმოთქვა გამოძიების ფედერალური ბიუროს საიდუმლო პოლიციის მიერ მოწყობილ საბრალმდებლო პროცესზე. ოპენჰაიმერს ადანაშაულებდნენ არა იმაში, რაც მან გააკეთა (პირველი ატომური ბომბის შექმნისთვის იგი დაფნის გვირგვინით შეამკეს), არამედ იმაში, რომ იგი არასაკმაო ენთუზიაზმით მოეკიდა წყალბადის ბომბის შექმნას. პრეზიდენტ ტრუმენთან ვიზიტის დროს მან იტირა და დასწყევლა თავისი ხელები და ტვინი, რომლებიც ასეულ ათასობით ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდა.

მეცნიერს ეშინია საკუთარი წარმატებისო, – სწორად შენიშნა ფრანგმა აკადემიკოსმა მარლიომ.

ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც განიხილა საკითხი – „რას გვიქადის მეცნიერება“, ინგლისელმა მეცნიერმა პიტერ ჰარპერმა განაცხადა, რომ გადაწყვიტა შეწყვიტოს ტვინის კვლევა, რადგანაც უკვე მიღებუ-

ლი შედეგები ადამიანის წინააღმდეგ ადვილად შეიძლება გამოიყენონ „ბოროტმა ძალებმა“. მან ასე განმარტა მეცნიერულ კვლევაზე უარის თქმა: „შეუძლებელია წინსვლა, ვიდრე არ გამოგვირკვევია, რომ სწორი გზა ავირჩიეთ. ასეთი პოზიციის ლოგიკური შედეგი უნდა იყოს სამეცნიერო აქტიურობის მოცულობის შემცირება. ამბობენ, ეს შეუძლებელია, იმიტომ, რომ მთელი ჩვენი თანამედროვე ეკონომიკა მეცნიერულ პროგრესთანაა დაკავშირებულიო. მე კი ვამბობ: მაშ მოდით, შევცვალოთ ეკონომიკა. მე მპასუხობენ: ეს შეუძლებელია. ახალი ტიპის ეკონომიკას ვერ შექმნი თუ არ არსებობს ახალი ტიპის საზოგადოებაო. მე კი ვეუბნები: მაშასადამე, ჩვენ გვჭირდება ახალი ტიპის საზოგადოება. ამაზე ისევ მპასუხობენ: ახალი ტიპის საზოგადოება წარმოუდგენელია ახალი ტიპის იდეოლოგიის გარეშეო. მერე რა, მოდით, მივცეთ საზოგადოებას ახალი იდეოლოგია, ახალი მეთოდოლოგია. საზოგადოების შესწავლა სწორედ ის არის, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს ჩვენ დიად გარდაქმნამდე... ახლა ჩვენ გვესაჭიროება ადამიანური მეცნიერება. მეცნიერება, როგორც თვითმიზანი, იგივეა, რაც ნარკოტიკი. ეს სახიფათოა და საშინელი შედეგები მოყვება“.

ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი უკანასკნელი მიღწევაა მემკვიდრეობითი ინფორმაციის მატარებლის – გენის სინთეზის მეთოდის დამუშავება, რიმელსაც უდიდესი მეცნიერული და ნატურ – ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს. ამ აღმოჩენით ახალი პერსპექტივა იშლება მემკვიდრეობით თანდაყოლილ ავადმყოფობათა და ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში, მაგრამ შესაძლებელია ამ მიღწევის ანტიადამიანური მიზნით გამოყენებაც.

გენური ინჟინერიის საშუალებით შესაძლებელი გახდა გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შექმნა, რომელთა გენეტიკურ აპარატში (გენომში) ხელოვნურად ჩანერგილია გენი/გენები სხვა ორგანიზმიდან. განსაზღვრული გენის ჩასმი-

სას მცენარე იძენს საჭირო თვისებებს (მდგრადობა მავნებლების, პესტიციდების მიმართ და ა.შ.), რაც ამარტივებს აგროტექნიკას და, შესაბამისად, აიაფებს წარმოებას. ამ თვალსაზრისით, მიზანი კეთილშობილურია – საკვები იაფდება, შეიძლება მთელი პლანეტის გამოკვება... მაგრამ სინამდვილეში ასეა?

გენმოდიფიცირებული ორგანიზმები აწარმოებენ უცხო ცილებს, რომლებიც წარმოადგენს შესაძლო ალერგენებს. **მათ** შეუძლიათ კიბოს პროვოცირება. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ინგრედიენტებს უკვე პრაქტიკულად ყველა სახეობის საკვებში უმატებენ: ნახევარფაბრიკატებში, ძეხვებში, საკონდიტრო და რძის ნაწარმში, ნაყინში, ჩიპსებში, სწრაფი მოხმარების პროდუქტებში, მაიონეზში, სოუსებში, გაზიან სასმელებში.

გენმოდიფიცირებული კულტურები უარყოფით გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. გენური ინჟინერიას შეუძლია მოხსნას სახეობათშორისი ბარიერები და ერთმანეთთან დაუკავშირებელ სახეობებს შეურიოს ინფორმაცია. შესაძლებელია გენმოდიფიცირებული კულტურები დაიმტვეროს ველური სარეველებით, რაც გამოიწვევს არაკონტროლირებად პროცესებს და ძველი ჯიშების ან სხვადასხვა ველური სახეობების გადაგვარების მიზეზი შეიძლება გახდეს. გენური ინჟინერია სავსეა გაუთვალისწინებელი, გვერდითი მოვლენებით. მაგალითად, როდესაც ორაგულში შეიყვანეს ნიანგის ზრდის ჰორმონის გენი, ორაგული გაიზარდა, მაგრამ მწვანედ შეიფერა და ჯანმრთელობის პრობლემებიც გაუჩნდა.

ევროპის და აფრიკის ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა **გმ** პროდუქტებზე. აკრძალვა შემოიღეს აზიასა და ლათინურ ამერიკაშიც. აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების მინისტრების მიმართვაში – „მოდით, კვლავაც მივიღოთ ბუნებრივი მოსავალი“ – ნათქვამია: „ჩვენ გადაჭრით ვეწინააღმდეგებით იმ აზრს, რომ დაუშვებელია ღარიბი და მშიერი ხალხის მდგო-

მარეობის გამოყენება ტრანსნაციონალური გიგანტური კორპორაციების მიერ ისეთი ტექნოლოგიის თავს მოსახვევად, რომელიც არ არის უსაფრთხო და არც ეკონომიკური მოგება გააჩნია. მიგვაჩნია, რომ ეს გაანადგურებს მრავალფეროვნებას, ადგილობრივ ადათ – წესებს, ჩამოყალიბებულ აგრარულ სისტემებს, რომელთაც ჩვენი გლეხები ათასობით წლის მანძილზე ქმნიდნენ“.

გენურ ინჟინერიას შეუძლია ახალი მცენარის, ახალი ცხოველის, ახალი ადამიანის მიღება. რას უქადის ეს მსოფლიოს? გენური ინჟინერია უკვე გამოიყენება კაცობრიობის რასის „გასაუმჯობესებლად“ (პროექტი ცნობილია ევგენიკის სახელით). როგორ მოგვაგონებს ეს ნაცისტების სურვილს „სრულყოფილი“ რასის შექმნისა. არის საშიშროება, რომ მცირე კორპორაციული ელიტა მალე გააკონტროლებს პლანეტის ყველა გენეტიკურ მემკვიდრეობას.

გენური ინჟინერიით ძალიან საშიში ბიოლოგიური იარაღის შექმნა შეიძლება. იგი დედამიწისთვის უცნობი, ახალი ორგანიზმების შექმნის წყაროა, რომელთა საწინააღმდეგო იმუნიტეტი ადამიანს არ გააჩნია.

ამგვარად, გენური ინჟინერია აბსოლუტურად ახალი ტექნოლოგიაა, რომელიც არღვევს გენეტიკურ ბარიერებს არა მარტო სახეობებს შორის, არამედ ადამიანებს, ცხოველებს და მცენარეებს შორის. ცხოველთა და ადამიანის გენებსაც კი ამატებენ მცენარეთა ან ცხოველთა გენებს, რაც იწვევს წარმოუდგენელი ტრანსგენური სასიცოცხლო ფორმების წარმოქმნას. გენმოდიფიცირებული პროდუქტები მორწმუნეთათვის შეიძლება მარხვის დარღვევის მიზეზი აღმოჩნდეს. მცენარე, რომელშიც ხელოვნურად შეყვანილია ცხოველის გენი, იძენს მის გენეტიკურ თვისებებს და აუცილებლად შეიცავს ცხოველური ცილებს, რაც ნებსით თუ უნებლიედ იწვევს მარხვის დარღვევას.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში ადამიანი სიცოცხლის არქიტექტორად გვევლინება. შესაძლებელი გახდა

ცოცხალი არსებისგან მისი ასლის წარმოქმნა იმ გენეტიკური მასალის გამოყენებით, რომელსაც შეიცავს მოცემული უჯრედი (კლონირება). კლონირებულ ცხოველთა უმრავლესობა იღუპება დაბადებამდე ან დაბადებისთანავე. ხოლო მათ, რომლებიც იბადებიან, აქვთ ჰიპერტროფირებული ორგანოები, დეფორმირებული კიდურები, დარღვეული აქვთ იმუნური სისტემა, დაავადებულნი არიან დიაბეტით. კლონირებული ცხოველები განიცდიან სწრაფ დაბერებას. მაგალითად, რომ სამწლიან კლონირებული ცხვრის – დოლის – ორგანიზმში გააჩნდა ისეთი გენეტიკური თავისებურებანი, რომლებიც ექვსი წლის ასაკის ცხვრებისთვის იყო დამახასიათებელი. პერსპექტივა შემაშფოთებელია. გენურმა იჟინერიამ წარმოშვა უპრეცედენტო ეთიკური და სოციალური პრობლემები, ასევე საფრთხის ქვეშ დააყენა გარემოს კეთილდღეობა, ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობა და სოფლის მეურნეობის მომავალი.

გასული საუკუნის 50 – იან წლებში ბრაზილიაში, კომერციული მიზნებისათვის, გამოყვანილ იქნა აფრიკული ფუტკრის და ევროპაში გავრცელებული ფუტკრის სხვადასხვა სახეობათა ჰიბრიდი, თაფლოვანი ფუტკრის დიდი ზომის ახალი სახეობა. ეს ფუტკრები გამოირჩევიან იშვიათი შრომისმოყვარეობით, სწრაფად დაფრინავენ, მუშაობას ადრე იწყებენ და გვიან ამთავრებენ, იძლევიან ორჯერ მეტ თაფლს, ვიდრე ევროპული ფუტკრები. მაგრამ ამავე დროს ისინი ძალიან აგრესიულნი აღმოჩნდნენ. მათი შხამი განსაკუთრებით ტოკსიკურია. ბრაზილიაში მათი ნაკბენით დაიღუპა ათასობით ადამიანი და ცხოველი. ისინი თავს ესხმიან ნებისმიერ ცხოველს სკიდან 5 მეტრის რადიუსში, მისდევენ მსხვერპლს ნახევარ კილომეტრზე და ზოგჯერ უფრო შორსაც. ახალი ჯიში ბრაზილიიდან მოედო მთელ სამხრეთ ამერიკას და წინ მიიწევს ჩრდილოეთისკენ. მალე ისინი აშშ – ს საზღვრებს მიაღწევს. ამერიკის ხელისუფლებამ შემოიღო მკაცრი საკარანტინო ზომები ქვეყანაში მკვლელი – ფუტკრების შემოტანის ასაცილებლად. მკვლელი – ფუტკრების

აგრესიულობის ფაქტები გვიჩვენებს, თუ როგორი საშიშია ბუნებასთან თამაში.

1997 წლის 11 ნოემბერს იუნესკომ მიიღო "საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის გენომის და ადამიანის უფლებების შესახებ", რომელშიც ნათქვამია: "დაუშვებელია კლონირების პრაქტიკა ადამიანის რეპროდუცირების მიზნით", რადგან ეს "ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას". ხოლო გაეროს 2005 წლის 8 მარტის "დეკლარაცია ადამიანის კლონირების შესახებ" წევრ – სახემწიფოებს მოუწოდებს, რომ "აიკრძალოს ადამიანთა კლონირების ყველა ფორმა ისეთი ზომით, რომლითაც ისინი შეუთავსებელია ადამიანის ღირსებასთან და ადამიანის სიცოცხლის დაცვასთან". ამ დოკუმენტებს საფუძვლად უდევს ის ნორმები, რომლებიც ფორმულირებულია ჯერ კიდევ 1947 წელს ფაშისტი მედიკოსების დანაშაულებათა გამოძიების შედეგების საფუძველზე მიღებულ ნიურბერგის კოდექსში, აგრეთვე 1964 წელს მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ მიღებულ ჰელსინკის დეკლარაციაში.

ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებით ზნეობრივი ნორმები არ ძველდება. ახლაც აქტუალურია ჰიპოკრატეს ფიცი "არ ავნო", რომელიც ვრცელდება ადამიანის ჩანასახზეც. ბიბლიის ენაზე ეს ცნება ყველასთვის ცნობილია: "არა კაც ჰკლა". ეს ჩვენ ყველას გვჭირდება, რომ დავრჩეთ ადამიანებად.

ეთიკურია თუ არა მეცნიერმა იმუშაოს პრობლემებზე, რომლის შედეგები მას არ შეულია განჭვრიტოს? გვახსენდება ამის პასუხად ფ. ჟოლიო – კიურის სიტყვები: „მეცნიერებმა იციან, თუ რა სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას". მათ არ სურთ, რომ ოდესმე წარმოთქვან ასეთი სიტყვები: „მეცნიერებამ ჩვენ დაგვღუპა ატომის და წყალბადის ბომბებით". პროგრესულმა ადამიანებმა იციან, რომ მეცინერება არ შეიძლება დამნაშავე იყოს, დამნაშავენი არიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ცუდად იყენებენ მის მიღწევებს. მეცნიერი, პირველ რიგში სულიერი კულტურის გენერატორი უნდა იყოს

და არა გენიალური იარაღი ვიღაც პოლიტიკური ავანტიურისტის ხელში.

ჩვენს პლანეტაზე ქრება ტყეები, კვდება მდინარეები, ჰაერი ჭუჭყიანდება. 2000 წლიდან მსოფლიო ოკეანის მჟავიანობა 10 – ჯერ გაიზარდა. მსოფლიო ოკეანის ძირითადი გამაბინძურებელია ნავთობი. იგი ყოველწლიურად 10 მილიონ ტონამდე ხვდება ოკეანეებში. უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში მტკნარი წყლის რაოდენობა მსოფლიოში შემცირდა 60 პროცენტით. მხოლოდ 1 პროცენტზე ნაკლები მტკნარი წყლის გამოყენება შეუძლია ადამიანს დამატებითი გაწმენდის გარეშე. ყოველ მე – 8 ადამიანს არა აქვს საშუალება, ისარგებლოს უვნებელი სასმელი წყლით.

კაცობრიობა განსაცდელშია. იგი ეკოლოგიურ საკონცენტრაციო ბანაკშია მომწყვდეული. ესეც მეცნიერული მიღწევების არასწორი გამოყენების შედეგია. ხსნის იმედი თვით ადამიანშია. ძნელი წარმოსადგენია პლანეტა უადამიანოდ. მზეც კი უადამიანოდ უვარგის საგნად იქცევა. ადამიანი სამყაროს საოცრებაა. მან უნდა შეიგნოს საკუთარი სიცოცხლის ფასი. მსოფლიოს პროგრესული მეცნიერთა ემოციურ ტონალობას დღეს სწორედ ამგვარი მგზნებარება ახასიათებს. მხოლოდ მშვენიერებისადმი მაღალი მისწრაფებით შეუძლია მეცნიერებას ემსახუროს სიმართლეს. ზოგი მეცნიერი ბიოსფეროს გაჭუჭყიანების პრობლემას ტექნოლოგიის მიერ მოსახლეობისადმი მიმართულ ქიმიურ ომს ადარებს.

ქიმიამ უდიდესი როლი შეასრულა ცივილიზებული კაცობრიობის მიღწევებში და ახლაც ასრულებს წამყვან როლს თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში. მაგრამ არსებობს ქიმიასთან ჩვენი ურთიერთობის ჩრდილოვანი მხარეც. ქიმიას ადანაშაულებენ იმაში, რომ ჰაერი, წყალი და საკვები აღარაა სუფთა, ბუნება კარგავს პირველქმნილ სისპეტაკეს. სინამდვილეში კი ყოველივე ეს ქიმიის კი არა, მისი მიღწევების უგუნურად გამოყენების ბრალია.

პესტიციდებით სასურსათო პროდუქტების გაჭუჭყიანებას ყოველწლიურად მრავალი ასეული ათასი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. აშშ – ის მეცნიერებათა აკადემია კიბოს დაავადებით სიკვდილიანობის ზრდას პირდაპირ უკავშირებს პესტიციდების გამოყენებას. ამის ლიკვიდაცია შესაძლებელია არსებულ პესტიციდთა გამოყენების აკრძალვით. იმდენად მაღალია სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების შხამქიმიკატების ტოქსიკურობა, რომ საომარი მიზნითაც კი შეიძლება მათი გამოყენება. მაგალითად, სამხრეთ ვიეტნამში ქიმიური ომის პერიოდში (1961 – 1972 წწ.) აშშ – მა დიდი მასშტაბით გამოიყენა ზოგიერთი ჰერბიციდი (სარეველებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებანი), როგორც მასობრივი მოსპობის იარაღის – ეკოციდური და გენოციდური იარაღის – ახალი სახეობა, რომელმაც მილიონზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. ეს პესტიციდები იწვევს სხვადასხვა დაავადებას – ღვიძლის დაზიანებას, იმუნური და ცენტრალური ნერვული სისტემების მოშლას, ავთვისებიანი სიმსივნეების წარმოშობას, მშობიარობის ანომალიებს და ახალშობილთა სიმახინჯეებს. სწორედ ეს დაავადებანი იქნა ვიეტნამში გამოვლენილი ტყეებსა და მინდვრებში ამ ნივთიერებათა მოფრქვევის შემდეგ. ქიმიურმა ომმა ვიეტნამში გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ფლორასა და ფაუნასაც – დაიღუპა 40 პროცენტამდე მცენარეულობა. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე დღემდე არაფერი ხარობს. ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ 9 აპრილის აქციაში გამოყენებული ნივთიერებებიც პესტიციდების ოჯახს განეკუთვნება.

ერთი შეხედვით ისეთი უვნებელი სანიტარული საშუალება, როგორიცაა წყლის ქლორირება, ადამიანის ჯანმრთელობის რისკთან არის დაკავშირებული. ქლორირებულ წყალში აღმოჩნდა მუტაგენური ნივთიერებები, რომელთაც შეუძლია გამოიწვიოს კანცეროგენური ეფექტი, ე. ი. უჯრედის უკონტროლო გაყოფა და ავთვისებიანი სიმსივნეები.

ბუნებრივი წყალი ასეთ ნივთიერებებს არ შეიცავს, ისინი მხოლოდ ქლორირებისას წარმოიქმნებიან.

ერთ-ერთი შხამიანი ლითონია კადმიუმი. იგი, პირველ რიგში, ადამიანის ნერვულ სისტემას აზიანებს. კადმიუმის შემცველი საღებავებით დამზადებული თოჯინებით კი ჩვენთან დღემდე თამაშობენ ბავშვები.

მიღებულ უნდა იქნეს საერთაშორისო კანონი, რომელიც გამოყენებულ ქიმიურ საშუალებათა უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემს. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში არსებობდა კვების პროდუქტების ხარისხის მაკონტრელებელი სპეციალური დაწესებულებები. გახსოვთ, ალბათ, დონ – კიხოტის რჩევით სანჩო პანსამ ღვინის ხარისხის გაფუჭებისთვის სიკვდილით დასჯა რომ დააწესა.

დაუყონებლივ სჭირდება მკურნალობა შავ ზღვას, რომელიც პრაქტიკულად ჩაკეტილი წყალსაცავია. მისი 87 პროცენტი მკვდარ ზონად აქცია გოგირდწყალბადმა. შავ ზღვაში კანცეროგენურ ნავთობპროდუქტთა შემცველობა ოცდაათჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

ქალაქის ჰაერის გაბინძურების 70-80 პროცენტი ბენზინის წვის პროდუქტებზე მოდის. ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვში შედის 280 დასახელების მავნე ნივთიერება. ყოველწლიურად 225 ათასი ადამიანი იღუპება ევროპაში გამონაბოლქვ გაზებთან დაკავშირებულ დაავადებებისგან. მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს ე. წ. „ეთილირებული ბენზინი“ წარმოადგენს. იგი ანტიდეტონაციური დანამატის სახით შეიცავს ტეტრაეთილტყვიას, რომელიც ადვილად იწოვება კანიდან და წარმოადგენს ძლიერ მომწამლავ ნივთიერებას. ასეთი ბენზინის წვის პროდუქტები ორასამდე სხვადასხვა ნივთიერებასთან ერთად შეიცავს ტყვიის შემცველ ნაერთებსაც, რომლებიც იწვევს ავთვისებიან სიმსივნეებს, მიოკარდის ინფარქტს და სხვა საშიშ დაავადებებს. გამონაბოლქვ აირებში შემავალ

ტყვიას ადვილად ითვისებს მცენარეები, ამიტომ ავტოტრასებთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე მოყვანილი სასოფლო – სამეურნეო კულტურები ადამიანისთვის მავნეა.

როგორც ამერიკელებმა დაადგინეს, არათუ ატმოსფეროში მყოფი ტყვია, არამედ საკვები პროდუქტების შეფუთვის მიზნით ზოგიერთ ქაღალდსა და მუყაოში უმცირესი რაოდენობით შემავალი ტყვიაც კი გადადის საკვებში და დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

როგორც ძველ რომაელთა სამარხებში ნაპოვნი ტყვიის რაოდენობით ირკვევა, ძველი რომის მოსახლეობის მასობრივი განადგურების მიზეზი ტყვიის წყალსადენი მილების გამოყენება ყოფილა. მეცნიერებმა უკვე შექმნეს ტეტრაეთილტყვიის შემცვლელი არატოქსიკური ანტიდეტონატორები. ბევრ ქვეყანაში უკვე აღარ იხმარება ეთილირებული ბენზინი. რაც შეეხება სხვა მავნე გაზებს, ავტომანქანებს უნდა ჰქონდეს გამწმენდი ფილტრები. მოწინავე უცხოეთის ქყვეყნებში ასეთ ფილტრებს დიდი ხანია იყენებენ.

ზოგიერთ ქვეყანაში დამკვიდრდა „სიცოცხლის ხარისხის“ ცნება. ხარისხში გულისხმობენ ეკოლოგიური სისტემების – ჰაერის, წყლის, ნიადაგის, მცენარეულობის სისუფთავეს, რაც განაპირობებს, ადამიანთა ჯანმრთელობას, ფსიქიკურ მდგომარეობას და სიცოცხლის ხანგრძლივობას. იაპონიაში გარემოს დაცვის რადიკალური ღონისძიებების განხორციელების შემდეგ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 80 წელს მიაღწია და 40 წლის მანძილზე 25 წლით გაიზარდა. საბჭოთა კავშირს კი სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით მხოლოდ 32-ე ადგილი უკავია დღეს მსოფლიოში, ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ კი – 50-ე ადგილი და ჩამორჩება მავრიკიასა და ბარბადოსს.

საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ბუნებრივ რესურსთა ანტიჰუმანურ გამოყენებას. ბუნება უპასუხისმგებლო ექსპლოატაციისთვის ულმობლად იძიებს შურს. ჩვენი პლანეტის კლიმატის შეცვლა საწვავის დიდი

რაოდენობით დაწვით და ტროპიკული სარტყლის ტყეების (სწორედ ამ ტყეების წყალობით ხდება ჟანგბადის ძირითადი ნაწილის წრებრუნვა ატმოსფეროში) მასობრივი გაკაფვითაა გამოწვეული. დედამიწის სხვადასხვა რაიონებში ტყეების გაკაფვით წყალდიდობის საფრთხეც მატულობს. ყოველ-წლიურად დედამიწაზე ქრება ტროპიკული ტყეების 11 მილი-ონი ჰექტარი, რაც 10 – ჯერ აღემატება ტყის აღდგენის მას-შტაბებს. ბოლო 80 წლის განმავლობაში გაქრა დიდი ბრიტა-ნეთის ტყეების თითქმის ნახევარი. ამაზონის ტროპიკული ტყეების ნახევარი გაქრება 2030 წლისთვის. იაპონიაში, რომ-ლის ტერიტორიის ორი მესამედი ტყეებით არის დაფარული, აკრძალულია ტყეების გაჩეხვა და ტროპიკული ტყეებიდან შემოტანილ ხე-ტყეს იყენებენ.

დღეს ხე-ტყის, როგორც შეუცვლელი ქიმიური ნედლე-ულის, დეფიციტს განვიცდით. მხოლოდ ხისგან მზადდება ქაღალდი, კინო და ფოტოფირები, მაღალხარისხოვანი აბრე-შუმი და სხვა უნიკალური მასალები. დღესაც, სამწუხაროდ, ხე-ტყის 45 პროცენტი სათბობად იხარჯება. 40 პროცენტი სამშენებლო მასალების დასამზადებლად იხმარება და მხო-ლოდ 15 პროცენტს ამუშავებენ ქიმიურად. საუკუნის წიაღი-დან მოგვესმის მინდიას მისნური წუხილი: „ბალახსაც სთი-ბენ, ნადირს ჰკვლენ, შეშით ათბობენ კერასა“, იმ მინდიასი რომელიც ადამიანებს მოუწოდებდა: “ნუ მასჭრით ხესა, დავ-ჯერდეთ ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა“.

ეკოლოგიური მოძრაობის განვითარებას საერთაშორი-სო მასშტაბით ბიძგი მისა 1977 წელს თბილისში ჩატარებულ-მა სამთავრობათშორისო კონფერენციამ, რომელიც მიეძ-ღვნა გარემოს დაცვის სფეროში განათლების პრობლემებს, ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველო როგორც გა-რემოს დაცვის, ისე ეკოლოგიური განათლების საკითხში ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანაა.

დღემდე ჩვენი მეცნიერება ანგარიშობდა, თუ რამდენი გამოგონება მოუტანდა კონკრეტულ მოგებას მრეწველობისა და ტექნიკის ამა თუ იმ დარგს და არ ზრუნავდა იმაზე, თუ ეს გამოგონება, ტექნოლოგია თუ უზარმაზარი ნაგებობა როგორ იმოქმედებდა აზროვნებაზე, ფსიქიკაზე, თვით ადამიანის ყოფაზე და რა ზიანს მოუტანდა მას.

დღეს ბუნებისა და კულტურის ეკოლოგიასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზნეობის ეკოლოგია. უფრო მეტიც, ჩვენი მრავალი პრობლემა, მათ შორის ეკოლოგიურიც, ადამიანთა უზნეობის პირდაპირი შედეგია. სპეციალისტთა მორალურ პასუხისმგებლობას მათი პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა განსაზღვრავს.

იაპონიის ერთ-ერთ ფირმაში ასეთი აბრა ვნახე გაკრული: „სანამ პროდუქტს შევქმნიდეთ, ჩვენ ჯერ ადამიანებს ვქმნით“.

მოსალოდნელი კატასტროფის ასაცილებლად საჭიროა ადამიანთა ბედ-იღბლის გამგებლობა ყველა სფეროში პატიოსან, მაღალპროფესიონალ ადამიანებს მივანდოთ, რომელთაც გაუმართლებელი ოპტიმიზის ნაცვლად პესიმისტური შეშფოთების მძლავრი „გენი“ ექნებათ. ოპტიმისტები ეკოლოგიას ხელს არ ჰკიდებენ. პესიმისტები კი, სამწუხაროდ, იშვიათად ცდებიან და თუ ცდებიან, მით უკეთესი. საჭიროა გაიზარდოს მომთხოვნელობა თვით საზოგადოების მხრივაც. ქვეყნის ბიუროკრატიული აპარატი უნდა განთავისუფლდეს სტერეოტიპული აზროვნების მქონე ადამიანებისგან.

ადამიანი ბუნების ნაწილია და როგორც არ უნდა მოიხმაროს იგი საკუთარი მიზნებისთვის, მაინც იძულებულია თავისი ყოფა შეუგუოს მის კანონებს. არა ბუნების დაპყრობა, არამედ ბუნებისა და საზოგადოების ერთობლივი ჰარმონიული განვითარება – აი, ხსნის ერთადერთი გზა. სხვაგვარად კაცობრიობას გადარჩენა არ უწერია. დღეს უკვე ვიცით, რომ არსებობს აკრძალული ზღვარი, რომლის გადალახვა არც ერთ ვითარებაში არ შეიძლება. მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია ამ ზღვრის დადგენა და ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედე-

ბის ნორმების განსაზღვრა, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მთელი ძალ-ღონის გაერთიანება. საჭიროა შეიქმნას საერთაშორისო ლაბორატორია, რომელიც სხვადასხვა მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე შეიმუშავებს დედამიწის გადარჩენის პროგრამას. ეს კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერული წრეების და საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

აუცილებელია, რომ ცოდნა და ზნეობა მჭიდრო კავშირში ვითარდებოდეს. განათლების ჰუმანიზაცია მეცნიერების რომანტიკის ჩვენებით უნდა დავიწყოთ. სასკოლო განრიგში არის გეომეტრია და ბიოლოგია, ისტორია და ფიზკულტურა, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ზნეობის გაკვეთილები. ისე, ზნეობის სრულყოფა ფიზიკის ან ქიმიის გაკვეთილებზეც შეიძლება. ბევრი ვერც კი მოყვება, თუ რას ეძღვნება ჯორდანო ბრუნოს შრომები, მაგრამ მისი ზნეობრივი გმირობა საუკუნოდ შევიდა თითოეული ჩვენგანის შეგნებაში. ყველა თაობას ჰყავს ისეთი ადამიანები, თავიანთი რწმენისთვის მზად რომ არიან კოცონზე დასაწვავად და ისეთებიც, შეშას რომ უმატებენ კოცონს, იქნებ მისი ალით გავთბეთო. ეს შუბლზე არავის აწერია, ეს სულებშია ჩამალული მანამ, სანამ მწუხრის ჟამი არ დარეკავს. ასეთმა ჟამმა, საუბედუროდ, ბევრჯერ ჩამოჰკრა.

ანატოლ ფრანსის სიტყვებით რომ ვთქვათ, საყოველთაო მშვიდობა იზეიმებს არა იმიტომ, რომ ადამიანები უკეთესნი გახდებიან, არამედ იმიტომ, რომ მშვიდობის მოთხოვნილება ნაკარნახევი იქნება ახალი მდგომარეობით, ახალი მეცნიერებით, ახალი ეკონომიკური მოთხოვნილებით. მაგრამ აქვე დავძენთ, რომ საზოგადოებრივი განვითარების კანონების გამარჯვებამ ადამიანიც უკეთესი უნდა გახადოს.

RAMAZ GAKHOKIDZE – Academician of the Academy of Philosophical Sciences of Georgia. Director of the Institute of Bioorganic Technologies

and Chair of Bioorganic Chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor, member of the scientific societies of the USA and Europe, Academician of the orders of honour of Georgia and the United States, author of over 500 scientific works, textbooks, monographies and inventions in different fields of science. Ramaz Gakhokize was nominated among the great minds of XXI century by the International Biographical Centre (Cambridge, England).

SCIENCE AND MORALS

ABSTRACTS

The problem of ethics and morality is the concern of all mankind. Promotion of science along with the growth of moral values is necessary for human development. Many advancements within the past decades have added to the field of technological innovations. Techno ethics involves the ethical aspects of technology within a society that is shaped by technology. This brings up a series of social and ethical questions regarding new technological advancements and new boundary crossing opportunities.

There is a need to incorporate humanitarian values into the science and technology spheres. Science is an activity of the human intellect. It has firm axiological foundations and searches for truth and knowledge neutral. Scientific knowledge and new technologies can give rise to new ethical or social problems. Scientists are expected to be honest, ethical requirement on scientists is the proper treatment of living subjects, both humans and animals. Science education and moral education can be combined in various ways.

In this article the relationship between ethics and science has been discussed.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებამ.

ეთერ ორმოცაძე – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია – ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ – პროფესორი. მუშაობს მეცნიერების ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და წიგნები: „დეტერმინაცია ბუნებისმეცნიერებასა და ფილოსოფიაში“ (თბ., 2005), „სივრცისა და დროის ფილოსოფია“ (თბ., 2013), „ზოგადი უნარები. ფორმალურ – ლოგიკური დავალებები (თეორია და ამოხსნის მეთოდიკა)“, (ქუთ., 2013), ი. გომართელი – „ნება და ზნეობა“ (ქუთ., 2017).

ნეოპოზიტივისტური და ფიზიკური ნატურფილოსოფია სივრცისა და დროის თეორიების ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს რაიხენბახი (1891 – 1953) „მესამე პოზიტივიზმის" ანუ ნეოპოზიტივიზმის ერთ-ერთი ლიდერია (მორიც შლიკთან ერთად). იგი ითვლება XX საუკუნის მეცნიერების ფილოსოფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად, რომლის ფილოსოფიური ინტერესის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს სივრცისა და დროის პრობლემა წარმოადგენდა. ამ პრობლემას მან 1928 წელს მიუძღვნა სქელტანიანი ფუნდამენტური გამოკვლევა „სივრცე-დროის ფილოსოფიური მოძღვრების ფილოსოფია", რომელშიც მოცემულია აინშტაინის რელატიურობის თეორიის ფილოსოფიური ანალიზი და შემუშავებულია ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფცია სივრცისა და დროის შესახებ.

ადოლფ გრიუნბაუმი (დაიბადა 1923 წელს) პიტსბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების ფილოსოფიის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, სივრცისა და დროის ფილოსოფიური პრობლემის ცნობილი მკვლევარია. 1963 წელს მან გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „სივ-

რცისა და დროის ფილოსოფიური პრობლემები" (რუსულად ითარგმნა 1969 წელს), რომელიც დღემდე ყველაზე ღირებულად ითვლება ამ პრობლემის კვლევის ისტორიაში. ა. გრიუნბაუმი თავს რაიხენბახის ფილოსოფიისაგან დავალებულად თვლის, თუმცა ხშირად თავისი მასწავლებლის თვალსაზრისს კრიტიკულად აანალიზებს და საკუთარ კონცეფციას უპირისპირებს.

ქვემოთ შევეხებით სივრცისა და დროის ფილოსოფიის რამდენიმე საკითხს და ვაჩვენებთ რაიხენბახისა და გრიუნბაუმის თვალსაზრისების მსგავსება-განსხვავებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ორივე მოაზროვნის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს სივრცისა და დროის მონაკვეთების კონგრუენტობის (ტოლობის) პრობლემა წარმოადგენს. ეს პრობლემა კი მოიცავს როგორც სივრცის მონაკვეთების ინტერვალების გაზომვის, ასევე ერთდროულობის ცნობილ პრობლემასაც, რომელიც აინშტაინის რელატიურობის თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ მკვლევართა (განსაკუთრებით მეცნიერების ფილოსოფია) განუწყვეტელი დავის ობიექტს წარმოადგენს.

სივრცის პრობლემასთან დაკავშირებით ორივე მოაზროვნის ყურადღებას იპყრობს სიგრძის მონაკვეთების ტოლობა-უტოლობის საკითხი. როგორ უნდა დავადგინოთ სივრცეში ერთმანეთისაგან დაშორებული სიგრძის ორი მონაკვეთის ტოლობა? სიგრძის ორი მონაკვეთი, რომელიც ერთ სისტემაში ტოლია ერთ-ერთი მათგანის გადაადგილების შედეგად შესაძლებელია უთანაზომო აღმოჩნდეს. ამ ფაქტის ემპირიული დასაბუთება შეუძლებელია, ვინაიდან თუ მათ ერთმანეთთან მივიტანთ და მათ ტოლობას კვლავ დავადგენთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათი განცალკავების შემთხვევაში სხვადასხვა ბუნებრივი (თერმული, გრავიტაციული და ა. შ.) ძალების ზემოქმედების შედეგად უთანაზომო არ გახდეს. ყოველ შემთხვევაში ლოგიკურად ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვა შეუძლებელია.

ამის საფუძველზე რაიხენბახი თვლის, რომ სივრცეში დაშორებული სიგრძის მონაკვეთების კონგრუენტობის დასაბუთება ან უარყოფა ე. ი. შემეცნება შეუძლებელია. ერთ-ერთ გამოსავალს იგი იმაში ხედავს, რომ მათი ტოლობა კონ-ვენციურად დეფინიციის საშუალებით მივიღოთ. „მითითებული მასშტაბი იმავე სიდიდისაა თუ არა, როდესაც იგი სხვა ადგილზე გადაგვაქვს, – წერს იგი, – არის არა შემეცნებადი, არამედ იგი მხოლოდ დეფინიციის საშუალებით დგინდება" (1, გვ. 24). ეს იმას ნიშნავს, რომ სივრცეში დაშორებულ სიგ-რძის მონაკვეთებს ჩვენ ვუწოდებთ ტოლებს, თუმცა ამავე უფლებით შესაძლებელია, რომ მათ უთანაზომო ვუწოდოთ. არცერთ შემთხვევაში ლოგიკურ წინააღმდეგობას არ წავაწ-ყდებით. ორივე აღწერა ექვივალენტური მნიშვნელობის მქო-ნეა. ამგვარ აღწერებს რაიხენბახი ექვივალენტურ აღწერებს უწოდებს; რომელთაც ჭეშმარიტების შემეცნებასთან არავი-თარი კავშირი არა აქვს.

ა.გრიუნბაუმისათვის პრინციპულად მისაღებია რაი-ხენბახის კონვენციონალისტური თვალსაზრისი სიგრძის მო-ნაკვეთების ტოლობის შესახებ, თუმცა იგი თავის მხრივ, ამ თვალსაზრისს სიგრძის მონაკვეთების ტოლობის შესახებ, აზუსტებს. კონგრუენტობის პრობლემა მას ორი აზრით ეს-მის. ერთ შემთხვევაში ლაპარაკია სივრცეში გადაადგილე-ბული ერთმანეთისაგან დაშორებული სიგრძის მონაკვეთე-ბის, ტოლობა-უტოლობის შესახებ. დარჩება თუ არა ტოლი სიგრძის მონაკვეთები, მაშინ, როცა მათ სივრცეში ერთმანე-თისაგან დავაშორებთ? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფიზიკური ძალების ზემოქმედების შედეგად მათი ტოლობა დაირღვა? იგივე კითხვა დაისმის. დროის ინტერვალების ტოლობის შესახებ ორი სინქრონული საათიდან თუ ერთ-ერთს, ვთქვათ, ავსტრალიაში წავიღებთ, შეგვიძლია თუ არა კვლავ ვამტკიცოთ მათი სინქრონულობა მეორე შემთხვევა-ში საქმე ეხება მოცემული სიდიდის არა სხვასთან, არამედ

თავის თავთან ტოლობის საკითხს. რჩება თუ არა სიგრძის მონაკვეთი ან დროის ინტერვალი თავისი თავის ტოლი, თუ მას სხვა ადგილზე გადავიტანთ? კონგრუენტობის ამ ასპექტს ა. გრიუნბაუმი „თვით კონგრუენტობას“ უწოდებს და არსებითად კვლავ კონვენციალისტურად წყვეტს თვითნებური დეფინიციების დაშვებისა და შემეცნების შესაძლებლობის უარყოფის შედეგად.

სივრცისა და დროის კონგრუენტობის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ერთი მხრივ გეომეტრიის რელატიურობის, ხოლო მეორე მხრივ, ერთდროულობის პრობლემასთან. ორივე შემთხვევაში ა. გრიუნბაუმი ძირითადად ეთანხმება რაიხენბახს, თუმცა მაინც მოტივირებულად აანალიზებს მის კონცეფციას და ორიგინალურ მოსაზრებებს გამოთქვამს ორივე პრობლემის შესახებ.

ცნობილია, რომ გეომეტრიის რელატიურობის პრობლემა არაევკლიდური გეომეტრიული სისტემების წარმოშობის შემდეგ ჩამოყალიბდა; მანამდე ევკლიდური გეომეტრიის ერთადერთობის პირობებში, ასეთი პრობლემა არ შეიძლება დასმულიყო, ვინაიდან ევკლიდური გეომეტრია არა მარტო ერთადერთ შესაძლებელ, არამედ აბსოლუტურ გეომეტრიად ითვლებოდა. არაევკლიდური გეომეტრიული სისტემები, რომლებიც XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ჩამოყალიბდა, ისეთივე ჭეშმარიტების პრეტენზიით გამოდიოდა, როგორც მისი წინამორბედი ევკლიდური გეომეტრია. სწორედ ამიტომ მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი ერთ-ერთი მათგანის ჭეშმარიტების პრივილეგირებულობის შესახებ. ამ პრობლემას პირველად ა. პუანკარემ მიაქცია ყურადღება, რომელმაც მისი გადაწყვეტა კონვენციონალიზმის საფუძველზე სცადა. მაგრამ იგივე პრობლემა ყველაზე სრულყოფილად მაინც რაიხენბახმა განიხილა მის ზემოხსენებულ წიგნში „სივრცე – დროის მოძღვრების ფილოსოფია". რაიხენბახი თვლის, რომ ევკლიდური და არაევკლიდური გეომეტრიებიდან არც ერთს არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს; თითოეული მათგანი

ჭეშმარიტების თვალსაზრისით ექვივალენტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი მათგანი არ არის უფრო ჭეშმარიტი ან უფრო მცდარი, ვინაიდან არც ერთი მათგანი შემეცნებას არ წარმოადგენს, რის გამოც მათ ჭეშმარიტება – მცდარობის პრედიკატები არ მიეწერება. ზოგჯერ, გვეუბნება რაიხენბახი, ევკლიდური გეომეტრიის უპირატესობას მის ინტუიციურობაში ხედავენ. მართლაც, ევკლიდური გეომეტრიის აქსიომები უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე არაევკლიდური. მაგრამ საბოლოოდ რაიხენბახი ევკლიდური გეომეტრიის ამ უპირატესობასაც უარყოფს. იგი თვლის, რომ ჩვენ ევკლიდურ სივრცეში ვცხოვრობთ და მიჩვეული ვართ ევკლიდურ მიმართებებს. თუ ჩვენ არა ევკლიდურ სივრცეში ვიცხოვრებდით, მაშინ არაევკლიდური ტოლობის მიმართებანი ისევე თვალსაჩინო იქნებოდა, როგორც ევკლიდური. ამასთანავე, რაიხენბახს შესაძლებლად მიაჩნია, არაევკლიდური გეომეტრიის გათვალსაჩინოება. ასეთ შემთხვევაში კი ევკლიდური გეომეტრია მთლიანად დაკარგავს პრივილეგირებულ მნიშვნელობას.

მიუხედავად ამისა, რაიხენბახი ევკლიდური გეომეტრიის ერთადერთ უპირატესობას სიმარტივეში ხედავს. ევკლიდური სივრცე უფრო მარტივია და, მაშასადამე, ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომი. აქ აშკარაა რაიხენბახის კონვენციონალისტური თვალსაზრისი. სიმარტივე, სიმარჯვე, მოხერხებულობა კრიტერიუმებად ითვლება, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ევკლიდური გეომეტრია ავირჩიოთ. მაგრამ რაიხენბახი არც ამაში ხედავს გამოსავალს. არსებითად ყველა გეომეტრიული სისტემა ექვივალენტურია და ამაში მდგომარეობს გეომეტრიის რელატიურობის პრობლემის კონვენციონალისტური გადაწყვეტა, რომლის პოზიციებზეც რაიხენბახი დგას. დეფინიციის შეცვლა გეომეტრიული სისტემის შეცვლას იწვევს. ხოლო ეს დეფინიციები (ევკლიდური და არაევკლიდური) სრულიად ტოლფასოვანია.

ა. გრიუნბაუმი აკრიტიკებს ამ თვალსაზრისს და ამტკიცებს, რომ „არსებობს უსასრულოდ ბევრი სხვა კონგრუენტობის დეფინიციები, რომლებიც ასევე ზუსტად გვაძლევს ევკლიდურ გეომეტრიას, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ დეფინიციასთან შეუთავსებადია" (2, გვ. 119-120). ეს ნიშნავს, რომ ტოლობის დეფინიციის შეცვლას, როგორც რაიხენბახი ფიქრობს, ყოველთვის როდი სდევს თან გეომეტრიის შეცვლა. მისი აზრით, არსებობს ისეთი ტოლობის დეფინიციები, რომლებიც ევკლიდური გეომეტრიის და, საერთოდ, გეომეტრიის შეცვლას არ იწვევს. მიუხედავად ამ კრიტიკული შენიშვნებისა, ა. გრიუნბაუმისათვის მაინც მისაღებია გეომეტრიული სისტემების ექვივალენტურობის პრინციპი მათი შემეცნებადობის უარყოფის საფუძველზე.

მეორე პრობლემა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სივრცის მონაკვეთებისა და დროის ინტერვალების კონგრუენტობის პრობლემასთან, არის ერთდროულობის პრობლემა. იგი, როგორც ცნობილია, წარმოიშვა აინშტაინის რელატიურობის სპეციალური თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ. აინშტაინამდე ნიუტონის სივრცისა და დროის თეორიაში დაშვებული იყო სივრცეში დაშორებული ხდომილობების აბსოლუტური ერთდროულობა. ეს კონცეფცია კლასიკურ ფიზიკაში გაბატონებულ შორსმოქმედების პრინციპს ემყარებოდა, იგი შესაძლებლად თვლიდა მოქმედების მყისიერ გადაცემას ნებისმიერ მანძილზე. ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში იყო სინათლის სიჩქარე. აინშტაინის რელატიურობის თეორია კი ახლომოქმედების პრინციპიდან ამოდის, რომლის მიხედვით მოქმედების გადაცემა ხდება სივრცეში არსებული შუამავალი პუნქტების გავლის გზით და, მაშასადამე, სინათლის სიჩქარე, თუმცა უსწრაფესია, მაგრამ მაინც სასრულია და გავრცელებისათვის დროს საჭიროებს. ამას კი შედეგად მოსდევს სივრცეში დაშორებული ხდომილობების ერთდროულობის რელატიურობა. სივრცეში დაშორებული ორი ხდომილება ერთი მოძრავი სისტემის მიმართ

შესაძლებელია ერთდროული იყოს, მაგრამ არ იყოს ერთდროული სხვა სისტემებიდან გაზომვის შედეგად. ამიტომ შეუძლებელია ლაპარაკი სივრცეში დაშორებული ხდომილობების აბსოლუტური ერთდროულობის შესახებ. იგი სხვადასხვა მიმართებაში სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს და ამაში მდგომარეობს ერთდროულობის რელატიურობა. ამასთანავე, მიჩნეულია, რომ არცერთი დეფინიცია არ არის უპირატესი, პრივილეგირებული, ვინაიდან მათი მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ მოცემული სისტემის ფარგლებით განისაზღვრება და ამ სისტემების გარეშე აზრი არ აქვს.

აინშტაინის ამ ფიზიკური თეორიის საფუძველზე რაიხენბახი აყალიბებს ფილოსოფიურ კონცეფციას სივრცეში დაშორებული ხდომილობების ერთდროულობის შესახებ.

აინშტაინი, ისევე როგორც ფიზო, რომელმაც სინათლის სიჩქარე განსაზღვრა, იმ დებულებიდან ამოდის, რომ სინათლე ცარიელ სივრცეში ყველა მიმართულებით თანაბარი სიჩქარით ვრცელდება. ამაზეა დაფუძნებული აინშტაინის ერთდროულობის თეორია. რაიხენბახი ამტკიცებს, რომ ამგვარი გამოანგარიშება ლოგიკურ წრეს შეიცავს. წინასწარ დაშვებულია, რომ სინათლე თანაბარი სიჩქარით ვრცელდება და შემდეგ იკვლევენ იმას, თუ დროის რა მონაკვეთში გაიარა სხივმა ესა თუ ის მონაკვეთი. თუ იმთავითვე დავუშვებთ სინათლის სიჩქარის მუდმივობას, მაშინ აზრი აღარ ექნება შემდგომი გაზომვის წარმოებას, ვინაიდან დაშვებული უკვე გულისხმობს გაზომვის შედეგებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ აინშტაინი ამოდის სინათლის სიჩქარის პოსტულიზებიდან და მის საფუძველზე აგებს ერთდროულობის თეორიას.

რაიხენბახი კი სინათლის სიჩქარის პოსტულიზებით არ კმაყოფილდება და საკითხს ლოგიკურ პლანში განიხილავს; სინათლის სიჩქარის გასაზომად აუცილებელია რომ ორი სინქრონული საათი სივრცის სხვადასხვა ადგილზე მოვათავსოთ; ეს ნიშნავს, რომ სინათლის სიჩქარის გაზომვა წი-

ნასწარ გულისხმობს ერთდროულობის ცოდნას; მაგრამ, მეორე მხრივ, საათების სინქრონულობის დადგენის ანუ ერთდროულობის გაზომვისათვის აუცილებელია, რომ წინასწარ ვიცოდეთ სინათლის სიჩქარე.

ამგვარად, შეიქმნა ლოგიკური წრე: ერთმანეთისაგან დაშორებული მოვლენების ერთდროულობის დასადგენად ჩვენ გვესაჭიროება სინათლის სიჩქარის ცოდნა, ხოლო სიჩქარის გასაზომად გვესაჭიროება ერთმანეთისაგან დაშორებული მოვლენების ერთდროულობის ცოდნა" (ა. გ. 256).

როგორ უნდა დავძლიოთ ეს წინააღმდეგობა? რაიხენბახი ფიქრობს, რომ ამისათვის საჭიროა უარი ვთქვათ სივრცეში დაშორებული ხდომილობების ერთდროულობის შეთანხმებაზე და თვითნებური დეფინიციების დაშვებით შემოვიფარგლოთ. მისი აზრით, „შესაძლებელია სივრცეში დაშორებული ხდომილობების არა შემეცნება, არამედ დეფინიცია, რომელიც თვითნებურია (1; გვ. 364). დეფინიციის თვითნებობა, ცხადია, აბსოლუტური როდია, იგი განსაზღვრულია გარკვეული პირობებით, რომლის ფარგლებში შესაძლებელია დეფინიციის თავისუფალი არჩევანი.

ა. გრიუნბაუმი კი სივრცეში დაშორებული ხდომილებების საკმაოდ მარტივ განსაზღვრებას გვთავაზობს. „ორი ხდომილება" – წერს იგი, – ტიპოლოგიურად ერთდროულია თუ ფიზიკურად შეუძლებელია სხვა ხდომილებათა არსებობა, რომელიც დროში მათ შორის იქნება მოთავსებული“ (2, გვ. 257) ამ განსაზღვრებაში შესამჩნევია ტავტოლოგიურობა. თუ ორ ხდომილებას შორის მესამე ხდომილება არ არსებობს, მაშინ, ცხადია, ერთდროულია, მაგრამ პრობლემას სწორედ ამ მესამე ხდომილობის არსებობა წარმოადგენს. ერთდროულობა ხომ სხვას არაფერს არ ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ორ ხდომილებას შორის მესამე ხდომილება არ არსებობს. ამდენად, რაიხენბახის თვალსაზრისი ერთდროულო-

ბის შესახებ უფრო საფუძვლიანი და დამაფიქრებელია, ვიდრე ა. გრიუნბაუმისა.

ამასთან კავშირშია დროის მიმართულების პრობლემა. რაიხენბახს სპეციალური წიგნი აქვს დაწერილი დროის მიმართულების შესახებ, რომლის დამთავრება მან ვერ მოასწრო. იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა მისმა მეუღლე მარია რაიხენბახმა. რაიხენბახი თვლის, რომ დროის აბსოლუტური მიმართულება არ არსებობს. დროს აქვს მიმართულება აწმყოდან მომავლისაკენ და არა პირიქით. სწორედ ამიტომ დროის მიმართულება ენტროპიის ზრდის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ, თუმცა არც მას აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. დროის ერთმიმართულებიანობას არსებითად ალბათური ხასიათი აქვს.

ა. გრიუნბაუმი კი დროის მიმართულების პრობლემას იკვლევს ბუნებაში არსებული შებრუნებადი და შეუბრუნებადი პროცესების მიხედვით. დროის არაერთგვაროვნება, შეუბრუნებადი პროცესების არსებობას უკავშირდება. მისი აზრით, დროს სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა თვისობრიობა აქვს. მისი აზრით, შეუძლებელია დროის მიმართულების მიხედვით დროის ანიზოტროპულობის (არაერთგვაროვნობის) განსაზღვრა. „მტკიცება, წერს იგი, – რომ შეუბრუნებადი პროცესები ხდის დროს ანიზოტროპიულს, სრულიად არ არის ექვივალენტური იმისა, რომ დრო ერთი მიმართულებით მიედინება" (2, გვ. 260).

რაიხენბახისა და გრიუნბაუმის თვალსაზრისების განსხვავება კარგად ჩანს დროის წესრიგისა და მიზეზობრიობის ურთიერთობის საკითხში. რაიხენბახი დროის წესრიგს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მიხედვით განსაზღვრავს, რასაც არსებითი კავშირი აქვს მისი დროის კაუზალურ თეორიასთან. მიზეზი წინ უსწრებს შედეგს. ამიტომ თუ ცნობილია, რომ ერთი ხდომილობა არის მეორე ხდომილობის მიზეზი, მაშინ იოლია იმის თქმა, რომ პირველი უფრო ადრეა მეო-

რეზე. აქვე იგულისხმება, რომ შედეგში არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი რეალობა, რაც მიზეზშია. ამ კონსტატაციას რაიხენბახი უწოდებს მარკირების მეთოდს. გრიუნბაუმი კი ცდილობს დაასაბუთოს, რომ დროის წესრიგს არსებითი კავშირი არ აქვს მიზეზობრივი კავშირის შეუბრუნებადობასთან. რაიხენბახის მარკირების მეთოდი ლოგიკური წრის შემცველია. სახელდობრ, აქ იგულისხმება, რომ მიზეზობრივი წესრიგი წინასწარ გულისხმობს დროის წესრიგის არსებობას. სწორედ ამაში ხედავს ა. გრიუნბაუმი რაიხენბახის კაუზალური თეორიის ნაკლს. ა. გრიუნბაუმი, გვთავაზობს ერთ მეთოდს, რომლის მიხედვით, ორ ხდომილებას შორის სიმეტრიული მიზეზობრივი კავშირი არსებობს. და არ შეიცავს მათგან ერთ-ერთის მეორეზე მითითებას. მას სურს ისეთი მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასაბუთება, რომელშიც მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ერთმანეთისაგან იქნება განცალკევებული.

ამ გზით მას შესაძლებლად მიაჩნია დროის წესრიგის ასიმეტრიულობის გამორიცხვა. ერთი სიტყვით, ა. რაიხენბახი, მიზეზ-შედეგობრივ კავშირს დროის მსვლელობასთან აკავშირებს, ა. გრიუნბაუმი კი მათ ერთმანეთისაგან თიშავს.

რაიხენბახსა და გრიუნბაუმს შორის აზრთა სხვადასხვაობა აბსოლუტური სივრცის უარყოფის საკითხშიც მჟღავნდება. რაიხენბახი თვლის, რომ აინშტაინის რელატიურობის თეორიამ უარყო აბსოლუტური დროისა და სივრცის არსებობა. სივრცე და დროც რელატიურია და არა აბსოლუტური. ორივე მათგანი სხვადასხვა ათვლის სისტემაში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. მხოლოდ სივრცისა და დროის (სივრცე-დრო) უნივერსალური კავშირია აბსოლუტური. აინშტაინის რელატიურობის ზოგადმა თეორიამ, რომელიც ინერციული სისტემებით არ იფარგლება, კიდევ უფრო სრულყოფილად დაასაბუთა სივრცისა და დროის რელატიურობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ა. გრიუნბაუმი აბსოლუტური სივრცისა და დროის თეორიისადმი ასე თუ ისე სიმპათიურად არის განწყობილი. იგი სვამს კითხვას: უარყოფს თუ არა აინშტაინის რელატიურობის ზოგადი თეორია აბსოლუტურ სივრცეს? ამ კითხვაზე იგი უარყოფით პასუხს იძლევა. მისი აზრით, აბსოლუტური სივრცის არსებობა ზოგად თეორიაში მითს წარმოადგენს: იგი წერს: „შეუძლებელია ვთქვათ, რომ თითქოს რელატიურობის ზოგადმა თეორიამ გადაწყვიტა დავა სივრცის აბსოლუტურსა და რელატიურ კონცეფციებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ" (2, გვ. 519).

სივრცისა და დროის შესახებ ჰ. რაიხენბახისა და ა. გრიუნბაუმის შეხედულებათა მსგავსება – განსხვავება საინტერესოა ამ პრობლემის მკვლევართათვის და საკითხის შემდგომ დამუშავებას ემსახურება. მეცნიერების ფილოსოფიის პრობლემების ორი თანამედროვე დიდი მკვლევარი აანალიზებს რა სივრცისა და დროის ფუნდამენტურ ასპექტებს ფილოსოფიური თვალსაზრისით აღრმავებს იმ იდეებს, რაც აინშტაინმა, როგორც ფიზიკოსმა, ჩამოაყალიბა.

ლიტერატურა

1. Hans Reschendach, Philosophie der Raum – Zeit – Lehre, Berlin, Leipzig 1928.
2. Грюнбаум, Философские проблемы пространства и времени. М., 1963.

Eter Ormocadze – Doctor of Philosophy, Assistent. Professor of Kutaisi ac. Tsereteli State University, works on science and nature – philosophical problems; She has published scientific articles and books: "The Determination in natural sciences and philosophy" (Tb.2005); "The Philosophy of Space and Time" (Tb.2013); "General skills, The formal – logical assignments" (Qut., 2013); "I. Gomarteli – will and morality" (Qut., 2017).

THE NEO – POSITIVIST AND PHYSICAL NATUROPHILOSOPHY ON SOME ASPECTS OF THE RELATIONSHIP BETWEEN SPACE AND TIME THEORIES

In the work discusses the similarities differences of H. Reichenbach and A. Grunbaum's views, on issues related to space and time, such as the congruence of space and time, the problem of simultaneity; it is interest also to the authors' argument about the relationship between time, order, and causality, Which deepen the ideas that Einstein formulated as a physicist.

For example, Reichenbach thinks that there is no absolute direction of time, that is why the direction of time should be determined by the increase in entropy, however, either it has no absolute significance. The one – sidedness of time is essentially probabilistic. As for a. At Greenbaum, he explores the problem of the direction of time through the reversible and irreversible processes in nature. In his view, the assertion of time is not entirely equivalent to the fact that time flows in one direction.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებამ.

შოთა შოშიაშვილი – ფიზიკო-მათემატიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს 55 სამეცნიერო შრომა ელემენტალური ნაწილალების ფიზიკაში. რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხებზე გამოაქვეყნა 15 სამეცნიერო სტატია და წიგნები სახელწოდებით: „კოსმიური სამყაროსა და სულის უკვდავების შესახებ“(2003 წ), „სამყარო, მეცნიერება, რელიგია“ (თბ., 2008 და 2009), „კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან“ წიგნი I და წიგნი II (თბ., 2012) და წიგნი „რანი ვყოფილვართ! ... რანი ვიქნებით“ (თბ.,2015).

ადამიანი, ყოფიერება, კოსმოსი, ღმერთი

ვუძღვნი აკადემიკოს
ნოდარ კეკელიძის
ნათელ ხსოვნას

შესავალი

ადამიანის ძირითადი ნიშანი თავის ტვინის მოაზროვნე ნაწილია, რომლის ძირითადი ფუნქცია მისი საარსებო არეალის შემეცნებასა და შესაბამისი მიზანდასახული აზრის გამომუშავებაში მდგომარეობს.

ყოფიერება ნიშნავს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ რეალობას, რომელიც მატერიალისტურ-მეცნიერული მიდგომით, შემეცნებადი კოსმოსური სამყაროა, ხოლო ობიექტურ-იდეალისტური გაგებით – აბსოლუტური გონი. **კოსმოსურ სამყაროში** დამარხული ჭეშმარიტების შემეცნება ადამიანისათვის შესაძლებელია **აზროვნების** სამი ფორმით: ხატოვან-ემოციური, რომელიც ვლინდება ხელოვნებაში; სიმბოლური – მისტიკური – რელიგიაში და ცნებით – რაციონალური – მეცნიერებასა და ფილოსოფიაში.

მიჩნეულია, რომ ადამიანის მიერ ყოფიერებაში არსებული ჭეშმარიტების შემეცნება, გარდა აზროვნებისა, მიიღწევა ინტუიციითაც. ინტუიცია არის ადამიანის **განსაკუთრებული უნარი,** რითაც, ცდისა და ცნებით – რაციონალური აზროვნებისაგან დამოუკიდებლად, უშუალოდ წვდება ყოფიერებაში არსებულ იდუმალ ჭეშმარიტებას. მიჩნეულია, რომ არსებობს ინტუიციის ინტელექტუალური, ემოციონალური და მისტიკური ფორმა. ინტელექტუალური ინტუიცია დიდ როლს ასრულებს მეცნიერების განვითარებაში, ემოციური ინტუიცია – ხელოვნებასა და პოეზიაში, ხოლო მისტიკური ინტუიცია – ღმერთის შემეცნებაში.

ჩემი აზრით, ინტუიციისა და აზროვნების ზემოხსენებული სამივე ფორმა წარმოადგენს სამყაროს შემეცნების წყაროს და თითოეულის საშუალებით დაგროვილი ინფორმაცია ფლობს აბსოლუტური ჭეშმარიტების გარკვეულ ნაწილს. მე, კოსმოსური სამყაროს შესახებ, კაცობრიობის მიერ ზემოხსენებული სამივე სახის აზროვნებით მოპოვებულ ცოდნათა გადაკვეთის არე მე **ჭეშმარიტებად** და **თეოსოფიურ** ცოდნად მივიჩნიე [1;194].

მატერიალისტ-ევოლუციონისტების გაგებით, ყოფიერება ვლინდება ბუნებაში, ანუ გრძნობად კოსმოსურ სამყაროში. მეცნიერული ჰიპოთეზის მიხედვით, ბუნება **მარტივია** და აღიწერება მარტივი ფიზიკური კანონებით. საჭიროა მხოლოდ ამ კანონების მიგნება ბუნების შემეცნების მეშვეობით. ბუნების შემეცნებისათვის ადამიანს, როგორც დამკვირვებელს, გააჩნია სენსორული გრძნობის ორგანოები: თვალის (ხედვა), ყურის (სმენა), ენის (გემო), ცხვირისა (ყნოსვა) და კანის (სითბოს, სირბილის შეგრძნება) სახით.

არსებობს მეცნიერულის ალტერნატიული ჰიპოთეზა: სამყარო **რთულია** და მას ჰყავს მოაზროვნე შემოქმედი, რომლის შემეცნება შეიძლება სიმბოლურ-მისტიკური აზროვნებით.

მიმაჩნია, რომ ადამიანის მიერ ყოფიერების შემეცნებისათვის არსებობს სამი სახის ხედვა:

მეცნიერული, როცა ადამიანი თავის თავს აღიქვამს როგორც „მე“-ს, მოთავსებულს ხილული სამყაროს ცენტრში და შეიმეცნებს მის მიღმა ობიექტურად არსებულ სამყაროს გრძნობის სენსორული ორგანოების მეშვეობითა და ცნებითი – რაციონალური აზროვნებით;

მედიტაციური, როცა ადამიანი დამატებითი X – შესაძლებლობებით, ინტუიციურად, უშუალოდ (სენსორული ორგანოების გარეშე) უკავშირდება ყოფიერების **უჩინარ** ფორმას;

თეოსოფიური, როცა ადამიან – დამკვირვებული ფლობს მეცნიერულ, ფილოსოფიურ და მედიტაციურ ცოდნათა ერთიანობაზე დაფუძნებულ სიბრძნისეულ ცოდნას[2;355].

1. კოსმოსი მედიტაციური ხედვით

კოსმოსის ასახვა მითოლოგიაში. მიჩნეულია, რომ უძველესი ხალხები ფლობდნენ ყოფიერების უშუალო ჭვრეტისა და ნათელხილვის უნარს. ამ გზით მიღებული ცოდნა სამყაროსა და მისი მომავლის შესახებ ინახებოდა და გადმოიცემოდა თქმულებების მეშვეობით მითების ფორმით.

შუმერულ მითოლოგიაში სამყაროს შემქნელად მიჩნეულია **უფალი**, რომელიც არაფრისაგან, **სიტყვის ძალით,** ჰქმნის ნივთიერ სამყაროს. შუამდინარული კოსმოგონიისათვის შეუძლებელია არაფრისაგან რაიმეს შექმნა. შუმერული მითოლოგიის მიხედვით, სამყაროს მიღმა მუდმივად არსებობს უფორმო მასალა და წყვდიადი – საშო, სადაც იწრთობა და იბადება სამყარო [3; 96].

გარკვეული დროის გავლის შემდეგ, წყვდიადში და მდუმარებაში ჩაძირული სამყარო კვლავ უბრუნდება შესაქმის წინადროინდელ ვითარებას, რათა თავის წიაღში ხელახ-

ლა შვას ახალი სამყარო. ე.ი. ადგილი ექნება კოსმოგონიური აქტის ხელახლა განმეორებას [3;69].

ანუ, შუმერულ მითოლოგიაში ჩადებულია აზრი სამყაროს **ციკლურად დაბადების** შესახებ.

შუამდინარული მითოლოგიის მიხედვით, ადამიანი გაჩენილ იქნა იმ მიზნით, რომ მან აღმშენებლობითი მოღვაწეობით, მოწესრიგებული ყოფის შექმნით და შემოქმედებითი მუშაობით **გააგრძელოს** ღმერთების მიერ წამოწყებული საქმე [3; 150].

ცნობილი ფრანგი მწერლისა და ფილოსოფოსის ედუარდ შიურეს (1841-1929 წწ.) მიხედვით, ძველი **ეგვიპტელი** ხელდასხმული მასწავლებლები, მოწაფეებს ავარჯიშებდნენ ინტუიციისა და გონების სრულყოფის მიზნით. რომლის დროსაც, დიდი სულიერი დაძაბვის გზით, ადამიანს შეეძლო მიეღწია იმ მდგომარეობისათვის, როცა უშუალოდ შეაღწევდა ჩვეულებრივი ადამიანის აღქმისათვის მიუწვდომელ სამყაროში (ეზოთერიზმი). ამ მიზნის მისაღწევად ძველ ეგვიპტეში ქურუმებს შემუშავებული ჰქონდათ სპეციალური მეთოდი. ფიზიკურად და სულიერად სათანადოდ მომზადებულ განდობილს აწვენდნენ სარდაფში, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში მდგარ სარკოფაგში და მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აკითხავდნენ მას. სარკოფაგში, სიბნელესა და სიცივეში მარტო დარჩენილი ადამიანის სხეული თანდათან იყინებოდა. ის განიცდიდა კვდომის გამო გამოწვეულ ყოველგვარ ტანჯვა-წამებას, მაგრამ, შესაბამისად, მისი სხეულის სულიერი ნაწილი თანდათან თავისუფლდებოდა ფიზიკური ნაწილისაგან და შედიოდა **ექსტაზის** მდგომარეობაში [4; 117], როდესაც ადამიანი სულის თვალით შეიცნობდა უმაღლეს ჭეშმარიტებას. ჩემი აზრით, ეს წარმოადგენს ხელოვნურად გამოწვეულ კლინიკურ სიკვდილს, როცა ადამიანის **მე** ერწყმის უჩინარ სამყაროს, შეიცნობს მას და უკან დაბრუნებული, იწყებს ახალ ცხოვრებას. ანალოგიური პროცესი გაუვლია პითაგორას ეგვიპტეში მოგზაურობისას.

პითაგორას მიერ შემეცნებული სამყაროს სურათი.

ძველი საბერძნეთის გამოჩენილმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა **პითაგორამ** (580-500 ძვ.წ.) ცოდნის გასაღრმავებლად იმოგზაურა ბაბილონსა და ეგვიპტეში.ეგვიპტეში მოგზაურობისას პითაგორას გაუვლია ყველა ფაზა ეგვიპტელი ადაპტის ცხოვრებისა, თვით **ხელოვნურ სიკვდილამდე** და აღდგომამდე. იგი მთლიანად დაუფლებია ეგვიპტელი ქურუმების სიბრძნის მწვერვალებს [4; 233].

პითაგორა ფლობდა: სულიერი სამყაროს უშუალო აღქმის უნარს და იდუმალი სამყაროს გასაღებს. ამავე დროს, იგი იყო უმაღლესი რანგის მეცნიერი და ფილოსოფოსი [4; 304].

ჩემი აზრით, პითაგორა სამყაროს აღიქვამდა **თეოსოფიური** ხედვით.

პითაგორას მიხედვით, მთელი აღქმადი სამყარო, მასში არსებული მინერალური საგნები და ცოცხალი ორგანიზმები „გამომდინარეობენ მაღალი სულიერი **წესრიგისა** და წინამორბედი მატერიის ევოლუციისაგან“ [4;263].

პითაგორას სწორი წარმოდგენა ჰქონია მზის სისტემაზე. რომლის მიხედვით, დედამიწა სამყაროს ცენტრშია. მას გარს აკრავს 9 გამჭვირვალე **ცა** ერთი-მეორის მიყოლებით. პირველ 7 ცაზე დამაგრებულია შესაბამისად მზე, მთვარე და ხუთი ცთომილი (პლანეტა) მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი. შემდეგ მოდის ვარსკვლავების ცა და ბოლოს მეცხრე ცა, რომლის იქითაც „ღმერთების სამყოფელია“. ყველა ეს ცა, მასზე დამაგრებული მნათობებით, ბრუნავს დედამიწის გარშემო [4; 263].

პითაგორასათვის, რიცხვი **1** (ერთი) იყო შეუქმნადი **უმაღლესი მონადა,** როგორც ერთიანი და მთლიანი რაობა. იგი შეიცავს ყველაფერს და უსასრულობას. მისთვის **1** იყო სამყაროს პრინციპი.

პითაგორას მიხედვით კოსმოსი წარმოადგენს **1**-ის ჰარმონიულ გაშლას რიცხვების მიხედვით. მეორე მხრივ, საგნის არსი მისი ფორმით გამოიხატება. ფორმა კი, გეომეტრიული ფიგურაა, რომელიც სივრცეში გაშლილი არითმეტიკაა, ანუ რიცხვების ჰარმონიული ერთობლიობაა. რიცხვების ჰარმონიული ერთობლიობა კი მიიღება **1**-ის გაშლით გარკვეული არსის, ანუ კანონზომიერების მიხედვით [4;245].

შესაბამისად, პითაგორას მიხედვით:

1 ↔ რიცხვები ↔ გეომეტრიული ფიგურები ↔ საგნები↔ კოსმოსი.

ანუ:

1 ↔ კოსმოსი

მეორე მხრივ, პითაგორას თანახმად, რიცხვი **1** (ერთი) არის ღმერთის შესაბამისი, შეუქმნადი უმაღლესი მონადა და კოსმოსური ჰარმონიის შემქმნელი **ნამდვილი არსი.** იგი რეალურად წინ უსწრებს ემპირიულ ბუნებას და **ქმნის** მას [4;245]. **1**-ის არსი მარადიულობაში, სიკეთესა, მშვენიერებაში და შემოქმედობითობაში მდგომარეობს**,** ანუ კოსმოსის შემოქმედი უზენაესი ღვთაება – **ღმერთია.** შესაბამისად:

1**↔ ღმერთია.**

ე.ი. პითაგორას სწავლების მიხედვით, ერთის მხრივივ, რიცხვი 1 – **ღმერთია**, ხოლო მეორე მხრი რიცხვი 1 – მთელი **კოსმოსია.**

ღმერთი ↔ 1 ↔ კოსმოსი

რაც იმას ნიშნავს, რომ პითაგორისეული თეოსოფიური ხედვით დანახული კოსმოსი და ღმერთი იგივური არსებებია!

ღმერთი ↔ კოსმოსი

ასეთია უდიდესი მოაზროვნის პითაგორას მიერ 2500 წლის წინ **თეოსოფირი ხედვით** დანახული ყოფიერება.

როგორც გაირკვა, ქართული სიტყვები „ერთი“ და „ღმერთი“ პროტოქართული მოდგმის ქურუმების მიერ გარკვეული მიზნით შექმნილი სიტყვებია, რომლებშიც ჩაქსო-

ვილ იქნა იმდროინდელი პირველადი ღვთიური ცოდნა „ერთი ღმერთისა“და მისი იგივურობის შესახებ კოსმოსთან [2;237].

2. ინტუიციით შემეცნებული კოსმოსი

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანს ყოფიერების შემეცნება, აზროვნების გარდა, ინტუიციითაც შეუძლია.

ბუნების მოვლენებზე დაკვირვების, გასაოცარი ინტელექტუალური ინტუიციისა, იმდროინდელ მათემატიკურ ცოდნაზე დაფუძნებული, ფანტაზიისა და ლოგიკური აზროვნების წყალობით (და არა სპეციალურად ჩატარებულ ექსპერიმენტულ მასალებზე დაყრდნობით) ღებულობდა ინფორმაციას ელინისტური ბერძნული ცივილიზაცია ყოფიერების შესახებ.

უძველესი წარმოდგენებით, ითვლებოდა, რომ ბრტყელ დედამიწას ახურავს **ცა**. ცა წარმოადგენს მყარ თაღს, რომელიც ყველა მხრიდან ერთვის დედამიწის ზედაპირის კიდეებს. მეორე მხრივ, ცა ითვლებოდა ღმერთის სამყოფელ ადგილად. ამიტომაა, რომ ღმერთის აღმნიშვნელ სიმბოლოს – Ი წარმოადგენდა, რაც ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში ბგერა **ღ**-ს (ანუ **ღ**მერთს) შეესაბამება.

სფერული ფორმის დედამიწის შემთხვევაში კი, ცასაც უნდა ჰქონოდა სფერული ზედაპირის ფორმა, რომელიც წარმოადგენდა კოსმოსის საზღვარს.

ძველბერძენმა ფილოსოფოსმა **ანაქსიმანდრემ** (610-550 ძვ.წ.) პირველმა შემოიტანა ტერმინი **„კოსმოსი“**, როგორც სამყაროს ცნება.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის **ჰერაკლიტე ეფესელის** (520-360 ძვ.წ.)მიხედვით, მთელი სამყარო ბრძნულად აგებული კოსმოსია, რომელიც არავის შეუქმნია, არამედ ის იყო, არის და იქნება „მარად ცოცხალი **ცეცხლი**, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება“ [5].

ჰერაკლიტესათვის „ცეცხლი“, არა მარტო, კოსმოსის არსებობის მატერიალური საფუძველია, არამედ უფრო მეტიც, იგი ცეცხლს მიაწერს ღვთაებრივ „გონს“ („აზრს“), რომელიც კოსმოსს მართავს. ე.ი. მან შემოიტანა **გონიერი** ცეცხლის ცნება, რითაც იგი უახლოვდება დღევანდელი გაგებით **ენერგო-ინფორმაციული სუბსტანციის** ცნებას.

ჰერაკლიტემ შემოიტანა **„ლოგოსი“**-ს ცნება.მისი აზრით, **„ღმერთი** ეს იგივე ლოგოსი, ანუ **სამყაროს გონებაა“** [5;298].

კოსმოსი პლატონის მიხედვით. ბერძენი ფილოსოფოს – იდეალისტი პლატონის (427-347ძვ.წ.) მიხედვით, არსებობს ორი რაობა: მარადიული-დაუბადებელი არსი და მარადცვალებადი არსი.

მარად ცვალებადი არსი წარმოადგენს გონივრული შეგრძნების საგანს. რომელიც გამუდმებით იბადება და კვდება. აქ პლატონი გრძნობად – კოსმოსურ სამყაროსა და მასში შემავალ საგნებს გულისხმობს, რომლებიც იბადებიან, განიცდიან განუწყვეტლივ ცვალებადობას და ბოლოს, იშლებიან. მაგრამ, პლატონის აზრით, ის რაც იბადება, აუცილებლად უნდა იბადებოდეს ამათუიმ მიზეზის გამო, რადგანაც შეუძლებელია უმიზეზოდ დაიბადოს რაიმე“ [6;28d].

მისი აზრით ყოველ დაბადებულს უნდა ჰყავდეს უზენაესი **შემოქმედი**, ხოლო კოსმოსის პირველნიმუშად მარად „იგივეობრივი, აზრობრივი და გონების მეშვეობით საწვდომი **არსი**“მიაჩნია.

პლატონის მიხედვით შემოქმედმა კოსმოსი შექმნა იდეათა სამყაროს პირველნიმუშის ხატად. კოსმოსი წარმოადგენს ხელოვნების ქმნილებას. კოსმოსის **გონი** – დიდოსტატი შემოქმედი, ხელოვნების კანონების მიხედვით, წინასწარ აგებს კოსმოსს.

3. კოსმოსი წინამეცნიერული ხედვით

ძველი აღმოსავლეთის მოაზროვნეები, ეგვიპტელი ქურუმები, ძველი ბერძენი და ქართველი სიბრძნისმეტყველები ცნებით – რაციონალური აზროვნებითა და ინტელექტუალური ინტუიციით ერკვეოდნენ მეცნიერებაში, ხატოვან – სახიერი აზროვნებითა და ემოციონალური ინტუიციით – ხელოვნების საკითხებში, პოეზიასა და მწერლობაში, ხოლო სიმბოლური აზროვნებითა და მისტიკური ინტუიციით „უჩინარი"სამყაროს იდუმალ თვისებებსა და რელიგიის საკითხებში. ამიტომ იმდროინდელი სიბრძნისმეტყველები ერთდროულად იყვნენ მეცნიერებიც, ხელოვნებათმცოდნეებიცა და თეოლოგებიც. მეცნიერებას, რელიგიასა და ფილოსოფიას შორის წყვეტა მოხდა შემდგომში.

პტოლემეს კოსმოლოგია. ალექსანდრიელმა ასტრონომმა კლავდიუს პტოლემემ (87-165 წწ.) შექმნა მზის სისტემის **გეოცენტრული** მოდელი, რომლის მიხედვით სამყაროს ცენტრში მოთავსებული დედამიწის გარშემო მოძრაობს 7 ციური მნათობი შემდეგი რიგით: 1. მთვარე, 2. მერკური, 3. ვენერა, 4. მზე, 5. მარსი, 6. იუპიტერი, 7. სატურნი. არსებობს უძრავ ვარსკვლავთა გარე – მერვე სფერო. მნათობები მერვე სფეროსთან ერთად ბრუნავენ დედამიწის გარშემო. ცხადია, ეს არის სამყაროს ის ნაწილი, რომელსაც ადამიანი აკვირდება [7;9].

პტოლემეს სისტემა აღიარებული იყო ქრისტიანული ეკლესიის მიერ,რომელმაც მერვე სფეროს დაუმატა **მეცხრე** სფერო, **წმიდა ანგელოზთა** სასუფეველი**,** ანუ **ღმერთისეული** სამყარო.

რუსთაველის კოსმოლოგია. სახელწოდება „რუსთაველის კოსმოლოგია" შემოიღო გამოჩენილმა ქართველმა ასტრონომმა გიორგი თევზაძემ (1914-1988 წწ.) ნაშრომში „რუსთაველის კოსმოლოგია" [8].

რუსთაველის მიერ აგებული მზიურისისტემის მოდელს **გეო – ჰელიოცენტრულს** უწოდებენ. მას შიში მოცემულია 2 ცენტრი: პირველი – ვარსკვლავური ცის სფეროს ცენტრი დედამიწა და პირველი ცენტრის გარშემო მბრუნავი მეორე ცენტრი – მზე, რომელსაც წრიული ორბიტებით უვლიან პლანეტები. რუსთაველის მოდელში შვიდი მნათობის რიგი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: 1 მთვარე, 2. მზე, 3. მერკური, 4. ვენერა, 5. მარსი, 6. იუპიტერი, 7 სატურნი. რუსთაველის მიხედვით აგებული ეს მზიური სტრუქტურა შემოფარგლულია ვარსკვლავური უზარმაზარი ცის სფეროთი. მის ცენტრში მდებარეობს დედამიწა, რომლის გარშემო, მთვარის შემდეგ, საკუთარ ორბიტალურ მოძრაობას ასრულებს მზე, ხოლო თვით მზის გარშემო მოძრაობს 5 პლანეტა [8;106].

რუსთაველის მიხედვით, მზის სისტემის მიღმა არსებობდა მამაღმერთის **საუფლო**, სიტყვა **სოფელი**-ს სახელწოდებით.

კოპერნიკის კოსმოლოგია. პოლონელმა მეცნიერ – ასტრონომმა **ნიკოლას კოპერნიკმა** (1473-1543 წწ.) უარყო სამყაროს პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემა და წარმოადგინა ახალი **ჰელიოცენტრული სისტემა,** რომლის მიხედვით მზის სისტემის ცენტრში დედამიწა კი არ მდებარეობს, არამედ – მზე. კოპერნიკის მიხედვით, მზის გარშემო მოძრაობენ პლანეტები შემდეგი თანმიმდევრობით: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი. სატურნის მიღმა უშველებელ მანძილზე მოთავსებულია უძრავი ვარსკვლავების სფერო, რომლითაც თავდება ხილული სამყარო[9].

ნიკოლოზ კოპერნიკის ბიოგრაფიული ცნობების მიხედვით, მას დაუდგენია, რომ დედამიწა არა მარტო მზის ირგვლივ, არამედ საკუთარი ღერძის გარშემოც ბრუნავს, რასაც დედამიწა 24 საათს ანდომებს. თუმცა კათოლიკური ეკლესიის რისხვას მოერიდა და თავისი აღმოჩენის შესახებ გაკეთებული დასკვნები მხოლოდ ასტრონომების მცირე

ჯგუფს გაანდო. კოპერნიკის მეგობრებმა, მისი წიგნი, მის სიკვდილამდე, მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე, დაბეჭდეს და საჩუქრად მიართვეს.

4. კოსმოსი

კითხვა თუ რა არის კოსმოსი? ალბათ ერთხელ მაინც ყველას გაგვჩენია. ამ საკითხზე დებატები დაახლოებით 300 წლის წინ დაწყებულა წამყვან ფილოსოფოსებსა და ფიზიკოსებს შორის,

გერმანელი ფილოსოფოსი **გ.ლაიბნიცის** მიხედვით, კოსმოსი არის სამგანზომილებიანი უსაზღვრო არე, რომელშიც მდებარეობენ სხეულები და მიმდინარეობს მოვლენები. ხოლო დრო არის მოძრაობისა და ცვალებადობის მდგომარეობათა თანმიმდევრული წესრიგი.

ინგლისელი ფილოსოფოსის სამუელ კლარკის მტკიცებით, კოსმოსი არის **სუბსტანციათა** მთელი წყება, რომელიც ყველგანაა. მისი აზრით, კოსმოსი გიგანტური „კონტეინერია“, რომელიც შეიცავს სამყაროს ყველა საგანს: ვარსკვლავებს, პლანეტებს, ადამიანებს. გარდა ამისა, კლარკი ამტკიცებდა, რომ კოსმოსი ღვთაებრივია – **კოსმოსი ღმერთია**. კლარკის აზრით, თუ სამყარო (საგნები) განადგურდებოდა, კოსმოსი (როგორც „კონტეინერი“) მაინც დარჩებოდა. კოსმოსის გაქრობა კი ისევე შეუძლებელია, როგორც ღმერთისა.

ამრიგად, პითაგორას მიერ 2500 წლის წინ გამოთქმული აზრი თეოსოფიური ხედვით დანახალი კოსმოსის შესახებ, რომ **ღმერთი კოსმოსია,** 2100 წლის გასვლის შემდეგ, ინგლისელმა ფილოსოფოსმა სამუელ კლარკიმ, უკვე მეცნიერულ ხედვითა და ინტელექტუალური ინტუიციით დანახული კოსმოსის შესახებ, ბრძანა: **კოსმოსი ღმერთია**.

მეცნიერების მიხედვით, მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, კოსმოსად მიჩნეული იყო ჩვენი სამგანზომილებიანი სივრცე, ხოლო მეოთხე განზომილებად თვლიდნენ დროს, რომელიც მიიჩნეოდა დამოუკიდებლად სივრცის სამი განზომილებიდან. თუმცა 1905 წელს ფიზიკოს-თეორეტიკოსმა ალ. აინშტაინმა ფარდობითობის სპეციალურ თეორიაში დაამტკიცა, რომ სივრცე და დრო წარმოქმნიან ერთიან, 4-განზომილებიან სივრცე-დროით კონტინიუმს, ანუ ჩვენს ოთხგანზომილებიან **კოსმოსურ სამყაროს** [10;345].

აინშტაინის კოსმოლოგია. 1915 წელს ალ. აინშტაინმა, გრავიტაციული და ინერციული მასების ემპირიული ტოლობის იდეაზე დაყრდნობით, გამოიყვანა ფარდობითობის ზოგადი თეორიის (**ფზთ**) ძირითადი განტოლება, რომელიც გამოიყენა მთელი სამყაროს აღსაწერად [11;38].

აინშტაინის ფზთ-ს მიხედვით, ფიზიკური ენერგიის ერთერთი ფორმა – გრავიტაციული ენერგია განპირობებულია სივრცე – დროითი კონტინიუმის სიმრუდით. აინშტაინმა ჩათვალა, რომ კოსმოსურ სამყაროს გააჩნია სფეროს ფორმა, შემოსაზღვრული რადიუსით, რომელიც დროის მიხედვით მუდმივი და მარადიულია.

5. სამყაროს წარმოშობის „დიდი აფეთქების თეორია“

ჰოლანდიელმა ასტრონომმა **ვილემ დესიტერმა** ერთერთმა პირველმა აღიარა აინშტაინის **ფზთ**. მან 1917 წელს, აინშტაინის გრავიტაციული ველის განტოლებების საფუძველზე, წამოაყენა **გაფართოებადი სამყაროს** მოდელი. მის მიხედვით, ცარიელ სივრცეში, თუ სამყაროში უგულებელვყოფთ გრავიტაციულ ურთიერთქმედებას, მაშინ გალაქტიკები ერთმანეთს უნდა შორდებოდნენ ექპონენციალური კანონით. დესიტერის გაფართოებად სამყაროში ყოველი დამოუკიდებელი ობიექტი შორდება მეორეს ისეთი სიჩქარით,

რომელიც პროპორციულია ამ ორობიექტს შორის არსებული მანძილისა. ამ მოსაზრებამ ჰპოვა ექსპერიმენტული დადასტურება, რომელიც კოსმოლოგიაში დაფუძნდა **ჰაბლის კანონის** სახელწოდებით. ამერიკელმა ასტრონომმა ედუინ პაუელ ჰაბლიმ 1929 წელს ექსპრიმენტული დაკვირვებით დაადგინა, რომ გალაქტიკა რაცუფროშორსაა, მით მეტი სიჩქარით გვშორდება.

მთავარი, რაზეც ჰაბლის კანონი მიუთითებს, ისაა, რომ ჩვენი კოსმოსური სამყარო განუწყვეტლივ **ფართოვდება**!

და თუ, წარმოდგენაში, ასეთი გაფართოების გათვალისწინებით სამყაროს განვითარებას თვალს მივადევნებთ, აღმოჩნდება, რომ მივალთ ზემკვრივი და ცხელი პროტომატერიის წერტილამდე, რომელიც, აფეთქების მერე, ფართოვდება და ცივდება. ასე გაჩნდა სამყაროს წარმოშობის თეორია **„დიდი აფეთქების თეორიის**“ (**დათ)** სახელწოდებით. ეს თეორიული მოსაზრებები მოგვიანებით დადასტურებულ იქნა ექსპერიმენტულად ე.წ. „რელიქტური გამოსხივების“ აღმოჩენით.

დათ-ს მიხედვით კოსმოსური სამყარო დაიბადა 13,8 მილიარდი წლის წინ, გაფართოების შედეგად მიაღწია გარკვეულ ზომას და ამჟამადაც ფართოვდება. ის შთაბეჭდილება, რომ ჩვენი გალაქტიკა და დედამიწა სამყაროს ცენტრს წარმოადგენს, მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენ, როგორც დამკვირვებელი, ვიმყოფებით სამყაროს იმ წერტილში, რომლისაგანაც სხვა გალაქტიკები გვშორდებიან [7;33].

ამიტომაა, რომ ყოველმა ადამიან-დამკვირვებელმა თავისი თავი შეუძლია წარმოიდგინოს კოსმოსური სამყაროს ცენტრში მყოფად.

დათ-თ მეცნიერება ცდილობს დაასაბუთოს, რომ სამყარო წარმოიქმნა თავის თავად არაფრისაგან, გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

(რომის პაპმა „დიდი აფეთქების“ შედეგად სამყაროს

დაბადება ღმერთის შემოქმედების აქტად, ხოლო, სამყაროს შემქმნელი ღმერთი, სამყაროს მიღმა არსებულად მიიჩნია).

6. სამყაროს წარმოშობის M – თეორია

ელემენტარული ნაწილაკების თეორიაში მომუშავე ფიზიკოსებმა წამოაყენეს მოსაზრება, რომ სამყარო შედგება 11 განზომილებიანი სივრცე – დროითი კონტინიუმისაგან, რომელსაც მე **კოსმიური სამყარო** ვუწოდე. ჩვენი 4 – განზომილებიანი აღქმადი კოსმოსური სამყარო კოსმიური სამყაროს პროექციაა.

კოსმიურ სამყაროში, 11 განზომილებიდან, 1 დროა, 3 – ჩვეულებრივი სივრცული განზომილება, 6 – ჩახვეული უხილავი სივრცულ განზომილება და 1 – დამატებითი უსასრულოდ დიდი უხილავი სივრცული განზომილება. დადგინდა, 11 – განზომილებიან სამყაროში აბსოლუტურა დყველა სახის მატერია უკავშირდებოდა ერთ დიდ სტრუქტურას, რომელსაც **მემბრანა** უწოდეს**.** სამყაროში მიმდინარე ყველანაირი პროცესის ამოსახსნელად შეიქმნა ახალი თეორია, რომელსაც **მემბრანის თეორია,** ანუ **M – თეორია** ეწოდა [12].

ფიზიკოს – თეორეტიკოსების მიხედვით, 11 – განზომილებიან სივრცეში მემბრანებისდაჯახების შედეგად განუწყვეტლივ წარმოიქმნებიან და ქრებიან10 – განზომილებიანი სივრცე – დროითი ბუშტულაკები. ერთ-ერთ ასეთ ბუშტულაკს წარმოადგენდა, თავის საწყის სტადიაში დაბადებისას, ჩვენი კოსმოსური სამყარო, რომელიც შემდეგ, მასში არსებული განსაკუთრებული **საწყისი პირობების** გამო, განვითარდა დიდი აფეთქების თეორიის მიხედვით.

M თეორიის მიხედვით, 11 – განზომილებიანი კოსმიური სამყაროს დრო და სივრცე, რომელიც არსებობდა დიდ აფეთქებამდეც, ეხლაც არსებობს და მომავალშიც იარსებებს. ანუ, მოიხსნა სამყაროს არაფრისაგან წარმოშობის პრობლემა.M –

თეორიაპასუხს იძლევა ყველა კითხვაზე მინერალური სამყაროს შესახებ. თუმცა არ გააჩნია პასუხი კითხვაზე თუ როგორ გაჩნდა სიცოცხლე ჩვენ კოსმოსურ სამყაროში.

მულტისამყაროს შესახებ. იმისთვის, რომ M – თეორიას შესძლებოდა ყველაფრის ახსნა, მას უნდა დაეშვა პარალელური სამყაროების არსებობა კოსმიურ სამყაროში. M – თეორიის მიხედვით, ყოველი მემბრანა სხვა (ჩვენთვის უცხო) სამყაროა, რომლის შესახებ ჩვენ არაფერი არც ვიცით და არც გვეცოდინება, მათი უჩინარობის გამო. ჩვენი სამყარო მხოლოდ ერთ-ერთია სხვადასხვა მემბრანების დაჯახებით წარმოშობილი უსასრულო რაოდენობის სამყაროებს შორის.

ალ. გუტის მიხედვით, სხვა პარალელური სამყაროები ჩვენი სამყაროს პარალელურად არიან განლაგებულნი და შეიძლება ახლოსაც იყვნენ, მაგრამ ჩვენ მათი არსებობის შესახებ ვერ ვიგებთ. ისინი შეიძლება სრულიად განსხვავებულნი იყვნენ და მათში სრულიად სხვა კანონები მოქმედებდეს. ყველა მათგანში ვერ იქნება სიცოცხლე, თუმცა რაღაც ნაწილში ალბათ არის. და ეს წილი რიცხვობრივად როგორი პატარაც გინდა იყოს, როცა საქმე ეხება პარალელური სამყაროების უსასრულო რაოდენობას, ასევე უსასრულო იქნება ისეთი სამყაროები, სადაც ცივილიზაციები იარსებებს. ამ სამყაროებიდან ზოგი შეიძლება ძალიან ჰგავდეს ჩვენსას იმ განსხვავებით, რომ ჩვენ იქ არა ვართ [13].

ებენ ალექსანდერის მულტისამყარო. ამრიგად, მეცნიერების თვალსაზრისით, უნდა არსებობდნენ პარალელური სამყაროები, მაგრამ მათი ჩვენი სამყაროსთვის უჩინარობის გამო შეუძლებელია მათი არსებობის ექსპერიმენტულად დადასტურება.

თუმცა საქმეში ჩაერთო ყოფიერების შემეცნების **თეოსოფიური** ხედვა, როცა ადამიან-მეცნიერის გონი, კლინიკური სიკვდილის დროს, უშუალოდ უკავშირდება ყოფიერების **უჩინარ** ფორმებს. ცნობილი ამერიკელი ნეიროქირურგი,

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი **ებენ ალექსანდერი,** 2008 წელს, 7 დღე – ღამის განმავლობაში იმყოფებოდა კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში. კომიდან გამოსვლიდან, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მან დაწერა წიგნი სახელწოდებით **„სამოთხის დამტკიცება“**[14].

ებ. ალექსანდერი მიიჩნევს, რომ იგი აღმოჩნდა ჩვენ 4 – განზომილებიანი კოსმოსური სამყაროს მიღმა არსებულ, გაცილებით დიდ, უსაზღვრო (11 – განზომილებიან), კოსმიურ სამყაროში და ნახა მასში არსებული სხვა – **უცხო სამყაროები.** მისი აზრით, ეს სამყაროები წარმოადგენენ იმავე საყოველთაო **ღმერთისეული არსების** ნაწილს, რომლის ნაწილსაც ჩვენი კოსმოსური სამყარო წარმოადგენს [14;25].

ჩემი აზრით, ებ. ალექსანდერის მიერ ნანახი „უსაზღვრო სივრცე“, მასში არსებული სხვადასხვა სამყაროებით, შეიძლება მივიჩნიოთ უსასრულო და მარადიულ კოსმიურ სივრცეში არსებული უჩინარი მულტისამყაროს **ექსპერიმენტულ დადასტურებად.**

დიდი აფეთქების კოსმოლოგიური M – თეორია წარმოადგენს იმის ცდას, რომ სამყაროს წარმოშობა აიხსნას ფიზიკური კანონებით, არაფიზიკური ძალების ჩარევის გარეშე. მეცნიერები ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ არაბუნებრივი ძალების არსებობისა და განსაკუთრებით უმაღლესი შემოქმედის არსებობისა (მაგრამ მან თვითონ მიგვიყვანა უჩინარი თვითშემოქმედებითი სამყაროს არსებობამდე).

M – თეორია ხსნის ყველაფერს მინერალური სამყაროს თვალსაზისით, მაგრამ ის ვერ იძლევა პასუხს სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. ისმის კითხვა: ხომ არ არის თვით M – თეორია ბუნებრივი შედეგი რომელიღაც შედარებით **ზოგადი პრინციპისა.** ფიზიკოსები იმედოვნებენ, რომ ასეთი პრინციპი არსებობს და მოიძებნება კიდეც [12;242].

ჩემი აზრით, ეს **პრინციპი** მოიძებნა და მდგომარეობს შემდეგში:

11 – განზომილებიანი უსასრულო კოსმიური სამყარო, თეოსოფიური თვალსაზრისით, წარმოადგენს უსასრულო, მარადიულ, მთელ, თვითკმარ, შემოქმედების უნარის მქონე უგონიერეს, თვითგანვითარებად ცოცხალ სულიერ არსებას და **ევოლუციურად მიისწრაფვის აბსოლუტური სრულყოფისაკენ** [1;112].

ამ შემთხვევაში, კითხვის დასმა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა კოსმიური სამყარო უსასრულო წარსულში და როგორი იქნება იგი უსასრულო მომავალში, მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

7. ციკლურად ევოლუციურებადი კოსმიური სამყარო

როგორც აღვნიშნეთ ჩვენი აღქმადი 4 – განზომილებიანი კოსმოსური სამყარო სასრულოა დროში და სივრცეში. ამიტომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მასშიარსებულიცივილიზაციაგანადგურებადია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ადამიანის არსებობა აზრს მოკლებულია,** რაც არალოგიკურია და ძნელი დასაჯერებელი. რადგანაც გამოდის, რომ თითქოს ლოგიკურად და ჰარმონიულად მოწყობილ სამყაროში ადამიანის ცხოვრება **მოწყობილია ალოგიკურად** [15;81].

ჩემი აზრით, ამ აბსურდული სიტუაციიდან თავის დაღწევისათვის აუცილებელია დავუშვათ:

1. კოსმოსურ სამყაროში ცივილიზაციის განადგურების შემდეგ არსებული ცივილიზაციის განვითარების შესაბამისი დონის სტრუქტურების შესატყვისი ინფორმაცია ინახებოდეს კოსმიური გონის სახით, მატერიის გარკვეულ, უჩინარი ფორმის, სტრუქტურებში.

2. აუცილებელია, რომ ახალი ცივილიზაციის წარმოსაშობად, ადრინდელი სამყაროს ცივილიზაციის შესატყვისი ინფორმაციის საფუძველზე, **ხელახლა** წარმოიქმნას უნიკალურად, ჰარმონიულად და ლოგიკურად მოწყობილი **ახალი კოსმოსური სამყარო**.

როგორც ირკვევა, სავსებით შესაძლებლია, რომ ჩვენი სამყაროს ლეპტონურ უდაბნოდ გადაქცევის შემდეგ, 11 განზომილებიან უსასრულო და მარადიულ სამყაროში, ხელახლა წარმოიქმნას ჩვენი სამყაროს მსგავსი ახალი სამყარო და მან განვითარების ისეთი გზა გაიაროს, რომელიც მსგავსი იქნება თავის დროზე ჩვენი სამყაროს მიერ გავლილი გზისა. ლოგიკურია, აგრეთვე ვიფიქროთ, რომ ჩვენი სამყაროს წარმოქმნამდეც არსებობდა, მისი მსგავსი, მისი **წინამორბედი კოსმოსური** სამყარო, რომელიც განვითარების გარკვეული ფაზის გავლის შემდეგ, დაიშალა და უსასრულო გაფართოების შედეგად გარდაიქმნა უსასრულო ცარიელ უჩინარ სუბსტანციად. რომელშიც, კოსმიური გონის სახით ინახებოდა ყოფილ კოსმოსურ სამყაროში არსებული სტრუქტურების შესაბამისი ინფორმაცია. ამ ინფორმაციის საფუძველზე წარმოიქმნა მისი შემდგომი — ჩვენი კოსმოსური სამყარო.

ამრიგად, ფაქტობრივად მივიღეთ ჩვენი სამყაროს მსგავსი სამყაროების წარმოქმნის ახალი, ევოლუციურად განვითარებადი ციკლური ვარიანტი — **ციკლურად ევოლუციურებადი კოსმიური სამყარო** [15;83].

ასეთი გაგებით, 11 – განზომილებიანი კოსმიური სამყარო, თავისი ე.წ. „სიცარიელით", უსასრულოა როგორც დროსა და სივრცეში, ისე თვისებრივი მრავალფეროვნებით. ამიტომ ასეთი სამყარო შესაძლებელია თვითკმარიც იყოს და განუწყვეტელ ევოლუციურ განვითარებასაც განიცდიდეს. ასეთი დაშვება მოითხოვს, რომ სამყაროში არსებობდეს მუდმივად **ევოლუციურებადი კოსმიური გონი** [15;84].

8. სუბსტანცია

მიჩნეულია, რომ **სუბსტანცია** არის სხვაზე დამოუკიდებლად, თავისთავად არსებული ობიექტური რეალობა, პირველსაწყისი მატერია, ყველა საგნისა და მოვლენის არსი.

არსებობს სუბსტანციის ორგვარი გაგება: მატერიალისტური და იდეალისტური. მატერიალიზმი სუბსტანციად მიიჩნევს **მატერიას**, ხოლო იდეალიზმი – **იდეალურ არსს,**როგორც მთელი სინამდვილის არსების საფუძველს.

იდეალიზმის მიხედვით, სუბსტანცია საფუძვლად უდევს ყოველგვარ წარმოშობასა და მოსპობას, მაგრამ თვითონ არც წარმოიშობა და არც ისპობა.

იმისთვის, რომ სუბსტანცია შემოქმედებითობით ხასიათდებოდეს და შეეძლოს რეალური დაკვირვებადი სამყაროსა და საგნების წარმოქმნა, ის ერთდროულად პოტენციურად უნდა ფლობდეს ენერგიას, როგორც ნივთიერი სხეულებისმასალას და ინფორმაციას, როგორც გეგმას, ხილვადი სამყაროს შესაქმნელად.

ასეთ წარმოდგენაში, სუბსტანცია, უსასრულოა სივრცეში და მარადიულია დროში, რის გამოც სავსებით შესაძლებელია, რომ თვითკმარი იყოს. ის თავისივე თავის განვითარების მიზნით, თავისივე თავში, დროდადრო წარმოქმნის ჩვენი კოსმოსური სამყაროს მსგავს სამყაროებს, რომელშიც, გარკვეულ პირობებში, შეიძლება გაჩნდეს დამკვირვებელი ადამიანის სახით.

იოანეს სახარების მიხედვით „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“. რაც გამოხატავს „სიტყვისა“ და „ღმერთის“ პირველადობასა და იგივურობას. თუ „სიტყვის“ ქვეშ აზრს – ინფორმაციას ვიგულისხმებთ, მაშინ პირველადი ყოფილა კოსმიური ინფომაცია – „კოსმიური გონი“. ამ სახით წარმოდგენილი სუბსტანცია ზედროულია ჩვენი დაკვირვებადი სამყაროს დროის მიმართ, რომელშიც ყველაფერი წარმოიქმნება, ვითარდება და იშლება.

ისმის კითხვა: რა მიმართებშია სუბსტანციური არსება **ღმერთთან**?

ფილოსოფოსთა ერთი ჯგუფი (დეკარტი, სპინოზა,

ჰეგელი და სხვა) თვლის, რომ **სუბსტანცია** და **ღმერთი** ერთი და იგივეა. ანუ:

სუბსტანცია არის ღმერთი და ღმერთი არის სუბსტანცია.

ს. ავალიანის მიხედვით, სუბსტანცია არის **არსის** უნივერსალური საფუძველთა საფუძველი.არსი კი პირველადი, აბსტრაქტული ცნებაა, რომლიც ფართო გაგებით, ნიშნავს მთელ არსებულ სინამდვილეს (ყოფიერებას). არსი არის უპირობო, ანუ აბსოლუტური, უსასრულო, მარადიული რაობა, რომელიც დაჯილდოებულია თვითაქტიურობითა დაშემოქმედებითობით. შეუძლებელია **სუბსტანცური არსება** გავიგოთ, როგორც უსიცოცხლო, უძრავი, გაყინული რაობა თავისუფლების, გონებისა და ნებელობის გარეშე. იგი ქმნის უმშვენიერეს და უნიკალურ სამყაროს, თვით ადამიანის ჩათვლით, რომელიც გარდა ყველაფრისა, სულიერებითაც ხასიათდება. ამიტომ შეუძლებელია, რომ სუბსტანციური არსი არ ხასიათდებოდეს გონიერებით, ნებელობით, თავისუფლებით, უმაღლესი კეთილობითა და სულირებით. მაგრამ, რელიგიის ფილოსოფიის მიხედვით, **ღმერთიც** ზუსტად ასეთი თვისებებით ხასიათდება. ამიტომ ლოგიკურად **სუბსტანცია არის ღმერთი** და **ღმერთი არის სუბსტანცია** [16;310].

როგორც აღვნიშნეთ ს.კლარკის მტკიცებით, კოსმოსი არის **სუბსტანციათა** მთელი წყება, რომელიც ყველგანაა.

ჩემი აზრით სუბსტანცია არსებობს **სამი** სახით:

ა. ფიზიკური ენერგია, რომელიც წარმოადგენს მატერიალური საგნების საფუძველს და რეალურ სამყაროში გამოვლინდება ელემეტალური ნაწილაკებისა და ურთიერთქმედების გადამტანი ველების სახით[17].

ველის კვანტური თეორიისა და ფარდობითობის თეორიის გაერთიანებით შეიქმნა ელექტრომაგნიტური ველის კვანტუტი თეორია, რომლის მიხედვით, ელექტრომაგნიტური ველი შეიძლება დაიკვანტოს ფოტონების სახით. ამჟამად,

ყოველი ტიპის ნაწილაკისათვის შემოღებულია შესაბამისი ტიპის კვანტურიველი, რომელიც განჭოლავს მთელ სივრცეს, ხოლო, ნაწილაკები წარმოადგენენ ამ გარემოს „შემკვრივების“, ენერგეტიკულ კვანტებს, რომლებიც წარმოიქმნებიან და „დნებიან“.

ასეთ წარმოდგენაში სიტყვა „სიცარიელე“ (ვაკუუმი) არ ნიშნავს „არაფერს“. ის განჭოლვილია სხვადასხვა სახის ფიზიკური ველებით.ეს ველები ქმნიან ენერგეტიკულ კვანძებს, სხვადასხვანაირი ნაწილაკების სახით.

გარდა ამისა ვაკუუმი, ვირტუალური ფორმით, შეიცავს ნებისმიერი სახის ნაწილაკ – ანტინაწილაკებს, მათ საფუძველზე, გარკვეულ პირობებში, წარმოიქმნებიან რეალური ნაწილაკ – ანტინაწილაკები, ანუ ჩვენი ნივთიერი სამყაროს სამშენებლო აგურაკები. აღმოჩნდა, რომვაკუუმში არსებული ვირტუალური ნაწილაკ – ანტინაწილაკების საფუძველზე შეიძლება წარმოიქმნან **ვირტუალური სოლიტონები.**ისინი, თავის მხრივ, ქმნიან უსასრულო ვირტუალურ **„ვაკუუმურ ტვინს“,** რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ კოსმიური გონის მატერიალურ საფუძვლად[18;242].

ბ.სასიცოცხლო ენერგია – **ენტელეხია**, რომელიც ჩვენ დროში მჟღავნდება **ცოცხალი მატერიის** არსებობის ფორმებში – მცენარეებში, ცხოველებსა და ადამიანებში. გამრავლებისა და თვითშენახვის უნარის სახით[19;196].

გ. **სულიერი** ენერგია, რომელიც ვლინდება ადამიანში გონიერი სულის არსებობის სახით. თვითშენახვა, როგორც ბიოლოგიურ არსებას, ადამიანსაც ახასიათებს. მაგრამ ადამიანს შეუძლია საკუთარი სიცოცხლის გაწირვა სხვისთვის – უფრო მაღალი იდეალებისათვის, რაც ნიშნავს თვითშენახვის მოთხოვნაზე ამაღლებას. ეს განპირობებულია ადამიანში არსებული **გონიერი სულით.** ამით განსხვადება ადამიანი სხვა ცოცხალი არსებებისაგან [19;198].

ცხოველთა სამყაროში სასიცოცხლო ენერგია – ენე-

ტელხია ბატონობს. ადამიანის არსება კი ცხოველებისაგან გამოირჩევა გონიერი სულით, რომელიც ფლობს თავისუფლებასაც, ნებელობასაც და ცნობიერებასაც. გონიერი სული ცნობიერებაზე მეტია. მხოლოდ ეს ხდის მას ადამიანად[19;198].

მინერალური სამყაროს საფუძვლად უდევს ფიზიკური ენერგია, მცენარეულს და ცხოველურს – ფიზიკური და სასიცოცხლო ენერგია, ხოლო ადამიანი – ფიზიკური, სასიცოცხლო და სულიერი ენერგიების (სუბსტანციების) ერთობის ნაყოფს წარმოადგენს.

სუბსტანციურ არსებაში, როგორც სამყაროსა და ადამიანის შემქმნელ უზენაეს არებაში–**ღმერთში** უნდა ვიგულისხმოთ ზემოხსენებული სამივე სახის სუბსტანციათა ერთობა.

ბოლოდროინდელი მეცნიერული მიღწევების (M – თეორია; კოსმიური გონის არსებობის დასაბუთება და სხვა) გათვალისწინებით 11 – განზომილებიანი უსასრულო და მარადიული კოსმიური სამყაროს **ვაკუუმი**ხასიათდება **თეოლოგიური ღმერთის** ყველა თვისებით, იმგანსხვავებით, რომ იგი **უცვლელი** კი არ არის, არამედ მუდმივად მიისწრაფვის **აბსოლუტური სრულყოფისაკენ**[1;218].

ჩემი აზრით,**ღმერთის** სახითშეიძლება ვიგულისხმოთ11 – განზომილებიანი კოსმიურ სამყაროს სივრცე – დროითი კონტინიუმი – ვაკუუმი, მასში არსებული ფიზიკური ველებით, სასიცოცხლო ენერგიით, „ვაკუუმური ტვინი“ – თა და ენერგო – ინფორმაციულიველით, ანუ **კოსმიური გონით**[2;339].

სუბსტანციის ასეთი წარმოდგენა შეიძლება მივიჩნიოთ თეოსოფიური ხედვით მიჩნეულ კონცეფციად, რადგანაც იგი ერთმანეთს უთავსებს სუბსტანციის მატერიალისტურ და იდეალისტურ კონცეფციას.

დასკვნა:ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უზენაესი არსება – ღმერთი წარმოადგენს უსასრულო, მარადიულ, შემოქმედების უნარის მქონე, უგონიერეს და უსრულყოფილეს, მაგრამ არა აბსოლუტურად სრულყოფილ არსებას. მის უმთავრეს თვისებას წარმოადგენს დაუოკებელი სწრაფვა **აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ.** ეს ნიშნავს, რომ ღმერთი განიცდის უსასრულო **ევოლუციურ განვითარებას.**

9. ყოფიერება, კოსმოსი, ღმერთი და ადამიანის ფუნქცია – დანიშნულება ჰეგელისეული თეზისის, ანტითეზისისა და სინთეზის თვალსაზრისით.

შესავალი

კაცობრიობამ უხსოვარი დროიდან მოყოლებული ზემოთ ნახენსები, **მეცნიერული, მედიტაციური** და **თეოსოფიური** ხედვით შემეცნებული სამყაროს ამსახველი ძირითადი ცნებების შესახებ დააგროვა უზარმაზარი ინფორმაცია. იგი გადმოცემულია სამეცნიერო და რელიგიურ ჟურნალებში, წიგნებში და ინტერნეტში სხვადასხვა ფორმის ინფორმაციის სახით.

ჰეგელის მიხედვით, ფილოსოფია ცნებათა განვითარების საფუძველზე აგვიწერს ყოფიერებას და მისი შემეცნების პროცესს. ამ განვითარების ამოსავალია უმარტივესი, თავდაპირველი ცნება, რომელიც მიჩნეულია **თეზისად.** თეზისი საგნის თვისების მიახლოებითი და არა ჭეშმარიტი მახასიათებელია. აზრი, საგნის შემეცნების პროცესში. პირველი უმარტივესი ცნებიდან აუცილებლობით გადადის საპირისპირო ცნებაზე – **ანტითეზისზე**, ანტითეზისი საგნის თვისების მეორე დონის, მაგრამ არა ჭეშმარიტი მახასიათებელია. ყოფიერების შემეცნების პროცესში პირველი საფეხურისა და მეორე საფეხურის ცნებების **დიალექტიკური სინთეზის** შედეგად მიიღება მესამე საფეხურის ცნება – **სინთეზი**, რომელიც საგნის თვისების **ჭეშმარიტ** მახასიათებელს წარმო-

ადგენს. ჰეგელი ცნების განვითარებას განიხილავს როგორც **ტრიადულ პროცესს,** თეზისის, ანტითეზისა და მათი დიალექტიკური ერთობით მიღებული **სინთეზის**, როგორც ცნებათა ერთობლიობის ნაყოფს.

მე შევეცადე ცნებები: ყოფიერება, კოსმოსი, ღმერთი და ადამიანის ფუქცია – დანიშნულება წარმომედგინა ცნების ჰეგელისეული განვითარების მიხედვით.

ყოფიერება.

თეზისი. ყოფიერება, მატერიალისტურ – მეცნიერული მიდგომით, არის **შემეცნებადი კოსმოსური სამყარო.**

ანტითეზისი. ყოფიერება, ობიექტურ – იდეალისტური გაგებით, არის **აბსოლუტური გონი**.

სინთეზი. ყოფიერება,თეოსოფიური მიდგიმით, არის11 – განზომილებიანი კოსმიური სამყაროსა და კოსმიური გონის ერთიანი ცოცხალი უსრულყოფილესი არსება.

კოსმოსი

თეზისი**.**კოსმოსის შესახებ **თეზისად** მივიჩნიე მუდმივად არსებული და სივრცულად შემოსაზღვრული კოსმოსური სამყაროს გეოცენტრიული, გეოჰელიოცნტრული და ჰელიოცენტრული მოდელი, რომლის მიღმა არსებულ უსასრულო და მარადიულ სივრცეში იმყოფება სამყაროს შემოქმედი **უზენაესი** არსება – **ღმერთი**.

ანტითეზისი.კოსმოსის შესახებ, **ანტითეზისად** მივიჩნიე კოსმოსური სამყაროს წარმოშობის **„დიდია ფეთქების თეორია“** და **M – თეორია.** ამ თეორიების მიხედვითკოსმოსური სამყარო წარმოიქნაშემთხვევით, თავისთავად, გარედან დახმარების გარეშედა ვითარდება ევოლუციურად ბუნების კანონების მიხედვით.

სინთეზი. კოსმოსის შესახებ,**სინთეზად** მივიჩნიე სამყაროს ისეთი მოდელი, რომლის მიხედვით **ღმერთი სუბსტან-**

ციის სახით განფენილია 11 განზომილებიან კოსმიურ სამყაროში.11 – განზომილებიანი კოსმიური სამყარო, თავისი ე.წ. „სიცარიელით“ და კოსმიური გონით, უსასრულოა როგორც დროსა და სივრცეში, ისეთვისებრივიმრავალფეროვნებით. ამიტომ ასეთი სამყარო შესაძლებელია თვითკმარიც იყოს და განუწყვეტელ ევოლუციურ განვითარებასაც განიცდიდეს.

ღმერთი.

თეზისი. რელიგიური თეოლოგიის თვალსაზრისით ღმერთი არის სამყაროს შემოქმედი **უზენაესი არსება,** რომელიც ხასიათდება შემდეგი თვისებებით: ერთადერთი, დაუსაბამო, უკვდავი, შემოუსაზღვრელი, ყველგანმყოფი, უსხეულო, უხილავი,მიუწვდომელი, უწმინდესი, უძლიერესი, უგონიერესი, შემოქმედი, **უსრულყოფილესი** და **უცვლელი** [2;156].

ანტითეზისი. რელიგიის ფილოსოფიის მიხედვით, **სუბსტანცია** ხასიათდება თეოლოგიური ღმერთის მახასიათებელი ყველა თვისებით. ამიტომ ლოგიკურად **სუბსტანცია არის ღმერთი** და **ღმერთი არის სუბსტანცია** [16. 310].

სინთეზი. ბოლოდროინდელი მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებითა და სამყაროს თეოსოფიური ხედვით, 11 – განზომილებიანი უსასრულო და მარადიული კოსმიური სამყარო (კოსმოსი) ხასიათდება **თეოლოგიური ღმერთის** ყველა თვისებით, იმ განსხვავებით, რომ იგი **უცვლელი** კი არ არის, არამედ მუდმივად, ევოლუციურად მიისწრაფვის **აბსოლუტური სრულყოფისაკენ** [2; 377].

ადამიანის ფუნქცია – დანიშნულება

თეზისი. შუამდინარული მითოლოგიის მიხედვით. ადამიანი გაჩენილ იქნა **ღმერთის ტვირთის შემსუბუქების** მიზნით. შუამდინარული ღმერთები ადამიანს ჰქმნიან იმ მიზ-

ნით, რომ მან აღმშენებლობითი მოღვაწეობით, მოწესრიგებული ყოფის შექმნით და შემოქმედებითი მუშაობით **გააგრძელოს** ღმერთების მიერ წამოწყებული საქმე [3;150].

ანტითეზისი**.** მართლმადიდებლური რწმენის მიხედვით ადამიანის ფუნქცია – დანიშნულება მისსავე დამბადებელ **ღმერთთან მიახლოვებაში** მდგომარეობს. ამ მიზნის აღსასრულებლად, ადამიანმა თავისი **ჯვარი** უნდა ატაროს. მან ჯერ უნდა შეიმეცნოს თუ რა ჯვრის ტარება დააკისრა მას უფალმა **ღმერთმა** და შემდეგ ეცადოს, კეთილსინდისიერი **შრომითა** და **სიკეთის ქმნადობით,** მის პირნათლად შესრულებას[2;361].

სინთეზი. თეოსოფიური თვალსაზრისით, ადამიანის ფუნქცია-დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მან თავისი **შემოქმედებითი შრომითა** და სიკეთის ქმნადობით ხელი შეუწყოს მისივე დამბადებელ **კოსმიურ გონს** სწრაფვაში **აბსოლუტური სრულყოფილებისაკენ** [2;363].

ლიტერატურა:

1. შ. შოშიაშვილი, ფილოსოფიური ძიებანი; გამ-ბა „უნივერსალი“, თბ., 2019.
2. შ. შოშიაშვილი, კოსმიური სამყარო თეოსოფიური გადმოსახედიდან; წიგნიII; „მერიდიანი“; თბილისი 2012.
3. ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია. გამ-ბა **„**საბჭოთ საქართველო”, თბ., 1979**.**
4. Шюре, Великие посвящённые. Калуга, 1914.
5. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია. „მერანი”. თბ., 1988.
6. პლატონი, ტიმეოსი (თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა), თბ.,1994
7. А. Азимов, Вселенная. „Мир". Москва. 1969
8. გ. თევზაძე. რუსთაველის კოსმოლოგია. გამ-ბა „სიესტა“. თბილისი, 2014

9. Б. И. Спасский, История физики. Из – во Маск. Унив. – та 1963
10. Б. Г. Кузнецов, Развитие физических идей от Галилея до Эйнштейна. Из. – во Ак. Наук СССР. М. 1963
11. А. Эйнштейн, Л.Инфельд. Эволюция физики. Из.во „Молод, гвар“. 1968
12. Бр. ГРИН, Элэгантная вселенная. Москва. 2004
13. ალ. გუტი, პარალელური სამყაროები; https://iillu.wordpress.com/tag
14. Эб. Александер, Доказательство Рая. Реальный опыт нейрохирурга. Моск. 2013
15. შ. შოშიაშვილი, ციკლურად ევოლუციონისტური კოსმოლოგია. გამ-ბა „ნეკერი“; თბილისი, 2019.
16. ს. ავალიანი, მეცნიერული ონტოლოგია, „ფილოსოფიური ბიბლიოთეკა”, თბ., 1996.
17. ვ. ჰაიზენბერგი, ნაწილი და მთელი. „განათლება”,თბ., 1983.
18. შ. შოშიაშვილი, სამყარო მეცნიერება რელიგია; „მერიდიანი“; თბ.; 2008.
19. ს. ავალიანი, თეორიული ფილოსოფია. გამ-ბა „უნივერსალი”. თბილისი, 2007.

Shota Shoshiashvili – Academic Doctor of Physical and Mathematical Sciences. Senior scientist. He has published 55 scientific work in elementary particle physics. During the past 25 years he has been working on the issues related to the relationship between religion and science. He published 15 scientific articles and books entitled "About The Cosmic World and the Immortality of the Spirit" (2003), "The World, Science, Religion" (Tb., 2008 and 2009), "The Cosmic World From Theosophical Perspective" Book I and Book II (Tb., 2012) and the book "Who we were! ...Who we will be "(Tb., 2015).

HUMAN, EXISTENCE, THE COSMOS, GOD

ABSTRACT

The article discusses concepts of the cosmos, God, and their interaction between Hegelian thesis, antithesis, and synthesis, from ancient times, considering the current science.

Human will cognition cosmos as conceptual – rational, manifested in science and philosophy; iconic – emotional, manifested in art; and symbolic – mystical, manifested in religion.For the knowledge of the cosmosGod has given human along with wisdom, an **intuition** that exists in the intellectual, emotional, and mystical form.

There are three types of vision for human cognition of the cosmos:

Scientific, when a person perceives himself/herself as "I," which is placed in the center of the visible world, and the world of beyond he feels with a sensory organs of emotion and with a conceptual – rational thinking.

Meditative, when a person intuitively, is directly related to the invisible form of the universe.

Theosophical, when one possesses wisdom based on the unity of scientific, philosophical and meditative knowledge.

According to Pythagoras' theosophical teaching, number one is **God**,On the other hand, the number 1 is the **cosmos**.Means in the Pythagora's **Theosophical** view, cosmos and God are one and the same creatures.

In the current scientific and theosophical sense, the concepts of

the cosmos and God, according to Hegelian development, are as follows:

The cosmos.

Thesis.I consider the **thesis**about the cosmos as a geocentric, geo – heliocentric, and heliocentric model of the ever – existing and spatially bounded cosmic universe, behind which is the supreme being of the Creator of the universe – **God**.

Antithesis. About cosmos, in antithesis I consider of the Origin of the Cosmos the **"Big Bang Theory"** according to which our cosmic universe was created by accident, by itself, without outside help, and evolving according to the laws of nature.

Synthesis. Concerning the cosmos,about the cosmos, I have considered the 11 – dimensional **Cosmic world**, Which With so called "emptiness" and a cosmic mind is Infinite in time and space. Consequently, it is a self – sufficient, capable creator and an evolutionarily evolving creature of absolute perfection.

God.

Thesis. In religious theology, God is the supreme being of the Creator of the cosmos, which exists beyond it and is characterized by the following properties:one and only,immortal, unlimited, everywhere, without body, invisible, inaccessible, holiness, strongest,wise, creator,**perfect and unchanged**.

Antithesis. According to the philosophy of religion, a **substance** is spread out in the cosmos, and is characterized by all the characteristics of a theological god.So logically God is the **substance** and the substance is **God**.

Synthesis. Given today's scientific advances and theosophical understanding of the universe,11 – dimensional infinite and eternal cosmic universe (cosmos), which is characterized by all the qualities of a theological God,It is god, unlike the fact that it is not permanent and evolutionarily strives for absolute perfection.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ფილოსოფიის განყოფილებამ.

პოლიტიკის ფილოსოფია
PHILOSOPHY OF POLITIC

გურამ აბესაძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულების ხელმძღვანელი; მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი პოლიტიკის თეორიაში, მათ შორის გამოირჩევა მონოგრაფია: „პოლიტიკური კულტურა: კონცეპტუალური მოდელები და დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმები“ (2015), რომელშიც თანამედროვეობის ბევრი აქტუალური პრობლემაა განხილული.

დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირება საქართველოში

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ტრანზიციის უმნიშვნელოვანეს პროცესად დემოკრატიული ტრანზიტი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც თავისი მწვავე გამოწვევებითა და რისკებით ხასიათდება. ქართულ დემოკრატიას თავისი გამორჩეული ნიშნები და მიღწევები ნამდვილად აქვს, რომლითაც ახალ დემოკრატიულ სივრცეში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებს; მიუხედავად გამოკვეთილი რაციონალური პარადიგმებისა, ირაციონალურობა მუდმივ მენტალურ და ღირებულებით თვისებად იქცა, რომელიც პერიოდული ციკლურობით არასტაბილურობის განცდას ამკვიდრებს და თანამედროვე ეროვნულ და პოლიტიკურ იდენტობას გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს. ეს ორი პროცესი – დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნული იდენტობის ფორმირება ერთმანეთს განაპირობებს და ერთიან სტრუქტურულ სისტემად წარმოგვიდგება. დემოკრატიულ ტრანზიტში გამოვლინდება ერის იდენტობის კულტურულ-ღირებულებითი განზომილება და მისი პოლიტიკური პოტენციალი, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრება. ამ გაგებით, ეროვნულ

– პოლიტიკური იდენტობა თანამედროვე სახელმწიფოებრიობისა და პოლიტიკური სისტემების არსებითი და გამოკვეთილი პარადიგმა გახდა.

თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში ფართოდ გამოიყენება „ეროვნული იდენტობის“ ცნება, რომელიც ახალი ტერმინია და ასახავს მსოფლიოში მიმდინარე ეროვნული თვითცნობიერების ზრდის ტენდეციებს; მსოფლიო ახალი წესრიგი ახლებურ ეროვნულ აზროვნებას მოითხოვს, რომელიც გამოსახულია სახელმწიფოებრივი იდენტობისა და თვითდამკვიდრების პროცესებში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდენტობა თვითგადარჩენის ტოლფასია და თანამედროვე გლობალურ სივრცეში განსაუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობით სარგებლობს. რეალობა ასეთია: თანამედროვე მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ეროვნული და პოლიტიკური ნაციონალიზმი, რომელსაც შედეგად ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ზრდა მოჰყვა.

პოლიტიკური იდენტობა ერის პოლიტიკურ მეობაზე მიანიშნებს, რომელიც პოლიტიკური ორგანიზებულობის ელემენტებით განისაზღვრება; აქ უპირველესად იგულისხმება ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და პოლიტიკური თვითმყოფადობა, რომელიც მაღალ სამოქალაქო კულტურასა და რაციონალურობას გულისხმობს. პოლიტიკურ იდენტობაში ერი ავლენს თავის პოლიტიკურ – კულტურულ მზაობას, დაიცვას თავისი თვითმყოფადობა და სასიცოცხლო ინტერესები, რომელიც პრაგმატული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. პრაგმატულობა პოლიტიკური იდენტობის გამოკვეთილი ელემენტია, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში უპირველესად რეალური პოლიტიკური სიტუაციის რაციონალურ გააზრებასა და მის სიტუაციურ გამოყენებით შესაძლებლობებს გამოსახავს. თანამედროვე პოლიტიკური ერი ამ შესაძლებლობების კომბინაციის გარეშე ვერ იარსებებს და მუდმივი ქაოსისა და არასტაბილურობის პირობებში იქნება; ამიტომ, ქართულ პოლიტიკურ სივ-

რცეში განსაკუთებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური იდენტობის ფორმირებას. სამწუხაროდ, პოლარიზების ელემენტები გარკვეული პერიოდულობით დემოკრატიული ტრანზიციის ერთგვარ სინდრომად იქცა, რომელიც ერთიანად ანგრევს ქართულ ეროვნულ – პოლიტიკურ ერთიანობასა და იდენტობას.

თანამედროვე ქართული ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობა თავის ფორმირებაში ორ ირაციონალურ ტენდენციას აწყდება; **პირველი,** მკვეთრად იცვლება მსოფლიო წესრიგი, რომელსაც თან ახლავს გეოპოლიტიკური გავლენების გაძლიერება და პოლიტიკურ ძალთა ახალი ბალანსის ფორმირება; ტრანსფორმირდება მეზობელ სახელმწიფოთა საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები და სახელმწიფოებრივი იდენტობის კრიტერიუმები, რომელიც ზოგჯერ მკვეთრად გამოხატულ აგრესიულ ფორმებს იძენს; საგარეოპოლიტიკური ექსტრემალური სიტუაცია ქართული სახელმწიფოს წინაშე ახალ გამოწვევებსა და რისკებს წარმოშობს, რომლის გადასაწყვეტად პოლიტიკური ელიტა ყოველთვის მზად არ არის და პრაგმატულ სულისკვეთებას ვერ ავლენს. ამ გაგებით, მსოფლიო სიტუაცია ახალ პოლიტიკურ და ეროვნულ პრაგმატიზმს მოითხოვს, რომელიც მკვეთრად გამოხატულ პატრიოტულ აქტორებსა და ინტელექტს დაემყარება. **მეორე,** დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მენტალურად რთული აღმოჩნდა, რომელმაც ეროვნული იდენტობის პროცესის პოლიტიკური ინტეგრაცია ვერ შეძლო; პოლიტიკური სივრცე ღრმა ინსტიტუციურ და ღირებულებით კრიზისში მოექცა, რომელმაც კლანური ფორმები მიიღო; მოიმატა ეროვნული და სახელმწიფოებრივი გაუცხოების ელემენტებმა, რომელმაც ეროვნული იდეის ერთგვარი დათრგუნვაც კი გამოიწვია. დემოკრატიული ტრანზიციის ეს ორი ირაციონალური ტენდენცია თანდათანობით დაძლეული უნდა იქნას, რომელიც ახალ პრაგამტულ მიდგომებს საჭიროებს.

დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში ეროვნულ –

პოლიტიკური რაციონალურობის დამკვიდრება, რომელიც პოლიტიკური იდენტობის საფუძველია, მოითხოვს ორი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტას: **პირველი,** საზოგადოების პოლარიზების დაძლევას, რომელიც მუდმივი ქაოსისა და არასტაბილურობის რეჟიმშია; ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიული ტრანზიტის ინსტიტუციური დიზაინი არ არის მოწესრიგებული და კლანურობის სინდრომით გამოირჩევა. კლანურობამ და დომინანტური პარტიის სიმდრომმა დაანგრია მთელი ქართული პოლიტიკური სივრცის ერთიანობა და ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის გაგება; ამიტომ, წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული ეროვნული გაგების მქონე პოლიტიკური აქტორები, რომლებსაც რაციონალურად ესმით პოლიტიკური იდენტობის არსი და თანამედროვე გაგება. **მეორე,** ეროვნული პრაგმატიზმის დამკვიდრება, რომელიც ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორია. მსოფლიოში ნაციონალიზმისა და რელიგიურობის ზრდამ ქართული პოლიტიკური პრაგმატიზმი ახალი გამოწვევებისა და რისკების წინაშე დააყენა, რომელიც მკვეთრად გამოხატულ რაციონალურობას მოითხოვს. დესტრუქციული და ექსტრემისტული ძალების აქტიურობის დრო აღარ არის, რომელიც ერთიანად ანგრევს ქართულ ინტელექტუალურ ფენომენს; ვგულისხმობთ ქართულ რაციონალურ აზროვნებას, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა პოლიტიკური სიტუაციის რეალური აღქმითა და გამოწვევებისა და რისკების სიტუაციური გააზრებით. სამწუხაროდ, პოლიტიკურმა სივრცემ და დრომ წინა პლანზე შემთხვევითი აქტორები და კლანური ინტელექტის მქონე ძალები წამოსწია, რომლებიც თავიანთი ავანტიურისტული და დესტრუქციული ქმედებებით საფრთხის წინაშე აყენებენ ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირებას. პოლიტიკური ინტელექტი პოლიტიკურ – ინსტიტუციურ დიზაინში არ ჩანს, რომელიც ავანტიურისტული და ექსტრემისტული აზროვნების მქონე აქტორების მოღვაწეობის პოლიტიკურ

ველად გადაიქცა. ამიტომ, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პროცესად მიგვაჩნია ეროვნული პოლიტიკის ინტელექტუალიზაცია, რომელიც დემოკრატიულ ტრანზიციას მეტ ეროვნულ და პატრიოტულ სულისკვეთებას შესძენს.

დემოკრატიული ტრანზიციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციური დიზაინის მოწყობას, რომელიც აქტორთა ისეთ განლაგებას გულისხმობს, სადაც მათი ფუნქციური დანიშნულება კონსტიტუციურად გამიჯნულია. პოლიტიკურ – ინსტიტუციური დიზაინი პოლიტიკური სივრცის სტაბილურობის გარანტიებს იძლევა და ერის პოლიტიკურ ფორმირებას უწყობს ხელს. თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობა დემოკრატიულ ინსტიტუციურ დიზაინს უნდა ემყარებოდეს და ლეგიტიმურობის კონსტიტუციურ ნორმებს აღიარებდეს. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ლეგიტიმურობის პოლიტიკური წესრიგი დარღვეულია, რაც არასტაბილურობის განცდას ამკვიდრებს. განსაკუთრებით ეს ვლინდება დომინანტური ძალების ავტორიტარიზმში, რომელიც პოლიტიკურ ველზე დემოკრატიული პოლიტიკური თამაშის წესების დამკვიდრებას უშლის ხელს. ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ჩამოყალიბდა ისეთი რეალობა, როდესაც დომინანტი პოლიტიკური პარტია გარკვეული პერიოდის შემდეგ იქცევა დემოკრატიული ტრანზიტის შემაფერხებელ ძალად.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენა თავისი აქტორული განლაგებით ღრმა კრიზისის ფაზაშია; დომინანტურ ძალებს არ ჰყოფნით ინტელექტუალური პოტენციალი იმისათვის, რომ ეროვნული საქმე აკეთონ და ზედმეტად არ იყვნენ ტრანსპლანტაციურ პროცესებზე დამოკიდებულნი; ვგულისხმობთ ქართულ სინამდვილეში ევროპული ღირებულებების უნიფიცირებული ფორმით დამკვიდრებას, რომელიც ეროვნულ მენტალურ თავისებურებებსა და თვიმყოფად კულტულ თანაცხოვრებას ყოველთვის არ ემყარება; ეს

იწვევს დემოკრატიული ტრაზიციის სიძნელებსა და ექსტრემისტული და დესტრუქციული ძალების აქტიურობას, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევად ავანტიურისტულ პოლიტიკის გატარებასაც კი არ ერიდებიან.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე დემოკრატიულ ტრანზიტს გამოკვეთილად აკლია პოლიტიკურ ძალთა განახლების პროცესი; მხოლოდ მოძველებული სახეები და ხელმოცარული პოლიტიკოსები ველარ აკმაყოფილებენ ახალი დროის მოთხოვნებსა და გამოწვევებს. მსოფლიოში სიტუაცია იცვლება ეროვნული იდენტობის მიმართულებით, ხოლო მოძველებული პოლიტიკური ძალების აღქმა დრომოჭმულ შეხედულებებს ემყარება, რომლებიც გასაქანს არ აძლევენ ინტელექტუალურ და პატრიოტულ ძალებს. ასეთი ტენდენციები საზოგადოებაში ამკვიდრებს პოლიტიკური გაუცხოების სინდრომსა და დემოკრატიული ტრანზიტისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ქართული პოლიტიკური ველი გადაიქცა ვიწროკლანური ინტერესების მქონე აქტორების დაპირისპირებისა და დესტრუქციულობის სცენად, რომელიც ეროვნული იდენტობის პოლარიზების მიზეზად იქცა. ამიტომ, პოლიტიკური პოლარიზება ქართული პოლიტიკური პროცესისა და მისი აქტორების მოღვაწეობითი სტილი გახდა. „მტრის ხატის“ ძიება პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების სინდრომად გადაიქცა, რომელმაც თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სააზროვნო და ინტელექტუალურ სივრცეში გარკვეული ვაკუუმი წარმოშვა.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ეროვნულ – პოლიტიკური აქტორების სისუსტემ, წინა პლანზე წამოსწია მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და პოზიცია; მისი დანიშნულება და პოლიტიკურ – ფუნქციური როლი ისტორიულად ცვლილებების პერიოდებში ყოველთვის გამოკვეთილი და პრინციპული იყო. მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნულობის გამოხატვის ერთგვარ იდეოლოგიურ საფუძ-

ვლებს ქმნიდა და პოლიტიკური ერთსულოვნობის გარანტიებს იძლეოდა. ასეთი გამოწვევებისა და ირაციონალური ტენდენციების მომძლავრების პერიოდში მართლმადიდებელი ეკლესია თავისი გამოკვეთილი შემრიგებლური პოზიციით გამოირჩევა და ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირების უპირველეს აქტორად გვევლინება. ამას თან დაერთო მსოფლიოში რელიგიური რენესანსის პერიოდი, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება გლობალიზაციის პროცესებს. ეროვნული და რელიგიური კუთვნილება გახდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თვითშენარჩუნების ერთგვარი გარანტი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი **ილია II** აღნიშნავს, რომ **„ფაქტია ყველას გვინდა ძლიერი, განვითარებული ქვეყანა გვქონდეს, ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში სწორი ღირებულებათა სისტემა იარსებებს და ამ საფუძველზე მოხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება, დეზორიენტერიბული საზოგადოება კი ქაოსში ჩაიძირება და სახელმწიფოს დიდად დააზარალებს“.**[1]

დემოკრატიულ ტრანზიციაში თანამედროვე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქციები რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა: **პირველი,** მართლმადიდებელი ეკლესია, პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, ერის პოლიტიკურ კონსოლიდირებას ახდენს, რომელიც პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენს. **მეორე,** ქართული ეკლესიის პოზიცია მკვეთრად გამოიკვეთა ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვის მიმართულებით; იგი გახდა თანამედროვე ქართული ღირებულებითი სივრცისა და ეროვნული იდენტობის ფორმირების ერთერთი აქტიური შემოქმედებითი და ფუნქციურად მდგრადი

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე. თბ., 2018, გვ.21-22.

ინსტიტუტი. **მესამე,** მართლმადიდებლობა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თავისი დომინანტური და სტაბილური სიტუაციის შექმნით ტოლერანტული და ოპტიმისტური გაწყობილების ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობს, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის თვითდამკვიდრების პრიორიტეტულ ღირებულებას წარმოადგენს. **მეოთხე,** დემოკრატიული ტრანზიციის პირობებში პოლიტიკური სოციალიზაციის თემატიკა ძალიან აქტუალური გახდა; ქართული ეკლესია მტკიცედ აფიქსირებს თავის პოზიციას ოჯახის, დემოგრაფიული სიტუაციისა და განათლების სფეროში არსებული პრობლემების მიმართულებით; ეს სფეროები დემოკრატიული ტრანზიტისა და ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში პრიორიტეტული გახდა და ახალ მიდგომებს მოითხოვს. **მეხუთე,** მართლმადიდებელი ეკლესია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი **ილია II** საჯარო პოლიტიკურ სივრცეში გამორჩეული რეიტინგითა და ავტორიტეტით სარგებლობს; ქართული ეკლესია სამოქალაქო სივრცის ყველაზე აქტიური და მდგრადი ინსტიტუტია, რომელსაც დემოკრატიული ტრანზიტის შედეგად წამოჭრილი პრობლემების მიმართ გამოკვეთილი კონსენსუალური მიდგომები აქვს და ადვილად ახერხებს დიალოგზე აგებული სიტუაციის შექმნას.

ამრიგად, დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირება ერთიან პროცესს წარმოადგენს, რომელიც თავისი რაციონალური და ირაციონალური ტენდენციებით გამოირჩევა. ეროვნული იდენტობის ფორმირება თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური პრობლემა გახდა, რომლის ფორმირების პროცესში პოლიტიკური სცენის ყველა აქტორი უნდა მონაწილეობდეს; ეროვნული იდენტობის ფორმირებაში თავისი აქტიურობითა და პოზიციით მართლმადიდებელი ეკლესია გამოირჩევა, რომელიც სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების ერთ-ერთი გამოკვეთილი აქტორია.

ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის სააღდგომო ეპისტოლე. თბ., 2018
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის საშობაო ეპისტოლე. 2019 hhttp://patriarchate.ge/geo/patriarqi/ilia – ii/epistoleebi – illia – ii/
4. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება და ეროვნული იდენტობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული XXIII /. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2019, გვ. 229-235
5. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გაზრდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. /მთავარი მკვლევარი ა. გეგეშიძე, მკვლევარები: ე. მეტრეველი, ქ. ემუხვარი, ნ. სუმბაძე, თ. გეგეჭკორი, თ. კუხალაშვილი/ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბ., 2017
6. ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. /დ. ბოგიშვილი, ი. ოსეფაშვილი, ე. გავაშელიშვილი, ნ.გუგუშვილი/. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. „ნეკერი", თბ., 2016.

Guram Abesadze – Doctor of Political Sciences, Professor of Sokhumi State University, head of Policy science direction. He is author of more than 60 scientific works, 2 securities and 4 monographs in politics; Among them are monographs of "political culture" / Tbilisi., 2015 /, in which many current issues of modernity are discussed.

DEMOCRATIC TRANSIT AND THE FORMATION OF NATIONAL – POLITICAL IDENTITY IN GEORGIA

ABSTRACT

The democratic transition and the formation of national – political identity in Georgia is a unified process. The formation of national identity has become a pressing problem of modernity. The transition to democracy in Georgia is notable for its difficulties. The modern Georgian political space is institutionally weak, and society is polarized. These processes influence the formulation of national identity. The role of the Georgian Orthodox Church was especially emphasized in the process of formation of national identity. The authority and rating of the Georgian Church is very high in society. He is actively involved in solving public policy problems.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.

დავით ზაქარაია – ფილოსოფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ – პროფესორი. მუშაობს სოციალური ფილოსოფიის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „პოსტინდუსტრიული – ინფორმაციული საზოგადოება“ (თბილისი, 2006); „პოსტინდისტრიული საზოგადოების თავისებურებათა შესახებ“ (თბილისი, 2006); „სოციოლოგიის კლასიკოსები, პერსონალია“ (კ.ქეცბაიას თანაავტორობით, თბილისი, 2012).

დემოკრატიული ავტორიტარიზმი

უკანასკნელი წლების განმავლობაში სულ უფრო ხშირად მინდინარეობს დისკუსია დემოკრატიასა და მის მომავალთან დაკავშირებით. Freedom House – ის 2017 წლის დასკვნის მიხედვით დემოკრატიის განვითარება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მეტად შეფერხდა, ხოლო 2018 წლის მოხსენების მიხედვით, 195 ქვეყნიდან მხოლოდ 88 (45%) ექცევა თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში (აშშ, კანადა, ავსტრალია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები) 58 (30%) „ნაწილობრივ თავისუფალია“, ხოლო 49 ქვეყანა (25%) არაა თავისუფალი, მათ რიცხვშია ისეთი ქვეყნები როგორიცაა ჩინეთი, საუდის არაბეთი, რუსეთი და საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრი ქვეყნები. (1) Freedom House – ის 2019 წლის დასკვნის მიხედვით საქართველო „ნაწილობრივ თავისუფალი“ სახელმწიფოების კატეგორიასაა მიკუთვნებული. (2)

მე-20 საუკუნის დასასრულს დემოკრატიაზე ვსაუბრობდით როგორც მართველობის, პოლიტიკური წესრიგის უნივერსალურ ფორმაზე, სულ რაღაც ორი ათეული წელი გამოდგა საკმარისი იმისათვის, რომ დასავლურ – ლიბერალური დემოკრატიის კრიზისის საკითხი დამდგარიყო დღის წესრიგში. შესაძლოა ვისაუბროთ ლიბერტარიანული დემოკრატიის კრიზისზეც. მაგრამ მთლიანობაში, ამით პრობლემის

არსი ფაქტობრივად არ იცვლება. საკითხის სიცხადისათვის, კითხვა შესაძლოა შემდეგნაირადაც ჩამოვაყალიბოთ: რამდენად აღმოჩნდა მზად დემოკრატია გამკლავებოდა თანამედროვე გამოწვევებს? ანდა აქვს თუ არა დემოკრატიას, თუ გნებავთ დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიას რესურსი იმისათვის, რომ გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს?

დემოკრატიამ, როგორც მართველობის ფორმამ, პოპულარობა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით, რთული ბარიერების გადალახვისა და ბრძოლების შედეგად მოიპოვა. მიუხედავად ამისა, სკეფსისი რომელიც „სახალხო“ მმართველობის იდეას იმთავითვე თან ახლდა ამჟამადაც არ განელებულა და შესაძლოა გამძაფრდა კიდეც. დემოკრატიის მიმართ საზოგადოების გულგატეხილობა უპირველეს ყოვლისა შესაძლოა დავუკავშიროთ პოპულისტური რეჟიმების ხელისუფლებაში მოსვლას, როგორც განვითარებული დემოკრატიის ასევე მესამე სამყაროს ქვეყნებში. პირველისაგან განსხვავებით, დაბალგანვითარებული დემოკრატიის პირობებში პოპულისტი მართველები არად დაგიდებენ ხელისუფლების ცვლილების აუცილებლობას, დემოკრატიულ არჩევნებს და სხვადასხვა მანიპულაციებით ინარჩუნებენ ძალაუფლებას. ფაქტობრივად დემოკრატიის საფარ ქვეშ ვღებულობთ ავტორიტარიზმის მოდიფიცირებულ ფორმას. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, დაბალი ლეგიტიმაციის მქონე ან სულაც არალეგიტიმური ხელისუფლება მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მის რეალურ თანამონაწილეობას, ასევე ეკონომიკურ ჩართულობას და ინსტიტუციურ რეფორმებს. თავის მხრივ ეკონომიკური სტაგნაცია, უმუშევრობა, სიღარიბე – შესაბამისად აპათიურობა პირდაპირ კორელაციაში მოდის საზოგადოების მხრიდან დემოკრატიის ნეგატიურ შეფასებასთან. კანონის უზენაესობის პრინციპის უგულვებელყოფა, კორუფცია, ნეპოტიზმი, გაყალბებული არჩევნები, საჯარო ინსტიტუტების

ეროზია, ხშირ შემთხვევაში სრული ჩამოშლა და ყოველივე ამის ფონზე, საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების ძალისხმევის არაეფექტურობა, შეაჩერონ ანტიდემოკრატიული ძალების ტრიუმფი, ბადებს სრულიად ლეგიტიმურ კითხვას დემოკრატიის კრიზისისთან დაკავშირებით. რასთან გვაქვს საქმე!? ესაა კრიზისი მხოლოდ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში და ამის მიზეზი მესამე სამყაროს ქვეყნების განვითარების დაბალი დონეა? თუ ვითარება უფრო რთულადაა და შემთხვევითობა სულაც არაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში – უნგრეთი, პოლონეთი, იტალია პოპულისტური ძალების ხელისუფლებაში მოსვლა. ნუთუ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებსაც არ გააჩნიათ საკმაოდ ეფექტური მექანიზმები იმისათვის, რომ მოახდინონ პოპულისტების, ულტრანაციონალების, ავტორიტარების, ოლიგარქების, ფუნდამენტალისტების, შოვინისტების და სხვა ანტიდემოკრატიული ძალების ლუსტრაცია, გაატარონ პრევენციული ზომები, ხოლო დაავადების გამწვავების შემთხვევაში, საერთო სახალხო პროტესტით უზრუნველყონ დემოკრატიის გადარჩენა.

დემოკრატიის წინაშე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით ექსპერტულ – მეცნიერული შეხედულებები დღეისათვის შესაძლოა ორ ძირითად ნაწილად გავყოთ. პირველები ჯერაც ცივი ომის დასრულებისა და სოციალიზმის აჩრდილის ჩამოშორების ეიფორიაში არიან და თვლიან, რომ „დემოკრატიას ამ ეტაპზე სხვა იდეოლოგიური გამოწვევა არ უდგას წინ. დევიდ ფრამის სიტყვებით „იყო დრო როდესაც ჩვენს ბაბუებს და ბებიებს კომუნიზმის სჯეროდათ, ან ფაშიზმის, ადამიანებს მართლა სჯეროდათ ამ იდეების. დღეს, ყველას ესმის, რომ არჩევანი მხოლოდ ორ რამეს შორისაა: ან დემოკრატიის გზით წახვალ ან ქურდობის. ქურდობა (კლეპტოკრატია), თანამედროვე სამყაროში დემოკრატიის ერთადერთი ალტერნატივაა“. (3) მეორენი ალბათ უფრო რეალისტები არიან. ისინი ხედავენ, რომ მხოლოდ სოციალისტური

იდეოლოგიის არადომინანტური პოზიციების იმედზე ვერ ვიქნებით, ვინაიდან ახალი გამოწვევებიც არანაკლები საფრთხის შემცველია დემოკრატიის მომავლისათვის. ერთ-ერთი პირველი ვინც დემოკრატიის მოსალოდნელ კრიზისს წინასწარმეტყველებდა, უდაოდ იყო, ამერიკელი მეცნიერი სამუელ ჰანთინგტონი. წინგში „მესამე ტალღა. დემოკრატიზაცია მეოცე საუკუნის დასასრულს", წინასწარმეტყველებდა მოსალოდნელ სირთულეებს და მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელებასთან დაკავშირებულ ოპტიმიზმს არ იზიარებდა. ვინაიდან თვლიდა, რომ ,,დემოკრატია ესაა პროცესი, რომელიც შესაძლებელია დამყარდეს არა „ტრანზიტის" მეშვეობით, არამედ მოითხოვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს გადემოკრატიულებას – ასე ვთქვათ ზრდას დემოკრატიაში. ის წერს „თანამედროვე დემოკრატია სოფლის, თემის თუ ქალაქ – სახელმწიფოს დემოკრატია არაა; ესაა ნაციონალური სახელმწიფოს დემოკრატია და შესაბამისად მისი აღმოცენება სწორედ ამ უკანასკნელის განვითარებასთანაა დაკავშირებული. (4. გვ. 23) დემოკრატიული ზრდა, რაზეც ჰანთინგტონი აკეთებს აქცენტს, არის არა მხოლოდ საჯარო ინსტიტუტების რეფორმირება, ანდა თუნდაც საწარმო ძალების განვითარება და საერთო ეროვნული შემოსავლის ზრდა, არამედ უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაცია და დემოკრატიის როგორც ცხოვრების წესის აღიარება. აღნიშნული ვარაუდი არაერთი რესურსებით მდიდარი (მაგ: საუდის არაბეთი, ირანი) მაგრამ დემოკრატიზაციის თვალსაზრისით სტაგნაციაში მყოფი ქვეყნების მაგალითებითაც დასტურდება, სადაც ნავთობ – მილიარდების მიუხედავად საზოგადოება კვლავინდებურად იმყოფება დამორჩილებულ მდგომარეობაში. საქართველოს შემთხვევაში ვითარება კომპლექსურია, ჩვენ არც „ნავთობდოლარები" გაგვაჩნია და არც განვითარებული საჯარო ინსტიტუტები. შესაბამისად დემოკრატიისადმი მოქალაქეების გულგატეხილობა რა თქმა უნდა სავსებით მოსალოდნელია.

რასაც თავის მხრივ მივყავართ, ერთ-ერთ უმწვავეს საკითხთან – ლეგიტიმაციის პრობლემასთან – ვინაიდან საზოგადოებას არ გააჩნია ეფექტური მექანიზმები იმისათვის, რომ დაიცვას თავისის ძირითადი ბუნებრივ – კონსტიტუციური უფლება აირჩიოს და იყოს არჩეული დემოკრატიული პროცესისს პირობებში. ჩვენის აზით, აღნიშნული საკითხი სწორედ იმიტომაა ფუნდამენტური წყალგამყოფი, რომ ლეგიტიმურობის დაკარგვა ავტორიტარული რეჟიმების უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორია. ესაა ვითრება, როდესაც ნდობა დაკარგულ მთავრობას არ სურს ხელისუფლების დათმობა, დემოკრატიული არჩევნების გზით მისი გადაცემა და მიდის ყველაზე რადიკალურ მეთოდებზე, თვით სამოქალაქო დაპირისპსირების ინსპირირების ჩათვლით. როგორ უნდა ვებრძოლოთ დელეგიტიმირებულ ხელისუფლებას, ვფიქრობთ, რომ მესამე სამყაროს ქვეყნების დემოკრატიული წინსვლისათვის ესაა უმთავრესი პოლიტიკური საკითხი. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა „დემოკრატიის მესამე ტალღის“ ავტორის შეხედულება, ის წერს: „ლეგიტიმურობა – ბუნდოვანი ცნებაა, პოლიტიკის ანალიტიკოსები ცდილობენ მას მოერიდონ. ამის მიუხედავად, ლეგიტიმაციის საკითხს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვსს მე-20 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ავტორიტარული რეჟიმების არსში გასარკვევად... ჰანთინგტონს ჟ.ჟ. რუსოს ცნობილი ფრაზა მოჰყავს „ყველაზე ძალმოსილიც კი ვერ იქნება მუდმივად მბრძანებელი, თუ მან ძალა კანონს არ დაუქვემდებარა, ხოლო მორჩილება მოვალეობად არ გარდაქმნა“ იქვე სვამს კითხვას – მაშ რაა ავტორიტარი ლიდერების „კანონიერების“ და მორჩილებაზე ხალხის „ვალდებულების“ წყარო? და თვითონვე პასუხობას. ახალი დროის ავტორიტარული რეჟიმები საკუთარ არსებობას ნაციონალიზმისა და იდეოლოგიის მეშვეობით ამართლებდნენ. თუმცა პირველის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად დამაჯერებელია ხალხისათვის მტრის ხატის

მისთვის შეთავაზებული ვერსია, რომლისაგანაც უნდა დავიცვათ ეროვნული იდენტობა. როცა ნაციონალიზმზე ვსაუბრობთ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება რომ, ნაციონალიზმი სახალხოობის ერთ-ერთი მოდიფიკაციაა და შესაბამისად შესაძლოა მოახდინოს როგორც დემოკრადიული მმართველობის, ასევე ავტორიტარიზმის ლეგიტიმაცია (4. გვ. 57-58). ზემოაღნიშნული მოსაზრება ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ დემოკრატიზაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხს, რაც ვფიქრობთ ამყარებს ჩვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე სამყაროს ახალი დემიკრატიის ქვეყნებში გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს დემოკრატიულად ორიენტირებულ ფართო საზოგადოებრივ ძალებსა და ხელისუფლების უზურპატორებს შორის. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, პირველ ეტაპზე, ხელისუფლებაში მოსასვლელად, მიმართავს პოპულიზმს, საზოგადოებაში აღვივებს ურაპატრიოტიზმს, ბოროტად იყენებს მოსახლეობის პატრიოტულ სულისკვეთებას და შესაძლოა ითქვას საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ აწარმოებს ჰიბრიდულ ომს. ჰიბრიდული ომის მეთოდები, ასევე წარმატებით გამოიყენება ხელისუფლების შენარჩუნების ეტაპზეც, ამჯერად ის გაცილებით აგრესიულია და „ანტისახელმწიფოებრივ“ ძალებად ასახელებს არა მხოლოდ მის ძირითად პოლიტიკურ ოპონენტებს, არამედ ყველას ვინც ოფიციოზისგან განსხვავებულად აზროვნეს. ასე ვიღებთ „დემოკრატიულ ავტორიტარიზმს“, რომელსაც ახასიათებს – ხელისუფლებაზე მორგებული საარჩევნო სისტემა, ყველა ძირითადი ფინანსურად ძლიერი ჯგუფის საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა, საინფორმაციო საშუალებებზე მაქსიმალური კონტროლი, ყალბი საინფორმაციო ამბების მეშვეობით ინტერნეტ სივრცისა და სოციალური მედიის ეფექტურობის მინიმალიზაცია, ცენტრალიზებულ – არაფორმალური მართველობა და ადგილობრივი დემოკრატიის სრული ნი-

ველირება, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სასამართლო ხელისუფლების დამორჩილება, ინტელექტუალური წრეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური კონტროლი. „დემოკრატიული ავტორიტარიზმის“ ეს მოდელი, ფაქტობრივად შესაძლოა კლასიკური ავტორიტარიზმის გაუმჯობესებელ ვერსიად მივიჩნიოთ. ახ ახალ მოვლენასთან ეფექტური ბრძოლის მექანიზმები კლასიკური ტიპის დემოკრატიის არსენალში არცთუ მრავლადაა. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ეს დეფიციტი უკვე ფაქტობრივად აღიარებულია და როგორც ახალი ტიპის ვირუსის წინააღმდეგ, ცივილიზებული სამყარო კოორდინირებულად ცდილობს შექმნას ამ „დემოკრატიზებული ავტორიტარიზმის“ – ჰიბრიდული მუტანტი მმართველობის ანტიდოტი. შემუშავებული მექანიზმების ეფექტურობაზე საუბარი ჯერ შესაძლოა ნაადრევია, მაგრამ პირველი საიმედო სიგნალია ის, რომ დემოკრატიულმა სამყარომ გადაწყვიტა ადრეულ სტადიაზე, მანამ სანამ პოპულიზმი და ცრუ ინფორმაციული პარალელიზმი, შოვინიზმი, ფუნდამენტალიზმი, ნაციზმი, ოლიგარქიზმი, ანტილიბერალიზმი ეპიდემიის სახეს მიიღებს და განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებსაც, მნიშვნელოვნად დააზიანებს, ერთობლივი ძალებით საწყის სტადიაზე აღკვეთოს ამ ანტიდემოკრატული ვირუსის გავრცელება.

ჩვენის აზრთ, მესამე სამყაროს ქვეყნებში დემოკრატიული განვითარების პროცესის შენარჩუნებისა და შემდეგი სრულყოფისათვის, მაღალგანვითარებული პოსტინდუსტრიული საზოგადოების მხრიდან გაწეული დახმარება უნდა იყოს კომპლექსური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროები ინოვაციურ რეფორმებს დაექვემდებაროს. მაგრამ არა რევოლუციური ფორმით, რომლის უკუეფექტი ყველასათვის ნათელია, და რამაც კონტრრევოლუციამდე მიგვიყვანა, არამედ იმპლემენტაცია უნდა განხორციელდეს ბენეფიციარების დაწვრილებითი ინფორმირებისა და რეფორმის პროცესში მათი თანამონაწილეობის ხარისხის მაქ-

სიმალურად ამაღლების გზით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს განზრახვა მხოლოდ სურვილად დარჩება თუ ვერ მოხერხდა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ავტორიტარიზმის შეჩერება ისეთივე გადამჭრელი ზომების გატარებით, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. როდესაც აშშ – ს მიერ გადადგმულმა მკვეთრმა ნაბიჯებმა შესაძლებელი გახადა ევროპაში კომუნისტურ – სოციალისტური ცრუ და პოპულისტური იდეოლოგიის აღკვეთა. წარმატების ამ ფორმულას აქვს თავისი სახელი – „მარშალის გეგმა – ევროპის რეკონსტრუქციის პროგრამა“(5). დღეს შეიძლება ითქვას, რომ ვითარება ფაქტობრივად ანალოგიურია და ლიბერალურ – დემოკრატიულ სამყაროს მთლიანად, ხოლო პირველ ეტაპზე განსაკუთრებულად ახალი დემოკრატიის ქვეყნებს კვლავ ემუქრებთ, **მოდერნიზებული საბჭოთა იმპერიის შექმნის საფრთხე. ამჟამადაც ისევე როგორც,** ომისაგან დანგრეული და გაღარიბებული ევროპის შემთხვევაშიც, იმპერიული ძალების მთავარი მოკავშირე არის სიღარიბე, ეკონომიკური სტაგნაცია და უპერსპექტიობის შეგრძნება. ამჯერადაც გამოსავალი მკვეთრი და გადამჭრელი მოქმედებაა. აუცილებელია შეიქმნას „ახალი მარშალის გეგმა“ რომელიც მიმართული იქნება „მესამე სამყაროს“ ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური და პოლიტიკური მოდერნიზაციისაკენ, რაც შესაძლებელს გახდის, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანგრეულ საფრანგეთში, იტალიასა, თუ საბერძნეთში, საბჭოურ – იმპერიული ძალების დამარცხებას და დემოკრატიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებას.

ლიტერატურა:

1. https://www.svoboda.org/a/28978803.html
2. https://freedomhouse.org/report/freedom – world/2019/georgia
3. https://www.amerikiskhma.com/a/crisis – for – liberal – demoracy – and – what – it – means – for – eastern – europe/4356517.html)
4. Хантингтон С.Третья волна. Демократизация в конце XX века / Пер. с англ. – М.: «Российская политическая эн циклопедия» (РОССПЭН), 2003. – 368 с.)
5. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php

David Zaqaraia – Doctor of Philosophy. Researcher of social philosophy, the author of numerous articles and following books: "Post – industrial information society (problems)", Tbilisi, 2006; "On thecharacteristics of the post – industrial information society", Tbilisi, 2006; "Classic authors of sociology, personality". (Co – author K. ketsbaia).Tbilisi, 2012. Professor of the Sokhumi State University.

DEMOCRATIC AUTHORITARIANISM

ABSTRACT

During this last years there is a lot of discussion about democracy and its future.At the beginning of the 21st century, we are talking about the crisis of Western democracy. The key question today is whether the Democrat was ready to handle the modern challenges – populism, fundamentalism, Nazism, oligarchism, hybrid warfare or usurpation of power through what we call "democratic authoritarianism".

In the Third World New Democracy countries, a decisive battle is taking place between democratically oriented public forces and the

usurpers of government. To maintain and further improve the democratic development process, as in the case of war – torn and ruined Europe, this time it is necessary to create a "new Marshall Plan" aimed at the rapid economic modernization of the new democracies.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.

მამული ბერია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინ-ჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნი-ერებათა ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებების პროგრამის დოქტორანტი. მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე „ქართული სა-ზოგადოებრივ – პოლიტიკური აზროვნება და აფხაზეთის კონ-ფლიქტის გადაჭრის გზები“. აქვს 15 წლიანი სამუშაო გამოცდილე-ბა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხულობდა ლექციე-ბის კურსს: „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“, „ქართული პო-ლიტიკური აზროვნება“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „გლობა-ლიზაცია და ერი – სახელმწიფო“. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ და პოლტიკურ საქმიანობას.

„ახალი მემარჯვენეების“ პოზიციები აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით

მართალია ეს პარტია, დღეს დიდ როლს არ თამაშობს ქართული პოლიტიკური ამინდის შექმნაში და შეიძლება ნო-მინალურიც იყოს, მაგრამ საინტერესოა მათ მიერ თავის დროზე გამოთქმული პოზიციები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით პრობლემის შესწავლის ისტორიის თვალსაზ-რისით. სრულიად განსხვავებული პოზიციები გააჩნდათ აგ-ვისტოს ომის წინ საქართველოს ტერიტორიული მთლიანო-ბის აღდგენის საკითხზე „ახალ მემარჯვენეებს“. ისინი ძირი-თადად აქცენტს აკეთებდნენ ინსტიტუციონალურ ცვლილე-ბებზე. მათი აზრით საპრეზიდენტო მმართველობა ამ პრობ-ლემას ვერ გადაწყვეტდა, პრეზიდენტის ინსტიტუტი ზეპარ-ტიული არ არის, ის ერთ-ერთი პარტიის ლიდერია და შესაბა-მისად გამოირიცხება მიუკერძოებლობა სახელმწიფო საქმი-ანობის ამა თუ იმ დარგში.

„ახალი მემარჯვენეები“ საზოგადოებას სთავაზობენ პოლიტიკური მმართველობის ახალ ფორმას – კონსტიტუცი-ურ მონარქიას, რომელიც „მოგვცემს ტერიტორიული კონ-

ფლიქტების გადაწყვეტისა და აფხაზებთან ერთად ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების რეალურ შანსს, სწორედ მონარქია იძლევა თავის ფარგლებში რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის თანაარსებობის შესაძლებლობას. თანაც ამ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ექნებათ ავტონომიის მაღალი დონე.“ (იხ. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით გამყრელიძის საარჩევნო პროგრამა, 24 ნოემბერი, 2007.) მაგალითად მოჰყავთ გაერთიანებული სამეფო, ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია; ბელგიის სამეფო, ესპანეთის სამეფო, ე.ი ამ პარტიას მეფის ინსტიტუტის შემოღება და კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა მიაჩნია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მთავარ პირობად, მეფე იქნება ზეპარტიული და ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობის გარანტი.

„ახალი მემარჯვენეების“ პოზიციების გაანალიზებისას შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა თავისთავად კეთილშობილური იდეაა, რომელსაც საქართველოში ობიექტური ისტორიული წანამძღვრები გააჩნია. მაგრამ საქართველოს დღევანდელი რეალური პოლიტიკური სიტუაციის პირობებში, სადაც პოლიტიკური კულტურა დაბალია, დაბალია დემოკრატიული ინსტიტუტების ხარისხი, სუსტია პარტიული სისტემა, შესაბამისად დემოკრატიული აზროვნების დაბალი დონე, როდესაც, საზოგადოებას მიდრეკილება აქვს და ორიენტირებულია ქარიზმატულ ლიდერებზე და პოლიტიკური სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებაზე – პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ფუნქციების დანაწილების რეალურად არსებობაზე, ამ პირობებში შეიძლება მოხდეს თვით ამ კეთილშობილური იდეის გაუფასურება.

რაც მთავარია, საკვლევი თემის პრობლემიდან გამომდინარე, დასაფიქრებელია თუ როგორ უყურებს ამ საკითხს აფხაზური მხარე, მიაჩნიათ თუ არა მათ მეფობის ინსტიტუტი, ქართველებთან ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების გა-

რანტიად, რამდენად მიმზიდველი იქნება ეს ინსტიტუციონალური ცვლილება მათთვის. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეს რეფორმა გამოიღებს რეალურ პოლიტიკურ ნაყოფს? მითუმეტეს კონფლიქტურ რეგიონში, როგორიც აფხაზეთია, მოიტანს ეს ჩვენთვის სასარგებლო შედეგს? იქნება ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია?

კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის იდეის დასასაბუთებლად პარტიას მოყავს განვითარებული ევროპული მონარქიების მაგალითი. ჯერ ერთი იმ ქვეყნებში ეს პოლიტიკური ინსტიტუტი არსებობდა და არსებობს ძირითადად მთელი მათი ისტორიის მანძილზე უწყვეტად, მეორეს მხრივ, ეს ევროპული საზოგადოებები შეგუებულნი არიან ამას და არ განიცდიან პოსტკომუნისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი დემოკრატიული კონსოლიდაციის დეფიციტს, რაც რეალურია სინამდვილეში. ამიტომ აპელირება განვითარებულ ევროპულ მონარქიებზე და მისი მექანიკური გადმოტანის სურვილი საქართველოში მიგვაჩნია ნაადრევად. საჭიროა საზოგადოებრივი აზრის მომზადება ასეთი სერიოზული ინსტიტუციონალური რეფორმების თუ ცვლილებებისთვის. თუ როგორ და რა ფორმით უნდა განხორციელდეს ეს პროცესი, სხვა საკითხია და სპეციფიკურ კვლევას საჭიროებს. მითუმეტეს გასათვალისწინებელია დიდ ბრიტანეთში და ესპანეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. მხედველობაში მაქვს შოტლანდიის რეფერენდუმისა და კატალონიის დამოუკიდებლობისაკენ სწრფვა. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთში და ესპანეთში მონარქიის ინსტიტუტებს ათასწლოვანი ისტორია აქვთ, ეჭვის ქვეშ დგება მათი ერთიანობის საკითხი, რამდენადაც სახეზე იყო აშკარად პოლიტიკურ პარტიკულარიზმზე დაფუძნებული სეპარატიზმი.

„ახალი მემარჯვენეების“ აზრით საქართველო ჩათრეული აღმოჩნდა ომში, ხელისუფლება წამოეგო პროვოკაციას. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ამბობდა, რომ „აფხაზეთ-

თან მიმართებაში სერიოზული პრობლემაა დაშვებული ხელისუფლების მიერ, პირდაპირი დიალოგის ნაცვლად ურთიერთობა მათთან ხელოვნურად გამწვავდა. ხელისუფლების დიდი შეცდომაა რუსეთთან ურთიერთობის დაულაგებლობა, რუსული ფაქტორის და ზოგადად რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გაუთვალისწინებლობა. დემოკრატიის სუსტმა ხარისხმა დაგვაშორა აფხაზეთს, სწორედ დემოკრატიული ინსტიტუტების განუვითარებლობის გამო არ მიგვიღეს „ნატოში". „ნატოს" მეშვეობით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დიდი შანსი გვქონდა. აგვისტოს ომის შემდეგ ახალი რეალობა ჩამოყალიბდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უფრო დავშორდით. სწორედ საქართველოს ხელისუფლების გაუთვლელმა ნაბიჯებმა მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე". (იხ.ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერთან, მანანა ნაჭყებიასთან, თბილისი, ოქტომბერი, 2008.)

პარტიის ლიდერი ამბობს, რომ „საქართველო ძალზე მყიფე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად იქცა,თვალი გავუსწოროთ რეალობას და ვაღიაროთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კი არა, ქართული სახელმწიფოს შენარჩუნების საკითხი დგას. სახელმწიფოებრიობის გადასარჩენად აუცილებელია ქვეყანა რეალურად იყოს დემოკრატიული, დაცული იყოს კერძო საკუთრება და ადამიანის უფლებები." (იხ. გაზეთი „ახალი თაობა", 22 – 28 სექტემბერი, 2008.)

Mamuli Beria – PhD student of Technical University of Georgia, program of social sciences, faculty of engineer economics, media technologies and social sciences. Currently working on PhD thesis "Georgian social and political thought and blueprints to resolve conflict of Abkhazia". Have 15 years of working experience as a lecturer in Sokhumi State University. Lecture courses: "Introduction to Politics", "Georgian Political Thought", "Political Ideologies", "Globalization and nation – state".

NEW RIGHTS PARTY'S STANDPOINTS REGARDING CONFLICT RESOLUTION OF ABKHAZIA

ABSTRACT

Even though this party doesn't play significant role in Georgian politics nowadays, their standpoints regarding the problems, related to conflict of Abkhazia, is still interesting for the sake of the history of problem analysis.

Particularly interesting is their standpoints related to new model of governance – constitutional monarchy, which in their opinion will ensure conflict resolution and real chance for coexistence in unity with Abkhazians.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.

ბადრი ფორჩხიძე – საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ავტორი მრავალი ნაშრომისა ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე, მათ შორის წიგნებისა: „პიროვნებათა ამოცნობის ისტორიულ – ფილოსოფიური ჰოროსკოპი“(2007); „სამართლის ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები“(თანაავტორი ო.მინდაძე, 2009); „არაისტორიული, ისტორიამდელი და ისტორიისშემდგომი ყოფიერების ფილოსოფია“ (2014); „ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის სოციალურ – ფილოსოფიური და ლოგიკურ – გნოსეოლოგიური საფუძვლები“ (2018). მისი ნაშრომები ხშირად იბეჭდება ჩვენს გამოცემაში

ნეოლიბერალური ფაშიზმის იდეოლოგიურ – მსოფლმხედველობრივი წანამძღვრები

ნეოლიბერალიზმი გახლავთ პოლიტიკურ – ეკონომიკური ფილოსოფიის დოქტრინა, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ჩარევას (ინტერვენციას) ადგილობრივ ეკონომიკაში. ის უმთავრეს აქცენტს აკეთებს თავისუფალ საბაზრო სისტემაზე და ისეთი სახის მეთოდებზე, რომლებიც ექვემდებარებიან მინიმალურ შეზღუდვებს საწარმოთა ფუქციონირებაში და შესაბამისად, ნაკლებ ჩარევას საკუთრების უფლებებში. ნეოლიბერალიზმის პრიორიტეტი, საგარეო პოლიტიკის სფეროში,არის უცხოეთის ბაზრების გახსნა სხვადასხვა პოლიტიკურ – დიპლომატიური და ეკონომიკური რეგულაციის მეთოდებით, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ინტერვენციის ფორმით. საერთაშორისო ბაზრების გახსნაში იგულისხმება თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფა და მუშახელის კლასიფიკაცია, სპეციალიზაციის მიხედვით.ნეოლიბერალიზმი, ისეთი მსხვილი,მულტილატერულიორგანიზაციების მეშვეობით, როგო-

რიცაა საერთაშორისოსავაჭროორგანიზაციადამსოფლიო-ბანკი, პოლიტიკურზეწოლასახორციელებს ცალკეულ სა-ხელმწიფოებზე, რომლებიც ე. წ. ახალი გლობალური მსოფ-ლიო წესრიგის კარნახს არ ემორჩილებიან. ისასევეპროპა-განდას უწევსეროვნულიმთავრობებისწარმმართველი რო-ლის მინიმუმამდე დაყვანას; კორპორაციული ეფექტურობის მისაღწევად კი, ძალ – ღონეს არ იშურებს, რათა უკიდურე-სად შეკვეცოს ადგილობრივი პროფკავშირების ზეგავლენის შესაძლებლობები, მინიმალური ხელფასის სასაზღვრო ნიშ-ნულის დადგენისა და მუშახელის კოლექტიური შეთანხმების საკითხში. ნეოლიბერალიზმი შეუთავსებადია როგორც სო-ციალიზმთან საერთოდ, ასევე კონკრეტულ სახელმწიფოებ-რივ პროტექციონიზმთან.პრაქტიკულად ცდილობს შეზღუ-დოს და შეაფერხოს მწვანეთა მოძრაობის გააქტიურებაუმ-სხვილეს საბაზრო კომუნიკაციებში. პროტექციონიზმს, რო-გორც ასეთს, დეკლარირებულად არ უარყოფს, თუმცა მას იყენებს როგორც ერთგვარი ზეწოლის მეთოდს, დიპლომა-ტიურ ურთიერთობებში, რათა აიძულოს უცხო ქვეყნები, მო-ახდინონ საკუთარი ბაზრის ლიბერალიზაცია. ნეოლიბერა-ლიზმი წინააღმდეგობაში მოდის აგრეთვე ისეთი სახის პო-ლიტიკურ და იდეოლოგიურ შეხედულებებთან, რომლებიც მოითხოვენ თანასწორუფლებიან ვაჭრობას და იმგვარ მოძ-რაობათაინიცირებას ახდენენ, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და ეკონომიკაში, პრიორიტეტულად აცხა-დებენ მუშახელის უფლებებსა და სოციალურ თანასწორო-ბას.

სანამ გადავალთ ძირითად საკვანძო საკითხზე, მანამ მიზანშეწონილია მცირე ექსკურსის გაკეთება, ლიბერალიზ-მის კლასიკური გაგების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლების მხარდამჭერ პოლიტიკურ იდეოლოგიას და ისტორიულად დამკვიდრე-ბულ განმანათლებლობის ტრადიციას.მის უმთავრეს პრინ-ციპებად დეკლარირებულია წარმომადგენლობითი დემოკ-

რატია, კანონის უზენაესობა და ეკონომიკური თავისუფლე-ბა. კლასიკურ ლიბერალიზმს საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუ-კუნის ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მარ-თალია, კლასიკური ლიბერალიზმი აგებული იყომე – 18-ე სა-უკუნის მიწურულის ევროპული განმანათლებლობის იდეებ-ზე, თუმცა, პოლიტიკურ რეალობაში იგი მხარს უჭერდა კონ-კრეტული სახის საზოგადოებას, მთავრობას და საჯარო პო-ლიტიკას, სამრეწველო რევოლუციისა და ურბანიზაციის ტოტალური გამოწვევის საპასუხოდ. კლასიკური ლიბერა-ლიზმის განვითარებაში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ჯონ ლოკმა, ჟან ბატისტ სეიმ, თომას რობერტ მალთუსმა და დევიდ რიკარდომ. მის პოლიტიკურ და ეკონო-მიკურ მიმართულებაზე გავლენა მოახდინა აგრეთვე, ადამ სმიტის ეკონომიკურმა შეხედულებებმა და ბუნებითი სამარ-თლის ფილოსოფიამ, იერემია ბენტამის უტილიტარიზმმა და გაცილებით უფრო გვიან, მოდერნულმა პროგრესივისტულ-მა იდეებმა (Dickerson 2009; 129). კლასიკური ლიბერალიზმის პოლიტიკურ – ფილოსოფიური კონცეფცია იმთავითვე დაუ-პირისპირდა რეალიზმის რაციონალურ თეორიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები ემყარებიან რაციონალური ეგოცენტრიზმის პრინციპს, რაც გულისხმობს სხვა სახელ-მწიფოებთან რეგულირებადი თანამშრომლობის პრაგმატულ შეზღუდულობას, საკუთარი ძირეული ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ამის საპირისპიროდ, ლიბერალიზმი აბსო-ლუტურ ნდობას უცხადებს ადამიანის ინდივიდუალურ პო-ტენციალს, მისი გონებრივი განვითარების უსაზღვრო პერ-სპექტივას, რომელზე დაყრდნობითაც გამოხატავს თავდა-ჯერებულ რწმენას, სახელმწიფოებრივი ჩარჩოებისა და ფარგლების გადალახვის გზით, განახორციელოს საერთო საკაცობრიო კეთილდღეობისა და ჰარმონიული თანაცხოვ-რების ჰუმანური იდეალი. საერთაშორისო ურიერთობებში ლიბერალიზმის იდეოლოგიური ჩამოყალიბება და განვითა-რება უკავშირდება თანამედროვე ლიბერალური სახელმწი-

ფოების აღორძინებას, რომლის თეორიული ბაზის შემზადებას ხელი შეუწყვეს ლოკის, ბენტამისა და კანტის მიერ ინიცირებულმა სოციალურ – პოლიტიკურმა და მორალურ – ეთიკურმა თვალსაზრისებმა. კლასიკური რეალიზმისაგან განსხვავებით, ლიბერალიზმი გადაჭარბებულ ნდობას უცხადებდა ადამიანის დადებით თვისებებს და მიიჩნევდა, რომ განმანათლებლური ზემოქმედებისა და პედაგოგიური აღზრდის საგანგებოდ შემუშავებული მეთოდების გამოყენებით, შესაძლებელი გახდებოდა ყველა სახის უარყოფითი მახასიათებლების დაძლევა და სრული აღმოფხვრა. მათი გაგებით, ამის განხორციელება მოხდებოდა ადამიანური გონების რაციონალური საქმიანობის ხარჯზე, რაც მკაფიოდ აისახებოდა საერთაშორისო საქმიანობაშიც.

ადამიანის რაციონალობის ლიბერალური გაგება მდგომარეობს საზოგადოების წევრთა კოლექტიური ინტერესების არსებობაში, რომელთა მისაღწევად, ისინი აწარმოებენ მუდმივ კომუნიკაციას, დიალოგისა და ურთიერთ ხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპით. ეს გახლავთ ბუნებრივი თანაცხოვრების საზოგადოებრივი მექანიზმი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია, არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა ურთიერთობა, არამედ საერთაშორისო დონეზე, სახელმწიფოებრივი ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობა, რომელსაც, მათი რწმენით, მოაქვს საერთო სარგებლობა ყველასათვის. ასეთი მიდგომა ძირეულად ეწინააღმდეგება კლასიკური რეალიზმის თეორიულ შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოები, წმინდა პრაგმატული მოსაზრებით, ავლენენ რაციონალური ეგოიზმის მისწრაფებას, რაც ითვალისწინებს შეფარული ქმედების შედეგად გაანგარიშებული მოგების და სარგებლობის ცალმხრივ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რაც ამავდროულად გვევლინება აქტიური თანამშრომლობის შემაფერხებელ გარემოებად.ამ ყველაფერს ლიბერალიზმი აღიქვამს როგორც ირაციონალურ შიშებს, რომლებიც, მათივე რწმენით, დაძლევა-

დია და ამ დაძლევის შედეგად მიღწეული იქნება ზოგადსაკაცობრიო პროგრესი. ყველა კატეგორიის ლიბერალი ერთნაირად იზიარებს საყოველთაო პროგრესის იდეას, თუმცა ისინი არაერთგვაროვნად მსჯელობენ იმ სირთულეებსა და დაბრკოლებათა გადალახვის პერსპექტივებზე, რომლის გადალახვაც მოუწევს კაცობრიობას, აღნიშნული პროგრესის გზაზე.

ასევე რადიკალურად განსხვავებულია, ლიბერალთა მოსაზრებები, რეალიზმის მიმდევართა შეხედულებებისგან, სახელმწიფოს საკითხთან მიმართებაშიც. თუ რეალიზმის თანახმად, სახელმწიფო წარმოადგენს ძალმომრეობის იურიდიულად სანქციონირებულ სოციალურ – პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემას, ლიბერალები სახელმწიფოს განიხილავენ, როგორც კონსტიტუციურ წარმონაქმნს, რომელიც ადგენს კანონის უზენაესობას და იღებს ვალდებულებას, მისი უზრუნველყოფის შესაბამის პირობებსა და გარემოებებზე. მაგალითად, იერემია ბენტამის სწავლების მიხედვით, აღნიშნული პრინციპების განუხრელი დაცვა სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს პატივი სცენ ერთიმეორეს და საერთაშორისო სამართლის კონვენციურად დაფუძნებულ ნორმებს, რაც გახლავთ ურთიერთანხმობისა და ორმხრივად თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველი (Bentham 1843; 85 – 89).ამიტომაცითვლება იგი ლიბერალურითეორიისერთ-ერთფუძემდებლად, რამდენადაც მან, პირველმა გამოიყენა საერთაშორისო სამართლის ცნება. ბენტამის მოსაზრება კიდევ უფრო ღრმად და ფართო მნიშვნელობით იქნა წარმოჩენილი იმანუილ კანტის მიერ, რომელიც იმედოვნებდა, რომ კონსტიტუციონალიზმის ერთგულების დამცველი სახელმწიფოების ერთიანი ძალისხმევით, საბოლოოდ დამყარდებოდა ე. წ. სამარადჟამო მშვიდობა (Кант 1994; 12 – 28).სინამდვილეში, ამჟამინდელი მსოფლიოც, ისევე როგორც წინანდელი და მოსალოდნელი, მშვიდობიანი მდგომარეობისგანიმაზე უფრო დიდი მანძილითაა დისტანცირებუ-

ლი, ვიდრე ლიბერალიზმის ზემოთაღნიშნულ, ავტორიტეტულ მამებს წარმოედგინათ. რაც უფრო იზრდება დასავლური ზესახელმწიფოებრივი სამხედრო – პოლიტიკური ძალაუფლების ჰეგემონია, კონტინენტური რეგიონების მთელ სიბრტყეზე, აღმოსავლეთით და სამხრეთით, მით უფრო ინტენსიურად იკიდებს ფეხს საერთაშორისო ტერორიზმი. თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად, ლიბერალური იდეოლოგიის კრედო კვლავინდებურად ძალაში რჩება: ტექნოკრატიული ცნობიერების მიერ ინიცირებული მოდერნიზაციის პროცესი აღიარებულია, როგორც ერთადერთი უალტერნატივო გზა კაცობრიობის პროგრესისა, ადამიანური ყოფა – ცხოვრების ყველა სფეროში. მხოლოდ მოდერნიზებული ინტეგრაციის გლობალურ ქსელშია შესაძლებელი მჭიდრო საზოგადოებრივი თანამშრომლობის უკიდეგანო ასპარეზის უზრუნველყოფა. ლიბერალური და ნეოლიბერალური დოქტრინის აპოლოგეტთათვის სადაო არაა განსხვავებულ კულტურათა და სოციუმთა ტოტალური შერწყმის, ეკონომიკური კავშირურთიერთობისა და მმართველი ინსტიტუციების იერარქიულად კონტროლირებადი სინთეზის პერსპექტივა; მათთვის გასარკვევი და დასაზუსტებელია მხოლოდ დასახული ამოცანების ტაქტიკურ ღონისძიებათა ეტაპები, მათი ტექნოლოგიური რეალიზაციის პირობები და მექანიზმები. მიუხედავად, ერთიანი სტრატეგიისა, ლიბერალიზმის იდეოლოგია წრმოდგენილია რამდენიმე განშტოების სახით, რომელთა შორის, იკვეთება ე. წ. დემოკრატიული მშვიდობის თეორია, გლობალური უსაფრთხოების თეორია, სოციოლოგიური ლიბერალიზმი, ურთიერთდამოკიდებულების თეორია და ინსტიტუციური ლიბერალიზმი. დასახელებული განშტოებებიდან, ყველა მათგანმა ერთნაირი წარმატებით ვერ დაიმკვიდრა ადგილი საერთაშორისო პოლიტიკური კონკურენციის ინტელექტუალურ სივრცეში, ვინაიდან რეალიზმის კლასიკური პოლიტიკური დოქტრინების მხრივ, წააწყდნენ დამანგრეველ კრიტიკას და შეუვალ გნოსეოლოგიურ არგუ-

მენტაციას. რაც შეეხება დანარჩენ მათგანს, მათ მოახერხეს ადაპტაცია თანამედროვე სოციალურ – პოლიტიკურ ურთიერთობებში და გადაიქცნენ, საერთაშორისო საზოგადოებაზე,ფართო და მრავალფეროვანი ზემოქმედების პროპაგანდისტულ საბაზო ცენტრებად.

ერთერთი ასეთი გავრცელებული და პოპულარული გახლავთ სოციოლოგიური ლიბერალიზმი, რომლის ძირითადი და ამოსავალი იდეოლოგიური პლატფორმა განისაზღვრება არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ანალიზით და შეფასებით, არამედ მოიცავს ტრანსნაციონალურ კავშირებსა და მიმართებებს, რაშიც წარმოდგენილნი არიან ცალკეული, მეტნაკლებად პოპულარული პიროვნებები პოლიტიკაში, ბიზნესში, შოუ – ბიზნესში, მასმედიასა და სოციალურ ქსელებში, ასევე ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, სუბკულტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოღვაწეობენ და ფუნქციონირებენ სხვადასხვა ქვეყნებში. ისინი არ ექვემდებარებიან სახელმწიფოებრივი ურთიერთობების რეგლამენტით გათვალისწინებულ მოცემულობებს და ცდილობენ, ოფიციალური სტრუქტურებისა და რგოლების გვერდის ავლით, იქონიონ მჭიდრო კონტაქტები და საქმიანი თანამშრომლობის პრაქტიკული საშუალებები. ამ მიმართულებით, ის აქცენტს აკეთებს ისეთი ტიპის აქტივობებზე და აქტორებზე, რომლებიც ცდილობენ ახლებური ორიენტირებისა და ღირებულების დამკვიდრებას, „საზოგადოებრივი პლურალიზმის“ შესატყვისიტერმინით და დევიზით. თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგის, ჯეიმს რუზენაუს განმარტებით, ტრანსნაციონალური ურთიერთობები გახლავთ ისეთი უნივერსალური კავშირები და შესაძლებლობანი, რომლებიც მკვეთრად აღემატებიან სახელმწიფოთა შორის დამყარებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებით გათვალისწინებულ შედეგებსა და მოცემულობებს; ამ გზით იქმნება სრულიად ახლებური საზოგადოებრივი ფორმირებანი, რომლებიც არა მხოლოდ თანაც-

ხოვრობენ ცალკეულ სახელმწიფოებთან ერთად, არამედ ბევრ შემთხვევაში, სერიოზულ კონკურენციას უწევენ მათსავე სახელმწიფოებს(Rosenau 1980; 109). ტრანსნაციონალურ ურთიერთობათა – „ობობას ქსელის“ სახელწოდებით გავრცელებული ერთობ მნიშვნელოვანი მოდელი შემოგვთავაზა ასევე ცნობილმა თანამედროვე ამერიკელმა სოციოლოგმა, ჯონ ბარტონმა, რომელმაც ფოკუსირება მოახდინა სახელმწიფოს იმ შემადგენელ ნაწილებზე, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვაგვარი კავშირურთიერთობები და ინტერესები. ასეთთა შორის სახელდებიან: რელიგიური ჯგუფები, ბიზნეს წრეები, პროფესიული კავშირები და სხვა. ამ სქემას ის უპირისპირებს რეალისტური სკოლის წარმომადგენელთა მიერ აპრობირებულ „ბილიარდის ბურთის“ მოდელს, რომელიც სახელმწიფოთა თანამეზობლობას და ურთიერმიმართებას ადარებს ბილიარდის ბურთების მწკრივებს, სადაც თითოეული მათგანი განასახიერებს ერთიან და მყარ სახელმწიფო სტრუქტურულ თავისებურებას; ბრაიტონს სურს დაგვარწმუნოს „ობობას ქსელის“ ტრანსნაციონალური მოდელის უპირატესობაში, რომლისთვისაც პრიორიტეტული გახლავთ განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის ხელსაყრელი ინტერესთა თანხვედრა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, ანტაგონიზმსა და კონფლიქტებთან შედარებით (Burton1993; 181 – 183).აღნიშნული ავტორების მიერ შემოთავაზებულ თეორიებში ვლინდება პიროვნულ ინდივიდთა დამოუკიდებელი ქცევის იმ შესაძლებლობათა დინამიკა, რომელიც მათი პრაქტიკული პოტენციალისა და განათლების მაღალი დონის გათვალისწინებით, არა თუ არ ექვემდებარება სახელმწიფოს სისტემის ზემოქმედების ფუნქციებს, არამედ გარკვეულ კონკურენციასაც უწევს მას მაკრო დონეზე. ასეთი სახის ინდივიდთა მიერ განხორციელებულ ოპერაციებს სულ უფრო მზარდი გავლენა აქვთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. ასე, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი მართვის მექანიზმე-

ბი მართალია, კვლავინდებურად ძალაში რჩება, თუმცა მასთან ერთად თანაარსებობს მულტი – ცენტრული მსოფლიო, რომელიც განისაზღვრება, სახელმწიფოს სტრუქტურებისგან თავისუფალ ინდივიდთა და ცალკეულ კოლექტიურ დაჯგუფებათა მიერ, რომლებიც იმყოფებიან კონკურენტუნარიან დამოკიდებულებაში ცენტრალიზებულ სახელმწიფო სტრუქტურებთან და სახელმწიფო სუვერენიტეტით შეზღუდულ აქტორებთან. რუზენაუს აზრით, ამგვარი პლურალისტური სამყარო, რომელიც შედგება ტრანსნაციონალური ქსელებისაგან, უფრო წარმატებული, ნაყოფიერი, ეფექტური და მშვიდობიანია, ვიდრე თავისთავად აღებული სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები, თუმცა იქვე ანგარიშს უწევს იმასაც, რომ ეს შესაძლოა გახდეს არასტაბილური პოლიტიკური ვითარების გამომწვევი მიზეზი, რადგან იგი ეწინააღმდეგება სახელმწიფოთა ტრადიციული კეთილმოწყობის პრინციპებს. ამის მიუხედავად, მაინც იმედოვნებს, რომ მსგავსი ტიპის კონფლიქტები ომამდე არ მიგვიყვანს, ვინაიდან რაც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება ე. წ. კოსმოპოლიტანი პიროვნებანი, რომლებიც წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებსა და გაერთიანებებში, არ მისცემენ თავიანთ სახელმწიფოებრივ – პოლიტიკურ სისტემებს მათი ანტაგონისტურ ბანაკებად დაყოფისა და გადამტერების საშუალებას. ამგვარად, სოციალური ლიბერალიზმი ცდილობს ინდივიდთა ტრანსნაციონალური კავშირები და მათ მიერ კონსტრუირებული ალტერნატიული თანამშრომლობის ინტერესთა ინიციატივები, ამა თუ იმ ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე და მათ სასიცოცხლო ინტერესებზე მაღლა დააყენონ, რაც განისაზღვრება სახელმწიფოთა ექსკლუზიური ურთიერთობის შეზღუდულობით და მასთან შედარებით, ინდივიდთა ტრანსნაციონალურ, ინკლუზიურ ურთიერთობათა მკვეთრი მრავალფეროვნებით, ეფექტურობითა და დინამიურობით, რაც უზრუნველყოფს მშვიდობიანი მსოფლიოს ნანატრ მომავალს.

რაც შეეხება ლიბერალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას, მასში მოიაზრება მთავრობები და ხალხები, რომლებიც მტკივნეულად განიცდიან სხვა ქვეყნებში მომხდარი პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების ზეგავლენას. ამ თეორიაში ერთობ პოპულარული გახლავთ „პეპელას ეფექტი“, რომელიც ერთობ პოპულარული გამონათქვამის მიხედვით, პეპლის აფრენა ერთ ქვეყანაში იწვევს მეორე ქვეყნის ქარიშხალს. ამ თეორიის მიხედვით, აზიის, აფრიკის, ევროპის, ავსტრალიისა და ამერიკის ორივე კონტინენტი თავისებურად განიცდის ყველა იმ სახის ზეგავლენას, რაც გამოწვეულია რომელიმე რეგიონში მიმდინარე მოვლენების მკვეთრი ცვლილებით. აღნიშნული თეორიის ავტორები არიან ჯოზეფ ნაიმი და რობერტ კიოჰანი, სწორედ მათ ჩამოაყალიბეს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია, გასული საუკუნის საერთაშორისო სოციალურ მეცნიერებებში გახმაურებულ ნაშრომში: „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება“(1977) (Keohane; Nye 1977).მათი აზრით, მეოცე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობები, შეიძლება დავყოთ, მეორე მსოფლიო ომამდე და და ომის შემდგომი პერიოდის ორ დიამეტრულად განსხვავებულ სტადიად: პირველ სტადიაში, საერთაშორისო პოლიტიკური მოლაპარაკების მაგიდასთან, კონფლიქტურ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყნების ლიდერთა მოლაპარაკებისას, საბოლოო და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო ძალის გამოყენებას, რამდენადაც სამხედრო ძალის ფაქტორი ასოცირდებოდა, ეროვნული უსაფრთხოებისა დათვითგადარჩენის საკითხში, „დიდ პოლიტიკასთან“, ხოლო ეკონომიკისა და სოციალური საკითხები, რომელსაც დაქვემდებარებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, „მცირე პოლიტიკასთან“. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა და საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში თანდათანობით ჩამოყალიბდა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ეპოქა, სადაც ეროვნული უსაფრთხოებისთვის ზრუნვის

ამოცანამ თანდათანობით უკანა პლანზე გადაიწია და საერთაშორისო თანამშრომლობის ეკონომიკურმა, სოციალურმა ინტერესებმა მოწინავე პოზიციები დაიკავა.ხსენებული ავტორების აზრით, აღნიშნული მოვლენა განპირობებული იყო ორი ძირითადი მიზეზით, პირველი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნებს შორის ურთიერთობა აღარ განიხილება, როგორც მარტოოდენ მათი ლიდერების მიერ წარმოებულ პოლიტიკურ მოლაპარაკებად და მიღწეულ შეთანხმებად; მეორე მიზეზი კი გულისხმობს მრავალი სახის ურთიერთობას, რომელიც მყარდება ცალკეულ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის, სახელმწიფოებრივი ურთიერთობების გვერდის ავლით. ასეთ ვითარებაში, სამხედრო ძალის გამოყენებას პრიორიტეტი ნაკლებად ენიჭება, სამაგიეროდ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი ტიპის რესურსს, როგორიცაა დიპლომატიური მოლაპარაკების წარმოების უნარ – ჩვევები. ამასთანავე დემოკრატიული სახელმწიფოები ეროვნულ უსაფრთხოებასთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთო სოციალური ინტერესების სფეროს; ამდენად, მათი აზრით, რეალიზმის დოქტრინისაგან განსხვავებით, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია წარმოადგენს უსაფრთხო და მშვიდობიანი მსოფლიოს გარანტორს (Keohane; Nye 1977; 155 – 157).

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებანი განისაზღვრებიან გრკვეული ტიპის სოციალურ – პოლიტიკური ინსტრუმენტებით, რომელთაგან ყველაზე უფრო ხელშესახები გახლავთ: ტრანსნაციონალური სუბიექტები და აქტორები, როგორიცაა არასამთავრობოორგანიზაციებიდატრანსნაციონალურიკორპორაციები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ინტერესების განხორციელებას, სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სისტემაში ძალა და ლიდერობა განისაზღვრება კულტურული და ეკონომიკური დარგების განვითარების შესაბამისად, რი-

სი ნიმუშიც გახლავთ დანია და ნორვეგია, იმის და მიხედვით, რომ მათ ეკუთვნით აღიარება სავაჭრო და გადაზიდვის ტრანსპორტის ბიზნესში, მიუხედავად იმისა, რომ არ გააჩნიათ მოწინავე იარაღით აღჭურვილი სამხედრო – საზღვაო ფლოტი. ამასთან ერთად, ავტორები აღნიშნავენ იმასაც, რომ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება არ არის ჰომოგენური ხასიათის, რამდენადაც ის ჯერჯერობით, ვრცელდება მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებზე და არა ყველგან, როგორიცაა დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსგავსი ტიპის ურთიერთდამოკიდებულებანი ახასიათებთ დემოკრატიულ, ლიბერალურ და პლურალისტური აზროვნების წამახალისებელ სახელმწიფოებს, რომელთა დომინირების როლი, მოდერნიზაციის პროცესის პარალელურად, თანდათანობით უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური ხდება. მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, დასახელებულ ავტორთა მიერ საგანგებოდ შეიქმნა უახლესი ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს მითითებული ნაშრომის ლოგიკურ გაგრძელებას და გამოცემულ იქნა სტატიის სახით, ჟურნალ საგარეო ურთიერთობებში, სათაურით: „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება საინფორმაციო საუკუნეში“(1998). მოცემულ სტატიაში გატარებულია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ახალ ეპოქაში საინფორმაციო ტექნოლოგია გახდება ყველაზე საჭირო და განმსაზღვრელი რესურსი, რითაც საფუძველი ეყრება ე. წ. საინფორმაციო რევოლუციის ხანას, რომელიც ჯერჯერობით საწყის ფაზაშია, თუმცა უკვე მან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების რამდენიმე მახასიათებელზე. ამ მახასიათებლებიდან ერთერთია საერთაშორისო სოციალური კავშირები და კომუნიკაციები, რომელმაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზემოქმედების ძალით გამოიწვია სამხედრო ძალის ფაქტორის შესუსტება, ამ უკანასკნელმა კი შესაბამისი ასახვა ჰპოვაეროვნული უსაფრთხოების სა-

ხელმწიფოებრივი ინტერესის განელების საკითხში, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობის მატარებელია. ასეთი სახის მეტამორფოზი გამოწვეულია ინტერნეტისა და ინფორმაციული საშუალებების ინტენსიური ფუნქციონირების შედეგად, რამაც ხელი შეუწყო მრავალმხრივი კონტაქტების დამყარებას სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მიუხედავად ასეთი სახის ძირეული ცვლილებებისა და გარდაქმნებისა, სამხედრო ძალა და ეროვნული უსაფრთხოება ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში, რაც ჩვენს მიერ ხსენებული ავტორების აზრით, განპირობებულია ორი მთავარი მიზეზით: ერთი მათგანი მდგომარეობს პოლიტიკური ზედამხედველობისდაწესებულებაში, სადაც არსებული კონიუქტურა ადგენს პოლიტიკურ რეგლამენტს იმისა, თუ რა სახის ინფორმაცია იქნას გავრცელებული და გაზიარებული, სადაც პოლიტიკა არეგულირებს ინფორმაციულ ველს. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ დემოკრატიული და ლიბერალური ურთიერთობების მიღმა არ მოქმედებს საერთაშორისო კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებათა სოციალური ქსელი, ვინაიდან ასეთ რეგიონებში დახშულია საერთაშორისო საინფორმაციო ველის ზემოქმედება (Keohane; Nye 1998; 75 – 77).

საინფორმაციო რევოლუციური ველის გაფართოებისა და შეღწევადობის მიზნით, ნაი და კიოჰენი გვთავაზობენ ორი სახეობის საინფორმაციო ინიციატივას: ერთერთი გახლავთ ბიჰევიორისტული (ქცევაზე დაქვემდებარებული ძალა), ხოლო მეორე, ძირითად რესურსზე დამოკიდებული ძალა. ბიჰევიორისტული ძალა ორი ქვესახეობით არის წარმოდგენილი, სადაც ერთერთი განასახიერებს რბილ ძალას, რომლის პრინციპიც განისაზღვრება, ძალდატანების გარეშე, ისეთი სახის ინფორმაციული ზემოქმედების მოხდენაში, რომელიც წაახალისებს კონკრეტული ადრესატის უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზთა მიმართ პროტესტანტულ ემო-

ციებსა და განწყობილებებს, რაც, ადრე თუ გვიან, გამოიწვევს ამ მდგომარეობით დაინტერესებული მხარის სასურველ შედეგს. მეორე ქვესახეობას კი, წარმოადგენს ხისტი ძალა, რომელიც მიმართულია მუქარის, სანქციების და სხვა სახის მკაცრი ზემოქმედების გზით, აიძულოს ობიექტი, გააკეთებინოს სასურველი შედეგის შესაბამისი საქმე. სანქციებში იგულისხმება როგორც ეკონომიკური ბერკეტები, ასევე სამხედრო ძალის გამოყენება, საერთაშორისო კოალიციური წევრი სუბიექტების მხრიდან. რაც შეეხება ძირითად რესურსზე დამოკიდებულ ძალას, ასეთად მიჩნეულია უახლესი საინფორმაციო პიარ – ტექნოლოგია, რომელიც თანამედროვე ეპოქის მეთოდოლოგიურ რესურსადაა შერაცხული. ნაშრომის ავტორები ითვალისწინებენ იმასაც, რომ ინფორმაციული პიარ – ტექნოლოგიების ერაში გარდაუვალია ჭარბი ინფორმაციების გავრცელება, რასაც შედეგად მოსდევს ყურადღების მოდუნება, ერთი მიმართულებით და იმავდროულად, ყურადღების გამახვილება სხვა მიმართულებით, რაც დამოკიდებულია გავრცელებული ინფორმაციის სანდოობაზე. სანდოობის საკითხი განისაზღვრება არა მარტო ინფორმაციის გამავრცელებლისგან, არამედ მიმღებისგანაც, რადგან ამ უკანასკნელმა უნდა განსაჯოს, თუ რამდენად სანდო წყაროებთან აქვს შეხება და რომელ მათგანს მიანიჭოს უპირატესობა. სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს გააჩნიათ ვეებერთელა რესურსი იმისა, რომ მათი თავისუფალი შეღწევის საინფორმაციო დიაპაზონში, მოიგონ ყველა ძირითადი საინფორმაციო ომი და მიაღწიონ სანდოობის უმაღლეს ნიშნულს, იმისდა მიუხედავად, რამდენად სასურველ ინფორმაციას მიაწოდებენ ისინი შესაბამის ადრესატს, მისი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესთა საწინააღმდეგოდ. მათი აზრით, თანამედროვე პოლიტიკური დაპირისპირება განისაზღვრება საინფორმაციო ომის პრინციპებით, რომელშიც თითოეული

მოწინააღმდეგე ცდილობს გააცამტვეროს საპირისპირო მხარის ინფორმაციის სანდოობა და საკუთარი ინფორმაციის დამაჯერებლობა უზრუნველყოს. ასეთნაირი მაღალტექნოლოგიური და პროფესიონალური წყაროების არსებობა სინამდვილეში უკვე აპრობირებულია,რისი ნათელი დადასტურებაც გახლავთ ბიბისის საინფორმაციო სააგენტო.

თავისი შინაგანი არსით და დანიშნულებით, ნებისმიერი თანამედროვე ლიბერალური და ნეოლიბერალური სოციალურ – პოლიტიკური იდეოლოგიები ემსახურებიან მსოფლიოს ხალხებზე ბატონობის მოსურნე იმპერიალისტურ კლანებს, რომელთაც ხელთ უპყრიათ საერთაშორისო ბაზარზე ზემოქმედების ძირითადი ფინანსურ – ეკონომიკური, სამართლებრივი და სტრატეგიულ – პოლიტიკური ბერკეტები; მათ მიერ შემოუშავებული ინფორმაციული პიარ – ტექნოლოგიები გახლავთ ეფექტურად მოქმედი გლობალური დაწესებულები და საორგანიზაციო ცენტრები, რომელთა მიერ მართული სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციები, მსოფლიოს უმრავლეს რეგიონებში, დეტალურად აკონტროლებენ მათ საინფორმაციო ველში მოქცეულ უკლებლივ ყველა სახელმწიფოს, იმ სახელისუფლებო და ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლობის მიერ, რომელთაც ისინი არჩევენ საგანგებო დამუშავების, ზომბირებისა და დრესირების შედეგად, იმ განზრახვით, რომ მათ ზედმიწევნით თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად აღასრულონ შესაბამისი ინსტრუქტაჟით გათვალისწინებული ვალდებულებანი, რათა ოპერატიულად და ეფექტურად გაართვან თავი მათზე დაკისრებულ ამოცანებს. ლიბერალიზმის, დემოკრატიის, ტოლერანტობის, ადამიანთა უფლებების, ემანსიპაციის, რასიზმის, ქსენოფობიის, სიძულვილის ენის საწინააღმდეგო ყბადაღებული კამპანიები, ანტიდისკრიმინაციული კანონები, აგრეთვე ამ ბოლოხანებში აჟიტირებული, პოლიტკორექტულობის სტანდარტები, და სხვა წარმოადგენენ იმ იდეოლოგიურ – პროპაგანდისტული ზემოქმედების მოქნილ

ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, რომლითაც ამსაერთაშორისო იმპერიალისტურ ტექნოკრატიულ მონსტრებსა და კლანებს ხელთ უპყრიათ აზარმაზარი ძალაუფლება ყველა კონტინენტზე, მილიარდობით ადამიანის დასამონებლად და დასაკაბალებლად. ამ იდეოლოგიებითა და გლობალური პოლიტიკური ზემოქმედების ნაცადი ბერკეტებით, ისინი ერთიანად უპირისპირდებიან ტრადიციული საზოგადოებების, მამა – პაპური ოჯახების, ეროვნულ – სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ნიშანდობლივ წეს – ჩვეულებებს, პრინციპებს, ღირებულებებს, ფუნდამენტურ რელიგიურ სიწმინდეებს და პატრიოტულ გრძნობებს, რომელთა უმკაცრესი დათრგუნვისა და უკიდურესი დაკნინების მიზნით, ფინანსურ – ეკონომიკური ხელშეწყობის, სამართლებრივი მანიპულირების და პოლიტიკური პროტექციონიზმისა დასხვადასხვაგვარი აქტიური მხარდაჭერის ფორმით, ინიცირებას ეწევიან ანტისოციალური, ანტისახელმწიფოებრივი, მარგინალური ელემენტების, სექტანტური წარმონაქმნების, ფემინისტური ჯგუფების და ე. წ. სექსუალური უმცირესობების მობილიზების მიზნით, რომლებიც განთავსებულნი არიან როგორც ამა თუ იმ, სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებში, ასევე სახელისუფლებო გუნდში და ოპოზიციურ პარტიულ სპექტრში.აღნიშნულ დესტრუქციულ ელემენტებსა და წარმონაქმნებს ენიჭებათ შეუვალი იმუნიტეტის ტოლფასი უფლებები და განსაკუთრებული პრივილეგიები, რათა მათი გამოყენებით, გლობალურმა იმპერიალისტურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და საერთაშორისო საბაზრო ბიზნეს ცენტრებმა, დაუბრკოლებლად ძარცვონ და გაანიავონ როგორც ცალკეული ქვეყნების ბუნებრივი წიაღისეული და სიმდიდრეები, ასევე ამ ქვეყნების მთელი მოსახლეობა, გარდა ამისა, ისინი ყოველნაირად ცდილობენ, ცხოვრების ყველა სფეროში, მათ მიერ დაქირავებული და ორგანიზებული ფილიალ – სამინისტროების მარიონეტუ-

ლი ჩინოვნიკური კადრების მეშვეობით, გეგმაზომიერად გაატარონ ისეთი სახის ე. წ. რეფორმები და ექსპერიმენტები, რითაც ისინი წარმატებით უზრუნველყოფენ მასობრივ სიღატაკეს, გაუნათლებლობას და ტოტალურ უმუშევრობას. მასობრივი სიღატაკე არის ერთერთი მოხერხებული პირობა იმისა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობამ ვერ შეძლოს თავისი ბუნებრივი უკმაყოფილებისა და პროტესტის ორგანიზებული ფორმით გამოხატვა და ზემოაღნიშნული ფილიალ – სამინისტროების სტრუქტურებისა და ინსტიტუციების პარალიზების მიზნით, ქმედითი ღონისძიების გატარება. მასობრივი გაუნათლებლობა ასევე მომგებიანია, იმისათვის, რომ უცოდინარი ხალხი ადვილად დაექვემდებაროს სხვადასხვა ცბიერ და თაღლითურ შემოთავაზებებს, რათა არ გააჩნდეს ბნელ მასას არავითარი კუტურული, ისტორიული და ტრადიციული მემკვიდრეობის მიმართ რაიმე გარკვეული წარმოდგენა და შესაბამისად, არ ფლობდეს ეროვნულ თვითშეგნებას და მის შესატყვის ღირებულებათა სისტემას, რომლის დაცვისა და შენარჩუნების სურვილიც გაუჩნდება მას, მოსალოდნელი გამოწვევების ვითარებაში. ტოტალური უმუშევრობა გახლავთ ერთობ ხელსაყრელი ფონი, იმისა, რომ დაპირებული სამუშაოს სანაცვლოდ, მოქალაქეთა დაყაჩაღებაში ხელგაწაფულმა კომერციულმა ფირმებმა და საბანკო სისტემებმა, ხანგრძლივი დროის მანძილზე მოახდინონ შრომისუნარიანი ფენების დაკაბალება, მათი უძრავ – მოძრავი საკუთრების მითვისება და მთელი სამუშაო ძალის მიმართ განუხრელი ექსპლოატაცია. ასევე მნიშვნელოვანია ფუნდამენტური რელიგიისა და ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტების დაკნინებაც, რადგან ამ გზით, ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოება გახდება სრულიად ქმედუუნარო, იმისათვის, რომ მან წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტური ექსპანსიის შემოტევას, ყველა სახის ფრონტზე, რათა ერთიანად ამოიწუროს და გამოიფიტოს როგორც სულიერი ასევე ფიზიკური რესურსი იმისა, რომ ეროვნულ – სახელმწიფოებ-

რივი, ეთნო – სოციალური და კულტურულ ისტორიული მემ-კვიდრეობა თვალსა და ხელს შუა დაიკარგოს და უკვალოდ გაქრეს.

ასეთი სავალალო პერსპექტივა, რომელიც ემუქრება კულტურულ – ისტორიულ ერებს, იკვეთება გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც ე. წ. ლიბერალური და ნეოლიბერალური პოლიტიკური დოქტრინები აშკარად ღებულობენ ფაშისტური მენტალობისა და ცნობიერებისათვის დამახასიათებელ სიმპტომებს. ამის საილუსტრაციოდ, მიზანშეწონილია გავიხსენოთ ამერიკის ცნობილი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის ერთგვარი გაფრთხილება, თუ წინასწარმეტყველება: Ronald Reagan: „If Fascism Ever Comes to America, It Will Come in the Name of Liberalism“(თუ ოდესმე ამერიკაში ფაშიზმი დამკვიდრდება, ის დამკვიდრდება ლიბერალიზმის სახელით). ამ მხრივ ასევე ძალზე ანგარიშგასაწევია ცისფერების გურუდ შერაცხული მაიკლ სვიფტის ე. წ. „გეების მანიფესტი“, სადაც ის აქვეყნებს შეუნიღბავ მუქარას, იმის შესახებ, თუ როგორ დაიმკვიდრებს გაბატონებულ მდგომარეობას სექსუალური გაუკუღმართება, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლების მიერ როგორ მოხდება მსოფლიოს ყველა წარმმართველი ბერკეტების დაუფლება და განკარგვა, ამასთანავე როგორ უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებენ ისინი როგორც ტრადიციული ოჯახის, რელიგიებისა და მორალის მქადაგებლებს, აგრეთვე მათი მხარდამჭერი ჰეტერო – სექსუალური ქორწინების მიმდევრებს (Swift 1887).

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლიბერალური და ნეოლიბერალური პოლიტიკური იდეოლოგიები უკვე იმ საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის დონეზე ამაღლდნენ, რომ მნიშვნელოვან ძალისხმევას აღარ მიმართავენ თავიანთი ანტისოციალური და ანტისახელმწიფოებრივი სულისკვეთების შესანიღბავად, უფრო მეტიც, შენიღბვისა და კონსპირაციის ნაცვლად, ისინი უკვე ღიად ეწე-

ვიან სახელმწიფოებრივი კონტროლისგან დამოუკიდებელი, ტრანსნაციონალური კორპორაციული ურთიერთთანამშრომლობისა და ეროვნულ – სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების მიმართ, სხვადასხვა გლობალური მექანიზმებითა და პიარ – ტექნოლოგიებით სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის პროპაგანდას, რაც მათი წარმმართველი პოლიტიკური ცენტრებისა და ორგანიზაციების მხრიდან აღიქმება, როგორც თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიისთვის ნიშანდობლივი საერთაშორისო თანაცხოვრების პროგრესული ნორმა და არსებითი განმსაზღვრელი პრინციპი.

ლიტერატურა:

1. Bentham Jeremy., "Critique of the Doctrine of Inalienable, Natural Rights", in Anarchical Fallacies, vol. 2 of Bowring (ed.), Works, 1843.
2. Burton John W., "Conflict Resolution as a Political Philosophy." In Dennis J.D. Sandole and Hugo van der Merwe, eds. Conflict Resolution Theory and Practice: Integration and Application. Manchester and New York: Manchester University Press. 1993.
3. Dickerson M. O. et al., An Introduction to Government and Politics: A Conceptual Approach., 2009.
4. Keohane O Robert; Nye Jr Joseph., Power and interdependence., Boston : Little, Brown. 1977.
5. Keohane O Robert., Nye Jr Joseph. „Power and interdependence in the information age,” Foreign Affairs, Sept/Oct 1998.
6. Rosenau James., The Study of Global Interdependence: Essays on the Transnationalism of World Affairs. New York: Nichols. Qouted in Jackson and Sorensen, 1980.
7. Michael Swift: "Gay Revolutionary" From Gay Community News, Feb. 15 – 21, 1987.(reprinted from The Congressional Record, with preface restored).
8. Кант И. Идея всеобщей истории во всемирно – гражданском плане // Соч.: в 8 т. М., 1994.

9. ronald+reagan+on+liberal+fascism&rlz=1C1GGRV – ruGE867GE867&oq=rona&aqs=chrome

Badri porchkhidze – Academican of the Academy of Philosophical Sciences of Georgia, Doctor of Philosophy, Assoc. Professor of Kutaisi AK. Tsereteli State Universithy, author of many labour, about topical problems of Philosofhy, Including books: “Historical – philosophical horoscope of personality recognition” (2007); “Actual Problems of Law Philosophy” (Coauthor O. Mindadze 2009); “The philosophy of non – hisictoric, prehistoric, and post – historic being” (2014); "The Social – Philosophical and Logical – Gnosiological Basis of Oratory Art and General Rhetoric"(2018). His works are often printed in our publications.

THE IDEOLOGICAL – WORLD VIEW SPRE CONDITIONS OF LIBERAL FASCISM

ABSTRACT

Neoliberalism is the doctrine of political – economic philosophy, which is fundamentally opposed to state intervention in the local economy.It focuses primarily on the free market system and such kindsof methods, which are subject to minimum restrictions on the operation of enterprises and consequently, less interference with property rights.The priority of neoliberalism in the field of foreign policy is to open foreign markets, through various political – diplomatic and economic regulation methods, also, if necessary, in the form of military intervention.

Neoliberalism is incompatiblewith socialism in general, as well as a particular state of protectionism.It does not deny protectionism as formally, but uses it as a method of pressure in diplomatic relations, to force foreign countries to liberalize their market.Modern liberal and neoliberal political ideologies have already risen to the level of international political conjuncture that

they will no longer make significant efforts to embody their anti – social and anti – state spirit,moreover, instead of disguise and conspiracy, they are already openly propagandizing transnational corporate relations, independent of state control.With global mechanisms and PR technologies, they are seriously resistance to state institutions,what is perceived as the progressive norm and the essential defining principle of international coexistence by their leading political centers and organizations that is characterized to modern liberal democracy.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.

მამული ბერია – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებების პროგრამის დოქტორანტი. მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე „ქართული საზოგადოებრივ – პოლიტიკური აზროვნება და აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზები“. აქვს 15 წლიანი სამუშაო გამოცდილება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხულობდა ლექციების კურსს: „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“, „ქართული პოლიტიკური აზროვნება“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „გლობალიზაცია და ერი – სახელმწიფო“. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ და პოლტიკურ საქმიანობას.

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის პოზიციები აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში განსაკუთრებული ადგილი უკავია „რესპუბლიკური პარტიის“ შეხედულებებს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის შესახებ. აფხაზეთის კონფლიქტის პრობლემის მოგვარების თაობაზე ამ პარტიის ხედვა ეფუძნება „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“ კონცეფციაში ჩამოყალიბებულ მიდგომებს.

„არსებულ პოლიტიკურ რეალობაზე, შესაბამის საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რეგიონალიზმისა და ფედერალიზმის პრინციპების შერწყმის საფუძველზე შემუშავებულია საქართველოს ტერიტორიულ – სახელმწიფოებრივი მოწყობის სპეციფიკური მოდელი. ეს მოდელი შესაძლებლობას იძლევა ანგარიში გაეწიოს აფხაზეთის და აფხაზობის ისტორიულად და სამართლებრივად ჩამოყალიბებულ გამორჩეულობას საქართველოს სხვა რეგიონების, კულტურული, ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებების ფონზე. კონცეფციაში დეტალურად არის განხილული

საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული პოლიტიკურ – სამართლებრივი სტატუსი, ამ სტატუსიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები. განსაზღვრულია აფხაზეთის განსაკუთრებული უფლებამოსილებათა კონკრეტული ნუსხა, შემოთავაზებულია დამატებითი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ აფხაზთა თვითმყოფადობის დაცვისა და განვითარების პირობებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და სხვა სფეროებში" (იხ. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია", საარჩევნო პროგრამა, თბილისი, 2008).

ამ კონცეფციით, პირველად კონკრეტულად განისაზღვრა ფედერალური ურთიერთობის შინაარსი აფხაზეთთან მიმართებაში. ისინი სთავაზობენ ქართულ საზოგადოებას, აფხაზურ მხარეს და მსოფლიო თანამეგობრობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თავისებურ გზას.

ამ კონცეფციამ, როგორც ქართული პოლიტიკური სპექტრის მხრიდან ისე საზოგადოების მხრიდან დიდი კრიტიკა გამოიწვია. პოლიტიკური პარტიები და ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეები ემიჯნებიან მას ელექტორატის დაკარგვის შიშით. უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში მის ავტორობაზე უარს ამბობენ თვით ზოგიერთი მისი შემოქმედნი. მაინც რა საშიშროება იმალება ამ კონცეფციაში? რა არის აქ მიუღებელი ქართული საზოგადოებისთვის? აღსანიშნავია ისიც, რომ თავის დროზე ის საკმაოდ ყბადაღებული იყო და მასმედიის საშუალებები წლების განმავლობაში დიდ ყურადღებას უთმობდნენ მას. არსებითად საქმე რაშია? ფაქტიურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე აქ ლაპარაკი არც არის, აქ ლაპარაკია აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის მათეულ ვერსიაზე, რომელმაც შეიძლება რეალურად დაარღვიოს ქართული სახელმწიფოებრივი სხეული. კონცეფციის ავტორები არც ახსენებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დადებით კონტექსტში.

უპირველეს ყოვლისა, მთავარია, ყურადღება გავამახვილოთ კონცეფციის საყრდენ დებულებებზე. უმთავრესი არის ის, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ცხადდება საქართველოს წევრ სახელმწიფოებრივ ერთეულად. ეს ტერმინი ნახმარია მრავლობით რიცხვში. ეს არის პირდაპირ საქართველოს დანაწევრება, ანუ საქართველოს დღევანდელი სამართლებრივი სხეულის, სამართლებრივი სივრცის შეცვლა სახელმწიფო წარმონაქმნთა ერთობლიობის მოდელით. კონკრეტულად აფხაზეთთან, როგორც სახელმწიფოებრივ ერთეულთან იდება ხელშეკრულება, რაც პირდაპირ მიუღებელია საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის და მისი ერთიანობის დამანგრეველია. ხელშეკრულება თავისთავად არის ის დოკუმენტი, რომლის დარღვევა შეიძლება. მუდმივი ხელშეკრულების ცნება არ არსებობს. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ძველი სამართლებრივი სტატუსი (ავტონომიის) გაუქმებული იქნება. თუმცა ავტორები ამბობენ, რომ ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ აფხაზეთს საქართველოდან გასვლის უფლება არა აქვს, მაგრამ ხელშეკრულების გაუქმების უფლება ბუნებრივია ნებისმიერ მხარეს აქვს. რადგან ხელშეკრულება თავისთავად გულისხმობს ნებაყოფლობითობას მის დადებაში, აგრეთვე ნებაყოფლობითობას გასვლაში. აფხაზებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩვენ გადმოგვაბრალონ ხელშეკრულების შეუსრულებლობა და გავიდნენ ამ ხელშეკრულებიდან. ისინი მას გაუქმებენ საკუთარი ლეგიტიმური, ცალმხრივი სტრუქტურების მეშვეობით ან რეფერენდუმის მეშვეობით. ერთი საგულისხმო მომენტი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების დროს დემოგრაფიული ბალანსი მეორე მხარის სასარგებლო იქნება. ამ კონცეფციით, აფხაზეთის დღევანდელი, მთელი მსოფლიოს მიერ უკანონო ცნობილი უკანონო რეჟიმი ხდება ლეგიტიმური. ანუ ეთნოწმენდაში, გენოციდში,საქართველოს ტერიტორიულ რღვევაში, ცენტრალური ხელისუფლე-

ბის წინააღმდეგ ამბოხსა და მრავალი სახელმწიფო და საკაცობრიო დანაშაულის შემოქმედი და თანამონაწილე რეჟიმი ხდება კანონიერი! მეორეს მხრივ ამ რეჟიმის ლეგიტიმაცია სხვა თვალსაზრისითაც ხდება; ის წარმოისახება, როგორც აფხაზეთის მოსახლეობის ნების გამომხატველი ორგანო და ამ თვალსაზრისით დევნილები, 300 000 ქართველი, არ არიან ამ პროცესის სუბიექტები და თუ იქიდან გამოდევნილი მოსახლეობის ორ მესამედს არ იქნება არჩევანისა და თავისი აზრის გამოხატვის უფლება. შეიძლება აფხაზური მხარის ლეგიტიმურად მიჩნევა? ამდენად ამ კონცეფციით დევნილები არ არიან აფხაზეთში მიმდინარე პროცესების მონაწილეები, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ დევნილების უდიდესი ნაწილი ამ კონცეფციის ავტორთა წარმოსახვით აფხაზეთში არ უნდა დაბრუნდნენ, რათა იქ არ შეიცვალოს დემოგრაფიული ბალანსი, ანუ არ მოხდეს იმ დემოგრაფიულ სურათს აღდგენა, რაც ომამდე იყო.

ამ კონცეფციის ფუნდამენტური ნაწილი უზარმაზარ საფრთხეს შეიცავს არა მარტო აფხაზეთის, არამედ სხვა ტერიტორიის თვალსაზრისითაც. აფხაზეთი ცხადდება საქართველოს არა ნაწილად, არამედ წევრად. ჩვენ ვიყავით საბჭოთა კავშირის წევრი, ახლა გვინდა ევროკავშირის წევრობა და კონცეფციის ავტორთა აზრით, საქართველოს ასეთივე წევრი უნდა იყოს აფხაზეთიც! უფრო მეტიც, იქ წევრ სახელმწიფოებზეა ლაპარაკი, რომელებშიც უნდა ვივარაუდოთ, არა მარტო აჭარა, არამედ სამეგრელოც და საქართველოს სხვა რეგიონებიც. ამდენად ეს ძალზე სახიფათო ტენდენციაა.

ამ კონცეფციის მიხედვით ფორმულირებულია სახელმწიფოებრივი მოწყობის შემდეგი ფორმა: სუვერენული აფხაზეთი სუვერენული საქართველოს შემადგენლობაში, რაც თავისთავად გაურკვევლობას იწვევს და კითხვებს ბადებს. ვერც საქართველოს პრეზიდენტი და ვერც პარლამენტი პირდაპირ ვერ ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას. კოლიზიის შემთხვევაში საქმე სასამართლომ უნდა გაარჩიოს.

ამ კონცეფციის ავტორებმა, თავიანთ პოლიტიკურ – სამართლებრივ შეხედულებებს შესაბამისი ისტორიული დასაბუთება მოუძებნეს. კონცეფციაში პირდაპირ წერია, რომ საქართველო ყოფილა აფხაზებისა და ქართველების სამშობლო. ხოლო აფხაზეთი მხოლოდ აფხაზების სამშობლო, სადაც ქართველები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ. ფაქტიურად ასაბუთებენ, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის. „რესპუბლიკურ პარტიას" თავისი პოზიციები აფხაზეთთან დაკავშირებით აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში არ შეუცვლია. პარტიის მესვეურებს ის ყბადაღებული კონცეფცია ფუნდამენტურ და შეუცვლელ მიდგომად მიაჩნიათ. მათი აზრით ამ კონცეფციას ალტერნატივა არ აქვს – ქართველებისა და აფხაზების ერთობლივი სახელშეკრულებო სახელმწიფო.

Mamuli Beria **–** PhD student of Technical University of Georgia, program of social sciences, faculty of engineer economics, media technologies and social sciences. Currently working on PhD thesis "Georgian social and political thought and blueprints to resolve conflict of Abkhazia". Have 15 years of working experience as a lecturer in Sokhumi State University. Lecture courses: "Introduction to Politics", "Georgian Political Thought", "Political Ideologies", "Globalization and nation – state".

REPUBLICAN PARTY OF GEORGIA'S STANDPOINTS REGARDING CONFLICT RESOLUTION OF ABKHAZIA

ABSTRACT

The following article reviews the standpoints of Republican Party of Georgia, regarding the conflict of Abkhazia. The views of the party are based on the ideas solidified in the concept "About special status of Abkhazia, within Georgia".

Abovementioned concept of Republican Party of Georgia suggests establishing federal relationships, in other words – establishment of contractual state with Abkhazia, which carries colossal risks, not only for Abkhazia, but also for other territories of Georgia.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკის ფილოსოფიის განყოფილებამ.

სოციოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია

SOCIOLOGY AND SOCIAL PSYCHOLOGY

მექი ლობჟანიძე – ფილოსოფიის დოქტორი, ფროფესორი, თბილისის ღია უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი. მუშაობს სოციალური ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები მეცნიერების ამ სფეროში. არის მონოგრაფიის ავტორი.

კახა ქეცბაია – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), სოციოლოგიისა (თეორიული, დარგობრივი და მეტასოციოლოგია) და რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას.

მარსელ მოსი: რელიგია და სიმბოლური გაცვლა ტრაიბალურ სოციუმებში

რელიგიის სოციოლოგიაში დიურკემთან ერთად მის დისშვილს, ცნობილ ეთნოგრაფსა და სოციოლოგს მარსელ მოსს (1872-1950) მოიხსენიებენ ხოლმე. პირველყოფილი რელიგიების მიმართ ინტერესი მან ჯერ კიდევ ახალგარდობაში გამოავლინა. მოსმა ტრაიბალურ საზოგადოებაში ურთიერთობის ისეთი ფორმის სპეციფიკა შეისწავლა, როგორიცაა გაცვლა (მატერიალური საგნების გაცვლა – საკვები, შრომის იარაღები, ასევე ქალები და სხვ.).[1] მისი კვლევების თანახმად გაცვლას ტრაიბალურ საზოგადოებაში მორალური საზრისი აქვს. მან ერთ-ერთმა პირველმა აჩვენა, რომ სხვადასხვა სოციუმისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ფიზიკური,

[1] ტრაიბალური წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან tribus – გვარი და სიტყვასიტყვით გვაროვნულს ნიშნავს.

ფიზიოლოგიური გამოვლინენები „სხეულის ტექნიკისა“. მოსის იდეებმა რელიგიის კვლევაში შესაძლებელი გახადა რელიგიის როლისა და რელიგიურ სიმბოლოთა გამოყენების შესახებ არსებული ერთობ სოციოლოგიური გაგებიდან მთლიანად ადამიანური აზროვნების შესწავლაზე გადასვლა.

ტრაიბალურ და შეიძლება თანამედროვე საზოგადოებაშიც გაცვლა ჩუქების, ძღვენის მირთმევის სახით ხორციელდება და ორმხრივი ხასიათი აქვს. მოსი ამ ფაქტის სიღრმისეულ ანალიზს ახდენს. იგი ძღვენის მირთმევას ტოტალურ ფაქტად განიხილავს, რომელიც არქაული საზოგადოების ყველა სფეროს განმსჭვალავს. სიმბოლური გაცვლა ტოტალური ეკონომიკური გაცვლის ძირითადი ელემენტია, რომელსაც მუდმივად აქვს ადგილი არქაული საზოგადოების სეგმენტირებულ ნაწილებს შორის. არქაულ საზოგადოებაში გაცვლა არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ ჯგუფებსა და ბელადებს შორისაც ხდება, რომლებიც კლანებს, ერთობას განასახიერებენ. ძღვენის მირთმევის არსებული სისტემა ფარული უტილიტარული ხასიათის მქონეა და სოციალურად ნორმირებულია. ბუნებრივია, ძღვენის მირთმევის წესი მაგიური და რელიგიური წარმოდგენებით რეგულირდება. საგულისხმოა, რომ მოსი ჩუქებისა და ძღვენის მირთმევის მსგავს წესებს შედარებით ცივილიზებულ საზოგადოებებშიც პოულობს, მაგ., რომაულ, ინდურ და ჩინურ სამართლებრივ და რელიგიურ ტექსტებში. ძღვენის მირთმევა, როგორც სიმბოლური გაცვლის ფორმა, ნებისმიერ საზოგადოებაში ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებისთვის არის აუცილებელი.[1]

მაგია, რელიგია, საზოგადოება: მოსის კვლევებმა აჩვენა, რომ რელიგია და სოციალური რეალობა ერთმანეთს მოიცავენ, რომ რელიგიური, მაგიური რიტუალები სოციალური ბუნების მატარებელია. ამის მაგალითს, მოსის აზრით,

[1] თანამედროვე სოციოლოგიაში სოციალური გაცვლის თეორეტიკოსები ჯ. ჰომანსი და პ. ბლაუ არიან.

ლოცვა იძლევა, რომელიც ერთობ ინდივიდუალური და კერძო ხასიათის მქონე მოვლენაა, რომლის მიუხედავად, მასში მაინც ჩანს სოციალურ სინამდვილესთან კავშირი. დღეს ჩვენ ლოცვას განვიხილავთ როგორც შინაგანი გამოცდილების ფორმას, რაც საკუთარ გულში ღმერთთან საუბრს ნიშნავს. მოსს მიაჩნია, რომ ისტორიულად ლოცვები ყოველთვის ვოკალიზებული იყო და საჯარო ხასიათი ჰქონდა. ცნობილია, რომ მრავალი არქაული საზოგადოება კერძო, ინდივიდუალურ ლოცვებს კრძალავდა. ფაქტობრივად, ინდივიდუალური ლოცვა საჯარო ცერემონიების მემკვიდრედ გვევლინება, რომლებშიც კოლექტიური წარმოდგენები ინდივიდუალური ცნობიერების ელემენტები ხდებიან. ამ შემთხვევაში კოლექტიური წარმოდგენების ინტერნალიზებასთან გვაქვს საქმე. იგივე ეხება მაგიას, რომელსაც, ერთი შეხედვით, საზოგადოების გავლენა არ შეხებია. დიურკემისაგან განსხვავებით, მოსს მიაჩნია, რომ მაგია სოციალური ბუნების მატარებელია. ამ საკითხის გასარკვევად იგი ერთმანეთს ადარებს მაგიურ და რელიგიურ რიტუალებს და აღნიშნავს, რომ რელიგიური რიტუალები ყოველთვის კოლექტიური და ოფიციალური ხასიათის მატარებელია, მაშინ როდესაც მაგიას კერძო და არალეგალური ხასიათი აქვს. თუმცა მოსი ა. იუბერთან ერთად ამტკიცებდა, რომ მაგიაც იმ იდეების, ნივთებისა და მოქმედებების წრეზეა დამოკიდებული, რაზედაც რელიგია. იგი ყოველთვის რომელიმე რელიგიური წარმოდგენიდან არის ნაწარმოები. ძალები, რომლებსაც მაგები, შამანები მსხვერპლის მოსაკლავად ან ნადირობაში წარმატების მისაღწევად მოუხმობენ, ყველასათვის, მთელი ტომისათვის საერთო სულიერი ძალის ნაირსახეობებია, რომლებსაც წყნარი ოკეანის კუნძულზე მცხოვრები აბორიგენი ტომის უმრავლესობა მანას უწოდებს. თუმცა ეს სულიერი ძალა სოციალური ბუნების მატარებელია, რამდენადაც ინდივიდზე კოლექტივის ძალაუფლებას განასახიერებს.

ოფიციალური რელიგია მას თავისი კოლექტიური მიზნებისათვის იყენებს, ხოლო მაგი – თავისი პირადი ამოცანების განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში აშკარაა რელიგიასა და სოციალურ რეალობას შორის კავშირი, რაც მოსისა და დიურკემის რელიგიის დეფინიციას განაპირობებს. მათ მიხედვით რელიგია სულაც არა არის ილუზია. იგი რეალური ფაქტის – საზოგადოების ძალაუფლების განსახიერებაა. არქაულ სოციუმებში მანა კონკრეტული რეალობაა. უფრო სწორად, ემოციური ენერგია რომელიც ადამიანებს შორის ცირკულირებს და მათ შინაგანად, მისტიკურად აღძრავს. მოსი ამტკიცებდა, რომ მაგია ხშირად ეფექტურობით გამოირჩეოდა, კერძოდ იქ, სადაც მაგების სჯეროდათ და თაღლითებად არ მიაჩნდათ. თავიანთი რწმენის ძალით მაგები ადამიანებზე ემოციურ ძალაუფლებას აღწევდნენ და მაგია რეალურ სუბსტანციად იქცევა, რომელიც სოციალურ ატმოსფეროში ემოციური აღგზნების სახით ცირკულირებს. ტომის იმ წევრისთვის, რომელსაც მაგიის სჯერა, თოჯინა ვუდუსგან მიღებული წერილი სიკვდილის ტოლფასია. ამ შემთხვევაში ეს თოჯინა თვით ამ წევრს განასახიერებს. სოციოლოგიური თვალსაზრისით, მაგია არა მხოლოდ ახირებული უცნაური ჩვეულებაა, არამედ თავისი წარმომავლობით სოციალური ფენომენია, რომელიც ინდივიდუალური ცნობიერების ელემენტი და სოციალური უპირატესობებისათვის ბრძოლაში პიროვნული სტრატეგიის ნაწილი ხდება. იგი აგრეთვე აჩვენებს იმას, რომ სოციალური ძალები უხილავ ღრუბლებად კი არ კიდია საზოგადოების თავზე, არამედ ინდივიდებს შორის ცირკულირებს და მათი ინტენსივობის გაზომვა სოციოლოგს ხელეწიფება. ამ ძალების სოციალური ცირკულაციის გენერატორს რიტუალები წარმოადგენენ. მაგიისა და მაგიური ძალების მოსისეული ანალიზი იმ მექანიზმის დემონსტრირებას ახდენს, რომელიც იმ ადამიანთა ქარიზმის საფუძველია, რომელთაც ვებერმა ქარიზმატული პიროვნებები

უწოდა. ეს შეგვახსენებს, რომ ქარიზმა ჯადოსნური ჯოხის ქნევის შედეგად კი არ ჩნდება (ვებერისაგან განსხვავებით), არამედ სოციალური სტრატიფიკაციისა და სოციალურად ინსპირირებული რწმენის შემადგენელი ნაწილია. ამ შემთხვევაში მოსი ინდივიდს იმ ძალების მატარებლად განიხილავდა, რომელთა პირველწყარო სოციალური მაკროსტრუქტურაა, თუმცა მისი ნააზრევი სხვა მიმართულებითაც წარიმართება და მოსი ამ მაკროსტრუქტურის ახსნას ცდილობს. ამ მექანიზმის შესახებ უკვე აღვნიშნეთ, რომ, მოსის მიხედვით, ეს არის გაცვლა, რომლის ერთ-ერთი ფორმა ჩუქება, ძღვენის მირთმევა ან მიღებაა.

სიმბოლური გაცვლა ტრაიბალურ სოციუმებში: ეს საკითხი მან საგანგებოდ განიხილა 1925 წელს შექმნილ ნაშრომში „ძღვენი“, თუმცა ჯერ კიდევ 1914 წელს იგი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მანა, მაგიური ძალა მატერიალურ ობიექტებში კრისტალიზდება და იმის თავწყაროს წარმოადგენს, რაც მოგვიანებით ფულის სახით მოგვევლინა. სხვა სიტყვებით, ეკონომიკა რელიგიურ რწმენას ემყარება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ფული გაცვლის საშუალება, ფასის საზომი და უნივერსალური სტანდარტია, რომელზედაც ნებისმიერი ტიპის სიკეთე დაიყვანება. ამ თვალსაზრისით, მონეტარული ეკონომიკა ნელა ვითარდებოდა, ვიდრე იგი ადვილად კონვერტირებად ქაღალდის ფულამდე და კაპიტალის სხვა ეპიფენომენებამდე არ მივიდა. არქაული „ფული“, რომელზე ყურადღებას ამახვილებდა მოსი ჯერ კიდევ მძიმე და რთული სამართავი იყო, მაგრამ პრესტიჟულობისა და საკრალურობის იმ ნიშნიდან გამომდინარე, რომელიც მას საზოგადოებამ მიანიჭა, სოციალური ხასიათი უკვე ჰქონდა. საზოგადოება მას იმ სოციალურ ნდობას ანიჭებდა, რომელიც ფულის უნივერსალურობის აღიარებისთვის არის საჭირო. მოსი ამით ამტკიცებს, რომ ფული მაგიური, რელიგიური წარმომავლობისაა, რომ არა მაგია, ფულიც შეიძლება არ ყო-

ფილიყო. რატომ? იმიტომ რომ მაგია კოლექტიური მანას, მაგიური ძალის ინდივიდუალურ გამოყენებას წარმოადგენს. პირველ ადამიანთა ობიექტები საიუველირო ნივთებს წააგავდა, განსაკუთრებით ძვირფასი ნივთები, რომლებიც ექსტრაორდინარული ესთეტიკური თვისებების მქონედ განიხილებოდა. ამ ობიექტების განსაკუთრებული ფასი არა მხოლოდ იშვიათობით, არამედ მათი სოციალური მნიშვნელობით იყო განპირობებული, რის გამოც ისინი გაცვლის მეშვეობით შედარებით რთული სოციალური სტრუქტურის მაკონსტრუირებლებად გვევლინება.[1] ის, რომ საზოგადოება მის ნაწილებს შორის გაცვლის სისტემას წარმოადგენს, ახალი არ არის. ამის შესახებ მოსაზრებებს ადამ სმიტი, უტილიტარისტები და ჰერბერტ სპენსერი გამოთქვამდნენ. მოსს მიაჩნია, რომ თუკი გაცვლა მხოლოდ მატერიალური უპირატესობების სფეროს შეეხება, მაშინ ამ დონეზე ეკონომიკა შეუძლებელი იქნება, რადგანაც უტილიტარულ ეგოიზმს არა გაცვლა, არამედ მოტყუება, თაღლითობა და ყველას წინააღმდეგ ომი ახასიათებს, ამიტომ მოსი დიურკემთან ერთად საგანგებოდ არკვევს „ხელშეკრულებამდელი“ სოლიდარობის ზნეობრივ და ემოციურ მიზეზებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მატერიალური ეკონომიკა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რიტუალური გაცვლის სისტემის საფუძველზე იქმნებოდა. გაცვლის ორი დონე არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი (სიმბოლური, რიტუალური) პირველადია და მეორეს (მატერიალურს) განაპირობებს.

საკუთარი აზრის სისწორეში დასარწმუნებლად მოსს მოაქვს გაცვლის მაგალითი ტრობრიანის კუნძულებზე

---

[1] არქაულ ცივილიზაციებამდე ძვირფასი ქვების ძებნა ტექნოლოგიურად შეუძლებელი იყო, მაგრამ თვით ამ ეკონომიკურად გაუწაფავ სისტემებშიც კი ძვირფასეულობას მაგიური ძალის მქონედ მიიჩნევდნენ და მათ ქონას ბელადების, მეფეებისა და უზენაესი რელიგიური პერსონების პრეროგატივად აღიარებდნენ.

მცხოვრებ აბორიგენებში. ყოველი კუნძულის ბელადი მეზობელი კუნძულისკენ მიმავალ სავაჭრო ექსპედიციას მეთაურობს. ექსპედიციის მონაწილეებს ორი ტიპის საქონელი: თევზი, ქოქოსის კაკალი და სხვა მსგავსი პროდუქტი მიაქვთ განსაკუთრებულ ძღვენთან ერთად ბარტერული გაცვლისათვის, რაც ჩვეულებრივი ეკონომიკური ვაჭრობაა, რომელსაც წინ ვაჭრობის განსაკუთრებული ფორმა – სიმბოლური ვაჭრობა უძღვის. ჩამოსული ბელადები ადგილობრივი ტომის ბელადებს ორნამენტული ნიჟარებისა და სამაჯურების (დღევანდელი საიუველირო ნაწარმის ეკვივალენტი) სახით რიტუალურ ძღვენს მიართმევენ და პასუხად ანალოგიურ საჩუქრებს იღებენ, რასაც თევზის და სხვა საქონლის გაცვლა მოსდევს და ასე ტრიალებს „სიმბოლური ფული“ კუნძულის მაცხოვრებლებს შორის. რიტუალური ძღვენი დიპლომატიის ფორმაა. მათ მირთმევამდე სხვადასხვა ტომის შეიარაღებული წარმომადგენლები ეჭვის თვალით უყურებენ ერთმანეთს და ჩვეულებრივი ეკონომიკური ვაჭრობის დაწყება არ შეუძლიათ, სანამ მშვიდობის გარანტია – ძღვენი არ გამოჩნდება. მოსის აზრით, ამგვარი რამ მთლიანობაში ეკონომიკური სტრუქტურების პარადიგმას წარმოადგენს. მისი ცენტრალური იდეა იმაში მდგომარეობს, რომ გარიგებამდე სოციალური კავშირები უნდა შედგეს. თანამედროვე ტერმინებით თუ ვიტყვით, ამ შემთხვევაში მტკიცდება მაქს ვებერის იდეა, რომ ეკონომიკა რელიგიური და სტატუსური სისტემებით არის ორგანიზებული. სტატუსური ჯგუფები, ვებერის აზრით, ცხოვრების საერთო სტილით გამოირჩევიან და მთელ რიგ სიკეთეებს ერთმანეთს ტრობრიანელი ბელადების მსგავსად მიართმევენ, რასაც საღამოებზე, წვეულებებზე, სხვადასხვა დღესასწაულზე საჩუქრები ადასტურებენ.

მოსი ეკონომიკის სხვადსხვა ფორმას აღწერს, რომლებშიც ეკონომიკურ გაცვლას სიმბოლური უსწრებს ან თან სდევს. ტრობრიანელებთან გაცვლა საკმაოდ ეგალიტარუ-

ლია და ჰორიზონტალურობით გამოირჩევა. სხვა ადგილებში, წყნარი ოკეანის და ახალი გვინეის სამხრეთ ნაწილში ძღვენის გაცვლას იერარქიული „გამანაწილებელი“ ფორმა აქვს. ბელადი ძღვენს საჭმლის და სიმდიდრის სხვა სიმბოლოების სახით იღებს, რომელსაც დიდი დღესასწაულების დროს თავის მომხრეებს უნაწილებს. ამ შემთხვევაში ბელადი უპირატეს მდგომარეობაში მყოფება. შესაბამისად, იგი სოციალურად და პოლიტიკურად ჯილდოვდება და ტომის წევრთა ყურადღების რიტუალური ცენტრი ხდება. შეიძლება ეს არქაული დღესასწაულები პოლიტიკურ კამპანიებს ჰგვანან, რომლებშიც მაღალი სტატუსი იმ ადამიანებს ეძლევათ, რომელთაც მეტი მიმდევრები ან მომხრეები ჰყავთ.

ძღვენის გაცვლას შეიძლება კონკურენტული ხასიათიც ქონდეს, რაც კანადის წყნარი ოკეანის სანაპიროზე მცხოვრებ აბორიგენებში შეინიშნება, სადაც ბელადები თავიანთი მეტოქეების დაჯაბნას იმით ცდილობენ, რომ მათ ისეთ ძღვენს მიართმევენ, რომლის შესადარსაც მათგან პასუხად ვერ მიიღებენ. ამით მეტოქე თავის სოციალურ სტატუსს კარგავს, ამიტომ სტატუსის სფერო, მოსის აზრით, სტრატიფიკაციის სფეროა, რომელიც ერთნაირი სტატუსის მქონე ინდივიდებს აკავშირებს, რომელთაც ერთმანეთში თანაბარი ფასის მქონე ძღვენის გაცვლა ხელეწიფებათ. ამასთან ასეთი გაცვლა იმპლიციტურად გამორიცხავს ყველას, ვისაც შესაბამისი სიმბოლური გაცვლის შესაძლებლობა არ გააჩნია. ამ შემთხვევაში თითქოს ძღვენის გაცვლა ჰორიზონტალურ დონეზე ხორციელდება, მაგრამ ცხადი ხდება, რომ მას ვერტიკალური განზომილებაც აქვს. ყოველივე ეს სიმბოლური გაცვლის თანამედროვე ვერსიას შეესაბამება, რომელიც კულტურული კაპიტალის ბაზარზე დიდად ფასობს (პ. ბურდიე).

აქრაული საზოგადოებების მაგიური რიტუალების შესწავლის შედეგად მოსი ისეთ მოსაზრებებამდე მივიდა,

რომლებიც რელიგიის სოციოლოგიის თვალსაზრისით დღემდე საინტერესოა. მათ შორის მნიშვნელოვანია მოსის იდეები რელიგიური რიტუალების სოციალური ფუნქციისა და, საერთოდ, სოციალური ერთობისა და რელიგიური რიტუალების ორგანული ერთიანობის შესახებ.

რელიგიური რიტუალები (მსხვერპლშეწირვა), როგორც კაცობრიობისა და კულტურის პირველსაწყისი: მოსის აზრით, რელიგიური რიტუალები, განსაკუთრებით მსხვერპლშეწირვის რიტუალი, კაცობრიობისა და კულტურის საწყისი ელემენტია. ამით იწყება კულტურა, როგორც ასეთი. რატომ მსხვერპლშეწირვა და არა სხვა რომელიმე რიტუალი? იმიტომ, რომ მსხვერპლშეწირვა ერთ-ერთი პირველია რელიგიურ რიტუალებს შორის, რომელიც ჯგუფის, საზოგადოების და, შესაბამისად, კაცობრიობის პირველწყაროა, – ამტკიცებს მოსი. მას, როგორც სოციოლოგს, მსხვერპლშეწირვის ლოგიკური და სოციალური სტრუქტურის გაგება აინტერესებს, რაც მოითხოვს პასუხს კითხვაზე: რატომ ტარდება ეს რიტუალი? თუკი გვეცოდინება მისი საზრისი და მნიშვნელობა, მაშინ იმ სიღრმისეულ ორგანიზაციას ჩავწვდებით, რომელიც ადამიანის, საზოგადოებისა და კულტურის გაგებაში დაგვეხმარება.

მსხვერპლშეწირვა კოლექტიური რიტუალია, რომელზედაც სხვადსხვა ამოცანის გადაწყვეტაა დამოკიდებული და რომლებიც, საბოლოო ჯამში, ინდივიდის ან ჯგუფის ონტოლოგიური სტატუსის ცვლილებას უკავშირდება.

რელიგიურ რიტუალებს შორის მსხვერპლშეწირვა ერთ-ერთი უძველესია. იგი საკრალიზებულ სივრცეს, გარემოს მოიცავს, რომელშიც დაწესებული მსხვერპლის ნებადართული მკვლელობა ხდება. მსხვერპლს საკრალური თვისებები მიეწერება. იგი ღვთისთვის მირთმეული ძღვენია, რომელიც მისი შემწირველის მდგომარეობის (სოციალური,

ემოციური და სხვ.) გაუმჯობესებას ემსახურება (სიმბოლური გაცვლა აქაც სახეზეა).

მსხვერპლშეწირვა ღვთაებრივ საწყისთან დადებულ ხელშეკრულებას გულისხმობს, რომელიც მოცემულ ჯგუფს წარედგინება, როგორც ყველა მისი წევრის გამაერთიანებელი და მაორგანიზებელი, მათი მცველი და მფარველი ანდა ამასთანავე დამსჯელი ძალა. ეს მაინტეგრირებელი ძალა, პროფანულისაგან განსხვავებით, საკრალური სამყაროს კუთვნილებაა. მსხვერპლშეწირვა იმ ძალასთან მოლაპარაკებას გულისხმობს, რომელსაც დიდ წყალობასთან ერთად გაუგონარი სასჯელის მოვლინება შეუძლია.

ადამიანი ძღვენს მიართმევდა საკრალურს მისგან პროფანულ საქმეებში ხელშეწყობის, კურთხევისა და მფარველობის მიღების მიზნით, რაც კოლექტიური ხელშეკრულების პირველი ფორმაა, რომელიც ჯგუფის ცხოვრების გაუმჯობესებაზეა მიმართული. ამით საზოგადოება და ადამიანი ბუნებასთან წონასწორობას ამყარებდა და ამას საკრალურს უმდლოდა.

რიტუალის პროცესში საკრალურთან კავშირი მყარდება, რა დროსაც მთავარ როლს მსხვერპლი ასრულებს, რომელიც რიტუალის მსვლელობისას უნდა განადგურდეს. მსხვერპლის, ძღვენის მეშვეობით სიმბოლური კავშირი მყარდება საკრალურ და პროფანულ სამყაროებს შორის. ძღვენი შეიძლება რომელიმე ნივთი, მცენარე, ცხოველი ან ადამიან(ებ)ი ყოფილიყო. რიტუალი მკაცრად დადგენილი წესების მიხედვით სრულდებოდა, რომელთა დარღვევა საშიშ მოვლენად მიიჩნეოდა. რიტუალური მოქმედებები სხვადასხვაგვარი იყო და შესრულების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა საქორწინო, ბავშვის დაბადების, სტატუსური ინიციაციის, სამკურნალო, ცოდვების გამოსყიდვის, შეცდომების გამოსწორების და სხვა რიტუალები, თუმცა ზოგადად მათ წინაშე ერთი მთავრი ამოცანა იდგა

ყოველთვის, რაც კონკრეტული ინდივიდის ან ჯგუფის სტატუსის შეცვლა იყო, რომელიც, ბუნებრივია, ახლის შექმნას, ტრანსფორმაციას, ადამიანის ან საზოგადოების ფერისცვალებას გულისხმობდა. რიტუალის პროცესში განწმენდა, უწმინდურობებისაგან გათავისუფლება ხდებოდა, ანუ რიტუალს აზრობრივი ფუნქცია და საზრისი გააჩნდა, რომელიც ადამიანის ან ჯგუფის შინაგანი მდგომარეობის გარდაქმნაში გამოიხატებოდა. რელიგიური რიტუალების მეშვეობით ადამიანი ან ჯგუფი აგრესიულ იმპულსებს, მტრულ გრძნობებს და ავადმყოფურ წარმოდგენებს უმკლავდება, რომლებიც უიღბლობას ან ბუნების ძალთა წინაშე შიშს და სხვადსხვა უძლურობებს უკავშირდება.

მსხვერპლშეწირვის აქტში ძღვენი მის შემწირველს განასახიერებდა, ანუ მას ცვლიდა სიმბოლურად. ძღვენს ის თვისებები შეიძლება განესახიერებინა, რომელთაგანაც გათავისუფლება სურდა მის შემწირველს ან პირიქით. რიტუალის პროცესში მასში საკრალური სამყაროდან ის სასურველი თვისება ან მდგომარეობა გადმოდიოდა, რომელიც მსხვერპლის შემწირველს აინტესებდა. ეს შეიძლება იმ ბოროტების დათრგუნვა ყოფილიყო, რომელმაც ზიანი მოუტანა, ან წყალობისა და კურთხევის, გარკვეული ზებუნებრივი ძალის მიღება. მსხვერპლის გამღებს ტრანსფორმაცია უნდა განეცადა, კურნება და მადლი მიეღო ან საკუთარი სტატუსური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. სიმბოლურად იგი ძღვენში თავის იმ ნაწილს დებდა, რომლისგანაც გათავისუფლება სურდა. ნებისმიერ რიტუალში მონაწილეობდა ქურუმი, რომელიც ასევე შუამავლის როლს ასრულებდა საკრალურსა და პროფანულს შორის. ამ პირის გარეშე რიტუალის შესრულება თითქმის შეუძლებელი იყო. მიაჩნდათ, რომ იგი საკრალური სამყაროს ჭეშმარიტების მატარებელი და იმ ცოდნის მფლობელი იყო, თუ როგორ უნდა ჩატარდეს რიტუალი. სხვა მხრივ, იგი იმ ადამიანთა ერთობას ანუ სოციუმს

განასახიერებდა, რომელიც მას ენდობოდა და ამის გამო რიტუალის შესრულებას აკისრებდა და ანდობდა.

რელიგიური თვალსაზრისით, სნეულებები, ცოდვა, სიკვდილი საკრალურთანაა შეხებაში. მათთან დაკავშირებული განცდები კი განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებენ. ძველ ერთობებში მსგავსი ფუნქციით მსხვერპლშეწირვის რიტუალი იყო აღჭურვილი და, ამდენად, იგი კულტურის ჩასახვის ფორმას წარმოადგენს. კერძოდ, ეს რიტუალი პირველ კულტურულ ურთიერთობებსა და გაცვლებს გულისხმობს. იგი ადამიანსა და ჯგუფს უწმიდურებისაგან თავის დაღწევის საშუალებას, წარმატების მიღწევის იმედს უსახავდა.

იმ არქაულ დროში, რომელზედაც მოსი წერს, ჯგუფის სოციალური ცხოვრება მსგავსი რიტუალებით იმართებოდა, რაც სოციალური წყობის წინარე სახე და იდეოლოგიისა და კულტურის ჩასახვის წინაპირობაა. ეს ყველაფერი რელიგიური რიტუალების მეშვეობით ყალიბდებოდა. ფაქტია, რომ მსხვერპლშეწირვა სოციალურ ფუნქციას ასრულებდა და კოლექტიური ხელშეკრულების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა.

რელიგიური რიტუალი სოციალურად მოაზროვნე აპარატის როლს ასრულებდა, რომელიც, როგორც აფექტებისა და იმპულსების გადამამუშავებელი შინაგანი მოწყობილობა, საკუთარ უწმიდურობასთან, ცოდვებთან და კოლექტიურ ღირსებასთან შესაბამისობა – შეუსაბამობას უმკლავდება. ადამიანსა და საზოგადოებას, ჯგუფს ისეთი ორეული – ძღვენი, მსხვერპლი სჭირდება, რომელშიც იგი ინტენსიურ, გაუსაძლის განცდებს მოაქცევს და მსგავსი კოლექტიური გავლენით, პროფანულ გამოცდილებაში საკრალურის ანარეკლს შეიტანს და ამით თავს უკეთ იგრძნობს. ყოველივე ეს მსხვერპლშეწირვის ერთი მხარეა, რომელიც კავშირშია ჯგუფის ყოველი წევრის შინაგან გამოცდილებასთან. მეორე

მხრივ კი, იგი ადამიანთა ორგანიზებული ურთიერთობის პირველი გამოცდილებაა, პირველი სოციალური პრაქტიკაა, რომლის მეშვეობით გაჩნდა ტრადიციები, სოციალური წყობა, ღირებულებები და კულტურის ნორმები. ყველაფერ ამას რელიგიური ძირები აქვს.

საგულისხმოა აგრეთვე მოსის კვლევითი პარადიგმა, რომლის მიხედვით, ფაქტების დანახვა კი არ არის მთავარი, არამედ მათი არსის წვდომა. ერთხელ მან ამის შესახებ ბ. მალინოვსკისაც კი უსაყვედურა, რომ იგი ტრობრიანელებზე მის მიერ ჩატარებული დაკვირვებების არსში ვერ გაერკვია.

მოსმა ეს თავისი მეთოდოლოგია თითქმის ყველა საკითხის კვლევისას გამოიყენა და აჩვენა, რომ ბაზრისა და ფულის გაჩენას არქაულ სოციუმებში ძღვენის მეშვეობით სიმბოლური გაცვლა უდევს საფუძვლად. ძღვენი საკმაოდ რთული ფენომენია, რომელიც გამოიხატება ფორმულით: „მიცემა – აღება – დაბრუნება“. აქედან ერთ-ერთი მოთხოვნის შეუსრულებლობა გაცვლის აქტორებს შორის ურთიერთობაში სერიოზულ შედეგებს იწვევს. სამ აქტში: „მიცემა – აღება – დაბრუნება“, როგორც ერთიან ფოკუსში, თავს იყრის საზოგადოების ისეთი ძირითადი სოციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა სოციალური სტატუსი (სოციალური სტრატიფიკაცია), რელიგიური რწმენა (რელიგია) და ეკონომიკური კავშირები (ეკონომიკა).

ლიტერატურა:

1. მოსი, მ. „ნარკვევი მსხვერპლშეწირვის ბუნებისა და ფუნქციის შესახებ“, 1899, (ელ.ვერსია);
2. მოსი, მ. „კლასიფიკაციის პირველყოფილი ფორმების შესახებ“, 1903, (დიურკემის თანაავტორობით), (ელ.ვერსია);
3. მოსი, მ. „ნარკვევი მაგიის ზოგადი თეორიის შესახებ“, 1904, (ა. იუბერის თანაავტორობით), (ელ.ვერსია);
4. მოსი, მ. „ნარკვევი ესკიმოსთა საზოგადოებაში სეზონური ცვლილებების შესახებ“, 1906, (ა. ბეშის მონაწილეობით), (ელ.ვერსია);
5. მოსი, მ. „გაცვლის ფორმები და საფუძვლები არქაულ საზოგადოებაში“, 1925, (ელ.ვერსია);
6. მოსი, მ. „სიკვდილის შესახებ კოლექტიურად შთაგონებული აზრების ფიზიკური ზემოქმედება ინდივიდზე“ (ავსტრალია, ახალი ზელანდია), 1926, (ელ.ვერსია);
7. მოსი, მ. გაცვლის ფორმა და საფუძვლები არქაულ საზოგადოებაში, წიგნში – „საზოგადოება, გაცვლა, პიროვნება“, მ, 1996, (ელ.ვერსია);
8. ქეცბაია, კ. რელიგიის სოციოლოგია (განახლებული სახელმძღვანელო), თსუ, 2019, (ელ.ვერსია).

Meki Lobjanidze – Doctor of Phylosophy, Professor, Dean of Humanitarian and Social Sciences School Tbilisi Open university.

Kakha Ketsbaia – doctor of Philosophy, Professor. Academician – secretary of the Academy of Philosophical Sciences ofGeorgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), sociology (theoretical, branch, meta – sociology) and philosophy of religion and theology. Heis the author of more than 100 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems, translates scientific works into Georgian.

MARCEL MAUSS: RELIGION AND SYMBOLICEXCHANGE IN TRIBAL SOCIUS

ABSTRACT

Alongside with Durkheim, his nephew Marcel Mauss (1872 – 1950) a famous ethnographer and sociologist is usually referred to in sociology of religion. Mauss studied specific features of such form of communication in tribal socities as exchange (exchange of material objects – food, instruments of labour, as well as women etc.). His research demonstrated that exchange has a moral and social meaning in tribal society and that social status (social stratification) and economic relations (economics) have religious foundations.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

ნესტან ლომაია *– ფილოსოფიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი. არის სამეცნიერო წიგნების ავტორი, გამოქვეყნებული აქვს შრომები, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. მონაწილეობა აქვს მიღებული არა ერთ სერთაშორისო კონფერენციაში. ძირითადად მუშაობს გენდერისა და ფემინიზმის საკითხებზე.*

გენდერისა და ფემინიზმის ზოგიერთი საკითხისათვის

სოციოლოგია, სხვა მეცნიერებებთან შედარებით ყველაზე ახალგაზრდაა, იგი დემოკრატიული საზოგადოების მეცნიერებაა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ტირანიის, დიქტატურის, აბსოლუტური მონარქიის, ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის ფარგლებში სოციალური სფეროს კვლევის საჭიროება არ არსებობს, რადგანაც ტრადიციულ საზოგადოებებში, მონარქი ითვლებოდა აბსოლუტური ჭეშმარიტების მატარებელ ფიგურად.

სოციოლოგია საზოგადოების მოდერნიზაციაა, რომელიც თავის მხრივ, ემყარება სუბიექტის აქტივობის პრინციპების დამკვიდრებას.

სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა ისეთი მეცნიერებების ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც სოციალურ კანონზომიერებებს გამოიკვლევდა, შეისწავლიდა საზოგადოების სტრუქტურასა და მისი ფუნქციობის ხარისხს, გამოიკვლევდა საზოგადოებრივ აზრს და ა.შ. სწორედ ამ მოთხოვნის საფუძველზე გაჩნდა ახალი მეცნიერება სოციოლოგია, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების კვლევით იყო დაკავებული, არამედ მომავლის მიმართ ინტერესს ამჟღავ-

ნებდა. დაგეგმვა, პროგნოზირება და წინასწარმეტყველება სოციოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გამოცხადდა. საკმარისი არ აღმოჩნდა სოციალური სინამდვილის დესკრიფცია. სოციოლოგიური თეორიის „სრულყოფისათვის“ სოციოლოგია იძულებული გახდა გადაელახა აღწერის ფარგლები და მიემართა პრესკრიფციისათვის, რაც ერთი შეხედვით, გამართლებული ჩანს, რადგან ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, სოციოლოგიის მიზანს არა მარტო სინამდვილის აღწერა, არამედ მომავლის ხდომილებების განჭვრეტაც ევალება და, აქედან გამომდინარე, სოციალურ თერაპიას წარმოადგენს.

თანამედროვე გაგებით, სოციოლოგია წმინდა ევროპული მოვლენაა. დამოუკიდებელ მეცნიერებად მისი ჩამოყალიბება ახალი დროის ევროპაში მიმდინარე საზოგადოებრივმა გარდაქმნებმა და ევროპული საზოგადოების გამოღვიძების, დემოკრატიზაციის პროცესებმა განაპირობა. სოციოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება, შეიძლება ითქვას, ევროპული დემოკრატიული საზოგადოების ფორმირების თანამდევი პროცესი იყო. (ბერძენიშვილი, 2011წ.; გვ. 86)

სიტყვა „სოციოლოგია“ ლათინური და ბერძნული სიტყვებისაგან წარმოდგება: ლათინური – socius – კომპანიონს, ხოლო ძველი ბერძნული – logos – მოძღვრებას, სწავლებას ნიშნავს; სიტყვასიტვით სოციოლოგია ურთიეთრობების, კომპანიონების შესახებ მოძღვრებას, სწავლებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით ეს ადამიანებს შორის ურთიერთობის პროცესების შესწავლაა. ტერმინ სოციოლოგიის მეორენაირი განმარტებაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ის შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ლათინური – societas – საზოგადოება და ძვ. ბერძნული logia სიტყვა, რაც პირდაპირი მნიშვნელობით იქნება „მრავალი, მრავალი სიტყვა საზოგადოების შესახებ. ორივე შემთხვევაში ტერმინი ნათლად მიუთი-

თებს იმაზე, თუ რა არის სოციოლოგია: ეს არის მოძღვრება, სწავლება, მეცნიერება, საზოგადოების შესახებ.(გიდენსი, 2011წ. :გვ.7)

ტერმინოლოგიური და მეცნიერული თვალსაზრისით, სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების, ფუძემდებელი ფრანგი სოციოლოგი ოგიუსტ კონტია.

მეცნიერული ობიექტურობა და სიმკაცრე, რომ შეენარჩუნებინა თანამედროვე სოციოლოგია იძულებული გახდა ხელი აეღო საზოგადოების, როგორც მთელის კვლევაზე, მოეხდინა სოციალური სინამდვილის ფრაგმენტაცია და ჩამოყალიბდა ე.წ. დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები: ოჯახის სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, პოლიტიკური სოციოლოგია, ხელოვნების სოციოლოგია, გენდერის სოციოლოგია და ასე შემდეგ, ანუ გამოიყო სოციალური ცხოვრების ის სფეროები, რომელთა შესწავლისათვის უპრიანია კვლევის ემპირიული მეთოდები.

მე – 20 საუკუნის 80 – იანი წლებიდან იწყება გენდერის თეორიის, როგორც ახალი მეცნიერული დარგის განვითარება. მეცნიერებათა ქსელი, რომელიც ჩართულია გენდერულ კველვებში მეტად ფართოა: ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და ა.შ.

გენდერი – მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „გენოს“ – დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი (ფორმა გენდერ მიმღეობის ფორმაა). თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“, სქესის ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკუსიის აღსანიშნავად იხმარება. სოციალურ მეცნიერებაში კი მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. სქესის სოციალური თეორია, სქესთა შორის არსებული ტრადიციული პატრიარქალური ურთიერთობების ეგალიტარული ურთიერთობებით შეცვლას ითვალისწი-

ნებს უმთავრესი პრინციპის – სქესთა თანასწორუფლებიანობის რეალიზაციას გულისხმობს, მთლიანობაში კი არის ცნება, რომელიც გულისხმობს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალისა და მამაკაცის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მათ პიროვნულ თვისებებსა და ქცევებს.

ფილსოფიური და საბუნებისმეტყველო კვლევები, ლიტერატურა და პუბლიცისტიკა, გამოყენებითი ხელოვნება თუ რელიგიური ტრაქტატები ძველთაგანვე ამახვილებდნენ ყურადღებას ქალების პრობლემებზე მის საზოგადოებრივ თუ ოჯახურ მდგომარეობაზე, თანასწორუფლებიანობაზე, ქალებსა და მამაკაცებს შორის. ამ მოსაზრებით მნიშვნელოვანი იყო XVIII საუკუნე, რომელმაც სწორედ ისეთ პროცესს ჩაუყარა საძირკველი, როგორიცაა ქალთა საკითხის გააზრება საზოგადოებაში. ფრანგი ფილოსოფოს – განმანათლებელი ჟ. ა. კონდორსი წერდა: „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საერთო საქმისათვის, არის კაცობრიობის განვითარების პროგრესული შედეგები, ნგრევა იმ არათანასწორუფლებიანობისა, რომელიც არსებობს ორ სქესს შორის, რომელიც დამღუპველია იმისათვისაც კი, ვინც ხელს უშლის ამ პროცესებს (ლომაია, 2009წ.: გვ. 30).

სოციალური როლი – არის პიროვნების საზოგადოებაში ორიენტაციის მაორგანიზებელი მექანიზმი – როდესაც ურთიერთქმედება „ეგოსა“ და „სხვებს“ შორის შეიძენს მეტნაკლებად მყარ მაორგანიზებელ ხასიათს, ყალიბდება როლებრივი მოდელები: „სხვა ელოდება, რომ ინდივიდი მოიქცევა განსაზღვრული წესით, მოქმედების განსაზღვრული როლები ის მექანიზმებია, რომელთა მეშვეობითაც ღირებულებითი ეტალონები ინსტიტუცინალიზდება სოციალურ სისტემაში, ანუ შეიძენს ემპირიულ გამოხატულებას. სოციალური როლები ძალაუფლებისა და პრესტიჟის მატარებელია. ისინი სოციალური სისტემის ინტეგრაციას განაპირობებენ. გენდერული როლები არის კონკრეტული საზოგადო-

ების მიერ განსაზღვრული, ქალისა და მამაკაცის ქცევის ფორმები, ნორმები და ღირებულებები. ნორმების ნაკრები, რომლებიც შეიცავენ განზოგადებულ ინფორმაციას თვისებაზე, რომელიც მიეწერება ორივე სქესსა ეწოდება სქესობრივი ანუ გენდერული როლები. გენდერული როლების (ქალების და მამაკაცების) განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ ისტორიულ ხასიათს ატარებს. თითოეულ საზოგადოებას აქვს თავისი ჩვეულებები, ტრადიციები და ნორმები, რომლებიც სოციალურ-სქესობრივ როლებს განსაზღვრავს. დღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება, როგორც მამაკაცებსა და ქელებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული ურთიერთობების, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი. აღნიშნული პრობლემატიკა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გახდა გასული საუკუნის 90 – იანი წლებიდან.. ეს პერიოდი კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. ამ პროცესების გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შესწავლა და განზოგადება საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნეს ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის რესოციალიზაციას საზოგადოებაში, მისი როლისა და სტატუსის ამაღლებას და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია: სქესი გულისხმობს ბიოლოგიას, ადამიანის გენეტიკურ და ფიზიოლოგიურ თვისებებს, რომლებიც გვიჩვენებენ, მამრია იგი თუ მდედრი. გენდერული თანასწორობა გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს, უფლებებს და პასუხისმგებლობებს ქალებისა და კაცებისათვის – პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მისაწვდომობას ეკონომიკური რესურსებისადმი, ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მოვალეობათა განაწილებას ოჯახში, თანაბარ-

მონაწილეობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სოციალურ საქმიანობაში. ჩვენ ვიბადებით კონკრეტული სქესით, მაგრამ ვსწავლობთ გენდერს ე.ი. იმას თუ რას ნიშნავს იყო კაცი და ქალი.(სუმბაძე, 2012 წ.:გვ. 30).

გენდერი, მოიცავს, არა მარტო იმ დამახასიათებელ ნიშნებს და თვისებებს, რომლებსაც ჩვენ მამაკაცურად ან ქალურად ვთვლით, არამედ იმასაც, რის გაკეთებასაც მოელიან კაცებისა და ქალებისაგან: რა როლებისა და ამოცანების შესრულება ეკისრებათ მათ, და როგორი ქცევაა მოსალოდნელი.

გენდერის კატეგორიები ნორმატულია, რაც იმას გულისხმობს, რომ წინასწარაა განსაზღვრული, თუ რა უნდა აკეთონ მამაკაცებმა და ქალებმა და როგორ უნდა მოიქცნენ ისინი. მამაკაცებისა და ქალების ქცევა, როლები, პასუხისმგებლობები და ნორმები წარმოადგენს სოციალურ კონსტრუქციებს, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური მოსაზრებებით, ღირებულებები და ემყარება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სოციალურ სტრუქტურებს. სქესისაგან განსხვავებით, გენდერი დინამიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ კულტურის, ქვეყნის, სოციოეკონომიკური სტატუსის, ეთნიკურობის ასაკობრივი ჯგუფის, რელიგიისა და ა.შ. შესაბმისად იცვლება.

ერის კულტურა, დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე და რასაკვირველია ცალკეულ ინდივიდზე, რომელიც სწორედ ამ საზოგადოებაში მოიაზრება. საზოგადოება თავის თავად გულისხმობს, სახელმწიფოს, მისი ეკონომიური პოლიტიკური და სულიერი ღირებულებებით, რომელიც საბოლოო ჯამში განაპირობებს – ერის საზოგადოებისა და სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობას. სწორედ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოში ხდება, ისეთი საკითხების გაშუქება როგორიცაა გენდერული თანასწორობა.

გენდერული საკითხების აქტუალობა აკადემიურ დისციპლინაში შემოვიდა აშშ-ის და დასავლეთ ევროპაში ფემინისტური მოძრაობის ზრდის შედეგად 70-იან წლებში. ფემინიზმი პოლიტიკურ მოძრაობას წარმოადგენდა და მიმართული იყო ქალისა და მამაკაცის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თანასწორობის მოპოვებისაკენ, ისევე როგორც ცალკეული სოციალური პრობლემების გადაჭრისაკენ. 80-იანი წლებიდან წარმოიშვა ქალთა საკითხების შემსწავლელი აკადემიური დისციპლინა, რომელიც დაეყრდნო 60-იანი წლებიდან დაგროვილ მეცნიერულ ცოდნას ისტორიასა და დოკუმენტურ ფაქტებზე დაყრდნობით ხშირად მას აკადემიურ ფემინიზმს უწოდებენ. ეს აკადემიური დისციპლინა სწავლობს ქალთა სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას საზოგადოებაში მამაკაცთან მიმართებაში (ბერეკაშვილი, 2016წ.: გვ. 7).

ფ ე მ ი ნ ი ზ მ ი – (ლათ. Femina, „ქალი“) საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობაა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გათანასწორება მამაკაცებთან, ცხოვრების ყველა სფეროში.

ფემინიზმი არის მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ქალებს უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებები. ამ მიზნის მისაღწევად ქალებს ხანგრძლივი, წინააღმდეგობრივი და საინტერესო გზის გავლა მოუხდათ. ერთის მხრივ, ისინი იღვწოდნენ საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის საზოგადოებაში და სახელმწიფოში, ხოლო მეორე მხრივ – იბრძოდნენ ჩაგვრის განმაპირობებელი კულტურული ნორმების შესაცვლელად.

საუკუნეებით გამყარებულ რწმენა-წარმოდგენებში ქალის ადგილი და რეალიზაციის ასპარეზი ზღვარდადებული, დეტერმინირებული იყო, რომელიც მხოლოდ რეპროდუქციული ფუნქციით, შვილების აღზრდითა და ოჯახურ – ნათესაური ურთიერთობებით შემოიფარგლებოდა.

პირველი ეტაპის ფემინიზმისათვის დამახასიათებელია, მაინც ქალების ბრძოლა საარჩევნო ხმის უფლების მოპოვებისათვის.

დასავლური ფემინიზმის მეორე ეტაპი, მეტად მნიშვნელოვანია ფემინიზმის ისტორიაში, რომელსაც ხშირად განმათავისუფლებელ მოძრაობასაც უწოდებენ. მას საფუძველი ჩაეყარა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, რომელიც 90-იან წლებამდე გაგრძელდა. ეს ის აქტიური პერიოდია, როცა ფემინისტურმა მოძრაობამ ხმის მიცემის აუცილებლობიდან თვითონ ქალის სხეულის, მისი რეპროდუქციისა და ბიოლოგიურ განსხვავებასთან ასოცირებული მნიშვნელობები შექმნა და წამოწია.

საუკუნეების განმავლობაში ოჯახში მსხდომი და მოფუსფუსე ქალების გონება, მხოლოდ იმ ურთიერთობებს სწვდებოდა, რაც მათ სოციუმმა უბოძა, რომელიც ნაკარნახევი იყო იმ კულტურული ღირებულებებით, ტრადიციებით, ადათ – წესებით, და იმ ისტორიული წარსულით, რომელშიც მათ, უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ქალის ხვედრი მძიმე და გაუსაძლისი გახდა, სანამ თვითონ ქალებმა არ აიმაღლეს ხმა იმ დრომოჭმული საზოგადოებრივი გადმონაშთების წინააღმდეგ და არ დასვეს კონკრეტული კითხვები: როდემდე უნდა გაგრძელდეს მათი ჩაგვრა? რატომ არ სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით? რატომ არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში? დასმულ კითხვებზე პასუხის ძიებაში ჩაებნენ აქტიური ქალები, რომლებსაც შემდეგ ფემინისტები უწოდეს.

ლიტერატურა:

1. ბერეკაშვილი ნანა, „გენდერი, საზოგადოება, პოლიტიკა“, გამოცემა „ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი“, თბ., 2003 წ.

2. ბერძენიშვილი ამირან, „პოლიტიკური სოციოლოგია“, თბ., 2011 წ.
3. ბერეკაშვილი ნანა, „ფემინიზმი და გენდერული დემოკ-რატია“, თბ., 2016 წ.
4. გიდენსი ენტონი, „სოციოლოგია“, თბ., 2011 წ.
5. ლომაია ნესტანი, „გენდერის საკითხები“, თბ., გამომცემ-ლობა „უნივერსალი“, 2009 წ.
6. სუმბაძე ნანა, „თაობები და ღირებულებები“, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, თბ., 2012 წ.
7. https www.google.ge search=გენდერი ფემინიზმი.

Nestan Lomaia – Doctor of Philosophy, Associate Professor at Sokhumi State University – Faculty of Business and Social Politics. Is author of several scientific manuals and publications in Georgia and as well as in foreign countries. Nestan lomaia participated in many international conferences and is focused on Gender and Feminism issues.

FOR SOME ISSUES ABOUT GENDER AND FEMINISM

ABSTRACT

In this article we study the Sociology as a young Science, which explores social regularity, examines the structure and quality of the society and public opinion. In general the development of sociology has laid the foundation for new directions, including the gender sociology.

In the paper is discussed a Gender, which implies the intellectual abilities of men and women, their personal qualities and behaviors. In the article there is also a sense that gender equality is an integral part of the human being.

The relevance of Gender issues is proceeded by feminist movement in a number of countries in 18th and 19th centuries of US and Europe.

The first phase of feminism is characterized by the struggle to gain rights such as the right to vote for women, the right of property and divorce.

The second phase of feminism, often called the liberating movement, is very important in the history of feminism. It has been founded in the 60s of the 20th century, which lasted until the 90s. This is an active period when the feminist movement created the female body, the reproduction and the biological deference associated with the necessity of voting.

At the end of the article, summarizing the significance of the feminist movement that laid the foundation for the idea of gender equality that women have own with their hard and active work.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

მანანა გაგოშიძე *– ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასსისტ. პროფესორი. არის სამეცნიერო წიგნების ავტორი, გამოქვეყნებული აქვს შრომები, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.*

თანამედროვეობის რისკები და საფრთხეები

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდანვე როგორც სოციოლოგიის თეორეტიკოსები მიიჩნევენ, არის საზოგადოებაში გამოკვეთილი რისკები და საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა ცხოვრებაზე; ამასთანავე არის ტენდენციები, რომელთა გავლენის შედეგებზე სავარაუდო პასუხებია მხოლოდ.

ძალზედ რთულია ითქვას, რომ დღეს ჩვენ ამოვწურეთ ყველა არსებული შესაძლებლობები და ამის გამო ისტორიამ განვითარება შეაჩერა; ასევე ძალიან რთულია ითქვას თუ როგორი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული წყობის ფორმები გაჩნდება მომავალში.

გაჩნდა ეგრეთ წოდებული პრობლემები, დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოება. პირველად კაცობრიობის ისტორიაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა პლანეტის ბუნება, ჰაერი, წყალი, ნიადაგი; პირველად კაცობრიობის ისტორიაში ომმა დაკარგა ჩვეული აზრი და საზრისი. მასში ყველა მარცხდება; მისი მოგება შეუძლებელია; იგი დაღუპვით ემუქრება კაცობრიობას და სიცოცხლეს დედამიწაზე. მსოფლიო ერთბაშად აღმოჩნდა ახალი ისტორიული ვითარების წინაშე.

თანამედროვეობამ დაკარგა ურყევი რწმენა თავისი სიმყარისადმი. სოციალურ მეცნიერებათა მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ზოგიერთ განსაცვიფრებელ ცვლილებას და ცდილობენ განსაზღვრონ მათი საზრისი. მოსალოდ-

ნელია ღირებულებათა დიდი გადაფასება. "შეიძლება დაიკარგოს პოლიტიკური თავისუფლება, შეიძლება სავსებით გაქრეს ყველაზე საშიში დაავადებანი, ჩვენ უნდა ვცადოთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ცვლილებათა პროგნოზირება. ყველა ცვლილების პროგნოზირება კი სრულად შეუძლებელია. მომავალი ყოველთვის შეიცავს განუსაზღვრელობას და ეს უნდა გვახსოვდეს" (2).

სოციალური კრიზისების ეპოქაში განსაკუთრებით მწვავედ დგება ადამიანისა და სოციალური ერთობების არსებობის პრობლემა. ვინ ვართ და რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ, – ეს კითხვები ყველაზე მტკივნეულად აღიქმება,

თანამედროვეობამ შემოიტანა უახლესი მომენტები მსოფლიოს ეკონომიკურ არქიტექტურაში. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელსაც არსებობის, ცვალებადობის და განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ათეულ ათასობით წლები დასჭირდა იმას, რომ ველური, უმწეო, გონებრივ სიბნელეში მყოფი ადამიანი ბუნებისა და საკუთარი თავის მეუფედ გადაქცეულიყო, მიეღწია მაღალი მატერიალური და სულიერი ღირებულებების შემოქმედ, თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებამდე, რომლის წინაშეც გადაშლილია წინსვლისა და სრულყოფის კოლოსალური პერსპექტივები.

სოციოლოგია მიზნად ისახავს გაარკვიოს არსებული რეალობის სოციალური არსი, მისი მიზეზები და სოციალური შედეგები, გვიჩვენოს თუ რა მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრას ადამიანთა კეთილდღეობისთვის, როგორ ავიცილოთ თავიდან უარყოფითი საფრთხეები, სოციოლოგია ყველა რისკ – პრობლემას განიხილავს უშუალოდ ადამიანთან, მის სასიცოცხლო ინტერესებთან და მოთხოვნილებებთან მიმართებაში. პოლიტიკური ფონის პირობებში სისტემური ცვლილებები ეკონომიკაში წარიმართა იმგვარად, რომ ხალხის, საზოგადოების ყურადღება პოლიტიკურიდან თანდათანობით სოციალურ პრობლემებზე გადავიდა. დაპირისპირება, რომელიც პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა,

თანდათან შენელდა, მაგრამ გაძლიერდა საზოგადოების დიფერენციაცია ქონებრივი მდგომარეობის და შემოსავლების მიხედვით. ფართო მასების ენერგია ძირითადად მიმართულია სოციალური ამოცანების გადაჭრაზე, ხშირ შემთხვევაში, არსებობის შენარჩუნებაზე. ბოლო პერიოდის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისეთი პრობლემები, როგორიცაა ადამიანის მკურნალობა, განათლების მიღება, საცხოვრებელი პირობების საზოგადოებრივ – ორგანიზაციული უზრუნველყოფა არ შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის ამოცანისაგან განცალკევებით. მასობრივი სიღარიბის პრობლემის გადაჭრა აუცილებელია არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის საერთო განვითარებისთვის.

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანთა უმრავლესობას საარსებო საშუალებები აქვს დაქირავებული შრომის ხარჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელფასი შემოსავლის ძირითად, ხოლო უმრავლესობისთვის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. დაბალ შემოსავლიანთა შორის აღმოჩნდა განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობა; ეს მოსახლეობის ის ფენაა, რომელიც სოციალური დაცვის სისტემის გარეთაა მოქცეული. შემოსავლების განაწილების დისბალანსი, საბოლოო ჯამში, ზარალს აყენებს საზოგადოების ყველა ფენას. სოციალური პოლარიზაციის გაღრმავების შედეგად ირღვევა შრომითი მორალი, შეიმჩნევა განათლების ხარისხის დაცემა, თანდათანობით მცირდება უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, იზრდება დანაშაულებები და სხვა. თანამედროვე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის დამახასიათებელი გახდა ფასეულობათა სისტემის რღვევა, რაც განპირობებულია კრიზისული მოვლენებით გარდამავალ საზოგადოებაში, ეს ყველაფერი გამოიხატება საზოგადოებისაგან ადამიანის გაუცხოებით, იმედგაცრუებით, პესიმიზმით და ა. შ.

საინტერესო იქნება, თუ უფრო მეტს ვიმსჯელებთ რისკებზე და საფრთხეებზე, რომლებიც პრობლემებს უქმნის თანამედროვე ადამიანს და მის კეთილდღეობას. რისკის დეფინიცია სამეცნიერო ლიტერატურაში „რისკის“ ცნებასთან არის გაიგივებული. „რისკი ყოველთვის სოციალურია, რამდენადაც ის პროდუცირდება სოციალური სუბიექტების მიერ, ხოლო მისი შედეგები ზემოქმედებენ მათ არსებობასა და ურთიერთქმედებაზე“ (4). სოციალური რისკები და საფრთხეები მნიშვნელოვანწილად სოციალური ცვლილებების შედეგად წარმოიშობა. საფრთხეები: გლობალური დათბობა, ოზონის ხვრელები, ატმოსფეროს გაბინძურება, დედამიწის მრავალფეროვნების დაქვეითება, გაუდაბნოება, ჰიდროსფეროს და მდინარეების გაჭუჭყიანება და ასე შემდეგ, არ შეიძლება შეიზღუდოს ცალკეული ქვეყნების საზღვრებით და ცალკე აღებულ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მათი გადაჭრა. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მსოფლიო საზოგადოებები ძირეულ ტრანსფორმაციებს განიცდის, რაც დიდ გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებასა და მათი სოციალური დაცვის ხარისხზე. დღეს სამწუხაროდ სოციალური რისკების რაოდენობა გაიზარდა. ჩვენი ქვეყნის მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, მათ რიცხვს მიეკუთვნება: მოსახლეობის რიცხვის კლება, ჯანმრთელობის გაუარესება, ხარისხიანი განათლების ნაკლები ხელმისაწვდომობა, უმუშევრობის ზრდა, შემოსავლების სიმცირე, ცხოვრების დონის გაუარესება, შრომითი უფლებების დაუცველობა, სულიერ – ზნეობრივი კრიზისი და ა. შ. შევჩერდებით ზემოთ ჩამოთვლილი არასრული ჩამონათვალიდან პრობლემაზე, გნებავთ საფრთხე დავარქვათ, ხარისხიანი განათლების ხელმიუწვდომლობაზე. მართალია ხარისხიანი განათლება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობისათვის იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს. დღეს საქართველოში პროფესიონალიზმის დეფიციტი ერთ-ერთი დიდი სოციალური რისკი და მწვავე გამოწვევაა, ასევე მკვეთრად არის შემცირებული და შეზღუდული მოსახლეობის დასაქმე-

ბის შესაძლებლობები, რაც უმუშევრობას ქვეყნისთვის უმწვავეს სოციალურ – ეკონომიკურ პრობლემად აქცევს. ამას ებმება სიღარიბე, როგორც ერთ-ერთი დიდი სოციალური რისკი და პრობლემა (4).

დღეს მსოფლიოში რესურსების გამოყენება ერთნაირად არ ხდება. მსოფლიოს მოსახლეობის მეხუთედი არ ითვლება მომხმარებლად. არააღდგენადი და შეზღუდული რესურსების დაჩქარებული გამოყენება ეკოსისტემას რისკის ქვეშ აყენებს. გარემოს მზარდი დაბინძურება ზიანს აყენებს ტყეებს, სასმელ წყალსა და ოკეანეებს.

დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანია; სადღეისოდ კაცობრიობას დიდად აღელვებს ენერგეტიკული პრობლემა. აშკარა შეუსაბამობაა სათბობ – ენერგეტიკაზე მოთხოვნილებების ზრდასა და რეალურად არსებულ, ბუნებრივ რესურსებს შორის. ამის გამოხატულებაა მსოფლიოს ენერგეტიკული მომარაგების გაუარესება. ქვეყნების უმეტესობა „ენერგეტიკული შიმშილის" ზღვარზეა. იფიტება და ილევა ტრადიციული სათბობის – ქვანახშირის, ნავთობის, აირის საბადოები. მართალია, ყოველი ქვეყანა რაღაცას მატებს მსოფლიო ეკონომიკას, მაგრამ ამ პროცესს მაინც დედამიწის ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამუდმებული კლება მოჰყვა.

ყველაზე მწვავედ, ეკოლოგიური პრობლემატიკის თვალსაზრისით, ატომური ენერგეტიკა დგას. ატომური ელექტროსადგურის თუნდაც პატარა ავარიამ შეიძლება უზარმაზარი ზიანი მიაყენოს არა მარტო იმ ქვეყანას, სადაც ეს აუზი მდებარეობს, არამედ მრავალ სხვა სახელმწიფოსაც.

ძალიან სერიოზული პრობლემაა ბირთვული ნარჩენების შენახვა. ისევე როგორც სხვა „ჭუჭყიანი საწარმოები", ბირთვული ნარჩენებიც გლობალურ ჩრდილოეთს გლობალურ სამხრეთში გააქვს და იქ მარხავს. ეს ადგილობრივი მოსახლეობის მძაფრ პროტესტს იწვევს. ამის და მრავალი სხვა პრობლემის გამო ატომური ენერგეტიკა, მიუხედავად სიია-

ფისა და მოხერხებულობისა, თანდათან ნაკლებ როლს თამაშობს და მოსალოდნელია მისი შეცვლა ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა სახეებით.

ატმოსფეროს, კლიმატური ცვლილებები ერთ-ერთი სერიოზული გლობალური პრობლემაა. მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებამ კრიტიკულ ზღვრამდე მიიყვანა ჰაერის გაბინძურება. ზოგიერთ სამრეწველო ქალაქში მავნე გამონაბოლქვი გაზების შემცველობა ჰაერში რამდენიმე ასეულჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. საქმე მარტო ატმოსფეროს გაბინძურებაში როდია. გამონაბოლქვი გაზების და, პირველ რიგში, ნახშირორჟანგის შემცველობის ზრდამ ატმოსფეროში გამოიწვია ეგრეთწოდებული სითბური ეფექტი ანუ გლობალური დათბობა. სათბობის წვის შედეგად გამოყოფილი გაზები საბანივით ეფარება ატმოსფეროს ქვედა ფენებს, რაც ზრდის ჰაერის საშუალო ტემპერატურას. უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში დედამიწაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურამ 2 გრადუსით მოიმატა, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, ექსპერტთა ვარაუდით დაიწყება ანტარქტიდისა და გრენლანდიის ყინულების დნობა, რაც მსოფლიო ოკეანის დონეს რამდენიმე მეტრით ასწევს და მთელი რიგი ქვეყნების დაბლობი ტერიტორიები წყალქვეშ აღმოჩნდება. ცხადია, ეს უმწვავესი გლობალური პრობლემაა და ყველა სახელმწიფოს ერთიან მოქმედებას მოითხოვს.

ატმოსფეროს გაბინძურებას უკავშირდება ეკოლოგიური პრობლემები, როგორიცაა მჟავე წვიმები. ეს გოგირდის ორჟანგისა და აზოტის ჟანგის შერევით გამოწვეული ნალექებია. მათი ეკოლოგიური შედეგები უმძიმესია. არანაკლებ მწვავე ეკოლოგიური პრობლემაა ატმოსფეროს დამცავ ოზონის გარსში, რომელიც დედამიწის ცოცხალ ორგანიზმებს მზის რადიაციისაგან იცავს. ოზონის პირველი ხვრელის გაჩენამ ანტარქტიდის თავზე, ადგილობრივი ფაუნის მასობრივი დაღუპვა გამოიწვია.

კიდევ ერთი უმწვავესი პრობლემა ტყეების დაცვას ეხება. როგორც ცნობილია, დედამიწაზე ჟანგბადის ერთადერთ წყაროს მცენარეები წარმოადგენს, ამიტომ ტყეებით

დაფარული ფართობის სიდიდე ჟანგბადით ატმოსფეროს გაჯერების პირობაა. თანამედროვე პირობებში, როცა წარმოების პროცესის ინტენსიფიკაციის გამო ჰაერში სხვადასხვა მავნე გაზები გამოიფრქვევა, ტყეებით დაფარული ფართობების ზრდა ატმოსფერული წონასწორობის დაცვის საწინდარია. სწორედ ამიტომ უწოდებენ ტყით დაფარულ ტერიტორიებს (განსაკუთრებით ამაზონის ჯუნგლებს) დედამიწის ფილტვებს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ტყით დაფარული ტერიტორიების ფართობი დედამიწაზე განუხრელად მცირდება, რაც უმძიმესი პრობლემის წინაშე აყენებს კაცობრიობას.

ტყეების გაჩეხვის შედეგად, კლებულობს ნალექების რაოდენობა და შესაბამისად ჩნდება წყლის დეფიციტი, იცვლება მცენარეული საფარი; ყოველივე ამის შედეგია გაუდაბნოების ინტენსიური პროცესი, რომელმაც მსოფლიოს მრავალი რეგიონი მოიცვა. განსაკუთრებით მწვავედ ამ პროცესმა აფრიკის კონტინენტზე იჩინა თავი. ყოველწლიურად მილიონობით ჰექტარი ტყე იჩეხება და თითქმის ამავე რაოდენობის ნაყოფიერი მიწები იფიტება. პარალელურად დედამიწის მოსახლეობა წელიწადში 90 მილიონი ადამიანით მატულობს, ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ დედამიწის ყოველი მცხოვრების მიწით და, შესაბამისად, სურსათით უზრუნველყოფა შემცირდება.

ასევე სერიოზული პრობლემაა ბიომრავალფეროვნების დაცვა. ბიომრავალფეროვნება დედამიწაზე ბუნებრივად არსებული მცენარეული და ცხოველური სახეობების მრავალფეროვნებაა. ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში უამრავი სახეობა დადგა გადაშენების ზღვართან. მათი დაცვა და გადარჩენა ასევე საკაცობრიო, გლობალური პრობლემაა.

კაცობრიობას არანაკლებ აწუხებს ჩამოყალიბებული დისბალანსი ერთი მხრივ, კვების პროდუქტებზე მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და მეორე მხრივ მათი დაკმაყოფილების რეალურად არსებულ შესაძლებლობებს შორის.

გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული მრავალი ნორმა, რომელიც მართავს ჩვენს ცხოვრებას; მათ შორის – ათასობით ტექნიკური სტანდარტი, აგრეთვე ადამიანის უფლებები. ეს და სხვა მუდმივად მზარდი ნორმები და წესები პირველ რიგში საყოველთაოა და ნაკლებად ემორჩილება სახელმწიფო – ეროვნულ ინტერესებს.

თუკი უწინ პრობლემები, როგორც კლასობრივი ხვედრი ისე დაიძლეოდა, დღეს ადამიანები იძულებულნი არიან ყველაფერი თავის თავს დააბრალონ, როგორც პირადი წარუმატებლობა; ადამიანები დღეს ცხოვრების მახეებში უფრო მოულოდნელად ებმებიან, ვიდრე ეს იყო უწინ და ამ მახეებიდან თავის დახსნა მარტოს უწევთ. დღეს ადამიანების უმრავლესობა უმუშევრობის ბრჭყალებშია მომწყვდეული და თუ ადამიანი სამუშაოს კარგავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის თავის „სახეს“ კარგავს. შექმნილი მდგომარეობა საფრთხეების ბიოგრაფიაა, როგორც მას ბეკი უწოდებს (1).

ადამიანები მოულოდნელად აღმოჩნდნენ ისეთ სიტუაციებში, რომელიც საყოველთაოდ მიღებულს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება.

დღეს კონტინენტთა კულტურებისა და რელიგიების წინააღმდეგობანი, ოზონის ხვრელი და ძროხის ცოფი, საპენსიო რეფორმა და პოლიტიკურ პარტიათა კაპრიზები, ყველაფერი ეს დაუსრულებლად იჭრება ადამიანთა პირად ცხოვრებაში (1).

ჩვენი დროის ერთ-ერთი უმთავრესი გლობალური პრობლემაა თერმობირთვული ომის საფრთხე. ადრინდელ ომებს მართალია დიდი ნგრევა და მსხვერპლი მოსდევდა ხოლმე, მაგრამ დღის წესრიგში არასოდეს დამდგარა ადამიანის მოდგმის ყოფნა – არყოფნის საკითხი.

არანაკლებ რისკის შემცველია ეროვნული და ზნეობრივი ფასეულობების გაუფასურების ტენდენცია, რომელიც შეიძლება სულიერ – ზნეობრივ კრიზისში გადაიზარდოს. სწორედ ამ სფეროში იჩინა თავი ყველაზე მტკივნეულად თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელმა ცვლილებებმა.

არცთუ იშვიათად ხორციელდება იერიში ისეთ ფუნდამენტურ ფასეულობებზე, როგორიცაა ოჯახი, სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთდახმარება და ა. შ.

ბევრი ფიქრობს, რომ თანდათან ქრება ეროვნული კულტურების რადიკალური მრავალფეროვნება და ყალიბდება ზეეროვნული მასობრივი კულტურა. ეროვნული კულტურების ნაცვლად ყალიბდება კოსმოპოლიტური კულტურა, სადაც ყველაფერი ეროვნული უკან გადაიწევს ან სულაც იკარგება

თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი საფრთხე პატარა ერებისა და ქვეყნებისათვის მდგომარეობს იმაში, რომ იგი მათ აკარგვინებს დამოუკიდებელ ეკონომიკურ საფუძვლებს და უნდათ თუ არ უნდათ საბოლოოდ მდიდარი და ძლიერი ქვეყნების მონოპოლიათა გასაღების ბაზრად უნდა გადაიქცნენ. ასეთი პერსპექტივა, რომლის კონტურები დღეს უკვე აშკარად იკვეთება, რეალურ საფრთხეს უქმნის ეროვნულ სუვერენიტეტს და თვითმყოფადობას. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ყველაზე ეფექტური იარაღი ჩემის აზრით, ერის ინტელექტუალური და მწარმოებელი ძალების პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური ამოქმედებაა. მხოლოდ ის ერი შეინარჩუნებს თავის ეროვნულ სახეს და ცხოვრების წესს, ეროვნულ მეობას და თვითმყობადობას, ვინც ამას შეძლებს.

ლიტერატურა:

1. ბეკი ულრიხ. რა არის გლობალიზაცია, 2013 წ. „ელფის" გამომცემლობა;
2. ე. კოდუასთან, სოციოლოგია, თსუ, 1998;
3. ანთაძე ც. სოციალური რისკები თანამედროვე საქართველოში, ჟურნალი „ეკონომისტი“, №2, 2010;
4. Зубков В – социологическая теория риска: Монография – М. Изд – во РУДН, 2003.

Manana Gagoshidze – Doctor of Philosophy, Assistent Professor at Sokhumi State University – Faculty of Business and Social Politics. Is author of several scientific manuals and publications in Georgia and as well as in foreign countries.

THE RISKS AND DANGERS OF MODERNITY

ABSTRACT

In conclusion, we can assume that changes, risk and threats which are the concomitant for our century, have reach to every sphere of society. This can be politics, economic, culture, media, military sphere, demography, ecology, medicine, private life and etc. These changes became the basics of restructuration of old standards, mechanisms and approaches in process management.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

რაულ ღიბრაძე – ფილოსოფიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები ფილოსოფიის, სოციალური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის სფეროში.

სოციოლოგიის ძირითად ცნებათა შესახებ

1. რა არის ცნება?

ცნება არის აზრი, საგნის ან საგანთა კლასის არსებითი ნიშან – თვისებების შესახებ. როგორც ვიცით, საგნებსა და მოვლენებს უამრავი ნიშან – თვისებები გააჩნიათ, მაგრამ ყველა ეს ნიშან – თვისებები ცნებაში არ აისახება, ცნებაში შედის საგნისათვის დამახასიათებელი ის უმნიშვნელოვანესი ნიშან – თვისება, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ამ საგნისა და მოვლენის ძირითად არსს. ყველა მეცნიერებასა და დისციპლინას თავისი ცნებათა კატეგორიალური აპარატი, ცნებათა სისტემა გააჩნიათ, რითაც ისინი ოპერირებენ. ცნებები განსხვავდებიან თავიანთი ზოგადობის ფორმით, მაგალითად, ფილოსოფიაში, როგორც უზოგადეს მეცნიერებაში არსებობს უზოგადესი ცნებები, როგორიცაა: ცნობიერება – ყოფიერება, დრო – სივრცე, რაოდენობა – თვისობრიობა, აუცილებლობა – შემთხვევითობა, არსება – მოვლენა, მიზეზი – შედეგი და სხვა ასეთ უზოგადეს ცნებებს კატეგორიებს უწოდებენ, რომელსაც საყოველთაოდ ყველა კონკრეტული მეცნიერება იყენებენ, მაგალითად ეკონომიკის მეცნიერების ძირითადი ცნებებია: შრომა, წარმოება, ფული, ოქრო, კაპიტალი, ღირებულება, თვითღირებულება და ა.შ. იურისპრუდენციის ცნებებია: კანონი, სამართალი, კოდექსი, სასჯელი, დანაშაული, ბრალდება და ა.შ. ასევე სოციოლოგიასაც აქვს თავისი ცნებათა სისტემა, რომელიც გარკვეული

ზოგადობით ხასიათდება და განსაკუთრებით სოციალური მეცნიერებებიც მოიხმარენ.

სოციოლოგიის მეცნიერების დაფუძნებიდან მოყოლებული კლასიკოსი მამები ზრუნავდნენ სოციოლოგიის ძირითად ცნებათა სისტემის შექმნაზე, მაგალითად: ო·კონტმა შემოიტანა „სოციოლოგიის“, „სოციოლოგიური მეცნიერების“, „სოციუმის“, "პოზიტიურის“, „პროგრესის“, „სოციალური სტატისტიკის“, „სოციალური დინამიკის“, „სოციოლოგიის მეცნიერული მეთოდების“, „სოციალური ანალიზის“, „წესრიგისა“ და სხვა მნიშვნელოვანი ცნებები; ჰ. სპენსერმა · „საყოველთაო” ევოლუციის“, „საზოგადოების, როგორც ერთიანი ორგანიზმის“, „ბუნებრივი გადარჩევის“, „არსებობისთვის ბრძოლის“, „ანალოგიის მეთოდის“, „ერთგვაროვნებიდან მრავალგვარობისკენ“, „დიფერენციაციის“, „სვლა მარტივიდან რთულისაკენ“, „ინტეგრაციის“ და სხვა ცნებები. ე. დიურკჰეიმმა – „სოციალური ფაქტორის“, „სოციალური სოლიდარობის“, „სოციალური ინსტიტუტების“, „სოციალური სნეულობისა და სიჯანსაღის“ ცნებები და სხვა. 8. ვებერმა – „ეკონომიკური რაციონალობის“, „რაციონალური ბიუროკრატიის“, „სოციალური კონტროლისა“ და სხვა.

სოციოლოგიის მეცნიერების ცნებათა სისტემის შემუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვით შემდგომი თაობისა და თანამედროვე გამოჩენილ სოციოლოგებს: ფ.ვიზეს, გელენს, ვებლენს, დარენდორფს, ახონს, ბელს, ზიმელს, მორენოს, პარსონს, მერტონს და ა.შ.

სოციოლოგიის ცნებათა სისტემაში ყველაზე ფართო და მნიშვნელოვანი „სოციალური“ უნივერსუმის“ ცნებაა, რომელშიც მოიაზრება მთელი სოციალური სინამდვილე, როგორც ერთიანი, მთლიანი, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით სოციოლოგიაში დამკვიდრებულია „სოციუმის“ – Socium (ზოგადი, საერთო, ერთობლივი) ცნება, რომელშიც

მოიაზრება დიდი, მყარი, სოციალური ერთობა, მაგრამ ამავე დროს „სოციუმის ცნებას იყენებენ ცალკეული დიდი დასრულებული სისტემების აღსანიშნავად, როგორიცაა: სოციო-კულტურული ერთობები, ეთნიკური და ეროვნული ერთობები, კონფესიური და ტერიტორიული ერთობები. „სოციუმის" ცნებაში მოიაზრება არა მხოლოდ დიდი მთლიანობის დასრულებული ერთიანობა, არამედ მისი შემადგენელი დიდი დასრულებული ნაწილები, როგორიცაა: სოციალური ერთობები, სოციალური სისტემები, სოციალური ორგანიზაციები, სოციალური ინსტიტუტები და სხვა დიდი სოციალური ჯგუფები. სოციუმის უმაღლეს ფორმად მიჩნეულია „საზოგადოების" ცნება, როგორც სრული სოციალური სისტემა, თავისი შემადგენელი დიდი, დასრულებული ქვესისტემებით (საზოგადოებაზე, როგორც სოციოლოგიის მეცნიერების უმნიშვნელოვანეს კატეგორიას მიუძღვნით შემდგომ თავს). ზემოთ აღნიშნული ცნებების გარდა სოციოლოგიის მეცნიერების კუთვნილებაა და შესასწავლი საგანია ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები და თემები, როგორიც არის: **ოჯახი, გვარები, ტომები, თემები, ეროვნებები, ერები, პოლიტიკურ – ეკონომიკური სტრუქტურები, კულტურულ – რელიგიური და სხვა სოციალური ჯგუფები, სოციალური ერთობები, სოციალური ფენები, კლასები, სტრატეგი, კასტები** და სხვა მრავალი სოციალური ერთობები.

2. სოციოლოგიის ზოგიერთი ძირითადი ცნებები

„სოციალური ერთობები" – ს ცნება თავისი ფართო მნიშვნელობით ზოგადი სოციოლოგიის უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა, რომელსაც მოიხმარენ ადამიანთა ყოველგვარი გაერთიანების აღსანიშნავად, ნებისმიერი სოციალური ჯგუფის განსასაზღვრავად, დეფინიციის ჩამოსაყალიბებლად. ადამიანს, როგორც ბიო – ·სოციალურ არსებას, რადგან ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, იძულებული არიან იცხოვრონ ჯგუფებად სხვადასხვა ერთობების სახით.

„სოციალური ერთობის“ ცნებაში ტრადიციულად მოიაზრება: ეთნიკური, დემოგრაფიული, ტერიტორიული, კულტურული, კლასობრივი სოციალური ფენები, როგორიცაა: ოჯახი, გვარი, ტომი, თემი, ხალხი, ეროვნება, ერი (რომელსაც შემდგომ თავებში მოკლედ განვიხილავთ).

სოციალური ერთობა არის ბუნებრივად მყარი სოციალური კავშირებით გამტკიცებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობა, მთელი რიგი საერთო ნიშან – თვისებებით. ხელოვნურად შექმნილი და ჩამოყალიბებული ჯგუფები ერთობის ცნებაში არ მოიაზრებიან, მაგრამ არიან მოაზროვნები, რომლებიც სოციალური ერთობის ცნების ქვეშ ყოველგვარ ჯგუფებსა და გაერთიანებებს მოიაზრებენ.

სოციალური ერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას „სოციალური ჯგუფები“ წარმოადგენს. არსებობს დიდი და მცირე სოციალური ჯგუფები.

თანამედროვე სოციოლოგიაში სოციალურ ჯგუფებად მოიხსენიებენ მრავალგვარ გაერთიანებებს. **სოციალური ჯგუფი არის ადამიანთა ერთობა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო მიზნების, ინტერესების, იდეალების შესაბამისად და ეწევიან გარკვეულ საქმიანობას.** სოციალური ჯგუფები შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს ოფიციალური სტრუქტურების მიერ ან ინდივიდების მიერ თავიანთი ნებით. ეპოქის შესაბამისად ადამიანებს უყალიბდებათ მატერიალური და სულიერი ინტერესები, მოთხოვნილებები და მიზნები და ერთიანდებიან გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში. სოციალური ჯგუფები კი ქმნის საზოგადოებებს. ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ, გაცილებით მეტი დინამიურობა შეიძინა, გამრავლდა და გამრავალფეროვანდა სოცალური ჯგუფები. ჩნდება დიდი და მცირე სოციალური ჯგუფების ცნება. ანსხვავებენ ფორმა-

ლურ და" არაფორმალურ ჯგუფებს, ეთნიკურს და ტერიტორიულს, ასაკობრივსა და პროფესიულს და სხვა მრავალს.

დავიწყოთ **„სოციალური მცირე ჯგუფით“,** რომელშიც მოიაზრება ერთგვაროვანი სულიერი და მატერიალური, მჭიდრო კონტაქტების მქონე ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი ფსიქო – ფიზიკური, ზნეობრივ – ინტელექტუალური და მსოფლმხედველობრივი მახასიათებლები. მცირე სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდთა შორის სიმპათია – ანტიპათიას, ხასიათს, განწყობას, დროს და ვითარებას. ჯგუფის სიმრავლე დამოკიდებულია პიროვნებების სურვილზე, აქტიურობასა და ენერგიულობაზე, კონტაქტურობასა და სხვა პარამეტრებზე. სოციალური ჯგუფების აღიარებული მკვლევარი და მცირე სოციალური ჯგუფის ცნების დამფუძნებელი ჯ. მორენო (1892 – 1974წ.) თვლის, რომ მცირე სოციალურ ჯგუფში მოიაზრება 3 – დან 20 ადამიანამდე. თუ სოციალურ მცირე ჯგუფებს სწავლობს მიკრო სოციოლოგია, **„სოციალური დიდი ჯგუფები“** მაკრო სოციოლოგიის შესასწავლი საგანია, თავისი განსხვავებული მიდგომებითა და კრიტერიუმებით. სოციალური დიდი ჯგუფები, როგორც წესი, მცირე სოციალური ჯგუფებისაგან შედგება და შედარებით რთული სტრუქტურისაა, რადგან მოიცავს უამრავ სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებს, ორგანიზაციებს, სოციალურ ფენებს, კლასებს, ეთნოსებს, ერებს და სხვადასხვა დიდ სოციალურ გაერთიანებებს. დიდი სოციალური ჯგუფების წევრები შეიძლება არც იცნობდნენ და მათ შორის არავითარი კონტაქტი არ არსებობდეს, სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ამა თუ იმ ნიშნით მიეკუთვნებოდნენ დიდ სოციალურ ჯგუფს. მაგალითად, მეწარმეთა, ან მშრომელთა, ან ინტელიგენტთა, ან მდიდართა, ან ღარიბთა, ან სტუდენტთა და სხვა დიდ სოციალურ ჯგუფს.

არსებობს ფორმალური და არაფორმალური სოცია-

ლური ჯგუფები: ფორმალურია იურიდიული სტატუსის მქონე, სამართლებრივ ჩარჩოებში მოქმედი სოციალური ჯგუფები. არაფორმალურია ისეთი სოციალური ჯგუფები, რომლებიც იურიდიულად არ არიან რეგისტრირებულნი, როგორიცაა სამეგობრო, საძმოები და სხვადასხვა სახის დაჯგუფებები.

ახლა კი მოკლედ განვიხილოთ სოციოლოგიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორებიცაა: **სოციალური რეალობის, სოციალური პროცესის, სოციალური ინტეგრაციისა და დიფერენციაციის, სოციალური ფაქტის, სოციალური სიტუაციის, სოციალური კრიზისის, სოციალური კონფლიქტის, ბიუროკრატიის, პიროვნების სტატუსისა და როლის, სოციალური კონტროლის, სოციალური პროგნოზირებისა და დიაგნოსტიკის ცნებები.**

„სოციალური რეალობის“ ცნებაში მოიაზრება მთელი საზოგადოებრივი სინამდვილე, თავისი მრავალგვარობით, საზოგადოებაში მიმდინარე სულიერი და მატერიალური პროცესებით, ეკონომიკით, პოლიტიკით, სამართლით, ზნეობით, რელიგიით, კულტურით და ა.შ. სოციალური რეალობის ცნებასთან ძალზედ ახლოს არის „სოციალური პროცესის“ ცნება, რაც ნიშნავს მიმდინარეობას, წინსვლას. სოციალურ რეალობაში ადგილი აქვს ცვალებადობას, მობილობას, განვითარებას და საერთოდ საზოგადოებაში მიმდინარე სხვადასხვაგვარ პროცესებს, მაგალითად სოციალურ ინტეგრაციის (აღდგენა, შევსება). ეს ნიშნავს რაიმე მთლიანი პროცესის მოწესრიგებას, სტრუქტურირებას. სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს სოციალურ ურთიერთობაში მყოფ მხარეების მოწესრიგებულ მდგომარეობას. სოციალური ინტეგრაციის საპირისპირო ცნებაა. სოციალური დიფერენცია (სხვადასხვაობა, განსხვავებულობა), რაც გულისხმობს განვითარების პროცესში მყოფი საგნის მხარეების, ნაწილების საფეხურებს მთლიანი მოვლენის დონეებად დაშლას. რეა-

ლობაში მიმდინარე სოციალური პროცესების ინტეგრაცია – დიფერენციაციის სახით მიმდინარეობს.

სოციოლოგიაში ხშირად იყენებენ სოციალური ფაქტისა და სოციალური სიტუაციის ცნებებს. **„სოციალური ფაქტი“** არის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მომხდარი სოციალური სინამდვილე, ამბავი. მეცნიერული თვალსაზრისით ღირებულად ითვლება ისეთი სოციალური ფაქტები, რომლებიც ნამდვილი და სარწმუნოა, ამას კი ვაღწევთ სოციოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებითა და კონკრეტული სოციოლოგიური კვლევით.

სოციალური ფაქტის ცნებასთან მჭიდრო კავშირშია **„სოციალური სიტუაციის**“ ცნება, რომელშიც · მოიაზრება მრავალგვარი მდგომარეობა, ეს შეიძლება დადებითი ან უარყოფითი, შეიძლება ნეიტრალურიც. სოციალური სიტუაცია შეიძლება იყოს შექმნილი სუბიექტურად, ადამიანის ნება – სურვილიდან ან ობიექტურად – ბუნებრივად, მდგომარეობიდან გამომდინარე. ამგვარად, **სოციალური სიტუაციის ცნება არის პრობლემური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია სუბიექტისა და ობიექტის აქტივიზაციით.** სოციალური სიტუაციები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს პრობლემური ვითარების დროს, რომლის გამომწვევი მიზეზების კვლევა და სიტუაციის გამოსწორების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება გამოყენებითი სოციოლოგიის სფეროს განეკუთვნება.

„სოციალური კრიზისის“ ცნების ქვეშ მოიაზრება „სოციალური წინააღმდეგობების გამოვლენის მწვავე ფორმა, რომელიც დაკავშირებულია სოციალური სტაბილურობის დარღვევასთან“. კრიზისული მდგომარეობა გულისხმობს პრობლემურ სიტუაციებს. სოციალური კრიზისი სწორედ პრობლემური სიტუაციების სახით ვლინდება. კრიზისული ვითარებები შეიძლება შეიქმნას სოციალური ცხოვ-

რების ყველა სფეროში. სუბიექტური და ობიექტური წინააღმდეგობები წარმოადგენს კრიზისის საფუძველს.

„სოციალურ კონფლიქტს“ ვუწოდებთ ისეთ სიტუაციას, რომელშიც დაპირისპირებული მხარეების მიზნები და ამოცანები შეუთავსებადია ან აღიქმებიან მხარეები მათ შეუთავსებლად, რომლის დროსაც ადამიანთა შორის ირღვევა ურთიერთობები. კონფლიქტის ესკალაციისა და დაძაბულობის გამწვავების ნაცვლად საჭიროა კომპრომისზე, რაღაცის დათმობაზე წასვლა, კონფლიქტის მოგვარების მიზნით საუკეთესო თანამშრომლობის სტრატეგიაა „მოგება – მოგების“ პრინციპით·

„სოციალური ბიუროკრატიის“ ცნება მ. ვებერმა შემოიღო, როგორც დადებითი შინაარსის მატარებელი ტერმინი, სახელმწიფო აპარატის საშუალო რანგის ჩინოვნიკური სისტემის აღსანიშნავად ბიუროკრატიის ქვეშ მოიაზრება არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, არამედ წ ნებისმიერი სოციალური ორგანიზაციის მმართველობითი კანცელარიები. ბიუროკრატია განიხილება არა მხოლოდ პოლიტიკური თუ ეკონომიკური მართვის სტრუქტურად, არამედ როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და ეფექტური, სოციალური ორგანიზაციის აუცილებელ ფორმად, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთდაქვემდებარებაზე, ანგარიშვალდებულებაზე და გონივრული მართვის სისტემაზე. თუმცა ბიუროკრატიას მმართველის უნიათობისა და უკონტროლობის პირობებში ნეგატიურ რგოლადაც შეიძლება გადაიქცეს, ან თავიანთი კომფორტისკენ გაუჩნდეთ მიდრეკილება, რაც დამაზიანებელი იქნება ბიუროკრატიული მმართველობის სისტემისთვის. ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს **„სოციალური კონტროლის“** ცნება, რომელიც ორგანიზაციის ან მთლიანად საზოგადოების თვითრეგულირების მექანიზმს წარმოადგენს. კონტროლის მექანიზმში იგულისხმება მორალური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული წე-

სები და კანონები, რომლის დაცვა სოციალური ინსტიტუტების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს.

სოციოლოგიაში არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორიცაა „სოციალური პროგნოზირებისა და სოციალური დიაგნოსტიკის“ ცნებები, ისინი სოციოლოგიური კვლევის დასკვნით ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც სოცილოგიის მეცნიერებას უსვავს ხაზს, მეცნიერული კვლევების მეშვეობით დამდგარი შედეგების მიხედვით აკეთებს მეცნიერულ პროგნოზებს და სვავს კვლევის შედეგად მიღებულ მეცნიერულ დიაგნოზს, რომელსაც აცნობს რეკომენდაციების სახით კვლევის დამკვეთს.

ჩვენს მიერ მოკლედ მიმოხილული სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ცნებები რა თქმა უნდა არ ამოწურავს მთელ რეალობას. ჩვენს წიგნში სოციოლოგიის ზოგიერთ მნიშვნელოვან ცნებებს თითო თავი აქვს მიძღვნილი, როგორიცაა: საზოგადოების, სოციალიზაციის, დემოგრაფიის, სოციალური სტრუქტურის, სოციალური მობილობის, სოციალური სტრატიფიკაციის, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებების, ღია და დახურული საზოგადოებების, ტექნოსტრუქტურის, კლასების, კასტების, ფენების, ოჯახის და სხვა უმნიშვნელოვანესი ცნებები.

ლიტერატურა:

1. ე. კოდუა. სოციოლოგია, I ნაკვეთი, თბ., 1998 წ.
2. რ. ანდრიაშვილი. სოციოლოგია, თბ., 2012 წ.
3. ს. ბრიუსი. სოციოლოგია (მოკლე შესავალი), თბ., 2018 წ.
4. კ. ქეცბაია. სოციოლოგიის შესავალი, „მერიდიანი“, თბ., 2015 წ.
5. კ. ნონიაშვილი. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თბ., 2009 წ.
6. რ. ღიბრაძე. სოციოლოგია, თბ., 2014 წ.

Raul Gibradze **–** – Doctor of Philosophy, Is author of several scientific manuals and publications in Georgia and as well as in foreign countries.

MAIN NOTIONS OF SOCIOLOGY

ABSTRACT

This article will deal with some important notions of the science of sociology, such as: notions of "social universe", "social medium", "social cohesion", "social groups", "small social groups", "large social groups", "social reality", "social process", "social integration and differentiation", "social fact", "social crisis", "social conflict", "social bureaucracy", "social control"; "social forecast" and "social diagnostics".

Of course, these important notions considered by us don't cover the whole reality.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

გრიგოლ კიკალიშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, მუშაობს მცირე სოციალური ჯგუფების მართვის პრობლემებზე.

მცირე არაფორმალური სოციალური ჯგუფების არსი და მნიშვნელობა ორგანიზაციაში

ნებისმიერი ორგანიზაციის მართვის საფუძველს წარმოადგენს ის ფორმალური ჯგუფები, რომლებიც კანონმდებლობის საფუძველზე ორგანიზაციის საქმიანობისათვის იქმნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით და იმართება მათ მიერვე. ასეთი ჯგუფების ეფექტურად მართვაზე პირდაპირ პროპორციულად არის დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობისას მენეჯერებს არ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან ის არაფორმალური ორგანო, რომელსაც არაფორმალური ჯგუფი ჰქვია და რომელიც ყალიბდება სამუშაო ადგილზე (გარემოში) ხელმძღვანელობასთან შეთანხმებისა და მათი ნების გარეშე.

სოციალური ერთობის ერთ-ერთ ფორმას ჯგუფი წარმოადგენს. ადამიანების ერთობას ჯგუფი რომ ვუწოდოთ, უნდა არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ, მათ შორის უნდა არსებობდეს სოციალური ურთიერთობები, უნდა იყვნენ ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთი წევრის ქმედება აისახება მეორეზე, ურთიერთობა უნდა იყოს დროში გამოცდილი, მყარი, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ საერთო მიზანი და თავს აღიქვამდნენ ჯგუფის წევრებად.

ჩესტერ ბარნარდი თავის „აღმასრულებლის ფუნქციებში“ არაფორმალურ ჯგუფებს შეისწავლის და წერს: „არაფორმალური ჯგუფები შედგება საზოგადოებრივი პროცესებისაგან, რომლებიც არაცნობიერია ფორმალური ორგანიზაციის ცნობიერ პროცესებთან შედარებით. მათ ორი მნიშვნელობვანი სახის ეფექტი აქვთ:

1. ის გარკვეულ დამოკიდებულებებს, წესებს, ჩვევებს აყალიბებს;
2. ქმნის პირობას, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ფორმალური ორგანიზაციები ჩამოყალიბდეს“.

ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ რა არის მცირე „არაფორმალური სოციალური ჯგუფი“, რა განაპირობებს მის ჩამოყალიბებას და რა როლს თამაშობს ის, ორგანიზაციის საქმიანობაში?

ჯგუფის წევრთა რაოდენობის მიხედვით გამოიყოფა: მცირე, საშუალო და დიდი ჯგუფები. როგორც წესი „მცირე ჯგუფის“ ზომა არ აღემატება რამდენიმე ათეულ ადამიანს. იგი შესაძლოა არსებობდეს ნებისმიერი ზომის ორგანიზაციაში. მცირე ჯგუფის წევრები პირადად იცნობენ ერთმანეთს, დაკავშირებული არიან ერთმანეთთან როგორც შრომითი ურთიერთობებით, ისე ღირებულებითი და სულიერი კავშირებით. „მათი ურთიერთობა, როგორც თანამოაზრეებისა და იდენტური ფასეულობების მატარებელი ადამიანებისა, გრძელდება სამუშაოს გარეთაც, რაც მათ კავშირს უფრო მტკიცეს ხდის“ [4; გვ. 14].

მცირე ჯგუფი ნიშნავს ჯგუფს, რომლის წევრებიც გაერთიანებული არიან საერთო სოციალური საქმიანობით და აქვთ უშუალო პირადი კომუნიკაცია, რაც საფუძველია ემოციური ურთიერთობების, ჯგუფური ნორმებისა და ჯგუფური პროცესების წარმოშობისათვის. ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მცირე ჯგუფი არის ჯგუფი, რომელშიც

სოციალური ურთიერთობები მოქმედებს უშუალო პირადი კონტაქტების ფორმით“ [5; გვ. 27].

მცირე ჯგუფების შესწავლისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირად კონტაქტს ჯგუფის წევრებს შორის და ითვლება, რომ მცირე ჯგუფი არის ნებისმიერი საზოგადოების ასოციაცია, როდესაც მათ შორის უშუალო პერსონალური კონტაქტია დამყარებული. აღსანიშნავია, რომ ჯგუფები გავლენას ახდენენ თავიანთ წევრებზე, რათა უზრუნველყონ ჯგუფის ნორმების შესრულება. მცირე სოციალური ჯგუფის წევრები გაერთიანებულნი არიან საერთო საქმიანობით და ერთმანეთთან უშუალო სტაბილურ პერსონალურ კომუნიკაციაში იმყოფებიან, რაც საფუძველია როგორც ემოციური ურთიერთობების, ასევე ჯგუფური ფასეულობებისა და ქცევის ნორმების გაჩენისთვის [5; გვ.28].

ამრიგად, მცირე ჯგუფი შეიძლება ხასიათდებოდეს როგორც ჯგუფი, რომელიც შედგება მინიმუმ ორი ადამიანისგან, რომლებიც შედიან უშუალო ინტერპერსონალურ კონტაქტებში, აქვთ საერთო მიზანი, ამ ჯგუფში მათი კუთვნილების შესახებ ინფორმირებულობა და ჯგუფში ურთიერთქმედების ზოგადი ნორმები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფში არსებული ურთიერთობათა ფორმის მიხედვით გამოყოფენ პირველად და მეორეულ ჯგუფებს. მეორეული ჯგუფების ერთ-ერთი საინტერესო სახეა: არაფორმალური სოციალური ჯგუფი. არაფორმალური ჯგუფები სოციალური ურთიერთობების ბაზაზე ჩამოყალიბებული ადამიანთა ჯგუფებია. მათი წარმოშობისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია ერთიდაიმავე საწარმოში (ორგანიზაციაში) დასაქმებული, იდენტური მიზნის მისაღწევად მომუშავე ადამიანების ერთობა.

არაფორმალური ჯგუფები იქმნება სპონტანურად, მათ შორის, ფორმალური ორგანიზაციის ფარგლებში, ინტერპერსონალური ურთიერთობების, საერთო ინტერესების, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. არაფორმალურ ჯგუ-

ფებს ახასიათებთ შედარებით დამოუკიდებლობა ოფიციალური სტრუქტურებისგან, ზოგჯერ ნათლად არ არის გამოხატული ჯგუფური საქმიანობის მიზანი, ჯგუფის წევრებზე არაფორმალური კონტროლი.„ ასეთ ჯგუფებს ზოგჯერ ინტერესთა ჯგუფებად მოიხსენიებენ“ [5; გვ. 28].

ამგვარად ჯგუფები, რომლებიც ორგანიზაციისა და კონტროლის ფორმალურ სისტემას ემყარებიან , ფორმალურ ჯგუფებს წარმოადგენენ. მათგან განსხვავებით, არაფორმალური ჯგუფები ორგანიზაციისა და კონტროლის არაფორმალურ სისტემას ემყარებიან“ [3; გვ. 171].

ისმის კითხვა, რატომ უჩნდება ადამიანს მოთხოვნილება შექმნას და გაერთიანდეს არაფორმალურ ჯგუფში? ხშირ შემთხვევაში ის ხომ ამ ჯგუფში ფორმალურად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ისედაც ირიცხება? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ არაფორმალურ ჯგუფში ადამიანები სხვადასხვა მიზნით შესაძლოა გაერთიანდნენ. მათ შორის არის იმის განცდა, რომ ფორმალურ ჯგუფში ისინი ირიცხებიან იმის მიუხედავად საერთო მორალური პრინციპები და სულიერი ღირებულებები გააჩნიათ თუ არა. ამის საპირისპიროდ ადამიანები არაფორმალურ სოციალურ ჯგუფში ერთიანდებიან საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო და ამგვარი კავშირით ცდილობენ უფრო სასიამოვნო და კრეატიული გახადონ რუტინული სამუშაო გარემო, რაც ხშირ შემთხვევაში დადებითად აისახება შრომისნაყოფიერებაზე და იძლევა კარგ შედეგს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არაფორმალური ჯგუფი შესაძლოა ხისტი და არაეფექტური მართვის პირობებში საფრთხედ იქცეს ორგანიზაციისათვის, რაც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ არაერთ მმართველს მისი მართვის ქვეშ მყოფ ორგანიზაციაში არსებული არაფორმალური ჯგუფების მიმართ უჩნდება ნეგატიური დამოკიდებულება, რადგან უმეტეს შემთხვევაში ორგანიზაციის მმართველი პირები არ არიან მათ ორგანიზაციაში არსებული არაფორმა-

ლური ჯგუფის წევრები, ანდა არ აღიარებენს ასეთი ჯგუფების არსებობას, და შესაბამისად, ვერასოდეს ხვდებიან იმას თუ რა აერთიანებთ ამ ადამიანებს, რა მიზნებისათვის შეიქმნა იგი და რა ასაზრდოებს მათ.

სწორედ არასათანადო დამოკიდებულება და მათი არსებობის უგულებელყოფა შესაძლოა გახდეს არაფორმალური ჯგუფის წევრებისასთვის მაპროვოცირებელი თვითონაც გაუჩნდეს ნეგატიური დამოკიდებულება ორგანიზაციისა და მისი მმართველი გუნდის მიმართ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ძლიერი ლიდერის არსებობის შემთხვევაში(რომელიც შედის კონფლიკტში ორგანიზაცის მმართველ ჯგუფთნ) მას შეუძლია აიყოლიოს ჯგუფის სხვა წევრებიც დესტრუქციული მოქმედებებისაკენ, რასაც ორგანიზაციის დაშლაც კი შეუძლია [6; გვ. 2].

ისმის კითხვა, სად და რაში მდგომარეობს გამოსავალი?

უპირველეს ყოვლისა მმართველი გუნდი მუდმივად უნდა იყოს მზად მათ ორგანიზაციაში დასაქმებულ ადამიანებს გასცეს პასუხი ყველა კითხვაზე რაც მათ დაებადებათ საქმიანობის პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია ყველა გადაწყვეტილების მიღებამდე, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული პირი (მათი სურვილის შემთხვევაში) გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხელმძღვანელობამ მათ უნდა გაუჩინოს განცდა იმის თაობაზე, რომ მმართველი გუნდი მუდამ მზადაა გულისყურით მოისმინოს თანამშრომელთა პრობლემები და დაეხმარონ მათ მათ წინაშე მდგარი პრობლემური საკითხების გადაჭრაში. ასევე მნიშვნელოვანია, ხემძღვანელობის მიერ აღიარებულ იქნეს არაფორმალური ჯგუფების არსებობა და მათ მიმართ მმართველ გუნდს არ გაუჩნდეს უარყოფითი დამოკიდებულება, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე არაფორმალური ჯგუფები ეფექტური მართვის პირობებში არათუ საზიანო არამედ ძალზე სასარგებლო არის

ორგანიზაციის წინსვილისა და განვითრებისათვის. ამის ბრწყინვალე მაგალითია ა.შ.შ. ილინოისის შტატის ქალაქ ჩიჩერონში კომპანია „ვესტერნ ელიკტრიკი“ – ს ქარხანაში ჩატარებული ექპერიმენტი. ამ ექპერიმენტმა აჩვენა, რომ არაფორმალურ ჯგუფს სწორი მართვის პირობებში შეუძლია გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.

„არაფორმალურ ორგანიზაციას ახასიათებს შემდეგი ძირთადი ნიშნები:

1.ორგანიზაციის წევრების სოციალური კონტროლი,

2. ცვლილებებისადმი დაპირისპირება,

3. არაფორმალური ლიდერის არსებობა“.

ორგანიზაციის სოციალური კონტროლი აიხსნება იმით, რომ ორგანიზაციის ქცევა და საქმიანობა ექვემდებარება არაფორმალური ჯგუფის შიგნით დადგენილ წესებს და ნებისმიერი დევიანტური ქცევა ჯგუფის მიერ აღიქმება არასანდო, არაღირსეულ საქციელად, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის წევრის გარიცხვა, შესაბამისად, ჯგუფიდან გარიცხული წევრის შესახებ ცნობილი ხდება სხვა ადამიანებისათვის (ჯგუფებისათვის) რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად მოქმედებს ჯგუფიდან გარიცხული წევრის ავტორიტეტზე, შესაბამისად, სწორედ სოციალური კონტროლის მექანიზმის წყალობით წესრიგდება ურთიერთობები ჯგუფის წევრებს შორის, რასაც შესაძლოა დავარქვათ არაფორმალური სოციალური ჯგუფის ქცევათა მარეგულირებელი ნორმები.

რაც შეეხება ცვლილებებისადმი არაფორმალური ჯგუფის წევრების დამოკიდებულებას, ცვლილება ნებისმიერი ჯგუფისადმი საფრთხის შემცველია, რადგან მათ არ იციან თუ რა შედეგი შესაძლოა დადგეს მათთვის ცვლილებების შემდეგ. მათი ხისტი და ნეგატიური მოქმედებების თავიდან ასაცილებლად ხელმძღვანელი პირები უნდა ცდილობდნენ არაფორმალურმა ჯგუფებმა პირველწყაროდან მიიღონ ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რაც არ და-

ტოვებს არაფორმალურ ჯგუფში ადგილს დაუზუსტებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციისითვის. ცვლილებები შესაძლოა შევადაროთ სიტუაციას, როდესაც პატარა ბიჭმა გადაწყვიტა ჩიტის ბუდე გადახუროს რათა არ დასველდნენ ბარტყები, თუმცა ფრინველებმა ამის შესახებ არაფერი იციან და სანამ ბიჭი მათ ბუდეში მსხდომ ბარტებთან არის მოსვენება აქვთ დაკარგული.

აქვე სასურველია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი კითხვას მცირე არაფორმალურ ჯგუფებში არსებობენ თუ არა ლიდერები (პრივილეგირებული ადამიანები) და რა განაპირობებს მათ არსებობას (ჩამოყალიბებას).

არაფორმალურ ჯგუფში არიან ადამიანები, რომლებიც შესაძლოა განვიხილოთ ამ ჯგუფის ლიდერად. ისინი ხშირ შემთხვევაში არან ფორმალურ ჯგუფში სამსახურებრივად მაღალ საფეხურზე მყოფი მუშაკები, რომელთაც ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით აქვთ უფრო მეტი გავლენა ორგანიზაციაში, არიან გადაწყვეტილებების მიმღები პირები და აქვთ მდიდარი სამუშაო გამოცდილება. ისინი მუდმივად მზად არიან არაფორმალური ჯგუფის პრობლებების მართვას ჩაუდგნენ სათავეში და ამით გვევლინებიან ჯგუფის სხვა წევრების მფარველად და მეგობრად.

„ფროიდს მიაჩნდა, რომ ადამიანები ქმნიან ჯგუფებს და რჩებიან ამ ჯგუფებში ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ უყალიბდებათ ერთგულების გრძნობა და ასევე მორჩილების გრძნობა ჯგუფის ლიდერის მიმართ. ფროიდის მიხედვით ეს ხდება არა იმიტომ, რომ ლიდერებს ახასიათებთ რაღაც განსაკუთრებული თვისებები, არამედ გაპირობებულია იმით, რომ ჩვენ ლიდერებს უძლეველ, ღმერთის ტოლ პიროვნებებთან ვაიგივებთ [2; გვ. 30].

არაფორმალური ჯგუფების მართვას დიდი ძალისხმევა უნდა მოანდომის ნებისმიერმა მენეჯერმა, თუმცა ამ საკითხშიც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ერთნი ფიქრობენ, რომ მთელი ძალისხმევა დახარჯონ არაფორმალური ჯგუ-

ფების დაშლაში, თუმცა ამით საკითხის გადაჭრის ეფექტურობა უმეტეს შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება, რადგან ერთი არაფორმალური ჯგუფის დაშლის შემთხვევაში შესაძლოა (უმეტეს შემთხვევაში ასეა) წარმოიშვას იგივე წევრებისაგან დაკომპლექტებული სხვა არაფორმალური ჯგუფი, რომლის წევრების რაოდენება შესაძლოა იყოს მეტი ან ნაკლები, რომელიც თავიდანვე ნეგატიურად იქნება განწყობილი მმართველი გუნდისადმი და ნებისმიერ ცვლილებაზე ექნება მწვავე რეაქცია. ამასთან, ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო მის წევრებს ექნებათ მუდმივი მცდელობა დატოვონ ორგანიზაცია და გადავიდნენ სხვა კომპანიაში, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ არ იქნებიან იმ ორგანიზაციის ერთგულნი სადაც არიან დასაქმებული და არ იქნებიან დაინტერესებული ამ ორგანიზაციის წარმატებით, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება მათ შრომისნაყოფიერებასა და კომპანიის განვითარებაზე.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე შესაძლოა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია არა არაფორმალური სოციალური ჯგუფის დაშლა, არამედ, მისი გამოყენება ორგანიზაციის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებისათვის. ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღიარებულ იქნეს ორგანიზაციაში არაფორმალური ჯგუფის არსებობა, შესწავლილი იქნეს მათი მოსაზრებები და მოლოდინები, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასურველია საკითხის განხილვაში ჩაბმულ იქნენ ჯგუფის წევრები და მიწოდებულ იქნეს მათთვის ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია.

ლიტერატურა:

1. ე.ბარათაშვილი, ლ.ქოქიაური, მენეჯმენტის პრინციპები, თბილისი, 2010;

2. ნ. სმელზერი, სოციალური ჯგუფები http://socium.ge/downloads/socshesavali/jgufebi;
3. კ. ქეცბაია, სოციოლოგიის შესავალი, თბ., 2011;
4. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური, მენეჯ-მენტის საფუძვლები, გამ. „უნივერსალი“, თბილისი, 2008;
5. Т. ГАЛКИНА, СОЦИОЛОГИЯ УПРАВЛЕНИЯ: от группы к команде, М. 2003;
6. В. Герчиков, Типологическая концепция трудовой мотивации // Мотивация и оплата труда. 2005, № 3.

Grigol kikalishvili – PhD student of social sciences doctoral program on Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences Faculty at Georgian Technical University. Works on the problems related tu the management of small social groups.

ESSENCE AND IMPORTANCE OF SMALL SOCIAL GROUPS IN AN ORGANIZATION

ABSTRACT

Any organization's management is based on small formal groups which are created and administered by the leadership on the basis of legislation for implementation of organizational duties. Though, any leadership should not leave out of focusexistence of informal groups, which usually are formed without their approval and consent.

Those informal groups are established spontaneously, within formal organizations, based on interpersonal relations, shared interests and respect for each other. Informal groups are characterized by relative independence from formal structures; sometimes the aims of informal group's activities and forms of

informal control on the members of group are not clearly evident. Sometimes such groups are called interest groups.

Informal organization has following major characteristics:

1. Social control of the members of organization;
2. Being in opposition to changes;
3. Existence of informal leader

Any leader should devote significant effort to managing informal groups as far as those groups might act as threat to organization if the management of organization is inefficient and rough. Though, not all share this assumption. Some believe that they should put vast effort inbraking – up informal groups. Though, whether this strategy is efficient raises doubts, as far as dismantling one informal group may lead to establishment of new informal groups with the members of old ones.

As a result, it is better to focus not on dismantling informal groups, but using them for fulfilling organization's short and long – term goals.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

ლია მეტრეველი – განათლების მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. არის სახელმძღვანელოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში. მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. ძირითადად მუშაობს ფსიქოლოგიისა და განათლების პრობლემებზე.

დისტანციური სწავლება, როგორც თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთ-ერთი ფორმა

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სწავლებას მრავალფეროვანი ხასიათი აქვს, რასაც ხსნის, დღეს უკვე პედაგოგის და მოზარდთა ურთიერთობების, ფორმების და მრავალფეროვან მეთოდთა გამოყენების სიხშირე. სწავლება საკმაოდ რთული პროცესია , მას საუკუნეების განმავლობაში აკვირდებოდნენ და იკვლევდნენ სწავლულები, ადგენდნენ გარემო ფაქტორებს , განწყობის, მოტივაციის, პედაგოგისა და მოსწავლეების ურთიერთობების მნიშვნელობას და გავლენას სწავლების ხარისხზე.

მოგეხსენებათ, სწავლება ორმხრივი, ერთიანი, ორგანიზებული პროცესია, რომელიც მიმდინარეობს ერთი მხრივ მასწავლებლის უშუალო მონაწილეობით და მეორე მხრივ მოსწავლის აქტიური ჩართულობით, სადაც ხდება ცოდნა – ჩვევათა გადმოცემა და მოსწავლეების მხრიდან მათი ათვისება.სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე, როდესაც მნიშვნელოვანია მათი განვითარების პროცესი და მათ მიერ მიღწეული შედეგები..მოსწავლე უნდა აღიჭურვოს ცოდნით და იმ უნარ – ჩვევებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის სულიერ და ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითა-

რებას და თვითგანვითარებას: მოამზადებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და სრულფასოვნ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის.

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს.

მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი გამოთქვა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცადა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი. ამ მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად შევარჩევთ მათ.

აუცილებლობა მოითხოვს, რომ გავეცნოთ, ტერმინის მოკლე და ყველაზე გავრცელებულ განმარტებას. რა არის „მეთოდი“?

ცნება "მეთოდი" სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს.

მიმდინარე საუკუნის საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნები და პრინციპები, ტექნიკური პროგრესი და ტექნოლოგიური პროცესები ახალ – ახალ პრობლემებს ქმნის და დიდ ზეგავლენას ახდენს განათლების არსებულ სისტემებზე. აქედან გამომდინარე საჭიროა არსე-

ბული საგანმანათლებლო სისტემის ძიება, დადგა დრო, ობიექტური სინამდვილის ასახვისთვის. ადამიანის აღქმის აპარატი გადაეწყოს ვირტუალურზე., რასაც განუსაზღვრელი ადგილი უჭირავს ევოლუციური ცვლილებების გზაზე. და იგი აპრიორულს უახლოვდება. მიზნის მსაღწევად საჭიროა , მემკვიდრეობითი პედაგოგოური გამოცდილება და მეცნიერული კვლევების შერწყმა, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. ეს შეთანხმებული ურთიერთმოქმედება, ცხადია, გამიწვევს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხობრივ ცვლილებებს, რომელიც განსაზღვრავს განათლების მომავალს და საფუძველს უყრის ჩვენი ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებას. დანარჩენი სამყაროსთან ადფტირებას და ინტეგრაციას მსოფლიო საზოგადოებაში.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაირსახეობის ერთ-ერთი ფორმაა დისტანციური სწავლება, რომელსაც დღევანდელი პედაგოგიური ტერმინოლოგიით ინტერნეტ – განათლების ტექნოლოგია ეწოდება. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ – განათლების მიმართულება დღეისათვის წარმოადგენს სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიებს. მას დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროპის განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პროგრამებში.

აღმიშნული ტერმინი ცალსახად გამოხატავს რომ, დისტანციური სწავლება ზოგადად, შორი მანძილიდან სწავლებას ნიშნავს, ანუ პროცესს, როცა სწავლების გარკვეული ნაწილი მიმდინარეობს თანამედროვე ტელეკომუნიკაციური სისტემების გამოყენებით (ინტერნეტის გლობალური ქსელის, რისი საშუალებითაც ხდება სასწავლო მასალის მომხმარებლებზე – მოსწავლე, სტუდენტი მიწოდება. ასე რომ, მოსწავლე, სტუდენტი, იყენებს რა ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციულ რესურსებს, ინდივიდუალურად იღებს სასურველ ცოდნას თავისი ინტერესის სფეროში. დისტანციური სწავლების ძირითადი ინფორმაციული რესურსები კომ-

პიუტერული ცოდნის ბაზები, ელექტრონული საწვრთნელები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები,მულტიმედია, ელექტრონული სახელმძღვანელოები, საკონსულტაციო და საკონტროლო სისტემები (ტექსტური, გრაფიკული, ხმოვანი, ანიმაციური და ა. შ.) ყველაფერი ეს არსებულ ტრადიციულ სახელმძღვანელოებთან, დამხმარე სახელმძღვანელოებთან, მეთოდური მითითებებით და ა. შ. ცოდნის მიღების აქტიურ გარემოს ქმნის. ასეთი აქტიური გარემოს შექმნა ხელს უწყობს მასწავლებლისა და მოსწავლეს შორის ერთგვარ საინტერესო დასახალისო ურთიერთობის დამყარებას. „ამრიგად დისტანციური სწავლება, ეს არის არა მხოლოდ ტექსტების წაკითხვა ინფორმაციულ ნაკადში, არამედ მთლიანი პროცესი, რომელიც შეიცავს ინტერნეტში სასურველი ინფორმაციის ძიებას, აზრთა გაცვლა – გამოცვლას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, კამათს, კონსულტაციებს, საშინაო დავალებების გაცემა – შესრულების მიმდინარეობას, საკურსო პროექტებს, სადიპლომო და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოების შესრულებას, სამეცნიერო კვლევების თუ პერიოდული გამოცემებით სარგებლობას და სხვა.“ ასევე გთავაზობთ, კორესპოდენტული სკოლის ევროპის ასოციაციის (AECS) პრეზიდენტის Bemd Schachtsiek – ის აზრს დისტანციური სწავლების შესახებ: „დისტანციური განათლება ეს გაცილებით მეტია, ვიდრე კითხვა, მოსმენა, ჩვენება, დამოუკიდებლად შესწავლა, გაცილებით მეტია, ვიდრე ტრენინგები, ღია სწავლება.“

პედაგოგიკის მეცნიერებებში მუდმივად მიმდინარე კვლევების შესწავლისას და მისი ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ სწავლების მეთოდების ძირითადი მოთხოვნაა მისი ეფექტურობის ხარისხი. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დისტანციური სწავლების ეფექტურობა პირდაპირ განისაზღვრება სასწავლო მასალის ორგანიზებულობის დონით, სწსვლების დამუშავებული სცენარების და მისი რეალი-

ზების საშუალებებით, სასწავლო – დიდაქტიკური პრინციპე-ბის დაცვით, ინფორმაციის აღქმის ფსიქოლოგიური და ერ-გონომიკური თავისებურებებით, პროგრამული და ქსელური რესურსების მაქსიმალური გამოყენებით და რაც მთავარია, სწავლების მოტივაციით, ეს უკანასკნელი კი, უნდა ითქვას, ღრმად არის ჩამჯდარი დისტანციური სწავლების ელემენ-ტებში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მივიყვანეთ Bemd Schachtsiek – ის აზრი დისტანციური სწავლების შესახებ და რომელიც ფაქტიურად წარმოდგენას გვიქმნის დისტანციურ სწავლებაზე, მთლიანობაში მაინც ვერ იძლევა ნათელ სუ-რათს, დისტანციური სწავლების არსსა და შინაარსზე. უნდა ითქვას, რომ დისტანციური სწავლება, როგორც XXI – საუ-კუნის უახლეს პედაგოგიური ტექნოლოგიის, ჯერჯერობით არა აქვს ერთიანი სისტემური განსაზღვრა. ამიტომ დარგის სპეციალისტები მისი განსაზღვრის სხვადასხვა ინტერპრე-ტაციით შემოიფარგლებიან, რომელიც ერთ, ზოგად, მაგრამ მაინც დისტანციური სწავლების ძირითად ფილოსოფიას გა-მოხატავს, როგორც აღნიშნული განმარტებების ანალიზი-დან ჩანს , დიდაქტიკური განათლების ძირითადი ფილოსო-ფია ისაა, რომ იგი პასუხობს თანამედროვე რეალობას, შინა-არსობრივად ესადაგება, საზოგადოების განვითარების მიმ-დინარე პროცესებს. ემსახურება ინფორმაციული საზოგა-დოების განვითარების და შესაბამისად მისი საგანმანათ-ლებლო ფუნქცია კანონზომიერი მოვლენაა.

ბოლო ათასწლეულში დიქტანციურმა სწავლებამ ფარ-თო გვარცელება ჰპოვა მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაში. აშშ – ში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში წარმატებით ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების სასწავლო ცენტრები. სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებში შექმნილია დისტანციური სწავ-ლების სპეციალური განყოფილებები. ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი ნაბიჯები საქართველოშიც გადაიდგა. მათი

წარმატებით გადაჭრა ხდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში , ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში... მაგრამ დისტანციური განათლების მართვისა და დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების ჩამოყალიბებულ სისტემაზე საუბარი ცოტა ადრეა. მთელი რიგი მიზეზების გამო ...

ჩვენს ქვეყანაში დისტანციური სწავლების მართვის აუცილებლობა გამოწვეულია უწყვეტი განათლების ზრდით.ამასთან დაკავშირებით, დისტანციური სწავლებისადმი ინტერესს განსაზღვრავს ტელეკომუნიკაციური საშუალებების განვითარება. რაც არა მარტო განათლების ახალ შესაძლებობებს იძლევა არამედ სწავლის ღირებულებას აიაფებს. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტექნოლოგიების არსებობა დაგვეხმარება, რიგი სოციალური პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა: განათლების მისაწვდომობის გაფართოება(საგანმანათლებლო მომსახურეობის ეკონომიკური და ტერიტორიული მისაწვდომობა) სწავლების დონის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა (სასწავლო პროცესში მაღალკვალიფიციური პედაგოგებისა და სპეციალისტების მოზიდვის შესაძლებლობის მეშვეობით). სწავლებისა და საწარმოო საქმიანობის შეთავსების შესაძლებლობა, აგრეთვე თანამედროვე ტელეკომუნიკაციური საშუალებების პრაქტიკული გამოყენება და სასწავლო პროცესების ინდივიდუალიზაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ფართო მასშტაბიანი ღონისძიებები გაატარა მთლიანად განათლების სისტემის რეფორმირებისათვის. დისტანციური სწავლების სისტემების შექმნის მთელი სირთულე დაკავშირებულია სწავლების ამ სახეობის რთული ჯაჭვის ყველა რგოლის ხარისხის, მეცნიერული დასაბუთებისა და დიდაქტიკური უზრუნველყოფის რეალიზაციის მიმართ წაყენებული მაღალ – მაღალ მოთხოვნებთან.

დისტანციური სწავლების დიდაქტიკურ უზრუნველყოფაში სპეციალისტები გულისხმობენ სასწავლო – მეთოდურ კომპლექსს კონკრეტული სასწავლო დისციპლინისათვის (ან დისციპლინების ციკლისათვის), რომელიც აგებულია დისტანციური სწავლების სისტემური პრინციპების საფუძველზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ პრინციპებს: დიდაქტიკური გამოსადეგობა, თანამიმდევრულობა და სისტემურობა, მოდულობა, კოგნიტურობა, ადაპტიურობა და სხვა.

დიდაქტიკური გამოსადეგობა არის დისტანციური სწავლების თვისება, ხელი შეუწყოს მოსწავლის პიროვნების განვითარებას სწავლების მიზნების შესაბამისად. ის განისაზღვრება შერჩევის შესაძლებლობებით, შინაარსის სტრუქტურირებით და მისი წარმოდგენით სხვადასხვა მისაწვდომი ფორმით იმ პოზიციის შესაბამისად, რასაც მოითხოვს ცოდნის ფორმირებადი სისტემის აქტუალურობა, მეცნიერულობა, მოსწავლეთა ფსიქო – ფიზიკური თავისებურებებისა და მათი ასაკის გათვალისწინებით.

ნაშრომში, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ გამოგვეკვეთა დისტანციური განათლების განვითარების სფეროში არსებული პრობლემები და შემოგვეთავაზებინა ზოგიერთი მათგანის გადაჭრის გზები. ამისათვის, შეძლებისდაგვარად გავაანალიზეთ წარსულის, როგორც სამამულო, ისე უცხოური პედაგოგიური გამოცდილებები, ამოვკრიფეთ მათგან სასარგებლო, რათა შეგვენარჩუნებინა ტრადიციული პედაგოგიკის შიგა მდგრადობა, ევოლუციურობა და შევაერთეთ იგი ახალ, თანამედროვე პერსპექტიულ მიმართულებასთან. მიგვაჩნია რომ ასეთი მიდგომა წარმოადგენს დისტანციური სწავლების სისტემური განვითარების უნივერსალობის ძირითად წყაროს.

დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების დაჯერებულობისა და საიმედოობისათვის საჭიროა, პირველ რიგში დავამუშაოთ დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების პრო-

ცესების დიდაქტიკური კონცეფცია, სადაც მთავარი აქცენ-ტი მისი ფსიქოპედაგოგიური პროცესების დამუშავებას და განხორციელების ტექნიკურ მხარეზე უნდა გადავიტანოთ.

ცხადია, გამოკვეთილი უნდა იყოს დისტანციური სწავ-ლების მთავარი პრინციპები, სადაც შენარჩუნებული იქნება ზემოაღნიშნული ტრადიციული პედაგოგიკის უცვლელი ელემენტები. მიღებული პრინციპები უნდა ესადაგებოდეს დისტანციური სწავლების მიზნებსა და ამოცანებს, წინააღ-მდეგობაში არ მოდიოდეს ქვეყნის განათლების კონცეფცი-ასთან.

ამ პრინციპებად მოიაზრება:

* სწავლების ჰუმანურობის პრინციპები:

*ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებაში დანერგვის პედაგოგური მიზანშეწონილობა;

* დისტანციური სწავლებით განხორციელებული სას-წავლო დისციპლინების შინაარსის დადგენა და შერჩევა;

* დისტანციურ სწავლებაში აკუმულირებული ინფორ-მაციული ნაკადის უსაფრთხოების დაცვის პრინციპი;

* შესასწავლი მასალის შინაარსის მოდელისა და მისი ტექნიკური რეალიზაციების ტექნოლოგიური ადეკვატურო-ბის პრინციპი;

* ხელმისაწვდომობის ღია პრინციპი – იგულისხმება მონაცემთა საინფორმაციო ბაზებისა და ბანკების ისეთი ქსელების შექმნა, სადაც მოსწავლეს, სტუდენტს ან ნებისმი-ერ დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება შეიტანოს მას-ში შესაბამისი კორექტივები და წინადადებები. კომპიუტე-რული ტელეკონცეფციების, ტელეკონსულტაციების და ა.შ. გამართვა და სხვა.

* სწავლებაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების გამოყენება;

* სწავლების მოდულების პრინციპი;

* სწავლების ინფორმაციული ტექნოლოგიების შეზღუ-დულობა და მოქნილობა;

* თანამედროვე ტიპის მასწავლებლის (კოორდინატო-რი, კონსულტანტი, ხელმძღვანელი, სცენარისტი და ა.შ.) ფორმირება;

* სწავლების ხელმისაწვდომობა და ეკონომიკური ეფექტურობა;

* სწავლების მაღალი ხარისხი;

* სწავლების ხარისხის კონტროლი ნებისმიერ დონესა და საფეხურზე.

რა თქმა უნდა მხოლოდ აქ ჩამოთვლილი პრინციპებით არ ამოიწურება დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ეს პრინციპები დარგის განვითარების პარალელურად ნაბიჯ – ნაბიჯ იხვეწება და სრულყოფილ სახეს ღებულობს, გარდა ამისა, დისტანციური სწავლების პრიცესში, საჭიროა, სტუდენტისადმი, მოსწავ-ლისადმი პირველი რიგის ფსიქოპედაგოგიკური მხარდაჭე-რა. ანუ კეთილგანწყობილი ფსიქოლოგიური გარემოს შექ-მნა.ამ სენტენციაში ვგულისხმობთ, აღმოვუჩინოთ სტუ-დენტს, მოსწავლეს დახმარება, რათა გამოიმუშაოს ინდივი-დუალური საგანმანათლებლო მიმართულება, რომელიც ორიენტირებული იქნება სწავლების სხვადასხვა ფორმების, მათ შორის, ტრადიციულის, ეფექტურ შერწყმაზე. აქვე გვინ-და გავაკეთოთ მნისვნელოვანი შენიშვნა: როგორი გასაკვი-რიც უნდა იყოს, დისტანციურ სწავლებაზე ყველას დაშვება არ შეიძლება. მაგალითად, ფსიქოლოგიურად მიზანშეუწო-ნელია დისტანციურ სწავლებაში ისეთი პირების ჩართვა, რომლებსაც აქვთ მძიმე ნერვიული პრობლემები, დეპრესია, შიშები, აკვიატებული აზრები და სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევაში დისტანციური სწავლებას შეიძლება უარყოფითი, ანუ რადიკალური შედეგი მოჰყვეს.

ლიტერატურა:

1. ტრაინიევი, ე. მენეჯმენტის ფსიქოლოგიური ასპექტები, 2009;
2. სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში, სტუ – ს საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები „საბუნებისმეტყველო და საინჟინრო დარგების განვითარების ისტორიის საკითხებზე“, თბილისი, 15 – 18 ივნისი, 2014;
3. ჩაჩანიძე, გ. სართანია ვ. ინტერნეტ განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები, თბილისი, 2004;
4. მეტრეველი, ლ. თანამედროვე საინფორმაციო სისტემები, ტექნოლოგიები და კომუნიკაციები საგანმანათლებლო სივრცეში. შრომები – მართვის ავტომატიზირებული სისტემები, სტუ – ს UNESCO – ს კათედრის „ინფორმაციული საზოგადოება“ დაარსების 15 წლის იუბილე, 2018.

Lia Metreveli – Academic Doctor of Education Sciences. Associate Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, Georgian Technical University. Is the author of few textbooks, has published scientific articles both in Georgia and abroad. Also she has participated in many international scientific conferences. The spheres of her research mainly are psychology and education problems.

DISTANCE LEARNING – ONE OF THE FORMS OF MODERN INFORMATION TECHNOLOGIES

ABSTRACT

One – line teaching is considered to be the system constantly developing and striving towards perfection consisting of specific

methods, means and forms. The author emphasizes the problem of creating a system of guiding one – line teaching technology and one – line teaching itself. It is known that factors such as economic conditions educational needs of social groups, scientific – technical progress, management ways and strategies in the sphere of education. The complex mixture of these factors is characterized by coexistence of interinfluence and determination. Abovementioned mentioned factors have a serious impact on the formation of management as well, as one – line teaching is part of education. The article describes the structure of levels of levels of one – line teaching management in which the level criteria is definite subject of management. Based on existed instructions and statements the process of realization of teaching technology is guided and controlled by the teacher on the first level. On the second level the subject of technology management is the high education establishment in which the given technology is utilized. The third level of management belongs to the state authority and governing bodies working on passing law regulations. The author also offers didactic structure of one – line teaching.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

მარიამ ხეთაგაშვილი *– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, მუშაობს ოჯახური კონფლიქტის პრობლემებზე და იკვლევს მათი გავლენის საკითხს დაწყებითი კლასის მოსწავლეთა ემოციურ თავისებურებებზე.*

ოჯახის ფუნქციები, აღზრდის სტილი და მისი როლი პიროვნების ფორმირების პროცესში

ტრადიციულად აღზრდის მთავარ ინსტიტუტს ოჯახი წარმოადგენს, შესაბამისად ოჯახის როლი ბავშვის აღზრდის პროცესში განუზომელია. ბავშვი ოჯახში ატარებს თავისი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს. სწორედ ამიტომ ოჯახს ბავშვზე ზემოქმედების ხანგრძლივობით სხვა ვერცერთი სოციალური ინსტიტუტი ვერ შეედრება. ადრეულ ასაკში ოჯახში შეძენილი უნარ – ჩვევები ბავშვს მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვება. ოჯახში იწყება ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, შესაბამისად მშობლების პიროვნული მახასიათებლები, ხასიათი, ოჯახური გარემო, აღზრდის სტილი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

რა არის ოჯახი? როგორ განისაზღვრება იგი?

ოჯახი სოციალური ინსტიტუტია და ჯერ კიდევ პიროველყოფილ საზოგადოებაში – შუა პალეოლითში წარმოიშვა. ფილისტიმიკის – ოჯახის შესახებ მეცნიერების მიხედვით, ოჯახი არის ქორწინებისა და სისხლით ნათესაობის ნიადაგზე შექმნილი სოციალური სისტემა – მცირე ჯგუფი, რომლის წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ყოფა – ცხოვრების ერთიანობით, მორალური ურთიერთპასუხისმგებლობით და ურთიერთდახმარებით. როდესაც ოჯახის ცნების განმარტებას ვცდილობთ გასათვალისწინებელია

თანამედროვე სამყარო და დასავლეთში მიმდინარე პროცესები. შესაბამისად ოჯახის განმარტება უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „ოჯახი არის დაქორწინებული მეუღლეები შვილებით ან მათ გარეშე, ან მარტოხელა მშობელი შვილით.“ ე. გიდენსი ოჯახის შემდეგნაირ განსაზღვრებას გვთავაზობს: „ოჯახი ნათესაურ კავშირზე დამყარებული ადამიანთა ჯგუფია, რომელშიც ზრდასრულ წევრებს ბავშვებზე მზრუნველობის პასუხისმგებლობა ეკისრებათ“. [3; 179].

„ოჯახის, როგორც ინსტიტუტისა და მცირე ჯგუფის სახე შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგ საფუძვლებზე: 1. სისხლით ნათესაობა; 2. ყოფა – ცხოვრებითი ერთიანობა; 3. ოჯახის წევრთა ერთიანობა და ურთიერთთანამშრომლობა; 4. მორალური პასუხისმგებლობა. ამ ნიშნებს შორის უმთავრესია სისხლით ნათესაობა, რომლის საფუძველზედაც ყალიბდება სხვა, მეორადი ნიშნები“ [1; 4].

ოჯახი სოციალური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტია და მასთან დაკავშირებულია გარკვეული ვალდებულებები: ურთიერთსიყვარული, ემოციური დაცვა, რეგულარული სქესობრივი კავშირი, სოციალიზაცია. სოციალური სტატუსის შენარჩუნება – ეს სწორედ ისაა, რაშიც გამოიხატება ოჯახის ძირითადი ფუნქციები:

- სიყვარულისა და ემოციური უსაფრთხოების საჭიროება: სიყვარულის სახელით აღებული ველდებულებებია, ფინანსური და ემოციური რესურსების განაწილება, თბილი ურთიერთობა, ერთგულება, მზრუნველობა, ოჯახის კეთილდღეობისთვის თავგანწირვის სურვილს და უპირობო სიყვარულს;
- სქესობრივი ურთიერთობის რეგულირების საჭიროება;
- ახალი თაობის აღზრდის საჭიროება და მათი სოციალიზაცია;

- ბავშვებისა და უნარ შეზღუდულების მოვლისა და დაცვის საჭიროება
- სოციალური სტატუსის მოპოვების საჭიროება: ადამიანის სტატუსი ბევრადაა დამოკიდებული ოჯახზე[9; 452 – 453].

აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებაში მიმდინარე მატერიალურ, სულიერი და სოციალური პირობების ფონზე იცვლება ოჯახის ფუნქციები და გვაქვს მისი კლასიფიკაციის განსხვავებული ვარიანტები. მათ შორის ერთ-ერთი შემდეგია:

რეპროდუქციული ფუნქცია – ამ ფუნქციით ხდება ოჯახის წევრების სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ ფუნქციის შესრულება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უზრუნველყოფს საზოგადოების კვლავწარმოებას;

ემოციური ფუნქცია – ადამიანის ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორიცაა სიმპათია, პატივისცემა, ემოციური მხარდაჭერა, ფსიქოლოგიური დაცვა. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს საზოგადოების ემოციურ სტაბილურობას, ხელს უწყობს საზოგადოების წევრების ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას;

მატერიალური ფუნქცია – ამ ფუნქციის შესრულებით ადამიანი შრომის დროს დახარჯული ძალების აღდგენას ახდენს.

სულიერი ფუნქცია – სულიერი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელია მატერიალური ფუნქციების შესრულება.

რეკრეაციული ფუნქცია – ადამიანი საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევაში. ყოველდღიური შრომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ძალების მოკრებისა და დასვენებისათვის არის ოჯახი.

რეგულაციური ფუნქცია – იგი წარმოადგენს ოჯახის წევრებს შორის, სხვა ადამიანებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების რეგულაციას. ეს ფუნქცია უზრუნველ-ყოფს ოჯახის წევრების მიერ სოციალური ნორმების შესრუ-ლებას.

ფელიციტოლოგიური ფუნქცია – „ფელიციტო" ლა-თინურად ნიშნავს ბედნიერებას. ფელიციტოლოგიური ფუნ-ქციაა ოჯახის ყოველი წევრის ბედნიერებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

აღმზრდელობითი ფუნქცია – იგი მჭიდროდაა დაკავ-შირებული რეპროდუქციულ ფუნქციასთან. მოსახლეობის კვლავ წარმოქმნაში არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სო-ციალური მომენტებიც საყურადღებოა. აქედან გამომდინა-რე შვილის გაჩენასთან ერთად მისი აღზრდა და სოციალური უნარების გადაცემაც მნიშვნელოვანია.

ოჯახის სოციოლოგიის მკვლევარის ა. ხარჩევის მიხედ-ვით ოჯახის ფუნქციები ძირითადად იყოფა ორად: სპეციფი-კური, რომლებიც გამომდინარეობს მისი არსიდან და ასა-ხავს მის თავისებურებას, როგორ სოციალურ მოვლენას (შვილთაშობა, აღზრდა და მათი შენახვა). არასპეციფიკური ფუნქციები დაკავშირებულია საკუთრების დაგროვებასა და გადაცემასთან, სტატუსთან, წარმოების ორგანიზაციასთან [10; 27].

ოჯახის კეთილგანწყობილ გარემოში ახორციელებს ბავშვი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვი-სებების შეძენას. ოჯახი უზრუნველყოფს ბავშვის მსოფ-ლმხედველობის, განწყობების, ზნეობრივი ნორმების ჩამო-ყალიბებას, განაპირობებს მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯან-მრთელობას. სხვადასხვა ტიპის ოჯახში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს ბავშვის აღზრდა.

ოჯახის კლასიფიკაციის ერთ-ერთი პარამეტრია ოჯა-ხური მართვის სტილი, რაც ბავშვების აღზრდის სტილზეც

ახდენს გავლენას. აღზრდის სტილი გულისხმობს როგორც მეთოდებსა და პრინციპებს, ისე მის თეორიულ შინაარსსაც, რომელზეც აიგება აღზრდა. აღზრდის სტილის კვლევა მე – XXსაუკუნის 20 – ანი წლებიდან დაიწყო. წარმოშობით ებრაელი გერმანელი ფსიქოლოგი კურტ ლევინი (Lewin.K)ერთმანეთისაგან განასხვავებდა აღზრდის სამ სტილს: ავტორიტარულს, დემოკრატიულსა და ლიბერალურს [4].

ურთიერთობის ავტორიტარული სტილი გამოირჩევა მაღალი კონტროლით, მკაცრი წესებით, იგი ბავშვისგან მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას.

დემოკრატიული სტილი უზრუნველყოფს ბავშვის აქტიურ პოზიციას. ბავშვმა ზრდასთან ერთად დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა იმოქმედოს. აღმზრდელი ქმნის ნდობისა და ურთიერთგაგების პირობებს.

ლიბერალური სტილი – უფროსები ცდილობენ თანამშრომლობას, აღმზრდელები გამოირჩევიან ზედმეტი ტოლერანტობით აღსაზრდელთა საქციელის მიმართ, ბავშვები იშვიათად კონტროლდებიან, ამიტომ ისინიც ვერ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსებს და დაბალი აქვთ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება [8].

ლევინის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით ამერიკელმა ფსიქოლოგმა დიანა ბაუმრინდმა (Baumrind,1991) გამოყო აღზრდის ოთხი სტილი, სადაც პირველი სამი ზუსტად იმეორებს ლევინისეულ სტილს: ამ კლასიფიკაციის მიხედვით ოჯახი ოთხ ძირითად ტიპად იყოფა: ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური და ინდიფერენტული [11; 25 – 44].

ინდიფერენტული მშობელი გამოირჩევა შვილებისადმი კონტროლის დაბალი დონით, სითბოს ნაკლებობით. ასეთი მშობლები არ ადგენენ არანაირ შეზღუდვებს რაც ბავშვის პიროვნების ფორმირებისათვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. ემოციურად გულგრილი დამოკიდებულება მშობლების მხრიდან საკმაოდ ადრეული ასაკიდან, სრულ

თავისუფლებას ანიჭებენ ბავშვს. ამგვარი დამოკიდებულების შედეგად ბავშვს უჩნდება სიმარტოვის და უსუსურობის განცდა ისეთი ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვისას, რომელთაც, მშობლების მხარდაჭერის შემთხვევაში ადვილად გაართმევდა თავს. მშობლიური სითბოსა და ყურადღების დეფიციტის პირობებში შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნას ბავშვის ინტელექტუალურ და ფსიქიკურ განვითარებას. გარდამავალ ასაკში ასეთმა ბავშვებმა შეიძლება თავი მიანებონ სწავლას დ მოხვდნენ არაკეთილსაიმედო გარემოში. სწორედ ამიტომ, მშობლების უმთავრეს ამოცანას ბავშვისთვის კეთილგანწყობილი და სიყვარულით სავსე გარემოს შექმნა უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია სიყვარულის სწავლება. მხოლოდ მშობლებთან მჭიდრო კონტაქტმა შეიძლება აგრძნობინოს ბავშვს, რომ ის უყვართ და მასზე ზრუნავენ. მშობლების მხრიდან ყურადღების, ზრუნვისა და სიყვარულის დეფიციტის პირობებში მყოფი ბავშვები ხშირად ავადმყოფობასაც კი ნატრობენ, რომ იქნებ მაშინ მაინც მოიცალონ მშობლებმა და გარვეული დრო დაუთმონ მას.

ავტორიტეტული მშობლები ახორციელებენ შვილებზე მაღალი დონის კონტროლს. მიუხედავად ამისა მათ შვილებთან თბილი ურთიერთობები აქვთ. ისინი უწესებენ შვილებს წესებს, აკონტროლებენ მათ, მაგრამ ამავედროს უხსნიან ამ წესების მიზეზს და ამიტომ შვილებს მშობლების საქციელი უსამართლოდ არ ეჩვენებათ. ასეთი მშობლების შვილებს აქვთ მაღალი თვითშეფასება, მაღალი აკადემიური მოსწრება და გამოირჩევიან მაღალი სოციალური უნარებით.

ლიბერალური მშობლებს ახასიათებთ ლიბერალური აღზრდის სტილი. ისინი შვილებს არ უწესებენ შეზღუდვებს. აქვთ შვილებთან თბილი ურთიერთობები. ისინი არ ზღუდავენ შვილის ქცევას და ავლენენ მათდამი „უპირობო სიყვარულს“.

ავტორიტარული მშობლები შვილებს უწესებენ მკაცრ წესებს. ახორციელებენ ძლიერ კონტროლს მათზე. ავტორიტარული აღზრდის სტილის მქონე მშობლები გასცემენ ბრძანებებს და ითხოვენ ამ ბრძანებების უპირობო შესრულებას. ასეთი მშობლების შვილები ძირითადად ჩაკეტილნი, პასიურნი და ნერვიულნი არიან. ისინი ძირითადად იმეორებენ თავიან ოჯახებში ასეთ აღზრდის სტილს. ავტორიტარული აღზრდის სტილი ბავშვებში იწვევს შიშის, დაუცველობის გრძნობას. როცა ბავშვი სკოლიდან კარგი ნიშნებით ბრუნდება, მას არ აქებენ. ნაცვლად ამისა, უკითხავენ მორალს, თუ რისკენ უნდა ისწრაფოდეს ცხოვრებაში. დაბალი ნიშნების მიღების შემთხვევაში კი – სჯიან. ბავშვთან ურთიერთობაში ხშირად ადგილი აქვს ირონიას, დაცინვას. ასეთ ოჯახებში ბავშვებს არა აქვთ ემოციური უსაფრთხოების განცდა. მათ უჩნდებათ უნდობლობა ადამიანების მიმართ, თავს არიდებენ მათთან ურთიერთობას. ასეთი ბავშვები მოზრდილობაში ხდებიან სასტიკები, უხეშები, მატყუარები, ფარისევლები, უნებისყოფოები, გაბოროტებულები და შურისმაძიებლები.

თავად ბაუმრინდი მიუთთითებდა იმას, რომ საუკეთესო აღმზრდელობითი შედეგი მიიღწევა, როცა მშობლები იცავენ ოქროს შუალედს და არ არიან არც ძალიან დამსჯელნი, და არც ცივები. ასეთ ოჯახებში ბავშვები განვითარებას აღწევენ სითბოთი და სიყვარულით გამოხატული აღზრდით.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღმზრდელობითი განსხვავებული სტილი და მეთოდები ერთმანეთისაგან აბსოლუტურად იზოლირებული არ არის და ვხვდებით აღმზრდელობით სტილთა კომბინირებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავტორიტარული სტილი ანტიპედაგოგიურია. ლიბერალური სტილი მიზანშეწონილია ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მაშინ, როდესაც ბავშვს აქვს

არაკომპეტენტურობის განცდა, აკლია საკუთარი თავის რწმენა). აღზრდის ავტორიტეტული სტილი მეტყველებს აღმზრდელის მაღალ პროფესიონალიზმზე, მის პოზიტიურ ზნეობრივ მახასიათებლებზე და ბავშვების სიყვარულზე. ურთიერთობის ასეთი სტრატეგია საუკეთესო პირობაა ბავშვის პიროვნების განვითარებისთვის.

ლიტერატურა:

1. გივი როგავა, ოჯახის სოციოლოგია, თბ., 2012;
2. ეკატერინე ფირცხალავა, ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის თავისებურებანი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2008;
3. ენტონი გიდენსი, სოციოლოგია, თბ., 2011
4. ზაქარია გიუნაშვილი, აღზრდის სტილი და მისი მნიშნელობა ბავშის პიროვნების ფორმირებისათვის, თბ., 2013 – http://mastsavlebeli.ge/?p=2332
5. მზია წერეთელი, გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი, თბილისი, 2006 ;
6. ნათია ჯანაშია, ნათელა იმედაძე, სოფიო გორგოძე, განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2008;
7. ფირცხალავა ე., ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის თავისებურებანი, თბ., 2008;
8. ქეთევან ოსიაშვილი, ტიპური შეცდომები ოჯახურ აღზრდაში http://mastsavlebeli.ge/?p=1561
9. ქრეგ კალჰუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი, თ., 2008;
10. Анато́лий Гео́ргиевич Ха́рчев «Исследования семьи: на пороге нового этапа» // Социологические исследования. 1986. № 3 (отв. ред.);

11. Baumrind. (VOLUME 8, NUMBER 1, 2005.). Comparison of Change Theories. *INTERNATIONAL JOURNAL OF MANAGEMENT, BUSINESS, AND ADMINISTRATION.*

Mariam Khetagashvili – PhD student of social sciences doctoral program on Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences Faculty at Georgian Technical University. Works on the Role of the Family Conflict in the emotional development of the primary school students.

FAMILY FUNCTIONS, PARENTING STYLES AND THEIR EFFECTS IN CHILDREN'S PERSONALITY DEVELOPMENT

ABSTRACT

Traditionally the main institution of parenting is the family, so the role of the family in the process of raising a child is immense. The child spends the most important period of its development in the family. Early – life skills acquired in the family will lead the child through life. The process of developing a child into a family begins with the personal characteristics of the parents, the character, the family environment, and the style of upbringing.

Family is an important element of social organization and it has certain obligations: mutual love, emotional protection, regular sex, socialization. Maintaining Social Status – This is what the main functions of the family are.

According the sociologist of the family studies, family functions are divided: specific, which derive from its essence and reflect its peculiarity as a social event (childbearing, upbringing and

keeping them). Non – specific functions are related to the accumulation and transfer of ownership, status, production organization.

One of the parameters of family classification is the style of family management, which also influences the style of parenting children. Parenting style studies began in the 20s of the 20th century. Kurt Levin (Lewin.K) distinguished three styles of education: authoritarian, democratic and liberal, and Diana Baumrind (Baumrind, 1991) identified four styles of parenting children: authoritative, authoritarian, liberal and indifferent. The authoritative style of parenting is the best condition for developing child's personality.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილებამ.

რელიგიის ფილოსოფია და რელიგიათმცოდნეობა

PHILOSOPHY OF RELIGION AND RELIGIOUS STUDIES

კახა ქეცბაია – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – მდივანი. მუშაობს თეორიული ფილოსოფიის (ონტოლოგია, გნოსეოლოგია), სოციოლოგიისა (თეორიული, დარგობრივი და მეტასოციოლოგია) და რელიგიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 100 – ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში. ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და მთარგმნელობით საქმიანობას.

გეორგ ზიმელი რელიგიის შესახებ

„რელიგია – ეს იგივე
სოციოლოგიის სახელმძღვანელოა“.
გ. ზიმელი

რელიგია და რელიგიურობა: გ. ზიმელის ნააზრევს რელიგიის სოციოლოგიაში დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ მხრივ იგი თითქოს დიდი ავტორიტეტების – ვებერისა და დიურკემის ჩრდილშია მოქცეული, მაშინ როდესაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ტერმინ „რელიგიის სოციოლოგიის“ ფუძემდებელი ზიმელია.

რელიგიას ზიმელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და თავისი მეტად რთული – ფორმალური სოციოლოგიური კონცეფციის პრიზმიდან განიხილავს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მოსაზრებები რელიგიის დეფინიციის, რელიგიის გენეზისის, რელიგიურობისა და რელიგიური რწმენის სოციალური თავისებურებების და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ.

ზიმელის აზრით, იმ პრობლემებს შორის, რომელთა წინაშე რელიგიის სოციოლოგია დგას, უმთავრესი მეტაფიზიკური სპეკულაციებისაგან და რელიგიის ფსიქოლოგიზმისაგან გათავისუფლებაა. ეს უკანასკნელი რელიგიის წყაროდ

გრძნობებს, იმპულსებს, სხვადასხვა ფსიქიკურ მოტივებს, შიშს, სიყვარულს, წინაპრების თაყვანისცემას და ა. შ. მიიჩნევს და არა საზოგადოებას, სოციალურ ინსტიტუტებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობას, ამიტომ რელიგიის სოციოლოგიამ რელიგია „სოციალური ცხოვრების საფუძველზე უნდა გაიგოს, რომელიც ყოველგვარი რელიგიის მიღმა იმყოფება“, – წერდა ზიმელი თავის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომში – „რელიგიის სოციოლოგიისათვის“.

ზიმელმა სოციალურ მოვლენათა მთელი რიგი აღმოაჩინა, რომლებიც რელიგიის წარმოშობას ადასტურებენ. მის მიხედვით, რელიგია სოციოკულტურული ცხოვრების უმთავარესი ელემენტია. ადამიანებს შორის ურთიერთობა, სოციაცია რელიგიური ელემენტის შემცველია. საკმარისია მას ამაღლებული გრძნობადი გარსი შევუქმნათ, რომ სახეზე რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი (საკრალური) იქნება. ამ შემთხვევაში ზიმელი წმინდა, ფორმალურ და სოციალურ რელიგიურობას განასხვავებს ერთმანეთისაგან. წმინდა ანუ ფორმალური რელიგიურობა მარტივ, წრფელ და უბრალო ადამიანურ ურთიერთობებს ემყარება, ხოლო როდესაც ამ ურთიერთობებს სოციალური ინსტიტუტები – სახელმწიფო და ეკლესია აღიარებენ, მაშინ იგი სოციალურ სტატუსს იძენს. საბოლოო ჯამში, რელიგიურობის ეს ორი ფორმა ერთმანეთს ერწყმის, ანუ მიწიერი ურთიერთობები რელიგიური ღირებულებების რანგში აიყვანება, ხოლო მათი სოციალური შინაარსი სულიერი, რელიგიური ხდება. ამის მაგალითია სახელმწიფო, რომელსაც სოციალური ურთიერთობები კანონის რანგში აჰყავს და რელიგიურ ინსტიტუტთან – ეკლესიასთან ერთად ალტრუიზმისა და სიკეთისაკენ სწრაფვის საკრალიზებას ახდენს, შესაბამისად, ეკლესია და სახელმწიფო არასოდეს არ იცავდა და აქეზებდა ღალატს, ჰედონისტურ და ეგოისტურ ზრახვებს. რელიგიის სოციალურ ფუნქციებს შორის ზიმელი უმთავრესად მის მაინტეგრირებელ ფუნქცი-

ას მიიჩნევს, რომელსაც იგი სანქციების სისტემის სახით ახორციელებს და ადამიანთა ქცევას სასურველ კალაპოტში აქცევს. ამ თვალსაზრისით, რელიგია ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმაა, რომელშიც უმთავრესია რწმენა.

ზიმელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რწმენის როლს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში. საზოგადოებასთან მიმართებაში იგი იმ დვრიტას წარმოადგენს, რომელიც ერთიანობისა და მთლიანობის პირობაა. ამდენად, რელიგიის გარეშე საზოგადოება წარმოუდგენელია.

რწმენის შემთხვევაში მნიშვნელოვანია შინაგანი სულიერი ხედვა. ამის გარეშე რელიგიური პრაქტიკა აზრს მოკლებულია. ამ გაგებით ქრისტიანობა რწმენის სხვა ტიპია, ფსიქოლოგიურისაგან განსხვავებული. ქრისტე იდეალური რეალობაა, რომელსაც არა გრძნობით, არამედ შინაგანი სულიერი ხედვით აღვიქვამთ. რელიგიაში საკრალურის რწმენა ინსტიტუციონალიზებული სიმბოლოების: ხატები, წიგნები, და სხვა მსგავსი რელიგიური არტეფაქტების სახით არის მოცემული და იგი არა მხოლოდ ასახავს ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებს, არამედ „დიდი ეკრანზე“ რეფლექსირებული სახით წარმოადგენს. რა სახეც უნდა ჰქონდეს ამ ურთიერთობას, რელიგია მას ყოველთვის თავის ენაზე გადმოსცემს. ამიტომ თუ ადამიანებს შორის ურთიერთობის კვლევა გვინდა, მაშინ, პირველ რიგში, რელიგია უნდა ვიკვლიოთ. ამ აზრით, „რელიგია სოციოლოგიის სახელმძღვანელოა, რომელიც რეფლექსირებული სახით ცხადად აჩვენებს იმას, რაც ამ სახელმძღვანელოს წაკითხვის შემთხვევაში ბუნდოვანი და გაუგებარია“. ყოველივე ამის გათვალისწინებით რელიგიის ზიმელისეული დეფინიცია ასეთ სახეს მიიღებს: რელიგია სოციაციის ფორმაა, რომელიც მისი ემპირიული შინაარსისაგან გამოყოფილია და, ამდენად, თვითკმარ სუბსტანციას წარმოადეგნს“. სოციალური ცხოვრების ზეციურ, საკრალურ ეკრანზე პროექტირება, კინოს მსგავსად, ყოველთვის

იდეალიზებულია. რეალური ცხოვრება უხეში და ანტაგონისტურია. აქ ადამიანები ერთმანეთს ებრძვიან. აქედან რელიგიის კიდევ ერთი ფუნქცია მომდინარეობს, რაც სულიერ რელაქსაციაში გამოიხატება. ამით ზიმელი რელიგიას და რელიგიურობას კიდევ ერთხელ აკავშირებს „სოციალურ მდგომარეობებთან და ურთიერთობებთან". თუ ადამიანურ ურთიერთობათა საფუძველს ფსიქიკაში ვიპოვით, მაშინ რელიგიურობა ამ ფსიქიკის შინაგანი შემადგენელი ნაწილი იქნება.

ღვთის რწმენას ზიმელი სულის სუბიექტური მდგომარეობის გამოვლინებად მიიჩნევს და, ამდენად, ფორმალური გაგებით, რელიგიის მიზნებს სულის ელემენტებში ეძებს, რომელთა ფუნქცია ინდივიდთა რელიგიური ლტოლვის დაკმაყოფილებაა. საერთოდ, რელიგიის მიზეზები ირაციონალურია და ღვთის რწმენის ზოგადი რელიგიური ტონი ირაციონალურთან ერთად სოციალურ პირობებთან არის კავშირში. რელიგია რეალური სინამდვილის ნაწილია, რომელსაც ზიმელი ერთგან შემდეგნაირად განმარტავს: „სინამდვილე უბრალო სამყარო როდია, არამედ იგი ერთ-ერთი სამყაროა ხელოვნებასა და რელიგიასთან ერთად, რომელიც იმავე მასალისგანაა შედგენილი, ოღონდ სხვა ფორმებით, რა მასალისგანაც ჩვენი გრძნობები და გონება. იგი ისევე ინტენსიურად აღმოცენდება ახალი ურთიერთობების სახით, როგორც რელიგიური სამყარო". სინამდვილეში, სამყაროში ზიმელი სოციალურ ურთიერთობათა სამყაროსაც გულისხმობს, მაგრამ ამ ურთიერთობათა საფუძვლად რელიგიური მსოფლაღქმა მიაჩნია. ფაქტია, რომ ზიმელი რელიგიურ პოზიციებზე დგას ისე, რომ ღმერთის ობიექტური არსებობის საკითხს არ ეხება და მას ცნობიერებასთან და სოციალურ რეალობასთან აკავშირებს ისე, რომ ადამიანის რელიგიურ მოთხოვნილებათა მარადიულობას აღიარებს, შესაბამისად, საზოგადოებაში რელიგიის საჭიროების მომხრეა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზიმელი სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელია და ნიცშეს იდეებს გარკვეულწილად იზიარებს, ოღონდ მის მარადიული დაბრუნების თეორიაში რელიგიური მსოფლმხედველობის გამყარებას ხედავს, რაც ნიცშეს ერთ-ერთი ორიგინალური ინტერპრეტაციაა.

რამდენადაც ზიმელი ფორმალური სოციოლოგიის წარმომადგენელია, იგი რელიგიურობის აბსტრაქტულ მოდელს, რელიგიის „წმინდა ფორმას“ ეძებს და ამოსავალ პრინციპად ინდივიდუალური ცხოვრება აქვს აღებული, რომელსაც შინაგანი ანტინომიურობა ახასიათებს: ცხოვრება მხოლოდ ერთხელ გვეძლევა, განუმეორებელია და ხანმოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველ საზოგადოებრივ პროცესებში ილევა და ადამიანური ისტორიის უწყვეტ უნივერსალურ ჯაჭვშია მოქცეული. საკითხვაია, როგორ ერთვის ინდივიდუალური ცხოვრება საზოგადოების მოძრაობასა და ისტორიას, ანუ ინდივიდის სოციაციის რა მექანიზმები არსებობს?

ამ კითხვაზე პასუხს ზიმელი ცხოვრების მყარი ფორმების ანალიზის შედეგად იძლევა. თავის მხრივ, ეს ფორმები ის კონცეპტები, მუდმივები, უნივერსალური ელემენტებია, რომლებიც ერთეულ მოძრაობებში ვლინდება და მრავალრიცხოვან სოციალურ მოვლენათა მსვლელობაში უცვლელი რჩება.

ადამიანს სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების მოუწესრიგებელი მასა გააჩნია, რომლებიც „სასიცოცხლო ნივთიერებებს“ ქმნიან. მოთხოვნილებათა ყოველი სახე თავისი ფორმებით კმაყოფილდება. მაგ., ტექნიკა იმ ფორმას იძლევა, რომლითაც ბუნებაზე ბატონობის მოთხოვნილება კმაყოფილდება. ბაზარი სიკეთეების გაცვლისა და შეძენის ფორმას წარმოადგენს. ამ ფორმებით საზოგადოება პიროვნებათშორის კავშირებს უზრუნველყოფს. ჩვენი ცხოვრება ამ ფორმებითაა სავსე, რომლებიც მოქმედების სათამაშო სოციალურ ველს ქმნიან და ადამიანის ინდივიდუალობა

გარკვეული ფორმების ურთიერთკავშირის შედეგად ყალიბდება. სოციალური იდენტობა სულიერი მატერიის სტრუქტურების მეშვეობით მიიღება.

ცხოვრების არასრულყოფილებას ადამიანი რელიგიური ფორმებით ივსებს, ანუ რელიგიურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს. თავის მხრივ, ეს მოთხოვნილებები ის სულიერი ნივთიერებებია, რომლისგანაც შეიძლება რელიგია წარმოიქმნას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის რელიგია. მაგ., შეიძლება განიცადო ბედნიერების წყურვილი, მაგრამ რელიგიური არ გახდე. გზნება, ლტოლვა რელიგიისთვის აუცილებელია, მაგრამ რელიგიურობის შედეგი როდია. რელიგია ამ ყველაფერს აღემატება და „ცხოვრებისა და სამყაროს განცდის სულიერ საშუალებას“ წარმოადგენს და პიროვნული ყოფიერების ფორმაა, რომლის ძირითადი ფუნქცია სულიერი, რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა, რომელიც ფრაგმენტულ არსებობას ერთიანობას, საზრისს და სრულყოფილებას სძენს.

ზიმელი პიროვნული ყოფიერების ორ დონეს, როგორც ცხოვრების ორ სართულს, გამოყოფს. დაბალი – გამოცდილებისა და პრაქტიკის დონეა, რომელზედაც ტექნიკის დახმარებით ბუნების გეგმაზომიერი დაუფლება ხდება. მეორე დონეზე თამაშის, ხელოვნების, მეცნიერებისა და რელიგიის სფეროებია მოცემული. პირველ სართულზე მოქმედ ფორმებს შორის რელიგია ორი ნიშნით განსხვადება: პირველი ნიშანია იმაში მდგომარეობს, რომ იგი სინამდვილის მთლიანობას, ერთიანობას და ტოტალობას იცავს; მეორე ნიშანი კი ის არის, რომ მას საქმე უკვე გადამუშავებულ ნივთირებებთან აქვს. რელიგიური სამყარო კიდევ ერთხელ ქმნის სინამდვილეს და ამით მთელ პიროვნულ ყოფიერებას ტონს აძლევს. ცხოვრების ნივთიერებათაგან იგი ისეთს არჩევს, რომელიც მის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, თუმცა ამ შემთხვევაში მისთვის უპირატესი ადამიანებს შორის ურთიერთობების

სახით ფაქტობრივი საზოგადოებრივი მასალაა, საიდანაც რელიგიური სინამდვილე ყალიბდება.

ადამიანური ყოფიერების მთლიანობა რელიგიას მიღმურ სამყაროში გადააქვს. ღმერთი „ჯგუფის ძალთა ტრანსცენდენტური ადგილი ხდება“. დანაწევრებული სოციალური რეალობა მასში ერთიანდება და სრულყოფილი ხდება. ზიმელის აზრით, ღვთისა და ადამიანის ურთიერთობა საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთობას ჰგავს. რელიგია იმ კავშირებს იმეორებს, რომლებიც ინდივიდსა და სოციალურ ჯგუფს შორის არსებობს. ჯგუფი ინდივიდთა უბრალო ჯამი როდია. ინდივიდთა ჯგუფური ერთობიდან უფრო მაღალი რანგის ერთობა წარმოიქმნება. ამ შემთხვევაში ღმერთი ჯგუფის ძალების ტრანსცენდირების ადგილსამყოფელია. ძველი წარმოდგენა, რომ ღმერთი აბსოლუტია, ხოლო ყველაფერი ადამიანური შეფარდებითი, ზიმელთან ახალ მნიშვნელობას იძენს. კერძოდ, ადამიანებს შორის ურთიერთობა თავის სუბსტანციურ გამოვლინებას ღმერთის შესახებ წარმოდგენაში პოულობს.

ზიმელი ყურადღებას აქცევს ე. წ. რელიგიის პარადოქსს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი საზოგადოების იქითა მხარეს კი არ იშლება, არამედ საზოგადოებაში ღრმავდება, ოღონდ იმგვარად, რომ თავის აღზევებას მის გარეთ აღწევს.

რელიგია სხვა ყველაფერთან ერთად იმ წინააღმდეგობების გადალახვის საშუალებაცაა, რომლებსაც სერიოზულ საზოგადოებრივ კონფლიქტებამდე მივყავართ. რელიგიის ეს ფუნქცია ზიმელს მხედველობიდან არ გამორჩენია.

რელიგიის შინაარსი და მოვლენა სასიცოცხლო ნივთიერებებისა და რელიგიური ფორმების ერთობას წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება ობიექტურ რელიგიურ წარმონაქმნებს – ეკლესიას და დოგმატიკას, ზიმელის აზრით, ისინი რელიგიის წმინდა ფორმის სუსტი ანარეკლებია მხოლოდ.

რელიგიური ფორმა ინდივიდუალური ცხოვრების ფუნქციაა და, შესაბამისად, ცალკეულ ინდივიდთა მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს. დროთა გამნავლობაში ეკლესია, როგორც სოციალური ინსტიტუტი, გამყარდება და დოგმატიკა თვითმიზანი გახდება, ამიტომ ინდივიდუალური რეალობა მუდმივად წინააღმდეგობაში მოდის დოგმატიკასთან, ეკლესიასთან და აწუხებს მათ.

ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი, ა. კლასიკური სოციოლოგიური თეორიები, VII ლექცია, გეორგ ზიმელის სოციოლოგია, თბ., 2013;
2. გაბიძაშვილი, ო. რელიგიის სოციოლოგიის საკითხები, თბ., 1984;
3. გარაჯა, ვ. რელიგიის სოციოლოგია, მ. 2005;
4. ზიმელი, გ. რელიგია, სოციალურ – ფსიქოლოგიური ეტიუდი, წიგნში „რჩეული თხზულებები“, ტ. 1. კულტურის ფილოსოფია, მ. 1996 (გვ. 545 – 606);
5. ზიმელი, გ. რელიგიის გნოსეოლოგიური ძირების საკითხისათვის, წიგნში „რჩეული თხზულებები“, ტ. 1. კულტურის ფილოსოფია, მ. 1996 (გვ. 606 – 618);
6. ზიმელი, გ. ღვთის პიროვნება, წიგნში „რჩეული თხზულებები“, ტ. 1. კულტურის ფილოსოფია, მ. 1996 (გვ. 363 – 651);
7. ზიმელი, გ. რელიგიის სოციოლოგიისათვის, წიგნში „რჩეული თხზულებები“, ტ. 1. კულტურის ფილოსოფია, მ. 1996 (გვ.618 – 635);
8. რელიგიის სოციოლოგია, ქრესტომათია, მ. 1996;
9. ქეცბაია, კ. რელიგიის სოციოლოგია, განახლებული ელექტრონული სახელმძღვანელო, თსუ, 2019.

Kakha Ketsbaia – doctor of Philosophy, Professor. Academician – secretary of the Academy of Philosophical Sciences ofGeorgia. Studies problems of theoretical philosophy (ontology, gnosiology), sociology (theoretical, branch, meta – sociology) and philosophy of religion and theology. Heis the author of more than 100 scientific works in these spheres of science. Lectures on these problems, translates scientific works into Georgian.

GEORG SIMMEL ON RELIGION

ABSTRACT

Georg Simmel's ideas concerning religion which he developed in sociological essays are discussed at length in the article. According to Simmel, religion is the same as a textbook of sociology. He analyzed religion from a rather difficult viewpoint – that of formal sociological conception. In this respect his ideas concerning definition of religion, genesis of religion, social peculiarities of religiousness and religious faith and other similar issues are worth considering.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის რელიგიის ფილოსოფიისა და რელიაგიათმცოდნეობის განყოფილებამ.

ნოდარ აბესაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების პროგრამის დოქტორანტი, 15 – ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობების საკითხებზე; მისი კვლევითი თემა ეხება საქართველოს ეკლესიის როლს თანამედროვე ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესში.

მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე ქართული ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობა

თანამედროვე მსოფლიო წესრიგი ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის მკვეთრი აღმავლობით გამოირჩევა. შეიცვალა დამოკიდებულება გლობალიზაციის პროცესისადმი, რომელიც აღქმულია, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხედ; წინა პლანზე წამოიწია ეროვნული მეობისა და კულტურების შენარჩუნების პრობლემებმა. ერი – სახელმწიფოები, რომლებიც ემყარებოდნენ ეროვნულ – სახელწიფოებრივ იდენტობასა და თვითმყოფადობას, დიდი გამოწვევებისა და რისკების წინაშე აღმოჩნდნენ. დასავლეთის ცივილიზაცია და ლიბერალური დემოკრატიული სივრცე გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციებისა და მიგრაციული პროცესების შედეგად, გარკვეული თვალსაზრისით, კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ამიტომ, გლობალური მასშტაბით მეტად აქტუალური გახდა ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის შენარჩუნებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის შესაბამისად მისი ფორმირების პრობლემა.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტურმა ტრანზიციამ მკვეთრად დააყენა ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პრობლემები; მიმდინარეობს პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური და ღირებუ-

ლებითი ტრანსფორმაცია, რომელიც მწვავედ აყენებს პოლიტიკური იდენტობის ფორმირების აუცილებლობას. ქართული ეროვნული და პოლიტიკური იდენტობა ერთმანეთს განსაზღვრავს და ერთიან დინამიკურ პროცესად წარმოგვიდგება. პოლიტიკური იდენტობა ეროვნული იდენტობის მაღალი საფეხურია და ერის გამორჩეულ სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ კულტურაზე მიუთითებს. ამიტომ, მწვავედ დგას თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პრობლემები, რომელიც თავისი დამახასიათებელი რაციონალური და ირაციონალური პროცესებით გამოირჩევა.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ინსტიტუციური აქტორული ბალანსი დარღვეულია, რომელიც პერიოდული არასტაბილურობის განცდას ამკვიდრებს; პოლიტიკურ ველზე თავის განუსაზღვრელ ძალაუფლებას დომინანტური ინსტიტუციურ – პარტიული ძალები ავლენენ, რაც მუდმივი პოლარიზების მიზეზი ხდება. ასეთი მდგომარეობა იწვევს ინსტიტუციურ ვაკუუმსა და პარტიულ ნიჰილიზმს, რომელიც საზოგადოებაში პესიმისტურ განწყობილებას წარმოშობს. ამიტომ, ასეთ სიტუაციაში თავისი გამოკვეთილი და გაწონასწორებული პოზიციით ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მეთაური სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი **ილია II** გამოირჩევა.

თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესი ეროვნული იდენტობის კრიტერიუმებით განისაზღვრება, რომელიც მიზნად სახელმწიფოებრივ თვითდამკვიდრებას ისახავს; ეს არის პოლიტიკურად და ინსტიტუციურად დამკვიდრებული ერი, რომელსაც აქვს თავისი თვითმყოფადი საჯარო პოლიტიკური სივრცე ე. ი. პოლიტიკური იდენტობა არის სახელმწიფოებრივად ფორმირებული ერი, რომელსაც ახასიათებს ერთიანი ეროვნული იდეა,

ცნობიერება და იდეოლოგია, მაღალი პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურა.

პოლიტიკური იდენტობის ფორმირების უმნიშვნელოვანეს პარადიგმას **ქართული პოლიტიკური ერის ფორმირება** წარმოადგენს**.** ეს არის პოლიტიკური მეობის კრიტერიუმებით შექმნილი და შეკავშირებული ერთობა, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი პოლიტიკურ – ისტორიული მისია და უმკლავდება პოლიტიკური დროის გამოწვევებს. პოლიტიკური ერი სამოქალაქო კულტურულ – ღირებულებით მაღალ დონეს ემყარება და პოლიტიკურ სივრცეში სტაბილური დემოკრატიულობით გამოირჩევა. ქართველი ერი ჯერ-ჯერობით ვერ ამაღლდა პოლიტიკური ერის გაგებამდე, რადგანაც ეროვნული მეობის გააზრების კულტურა ძალიან დაბალია. აქაც შეიმჩნევა აქტიურობა გარკვეული პოლიტიკური აქტორებისა, რომლებიც ლიბერტარიანული იდეოლოგიით გამოირჩევიან და შეგნებულად აკნინებენ ქართულ თვითმყოფადობასა და პოლიტიკურ მენტალურ კულტურას. უწმინდესი და უნეტარესი **ილია II** აღნიშნავს, რომ **„ყველგან თვალში საცემია ტრადიციულ ღირებულებათა მოსპობის, პატრიოტული სულისკვეთების დაკნინების, ეროვნული მეობის გაქრობის ტენდენცია, დიდია მცდელობა ზოგიერთი მძიმე ცოდვის ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადებისა“.**[1]

პოლიტიკური ერის ფორმირების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია პოლიტიკური საზოგადოების არსებობა, რომელიც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ძალზე სუსტია. პოლიტიკური საზოგადოება ეს არის ინსტიტუციურად მდგრადი და სახელმწიფოებრივად ინტეგრირებული ადამიანთა ერთობა, რომელიც თავის პოლიტიკურ მისწრაფებებს რაციონალურობასა და პრაგმატიზმზე აგებს და პოლტიკური დემოკრა-

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. თბ., 2018, გვ. 5.

ტიის ძირითად პრინციპად პლურალიზმი მიაჩნია. პოლიტიკური საზოგადოების ფორმირება პოლიტიკური თანაცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს და ერის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების დიდ გამოცდილებას ეფუძნება. ქართულ სინამდვილეში მისი სისუსტე გამოვლინდება ირაციონალურობასა და პოლარიზებაში, რომელიც ყველა რეჟიმის მუდმივი სინდრომია. კლანური პოლარიზება ანგრევს პოლიტიკურ საზოგადოებას და ამკვიდრებს ფასადურობასა და იმიტაციურ პროცესებს.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, გამოდის რა ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ გამორჩეულ ინსტიტუტად, თავიდან ვერ აიცილა შიდა დაპირისპირებები; ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ქართული ეკლესია ყველაზე გამორჩეული ავტორიტეტითა და რეიტინგით სარგებლობდა საზოგადოებაში, ხოლო პოლიტიკური პროცესის სხვა ინსტიტუტების აქტორული როლი დაკნინებული იყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ოპოზიციური ძალები, რომლებიც უაღრესად ირაციონალურ და დესტრუქციულ ძალად მოგვევლინენ; პოლიტიკურ ველზე განსაკუთრებით აქტიურობს ისეთი კლანური დაჯგუფებები, რომლებიც თავისი დესტრუქციულობით გამოირჩევიან, რადგანაც მათ საზოგადოებაში რეიტინგი დაკარგული აქვთ; მხოლოდ პოლიტიკურად გაუცნობიერებელი ჯგუფების მხარდაჭერით სარგებლობენ და მოჩვენებით ავტორიტეტს იქმნიან.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეს ე.წ. კლანური დაჯგუფებები ცდილობენ თავიანთი დასაყრდენი იპოვონ ქართულ მართმადიდებელ ეკლესიაშიც და შეარყიონ მისი ავტორიტეტი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს დესტრუქციული აქტიურობა გარკვეული ძალებისა, რომლებმაც აუგად მოიხსენიეს უწმინდესი და უნეტარესი; მათ თავანთი რადიკალური გამონათქვამებით შეურაცხყო-

ფა მიაყენეს მთლიანად ქართულ ეკლესიასა და საზოგადოებას, რომელიც მართლმადიდებლობაში ხედავს თავის ეროვნულ და პოლიტიკურ იდენტობას, რადგანაც ეს ინსტიტუტი გამოდის ერის პოლიტიკური ერთიანობის სიმბოლოდ. მხოლოდ ეკლესია დარჩა ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის შემნარჩუნებელ ძალად, რომელიც კრავს ერის მთლიან ცნობიერ და იდეოლოგიურ სამყაროს; სწორედ ეს არის საფუძველი პოლიტიკური იდენტობისა და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისა. პოლიტიკური ძალები კი მხოლოდ თავიანთი კლანური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და პოლიტიკურ სივრცეში დესტრუქციულობით გამოირჩევიან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქმა **ილია II-მ** ასეთ რთულ ვითარებაში გამოიჩინა მაქსიმალური თავშეკავება და შემწყნარებლობა; მან კი არ გაამწვავა მდგომარეობა, არამედ მაქსიმალურ კომპრომისებზე წავიდა და შემრიგებლური პოზიცია დააფიქსირა; ამით პატრიარქმა პოლარიზება კი არ მოახდინა, არამედ შეარბილა სიტუაცია და საზოგადოებას მისცა უფლება, შეეფასებინა შექმნილი მდგომარეობა; საზოგადოება მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და დაგმო დესტრუქციულობის სინდრომის შემოტანა ქართულ ეკლესიაში, რაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ქართული ერთიანი ეროვნული და პოლიტიკური იდენტობისათვის. პატრიარქმა საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე 2019 წლის 31 ოქტომბერს განაცხადა რომ „**ჩვენ არ უნდა მივცეთ საბაბი საზოგადოებას დაბრკოლდეს ეკლესიისა და სარწმუნოების მიმართ. დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ არა იმისათვის, რომ ვინმე დავსაჯოთ, არამედ იმისათვის, რომ დავეხმაროთ ერთმანეთს. ჩვენ კი არ უნდა დავუმძიმოთ ერთმანეთს ტვირთი, არამედ უნდა შევუმსუბუქოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის არაერთხელ დაუმძიმებიათ ჯვარი, მე არასოდეს მი-**

ფიქრია ვინმეს დასჯა. მე მუდამ მხოლოდ თქვენს დახმარებაზე ვფიქრობ. მე აღვიზარდე ისეთ ოჯახში, სადაც მუდამ იყო დიდი კრძალვა ღვთისადმი და თანაგრძნობა მოყვასისადმი. ჩვენი ოჯახი არაერთხელ იფარავდა დევნილ სამღვდელოებას. დღეს რთული დროა. ჩვენ უნდა გავიაროთ ბეწვის ხიდზე. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ერი არ დაბრკოლდეს, ჩვენი ქცევისა და გამოსვლების გამო. ყოველ მღვდელმთავარს აქვს დადებული ფიცი ღვთისა და პატრიარქის წინაშე ერთგულებისა და ამ ფიცის დარღვევის შემთხვევაში, იგი დიდ ცოდვას იდებს საკუთარ თავზე".[1]

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი **ილია II** ყოველთვის მთელი პრინციპულობით მოითხოვდა **ილია ჭავჭავაძის** მიერ იყო ჩამოყალიბებული ჩვენი ეროვნული იდეოლოგიური პრინციპების – „მამული, ენა, სარწმუნოების" დაცვას; თუმცა, უწმინდესმა ცოტა სხვანაირად გამოთქვა – „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი"; მან ამით ხაზი გაუსვა რელიგიისა, და განსაკუთრებით ქართველი ადამიანისათვის მართლმადიდებლობის, მნიშვნელობას, როდესაც მსოფლიოში გამოკვეთილად იზრდება რელიგიური ცნობიერების როლი ეროვნული იდენტობის ფორმირებაში; ამასთანავე, პატრიარქი წინა პლანზე აყენებს ადამიანს, მის ნიჭსა და უნარებს, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური პროცესისა და პოლიტიკური იდენტობის უპირველესი აქტორია. უწმინდესი და უნეტარესი **ილია II** აღნიშნავს, რომ **„ყოველი ადამიანი განუმეორებელია და უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. ჩვენ უნდა ვეძებოთ ადამიანები, განსაკუთრე-**

---

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის განცხადება წმინდა სინოდის სხდომაზე 2019 წლის 31 ოქტომბერს. https://www.ambebi.ge/article/238697-ilia-meore-miuxedavad-imisa-rom-chemtvis-araertx/

ბით ისინი, რომელნიც თავდადებულნი არიან სამშობლოსათვის. სამწუხაროდ კი გვახასიათებს ის, რომ: ჩვენ არ ვაფასებთ მათ, არ გვესმის როგორი დიდი საუნჯეა თითოეული მათგანი. მინდა გითხრათ, რომ ყოველ ადამიანს აქვს რაიმე ნიჭი, ეს არის ღვთისაგან ბოძებული საჩუქარი და ეს უნდა დავაფასოთ და ნიჭიერ ადამინს მხარში უნდა ამოუდგეთ. არ არსებობს ადამიანი უნიჭო, მხოლოდ საჭიროა იმ ნიჭის გამოვლენა... მოძებნეთ თქვენი ნიჭი და ღმერთი დააგვირგვინებს თქვენს ნიჭს დიდი წარმატებით, დიდი შედეგებით... შეურაცხყოფას ნუ მიაყენებთ ერთმანეთს, ცილს ნუ დასწამებთ ერთმანეთს. გიყვარდეთ ერთმანეთი.“[1]

საქართველო ისტორიულად მულტიკულტურულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც რელიგიური მრავალფეროვანი კონფესიური სივრცეც უწყობდა ხელს. კონფესიური მრავალფეროვანი თვითმყოფადობა არ გამორიცხავს დომინანტური რელიგიის განსაკუთრებულ როლსა და ტოლერანტულ სულისკვეთებას. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს ტოლერანტულ ურთიერთობათა საფუძველს, რომელიც ამკვიდრებს ერთიან მულტიკულტურულ პოლიტიკურ იდენტობას. ამ აზრით, თანამედროვე ქართული პოლიტიკური იდენტობა გამოირჩევა თავისი რელიოგიურ-კონფესიური მრავალფეროვნობით, რომელსაც მართლმადიდებლური სახელმწიფოებრივი გაგება და ცნობიერება უდევს საფუძვლად. 2019 წლის 15-16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ** საპატრიარქო რეზიდენცი-

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საკვირაო ქადაგება 2019 წლის 10 ნოემბერს. https://www.interpressnews.ge/ka/article/572044-ilia-meore-sheuracxqopas-nu-miaqenebt-ertmanets-ciliscamebas-nu-miaqenebt-ertmanets-giqvardet-ertmaneti

აში საქართველოში არსებული რელიგიებისა და კონფესიების ლიდერები და მათი წარმომადგენლები მიიღო. მათ შორის იყვნენ: ებრაელთა თემის, მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის, ლათინ – კათოლიკეთა, იეზიდთა სასულიერო კრების, ევანგელურ – ლუთერული და სახარების რწმენის ეკლესიის ხელმძღვანელები და მათი თანხლები პირები. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ საქართველო ისტორიულად ტოლერანტული ქვეყანაა და მართლმადიდებელი ეკლესია და პირადად კათოლიკოს – პატრიარქი თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობს შემწყნარებლობის განმტკიცებასა და სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის მშვიდობიან თანაცხოვრებას. ისინი მოვიდნენ აქ იმისათვის, რომ საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქისათვის თანადგომა და პატივისცემა გამოეხატათ და მადლობა გადაეხადათ მისთვის ტრადიციული ღირებულებების დაცვისა და შემწყნარებლობის განმტკიცებისათვის. თავის მხრივ, **პატრიარქმა აღნიშნა, რომ „მე გულითადად მოგესალმებით, მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენთან მობრძანდით. ტოლერანტობის დღეა, ურთიერთდახმარების, ურთიერთგაგების, დაცვის, იმ ფასეულობების დაცვის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ვიცავდით ჩვენ და ჩვენი წინაპრები... აი, ამ ურთულეს დროს ჩვენ ვცხოვრობთ მრავალი პრობლემების წინაშე. ერთსულოვნება და ტოლერანტობა, თქვენ მოგეხსენებათ, აქტუალურია და აუცილებელია. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ერთსულოვნება შევინარჩუნოთ.“** პოლიტიკური იდენტობის ფორმირების საფუძველია ეროვნულ ღირებულებებსა და ტრადიციებზე აგებული საგანმანათლებლო პროცესი და აღმზრდელობითი სისტემა. სამწუხაროდ, ამ სფეროს არ ეღირსა სტაბილურობა და თანამედროვე სისტემაზე გადასვლა; ვცხოვრობთ მუდმივი ცვლილებების რეჟიმში, რომელმაც სასწავლო პროცესი სრულ დეგრა-

დაციამდე მიიყვანა. ტრანსპლანტაციურმა პროცესმა მკვეთრად შეცვალა სოციალიზაციის პროცესის ეროვნული მოდელი, რომელმაც დაარღვია ბალანსი ამ პროცესის აგენტებს შორის. შედეგად მივიღეთ გაუნათლებლობის სინდრომი, რომელმაც ერთიანად დააკნინა სწავლა – აღზრდიასა და მეცნიერული კვლევების პროცესი. პატრიარქი მიუთითებს, რომ **„პირველ რიგში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმაწვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. ლუკმა-პურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის; ამიტომაც სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია... სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის თანადგომისა და, საერთოდ, სიკეთის ქმნისა.“**[1]

ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძალზე მწვავე პრობლემად თანამედროვე ოჯახის მდგომარეობა რჩება, რომელიც ტრადიციულ ფუნქციას ვეღარ ასრულებს; ახალგაზრდა თაობა პირველად პოლიტიკურ სოციალიზაციასა და ღირებულებით

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2019 hhttp://patriarchate.ge/geo/patriarqi/ilia-ii/epistoleebi-illia-ii/.

აღქმას იღებს ოჯახში, რომელიც, ტრადიციული სიტუაციისაგან განსხვავებით, თანამედროვე ეპოქაში, გაუცხოების ელემენტებით სარგებლობს. სამწუხაროდ, ოჯახური აღზრდის სისტემა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ვეღარ მუშაობს; გაუცხოებულია ღირებულებითი გაგება შვილებსა და მშობლებს შორის, რომელიც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამაც გამოიწვია; ამას ემატება პოლიტიკური პოლარიზებისა და კლანურობის სინდრომი, რომელიც ახალგაზრდობაში ერთგვარ ღირებულებით გადაფასებას იწვევს. ეროვნული და პოლიტიკურ – სახელმწიფოებრივი ნიჰილიზმი ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკური იდენტობის ფორმირებისათვის სათანადო პირობების შექმნას. პატრიარქი ილია II მიუთითებს, რომ **„დღეს ხშირ შემთხვევაში დედ-მამა შვილს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას; სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშობელი ნაკლებად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, რაც დაუშვებელია; სავალდებულო უნდა გახდეს პედაგოგებთან ხშირი შეხვედრა; მათ უნდა იგრძნონ თავისი პასუხისმგებლობა და მასწავლებლებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ შვილთან მიმართებაში სწორი მიდგომების განსაზღვრისათვის.“**[1]უწმინდესი ოჯახთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ **„საერთოდ, ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი – „მცირე ეკლესია."**[2]

ამრიგად, საქართველოს ეკლესიის რეიტინგი და ავტორიტეტი პოლიტიკურ სცენაზე ინსტიტუციური და ღირებულებითი რაციონალურობის ამაღლების მიმართულებით

---

[1] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. 2019 hhttp://patriarchate.ge/geo/patriarqi/ilia-ii/epistoleebi-illia-ii/.

[2] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე. თბ., 2014, გვ.10.

კიდევ უფრო იზრდება. გარკვეული პოლიტიკური ძალები ცდილობენ დააკნინონ ქართული ეკლესიის მზარდი ავტორიტეტი და გავლენა პოლიტიკურ სივრცეში; მათ მიერ ერთ-ერთ კრიტერიუმად აღებულია ქართული ეკლესიის გაზრდილი პოლიტიზირება, რაც თვით პოლიტიკური პროცესის დისკურსში არ ჯდება. მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ პოლიტიკურ სივრცეში დასმული პრობლემები პოლიტიკური მნიშვნელობისაა, რომლებიც ემსახურება თანამედროვე ქართული ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირების პროცესს. ქართული ეროვნული იდენტობის რაციონალურად და პრაგმატულად გაგება და გამოყენება ქართული ეკლესიის მიზანია, რომელიც პოლიტიკური იდენტობის ფორმირების საფუძველია.

ლიტერატურა:

1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის საშობაო ეპისტოლე. თბ.,2014
2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის საშობაო ეპისტოლე.თბ., 2018
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის საშობაო ეპისტოლე. 2019 hhttp://patriarchate.ge/geo/patriarqi/ilia – ii/epistoleebi – illia – ii/
4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის განცხადება წმინდა სინოდის სხდომაზე 2019 წლის 31 ოქტომბერს. https://www.ambebi.ge/article/238697 – ilia – meore – miuxedavad – imisa – rom – chemtvis – araertx/
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის ილია II – ის საკვირაო ქადაგება 2019 წლის 10 ნოემბერს https://www.interpressnews.ge/ka/article/572044 – ilia – meore

– sheuracxqopas – nu – miaqenebt – ertmanets – ciliscamebas – nu – miaqenebt – ertmanets – giqvardet – ertmaneti
6. საქართველოში მოქმედ რელიგიათა ხელმძღვანელებმა ტოლერანტობის დღეს საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქს თანადგომა გამოუცხადეს 2019 წ. 16 ნოემბერი. https://fortuna.ge/ardaidardo/post/chven – vkhedavt – rom – ojakhis – simtkice – tandatan – ecema – sadac – mtkice – ojakhia – iq – mtkice – sakhelmwifoa – ilia – meore
7. საპატრიარქოს განცხადება ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით. 5 აპრილი, 2019 https://www.interpressnews.ge/ka/article/540832 – sapatriarko – gvtismshoblisadmi – sakartvelos – cilxvdomilobis – dged – gamocxadebastan – dakavshirebit – gancxadebas – avrcelebs/
8. გ. აბესაძე, ნ. აბესაძე. თანამედროვე ქართული პოლიტიკური ცნობიერება და ეროვნული იდენტობა. „ფილოსოფიური ძიებანი“ /კრებული XXIII /. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. „უნივერსალი“, თბ., 2019, გვ.229 – 235

Nodar Abesadze – Doctor of Social Sciences of Georgian Technical University, Author of more than 15 scientific papers on issues of religion and politics; His research focuses on the role of the Georgian Church in the formation of modern national – political identity.

ORTHODOX CHURCH AND MODERN GEORGIAN NATIONAL – POLITICAL

ABSTRACT

Modernity is marked by the rise of national and political identities. The Orthodox Church plays an important role in shaping

modern Georgian national – political identity. The Church of Georgia has great authority in the political space. Its role in the formation of political society and state self – government is prominent. The Church is one of the actors of modern political socialization. Its main task is to shape national and political identities. The work of the Church of Georgia is the foundation of political and institutional stability.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის რელიგიის ფილოსოფიისა და რელიაგიათმცოდნეობის განყოფილებამ.

მანანა ჩიტეიშვილი *– ფილოსოფიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; მუშაობს რელიგიისა და ხელოვნების, რელიგიისა და ეთიკის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „რელიგიის ისტორიის საკითხები“ (ქუთაისი, 2004); „ქართული ქრისტიანული ხელოვნების საკითხები“ (ქუთაისი, 2005); „ეთიკის საფუძვლები ბიზნესისათვის“ (ქუთაისი, 2008); „ტაძრის ეგზისტენციალური და რელიგიური ასპექტები“ (ქუთაისი, 2013); „ხელოვნების ფილოსოფიის პრობლემები“ (ქუთაისი, 2017); ავტორია ფილოსოფიის პრობლემებზე სამეცნიერო სტატიების.*

ტაძრის მსხვრევის, ანუ განწმენდის გაგებისათვის

ტაძრის მსხვრევისა და მისი ნაგავსაყრელ ადგილად გადაქცევის შესახებ არსებობს წინასწარმეტყველებები. დანიელის წიგნში საუბარია იერუსალიმში, მომავალში, მეფის მოსვლისა და მისი სიკვდილით დასჯის შედეგებზე: „სიბილწის ფრთებზე იქნება გამტიალებელი, ვიდრე განგებული დრო არ ეწევა გამტიალებელს (დანიელ წინასწარმეტყველი, 9:27). აღნიშნულს მხარს უბამენ მახარებლები და გადმოსცემენ იესოს სიტყვებს, ტაძრის მომავალი დანგრევის შესახებ („გატიალების“ შესახებ), (მათე, 24:4), (მარკოზი, 13:14), (ლუკა, 21:20).

ძველ აღთქმაში ვხვდებით ერთ, თითქმის შეუმჩნეველ, მაგრამ საინტერესო ეპიზოდს, ისრაელის მეფის, იუის მიერ, ბაალის ტაძრის დანგრევის შესახებ: „სანაგვე ადგილად აქციეს დღესამომდე“ (მეოთხე მეფეთა, 10:27). მაშასადამე, ქრისტიანთა პოზიცია იერუსალიმური ტაძრის მიმართებაში მნიშვნელოვან წილად გაპირობებული იყო არა უბრალოდ დანიელისა და ქრისტეს წინასწარმეტყველებით, არამედ კარგად ნაცნობი ეთიკური პოზიციის ლოგიკურად ჩამოყა-

ლიბებით, ანუ: ტაძარი არა მარტო უნდა დაინგრეს (თუ ამას იმსახურებს), უფრო მეტიც, ის უნდა გადაიქცეს ნაგვის შეკრების ადგილად. მუსლიმებმა გადაათამაშეს რა აღნიშნული თვალსაზრისი, შემოიტანეს ერთის მხრივ, ქიამიტი (აღდგომა) და მეორეს მხრივ, გუმამათი (ნაგვის შეკრების ადგილი). თუმცა, მუსლიმები შეჩერდნენ გავრცელებული მოტივის მხოლოდ რიტორიკულად დაფიქსირების დონეზე.

ტაძრის განწმენდა წარმოადგენს საკრალურ – ეთიკური რიგის პირველ და მნიშვნელოვან მოტივს, ტაძრულ თეოლოგიაში. როგორც ჩანს, ეს ფუნქცია თავიდანვე იყო წინასწარმეტყველური – სიცოცხლის დამკვიდრება, განწმენდა – განახლების გზით (წმიდა წყლით, წვიმით).

ტაძრის განწმენდის ფაქტი მუჰამედისა და მისი გარემოცვისათვის არის ყველაზე მაღალი რიგის საკრალური აქტი, რომელიც აცხადებს ახალ სატაძრო სივრცეში შესვლას და განუყოფელ კავშირებს, აბრაამისეული წრის სატაძრო თეოლოგიის არსებულ ნორმებთან.

საყურადღებოა, კავშირები ეკლესიებსა და აბანოებს შორის, რაც შეინიშნება ბიზანტიის მთელ ისტორიაში. მაგ., საეკლესიო იერარქების მიერ იგებოდა ეკლესიები აბანოების გვერდით.

ტაძრებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია სხვა მოვლენაც, კერძოდ, ტაძრისათვის სახელის გადარქმევის ფაქტი (როცა ის, სხვა რწმენის მქონე ადამიანის ხელში გადადის), რაც მის დანგრევას განასახიერებს (გადაკეთდება მისი ინტერიერი და სხვა). ამგვარად, ტაძრის დანგრევა არ წარმოადგენს ტაძრული აზროვნების საფუძველდებულ ტოპოსს. ეს შემოტანილი, მაგრამ ტაძრული ონტოლოგიისათვის თანმხლები ტოპოსია.

გავიხსენოთ იესოს სიტყვები, როცა ის დაანგრევს „ხელთქმნილ ტაძარს“ (სიტყვა „ხელთქმნილი“ მაგ., ძვ. აღთქმაში

ნიშნავს „ცრუ ღმერთებს“, ხალხის ხელით შექმნილს), რომელშიც ის მოიაზრებოდა მაგ., ი. კანგარის აზრით, როგორც ზეციური და მიწიერი ტაძრების ურთიერთდაპირისპირება. იერუსალიმურ ტაძრებში იესო გულისხმობს რაღაც ისეთს, რაც კერპებთანაა შესადარი და მოუწოდებს მისი დანგრევისა და ახლის აღმართვისაკენ.

ცნობილია, რომ მუჰამედმა, ებრაელთა ადგილობრივ თემთან განხეთქილების შემდეგ, შეიცვალა სამლოცველო თაყვანისცემის ორიენტაცია, იერუსალიმიდან – მექაზე (ესაა, მუჰამედის მიერ, მეჩეთის ორიენტაციის შეცვლის გარეგნული ახსნა). სიღრმისეული და რიტუალური საფუძვლების შესახებ, აღნიშნულია ყურანის შესაბამის ადგილას (ყურანი, 2:144). თავიდან, მუჰამედის მიერ, ორიენტირად იერუსალიმზე, გამოყენებული იყო თავის სახლ – მეჩეთში, უბრალო 2 ქვა (წითელი და შავი). საკრალური თაყვანისცემის ობიექტი, პირველ რიგში, აღმოჩნდა შავი ქვა (ხადჟარ ალ – ასვად), რომელიც განლაგებული იყო ქიბლას კედელთან (კედელი, რომელიც მიუთითებს ლოცვის მიმართულებას). ყველა მკვლევარი ამ ქვაში ხედავს პროტომიჰრაბს. თავდაპირველად, ლოცვების მიმართვა იერუსალიმის მხარეს შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან მედინელი ებრაელები წარმოშობით იერუსალიმიდან იყვნენ (ისინი, რომაელების მიერ, მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ გამოიქცნენ სახელოვანი ქალაქიდან). მედინაში დღემდე შემორჩა მეჩეთი, სადაც მუჰამედმა პირველად შეცვალა ქიბლას ორიენტაცია. მას ეწოდა მასჯიდ ალ – ქიბლატაინი, ანუ მეჩეთი ორი ქიბლათი. შიგ დღემდე ლოცულობენ, ჯერ მექისაკენ მიმართული, ხოლო შემდეგ – იერუსალიმისაკენ. შეცვალა რა, ქიბლას მიმართულება, მუჰამედმა, თითქოს, სამარადისოდ დააშორიშორა მუსლიმებისა და იუდეველების სივრცული ორიენტაცია. მუსლიმები მყარად დარჩნენ იერუსალიმის სივრცული მიზიდულობის

ქვეშ და შეეძლოთ ქააბიდან ადვილად „დაენახათ“ იერუსალიმი. ამით, საბოლოოდ, გადაწყდა ტაძრის მთისა და მორიას კლდის (ას – საჰრას) ბედი. ამგვარად, აბრაამისეული ტრადიციების ტაძრულ ცნობიერებაში შეიქმნა კიდევ ერთი ორიენტირი და ტოპოლოგიურად გამოწრთობილი რეალობა – შავი ქვა.

ისლამის მიმდევრებში, ქვის მნიშვნელობა, ჩადებულია ერთ-ერთ სამლოცველო ფორმაში – ზიქრი, რომელიც დღემდე პრაქტიკაშია. ამ უკანასკნელში, მანიპულაცია ხდება ქვებით (ლოცვების განმეორების რაოდენობრივი ზრდა ხორციელდება კენტი რიცხვების ფარგლებში). ყველა ამ ქვის და ლოცვების რიცხვთა საბოლოო შეგროვებისა და დალაგების მიზანია სამწახნაგოვანი პირამიდული ფორმა (ჰარამი), მაგრამ ამჯერად, ადამიანის სულიერი ცენტრის მნიშვნელობით (პირამიდა, ტაძრული ცნობიერების უნივერსალური სახეა, რომელიც ეგვიპტის სიძველეებიდან მოდის და შემდეგ, ძველ საბერძნეთში, პითაგორელებთან აისახება).

ტაძარი არ არსებობს მისკენ მიმავალი გზის გარეშე. ტაძარი არის ადგილი, სადაც ღმერთი ხვდება ადამიანს. გავიხსენოთ, რომ ქრისტეს ერთ-ერთი ეპითეტია „გზა“. დაოს ცენტრალური მნიშვნელობაარის „უსასრულო გზა“. ნათლადააჩამოყალიბებული გზის მნიშვნელობა „ოდიგიტრიის“ სახეში (რაც ნიშნავს ბერძნულიდან „გზამკვლევს“). აღნიშნული იკონოგრაფიული ტიპი, თავად ლუკა მახარებლის მიერაა დაწერილი და ქრისტიანულ ხატწერაში უმნიშვნელოვანესია.

მომლოცველობა მუსლიმებთან რწმენის „ხუთ ბურჯში“ შედის. ეს არ არის უბრალოდ ტაძრისკენ სვლა, არამედ მიმართებაა ღმერთის სამყოფი ადგილისაკენ: „სამჯერ გამიმართე დღესასწაული წელიწადში“ (გამოსვლათა, 23:14);აღინიშნება დღესასწაულებიც, რომლითაც ხდება სამჯერადი მომლოცველობა: „შენი ღვთის წინაშე უფუარობის დღესას-

წაულზე, შვიდეულის დღესასწაულზე და კარვობის დღესასწაულზე“ (მეორე რჯული, 16:16). თვით იერუსალიმთან მიახლოება ნიშნავდა ღმერთთან მიახლოებას. ძველი აღთქმის სტრიქონები გვეუბნებიან, რომ თავისი არსით, მორწმუნეთა ესქატოლოგიური მოძრაობა ტაძრისკენ, ნიშნავს ისრაელის ერთობას, ყველა ხალხის ერთობას. ტაძართან მიდიოდნენ რიტუალური სიმღერებით: „სიმღერა გექნებათ როგორც დღესასწაულის განათვლის ღამეს და გულის სიხარული როგორც სალამურით მიმავალს უფლის მთაზე, ისრაელის კლდეზე ასასვლელად“ (ესაია, 30:29).

ტაძარი მოიპოვება გზაში, იაკობმა ხომ სწორედ ასე, გზაში აღმოაჩინა ტაძარი, რომელსაც დაერქვა ბეით – ელ (უფლის სახლი). ძველ აღთქმაში, არა ერთხელ არის მინიშნებული ებრაელთა მთელი ხეტიალის შესახებ უცხო მიწაზე, როგორც ერთგვარი მომლოცველობაზე, მოლოდინსა და სიწმინდის ძიებაზე – იერუსალიმის მთაზე. „იმ დღეს ახმიანდება დიდი საყვირი და მოვლენ აშურის ქვეყანაში დაკარგულნი და ეგვიპტის ქვეყნად გაგდებულნი, რომ თაყვანი სცენ უფალს წმინდა მთაზე იერუსალიმში“ (ესაია, 27:13).

ტაძართან დაკავშირებულია დესაკრალიზაციისა და რესეკრალიზაციის პრობლემები. ცნობილია, რომ ებრაელებმა ტაძრის დანგრევიდან მრავალი წლის შემდეგ, განახორციელეს მორიას მიტოვებულ კლდეებზე მსვლელობა. ამგვარი სახით გრძნობის გამოხატვა არ ტოვებდათ ებრაელებს, ვიდრე სატაძრო მოედანი, საბოლოოდ არ დაიკავეს მუსლიმებმა. ებრაელებს წასასვლელი არსად ჰქონდათ, ტაძრის ადგილსამყოფელმა სტატუსი შეიცვალა. ამგვარი სახით, სტატუსის შეცვლა დესეკრალიზაციაა. მის ადგილას, სხვა, არქიტექტურულად ახალი ფორმის სიწმინდის გაჩენა (სხვა სარწმუნოებრივი საწყისებით) – რესეკრალიზაცია. აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ საკუთრივ, ტაძრული სივრცის

საკრალურობის ყოფნა არ წარმოადგენს აუცილებლობას. საკრალური გრძნობა რჩება ტაძრის დაკარგვის, ან არ არსებობის შემთხვევაშიც.

ქრისტიანულ ტრადიციაში მომლოცველობის პირველ გამოცდილებად უნდა მივიჩნიოთ მოგვთა თაყვანისცემა. საყურადღეობა ის აზრი, რომ თავად ქრისტე იერუსალიმში შევიდა, როგორც მომლოცველი. მის შესვლას თან ახლდა შეყვირებები, ოსანა: „კურთხეულია უფლის სახელით მომავალი; გაკურთხებთ უფლის ტაძრიდან (ფსალმუნი, 117:27). მომლოცველობის ანალოგიური ტიპი აღმოჩენილია ინდოეთშიც – ჯანაკპურუ. ისლამის დამკვიდრებით შემოღებული იქნა მომლოცველობა – ჰაჯი (მექასა, ნაფიც მეჩეთში – ჰარამში და ქააბაში), რომელიც ყველა მუსლიმის 5 მოვალეობათა რიცხვში შევიდა. ახალი აზრი, მექაში მომლოცველობის იდეა, ჯერ კიდევ მედინაში ყოფნისას შეიტანა მუჰამედმა, ებრაელთა გავლენით. ყველა წლის, დათქმულ თვეს (ზუ – ლ – ხიჯა), მილიონი მუსლიმი მთელი ქვეყნიდან მიემართება მექაში. თუ ის, სრულფასოვანი ჰაჯის არსულებს, აუცილებელია მოინახულოს მედინა – მუჰამედის დაკრძალვის ადგილი. მუჰამედი გამოაძევეს მექადან. ყველა ხალიფი (მოგვიანებით, ხარუნ არ – რაში – დის გარდა) ცდილობდა არ შესულიყო მექაში. მედინადან ჰაჯის შესრულებისას, მნიშვნელოვანია ქააბის ირგვლივ 7 – ჯერ რიტუალური შემოვლა (რაც უნდა მოხდეს მარცხენა მხრიდან). ყოველწლიური მომლოცველობის დროს, მექაში აგზავნიდნენ კარავს, რომელიც შეკერილი იყო ძვირფასი ნაჭრებიდან და მორთული იყო ძვირფასი ქვებით, ე.წ. მაჰალით (ამ უკანასკნელთან ერთად ქააბისაკენ გაემგზავრებოდა გადასაფარებელი – ქისვა. ის დასვენებული იყო აქლემზე, რომელიც ქარავნის თავში იდგა და როგორც ფიქრობენ, საკრალური ფუნცქიებით იყო აღჭურვილი (რომლის აზრი დღეისათვის უცნობია). მექაში, მაჰმა-

ლის გაგზავნის ფაქტი, გვიანისტორიულ პერიოდში დადასტურდა (აღნიშნული მოვლენა უშუალოდაა დაკავშირებული ტაძრის შექმნასთან და ტაძრული ცნობიერების წყაროებთან). ბუნდოვანი აღწერის თანახმად, კარავი მაჰმალის შიგნით იყო მოთავსებული, ხოლო საგანძური – ყურანის ხელნაწერით, გრაგნილის, ან წიგნის სახით. მაჰმალის მოწყობა შეგვახსენებს ნაცნობ პარალელს, ისეთს, როგორიცაა, მოსეს კარავი და მასში შენახული აღთქმის კიდობანი.

ქააბაში, მაჰმალის გაგზავნის ისტორიაში, ერთი საინტერესო ეპიზოდია. ამ უკანასკნელის გასარკვევად, აუცილებელია დავუბრუნდეთ ტაძრისაკენ მომლოცველობის გენეტიკური კავშირის იდეას, იუდაიზმთან. იუდაიზმის თემენოლოგია განუყოფელია შეჰინას ცნებიდან (შხინა), რომელიც წარმოადეგნს ღვთაებრივი დასწრების და უფლის სიდიადის უხილავ გამოსახულებას, მოსეს მიშკანში – ღრუბლისსახით (იერუსალიმურ ტაძარში) და ზეციურ ქალაქში (ეზეკიელის ხილვებში), სწორედ შეჰინა განასახიერებდა შლომის (სოლომონის) სიბრძნეს, ანუ აპრიორულად იყო დაკავშირებული ტაძრული ცნობიერების საწყისებთან. ღვთაებრივი ძალა, თავის მუდმივ სამყოფელად ირჩევს ტაძრის შიგა სივრცეს და ნიშნავს უხილავ ყოფნას. „როცა გამოვიდნენ მღვდლები წმიდათა წმიდადან, ღრუბელმა აავსო ღვთის სახლი. ვეღარ დადგნენ მსახურებისათვის იქ მღვდლები ამ ღრუბლის გამო, რადგან უფლის დიდებას დაეფარა სახლი“ (მესამე მეფეთა, 8:10 – 11). ტაძარი, შეჰინას იდეალური ადგილსამყოფელია. ეზეკიელის წინასწარმეტყველების თანახმად, ტაძრის აღორძინება წარმოადგენს უფლის დიდების დაბრუნებას (ეზეკიელი, 10:18:19). „აიმართა უფლის დიდება ქალაქიდან და დაადგა მთას, ქალაქის აღმოსავლეთით რომ არის“ (ეზეკიელი, 11:23).

ისლამის ტაძრული ცნობიერებისათვის, მაჰმალის დაბრუნება საკინასთან ერთად სიმპტომატურია, რადგან იუდა-

იზმისაგან განსხვავებით, მუსლიმისათვის ტაძარი არის არა მარტო ნაფიცი მეჩეთი ქააბით, არამედ მთელი სამყარო. ლოცვას მუსლიმი ასრულებს იქ, სადაც მას ლოცვის შესრულების დრო მოუწევს. იესო ქრისტემ შექმნა ხელთუქმნელი ტაძარი თავისით და თავისთვის: „ხოლო მე გეუბნებით თქვენ: აქ არის ის, ვინც ტაძარზეც უმეტესია) (მათე, 12:6).

ქრისტიანული ტაძრის საკმეველით ავსება ანალოგიური იყო (უფრო ძველ ტრადიციაში) იუდეველებთან, ოღონდ, ღრუბელთან ღვთაებრივი დასწრებით (ე.ი. საკმეველი ღრუბლის ნაცვლად), რომლითაც ივსებოდა ნაკურთხი კარავი და სოლომონის ტაძარი, კიდობნის შემოტანისას (ღრუბელი ნიშნავს წმ. სულს).

მუსლიმი, რომლის გულშიც საკინაა, ზღუდავს თავის თავს დროსა და სივრცეში, სამლოცველო ხალიჩით. უაღრესად მნიშვნელვოანია ხალიჩის ნახატი, რომელიც სრულდება თაღის გამოსახულებით, მეჩეთის გუმბათით, ან მიჰრაბის მსგავსებით, რაც განსაზღვრავს მლოცველის მდგომარეობის სტატიკურობას. ვერ ვიტყვით, რომ ტაძრული ცნობიერების ანთროპოცენტრული ასპექტი, ისლამის მოსვლასთან ერთად შეიქმნა. გავიხსენოთ, მოციქულ პავლეს ნათქვამი: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულის წმიდისა, რომელიც გაქვთ ღმერთისაგან და არ ეკუთვნით თქვენს თავს?“ (პირველი კორინთელთა მიმართ, 6:19).

ქრისტიანობაში, ისე როგოც ისლამში, პირველ შემთხვევაში (ქრისტიანობაში) საკრალური გამოისახება ხატის ფორმით, ხოლო მეორე შემთხვევაში – დამწერლობით. მუსლიმ მხატვრებთან მრავალკუთხოვანი კუბური ფორმის შრიფტი, მოგვაგონებს მეანდრას (ბერძნული ტიპის ორნამენტს), რომელიც ლაბირინთისეულ კომპოზიციას ქმნის. ისლამის მხატვრულმა პრაქტიკამ შეიმუშავა დამწერლობის განსაკუთრე-

ბული ფორმა – ანთროპომორფული და ზოომორფული სახეებით. დამწერლობისა და ტაძრის ცნებათა კავშირი იმანენტურია. ყურანის ადრეულ დამწერლობაში, სურებს შორის ჩნდება სატაძრო კოლონების გამოსახულება – ტრადიციული ლამპარი (არა ნახატის გაფორმების ფუნქციონალური მიზნების მისაღწევად, არამედ წმ. წერილსა და ტაძრის სემანტიკურ კავშირს შორის განცხადების გასაკეთებლად).

არაბული წარწერების გამოჩენა მეჩეთებისა და მედრესების გარეთ კედლებზე, საბოლოოდ ადასტურებს ორი მონათესავე ეპისთემის ურთიერთკავშირის ისტორიას, აბრაამისეული ტრადიციების რელიგიათა სულიერ და მხატვრულ შემოქმედებაში.

ლიტერატურა:

1. ბიბლია;
2. ყურანი;
3. Флавии Иосиф – Иудейские древности. СПБ, 1895.

Manana Chiteishvili – Doctor of Philosophy, Associate Professor of Akaki Tsereteli State University; works about religious, art and ethics matters. Her books include: "Historical Matters of Religions" (Kutaisi, 2004); "Georgian Christian Art Matters" (Kutaisi, 2005); "Ethics Foundations for Business" (Kutaisi, 2008); "Existential and Religious Aspects of the Temple" (Kutaisi, 2013); "Problems of Art Philosophy" (Kutaisi, 2017); the author of some scientific articles about the problems of philosophy.

FOR THE UNDERSTANDING OF TEMPLE BREAKING OR PURIFICATION

ABSTRACT

There are several prophecies about Temple breaking and transforming it as a place of trash. In Daniel's book there are some passages telling about the coming of the king of the future in Jerusalem, his death penalty and its outcomes (Daniel the prophet, 9:27). This prophecy is also supported by gospellers and talk about Jesus's words about the temple breaking (Mathew, 24:4), (Marcus, 13:14), (Luke, 21:20). In the Old Testament we see an unnoticeable but a very interesting episode about the breaking of Baal Temple by Jui, the king of Israel (the Fourth of the Kings, 10:27). The purification of the temple represents the first and important motif of sacral – ethical rank in cathedral theology. As it seems, this function was prophetical from the beginning – living by purifying and refreshing (by pure water or rain).

In terms of cathedrals (temples) it is relevant to take the fact of changing the name of cathedral into consideration (when it is given to the people of different confessions), which reflects the breaking of a cathedral (its interior is redecorated etc.). This is contributed, but characteristic moment for cathedral ontology. It is considerable, that Mohamed changed his chapel worship orientation from Jerusalem to

Mecca after having a discord to the local community (Koran, 2:144). The object of sacral worshipping was the Black Stone, which was placed at the wall of Kibla (the wall which indicates the direction for praying). According to the Islam followers, the meaning of a stone is included in one of the praying type – Zikri. The final aim of collecting the sum of theses prayers and stones is a pyramidal shape (Haram).

Not any cathedral is built without a stone. Pilgrimage with Muslims is included in their "five piers". This is not only the movement to the cathedral, but moving to the place of God (Out – comers, 23:14); (the Second Oath, 16:16). Problems of desacralization (changing the status of the place of cathedral) and resecralization (evolving the sacredness of architecturally new shape) are related to the cathedral.

The idea of pilgrimage in Mecca by sending a tent is also important. The tent was sewn with precious cloth and was decorated with small stones, i.e. Mahal. The fact of sending Mahal to Mecca with Kisva (a cloth which covered the back of a camel) was confirmed in the late historical period. According to the vague description, the tent was placed inside the Mahal and the treasury with Koran manuscript, reeling or a book. The testimony of Mahal reminds of familiar parallel such as the tent of Mosses and the ark of Testament kept inside it.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის რელიგიის ფილოსოფიისა და რელიაგიათმცოდნეობის განყოფილებამ.

ესთეტიკა
AESTHETICS

ნანა გულიაშვილი – ფილოსოფიის დოქტორი; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ – პროფესორი; მუშაობს ესთეტიკის, კულტურის ფილოსოფიის, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის პრობლემებზე; გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები და წიგნი: „არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიურ – ესთეტიკური ნააზრევი“ (თბ. 2012 წ.).

ფრიდრიხ შლეგელი ანტიკური ხელოვნების და რომანტიზმის შესახებ

იენის სკოლის რომანტიკოსები თავიანთ შემოქმედებას ძირითადად კანტის და ფიხტეს ფილოსოფიის გავლენით აგებდნენ. გარდა ამისა ერთმანეთის შემოქმედებაზეც ახდენდნენ ზეგავლენას. მაგ. ფრ. შლეგელის ნაშრომი – „ბერძნული პოეზიის სკოლების შესახებ“ ატარებს ჰერდერის გავლენის კვალს, ხოლო ნაშრომი – „ბერძნები და რომაელები“, კი ფრ. შილერის ნაშრომის – „მიამიტი და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“ – გავლენას განიცდის.

ისევე როგორც სხვა რომანტიკოს – თეორეტიკოსები მაგ. ფრ. შელინგი, ფრ. შილერი, ფრ. შლეგელიც გატაცებული იყო ანტიკური ხელოვნებით რის შესახებაც თავის შრომებში საუბრობს.

ფრ. შლეგელი თავის ძმასთან ვილჰელმთან ერთად, ახალი რომანტიკული ესთეტიკისათვის ბრძოლას აწარმოებს ფიხტეს სუბიექტური ფილოსოფიის ნიადაგზე. მისი შეხედულების ძირითად წინამძღვრად ფიხტეს იდეალისტური ფილოსოფია წარმოდგება, კონკრეტულად კი ფიხტეს ნაშრომი „მოძღვრება მეცნიერების შესახებ.“

იენის რომანტიზმის ესთეტიკა ეყრდნობა სწორედ გერმანული კლასიკური იდეალიზმის მონაცემებს. ეს ჩანს ხელოვნების ბუნების, ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებუ-

ლების, ხელოვნებისა და იდეოლოგიის სხვა დარგებს შორის დამოკიდებულების გაგებაში. ესთეტიკის ამ ძირითადი საკითხების გარკვევისას რომანტიკოსები დგანან იდეალიზმის ნიადაგზე, და გადაჭრით ილაშქრებენ რეალისტური ესთეტიკის პრინციპების წინააღმდეგ.

ფრ. შლეგელი სუბიექტურ იდეალისტურ პოზიციაზე დგას, როდესაც ხელოვნებისა და სინამდვილის დამოკიდებულებას არკვევს. ხელოვნება, რომელსაც შლეგელები რომანტიკულს უწოდებენ, განსხვავდება კლასიკური, განმანათლებლური ხელოვნებისაგან არა მხოლოდ იმით, რომ უარყოფს ხელოვნების განმსაზღვრელ გარეგან ფაქტორებს, არამედ იმითაც, რომ არის უნივერსალური, მრავალი ჟანრის, ადამიანის სულიერი შემოქმედების მრავალი ფორმის შემცველი და გამაერთიანებელი.

„რომანტიკული პოეზია“ – წერს ფრ. შლეგელი არის პროგრესული, უნივერსალური პოეზია;

მისი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ხელახლა გააერთიანოს პოეზიის ყველა განცალკევებული სახე, მოიყვანოს პოეზია ფილოსოფიასა და რიტორიკასთან შეხებაში. ჟურნალ „ათენეუმის“ 238 – ფრაგმენტში მოცემულია ფრ. შლეგელის დებულება „ტრანსცენდენტური, ანუ უნივერსალური პოეზიის შესახებ. „Es gibt eine Poesie, dein eines ind alles das…” იგი წერს: არსებობს ისეთი პოეზია, სადაც ურთიერთმიმართებაა იდეალსა და რეალობას შორის, ხილულსა და უხილავს შორის, უცნობსა და ნაცნობს შორის. ამ ანალოგიის მიხედვით ფილოსოფიის ხელოვნების ენას შეიძლება ეწოდოს ტრანსცენდენტური ანუ უნივერსალური პოეზია. ხოლო რაც შეეხება ცნება „უნივერსალურს“ გულისხმობს საყოველთაოს, იგი მოიცავს ყველა ჟანრს, „პროგრესული“ გულისხმობს, რომ პოეზია არის მუდმივად ქმნადი დაუსრულებელი პროცესი, რომელიც პოეზიის საზრისის უსასრულობას გულისხმობს. ათენეუმის 116 ფრაგმენტში მოცემულია შლეგელის დებულება: „Die

romantische Poesie ist die eine progressive universalpoesie.”სადაც შლეგელი ამბობს, პოეზია უნდა იყოს სიცოცხლით სავსე, ცოცხალი. ცხოვრება და საზოგადოება პოეტად უნდა იქცეს. ასევე იგი ადასტურებს რომანტიკულ უნივერსალურ პოეზიას, რომლისგანაც იგი მოითხოვს თეორიულ თვითგააზრებას. „მხოლოდ რომანტიკულ პოეზიას, ეპოსის მსგავსად, შეუძლია გახდეს მთელი გარემომცველი ქვეყნის სარკე, ეპოქის უკუმ-ფენი. მას გააჩნია უნარი იპარპაშოს წარმოსახულსა და წარ-მომსახველს შორის პოეტური რეფლექსიის ფრთებზე, მას, ყო-ველგვარი რეალური ინტერესისაგან თავისუფალს. რომანტი-კული პოეზია ხელოვნებაში იგივეა, რაც გონებამახვილობა ფილოსოფიაში, ურთიერთობა, მეგობრობა და სიყვარული ცხოვრებაში... რომანტიკული პოეზია იმყოფება ჯერ კიდევ დადგინების პროცესში; კიდევ მეტი: მისი ნამდვილი არსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მუდამჟამს იქნება დადგინების პროცესში. არასდროს არ მიაღწევს დასრულებულობას... პოე-ზიის რომანტიკული ჟანრი, ეს ერთადერთია, რომელიც არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ცალკე ჟანრი. იგი არის პოეზია მთელს თავის კრებადობაში, რადგან გარკვეული მნიშვნელო-ბით ყოველგვარი პოეზია არის და უნდა იყოს რომანტიკული.“

გერმანული რომანტიზმის ესთეტიკაში ერთ-ერთი მნიშ-ვნელოვანი საკითხია ისტორიზმის საკითხი. კერძოდ კი საკით-ხი იმის შესახებ, თუ როგორაა გაგებული ხელოვნებისა და სი-ნამდვილის დამოკიდებულება, ხელოვნების განვითარების ის-ტორიაში. „ხელოვნების განვითარება წინა ეპოქების – ანტიკუ-რი, შუასაუკუნეების, აღორძინების და განმანათლებლობის სა-უკუნეების ხელოვნებასთან.“

ახალი ხელოვნების ბუნების გაგების დროს რომანტიკო-სები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ხელოვნების წინა ეპოქებს, ცხადყონ ახალი ხელოვნების თავისებურება, ხელოვ-ნების ისტორიის გათვალისწინებით. სწორედ ასეთი თვალსაზ-რისია გატარებული ძმებ შლეგელების შემოქმედებაში. ფრ.

შლეგელის ესთეტიკის ერთ-ერთი საყურადღებო მხარეა – ხელოვნების განვითარების განხილვა ისტორიულ ასპექტში.

ნაშრომში – „საუბარი პოეზიის შესახებ,“ პირველ ნაწილში, რომელიც დასათაურებულია – „მსოფლიო პოეზიის ეპოქები“ – ფრ. შლეგელი ცდილობს წარმოგვიდგინოს მსოფლიო ლიტერატურის განვითარება როგორც ერთიანი პროცესი, მას მიაჩნია, რომ პოეზიის ისტორიას შეუძლია ჩაგვახედოს პოეზიის საფეხურებრივ განვითარებაში, მის პირველ წყაროებამდე მიგვიყვანოს. ასეთად მას მიაჩნია ანტიკური ხელოვნება, ჰომეროსი, ჰომერიდთა ძველი სკოლა.

თავდაპირველად ანტიკურობის გაგებაში ფრ. შლეგელი გოეთეს და შილერის აზრს იზიარებს. მაგ. წერილში „ბერძენთა და რომაელთა შესწავლის მნიშვნელობის შესახებ“ – ფრ. შლეგელი იმ აზრს ავითარებს, რომ „ ბერძენთა და რომაელთა შესწავლა წარმოადგენს სიდიადის, კეთილშობილების, სიკეთისა და სილამაზის სკოლას.“ რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნებულ შრომაშიც – „მსოფლიო პოეზიის ეპოქები“ – ფრ. შლეგელი ამგვარივე შეფასებას აძლევს ანტიკურ პოეზიას, ხედავს მასში პოეზიის „ამოუწურავ წყაროს,“ „პოეტური შესრულების ძლიერ ნაკადს... წყნარ ზღვას, რომელშიც მხიარულად უკუეფინება ციური ბრწყინვა და მიწიერი სიუხვე.“

ერთი შეხედვით ანტიკური ხელოვნების კვალი შემორჩენილი და შენახულია მთლიან შემოქმედებაში, რომელიც ფრაგმენტულად წარმოდგება პოეზიაში, მაგრამ ერთ მთლიან მიზანს ინარჩუნებს. მიუხედავად მისი ერთიანობისა, რომელიც თვითონ ბერძნულმა ბუნებამ შექმნა, მოგვცა ბერძნული პოეზია, დაყო და დაანაწევრა რამდენიმე მსხვილ მასად. მსგავსები ერთად დააკავშირა და წესრიგი დაამყარა. ამ გაერთიანებებს კლასები უწოდა ბერძნული პოეზიის, ისინი ერთიანდებიან ხასიათის საერთო მსგავსებითაც, ნიშნების მიხედვით და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ შესაძლებელია მათი საზღვრების დადგენაც, გამოყოფა ერთმანეთისგან. ამ მიზანს

ისახავს ფრ. შლეგელი ამ ნაშრომში და სურს დაახასიათოს ბერძნული პოეზიის სკოლები. ყველას თავისი სახელი დაარქვას.

ბერძნულ ხელოვნებასთან დაკავშირებით გამოირჩევა ფრ. შლეგელის ნაშრომი „ბერძნული პოეზიის შესახებ". ფრ. შლეგელმა გამომსახველობითი ხელოვნებიდან გამოიყენა სიტყვა „სკოლა". აქ ეს სიტყვა აღნიშნავს სტილის კანონზომიერ ერთგვაროვნებას, რომლის წყალობითაც მხატვრების ერთი კლასი განსხვავდება სხვებისაგან და განსაკუთრებულ ესთეტიკურ მთლიანობად წარმოსდგება.

ბერძნულ პოეზიაში ოთხი ძირითადი სკოლაა, ამბობს ფრ. შლეგელი, ესენია: იონური, დორიული, ათენის და ალექსანდრიული. ჰომეროსის, ჰესიოდეს ნაწარმოებები, რომაული და ალექსანდრიული მიბაძვის ფრაგმენტები – აი რა შემოგვრჩა ჩვენამდე იონური სკოლიდან. ამ პერიოდის ნაწარმოებებში გამოსახვა – ჯერ კიდევ არ იყო წმინდა ხელოვნება. პოეზია, ფილოსოფია და ისტორია, ჯერ არ იყო გაყოფილი ერთმანეთისგან. მათ ნაცვლად არსებობდა მხოლოდ ერთი – მითი, ჩანასახი, რომლისგანაც მოგვიანებით თანდათან სამივე განვითარდა. მითი არ იყო პოეზიის ორგანო, არამედ იყო თვითმიზანი. მისი აუცილებელი თანამგზავრი პროზის წარმოშობამდე იყო მეტრი, თავდაპირველად სხვა არაფერი, თუ არა დამახსოვრების საშუალება; იცოდნენ მხოლოდ ერთი მეტრი – ჰეკსამეტრი, უფრო მსუბუქი აღქმისათვის და მოსახერხებელი დამახსოვრებისათვის. არსებობდა მხოლოდ ორი ფორმა – ეპოსი და ჰიმნი, ან საკუთრივ მხოლოდ ერთი – თხრობა, რომელიც მანამდე იყო მითის მედიუმი და არა წმინდა მედიუმი სილამაზისა და გამოსახულებისა. თუმცა, იონური სკოლის ნაწარმოებებში პოეზია უკვე იყო გაბატონებული, მაგრამ საჭიროა ის ზოგჯერ განვიხილოთ უბრალოდ მითის რანგში. თავად მითი უმაღლეს ხარისხში პოეტიზირებულია, მეტრი ხშირად ადის მუსიკალურ სილამაზემდე, სტილი კი მსუბუქი და მარტივია. გამოსახულე-

ბა ობიექტური, სწორი და გაუზვიადებელი. იდეალური – მასალაში ჩნდება გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე იდეალური – ფორმაში, მაგრამ ესეც გვხვდება ჰომეროსთან მისი გმირული ხასიათების ბუნებრივ სრულყოფილებაში. მასთან ყოველი გმირი უმაღლესია თავისთავად , და ეს არის არა ბუნება, არამედ იდეალი. რა თქმა უნდა, მხოლოდ მთლიანობაში, გამოსახულებაში ბუნება ბატონობდა იდეალზე. ზუსტად ასევე გენიასა და გემოვნებაში ათვისება ბატონობდა თვითშემოქმედებაზე, ხოლო მშვენიერში – მოვლენა შინაარსზე.

იონური სულისგან საერთოდ განსხვავებული იყო დორიული. ეს ვლინდებოდა ზნე – ჩვეულებებში, კანონებში, მითებში, დიალექტში, მუსიკაში და ასევე პოეზიაში. იგი იმდენად მთლიანობაში მომდინარეობს, დორიული ნაციონალური კულტურიდან და ხასიათიდან, რომ ჩვენ უნდა ვცნოთ ბერძნული პოეზიის განსაკუთრებული დორიული სკოლა.

დორიელები იყვნენ უფრო ძველი, სუფთა, ყველაზე ნაციონალური ბერძნული ტომი, და ბერძნული სულის ორივე თვითმყოფადი პროდუქტი – გიმნასტიკა და მუსიკა – წარმოადგენს უმეტეს წილად დორიელების ქმნილებას. საუბარია არა იმაზე, რომ მათ პირველად შექმნეს ისინი, არამედ იმაზე, რომ დორიელებმა მისცეს მათ სახე, ფორმა, დასრულება. გიმნასტიკა და მუსიკა შეადგენდა ბერძნული აღზრდისა და კულტურის უდიდეს ნაწილს და დორიული სული არასდროს არ გადიოდა შორს ამ საზღვრებიდან. მუსიკის ქვეშ, ამ სიტყვის ძველი გაგებით, იგულისხმებოდა ლირიკული პოეზიაც. ელეგია, ეპიგრამმა და იდილია არ ეკუთვნის ამ ლირიკას, მას მიეკუთვნება მხოლოდ მელოსი. მის დორიულ წარმომავლობას ამტკიცებს შემონახული ნაწარმოებები და ფრაგმენტები სადაც ჩანს, რომ უმეტესი ლირიკული პოეტები წერდნენ დორიულ დიალექტზე და აღსანიშნავია, რომ ათენის დრამების ქოროც იყენებდა მას.

დორიული სკოლის დასაწყისი ბურუსითაა მოცული. მათი ლირიკის და მუსიკის დასასრული კი ემთხვევა დორიელე-

ბის ზნე-ჩვეულებებისა და სახელმწიფოს დაცემას. ამ სკოლის ცნობილი პოეტები იყვნენ: ბაკ ქილიდე, ივიკი, კორინა და სხვა.

საუკეთესო კომენტარი ამ სკოლის შესწავლისთვის არის თავად დორიელების ხასიათი მათთვის ყველაზე მშვენიერ ეპოქაში; ხასიათი, რომლის შესახებაც შეგვიძლია გავიგოთ თუკიდიდედან, და ასევე პინდარედან. მათი ზნეობრიობის საერთო ტონი იყო – დიდება, უბრალოება და სიმშვიდე, მათი ხასიათის საფუძველი კი – ზნე – ჩვეულებებისა და მამების რწმენის ერთგულება. მაგრამ, რამდენადაც პატივმოყვარეობამ და ფუფუნებამ მოიცვა მთელი საბერძნეთი, რამაც მიიყვანა დორიული ზნე – ჩვეულებების დაცემამდე, მაშინ გაქრა მათი კეთილისმყოფელობაც, მასთან კი მათი ხელოვნებაც.

დორიულ სკოლაში პოეზიამ მიაღწია მნიშვნელოვან სიწმინდეს, და მხოლოდ იშვიათად თუ შეიძლება პოეტური ნაწარმოები განვიხილოთ როგორც მითი. ერთადერთი ფორმა ეს არის ლირიკა. დორიული ლირიკა თავის მიზანს აღწევს მშვენიერის დახმარებით. ეს არის დიდების ბაგე და სიხარულის ენა. სწორედ იმიტომ, რომ ლირიკა გვევლინება სასიამოვნოს ხელოვნებად, მეტრი და სტილი არის არა უბრალოდ საშუალება, არამედ რაღაც თავისთავად მშვენიერი.

თუმცა პოეზიის, დრამის სრულყოფილი ფორმა ჯერ კიდევ არ არსებობდა. ის წარმოადგენს ათენის სკოლის თვითმყოფად პროდუქტს. თუ ათენელებს არ გამოუგონიათ დრამის პირველი საწყისები, მათ ყოველ შემთხვევაში მას მისცეს სახე, ფორმა და დასრულება. მხოლოდ დრამატული ნაწარმოებები შეიძლება მიეწეროს ათენის სკოლას, რადგან ნაკლებ სავარაუდოა ისინი ყოფილიყვნენ თვითმყოფადნი ეპიკურ და ლირიკულ სფეროში, ისე, რომ შეექმნათ საკუთარი სკოლა.

ჩვენს დრომდე შემორჩა ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, არისტოფანეს ნაწარმოებები, ტრაგიკული და კომიკური პოეტების ფრაგმენტები,რომაული თარგმანები.

ათენში პოეზია იქცა მშვენიერის სუფთა ხელოვნებად.

გამოსახულება იყო აბსოლუტურად იდეალური, ხელოვნების მატერია – მხოლოდ ორგანო. მეტრი, იამბებისა და მელოსის შეერთება იყო უმაღლესი პათეტიკური და ეთიკური გამოხატვის საშუალება. მითის გარდა პოეზიის საგანი იყო რეალური ცხოვრება – საჯარო და საშინაო. ხელოვნების ცხოველმოქმედი პრინციპი იყო საერთოდ ათენელების ხასიათი, მტელი ადამიანური ბუნების უმაღლესი ენერგია, მორალური და ინტელექტუალური მოქნილობა. ათენის სკოლის გაბატონებული პრინციპი დასაწყისიდან დასასრულამდე იყო საზოგადოებრივი გემოვნება, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივი ზნეობრიობის წმინდა გამოხატულებას, მაგრამ ის განსაზღვრავდა მხოლოდ მშვენიერის იდეალს, და არ ადგენდა თვითნებურ კანონებს. მხოლოდ ათენელებს შორის, ცოტა ხნის მანძილზე, პოეზია სარგებლობდა სრული უფლებით უსაზღვრო გარეგნული თავისუფლებისა და შეუზღუდავი ავტონომიისა.

არსებობს ათენის გემოვნების ოთხი საფეხური: პირველი საფეხურის მახასიათებელი – დიდება, უმაღლესისადმი ლტოლვა, რომელიც ვერ იღებს სრულ დაკმაყოფილებას. ესქილეს სილამაზეს აკლია გრაცია, მის გამოსახულებას – სიმსუბუქე; ტრაგიკული გადაწონის მშვენიერს. მხატვრული წადილის უმაღლესმა მისწრაფებამ თავის მიზანს, უმაღლეს სილამაზეს მიაღწია მეორე პერიოდში. სოფოკლეს შემდეგ ქრება სრულყოფილი ხელოვნება. ბერძნულმა გენიამ დაკარგა ჰარმონია და მესამე პერიოდში ჩავარდა არაკანონიერ ფუფუნებაში, რასაც მეოთხე პერიოდში მოჰყვა დაღლილობა.

მას შემდეგ, რაც სილამაზე აღარ იყო ხელოვნების მიზანი,წარმოიქმნა პოეზიის სრულიად ახალი სტილი – ალექსანდრიული სკოლა. რადგანაც ალექსანდრია გახდა სწავლულობისა და სწავლულების ადგილსამყოფელი. სწავლულთა გემოვნებამ და ვირტუოზების ამპარტავნებამ დაიპყრეს ხელოვნება. სილამაზის ადგილი დაიკავა ხელოვნურობამ, პოეტები ცდილობდნენ ეჩვენებინათ თავიანთი გაწაფულობა უჩვეულო სირ-

თულეების გადალახვაში: აქედანაა ამგვარი მკვდარი სიუჟეტების არჩევანი. აქ უბრალოება – არ არის არც პირველქმნილი ბუნება და არც სილამაზე, რადგან მასში არ არის ზნეობრიობის გრძნობა. ალექსანდრიელების ნაწარმოებები არის მშრალი, მძიმე წონიანი. მასში აღარ იყო პათოსი და ეთოსი.

ალექსანდრიულ ნაწარმოებებში ჯერ კიდევ იყო სტილი, ხასიათი და ტონი, შემდეგში კი დგება დრო სტილის გარეშე.

მაშასადამე, ბერძნული პოეზიის სვლა იყო შემდეგნაირი: ის ამოდიოდა ბუნებიდან (იონური სკოლა) და კულტურის წყალობით (დორიული სკოლა) მიაღწია სილამაზეს. ეს უკანასკნელი ამაღლებულიდან ავიდა სრულყოფილებამდე და შემდეგ დაეშვა ფუშფუშა ფუფუნებამდე. მას მერე, რაც სილამაზე იქვე გაქრა, ხელოვნება გახდა ხელოვნურობა, და ბოლოს, შეზავდა ბარბაროსობაში.

ასე ახასიათებს ფრ. შლეგელი ბერძნული პოეზიის სკოლებს.

მომდევნო პერიოდში კი იგი მკვეთრად იცვლის თავის შეხედულებას ანტიკურობაზე, ერთმანეთს უპირისპირებს რომანტიკულსა და ანტიკურ ხელოვნებას, უარყოფს მათი სინთეზის შესაძლებლობას.

ნაშრომში „რომანის შესახებ“ ფრ. შლეგელი ცდილობს დაადგინოს ანტიკური და რომანტიკული ხელოვნების განმასხვავებელი ნიშნები. იგი ფიქრობს, რომ ანტიკური ხელოვნება არ ემყარება სინამდვილეს, ისტორიას, განსხვავებით რომანტიკული ხელოვნებისადან, რომელიც ისტორიულ საფუძველს ემყარება.

„ძველი პოეზია – წერს ფრ. შლეგელი – მთლიანად უკავშირდება მითოლოგიას, გვერდს უვლის ნამდვილ ისტორიულ სიუჟეტებს. ტრაგედიებიც კი წარმოადგენდა თამაშს და პოეტი, რომელიც ნამდვილ ამბავს დახატავდა, მთელ ხალხს რომ ღრმად აღელვებდა, ამისათვის გაკიცხული იქნებოდა. რომან-

ტიკული პოეზია, კი პირიქით მთლიანად ისტორიულ საფუძველს ემყარება.“

ფრ. შლეგელი ასევე განასხვავებს თავის თანადროულ და რომანტიკულ ხელოვნებას, რომ თანადროული და რომანტიკული არ არის ერთი და იგივე მისი აზრით მწერალი შეიძლება თანადროულობას აღწერდეს, მაგრამ მისი ნამუშევარი არ იყოს რომანტიკული. განსხვავებით შექსპირის ნაწარმოებებისაგან, რომლებიც შლეგელის გაგებით „რომანტიკული ფანტაზიის შუაგულს“ წარმოადგენენ. შეგვიძლია ვთქვათ,რომ ანტიკური და რომანტიკული ხელოვნების წყალგამყოფად ფრ. შლეგელს პოეტური ფანტაზიის საკითხი მიაჩნია.

ფრ. შლეგელი ასევე განასხვავებს ერთმანეთისგან სენტიმენტალურს და რომანტიკულს. მისი აზრით სენტიმენტალური არ ნიშნავს რომანტიკულს ასეთად იგი იქცევა მაშინ, როცა სენტიმენტალური შინაარსი ფანტასტიკურ ფორმაში ეხვევა. ანტიკურ ხელოვნებაში ფრ. შლეგელი ვერ ხედავს ფანტაზიის მომენტის წინ წამოწევას, მიაჩნია, რომ იქ წაშლილია განსხვავება მოვლენასა და არსს შორის, თამაშსა და სერიოზულობას შორის, რომ ანტიკური ხელოვნება, ამიტომ რომანტიკული ხელოვნების საპირისპიროს წარმოადგენს.

რომანტიკული სულის მატარებლად ფრ. შლეგელი ახალი დროის პოეტთა შორის მიიჩნევს შექსპირს და სერვანტესს, ასევე რომანტიკულად თვლის შუა საუკუნეების ხელოვნებას.

ასეთია ფრ. შლეგელის აზრი ერთი მხრივ ბერძნული პოეზიის და მეორეს მხრივ რომანტიზმის შესახებ. რაც მცირე ნაწილია იმ მთლიანი მიმდინარეობისა, რასაც რომანტიზმის ესთეტიკა ჰქვია, მისი შეხედულებები ავსებენ იმ სხვა მოაზროვნეების აზრებს, რომლებიც მანამდე და მის შემდეგ იყო ესთეტიკაში.

ლიტერატურა:

1. Фридрих Шлегель, Естетика Философия критика. (в двух томах. Т. I. Москва. 1983;
2. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, თბ. 1993.

Nana Guliashvili – Doctor of Philosophy; Assistant – Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University; She studies problems of aesthetics, philosophy of culture, history of Georgian aesthetic thought; has published scientific articles and a monograph „Archil Jorjadze's Philosophic – Aesthetic Thought" (Tbilisi, 2012).

FRIEDRICH SCHLEGEL ON ANTIQUE ART AND ROMANTICISM

ABSTRACT

In the struggle for new romantic aesthetics Friedrich Schlegel and his brother relied on Fichte's subjective philosophy. Fichte's idealistic philosophy, in particular his work "Treatise on Science" serves as the main premise of Schlegel's conception.

Jena school of romantic aesthetics is based on the data of German classical idealism. This is evident in the conception of the nature of art, interrelation of art and reality, as well as of art and other branches of ideology. Discussing these principal issues of aesthetics, the romantics rely on the principles of idealism and sharply oppose the foundations of realistic aesthetics.

Friedrich Schlegel shares the position of subjective idealism when he clarifies interrelation of art and reality. Art which is referred to by Schlegel as romantic differs from classic enlightenment art not only by rejecting external factors determining art but also by being universal and embracing and uniting various genres, numerous forms of man's spiritual creativity.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ეთიკისა და ესთეტიკის განყოფილებამ.

ეთიკა
ETHICS

მიხეილ ხალვაში – ფილოსოფიის დოქტორი, ეთიკის ფილოსოფიური პრობლემების მკვლევარი; გამოქვეყნებული აქვს ეთიკის პრობლემებზე სამეცნიერო სტატიები და ვრცელი მონოგრაფია „ბედნიერება მეცნიერული თვალსაზრისით“ (თბ., 2013).

რატომ არის ბედნიერება წარმავალი?

სათაურში ნახსენებ კითხვაზე პასუხის გაცემას ოდითგანვე ცდილობდა ადამიანი, რადგან მას სურს მუდამ იყოს ბედნიერი და სასოწარკვეთილება ეუფლება, როცა ეს განცდა ქრება. თუმცა, აქვე, აუცილებელია, შევნიშნოთ, რომ წარმავალი და ცვალებადია არა მხოლოდ ბედნიერება და სიამოვნება, არამედ ყველა სხვა პოზიტიური თუ ნეგატიური განცდა და მთელი სამყარო, მასში არსებული ყველა ცოცხალი თუ არაცოცხალი მოვლენა. ფიზიკურ სამყაროში არსებულ მოვლენათა ცვალებადობა – წარმავლობის მიზეზები მეცნიერებისთვის ცნობილია, მაგრამ მისთვის უცნობი იყო ბედნიერების და საერთოდ ემოციების ცვლილების მიზეზი. უფრო ზუსტად, ფილოსოფია და საერთოდ მეცნიერება თავადვე უარყოფდა ბედნიერების კანონზომიერების თუ წარმავლობის შემეცნების შესაძლებლობას პარადოქსულად არაადეკვატური არგუმენტებით (5,51). მას შემდეგ, რაც დადგინდა ბედნიერების ცნება და კანონზომიერება ფილოსოფიის და საერთოდ მეცნიერებისთვის მისაღები მეთოდოლოგიის შესაბამისად (5,162 – 365), ბუნებრივია, პასუხი გაიცა ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ყველა ამოუხსნელ კითხვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ბედნიერების კანონზომიერების შესახებ ცოდნა ვერ იქნებოდა მეცნიერული თვისების მქონე. ეს ნიშნავს, რომ ყველა სხვა პრობლემის მსგავსად გაირკვა, რატომ არის ბედნიერების განცდა წარმავალი. მისი ცოდნით კი იქმნება რეალური შესაძლებლობა, რომ ადამიანმა ემოციები მართოს

გონებით ბედნიერების კანონზომიერების შესაბამისად და არა მხოლოდ გაიხანგრძლივოს ეს განცდა, არამედ მარტივად დააღწიოს თავი უსიამოვნება – უბედურებას. ასე, რომ კვლავ ისმის კითხვა: რატომ არის ბედნიერება წარმავალი? მასზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია, პირველყოვლისა, გავეცნოთ ბედნიერების ცნებას და ზოგად კანონზომიერებას. შემდეგ კი მის საფუძველზე ავხსნათ უფრო ვრცლად არა მხოლოდ სიამოვნება – ბედნიერების, არამედ უსიამოვნება – უბედურების წარმავლობის მიზეზები.

ბედნიერება, არსებითად, არის ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის შეგუებულ ზომაზე მეტად ზრდით გამოწვეული განცდა (5,162). ეს ნიშნავს: სიამოვნება – ბედნიერების და უსიამოვნება – უბედურების განცდა, ისევე როგორც მათ შუალედურ ნეიტრალურ ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა დამოკიდებულია გარესამყაროდან ადამიანში შეღწეულ სასიცოცხლო ან მომაკვდინებელ ძალაზე და მის შედეგად ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ცვლილებაზე: მის სიამოვნება – ბედნიერების და უსიამოვნება – უბედურების ზომებს შორის მერყეობაზე. ემოციების მარეგულირებელ ზომებში იგულისხმება, რომ ადამიანის ემოციურ სამყაროში მოცემულია სამი ძირითადი მდგომარეობა და ყველა მათგანს აქვს მისი მარეგულირებელი ზომა – კულმინაციური წერტილი; სწორედ მისი გადალახვის შემდეგ წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა განცდის სახით. ემოციური სამყაროს სამი ძირითადი მდგომარეობაა: დადებითი – სიამოვნება – ბედნიერების, უარყოფითი – უსიამოვნება – უბედურების და ამ ორ ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენას შორის მოცემული – ნეიტრალური, რომელსაც არ ახლავს არც დადებითი და არც უარყოფითი განცდა.

ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციას ქმნის არა მხოლოდ მისი ფიზიკური და ცნობიერი სასიცოცხლო ძალა, არამედ ყველაფერი, რასაც ის ფლობს საკუთრების, ანუ ენერგიის სახით. თუ ადამიანის საერთო ენერგეტული

პოტენცია დადებით და უარყოფით ემოციათა მარეგულირებელ ზომებს შორისაა, მაშინ ის არაფერს განიცდის – ნეიტრალურ მდგომარეობაშია.

თუ პოზიტიურ განცდათა გამომწვევი მოვლენის მიერ გაცემული, ანუ გარესამყაროდან ათვისებული ენერგიის საფუძველზე ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის პოზიტიური შემადგენლობა რაოდენობრივად იზრდება მისდამი ადაპტირებულ სიამოვნების ზომაზე მეტად, მაშინ იწყება სიამოვნების განცდა და წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა ნეიტრალური ემოციური მდგომარეობის უარყოფის სახით. ეს არის პოზიტიური უარყოფის პირველი საფეხური.

როცა ეს პროცესი გრძელდება, ან ერთბაშად აღმოჩნდება ისე დიდი, რომ ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ზრდა რაოდენობრივად გადააჭარბებს მისდამი ადაპტირებულ ბედნიერების ზომას, მაშინ იწყება ბედნიერების განცდა – წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა. ეს არის პოზიტიური უარყოფის უარყოფა და მისი მეორე საფეხური, რადგან ბედნიერებით უარიყოფა არა მხოლოდ სიამოვნება, არამედ ნეიტრალური ემოციური მდგომარეობა.

თუ პოზიტიურ განცდათა უზრუნველყოფა დაუკავშირდა განუსაზღვრელ ენერგეტულ პოტენციას, ანუ სამყაროს უსასრულობის განმასახიერებელ სუბსტანციას – ღმერთს, უმაღლეს იდეას ან სხვა მისტიკურ საწყისს, მაშინ: შეიძლება გადაილახოს ადამიანური შესაძლებლობის ზომა და ბედნიერების განცდამ ზეადამიანური, ზესრულყოფილი, ღვთაებრივი და მარადიული შინაარსი შეიძინოს, რადგან ამოუწურავი ღვთაებრივი წყაროს საფუძველზე, ენერგეტული შევსების პროცესი იქნება აბსოლუტურად სრულყოფილი და მარადიული. ეს ნიშნავს, რომ შემოქმედთან ურთიერთმიმართების შედეგად გამოწვეული ბედნიერების, ექსტაზის, სამადხის... განცდაც დიალექტიკურ კანონზომიერებას ემყარება.

პოზიტიურ განცდათა ეს საფეხურები არის ბედნიერების დადებითი დიალექტიკა. მის საპირისპიროდ, თუ ნეგატიური ენერგეტული ზემოქმედებით ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ოდენობა კლებულობს და მისი შემადგენლობა იწამლება და იცვლება უარყოფითად უსიამოვნების ზომაზე მეტად, წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა – უსიამოვნების განცდა. მის საფუძველზე უარიყოფა ნეიტრალური ემოციური მდგომარეობა. ის არის ნეგატიური უარყოფის პირველი საფეხური.

თუ ეს პროცესი რაოდენობრივად გადააჭარბებს უბედურების ზომას, მაშინ იწყება უბედურების განცდა – წარმოიქმნება ახალი თვისებრიობა. ეს არის უარყოფის უარყოფა, რადგან მის საფუძველზე უარიყოფა არა მხოლოდ უსიამოვნება, არამედ ნეიტრალური ემოციური მდგომარეობაც. ის ნეგატიური უარყოფის მეორე საფეხურია.

თუ ასეთი პროცესი გახანგრძლივდა, ან აღმოჩნდა ისე დიდი, რომ უცებ დაიშრიტა და მოიწამლა ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია უბედურების უკიდურეს კულმინაციურ წერტილზე მეტად, მაშინ ის საერთოდ შეწყვეტს არსებობას.

ნეგატიურ ემოციათა ეს საფეხურები არის ბედნიერების უარყოფითი დიალექტიკა. ის ერთიანდება უბედურების ცნებაში და მისი არსი გამოითქმის შემდეგნაირად: **უბედურება, არსებითად, არის ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის დადებით სუბსტანციათა აქტიური დაკარგვით და მისი ნეგატიური შემადგენლობის შეგუებულ ზომაზე მეტად ზრდით გამოწვეული განცდა.**

ასეთია ზოგადად ბედნიერების კანონზომიერება – დადებითი და უარყოფითი დიალექტიკა. ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული მოვლენის საფუძველზე იქმნება საერთოდ ემოციური სამყაროს მთლიანობა. სხვადასხვა სახის ბედნიერება კი უზრუნველიყოფა ენერგეტული სუბსტანციის სხვადასხვა ფორმით: ყოფითი ბედნიერება უკავშირდება ენერგიის ფიზიკურ ფორმებს, ესთეტიკური – მშვენიერების სახით გამოვლენილს, ინტელექტუალური

– ცნებაში მოცემულს, რელიგიური – ღმერთიდან მომდინარეს, იდეალისტური – მთელი სამყაროს შემოქმედი უმაღლესი იდეის მიერ გაცემულს, მისტიკური – მისტერიული პრინციპებით „შემეცნებული" შემოქმედიდან მომდინარეს, ზნეობრივი – სათნოების შედეგად სხვისთვის ბოძებულს და ა.შ. (5,365).

ბედნიერების ზოგადი კანონზომიერების საფუძველზე უკვე შეიძლება კონკრეტულად განვიხილოთ: რატომ არის არა მხოლოდ სიამოვნება – ბედნიერების, არამედ უსიამოვნება – უბედურების განცდა წარმავალი? სიამოვნება – ბედნიერება, ისევე როგორც უსიამოვნება – უბედურება და მათ შუალედურ ნეიტრალურ ემოციურ მდგომარეობაში ყოფნა, ითქვა, რომ დამოკიდებულია გარესამყაროდან ადამიანში შეღწეულ დადებით ან ნეგატიურ ენერგიაზე და მის შედეგად ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ცვლილებაზე. ეს ნიშნავს: ბედნიერება წარმავალია იმიტომ, რომ ადამიანს არ შეუძლია მისი საერთო ენერგეტული პოტენციის შეჩერება ბედნიერების ზომაზე მაღლა მუდამ. უფრო ზუსტად, ბედნიერების განცდის ქრობა არსებითად დამოკიდებულია არა მხოლოდ შიდა, არამედ გარე მიზეზებზე. შიდა არის: 1. ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის კლება არსებობისთვის აუცილებელი ენერგიის მოხმარების შედეგად. 2. ადაპტაციის თვისება – ადრე თუ გვიან ნებისმიერი ენერგეტული ცვლილების მიმართ შეგუება. მათგან განსხვავებით, გარე, ანუ მესამე მიზეზია ფენომენალურ სამყაროში არსებული ბედნიერების უზრუნველმყოფელი მოვლენების საერთო ენერგეტული პოტენციის შეზღუდულობა. სწორედ ამიტომ ბედნიერების გამომწვევი ენერგეტული შევსების პროცესი და მის საფუძველზე ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციაში პოზიტიურ სუბსტანციათა ზრდის შესაძლებლობა არის რაოდენობრივად განსაზღვრული და დროებითი. მაგ. ადამიანი ბედნიერებას განიცდის მისი უზრუნველმყოფელი ობიექტიდან – დავუშვათ, სატრფოსგან სხეულებრივი ან სულიერი მშვენიერების შედეგად გაცემული – სასიცოცხლო

ენერგიის მასში აქტიური გადასვლა – ასიმილაციის შედეგად (5,223). მაგრამ იმის გამო, რომ ბედნიერების გამომწვევ ფენომენალურ ობექტთა – ამ შემთხვევაში სატრფოს და საერთოდ ყველა ადამიანის – საარსებო სუბსტანციის ოდენობა განსაზღვრული და ამოწურვადია, ის ვერ უზუნველყოფს სხვის აქტიურ ენერგეტულ შევსებას განუწყვეტლივ. მეტიც, მას თავად სჭირდება გაცემული ენერგიის აღდგენა. შესაბამისად, ბედნიერების განცდა კანონზომიერად არამუდმივია. ის გრძელდება მანამ, ვიდრე მიმდინარეობს ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის შევსება. ის შეიძლება, გაგრძელდეს აღნიშნული შევსების შემდეგაც, მაგრამ მანამ, ვიდრე ენერგეტული პოტენცია ბედნიერების ზომაზე მაღლა იქნება და პოზიტიური სუბსტანციები თუ ნივთიერებანი, მაგ. ენდორფინი, საბოლოოდ არ შთაინთქმება ორგანიზმში. ეს კი გარდაუვალია, რადგან არსებობა არის არა მხოლოდ ენერგეტული შევსების, არამედ მისი ფიზიკური და ცნობიერი სახით მოხმარება – გაცემის პროცესი, რის შედეგადაც ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია კლებულობს ბედნიერება – სიამოვნების ზომაზე მეტად და უახლოვდება ნეიტრალურ მდგომარეობას. მაგალითად, ადამიანი ენერგიას მოიხმარს და გასცემს ორგანიზმის ჩვეულებრივი სასიცოცხლო ფიზიოლოგიური ფუნქციის შესრულებისას – მეტაბოლიზმის პროცესში: მისი სხეულის ნორმალური ტემპერატურა პასიურ მდგომარეობაშიც კი 36 ცელსიუსზე ზემოთაა. ეს ნიშნავს, რომ სითბოს სახით ის განუწყვეტლივ გასცემს ენერგიას არა მხოლოდ აქტიურ, არამედ პასიურ მდგომარეობაშიც. ფიზიკური თუ გონებრივი შრომის, ანუ აქტივობისას კი ის უფრო ჭარბად გასცემს სასიცოცხლო ძალას, რადგან აქტივობა პასიურ ან ჩვეულებრივ მდგომარეობასთან შედარებით უფრო მეტი ენერგიის მოხმარებას ემყარება. სწორედ ამიტომ, სასიცოცხლო ენერგიის მოხმარების და გაცემის შედეგად თუ ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია დაიკლებს ბედნიერების და სიამოვნების ზომაზე მეტად, მათი განცდა ქრება.

ბედნიერების ქრობის კიდევ ერთ შინაგან მიზეზად ვახსენეთ ადაპტაციის თვისება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი, ისევე როგორც მისი ემოციის მარეგულირებელი ზომები, იცვლება გარკვეული დროის განმავლობაში და ეგუება ნებისმიერი რაოდენობით მისი საერთო ენერგეტული პოტენციის ზრდა – კლებას თუ არ გადაილახა კულმინაციური სასიცოცხლო „მიჯნები.“ კერძოდ, აღინიშნა, რომ ადამიანის საერთო ენერგეტულ პოტენციას ქმნის არა მხოლოდ მისი ფიზიკური და ცნობიერი სასიცოცხლო ძალა, არამედ ყველაფერი, რასაც ის ფლობს საკუთრების, ანუ ენერგიის სახით. ყოველივე ეს კი არის ცვალებადი, რადგან განუწყვეტლივ იცვლება თავად ადამიანი შინაგანად და მისი გარემო პირობები დაბადებიდან გარდაცვალებამდე. საერთო ენერგეტული პოტენციის ცვლილების შესაბამისად იცვლება ემოციის მარეგულირებელი ზომები, ანუ ის შეგრძნების უნარები, რითაც აღიქმება სიამოვნება – ბედნიერება. სწორედ ამიტომ, ის რაც ადამიანს ერთ შემთხვევაში, დავუშვათ, ბავშვობაში სიამოვნება – ბედნიერებას ანიჭებს, ზრდასრულ ასაკში მას ასეთი პოზიტიური განცდები შეიძლება ვერ მიანიჭოს და ის ნეიტრალურად მიიღოს. მაგალითად, გაზაფხულზე მზის ამოსვლის ხილვამ ან ზამთარში პირველი თოვლის მოსვლამ და ფიფქების ცვენამ ბავშვს შეიძლება ბედნიერება განაცდევინოს თუ ამ მოვლენებიდან მომდინარე სასიცოცხლო ძალის საფუძველზე გაიზარდა მისი ენერგეტული პოტენცია და გადაილახა შესაბამისი ზომა. მაგრამ ზრდასრულ ასაკში ადამიანი შეიძლება გულგრილი დარჩეს ასეთი პროცესების მიმართ და ვერაფერი განიცადოს, რადგან მისი ენერგტული პოტენცია და ემოციის მარეგულირებელი ზომები განსხვავდება ბავშვობისეულისგან. მსგავსად ამისა, ბავშვს ბედნიერება შეიძლება მიანიჭოს ათი ლარის ჩუქებამ, მაგრამ ზრდასრულ ასაკში საერთოდ ვერ გრძნობდეს ბედნიერებას მილიონიობით ლარის ფლობის შემთხვევაში. მიზეზი ნათელია: ბავშვობაში ათი ლარის ჩუქებით ის ბედნიერი იყო იმიტომ, რომ მისი საერთო ენერგეტული პოტენცია და

ემოციის მარეგულირებელი ზომები არ იყო შეჩვეული ასეთი რაოდენობით ფულის ფლობას. ზრდასრულ ასაკში კი ის შეეგუა მილიონობით ლარში გასაგნებულ ენერგიას (4,125).

გამოდის, რომ ბედნიერება გრძელდება მანამ, ვიდრე ადამიანი აქტიურად ივსება მისი უზრუნველმყოფელი მოვლენიდან პოზიტიური საარსებო სუბსტანციით და მის საფუძველზე გაზრდილი საერთო ენერგეტული პოტენცია ადაპტაციის ზომაზე მაღლაა. როდესაც შეწყდება ასეთი შევსების პროცესი ბედნიერების უზრუნველმყოფელ ობიექტთა ენერგეტული პოტენციის ამოწურვადობის გამო; ამასთანავე, არსებობის პროცესში ენერგიის გაცემის აუცილებლობის შედეგად ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია დაიკლებს შეგუებულ ზომაზე მეტად და ენერგეტული შევსებისადმი ემოციის მარეგულირებელი ზომები ადაპტირდება, ბედნიერების განცდა გაქრება. თუ ის დაიკლებს სიამოვნების ზომაზე მეტად და საერთო ენერგეტული პოტენცია მოექცევა ნეიტრალურ ზომებში, მაშინ ეს უკანასკნელიც ქრება. ადამიანი გადადის ნეიტრალურ ემოციურ მდგომარეობაში, ის არაფერს აღარ განიცდის.

პოზიტიურ განცდათა მსგავსად, მაგრამ მის საპირისპიროდ წარმავალია უსიამოვნება – უბედურებაც, რადგან ადამიანი ინსტინქტურად მისწრაფვის სიცოცხლისა და სიამოვნება – ბედნიერებისკენ. უფრო კონკრეტულად, ნეგატიური ზემოქმედების შედეგად ადამიანში შეღწეულ უარყოფით ენერგიას ნერვული და ენდოკრინული სისტემა – ჯირყვალთა ერთობლიობა – გარდაქმნის მომწამლავ ნივთიერებებად. შემდეგ მათ გამოყოფს სისხლში, ლიმფასა თუ ორგანიზმის სხვა ფაქიზ სტრუქტურაში და ადამიანი შინაგანად იწამლება. მისტიკოსთა აზრით, ამ შემთხვევაში აურის – ადამიანის არამატერიალური გარსის – შეფერილობაც კი იცვლება ნეგატიურად და მისი სასიცოცხლო ენრეგეტული პოტენცია იკლებს. თუ მომწამლავ ნივთიერებათა ზრდამ და საერთო ენერგეტული პოტენციის კლებამ გადააჭარბა უსიამოვნების ან უბედურების ზომას, იწყება

უსიამოვნების ან უბედურების განცდა. მაგრამ თუ მან გადააჭარბა სიცოცხლისთვის საშიშ კულმინაციურ წერტილს – მომაკვდინებელ ზომას – მაშინ ეს პროცესი შეიძლება დასრულდეს ლეტალური შედეგით! თუ არ გადააჭარბა და ვერ განეიტრალდა ეს პროცესი მისი საპირისპირო პოზიტიური განცდებით და ორგანიზმში გამოყოფილი სასიცოცხლო სუბსტანციებით, მაშინ უარყოფითი ენერგია შეიძლება დაგროვდეს რომელიმე ორგანოში: კუჭში, კუჭქვეშა ჯირკვალში, ღვიძლში, ფილტვში და ა.შ. რომელ ორგანოშიც ყველაზე მეტად დაგროვდება ეს მომწამლავი ნივთიერებანი, ის გამოდის მწყობრიდან – კუჭი ავადდება ეროზიით ან წყლულით, კუჭქვეშა ჯირკვალი – დიაბეტით, ღვიძლი – სიყვითლით ან ციროზით, ფილტვები – ანთებით ან ჭლექით და ა.შ. სწორედ ამიტომ ინსტინქტი ადამიანს, თვითშენახვის აუცილებლობიდან გამომდინარე, კარნახობს უსიამოვნება – უბედურების „მტანჯველი მარწუხებისგან განთავისუფლებას“ და სიცოცხლის შენარჩუნებას – სიამოვნება – ბედნიერებისკენ ლტოლვას. კარნახობს ისეთ მისწრაფებას, რომელიც უზრუნველყოფს უბედურების საპირისპირო პროცესს გარესამყაროდან ენერგიის ათვისება – ტრანსფორმაციის საფუძველზე. უფრო ზუსტად, – ისეთი მოვლენის საფუძველზე, რომლის დროსაც გარესამყაროდან ათვისებულ დადებით ენერგიას ადამიანის ნერვული და ენდოკრინული სისტემა გარდაქმნის სასიცოცხლო ჰორმონებად – „ბედნიერების ნექტარად“ და გამოყოფს სისხლში. ეს ჰორმონები კი ანეიტრალებენ უსიამოვნება – უბედურების განცდისას ორგანიზმში გამოყოფილ უარყოფით ნივთიერებებს, აღდგენენ საერთო ენერგეტულ პოტენციას ნეიტრალური ზომების საზღვრებში და უსიამოვნება – უბედურების განცდა ქრება. თუ ეს პროცესი გადააჭარბებს პოზიტიურ ზომებს, მაშინ იწყება სიამოვნების, სიხარულის, აღმაფრენის ... და ბედნიერების განცდა, ანუ ყველაზე სრულყოფილი სიცოცხლე.

როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ სიამოვნება – ბედნიერების, არამედ უსიამოვნება – უბედურების განცდის

წარმავალობა არსებითად გამოწვეულია ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ემოციის მარეგულირებელ ზომებზე მეტად ზრდით და კლებით. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ყველაზე მტკივნეული უბედურების, არამედ ყველაზე ამაღლებული ბედნიერების განცდაც კი კანონზომიერი პროცესების შედეგად – გარკვეული დროის შემდეგ – ქრება. შესაბამისად, ისმის კითხვა: ეს არის გარდაუვალი აუცილებლობა თუ დასაშვებია მისგან გამონაკლისი, მაგალითად, – მარადიული ბედნიერება?

ასეთ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ უკვე გაიცა. უფრო კონკრეტულად კი შეიძლება ითქვას შემდეგი: კანონზომიერი ნიშნავს გარდაუვალს, ანუ – ისეთ მოვლენას, რომელიც აუცილებლად მოხდება შესაბამისი მიზეზის გამო. მაგალითად, ცაში ასროლილი ქვა აუცილებლად დაეცემა, რადგან მას იზიდავს დედამიწა. მსგავსად, ამისა ბედნიერების განცდა ადრე თუ გვიან ჩაქრება ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ზომაზე მეტად კლების, როგორც გარდაუვალი აუცილებლობის შედეგად; მაგრამ ამ შემთხვევაში დასაშვებია ერთგვარი „გამონაკლისი." ოღონდ – ისეთი, რომელიც ისევ კანონზომიერებას ემორჩილება. სახელდობრ, მარადიული ბედნიერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამყაროში იარსებებს ადამიანის საერთო ენერგეული პოტენციის ბედნიერების ზომაზე მეტად მარადიულად შემავსებელი წყარო – მოვლენა. აღინიშნა, რომ ამის ძალა მატერიალურ სამყაროში არსებულ არც ერთ ფენომენს და ცოცხალ არსებებს შორის ყველაზე სურყოფილ სამყაროს გვირგვინს – თავად ადამიანსაც კი არ შესწევს, რადგან მისი საერთო ენერგეტული პოტენცია და შესაძლებლობები განსაზღვრულია. ერთადერთი სფერო, რომელშიც დაშვებულია მარადიული ბედნიერება, არის მეტაფიზიკა. კერძოდ, რელიგიური, იდეალისტური და მისტიკური ფილოსოფიის მიხედვით ითვლება, რომ აღნიშნული განცდა უკავშირდება ღმერთს, უმაღლეს იდეას, აბსოლუტურ გონს; მაგრამ ისმის კითხვა: რამდენად რეალურია ის? მეტაფიზიკა ხომ „მეცნიერულად დაუ-

საბუთებელი და არაკანონზომიერი“ საკითხების სამყაროა?

მეტაფიზიკა, მართალია, ასეთ განზომილებად ითვლება, მაგრამ ის შეუმეცნებადია მოაზროვნეთა მხოლოდ გარკვეული ნაწილისთვის – მატერიალისტებისთვის. სახელდობრ, – იმათთვის, ვინც ვერ აღიქვამს იდეალურ სამყაროსთან ურთიერთმიმართებას. მათგან განსხვავებით, სხვა მოაზროვნეებს ან მისტიკურ ფილოსოფიას რომ არ შევეხოთ და გავიხსენოთ მხოლოდ გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის სერგი ავალიანის მოძღვრება გაშუალებული დაკვირვების შესახებ, ვითარება დიამეტრიულად შეიცვლება: მეტაფიზიკურ პრობლემებს და სამყაროს იდეალურ პირველსაწყისს აღარ ჩავთვლით შეუმეცნებადად (1,39), იმიტომ რომ ისინი ადამიანს ეძლევა გაშუალებულ დაკვირვებაში. სახელდობრ, – ისეთში, რომელიც არაპირდაპირ „აღიქვამს“ – წვდება და მოიაზრებს არა მხოლოდ იდეალურ სამყაროს, არამედ მატერიალურ სინამდვილეში მოქმედ კანონზომიერებებს. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიური გონი თუ საერთოდ მეცნიერება კანონზომიერებას და სამყაროს პირველაწყისს – უფალს არსებითად მსგავსი უნარებით მოიაზრებს. მეტიც, თუ აღნიშნულ მეტაფიზიკურ თვალსაზრისს მარადიული ბედნიერების შესახებ მივუსადაგებთ უკვე განხილულ ბედნიერების ზოგად კანონზომიერებას, აღმოჩნდება, რომ ის ზედმიწევნით შეესაბამება მას. კერძოდ, შეესაბამება იმიტომ, რომ ღმერთი ითვლება ამოუწურავი და განუსაზღვრელი სასიცოცხლო ძალის მქონე ისეთ სუბსტანციად, რომელიც მუდამ გასცემს ენერგიას. შესაბამისად, ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ მთელი სამყაროს, არამედ ადამიანის არსებობას. ამასთანავე, ის სწორედ ამ ძალის საფუძველზე უზრუნველყოფს ადამიანში მარადიულად ცოცხალ ღმერთის სიყვარულს, რწმენას და ბედნიერებას (3,218). უფრო ზუსტად, – ღმერთის ადამიანისადმი და ადამიანის ღმერთისადმი მიმართულ რწმენას, სიყვარულს და ბედნიერებას. რომ არ არსებობდეს ღმერთი, როგორ შესძლებდა ის სასიცოცხლო ძა-

ლით ბედნიერების ზომაზე მეტად ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენციის ზრდას და მისთვის რწმენის, სიყვარულის თუ ბედნიერების განცდის მინიჭებას, ამას ხომ ენერგია სჭირდება?! ენერგია კი არარსებულიდან, ანუ სიცარიელიდან ვერ წარმოიქმნება. ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში დაუშვეს, რომ არარაობიდან რაიმე არ წარმოიქმნება და არც რაიმე არარაობად გადაიქცევა?! ეს ფაქტი ამტკიცებს: ღმერი არსებობს და ის სასიცოცხლო ღვთაებრივი ენერგიით უზრუნველყოფს მარადაიულ სიყვარულს და მისთვის თანმხლებ ბედნიერების განცდას, რწმენას, იმედს, შინაგან თავისუფლებას, სულიერ ამაღლებას და ა.შ. ეს არის ღმერთის არსებობის, ღთაებრივი სიყვარულის და მისთვის თანმხლები ბედნიერების კანონზომიერების დამასაბუთებელი ევდემონისტური (ბედნიერებისეული) არგუმენტი (3,218). ასეთ შემთხვევაში, კვლავ ისმის კითხვა: რა იგულისხმება მარადიულ სიყვარულში? აღიქვამს თუ არა ადამიანი ღვთაებრივი ენერგიის – რელიგიური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ღვთაებრივი მადლის – მასზე გადმოცვლას და ამ სასიცოცხლო ძალასთან შეხებას?

მარადიულ ღვთაებრივ სიყვარულში იგულისხმება: 1. ღმერთის მიერ სამყაროს და ადამიანის უანგარო სიყვარული. 2. პიროვნების გაწმინდანება – გასხივოსნების შედეგად მიღწეული ექსტაზი და ღვთაებრივი სიყვარულის უშუალო განცდა, ანუ ერთეული შემთხვევები. 3. ფაქტის სახით მოცემული საერთოდ ადამიანის ღმერთისადმი მიმართული რწმენა და სიყვარული კაცობრიობის წარმოშობიდან დღემდე. უფრო ზუსტად, – ის, რაც უწყვეტად გრძელდება ადამიანის წარმოშობიდან დღემდე და იარსებებს მუდამ! ამ კუთხით, ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებულ და სხვა მსგავს კვლევებს რომ გვერდი ავუაროთ, ცდის სახით საკმარისი იქნება ითქვას: ღვთის არსებობის დამასაბუთებელი ისტორიული არგუმენტით ცნობილია, რომ სამყაროში არ არსებობს არც ერთი ერი, რომელსაც არ გააჩ-

ნია ღმერთისადმი რწმენა (3,173). მას შეიძლება ვუწოდოთ საყოველთაო ცდა.

ზემოთ ნახსენებ მეორე კითხვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: წმინდა წყაროები და რელიგიური პრაქტიკა გვიდასტურებს, რომ ღვთაებრივ ენერგიასთან შეხებას აღიქვამენ მოციქულები და წმინდანები, ანუ ისეთი პიროვნებები, ვინც უშუალო კავშირში არიან უფალთან და გრძნობენ მისგან მომდინარე ღვთაებრივი სასიცოცხლო ძალის მათზე გადმოსვლას (5,279). იდეალიზმი ამტკიცებს, რომ ის შედეგად მოჰყვება ზნეობრივ არსებობას და ფილოსოფიური სიბრძნის (ცნების) საფუძველზე უმაღლესი იდეის შემეცნებას (3,296). მსგავსად ამისა, მისტიკა აღნიშნავს, რომ ღვთაებრივ ენერგიას აღიქვამენ მისტიკური ცოდნისა და პრაქტიკის საფუძველზე გაწმინდანებულ – გასხივოსნებული პიროვნებები შინაგანი შეგრძნების ორგანოთი – სახასრარათი (6,27;7,17;8,52). თუ გავითავალისწინებთ ზემოთ განხილულ კანონზომიერებას, შეიძლება ითქვას უფრო მეტი: ღვთაებრივი სასიცოცხლო ძალა აქტიურად გადმოდის არა მხოლოდ მოციქულებსა და წმინდანებზე, არამედ ყველა მორწმუნეზე, რომელიც „შედის დიალოგში“ უფალთან კოსმიური ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად და გონებრივად ამყარებს მასთან კავშირს. თუმცა ისინი ღვთაებრივ ზემოქმედებას სრულყოფილად ვერ აღიქვამენ და მოიაზრებენ. მის აღქმას, მინიმალურ დონეზე მაინც, სჭირდება ზემოთ ნახსენები გაშუალებული დაკვიერვება და რეფლექსია (ინტროსპექცია – მედიტაცია) – გარესამყაროზე მიმართული ყურადღების გადატანა შინაგან სამყაროზე. ეს ნათლად დასტურდება პოსტულატის სახითაც მიღებული და უკვე დასაბუთებული შემდეგი ფაქტით: უფალთან დიალოგისას ჩვეულებრივ ადამიანსაც კი ეძლევა იმედი, სულიერი სიმშვიდე, შინაგანი თავისუფლება... და მან შეიძლება განიცადოს ექსტაზი, აღმაფრენა, სატორი, გასხივოსნება თუ ნეტარება... უფრო ზუსტად, განიცადოს ისეთი რამ, რასაც მხოლოდ პოზიტიური და ღვთაებრივი სასიცოცხლო ძალა უზრუნველყოფს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ღმერთის რწმენა და შესაბამისი პოზიტიური განცდები მხოლოდ წმინდანებს ექნებოდათ და არა ჩვეულებრივ ადამიანებსაც. აუცილებელია, ხაზი გაესვას იმასაც, რომ ჩვეულებრივ ადამიანზე ღვთაებრივი სასიცოცხლო ძალა უფრო ნაკლები ოდენობით გადმოდის, ვიდრე წმინდანზე, რადგან ეს უკანასკნელი მისი სრულყოფილების შედეგად უფრო ახლოსაა უფალთან... (5,223).

ღმერთის რწმენა რომ ადამიანს აძლევს იმედს, უმსუბუქებს ტკივილს, ანიჭებს შინაგან თავისუფლებას და მას აძლიერებს სულიერად... არ უარყოფენ თვით მატერიალიზმის ფუძემდებლებიც კი. ოღონდ ისინი არაადეკვატურად ცდილობდნენ ამ ფაქტის გამოყენებას რელიგიის საპირისპიროდ და მის უარსაყოფად (2,7), რაც უკვე განხილული კანონზომიერების შემდეგ ლოგიკური და ფაქტობრივი შეცდომაა.

გამოდის, ადამიანს შემთხვევეით კი არ სწამს ღმერთის არსებობა, არამედ იმიტომ, რომ ის მისგან ღებულობს ღვთაებრივ სასიცოცხლო ძალას და მის შედეგად უზრუნველყოფილ იმედს, სიხარულს, შინაგან თავისუფლებას, სიბრძნეს, აღმაფრენას, ექსტაზს, ბედნიერებას... და საერთოდ ყველაზე ამაღლებულ, სრულყოფილ და ღვთაებრივ სიცოცხლეს. საჭიროა მხოლოდ, ადამიანი შინაგანად გაიხსნას და გონებით ან რწმენით იპოვოს ღმერთათან – მის ამოუწურავ სასიცოცხლო ძალასთან – მისასვლელი გზა, როგორც ამას ეკლესიის მამები, იდეალიზმის თუ მისტიკის ფუძემდებლები ამტკიცებენ (3,193 – 206) და მათ შესაბამისად განხილული კანონზომიერება გვიდასტურებს.

ამრიგად, სამყაროს პულსაციის მსგავსად, წარმავალია არა მხოლოდ სიამოვნება – ბედნიერება, არამედ, – უსიამოვნება – უბედურება, რადგან ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია მერყეობს სიამოვნება – ბედნიერების და უსიამოვნება – უბედურების ზომებს შორის. როცა ის მაღლდება სიამოვნება – ბედნიერების ზომაზე მეტად პოზიტიურ განცდათა გამომწვევი მოვლენებდან ენერგეტული შევსების საფუძველზე, იწყება სიამოვნება –

ბედნიერების განცდა. ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცის სიამოვნება – ბედნიერების ზომაზე მეტად და ნეიტრალური ზომების შესაბამისად შემცირებისას კი ბედნიერება – სიამოვნების განცდა ქრება. საპირისპირო შემთხვევაში, თუ ადამიანის საერთო ენერგეტული პოტენცია მოიწამლა და შემცირდა უსიამოვნება – უბედურების ზომაზე მეტად, მაშინ იწყება უსიამოვნება – უბედურების განცდა. თუმცა ეს უკანასკნელნიც წარმავალია, რადგან ადამიანი სიცოცხლეზე ზრუნვის ინსტიქტური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მიისწრაფვის გარესამყაროდან ენერგიის ათვისებისკენ და არსებობის შენარჩუნებისკენ. შესაბამისად, როცა ის შესძლებს საერთო ენერგეტული პოტენციის აღდგენას ნეიტრალური ზომების საზღვრებში, უბედურება – უსიამოვნების განცდაც ქრება.

ბედნიერება მარადიულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის მიღმა არსებული რაიმე მოვლენა უზრუნველყოფს მისი საერთო ენერგეტული პოტენციის ბედნიერების ზომაზე მეტად უწყვეტ შევსებას. რადგან რელიგიური, იდეალისტური და მისტიკური ფილოსოფია გვიდასტურებს, რომ ეს შეუძლია მხოლოდ უფალს მისი ამოუწურავი ენერგეტული პოტენციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა: ღმერთი რეალურად არსებობს და მისი სასიცოცხლო ღვთაებრივი ენერგიის მარადიული გაცემით უზრუნველყოფს ადამიანის მისდამი მიმართულ მარადიულ სიყვარულს, ბედნიერებას, რწმენას და მთელი სამყაროს არსებობას. ის რომ არ არსებობდეს, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მის განხორციელებას სჭირდება ენერგია, ის კი სიცარიელე – არარაობიდან ვერ წარმოიქმნება.

როგორც ვხედავთ, განხილული კანონზომიერების საფუძველზე ნათელი გახდა არა მხოლოდ ბედნიერების, არამედ უსიამოვნება – უბედურების წარმავლობის მიზეზები და მარადიული ბედნიერების მიღწევის შესაძლებლობა. აღნიშნული კანონზომიერების საფუძველზე, მეცნიერული პრინციპების შესაბამისად, ბუნებრივია, შეიძლება

პასუხი გავცეთ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ მრავალ სხვა „ამოუხსნელ“ და „მტკივნეულ“ კითხვას. მაგალითად, როგორ დავაღწიოთ თავი უსიამოვნება – უბედურების განცდას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მან მიიღო ხანგრძლივი ფორმა და გადაიზარდა დეპრესიაში? რა არის არსებითად დეპრესია და როგორ აუძლურებს ის ადამიანს? როგორ ვწვდეთ სიამოვნება – ბედნიერებას? და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ განხილული კანონზომიერება არა მხოლოდ ფილოსოფიური, არამედ მეცნიერული პრინციპების შესაბამისად დადგენილი ახალი პარადიგმაა. ის უარყოფს ბედნიერება – უბედურების შესახებ არსებულ ძველ არამეცნიერულ თვალსაზრისს, როგორც პარადიგმას, რადგან ეს უკანასკნელი საერთოდ შეუძლებლად თვლიდა განხილულ საკითხთა ცნებისა თუ კანონზომიერების დადგენას.

ლიტერატურა:

1. ავალიანი, ს. ჩემი განვლილი ფილოსოფიური ცხოვრების ნიშანსვეტები, „უნივერსალი” თბ., 2013.
2. მარქსი, კ. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისთვის, თბ., 1946.
3. ფილოსოფიური ძიებანი, XIV, „უნივერსალი“, თბილისი – 2014.
4. ფილოსოფიური ძიებანი, XXIII, „უნივერსალი“, თბილისი – 2019.
5. ხალვაში, მ. ბედნიერება მეცნიერული თვალსაზრისით, „რაე“ – 2013.
6. Айванхов О. М., Собрание сочинений № 211, Свобода, победа духа, `Просвета,” М., 1993.
7. Перепелицин М. Л., Философский камень, „Агентство правой клулт. и соц. Помощи,” М., 1985.
8. Эзотерика, Парапсихология, „Мюнхенский институт парапсихологии,” М., 1993.

Mikheil Khalvashi – Doctor of Philosophy; he studies philosophical problems of ethics, has published scientific articles on problems of ethics and a monograph „Happiness From Scientific Point of View“ (Tbilisi, 2013).

WHY IS HAPPINESS TRANSIENT?

Abstract

It was considered impossible to state the reasons of happiness transientness, but it is proved in this article, that after determining the concept and regularity of happiness, the reasons of happiniess transientness became comprehensible. It is the decrease of the whole human energetic potency lower than the level of adapted measure of happiness. Accordingly, it becomes clear that happiness can be eternal in case if God, via his divine energy, provides permanent increase of human energetic potency that must exceed relevant happiness level.

ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორია

GEORGIAN AND FOREIGN HISTORY OF PHILOSOPHY

არსენ ბურჯალიანი – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. მუშაობს ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროში.

ფიქრია დიდებაშვილი – ფილოსოფიის დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; მუშაობს სოციალური ფილოსოფიის პრობლემებზე; გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები ამ სფეროში. ეწევა აქტიურ სამეცნიერო – პედაგოგიურ საქმიანობას.

ე. კასირერის შეხედულებანი შემეცნებისა და თვითშემეცნების როლის შესახებ მითოსურ აზროვნებაში

თავის დროზე არისტოტელე ამტკიცებდა, რომ შემეცნება ადამიანის ბუნებისაგან მომდინარეობს და თავს იჩენს ადამიანის ქცევებსა და მოქმედებაში. შემეცნება განსაზღვრავს გრძნობადობის სფეროს. ბუნებით ყველა დამიანი შემეცნებისაკენ ისწრაფვის, რასაც მოწმობს მათი მისწრაფება შეგრძნებებისადმი, ისინი მიისწრაფიან შეგრძნებებისაკენ და ეტანებიან მათ. არისტოტელე, კასირერის აზრით, ცდილობს, პლატონის საპირისპიროდ, იდეალური სინამდვილე, შემეცნება, ახსნას სიცოცხლის პრინციპიდან ამოსული. არისტოტელეს აზრით, ორივე სფეროში ვადასტურებთ ერთნაირ უწყვეტ ერთიანობას. ბუნებაში, ისევე როგორც ადამიანში მაღალი ფორმები დაბლისაგან ვითარდება. აღქმა, გამოცდილება, წარმოსახვა და გონება ერთიანობაში იმყოფება და წარმოადგენს ერთი და იგივე ფუნდამენტური აქტივობის, ადამიანური საქმიანობის, მოღვაწეობის ფუნქციებს, ან როგორც ჰ. ფაიჰინგერი იტყოდა „დამხმარე საშუალებებს“ წარმოადგენენ ადამიანური მოქმედებისათვის [3; 28].

ადამიანური შემეცნება თავისი გნვითარების პირველ ეტაპზე არ არის გამოყოფილი სინამდვილისაგან, ვინაიდან ადამიანი მთლიანად არის მიჯაჭვული ბუნებაზე მთელი თავისი მოთხოვნილებებით და პრაქტიკული ინტერესებით. მისი არსებობის ძირითადი მახასიათებელია გარემო პირობებთან შეგუება, რის გამოც ადამიანის პირველი გონითი ნაბიჯები სხვას არაფერს წარმოადგენენ თუ არა შეგუების აქტებს. მაგრამ კასირერი თვლის, რომ აქვე თავს იჩენს ადამიანური გონის მიმართულების საპირისპირო ტენდენცია, რაც იმაში გამოიხატება, რომ გარე სამყაროს შემეცნებას თან სდევს აგრეთვე შინაგან სამყაროში შეღწევის ტენდენცია, რაც კიდევ უფრო ძლიერდება ადამიანური კულტურის წინსვლასთან დაკავშირებით. ამ პროცესის ანარეკლი შეიძლება დავინახოთ კულტურული ცხოვრების უმეტეს ფორმებზე დაკვირვებით. მაგალითად: პირველ მითოლოგიურ კოსმოლოგიებში ყოველთვის შეიძლება დავინახოთ პრიმიტიული ანთროპოლოგიის ნიშნები, ვინაიდან სამყაროს წარმოშობის საკითხი თავის თავში აუცილებლობით მოიცავს საკითხს ადამიანის წარმოშობის შესახებ. უკვე პირველყოფილ რელიგიებში მოცემულია აგრეთვე პირველადი მითოლოგია, როგორც პირველადი კოსმოლოგია და ანთროპოლოგია. რელიგია ინახავს თავის თავში ამ პირველად ფორმებს და ანვითარებს და აღრმავებს მათ. აქედან მოყოლებული თვითშემეცნება ხდება ადამიანის უპირველეს მოვალეობად და იგი უკვე აღარ ითვლება წმინდა თეორიულ საქმედ. რელიგიური მოაზროვნეები საგანგებოდ ხაზს უსვამენ და უდიდეს ზნეობრივ საქმედ თვლიან თვითშემეცნების მოთხოვნის განხორციელებას, რაც გამოიხატება უმაღლეს კულტურულ მოთხოვნაში – „შეიცან თავი შენი“. ეს მოწოდება გახდა უმაღლესი ზნეობრივი კანონი და რელიგიური დოგმა. კასირერი თვლის, რომ ამან გამოიწვია ყველა არსებული ღირებულების გადაფასება, რაც ნათლად ჩანს იუდეველთა, ბუდისტთა და ქრისტიანთა მოძღვრებებში.

თვითშემეცნების პრინციპის აქტუალობასა და მის მნიშვნელობას ადასტურებს ფილოსოფიური აზროვნების

განვითარების ისტორიაც. პირველი ფილოსოფოსები მხოლოდ და მხოლოდ ბუნების წარმოშობის, „არხეს“ პრობლემებით არიან დაინტერესებულნი. მათ შორის მხოლოდ ჰერაკლიტემ შესძლო ფილოსოფიური კვლევა არსებითად გამოეხატა თავისი თავის კვლევის იდეით, რომელმაც თავის სრულ სიმწიფეს სოკრატეს ფილოსოფიაში მიაღწია და რომელიც ადამიანის კვლევის მოთხოვნით ემიჯნება წინა ფილოსოფიის განვითარებას. სოკრატემ ფილოსოფიური პრობლემატიკა დაალაგა ერთი საერთო გონითი ცენტრის გარშემო, „ადამიანური სამყაროს გარშემო“, თუმცა, კასირერის აზრით, ეს პრობლემა სოკრატესთან გადაუჭრელი ჩანს. იგი არ გადაჭრიდა არც სოკრატეს შემდგომი ფილოსოფიის განვითარებაში, თუმცა ყველა მოაზროვნე თავისებურად განიხილავდა აღნიშნულ პრობლემას. ისტორიულმა განვითარებამ ცხადყო, რომ ადამიანი არ არის მარტივი ბუნების მქონე არსება, რომ მას არ გააჩნია მარტივი, ჰომოგენური ყოფიერება. ადამიანის სული მეტად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, სადაც ბოლომდე ვერ აღწევს ვერავითარი მეცნიერება და ვერავითარი ლოგიკა, რომ ადამიანური აზროვნება გონითი და საბოლოო ჯამში მოქმედი არსების ფუნქციაა. ადამიანის კულტურული ცხოვრების მოვლენათა შორის ლოგიკურ – მეცნიერულ სქემებში მოქცევას ეწინააღმდეგება მითოსი და რელიგია. თავის დროზე ბ. პასკალი თვლიდა, რომ ადამიანი იმდენად ალოგიკურია რომ მის ბუნებაში შესაღწევად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება როგორიცაა რელიგია. მითი და რელიგია, კასირერის აზრით, წარმოადგენენ საპირისპირო წარმოდგენათა ხლართს. კულტურის ფილოსოფია მოითხოვს, ერთის მხრივ, მითოსურ წარმოდგენათა ფორმის, ხოლო, მეორეს მხრივ, რელიგიურ იდეათა ფორმის საკითხის დასმას, მაგრამ ეს საკითხი არ შეიძლება ეხებოდეს საგნებს, როგორც ამას მოითხოვს მეტაფიზიკა და თეოლოგია. ბუნებისა და ადამიანის სინამდვილეში არაფერია ისეთი, რაც არ აიხსნებოდეს მითოსით და არ მოითხოვდეს მითოსურ ინტერპრეტაციას, მართალია, მითოლოგია წარმოდგენილია სხვადასხვა ხალხების მითოლოგიებით და მითოსური წარ-

მოდგენებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა მითოსურ აზროვნებას გააჩნია გარკვეული ერთსახოვნებაც. ერთი და იგივე მითოსური წარმოდგენები მთელს მსოფლიოშია გავრცელებული [1; 123]. აღნიშნულ ვითარებას ადგილი აქვს რელიგიის ისტორიაშიც. მსოფლიოში არსებობენ განსხვავებული, საპირისპირო თეოლოგიური სისტემები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან, ვინაიდან საპირისპიროა არა მხოლოდ დოგმები, არამედ, აგრეთვე ეთიკური იდეალებიც, მაგრამ ეს ბრძოლა და დაპირისპირება თავის თავში გულისხმობს რელიგიური აზროვნების შინაგან მთლიანობასა და რელიგიური აზროვნების განსაკუთრებულ ფორმას.

განსხვავებით რელიგიისაგან მითის ფილოსოფიური გააზრება იმთავითვე წააწყდა დიდ სიძნელეებს, ვინაიდან მითი თავისი არსებით არათეორიულია. მას არ მიესადაგება, ერთის მხრივ, ლოგიკური აზროვნების კატეგორიები ისეთი ფორმით, როგორც ისინი გამოიყენებიან ემპირიულ და მეცნიერული აზროვნების სფეროში. მაგრამ ფილოსოფია მაინც ცდილობს მიაქციოს მითოსური ფორმები გასაგები საზრისების ფარგლებში. მითოსური სინამდვილე წარმოგვიდგება ხელოვნურ სინამდვილედ, რომელიც სინამდვილედ ასაღებს თავის თავს მხოლოდ და მხოლოდ. მითოსს ჰგონია რომ იგი ჭეშმარიტებებს გვაუწყებს, სინამდვილეში კი ისინი ცრუ ჭეშმარიტებებია, მითოსის კვლევის თანამედროვე მეთოდები იმით განირჩევა ადრინდელი ალეგორიული განმარტებებისაგან, რომ მას მითოსი აღარ ესახება შიშველი ფანტაზიის ნაყოფად, არამედ იგი მას განიხილავს როგორც ფიქციას, თუმცა კი როგორც გაუცნობიერებელ ფიქციას. პრიმიტიული ადამიანის გონებას არ შეუცნია ჯერ საკუთარი ფანტაზიის მონაპოვართა აზრი და მნიშვნელობა. თანამედროვე მეცნიერებამ უნდა ცხადყოს მითების შინაგანი საზრისი, რომელიც დაფარულია ფანტასმებითა და წარმოდგენების ალეგორიული ხატებით.

მითების ანალიზი კასირერის აზრით შეიძლება წარიმართოს ორი მეთოდის გამოყენებით: 1. ობიექტური მეთოდის საშუალებით, რომელიც აწარმოებს მითოსურ ობიექტთა

კლასიფიკაციას და 2. სუბიეტური მეთოდის საშუალებით, რომელიც აწარმოებს მითის შექმნის ძირითად მოტივთა ანალიზს და კლასიფიკაციას, და რომლის მიზანია მითის დაყვანა მარტივ საფუძველზე, ერთ მარტივ მოტივზე. მაშასადამე, კვლევა უნდა წარიმართოს მითის სუბსტანციური ფესვის გამოსავლენად. მაგრამ ვერც ერთი ეს მეთოდი წარმატებას ვერ აღწევს, ვინაიდან ისინი ცდილობენ მითოსური მოვლენები ახსნან გარკვეული პრინციპებიდან ამოსული მათი რაციონალური გამოყვანის მეშვეობით, მოგვცენ მითების ერთიანი, არაწინააღმდეგობრივი სურათი, რაც ხშირად ხორციელდება ფაქტების დამახინჯებით. კასირერი მომხრეა მითის დინამიური, ცოცხალი გაგებისა. მართალია მითოსის თეორიული ელემენტი მხატვრულს უკავშირდება, მაგრამ მთ შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ჯერ კიდევ კანტი აღნიშნავდა ესთეტიური ჭვრეტის „დაუინტერესებლობას“. სწორედ ეს მომენტი არის კასირერის აზრით ძირითადი განმასხვავებელი მომენტი ესთეტიკურსა და მითოსურს შორის, ვინაიდან მითოსურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რწმენის აქტს. თავისი საგნის რეალობის რწმენის გარეშე აღარ ექნებოდა საკუთრივი ნიადაგი. აღნიშნული მომენტი განასხვავებს მითს არა მხოლოდ ხელოვნების სფეროსაგან, არამედ, აგრეთვე, მეცნიერების სფეროსაგანაც. რასაკვირველია აზროვნების ეს ფორმები ვერ ჩაითვლება თანაბარი რანგისად, მაგრამ ისინი ერთ მიზანს ისახავენ, სახელდობრ, რეალობას.

მითში აღინიშნება, ერთის მხრივ, ცნებით – ლოგიკური აზროვნების მონაწილეობა, რის გამოც მას გარკვეული ინტელექტუალური სტრუქტურა გააჩნია, ხოლო მეორეს მხრივ, მას გააჩნია ონტოლოგიური სტრუქტურაც. მითოსი მხოლოდ აღრეულ წარმოდგენათა ბუნდოვანი ერთიანობა კი არ არის, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ შინაგან და გარეგან გამოცდილებასაც გულისხმობს თავის თავში. მითისათვის არ არსებობს ბუნებრივი კანონზომიერება. მითოსი არის ბუნებრივ ძალთა ბრძოლისა და შეჯახების დრამატული სინამდვილე, სადაც ადამიანური აღქმა ერწყმის კოსმოსურ გრძნობებს. მითში სამყაროსეული ძალები გასულიერებუ-

ლია, ცოცხალია, იგი ან მტრობს ადამიანს, ან კეთილად არის მისდამი განწყობილი. სამყაროს მითოსური გაგება, რომელიც დაფუძნებულია პრიმიტიულ აღქმაზე, მკვეთრად უპირისპირდება თეორიულ ბუნებისმეცნიერებას. მეცნიერული აზროვნება ესწრაფვის მითოსური შთაბეჭდილებების აღმოფხვრისაკენ. ბუნებისმეცნიერება უნდა გაემიჯნოს ამ გრძნობად თვისებებს თუკი იგი მიზნად ისახავს სამყაროს ობიექტურ – ცნებით შემეცნებას. მაგრამ მას არ შეუძლია რადიკალურად გამორიცხოს ისინი თავისი საკუთარი მსოფლმხედველობიდან. მართალია, სუბიექტურ თვისებებს შეზღუდული მნიშვნელობა აქვთ მეცნიერებისათვის, მაგრამ ისინი ჯერაც გზას უკვალავენ მეცნიერებებს. კასირერი მოითხოვს, რომ დაშვებული იქნას პირველდაწყებითი კავშირი თანამედროვე ადამიანის ლოგიკასა და პრიმიტივის ლოგიკას შორის და აღნიშნავს, რომ ვიდრე აზროვნების დაბალი და მაღალი ფორმა გათიშული იქნება ერთმანეთისაგან და ერთმანეთისადმი იქნება დაპირისპირებული, ემპირიულ ფაქტების გაგება შეუძლებელი იქნება. მართალია მითოსის ჭეშმარიტი საფუძველი არის გრძნობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მითოლოგიური და პრიმიტიული რელიგიის აზროვნების ფორმები, მოკლებულნი არიან შინაგან მთლიანობას. მათი შინაარსები არც უაზრობაა და არც გონებასთან შეუთანხმებელნი, მხოლოდ მათი შინაგანი ერთობა, მთლიანობა უფრო გრძნობით ერთიანობას ემყარება, ვიდრე ლოგიკური აზროვნების ერთიანობას. იგი არის პრიმიტიული, წინარელიგიური აზროვნების ერთ-ერთი უძლიერესი მამოძრავებელი [1; 136]. თეორიული აზროვნება ძირითადად ანალიტიკური აზროვნებაა, ამის საპირისპიროს პრიმიტიული აზროვნება სინთეზური ბუნებისაა, რომელიც არ გამოჰყოფს ერთმანეთისაგან ბუნებას და ცხოვრებას. პრიმიტივი ცხოვრებას განიცდის როგორც უწყვეტ მდინარებას, ჰარმონიას. პრიმიტივისეულ აზროვნებისათვის დამახასიათებელია სამყაროს სიცოცხლის ზოგადი განცდა, რომელიც არც წმინდა თეორიულია და არც წმინდა პრაქტიკული. მითოსი წარმოიშვება გარკვეული ემოციების საფუძველზე, რომელიც ზემოქ-

მედებას ახდენს პრიმიტიული ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებაზე. თუ შევადარებთ მითის აგების წესს მეცნიერული შემეცნების აგების წესს, ეს წესი, კასირერის აზრით, ბუნებისმეცნიერული ცნების აგების ლოგიკური გენეზისის საპირისპიროა. მითის აგების შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ობიექტივაციის სხვადსხვა საფეხურების ცალკეული ფაზებისა და რიგების განუსხვავებლობასთან. მართლაც, ჩვენი ცდის უშუალო სამყარო ის სამყაროა, რომელშიც ჩვენ ყველანი ვიმყოფებოდით, ვიდრე არ ავმაღლდებით, ცნობიერ, კრიტიკულ – მეცნიერული რეფლექსის დონემდე, შეიცავს ისეთ ტენდენციებს, რომლებიც ამავე რეფლექსის პოზიციიდან აღნიშნულნი უნდა იქნენ მხოლოდ როგორც მითიურნი. განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს მიზეზობრიობის ცნება, „ძალის“ ზოგადი ცნება, რომელნიც გამსჭვალულნი არიან შედეგის მითიური ჭვრეტის სფეროს მეოხებით უფრო ადრე, ვიდრე იგი გადაწყდება ფუნქციის მათემატიკურ – ლოგიკურ მეცნიერებაში. ასე ხდება ყოველთვის ადამიანის აღქმის ფორმირებისას, სადაც სინამდვილე აღინიშნება როგორც საკუთრივი სიცოცხლის მითიური საფუძვლის და პირველადი მოტივების გაგრძელება. ამ მოტივებს არაფერი საგნობრივი არ შეესაბამება სინამდვილეში, მაგრამ ისინი მაინც არიან, საერთოდ, საგნობრიობის გზაზე, რადგანაც მთში წარმოდგება არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი სახე გონიერი ფორმირებისა. აქედან გამოსული, მითის ობიექტურობა მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ იგი, გულუბრყვილო რეალიზმისა და დოგმატიზმის საპირისპიროდ, მოცემული მუნარსის ასახვა კი არ არის, არამედ თვით არის შექმნის საკუთრივი წესი, სადაც ცნობიერება გამოდის გრძნობადი შთაბეჭდილებების შიშველი რეცეპტულობისაგან და მას უპირისპირდება [2; 19 – 20]. მაშასადამე პრიმიტივისტული აზროვნება ობიექტური სამყაროს ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ სამყაროს შემოქმედ გადამუშავებას და გადმოცემას. რეალური სამყაროს საპირისპიროდ, რომელიც ბატონობს და მოიცავს ადამიანს და მისი მოღვაწეობის სფეროს, პრიმიტივი უპირისპირდება დამოუკუდებელ სა-

კუთრივ სამყაროს, სადაც ძალზე დიდ როლს თამაშობს მისი შთაბეჭდილებები, ამიტომ პრიმიტივის შემოქმედება მითის სფეროში ატარებს არა თავისუფალი გონის მოქმედების ხასიათს, არამედ ბუნებრივი აუცილებლობის ხასიათს, განსაზღვრული ფსიქოლოგიური „მექანიზმის“ ხასიათს. აზროვნების ამ საფეხურზე, ვინაიდან ადამიანი აქ დგას გონებითი პროცესის ზღურბლზე, რომელმაც ერთმანეთისაგან უნდა შემოსაზღვროს „მე“ და „სამყარო“, საქმე გვაქვს ახალი ნიშნების გაჩენასთან, რომელიც თვით ცნობიერებას მოევლინება როგორც ობიეტური სინამდვილის სურათი.

მითის ყოველი საწყისი, განსაკუთრებით კი ყოველი მაგიური მსოფლგაგება, გამსჭვალულია ობიეტური არსებითობისა და ნიშნის ობიექტური ძალის რწმენით. სიტყვით „ჯადოქრობა“, „ხატის ჯადოქრობა“ და „ნაწერის ჯადოქრობა“, ქმნიან მაგიურ მოქმედებებისა და მაგიური შეხედულებების არსებობის საფუძველს. კასირერის აზრით, თუ კარგად ჩავუკვირდებით მითოსური ცნობიერების შინაგან სტრუქტურას, შეიძლება გარკვეული სახის პარადოქსი ვნახოთ, რადგან თუ ზოგადად გაბატონებული გაგების მიხედვით, მითის ძირითადი ტენდენცია, მიდრეკილება, სამყაროს მოვლენათა გასულიერება და არსის ელემენტები. კონკრეტულ ჭვრეტითი შექმნა და გადმოცემა უნდა იყოს, როგორ ხდება ამ შემთხვევაში ის რომ ეს მიდრეკილება მიემართება განსაკუთრებული ინტენსივობით სწორედ „არანამდვილისაკენ“ და უსიცოცხლოსაკენ: რომ სიტყვის, ხატის და ნიშნის ჩრდილოვანი სამეფო იღებს სუბსტანციალურ ძალას მითოსური ცნობიერების მიმართ. როგორ მიდის იგი ამ რწმენასთან, აბსტრაქტული სიმბოლოს ამ კულტთან, სამყაროსთან, სადაც ზოგადი ცნება არაფერი, ხოლო შეგრძნება, უშუალოდ ლტოლვა (ტრიებ), გრძნობადი აღქმა და ჭვრეტა ყველაფერია? [1; 31 – 32].

კასირერის აზრით, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი თავის თავში შეიცავს შემდეგი ხასიათის მსჯელობებს: საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მითოსური სამყარო არ არის იმდენად კონკრეტული, რამდენადაც ეს გვეჩვენება, მაშინ როდესაც

გრძნობადად გაფორმებულ შინაარსებთან გვაქვს საქმე. ეს გრძნობადი მითოსური შინაარსები თავისი თავიდან აბსოლუტურად არ გამორიცხავენ მნიშვნელად აბსტრაქტულ მომენტებს და ნიშნებს, არამედ ისინი თავის თავში შეიცავენ ორივე მომენტს – ნივთიერს და მნიშვნელობას. ეს ორი მომენტი გადადის განსხვავების გარეშე ერთმანეთში და უშუალო ერთიანობას წარმოადგენს (აქ კასირერი შელინგის აზრს იზიარებს სიმბოლოს განსაზღვრებისას). გრძნობადი სამყაროს საპირისპიროდ მიემართება მითი, როგორც ფორმადქმნის პირველდაწყებითი წესი. იგი წარმოიშობა ხელოვნებისა და შემეცნების მსგავსად განსხვავების პროცესში, ე.ი. უშუალოდ მოცემულობისაგან, „ნამდვილისაგან“ გამოყოფაში. იგი თავის თავს აამაღლებს გონიერად ნივთთა სამყაროს მიმართ, მაგრამ ისე, რომ იგი ცვლის ნივთთა სამყაროს თავისი ფორმებითა და ხატებით, რაც გონს ნივთების ბორკილებისაგან განთავისუფლებას ანიჭებს. გონი წარმოადგენს თავისუფლად შემოქმედებას, რომელიც „ხატებისა“ და „ნიშნების“ სამყაროში თავის თავს ახალ მიმართებაში ადგენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მართალია გონი ამ მომენტში, მითში, უშუალოდ ცოცხალ შთაბეჭდილებებში ცოცხლობს, მაგრამ მაინც, ამასთანავე, სხვა წესით, მითში პირველადს ჭვრეტს და ამით, თავის თავს გრძნობად შთაბეჭდილებებზე ამაღლებს.

როგორც ნაწილობრივ ზემოთაც აღინიშნა კასირერის აზრები და სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფიის შესახებ წარმოადგენენ კანტის კრიტიკულ ფილოსოფიაზე აშენებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც საგანი სინთეზური ერთიანობის წინ და გარეთ კი არ არსებობს, არამედ პირიქით, საგანი თვით შემეცნების პროცესში შემეცნების მიერ არის კონსტრუირებული. მაშასადამე, შემეცნების საგანი შემეცნებას თავს კი არ ეხვევა გარედან, არამედ მისი აქტიური შემოქმედებითი პროცესის შედეგია, პროდუქტია. სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფია და მათ შორის მითოლოგიის ფილოსოფია იკვლევს საგნობრივი ცნობიერების კატეგორიებს არა მხოლოდ თეორიულ – ინტელექტუალურ სფეროში, არამედ

იგი იმ დაშვებიდან გამოდის, რომ ამ სახის კატეგორიები ყველგან უნდა მოქმედებდნენ, სადაც საერთოდ, შთაბეჭდილებათა ქაოსიდან კოსმოსი, დამახასიათებელი და ტიპიური „სამყაროს სურათი“ ფორმდება. სამყაროს ყოველი ასეთი ხატი შესაძლებელია გავიგოთ მხოლოდ ობიექტივაციის განსაკუთრებული სახის აქტის მეოხებით, შიშველი „შთაბეჭდილებების“ გარდასახვით თავის თავში გარკვეულ და გაფორმებულ „წარმოდგენებად“[1; 39].

კასირერის აზრით, ემპირიული შემეცნების საფეხურზეც უნდა გვახსოვდეს, რომ იგი წარმოადგენს ობიექტივაციის პროცესს. ამ საფეხურზე, ობიექტივაციის ამ ეტაპზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ წმინდა ცდისეულ აზროვნებაში სახეზეა ობიექტივაციის პროცესის დაპირისპირება – გათიშვა მითოსურად და თეორიულად. აქ კასირერი გ. ლაიბნიცის აზრებს იზიარებს, რომლებიც მან ჯ. ლოკის ემპირიზმის კრიტიკისას გამოთქვა. ლოკი, როგორც ცნობილია ამტკიცებდა, რომ „ემპირიულ ცდისეულ შემეცნებაში. არაფერი არ არის ისეთი, რაც წინასწარ არ იყოს მოცემული ცდისეულ შემეცნებაში. ლოკის ამ დებულებას ლაიბნიცმა მიუწერა პატარა დანართი – „გარდა თვით გონებისა“, რაც იმას ნიშნავს, რომ აღქმის აგებაში და მის კონსტანტობაში მონაწილეობას ღებულობს თვით გონება და არა მხოლოდ შეგრძნებები. ცდისეული აზროვნების ლოგიკური ფორმა, ძალზე მკვეთრად ჩანს, თუ ჩვენ მას მის უმაღლეს სრულყოფაში განვიხილავთ მეცნიერების ფორმირებისას.

ლიტერატურა:

1. კასირერი, ე. რა არის ადამიანი? თბილისი, 1983;
2. Kassirer, E. Thilosophie der symbolischen Formen. Bd. II Darmstadt. 1964;
3. Vaihinger, H. Die Thilosophie des Als Ob. Leipzig. 1920.

Arsen Burjaliani – Doctor of Philosophy; Vice – president of the Academy of Philosphical Sciences of Georgia; Professor at Technical University of Georgia. He works on problems of philosophy, is the author of many scientific works.

Piqria Didebashvili – Doctor of Philosophy; Associate Professor of Georgian Technical University (GTU); works on the problems of social philosophy; has published articles in this field.

E. CASSIRER ON THE ROLE OF COGNITION AND SELF – KNOWLEDGE IN MYTHOLOGICAL THINKING

ABSTRACT

Signs of primitive anthropology can always be seen in the first mythological cosmologies since the issue of origin of theworld by necessity contains in itself the issue of genesis of man. Actuality and importance of the principle of self – knowledge is proved by history of development of philosophical thinking.

Among the phenomena of man's cultural life mythology and religion resist attempots to include them into logical – scientific schemes. Philosophical interpretation of myths from the very beginning met serious difficulties since myth by its essence is non – theoretical. Categories of logical thinking as they are used in the sphere of empirical or scientific thinking are not applicable to it. But philosophy still attempts to place mythical forms within the limits of intelligible meanings.

In myths we can state existence of conceptual – logical thinking due to which it has certain intellectual structure on the one hand and, on the other hand, it has also ontological structure. Mythology is not simply a vague unity of early ideas but it can be said that it carries internal and external experience in itself.

Cassirer demands to assume a primary association between logic of a contemporary man and logic of a primitive man and notes that though the real basis of myth is feeling, it does not mean that forms of mythological and primitive religious thinking lack internal unity. Their contents are not nonsense and they do not oppose mind though their internal unity is based more on unity of feeling that unity of logical thinking. Theoretical thinking is, mainly, analytical thinking; in difference to it primitive thinking is synthetic and does not separate nature and life. Primitive man experiences life as an unbreakable flow, harmony. If we compare the rule according to which myth is constitutedto the rule which constitutes scientific cognition, we, as Cassirer thinks, will see that this rule opposes logical genesis of concepts which constitute natural sciences. In case of myth constitution we meet with indistinguishability of separate phases and rows of different stages of objectivization.

Primitive thinking is not a reflection of the objective world but creative rethinking and rendering of it.

Cassirer's ideas concerning philosophy of symbolic forms are built upon Kant's critical philosophy according to which thing does not exist before and outside a synthetic unity, but just the contrary, it is constituted by cognition in the process of cognition.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებამ.

არსენ ბურჯალიანი – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიც-პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. მუშაობს ფილოსოფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროში.

იაშა (კოკა) კუტუბიძე – ფილოსოფიის დოქტორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მუშაობს სოციალურ მეცნიერებათა და კულტურის ფილოსოფიურ პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ სფეროებში.

ანრი ბერგსონის შეხედულებები ცნებისა და ინტელექტუალური ინტუიციის შესახებ

ადამიანის აზროვნებით უნარში, გონებაში, რომლის ფუნქციაა გაგება, ბერგსონი ხედავს მხოლოდ და მხოლოდ დანამატს ადამიანის მოქმედების უნარისადმი. აქედან გამომდინრეობს ის, რომ ჩვენი გონება სიტყვის ვიწრო გაგებით, წარმოადგენს ადამიანის არსებობის უზრუნველყოფას გარე სამყაროში. იგი არის აზრით წვდომა საგნისა, მატერიისა. ბერგსონის აზრით, ადამიანის გონება თავს კარგად გრძნობს უსულო საგნებსა და, ნაწილობრივ, მყარ საგნებს შორის. ჩვენი ცნებები წარმოშობილია მყარი სხეულების ფორმის მიხედვით, ხოლო ჩვენი ლოგიკა, უმთავრესად წარმოადგენს მყარ სხეულთა ლოგიკას. ჩვენი გონების აღმოჩენები გეომეტრიის აღმოჩენებია, რაშიც ცხადად ჩანს ლოგიკური აზრის ნათესობა უსულო მატერიასთან. მაგრამ ამ ნათესაობიდან ნათელი ხდება ის გარემოებაც, რომ ჩვენი ლოგიკური აზრი, თავისი სამყაროს გამო ვერ წვდება სიცოც-

ხლის ნამდვილ ბუნებას, ევოლუციური მოძრაობის ღრმა საზრისს.

ლოგიკური აზროვნების განვითრება შექმნა სიცოცხლის განვითარებამ, რათა ადამიანს ზემოქმედება მოეხდინა განსაზღვრულ საგნებზე. აზრი, ბერგსონის თანახმად, წარმოადგენს სიცოცხლის მხოლოდ ერთ-ერთ გმოვლინებას, რომელსაც როგორც ნაწილს არ შეუძლია მთლიანობაში მოიცვას სიცოცხლე. იგი წარმოადგენს ევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ეტაპს.

ისეთი კტეგორიები, როგორიცაა ერთიანობა, სიმრავლე, მიზეზობრიობა და სხვ., არ შეიძლება სრულფსოვნად მივუყენოთ ცოცხალ საგნებს. ბერგსონის აზრით, ვერავინ იტყვის სად იწყება და სად მთავრდებაინდივიდუალობა, რა აზრით შეიძლება ცოცხალ არსებაზე ვილაპარაკოთ, ერთი თუ მრავალი იგი, უჯრედი ერთიანდება ორგანიზმად თუ პირიქით, თუ ორგანიზმი იყოფა უჯრედებად. ჩვენ ვერ ჩავტევთ ცოცხალ ორგანიზმს რაიმე ჩარჩოში. მიუხედავად ამისა, ევოლუციური ფილოსოფია დაუფიქრებლად ავრცელებს ცოცხალ საგნებზეც იმ მოსაზრებას, რომლებიც გამსოადეგია უსულო ნივთიერებებისათვის. ჩვენ ვწვდებით არა თვით სინამდვილეს, არამედ მხოლოდ მსგავსებას, უფრო ზუსტად კი მის სიმბოლურ ხატს. ჩვენ არ შეიძლება მოგვეცეს ნივთების არსება: აბსოლუტური ჩვენთვის მიუწვდომელია, უნდა შევჩერდეთ შეუმეცნებადის წინაშე. უწინდელ უაღრესი სიამაყე ადამიანის გონებით, იცვლება მისი უაღრესი დამცირებით.

ბერგსონის აზრით, გონების ცნებები, აზრები და სხვა, არიან არა სინამდვილის, ე.ი. სიცოცხლის ასახვა, არამედ მხოლოდ მისი სიმბოლური ხატი, რომელიც არ ასახავს საგანთა არსებას. რამდენადაც შემეცნებას საქმე აქვს უსულო საგნებთან, იგი იძლევა მხოლოდ მის სწორ, უძრავ სურათს და არა მოძრავ სიცოცხლეს. მას აუცილებლობით გააჩნია

ხელოვნური და სიმბოლური ხაისათი. შემეცნების თეორიას შეუძლია მხოლოდ ფაქტების მოქცევა წინასწარ გამზადებულ ჩარჩოებში, რომელიც, მისი აზრით, ცნებები, ანუ სიმბოლოებია. ამგვარად, ამტკიცებს ბერგსონი, ვღებულობთ გარკვეულ სიმბოლიზმს, რომელიც შესაძლოა ხელსაყრელია, აუცილებელიც კია პოზიტიური მეცნიერებისათვის, მაგრამ არა საგნის პირდაპირ ჭვრეტისათვის.

ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ ცხოვრებას, რომლის ყოველი ცვალებადი მომენტი შემოქმედებას წარმოადგენს, ამიტომ მასთან არ შეიძლება საქმე ჰქონდეს აბსტრაქციებს, ანუ, ბერგსონის აზრით, ცნებებს, სიმბოლოებს, როგორც ამას ადგილი აქვს გეომეტრიაში. ყველამ თვითონ უნდა ამოხსნას საკუთარი ცხოვრების ამოცანა, არსებობა მდგომარეობს ცვალებადობაში. ცვალებადია, როგორც შინაგანი ბუნება ადამიანისა, ცვალებადია აგრეთვე ნივთთა სამყარო, მისი მდინარება და წესი. არასოდეს არ მეორდება ერთი და იგივე კონკრეტული ვითარება. განმეორება, ბერგსონს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ აბსტრაქციაში, რომელიც ცალმხრივია, ვინაიდან ჩვენი გონება კონცენტრირდება მხოლოდ განმეორებადზე, რითაც ცნობიერება ზურგს აქცევს დროის ჭვრეტას, იგი მტრულადაა განწყობილი მდინარებისადმი.

ინტელექტი წარმოადგენს სინამდვილის რეკონსტრუქციას და ამის გამო ვერ ითვისებს იმას, თუ რა არის ახალი დროის ყოველ მომენტში. იგი არ უშვებს გაუთვალისწინებელ რაიმეს, რის გამოც იგი უარყოფს შემოქმედებას, ვინაიდან ინტელექტი განმეორებადსა და რეკონსტრუირებულს ითვალისწინებს, მას არ შეუძლია აღნიშნული მეთოდით შეისწავლოს ცოდნის მეორე უნარი, როგორიცაა ინსტინქტი.

ინსტინქტი, ანუ ინტუიცია, ბერგსონის მიხედვით, წარმოადგენს ცნობიერების იმ მუშაობას, რომელიც მიმართულია თვით სიცოცხლისაკენ, მოძრაობისაკენ, ცვალებადისა-

კენ. ამიტომ ინტუიცია და ინტელექტი წარმოადგენენ ცნობიერების ორ საპირისპირო მიმართულებას, სადაც ინტელექტი მიმართულია უძრავ მატერიაზე, ხოლო ინტუიცია ძირითადად ინდივიდუალურია და იგი ეხება ჩვენს სიცოცხლისეულ ინტერესებს, ჩვენს – „მე“ – ს, ეს უკანასკნელი არ არის მეცნიერების საქმე. მეცნიერების არსებას, სინამდვილეში, შეადგენს მისი მანიპულაციები ნიშნებისადმი, სიმბოლოებისადმი, რომლითაც იგი ცვლის თვით საგნებს. ინტუიციაში, რომელსაც ბერგსონი „ინტელექტუალურ სიმპატიას“ უწოდებს, შეიძლება მოგვეცეს აბსოლუტური, მაშინ, როცა ყველა დანარჩენი აღმოჩნდება ანალიზში, ანუ მეცნიერებაში.

ბერგსონის ანტიინტელექტუალიზმი ვლინდება არა მხოლოდ როგორც ინტუიტივიზმი, არამედ როგორც ანტისიმბოლიზმი და ანტისციენტიზმი. მას შემოაქვს „ახალი“ მეცნიერება, როგორიცაა მეტაფიზიკა. მეტაფიზიკა, მისი აზრით, არის მეცნიერება, რომელსაც აქვს პრეტენზია იარსებოს სიმბოლოების, ანუ ცნებების გარეშე. მეტაფიზიკამ, რომელიც ეყრდნობა ინტუიციას და არა მყარი, უძრავი საგნების სიმბოლოებს, ცნებებს, უნდა შეისწავლოს მოძრაობა, სიცოცხლე, რომელიც განუწყვეტელ ცვალებადობაშია.

ლიტერატურა:

1. Бергсон А. Творческая эволюция. М. 1909;
2. Бергсон А. Введение в метафизику. Собр. соч. т.5. СПБ. 1914;
3. Бергсон А. Время и свобода воли. Собр. соч. т.2. СПБ. 1914;
4. მე-20 საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბილისი, 1970.

Arsen Burjaliani – Doctor of Philosophy; Vice – president of the Academy of Philosphical Sciences of Georgia; Professor at Technical University of Georgia. He works on problems of philosophy, is the author of many scientific works.

Iasha (Koka) Kutubidze – Doctor of Philosophy; Professor at Technical University of Georgia. Head of the department of Social Sciences, He studies problems of social sciences, has published many scientific works in these spheres of science.

HENRI BERGSON ON CONCEPT AND INTELLECTUAL INTUITION

ABSTRACT

According to Bergson intuition is such work of consciousness which is directed towards life itself, towards movement, the changeable. Therefore intuition and intellect are two opposing directions of consciousness since intellect is directed to unmovable matter while intuition is in main individual and concerned with our life interests, with our "I" which is out of the scope of science.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებამ.

ფილოსოფიური ანთროპოლოგია
PHILOSOPHYCAL ANTROPOLOGY

ირაკლი გოგიჩაძე – ფილოსოფიის მაგისტრი, ავტორი მრავალრიცხოვანი სტატიებისა თეორიული ფილოსოფიის სფეროში ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განხრით; ადმინისტრირებას უწევს პირველ ქართულ ფილოსოფიურ ინტერნეტ საიტს – www.philosophya.ge – ს.

პიროვნება და სიკეთის იდეა

ევროპული ფილოსოფია შეიძლება წარმოვიდგინოთ
როგორც პლატონის კომენტარები.
ალფრედ ნორთ უაიტჰედი

წინამდებარე სტატიაში ვეცდებით სიკეთის იდეის, მასთან დაკავშირებული ნიუანსების წარმოჩენას ჩვენეული ანთროპოლოგიური სურათის ფონზე. ეს ანთროპოლოგიური სურათი კი, თუ გავიხსენებთ, მოკლედ შემდეგნაირია: 1. ემპირიული სუბიექტ – ობიექტი, ანუ ცხოველი, რომელიც ემორჩილება ინსტიქტებს და ხელმძღვანელობს შიშველი ემპირიული მონაცემებით, ასე ვთქვათ, ალალად ენდობა მათ; 2. რაციონალური სუბიექტ – ობიექტი, ანუ საკუთრივ ადამიანი, რომრლიც ემორჩილება რაციოს და ხელმძღვანელობს ექსპერიმენტული მონაცემებითა და ლოგიკით; 3. ინდივიდუალი, ანუ მოფიქრალი მე, თვისტომთა შორის ორიგინალური ხედვით გამორჩეული შემოქმედი, რომელიც ემორჩილება მუზას, შთაგონებას და თავისი ნიჭისა და ხედვის შესაბამისად გარდაქმნის ემპირიული თუ რაციონალური გამოცდილების მონაცემებს; 4. პიროვნება, ანუ ანთროპოსის ის პოტენციური ცენტრი, რომელმაც შეიძლება შეგნებულად, თავისუფლად მართოს ყველა სხვა პლასტში მიმდინარე პროცესები (ბიოლოგიური, ქიმიურ-ფიზიკური, ფსიქიკური, შემოქმედებითი თუ ექსისტენციალური). ანთროპოსი ჩვენ გვე-

სახება არა ერთგანზომილებიან, ცალსახა არსებად, არამედ მინიმუმ ამ ოთხი პლასტის ერთიანობად, რომელთაგან ზოგი, მაგ., პირველი იმთავითვე სახეზე მოცემული რეალობაა, ხოლო დანარჩენი მასში პოტენციურად ძევს. ამის თაობაზე უფრო ვრცლად იხილეთ ჩვენი წინამორბედი სტატიები.

სიკეთე, როგორც ფილოსოფიური განაზრების ობიექტი, ანტიკურობიდანვე წარმოშობდა განსხვავებულ დოქტრინებს. საბერძნეთში სოკრატე, პლატონი და არისტოტელე ქმნიან ერთ ეპოქას, რომელშიც ზნეობის ფილოსოფიის ეს უმთავრესი კატეგორია განისაზღვრებოდა ანთროპოსის, როგორც პოლისში მცხოვრები ინდივიდის, დანიშნულებიდან. ანთროპოსის დანიშნულება მისი შესაძლებლობების (ფიზიკური თუ სულიერი) სრულყოფილად გამოვლენა და განვითარებაა. ამ განვითარების შანსი არ გააჩნიათ, არისტოტელეს აზრით, მაგ., მონებს, ბავშვებს, ქალებს. სრულყოფილი პოლისის მოქალაქე კი ვალდებულიც კია, რომ ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და თავისი შესაძლებლობები შეალიოს პოლისის კეთილდღეობას. ამგვარი მოღვაწეობის პროცესში მოქალაქე, სათანადო აღზრდა – განათლების საფუძველზე, გამოავლენს სიქველეებს – სამართლიანობას, ზომიერებას, კეთილგონიერებას და ა.შ. ეს უკანასკნელნი შეადგენენ კეთილქმედების შინაარსს, რომელთა ხელმძღვანელობითაც მოქალაქე ცდილობს მიაღწიოს ბედნიერებას და მისი მიღწევის საშუალება შეუქმნას სხვებსაც. ბედნიერების მიღწევა ანთროპოსის უმთავრესი დანიშნულება და მიზანია – ადამიანს ყველაფერი უნდა ბედნიერებისთვის და არა ბედნიერება სხვა რამისთვის. შეიძლება ეს სულ სხვა თემა და სხვა სტატიის საგანი იყოს. მაგარამ აქ მაინც დავსძენ მოკლედ, რომ ბედნიერება თავისთავად (ისევე როგორც სიკეთე თავისთავად) ამქვეყნად არ არსებობს – ვისთვის რაა ბედნიერება და ვისთვის რა. ანთროპოსი იმიტომაა, როგორც ამას

ბერდიაევი იტყოდა, ტრაგიკული არასება, რომ, არ უწყის რა, თუ რაა ნამდვილი ბედნიერება, დასდევს თავისსავე გამოგონებულ ქიმერებს, იმას, რაც თავად ეჩვენება ბედნიერებად და ამ ჯირითში ჩართული ცხოვრების გზაზე იმასაც კარაგავს, რაც გააჩნია. ამიტომ, ანთროპოსის დანიშნულებად ბედნიერების მიღწევის დასახვა, ისეთი რამის მიღწევას გულისხმობს, რაც არაამქვეყნიურია, მარადიული და ყავლგაუსვლელია.

ანთროპოსის მიერ თავისი ქველი ბუნების მიხედვით მოქმედება ემყარება ცოდნას, გონებას. სოკრატეს მიხედვით, არავინ არ ჩაიდენს კეთილქმედების გარდა არაფერს, თუ მან იცის რა საშინელებაა ბოროტმოქმედება. ცოდნა გონების კომპეტენციაა, აზროვნების ნაყოფია და არა გრძნობებისა, რომელთა აყოლაც ცხოვრების გზაზე უფრო ბოროტებისკენ მიგვმართავს ვიდრე სიკეთისკენ. გრძნობები თვისთავად, გონების ჩარევის გარეშე მგზნებარე და ზღვარგადასულია, რაც ბოროტქმედებისა და უბედურების სათავეა. ე.ი. კეთილქმედების საფუძველი გონებაა.

ამ ყველაფერს პლატონი შეავსებს და დააკონკრეტებს იმის განცხადებით, რომ სიკეთე გონითი ჭვრეტით, გონების თვალით მოიხელთება და მას სიკეთის იდეა ჰქვია, რაც, ჩემის აზრით, უდიდესი მნიშვნელობის მქონე დებულებაა კეთილქმედების საზრისის დადგენის, ანუ მისი არსებობის გამართლების, მისი დაფუძნების საკითხში. კეთილქმედების საფუძველი ანთროპოსის გონებას კი არ შეუქმნია და მოუგონებია, არამედ ის მარადიულად არსებობს და გონების თვალით მისწვდება მას მხოლოდ ბრძენი, რჩეული, ერთეული პიროვნება, რასაც არისტოტელე არ ეთანხმებოდა. ეს უკანასკნელი კეთილქმედების საფუძველს „ზეციურ“, იდეათა სამყაროში კი არა ადამიანის გონით განზომილებაში ხედავდა და ზედმეტად მიიჩნევდა ამისთვის იდეთა ზეციური სამყაროს მოშველიებას. ისე სხვა მხრივ ამ მოაზროვნეთა შეხედულებები ერ-

თმანეთს დიდად არ ეწინააღდეგება და ერთ ეპოქალურ „სისტემას“ ქმნის ფილოსოფიის ამ სფეროში.

შემდეგ ეტაპს ქმნის შუასაუკუნეობრივი ფილოსოფია და თეოლოგია, რომელიც მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა არა მხოლოდ ბიბლიურ – ქრისტიანულ შეხედულებებს, არამედ, მაგ., ნეოპლატონიზმს. ნეოპლატონიზმმა განსაკუთრებული როლი იმით ითამაშა, რომ სიკეთის ცნებას კიდევ უფრო ონტოლოგიური ელფერი შესძინა, ვიდრე ეს იყო გამოკვეთილი პლატონთან. სიკეთე ის ღვთაებრივი შუქია, რომლადაც ემანაციურად გადმოიღვრება მთელი შენამოქმედი ღმერთისა. თავად ღმერთია ყოვლადსიკეთე... ეს პოზიცია ნათლად გამოიკვეთა ნეტარ ავგუსტინესთანაც, ხოლო შემდეგ, მაგ., ბერნარდ კლერვოელის თეოლოგიაში. ამ უკანასკნელთ სიკეთის ქმნა ესმით, უპირველეს ყოვლისა, როგორც ღვთის წყალობა, ღმერთის კეთილი ნება, რამეთუ ამქვეყნიურ, წარმავალ ცხოვრებაში არც სიკეთის ბუნებრივი პირობები არსებობს და არაც ანთროპოსს ძალუძს საკუთრ ძალისხმევაზე, გნებავთ, გონებაზე დაყრდნობით ნამდვილი სიკეთის ქმნა (ავგუსტინესა და კლერვოელის პოზიციებთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხილეთ ჩვენი სტატია **„ნება და ადამიანური ყოფიერების მთლიანობა“**, *ფილოსოფიური ძიებანი N 16*)

ბიბლიურ – ქრისტიანულიდან, რაც კი ყველაზე კარდინალური შემოვიდა ამ სფეროში (იგულისხმება ზნეობის მეტაფიზიკა), იყო კეთილქმედების საფუძვლის მიგნება სიყვარულით აღსავსე გულის სფეროში, რაც გრძნობებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას ნიშნავდა გონებასთან შედარებით. ცხადია, აქ საუბარია არა თავის ნებაზე მიშვებულ გრძნობებზე, არამედ ბერ – მონაზვნურ, რელიგიურ, რწმენითა და ქრისტეს სიყვარულით აღსავსე გარემოში მოწესრიგებულ გრძნობებზე, რომელიც ადამიანის შინაგან, სულიერ, განსა-

კუთრებულ სამყაროს შეადგენს. ეს წესრიგი უანგარო, ალალი რწმენით მიიღწევა და არა აზროვნებითი სპეკულაციებით. ანუ სიკეთის საფუძველი რწმენაა და არა რაციო. აქ რწმენა არაა უბრალოდ გრძნობაზე დამყარებული და, მით უმეტეს, გონებაზე დამყარებული რამ. ის ემყარება დამოცხადებას. გამოცხადება გულისხმობს ზედროულის, მარადიულის, იდეალურის, ნამდვილად არსებულის შემოსვლას დროულში, წარმავალში, რელატიურში, არანამდვილსა და მოჩვენებითში (მაიაში, ტონალში...).

ეს ფაქტიურად ისაა, რასაც არისტოტელე პლატონს უწუნებდა. კეთილქმედების საფუძველს ხომ ადამიანურ გონში ხედავდა ის და პლატონს წარუმატებელ ზედმეტ გამონაგონად უთვლიდა იდეათა სამყაროს? ზოგადი არსებობს გონებაში და მისთვის სხვა ონტოლოგიური სამშობლოს ხედვა ილუზიაა და მეტი არაფერი. ქრისტიანული მეტაფიზიკა სწორედ იმის პირდაპირ დადასტურებას გვიჩვენებს, რომ ქრისტეს სახით მამა ღმერთი – ზედროული, მარადიული, იდეალური – თავად შემოდის თვალისა და გონების ხედვის არეში, ისტორიაში. ესაა გაცხადება უმაღლესი სრულყოფილებისა, სიკეთისა, სიყვარულისა, თანაგრძნობისა, სათნოებისა... აქედან მოდის რწმენის უმაღლესი დასაბუთება. ამ „საბუთის“ მოპოვება ერთეულთა, რჩეულთა ხვედრია (ალბათ ვხედავთ პლატონის თვალსაზრისთან ნათესაობას). გამოცხადება ღვთაებრივი მადლია და მისი მოპოვებისთვის მორწმუნემ უნდა იცხოვროს ჭეშმარიტი რელიგიური ცხოვრებით და თანაც აბსოლუტურად უგარანტიოდ. გადმოვა თუ არა მასზე ეს უზენაესი მადლ – დასტური მან არ უწყის, მაგრამ სწამს.

ის ერთეულნი, რჩეულნი, ვისზეც გადმოვიდა ღვთაებრივი მადლი გამოცხადებისა ხდებიან კიდეც უმაღლესი იდეალების, მათ შორის და უწინარეს ყოვლისა კი ზნეობრივი იდეალების დამსახავნი კაცობრიობისთვის.

შემდგომ საფეხურს, რომელიც გარკვეულწილად თანხმობაშია (და უთანხმოებაშიც) როგორც ქრისტიანობამდელ ისე ქრისტიანულ საფეხურთან, ქმნის კანტი თავისი ზნეობის მეტაფიზიკით. ის ეთანხმება არისტოტელეს (წინააღმდეგ პლატონისა), რომ ზნეობის საფუძველი გონით სამყაროშია საძიებელი და არა ტრანსცენდენტურში, ანუ ე.წ. ტრანსცენდენტალურ და არა ინდივიდუალურ, ან თუ გნებავთ ემპირიულ სუბიექტში. არსებობს, კანტის მიხედვით, ერთი გონითი ინსტანცია, რომელიც საერთო და მომცველია ყველა შესაძლო მოაზროვნე არსებისთვის – ტრანსცენდენტალური სუბიექტი. მისგან მოდის ყოველგვარი ჭვრეტის, აზროვნების, ზნეობის საფძველი.

თუ ჭვრეტის განმსაზღვრელი ისეთი აპრიორული ფორმებია, როგორიცაა დრო და სივრცე, ხოლო აზროვნებისა – ტრანსცენდენტალური ლოგიკა, მაშინ ზნეობის საფუძვლად, კანტს გამოჰყავს კატეგორიული იმპერატივი. თუ დროსა და სივრცეში მოცემული გამოცდილებისეული შინაარსები ექვემდებარებიან მაგ., მიზეზ – შედეგობრივ მიმართებებს, ხოლო ტრანსცენდენტალურ ლოგიკას სარჩულად უძევს, მაგ., საფუძველ – გამომდინარეობითი მიმართებები, მაშინ კატეგორიული იმპერატივი ემყარება (და მაშასადამე ზნეობაც) „უნდას“, ვალდებულების პრინციპს. ანთროპოსი ვალდებულია, რომ განახორციელოს თავისი უმაღლესი დანიშნულება (ამაშიც იგრძნობა არისტოტელესთან ნათესაობა) – ხორცი შეასხას თავის ზნეობრივ ბუნებას. ზნეობრივი ბუნება მოაზროვნე არსების თანმდევია. აზროვნებას ხორცი ესხმება მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ხოლო ზნეობას – პრაქტიკასა და ქმედებაში.

მიუხედავად იმის, რომ ზნეობრივს კანტი ყოველთვის აზროვნებითი, გონითი ინსტანციის ფონზე ახსენებს, ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ის არისტოტელეს ხაზით პირ-

დაპირ მიემართება რაციონალიზმისა თუ სციენტიზმისაკენ. ჯერ ერთი, მან თავიდანვე წარმართა ზნეობრივი ქმედება კეთილის მსურველი თავისუფალი ნების კარნახით. მთავარია ქმედებას საფუძვლად ედოს თავისუფალი ნების კეთილი, მოდი ასე ვთქვათ, ჩანაფიქრი, რომ ქმედება კეთილად იქნეს კვალიფიცირებული, რამეთუ მისი დინამიკა შედეგად რას გამოიღებს წინასწარ არავინ უწყის. შედეგის მიხედვით ქმედების ზნეობრივობის შეფასება არ ეგების. აქ მსჯელობის გარკვეულ მანკიერ წრეში ბრუნვას ვხედავთ, მაგრამ ეს არაა ამჯერად ჩვენი თემა. მთავარია ის, რომ სურვილი გრძნობის კომპეტენციაა და არა გონებისა.

მერე მეორე. უნდოდა თუ არა, საჭირო იყო მისი ფილოსოფიის სისტემურობისთვის თუ არა, საბოლოო ჯამში მან ჩამოაყალიბა ე.წ. ღმერთის, უზენასი ღვთაებრივი არსების არსებობის დამადასტურებელი არგუმენტი, რომელიც ღმერთის არსებობის ეთიკურ არგუმენტადაა ცნობილი.

ამდენად, კანტი პლატონსა და ქრისტიანობასაც მიაგებს თავის პატივს და ერთგვარ გზაჯვარედინს უფრო წარმოადგენს თავისი ზნეობის მეტაფიზიკით, ვიდრე ახალ პარალელურ გზატკეცილს.

გარდა ამისა, კანტის კატეგორიული იმპერატივის შინაარსს ხომ შეადგენს შემდეგი – მოიქეცი ისე, რომ შენი ქმედება იქცეს საყოველთაო ზნეობრივ კანონად. კი, მაგრამ, რა არის იგი კანონი, რომელიც კანონად უნდა იქცეს? განა კანონი არ უნდა კანონობდეს აწ და მარადის, განა ბუნების კანონების შემთხვევაში ასე არ არის? ე.ი. კანტი ზნეობის კანონად სხვა ტიპის კანონს გულვობს და არა ბუნების კანონის მსგავსს. ბუნების კანონის მსგავსთან და საერთოდ ბუნებასთან ზნეობას რომ საქმე არ აქვს ამას კანტამდეც ბევრი ხვდებოდა და კანტი კი მით უმეტეს.

ეს, თავის მხრივ, ნიშნავს – მოიქეცი ისე, როგორც ისურვებდი, რომ შენ მოგექცნენ. კანტის მიხედვით, ესაა უმაღლესი ზნეობრივი მისიის განხორციელება, რასაც ხშირად აკვალიფიცირებენ უანგარო ან, გნებავთ, ფორმალურ ზნეობად, ანუ სიკეთის კეთებად სიკეთისთვის, მხოლოდ სიკეთისთვის და არაფერი სხვისთვის. მაგრამ აქ აშკარად იკითხება ისიც, რომ მავანმა სიკეთე იმიტომ უნდა გააკეთოს, რომ მასაც ისეთივე სიკეთით მიაგოს საზოგადოების სხვა წევრმაც. ეს ზნეობრივი საზოგადოების აგების მიზანს მართალია ემსახურება, თუმცა ერთგვარი ანგარების სუნი მაინც ასდის. ცხადია კანტს ესეც კარგად ესმოდა, უბრალოდ მან იხელმძღვანელა **„ყველაზე უფრო უანგაროს“** პრინციპით, ისევე, როგორც კეთილქმედების მეტაფიზიკურ საფუძველზე უარის თქმისას იხელძღვანელა, მამარდაშვილისა არ იყოს, **„ეხლა, უკვე როცას“** პრინციპით: ეხლა, როცა უკვე, ამ სამყაროში კეთილქმედება ზნეობრივი ფაქტია, ადგილის მქონეა, საჭიროებას მოკლებულია მისი საფუძვლის ძიება. ასახსნელია მხოლოდ ის, თუ როგორაა შესაძლებელი ამ სამყაროში ასეთი ფაქტის არსებობა (იხილეთ მ. მამარდაშვილის „კანტიანური ვარიაციები“).

ჩვენ მივიჩნევთ, რომ სიკეთის კეთება მხოლოდ სიკეთისთვის თავის სრულყოფილ გამოხატულებას პოულობს მხოლოდ მაშინ, როცა სიკეთე კეთდება სიკეთის იდეის, მარადიულის, ღვთაებრივის სიყვარულის, მასთან მიახლოების, ზიარების მიზნით. ამ ზიარების უმაღლესი ფორმა კი არის პიროვნების მისვლა, შეგნებულ – გაცნობიერებული ზიარება სიკეთის იდეასთან, ღვთაებრივთან. გამოცხადების შემთხვევაში აქტიურია ტრანსცენდენცი, ხოლო პიროვნების იმანენტურ – ექსისტენციალური პასიური. ესაა გზა ზემოდან ქვევით – ღვთაებრივიდან მიწიერისკენ, რაც ღვთაებრივის უდიდეს ძალმოსილებას გვიცხადებს. ამ ძალმოსილებას,

ჩვენში დარჩეს და დასაბუთება არც სჭირდება. გამოვლინება სჭირდება ანთროპოსის პიროვნულ ბუნებას, პერსონის ძალ-მოსილებას, რომელიც ტრანსცენდენტურში შეიხედავს თა-ვისი ნებელობითი ძალისხმევის საფუძველზე, ეზიერება ნირვანულ ნეტარებას საკუთარ თავზე, საკუთარ სულიერ, ზნეობრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

ნიცშეს ზნეობის მეტაფიზიკა რელატიური და პლურა-ლისტურია, ანუ რელატიურია მისი შეხედულებანი ზნეობის საფუძვლის თაობაზე. მას მიაჩნდა, რომ ერთი ზნეობრივი პრინციპი, რომელსაც ყველა უნდა ეყრდნობოდეს თავის ქმედებებში, არ არსებობს, არამედ არსებობს სულ მცირე ორი მაინც – ძლიერთა ზნეობრივი პრინციპი და სუსტთა ზნეობრივი პრინციპი. ნიცშე თვალის დასანახად ვერ იტანს სუსტებს. ეს უკანასკნელნი ფარად იყენებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა – მიტევება, თანაგრძნობა, სიყვარული, სინანუ-ლი, სამსჯავრო, ჯოჯოხეთი... ამგვარ განწყობას ატარებენ არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდები, არამედ მთელი ეროვ-ნული წარმონაქმნები. მაგ., ებრაელებს ის მიიჩნევს ასეთი ტიპის ერად. როცა მათ აღარ ჰყავდათ მეფეები მთელი ძა-ლაუფლება ხელთ იგდეს კულტმსახურებმა, რომლებიც, მსგავსად წარმართული ცივილიზაციების კულტმსახურები-სა, გამოდიოდნენ ხალხსა და ღმერთებს შორის შუამავლე-ბად და „ზეცის“ ხმა მოჰქონდათ თავისი ერის ყურამდე. ისი-ნი ქადაგებდნენ ღვთისმოშიშობას, მცნებების დაცვას, მორ-ჩილებას (როგორც მამა ღმერთისა ისე კულტმსახურებისა), რათა არ დასჯილიყვნენ ღვთის სამსჯავროზე. მცნებების ზედმიწევნით მიყოლა ნიშნავს – მიუსაფარობას, პირადი სა-კუთრების უქონლობას, ჩაგრულობას, გაჭირვებას, საკუთა-რი ლუკმის სხვისთვის გაცემას და ამით მამა ზეციერის წყა-ლობის მოპოვებას. სწორედ ასეთი ასპექტები ქმნიან აქ სი-კეთის ცნებით შინაარსს. ეს მომენტები კიდევ უფრო მძლავ-

რად წარმოაჩინა ქრისტიანობამ. ქრისტე მას მიაჩნია ებრაელების მიერ დანარჩენი კაცობრიობისთვის ნასროლ სატყუარად, რომელიც გამიზნული იყო „სუსტების მორალის“ გასაბატონებლად (ამასთან დაკავშირებით იხილეთ ან ისმინეთ პინხას პოლონსკის ლექციები და ინტერვიუები). ნიცშეს უკვირს, თუ როგორ „ყლაპა“ მსოფლიომ ეს სატყუარა. იუდო – ქრისტიანული შეხედულება ღმერთზე, ხომ სრული აბსურდიაო ამბობს ის (ამაში ნიცშე არაა ორიგინალური, გავიხსენოთ ტერტულიანე), რა უნდა ღმერთს ჯვარზე რომ იტანჯება და ჩვენს თანაგრძნობას იწვევეს, ეს ხომ სრულიად არაბუნებრივი, მანკიერი ცნობიერების ნაყოფია, დასძენს ნიცშე თავის „მორალის გენეოლოგიაში“.

მაშასადამე, ბევრი რომ არ გაგვიგრძელდეს, სუსტების მორალი ამორალურია იმ აზრით, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ანთროპოსს თავისი სისუსტის, სიმხდალის, გაუბედავობისა და სხვა ამგვართა გამო, თავის გატანა რომ არ შეუძლია, მიმართავს ხრიკებს, ეშმაკობას, თვალთმაქცობას, რათა სხვასაც, ანუ ძლიერთა ამა სოფლისათაც, გაუმწაროს სიცოცხლე.

ძლიერთა მორალი ნიცშეს სავსებით ბუნებრივ რამედ ეჩვენება და ამბობს, რომ რეალურ ქვეყნიერებაში ადამიანი უნდა ცხოვრობდეს არა გასაცოდავებულად, სამოწყალოდ სხვისა, არამედ გაბედულად, უშიშრად, თამამად, მძლავრად – რას ჰქვია სხვისი სამოწყალო გავხდე, მე ხომ ჩემი თავმოყვარეობა მაქვს? ამბობს ის. ძალა უფლებაც უნდა მოიპოვო კაცმა, ქონებაც, პატივისცემაც და ა.შ. რათა ამ ქვეყნად ღირსეულად იცხოვრო. ესაა ძლიერთა მორალი, რომელსაც ნიცშე პატივს მიაგებს და სრულიად ბუნებრივ რამედ ეჩვენება. აქ ადგილი არ აქვს თვალთმაქცობას, ძლიერი პირდაპირი და თავდაჯერებულია.

ძლიერთა მორალის კულმინაციურ დემონსტარატორად წარმოგვიდგება ნიცშესთან „ზეკაცი“ რომელიც სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას. მისთვის არ არსებობს კაცობრიობის კეთილმოქმედად და ბოროტმოქმედად დახარისხება, არსებობს სუსტი და ძლიერი და არავის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ობიექტურად სუსტი კეთილია, ხოლო ძლიერი ბოროტი, ეს სუსტთა გამონაგონია და მეტი არაფერი.

ჯერ ერთი, წუთისოფელი რომაა მხოლოდ რეალური ქვეყანა არც ეს დაუმტკიცებია არავის (პარალელური სამყაროების თეორია საკმაოდ პოპულარულია თანამედროვე კოსმოლოგიასა და ფიზიკაში). ამიტომ, არავინ უწყის, რა ხდება მის გარეთ, სხვაგან შეიძლება ძლიერთა მორალია ამორალური.

მერე მეორე, არც ისაა დამტკიცებადი, რომ სუსტი ყველა ბოროტია, თვალთმაქცია, საცოდავია და ა.შ. ხოლო ძლიერი – ყველა კარგი.

მერე მესამე, ძლიერთა მორალს რომ უპირატესობას ანიჭებს ნიცშე ამისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ბუნებრივობაზე მითითება. ბუნებაში აბსოლუტური არაფერია და, მაშასადამე, არც ის პრინციპები, რომელთაც ძლიერთა მორალი ეყრდნობა. ამიტომ არც იმის დამტკიცება შეიძლება, რომ უპირატესი ეს პრინციპებია სწორედ.

და მეოთხე, მორალის ფილოსოფის მთავარი ამოცანა – ახსნა იმისა თუ რა არის კეთილქმედება, რაშია მისი საფუძველი – ნიცშესთან ფაქტიურად იგნორირებულია.

მაგრამ ერთში კი ნამდვილად მართალია ეს მოაზროვნე – სიკეთე რაღაც არაამქვეყნიურია, არაბუნებრივია.

ე.ი. ჩვენ ვხედავთ ორ ძირითად ხაზსს – ზნეობის დაფუძნებას იდეათა სამყაროს, ღვთაებრივი სასუფევლის ბაზაზე (მაგ., პლატონი, ნეოპლატონიზმი, ქრისტიანული თეოლოგია) და ზნეობის დაფუძნებას, ახსნას მიწიერის ბაზაზე

(მაგ., არისტოტელი, კანტი). ამათგან პირველი კეთილქმედებას ხსნის სიკეთის იდეიდან, ანუ თავად სიკეთიდან, ხოლო მეორე – კეთილქმედებას ხსნის სხვა ცნებეათა (ე.წ. სათნოებათა, სიქველეთა) მოშველიებით, რომელნიც თავად არიან ასახსნელნი, რომელთა ბუნებაც სრულიადაც არაა თავისთავად ცხადი და ნათელი. მაგ., თქმა იმისა რომ სიკეთე არის ზომიერება ან სამართლიანობა, სიკეთე არის ვალდებულება და ა.შ. სრულიადაც არ გვიხსნის სიკეთის რაობას. აქ თავის მხრივაა ასახსნელი თუ რას წარმოადგენს სამართლიანობა და ვალდებულება. და თანაც, უფრო გონივრული ჩანს იმის აღნიშვნა, რომ სიკეთე სიკეთეა, ხოლო სამართლიანობა – სამართლიანობა, ვალდებულება – ვალდებულება და ა.შ.

საბოლოო ჯამში, ფილოსოფიის ისტორიაში მიწიერ ბაზაზე კეთილქმედების დაფუძნების მცდელობამ, მიგვიყვანა, ნიცშეს სახით, სიკეთის არსებობის სრულ უარყოფამდე. ეს, ცხადია არ ხსნის დღის წესრიგიდან იმის გააზრების საჭიროებას, თუ მაინც რა არის სიკეთე, რის გამოც ჩვენ, უფრო მართებულად გვესახება მეორე მიმართულება, რომელიც ანთროპოსის პიროვნებამდე ამაღლებას (ე.ი. ანთროპოსის დანიშნულებას) და პიროვნების სიკეთის იდეისადმი ზიარებას (უმაღლეს კეთილქმედებას) გულისხმობს.

ეს არაამქვეყნიური და არაბუნებრივი, ანუ სიკეთის იდეა, ზნეობის მეტაფიზიკის უმთავრეს კატეგორიად გვევლინება. ის ამქვეყნიურ, წუთისოფლურ ორომტრიალში გამოვლინდება კონკრეტული კეთილქმედებების სახით. კეთილქმედებას უპირისპირდება ბოროტქმედება, რომელიც ასევე კონკრეტული წუთისოფლური აქტია. სიკეთის როგორც ასეთის გასაგებად საჭიროა როგორც ერთის ისე მეორის გააზრება. გამოდის, რომ ისინი ერთი მოვლენის ორი მხარეა. კეთილქმედება არის ის, რაც არ არის ბოროტქმედება და პირიქით.

ამ მოვლენას უწოდებდა პლატონი იდეას. იდეა არის იდეალური ობიექტი. რამდენადაც ის ობიექტია, მაშასადამე იგი ობიექტურად არსებობს. ობიექტურად არსებობა ამ შემთხვევაში სულ სხვა რამეს ნიშნავს ვიდრე ის, რადაც ობიექტურად არსებობა წარმოუდგება თუნდაც თანამედროვე ობივატელურ ცნობიერებას. ამ უკანასკნელს ობიექტურად არსებობა ესმის როგორც მატერიალური ობიექტის რეალურ – დინამიურ დროსა და სივრცეში განსაზღვრული არსებობა. პლატონთან სრულიად საწინააღდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე – დინამიურ დროსა და სივრცეში რეალურად არსებული განსაზღვრულობა ობიექტური კი არა რელატიურია. რელატიური ნიშნავს წარმავალობას, არსებობას ნამდვილად არსებობასა და მოჩვენებით არსებობას შორის. ესაა მერყეობა ამ ორ უკანასკნელ ინსტანციას შორის. ეს გულისხმობს ოდესღაც არყოფნას და მომავალში აღარ ყოფნას. ობიექტურად არსებობა მარადიული და უნაკლო არსებობაა. ამგვარი არსებობა ახასიათებს იდეას და მხოლოდ იდეას, ამიტომაცაა ის იდეალური ობიექტი და ამიტომ არსებობს ის ობიექტურად.

ე.ი. კეთილქმედება და ბოროტქმედება, როგორც ერთი მოვლენის ორი მხარე, გულისხმობს იდეალურ ობიექტს, იდეას, რომელიც მხოლოდ ნამდვილად არსებობს და არასოდეს მოჩვენებითად.

პლატონი ამ იდეას იდეათა პირამიდის სათავეში აყენებდა. ასეთივე საფუძველმდებლური როლი გააჩნია ამ იდეას ბიბლიურ შესაქმეში. სიკეთისა და ბოროტების ხის ნაყოფი დიდი მეტაფიზიკური იდეის მეტაფორაა.

კანტი მიიჩნევდა, რომ სიკეთე მაშინაა სიკეთე, როცა ის ხორციელდება უპირობო ვალდებულების თანახმად – შენ ვალდებული ხარ მოიქცე კეთილად, ისევე, როგორც სხვაც ვალდებულია, რომ მოგექცეს კეთილად. ასე უნდა მოვიქცეთ არა იმიტომ, რომ ამისგან რაღაც გამორჩენას ველით. გავ-

რცელებული ინტერპრეტაციის თანახმად, ეს ნიშნავს სიკეთის კეთებას უანგაროდ, სიკეთის ქმნას სიკეთისთვის – ანუ როცა კეთილი ქმედება არ ხორციელდება რაიმე სასურველი სარგებლის მიღების მოლოდინითა და იმედით. მავანმა ეს ინტერპრეტაცია შეიძლება გაიზიაროს, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ იტერპრეტაციის ერთადერთ ჭეშმარიტ ინტერპრეტირებას. ის სიკეთე, რომლის და მხოლოდ რომლის გამოც უნდა ხორციელდებოდეს სიკეთის აქტი, არის სწორედ ის პლატონისეული იდეალურ – ობიექტურად არსებული სიკეთის იდეა. ყოველი ქმედება მაშინაა სიკეთე, როცა ის სიკეთის იდეს გათვალისწინებით, მისადმი უსაზღვრო სიყვარულის ლტოლვით ხორციელდება.

აქტები, რომელნიც კვალიფიცირდებიან როგორც კეთილნი ან არაკეთილნი წარმოგვიდგებიან დროსა და სივრცეში განსაზღვრულ რეალიებად, რომელთაც არ ჰქონიათ ადგილი მანამდე ხოლო მომავალში აღარ ექნებათ. სხვაგვარ აქტს ამ წუთისოფელში ადგილი არც შეიძლება ჰქონდეს. მაშ, რომელი აქტი დაიტევს ყველაზე სრულყოფილად იმ შინაარსს რომელიც იდეალურ – ობიექტური სიკეთისადმი ზიარებას უნდა გააჩნდეს?

იდეალურს შეიძლება ეზიაროს მხოლოდ იდეალური, რომელიც წარმავალ – ანთროპულ ყოფნაში როგორღაც, რაღაცის სახით უნდა იყოს ჩართული. ამ რაღაცას უწოდებდნენ სულს, გონს, პიროვნებას ... მაშასადამე ანთროპულ ქმედებათაგან სიკეთის იდეასთან ზიარების სრულ შინაარსს მოიცავს ის ქმედება, რომელიც ანთროპულ ყოფიერებაში ჩართულ იდეალურს შეაძლებინებს სიკეთის იდეასთან მისვლას. ესაა უმაღლესი რანგის კეთილქმედება, ნამდვილი განმათავისუფლებელი მოძრაობა ამ სულისა, გონისა, პიროვნებისა... ხსნა ანთროპული ყოფიერების ზედაპირული შრეების შებოჭილობისგან.

ამდენად, ჩვენ უნდა განვასხვაოთ ორი რამ – 1. სიკეთე, როგორც იდეა და 2. სიკეთე, როგორც ქმედება.

სიკეთე, როგორც ქმედება არაა ცალსახად გარკვეულ დადგენილი სიკეთე. რაიმე ქმედება ერთგვარ პირობათა საფუძველზე შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს სიკეთედ და იგივე ქმედება სხვა პირობა – გარემოებათა შემთხვევაში კვალიფიცირდეს როგორც ბოროტება. ეს ასეა ალბათ იმიტომ, რომ დროსა და სივრცეში გაშლილი სამყარო, სადაც და მხოლოდ სადაც ხორხციელდება სიკეთე – ქმედება, თავისთავადაა მოკლებული სიკეთესაც და ბოროტებასაც. ბიოლოგიურ დონეზე, ამქვეყნიურ ორომტრიალში ჩართული არსებებისთვის ამგვარი ცნებები ყოველგვარ აზრსაა მოკლებული. მტაცებელი რომ ნადავლს კლავს საკუთარი თავის გამოსაკვებად ეს არც ბოროტებაა და არც სიკეთე. მით უმეტეს ითქმის ეს ისეთ ბუნებრივ მოვლენებზე როგორებიცაა – ქარიშხალი, მიწისძვრა და ა.შ. ამ უკანასკნელთა მიერ თავს დატეხილი უბედურება თავისთავად არც ბოროტებაა და არც სიკეთე. ასეთად ან ისეთად ის წარმოუდგება მხოლოდ ანთროპოსს.

ანთროპოსის ანიმალური პლასტი, ანუ ანთროპოტიპი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ემპირიულ სუბიექტ – ობიექტს, სიკეთესა და ბოროტებას ემპირიულ დონეზე განიცდის და გრძნობს. გარკვეული ქმედება, რომელსაც ან თავად სჩადის ან მის მიმართ სჩადიან, იწვევს მასში მაგ., გულის აჩქროლებას, ცრემლის დენას და ა.შ. იმის მიხედვით, თუ რა ემოციები წარმოიშვება მასში ამ სიმპტომთა კვალად, პოზიტიური თუ ნეგატიური, ისიც სახელჰყოფს ამ ქმედებებს სიკეთედ ან ბოროტებად.

ცხადია, რომ ემოციებსა და განცდებს დიდი ძალა გააჩნია, მაგრამ თავად ამ ემოციების საფუძველზე კეთილქმედებისა და ბოროოტქმედების ბუნების დადგენა, ახსნა თუ და-

ფუძნება შეუძლებელია. ასახსნელი სწორედ ის არის, რაც მათ განაპირობებს – სიკეთე.

ემპირიულ გამოცდილებაში ჩვენ შეიძლება დავაკვირდეთ კეთილქმედებას, ანუ იმას რაც დავაკვლიფიცირეთ სიკეთედ, და არა თავად სიკეთეს. ასეთი რამ არ ძევს სადმე ჩვენს წინ ან გვერდზე, როგორც სკამი ან ტელევიზორი. მეტიც, რაციონალურ სუბიექტ – ობიექტსაც, ანუ ე.წ. საკუთრივ ადამიანსაც კი არ შეუძლია სპეციალურად შექმნილ ექსპერიმენტულ გარემოში თავისთავად სიკეთეს დააკვირდეს. რაც შეეხება ამ უკანასკნელის ისეთ მძლავრ იარაღს, როგორიცაა ლოგიკა, ისიც უძლურია რომ მაგ., მართებული სილოგისტური გამომდინარეობების ჯაჭვიდან გამოიყვანოს სიკეთის იდეა, ანუ კეთილქმედების პირობა.

თუ სიკეთე ემპირიულადაც და რაციონალურადაც მიუწვდომელია, მაშ რაღა გვრჩება? ინდივიდუალი და პიროვნება. ინდივიდუალი თავისი არსებით შემოქმედია, მაგრამ ცხადია, რომ იდეის როგორც ასეთის შექმნა მას არ ძალუძს. მან შეიძლება დაგვისახოს თავის ქმნილებაში, შედევრში დაგვანახოს, განგვაცდევინოს, გვაგრძნობინოს მარადიული იდეის ძალმოსილება. ამას ის, ცხადია, ახორციელებს გარკვეული სახეების, ხატების, გმირების, ბგერების, ფერების, საშუალებით. ეს კი ფაქტიურად დროულის, წარმავალის საშუალებით მარადიულთან და სრულყოფილთან მიახლოებას ნიშნავს. შემოქმედი, რომელიც ფაქიზი მგრძნობელობითა და შთაგონებით გამოირჩევა განიცდის მარადიულის, იდეალურის მეტაფიზიკურ ზეწოლას. გამოცხადება, მუზა თუ შთაგონება ამ ზეწოლის გამოხატულებაა.

რაც შეეხება პიროვნებას, ის ალბათ ერთადერთია, ვინც ეგზისტირება – ტრანსცენდირების აქტში უშუალოდ ჭვრეტს მარადიულსა და იდეალურს. მართლაც, შემოქმედთა ნამოღვაწარში – მხატვრობაში, მწერლობაში თუ მუსიკაში, სწორედ დიდ პიროვნებათა მიერ ნაქადაგარი იდეები ის-

ხამენ ხორცს და ეს არაა შემთხვევითი. ქრისტიანული თემატიკა უამრავი შემოქმედის შთაგონების წყარო გამხდარა და ამ ყველაფრის საფუძველი ქრისტეს პიროვნებაა.

ე.ი. არსებობს სიკეთე როგორც ასეთი, როგორც იდეალური, მარადიული, სრულყოფილება და მისი მეტაფიზიკური ძალმოსილება აღწევს რა ჩვენს იმანენტურობაში, განგვაწყობს კეთილი საქმის ქმნადობისთვის. თუ ამას არ ვეთანხმებით და მივიჩნევთ, რომ არავითარი სიკეთე თავისთავად არ არსებობს, ვინაიდან ის არც ემპირიულ და არც რაციონალურ გამოცდილებაში არ გვეძლევა, მაშინ ამ ყველაფრის ახსნის ერთ-ერთ გზად რჩება უბრალო ჩვევა. კეთილქმედებას იმიტომ აქვს ხოლმე ადგილი ყოველდღიურ ყოფაში, რომ მავანი უბრალოდ მიეჩვია სიკეთის ქმნას. ნეტავ მართლაც ასე იყოს. მოვიფიქრებდით სპეციალურ პროცედურებს, კურსებს და ყველას ბავშობიდან დავაჩვევდით სიკეთის ქმნას.

ჩვევა გულისხმობს რაღაცის რეგულარულ განმეორებას, რომელთა ციკლის შემდეგაც ვეჩვევით იმას თუ ამას. წარმოვიდგინოთ კაცობრიობის ისტორიაში განხორციელებული პირველი კეთილქმედება. თუ ის მართლაც პირველი იყო, მაშინ მას წინ არ უძღვოდა არავითარი რეგულარული ციკლი. ამიტომ სიკეთის ქმნის შეჩვევის საფუძველზე ახსნა გამორიცხულია.

მეორე გზად შეიძლება დაისახოს ე.წ. წახალისება. ამ გზის აბსურდულობაზე საუბობდა იგივე ნიცშე, როცა აკრიტიკებდა „ინგლისელ ფსიქოლოგებს“ თავის „მორალის გენეოლოგიაში“. საზოგადოების წევრები უხსოვარი დროიდან აქებდნენ სხვათა არაეგოისტურ ქმედებებს. როცა მავანი იქცევა ალტრუისტურად და ამისთვის ქებას იმსახურებს, ეს ხდება მასტიმულირებელი იგივენაირად მოქცევისთვის და ესაა, მათი აზრით, ის, რაც შემდგომ სიკეთის სახელით ინათლება.

ჯერ ერთი ასახსნელი ისაა, თუ რატომ მოიქცა მავანი თავისი ეგოს საწინააღმდეგოდ, ეს ბუნებისა და ბიოლოგიის კანონებით სრულიად გაუგებარია და, მერე მეორე, მას შექება შეიძლებოდა მიეღო იმისგან, ვინც ასევე შეუქიათ სხვებს ანალოგიური ქმედებისთვის და ასე უსასრულოდ; ამდენად, აქაც მივდივართ თავდაპირველ კეთილქმედებასთან. საიდან წარმოსდგა პირველი სიკეთე ქმედება, თუ მანამდე ამის პრეცედენტი, რომელიც გამოდგებოდა ჩვევისა და ქების მაგალითად ბუნებაში არ არსებობდა?

არის ასევე ცდები იმისა, რომ სიკეთე გაიგონ როგორც სასიცოცხლო ენერგიის სხვისთვის ნებაყოფლობით გაცემად. ეს თვალსაზრისი ფაქტიურად იგივე შინაარსს ატარებს რასაც არაეგოისტური ქმედებისთვის წახალისებისა თუ შექების შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ასახსნელი ხომ სწორედ ისაა, თუ რატომ გავცემ მე ნებაყოფლობით ჩემს სასიცოცხლო ენერგიას, რისი ძალითა და პირობით, ეს ხომ ეწინააღმდეგება ბუნებისმეტყველების კანონებს.

კანტისეული ვალდებულების ეთიკაც ვერაა მთლად უანგარო, რამეთუ მე სიკეთეს იმიტომ ჩავდივარ, რომ მეც ასევე მომექცეს სხვა. თუ ასე არაა, მაშინ როგორ გავიგოთ ვალდებულება? რატომ ვარ ვალდებული, რომ სხვას სიკეთე გავუკეთო?

რაც შეეხება ბენტამისეულ სასარგებლოობის ანუ უტილიტარულ ეთიკას, აქ საკითხავია – თუ სიკეთის ქმნა სასარგებლოა, სარგებლის მომტანია, მაშინ რატომ არ სჩადიან მას რეგულარულად? რით ვეღარ შეიგნო საუკუნეების მანძილზე კაცობრიობამ, რომ სიკეთის კეთება სარგებლის მომტანია? პირიქით, სიკეთეს როცა ვუკეთებ სხვას ძირითადად ისე ხდება, რომ სარგებელს კი არ ვნახულობ ამით, არამედ ვისაკლისებ იმას ან ამას, ხოლო იმ სხვას ჩემმა გაცემულმა შე-

იძლება სარგებელი კი არ მისცეს, არამედ კისერი წაატეხვინოს.

დიახ, სიკეთის ფენომენი ამქვეყნიური, მატერიალური სამყაროს კონტექსტში საერთოდ ვერ თავსდება. ნიცშეს ცნობილი დებულება, რომ თითქოს სიკეთეზე აპელირება სუსტთა გამოგონებაა თავის დასამკვიდრებლად, მხოლოდ ერთ რამეშია სამართლიანი – ის რაღაც არაამქვეყნიურია, არაბუნებრივია. ცხოველთა სამყაროში ინდივიდისა თუ პოპულაციის მიერ თავის დამკვიდრება ძალაზეა დამოკიდებული და ეს სავსებით ბუნებრივია, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში თურმე მავანნი თავს იმკვიდრებენ სიკეთის კეთებით. ნიცშესთვის ეს აბსურდია. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მას არასოდეს უხილავს იდეა თავისთავად. რომლის ხილვის შემდგომაც, პლატონის თქმით, აღარც ჭამა გვახსენდება, აღარც სმა და მხოლოდ მის ჭვრეტაზე ორიენტირებულნი ვიკვებებით ნეტარების მომგვრელი ძალებით. ნიცშე ხომ სციენტიზმის ეპოქაში ცხოვრობდა, ეპოქაში, რომელსაც გაეჩნია მხოლოდ ემპირიული თვალი და არა „თვალი გონებისა“. ნიცშეს ალაბათ სწორედ ის ანგრევდა შინაგანად, რომ ეძიებდა და ვერ ჭვრეტდა უმაღლეს იდეას.

ეს უმაღლესი იდეაა პირობა და საფუძველი კეთილქმედებისა. უბრალო მოკვდავი იქნება თუ უდიდესი პიროვნება, მსგავსად ლაო ძისა, ბუდასი, იესოსი, რომელნიც საუკუნო ძალის მქონე ზნეობრივ ორიენტირებს ხაზავდნენ, სიკეთის უმაღლესი იდეა აპირობებს მათ ქმედებებს. განსხვავება იმაშია, რომ უბრალო მოკვდავი ვერ გაგცემთ პასუხს, თუ რა ამოქმედებს მას მაინცდამაინც კეთილქმედების მიმართულებით და რატომ, ხოლო იესოს მამა ღმერთის სახით თავად „უხილავს“ ეს მამოძრავებელი იდეა თავისთავად, ისევე როგორც – ბუდას ნირვანულ ნეტარებაში განუცდია ამ არაამქვეყნიურ საოცრებასთან მიახლებით გამოწვეული ძალმოსილება.

Irakli Gogichadze – Master of Philosophy, the author of numerous articles in theoretical philosophy field, mostly on philosophical anthropology. He also manages first Georgian philosophical website www.philosophya.ge.

THE IDEA OF KINDNESS AND PERSONALITY

ABSTRACT

The subject of this article is interpretation of the notion of kindness based on the anthropological picture depicted previously in the series of our articles.

We believe that the issue of what and how the notion of kindness was understood in the history of philosophy is divided in several stages and tendencies. Antiquity, middle centuries and present time are characterizes by two main tendencies. Justification of morality by the supernatural, eternal, divine and justification of morality by something that is human, rational, and earthly.

First tendency is represented by Plato, Neoplatonism, and Christianity; the second tendency is represented by Aristotle, Kant, and Nietzsche.

In case of the first tendency, **act of kindness**, as earthly act, which is defined in time and space; and kindness itself, as **the idea,** are distinguished. The act of kindness here is based on the idea of kindness. We should call this metaphysic justification of morality. No matter how severely metaphysics is criticized by Scientism, this is still justification in the sphere of morality.

While the second tendency, ended with Nietzsche as the notions of kindness and evil were replaced by the analysis of the notions of **weak** and **strong**, as a result of which morality remained unjustified. According to Nietzsche, kindness is nothing but an invention of the altruistic mind of the weak or sick and unnatural consciousness.

We prefer first tendency and believe that since an act of evil exists (Law, Culturology, Sociology, History and other fields cannot be imagined without this notion), it is an act of evil compared to or in relation to something. And this is nothing else but an act of kindness,

which is possible because **kindness itself** exists and is metaphysically justified by it. The reason we believe so is that according to the rules of nature which exist in the physical world, the existence of kindness is impossible, unexplainable and absurd, which was finally philosophically confirmed by Nietzsche.

We believe that the highest demonstration of the **act of kindness** is for the purposes of communion with the **idea of kindness** only, which represents a personal act and only this is the selfless deed of kindness.

წარმოადგინა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებამ.

სამეცნიერო დისკუსია
SCIENTIFIC DISCUSSION

ამირან ბერძენიშვილი – ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მუშაობს სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერების ამ დარგებში, მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

უმაღლესი განათლების ძირითადი მომენტების ანალიზი საბჭოური პერიოდის დასასრულისა და პოსტსაბჭოური პერიოდის დასაწყისის საქართველოში

(საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების მიხედვით)

საბჭოური საგანმანათლებლო სისტემა საბავშვო ბაღიდან დაწყებული და ასპირანტურით დამთავრებული ძირითადად ცოდნის დაგროვებასა და კარგად შემსრულებელი მოქალაქის ჩამოყალიბებაზე იყო ორიენტირებული. მოქალაქის, რომელიც იმ დოზით იყო ინფორმირებული, რომ მიცემული დავალებების კარგად შესრულება შეძლებოდა. შესაბამისად, მთელი სწავლა – სწავლების სისტემა არსებული ცოდნის გადაცემას, ათვისებასა და დაგროვებაზე, ანუ აკუმულირებაზე იყო მიმართული. მასწავლებელი კლასში, პროფესორი აუდიტორიასა თუ კათედრაზე, არა მხოლოდ მენტორი, არამედ პატარა – ლოკალური მნიშვნელობის „დიქტატორიც“ იყო, რომელიც სკოლური ფილოსოფიისა და დაგროვილი ცოდნის პოლიტიკური სისტემის პრიორიტეტების შესაბამისად ათვისების ორგანიზებას უწყობდა ხელს. რაც თავის მხრივ მოზარდი თაობის უფრო მორჩილების და არა თანამშრომლობის და თანასწორობის სულისკვეთებით აღზრდას უწყობდა ხელს.

ჩემი პედაგოგიური გამოცდილება ძირითადად უმაღლესი განათლების სისტემას მოიცავს, რომელიც 1978 სასწავლო წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. პირობითად იგი შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:

– პირველი, 1978-დან 1990-მდე წლებს მოიცავს, ანუ როდესაც საბჭოური განათლების სისტემის ჩარჩოებში გვიწევდა სწავლება.

– მეორე, 1990 დან 2003 წლის პერიოდს მოიცავს, რომელსაც შეიძლება საბჭოური ტრადიციული სისტემიდან თანამედროვე დასავლური საგანმანათლებლო სისტემის მოდელების გაცნობიერების და ათვისების და რეალურ სინამდვილეში დამკვიდრების მცდელობის, ანუ გარდამავალი პერიოდი ვუწოდოთ.

– მესამე, 2005-6 წლებიდან იწყება, როდესაც უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში დასავლური საგანმანათლებლო სისტემის მოდელებმა მყარად დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი და მეტ – ნაკლები წარმატებით მთელი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა მოიცვა, რაც შეიძლება ითქვას დღემდე გრძელდება.

მართალია, ჩემი პედაგოგიური გამოცდილების მეორე და მესამე ეტაპზე საბჭოური უმაღლესი განათლების სისტემა ძირითადად ჩამოიშალა და დაიმსხვრა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისთვის დამახასიათებელი ცალკეული როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები დღემდე აგრძელებენ არსებობას.

ეს მომენტებია:

1. უმაღლესი განათლების საბჭოური სისტემა უპირატესად არა სტუდენტზე, არამედ პროფესორზე იყო ორიენტირებული.
2. სტუდენტი ესაა სუფთა დაფა, რომელზეც სისტემისათვის აპრობირებული, ძირითადად საშემსრულებლო უნარების ჩაწერა მიმდინარეობს.

3. უმაღლესი განათლების და საზოგადოდ განათლების სისტემა სტუდენტებსა თუ მოსწავლეებში არსებული ცოდნის, ინფორმაციის და გამოცდილების ფართო ჰორიზონტით დაგროვებასა და აკუმულირებას უზრუნველყოფდა. ამ მხრივ, საბჭოთა მოქალაქე ერთერთ ყველაზე წიგნიერ მოქალაქედ ითვლებოდა იმ პერიოდის მსოფლიოში.
4. მთელი განათლების და აღზრდის სისტემა საბავშვო ბაღიდან დაწყებული და ასპირანტურით დამთავრებული მარქსისტულ – ლენინური იდეებითა და ღირებულებებით იყო გამსჭვალული, რომელთა დაუცველობა და ცხოვრებაში მკაცრად გატარებისაგან ნებისმიერი გადახვევა დიდ იდეოლოგიურ შეცდომად და შესაბამისად ხალხის მტრობად შერაცხულიყო.
5. ინოვაციების შემოტანა, რომელიც უშუალოდ სტუდენტზე იქნებოდა ორიენტირებული და მასში თავისუფლებისა და შემოქმედებითი მიდგომის, რთულ სიტუაციებში დამოუკიდებლად აზროვნებისა და მოქმედების უნარების გამომუშავებაზე იქნებოდა მიმართული, სისტემისათვის რეალურად არასასურველ და მიუღებელ ორიენტირს თუ ფასეულობას წარმოადგენდა.
6. საბჭოური განათლების სისტემა ინფორმირებული, მაგრამ ცალმხრივად ინფორმირებული, „ჰომო სოვიეტიკუსისათვის“ უცილობელი უნარ – ჩვევებით აღჭურვილი, არაკრიტიკულად, არათავისუფლად მოაზროვნე, მორჩილი „პიროვნების“ ფორმირებას ცდილობდა.

საბჭოური საგანმანათლებლო სისტემა საკუთარი მოქალაქეების ამ სულისკვეთებით აღზრდას და მათში სისტემისათვის აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილებების აკუმულირებას მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე მეტ – ნაკლები წარმატებით ახორციელებდა. განსაკუთრებით ეს მა-

თემატიკის, ბუნებისმეცნიერების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების სფეროში არსებული ცოდნის მარაგის სიღრმისეულად ათვისებას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის 60 – 70 – იანი წლების საბჭოთა მოქალაქე ზოგადი განათლების, სპეციალობების დაუფლების, ცოდნის დაგროვების არეალითა და სიღრმით გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე დღეს, უმეტეს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში განათლების ახალი სისტემის მიერ აღზრდილი მოქალაქე დგას. იგი მრავალმხრივ განათლებული იყო, რომელსაც საკაცობრიო კულტურის თითქმის ყველა სეგმენტზე გარკვეული ცოდნა, ხოლო საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ჰუმანური ღირებულებები ათვისებული ჰქონდა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი ეს აკუმულირებული ცოდნა ცალმხრივად იდეოლოგიზირებული იყო, რითაც კრიტიკული და კრეატიული აზროვნების თავისუფლად განვითარება გამორიცხული იყო. მთელი საკაცობრიო კულტურის, მეცნიერებათა მონაცემების ჩათვლით, მარქსისტულ – ლენინური იდეოლოგიური დოგმების გამართლებასა და განმტკიცებაზე იყო მიმართული. ამ მხრივ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები აღმოჩნდნენ. თუმცა არც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები იყვნენ დალხინებულ მდგომარეობაში, გაიხსენეთ გენეტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, როდესაც გენეტიკა ცრუ – ბურჟუაზიულ მეცნირებად იქნა გამოცხადებული, ხოლო გენეტიკის სფეროში მომუშავე მეცნიერები ბურჟუაზიული კლასის მეხოტბეებად და ლაქიებად იქნენ შერაცხულნი.

არ დამავიწყდება ჩემი როგორც ლექტორის რანგში პირველი, 1978 წელს ოფიციალურად ჩატარებული ლექცია პირველკურსელ სტუდენტებთან, რომლის წაკითხვაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის(სპი – ГПИ) ფილოსოფიის კათედრაზე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე არჩევისას შემომთავაზეს. მაშინ როდესაც, მთელი ჩემი არსებით და საქმისადმი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით

მზად ვიყავი ფილოსოფიის რაობისა და ადამიანის ცხოვრებაში მისი როლის შესახებ ლექცია ჩამეტარებინა, არც მეტი არც ნაკლები, მეოცე საუკუნის სამოცდათიან წლეებში საბჭოელებისათვის კარგად ცნობილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაშინდელი გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის ავტორობით გამოცემული „მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ თემატიკისა და სულისკვეთების სტუდენტებისათვის გაცნობა დამავალეს. ამგვარი რამ, სერიოზულად და კრიტიკულად მოაზროვნე პროფესორებისა და სტუდენტებისათვის მიუღებელი იყო, რამეთუ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის ხელისშემშლელ და დამაბრკოლებელ ბარიერებს ქმნიდა ჭეშმარიტებების დაუფლებისაკენ მიმავალ ისედაც რთულსა და მძიმე გზაზე. სასწავლო კურსების აბსოლუტური უმრავლესობა თავიდან ბოლომდე მარქსისტულ – ლენინური იდეოლოგიის (და არა თუნდაც მარქსისტული ფილოსოფიის) პრინციპებსა და დოგმებზე იყო აგებული, რომელთა მთავარი მიზანი სტუდენტებში მხოლოდ ერთადერთი „ჭეშმარიტი“, „სწორი“ და „მეცნიერული“ მსოფლმხედველობის პრინციპებისა და ღირებულებების ჩანერგვაზე იყო მიმართული.

რაც შეეხება სწავლების პროცესს, ძირითადი ფორმა ლექცია იყო და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ცნებაც კი არ არსებობდა. ლექცია – სემინარებზე სტუდენტები ძირითადად სასწავლო დისციპლინაში არსებული ცოდნის მარაგის რაც შეიძლება სრულად ათვისებაზე იყვნენ ორიენტირებულნი, შესაბამისად, დარგის პროფესორის მიერ ლექციის უმთავრეს ღირსებად არა პრობლემურობა, არამედ ინფორმაციული სავსეობა, ამოწურვადობა იყო. ყველაზე მცოდნე, საგანს დაუფლებულ სტუდენტად ის ითვლებოდა, ვინც მოცემულ სასწავლო საგანში ცოდნის არსებული მარაგის მაქსიმუმს ფლობდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უდაოდ ნიჭიერ და პერსპექტიულ სტუდენტად უპირატესად ითვლებოდა ის, ვინც სასწავლო დისციპლინების ლაბირინ-

თებში დამოუკიდებლად გარკვევას, პრობლემების დანახვას და მათ არსში წვდომას, არსებული თეორიული თუ მეთოდოლოგიური სიძნელეების გაცნობიერებას თავისუფლად ახერხებდა, არა ნაკლებ წარმატებულ სტუდენტად მიიჩნეოდა. სწორედ ამ ტიპის მოაზროვნე სტუდენტებს არჩევდნენ მომავალი სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისათვისა და საპროფესოროდ მომზადებისათვის. მაგრამ მთავარი იდეოლოგიური „სიწმინდე“ მარქსისტულ – ლენინური იდეოლოგიის დოქტრინა დაცული უნდა ყოფილიყო. ყოველი ამგვარი კრეატიულობა იდეოლოგიის ჩარჩოებში უნდა დარჩენილიყო, რამაც სოციალურ მეცნიერებებში ეგრეთწოდებულ „მომარქსვას“ და „პალიატურობას“ შეუწყო ხელი. როდესაც მეცნიერი, მოაზროვნე პიროვნება იძულებულია „ნახევრად სიმართლე“ და არა მთელი სიმართლე ილაპარაკოს, მით უფრო ამ სიმართლის საჯაროდ გამოქვეყნებისას მოსალოდნელ რეპრესიებზე არ იფიქროს. ამგვარი მიდგომის შედეგია ის, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს პოსტ – საბჭოთა სივრცეში არსებულ ქვეყნებში ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა: ისტორია, ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება და სხვა – ახლა იწყებენ აღორძინებას.

მართალია 1968 წელს, პირველად საბჭოთა კავშირში, საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ემპირიული – კონკრეტული კვლევების სოციოლოგიის კათედრა, რომელიც სოციოლოგიურ გამოკითხვებსა და კვლევებს მეცნიერულად და სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე კი ატარებდა, მაგრამ არა სოციალური რეალობის კვლევის შედეგად მიღებული სავალალო სურათის დადგენასა და შესაბამისად მისი გამომწვევი ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული მიზეზების გამოაშკარავებაზე იყო ორიენტირებული, არამედ იმისათვის რათა ინსტიტუციურად ეარსება, იძულებული იყო არსებული კონიუნქტურის ინტერესები გაეზიარებინა და დაეცვა.

მიუხედავად ასეთი მძიმე იდეოლოგიური ატმოსფეროს არსებობისა, სოციალური დისციპლინები და მათ სფეროში მოღვაწე პროფესორების უმრავლესობა, დასავლურ ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებებში არსებული სიახლეებისა და მიღწევების სტუდენტობისათვის გაცნობას მაინც ახერხებდნენ. მარქსისტული კრიტიკის ფონზე წამყვანი პროფესორები ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერების თანამედროვე მიმართულებების და მოაზროვნე ფიგურების: მაგალითად, ექსისტენციალისტების: მ.ჰაიდეგერისა და კ. იასპერსის, ლოგიკური პოზიტივისტების – რ. კარნაპისა და მ. შლიკის, სტრუქტურული ფუნქციონალისტების – ტ. პარსონსისა და რ. მერტონის და სხვათა თვალსაზრისების სტუდენტებისათვის სიღრმისეულად გაცნობას მაინც ახერხებდნენ.

უკვე ამ წლებში შეიმჩნეოდა, რომ სწავლების მხოლოდ ლექცია – სემინარული და ყოველწლიური საკურსოების დაცვით, სასწავლო პროცესი სტაგნაციის პერიოდში შედიოდა და სწავლების მსოფლიოში არსებულ მოწინავე და აპრობირებულ მოდელებს სულ უფრო შორდებოდა. მართალია, ამ პერიოდში ყოველწლიური საკურსო და სადიპლომო ნაშრომის დაცვისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების პროცედურები საკმაოდ მაღალ აკადემიურ დონეზე მიმდინარეობდა, მაგრამ ყოველივე ამას, ჩემი აზრით, ძლიერ აფერხებდა ის გარემოება, რომ თანდათანობით სტუდენტებისა და პროფესორების უპირატესი ყურადღების საგნად არა მთელი სემესტრის განმავლობაში სწავლება, არამედ გამოცდა იქცა. ასეთ ვითარებაში გამომცდელი პროფესორი გულმოდგინედ იმის დადგენას კი არ ცდილობდა თუ რა და როგორ იცოდა გამოსაცდელმა სტუდენტმა, არამედ იმას, თუ რა არ იცოდა, რათა პერმანენტული „შემდეგ“ მოსვლისათვის გაეწირა იგი. ასეთი მიდგომა არაფორმალურად სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისათვის არარსებული აკადაემიური საათების კომპენსირებას ახდენდა. მთელი სემესტრის მანძილზე თუ განმავლობაში სტუდენტი სასწავლი მასალის მეოთხედსაც

კი ვერ ითვისებდა, და რარაც „მანქანების ძალით“ სასესიო პერიოდში, რომელიც მაქსიმუმ ექვსი კვირის განმავლობაში ტარდებოდა, იგი მეტ – ნაკლები წარმატებით ხუთი თუ ექვსი გამოცდის, ფაქტობრივად ხუთი დღის განმავლობაში კი საგამოცდო დისციპლინის ბილეთებში მოცემული სამოცდა-ხუთმეტი საკითხის დასწავლას ახერხებდა. რამაც, საბოლოოდ, ამგვარი სისტემის გადაგვარებამდე მიგვიყვანა და წინა პლანზე წამოიწია ისეთი მახინჯი მოვლენები, როგორიც იყო: მოქრთამვა – ქრთამის აღება, პროტექცია ე. წ. „ჩაწყობა“ და სხვა. უკვე მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ამგვარმა – უკურნებელმა სენმა მთელი საგანმანათლებლო სისტემა მოიცვა და განათლების საბჭოურ სისტემას სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. რომ არა ცალკეული სამეცნიერო მიმართულებების მესვეურებისა და პროფესორების ძალისხმევა, იგი საერთოდ აღებ – მიცემობის ეკონომიკურ სისტემად იქცეოდა. ის ვინც ნამდვილი ცოდნის მიღებას და დაუფლებას ცდილობდა, იძულებული ხდებოდა საგნის მცოდნე რეპეტიტორი დაექირავებინა, რათა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულიყო, ხოლო შემდეგ ამავე წესით მასში სწავლების პროცესი მეტ – ნაკლები წარმატებით განეგრძო.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი, რამაც საბჭოთა კავშირის დაშლას შეუწყო ხელი, განათლების, განსაკუთრებით, უმაღლესი განათლების სფეროში არსებულმა აკადემიურმა, სოციალურმა თუ სხვა გადაუჭრელმა პრობლემებმაც შეუწყო ხელი.

პედაგოგიური გამოცდილების მეორე ეტაპზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას(1990) და საბჭოთა კავშირის დაშლას(1991) მოჰყვა, სწავლა სწავლების პროცესის რადიკალური გაუმჯობესების, მსოფლიოში არსებული ოპტიმალური და აპრობირებული მოდელების გააზრებისა და რეალურ სასწავლო პროცესში დანერგვის მიზნით რეფორმების გატარების აუცილებლობა თავად შეცვლილმა პირობებმა გვიკარნახა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქართული საგანმანათლებლო სისტემა ისეთი იდეოლოგიური სასწავლო დისციპლინებისაგან, როგორებიც იყო მარქსისტულ – ლენინური ფილოსოფია – დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსისტული ეთიკა და ესთეტიკა, პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერული კომუნიზმი, ათეიზმი ოფიციალურად გათავისუფლდა. მიუხედავად ამისა, მარქსისტული იდეოლოგია ჯერ კიდევ ინარჩუნებს, მართალია ლატენტურად, თავის გავლენას, რაც ზოგიერთი სასწავლო დისციპლინის არქიტექტონიკის, სტრუქტურირებისა თუ გადმოცემის მეთოდებში საკმაოდ ნათლად ჩანს.

უკვე მეოცე საუკუნის 80 – იანი წლების დასარულს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე წლით ადრე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებას იწყებს სოციალური მეცნიერების ისეთი დარგები, როგორებიცაა: სოციოლოგიის მიმართულება ფილოსოფიის ფაკულტეტზე, პოლიტიკური მეცნიერების(პოლიტოლოგიის) მიმართულება – ისტორიის ფაკულტეტზე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი საერთაშორისო ურთიერთობების, საზოგადოებრივი გეოგრაფიის, სოციალური მუშაობის მიმართულებები იმკვიდრებენ თავიანთ ადგილს. რასაც 2005 წლისათვის ამ დისციპლინების ფსიქოლოგიისა და ჟურნალისტიკის მიმართულებებთან გაერთიანებას მათ ერთ ფაკულტეტად გაერთიანება მოყვა, რომელსაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელი ეწოდა. იგი დღემდე წარმატებით აგრძელებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების სწავლისა და სწავლების მსოფლიოში აპრობირებული მოდელების ათვისებას და რეალობაში დამკვიდრებას, თუმცა არც ძველი გამოცდილების დადებითი მომენტების გამოყენებაზე ამბობს უარს.

ჩემი პედაგოგიური გამოცდილების მეორე პერიოდი, რომელიც შეიძლება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე გარდამავალ პერიოდადაც კი იწოდოს, სწორედ მეოცე

საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან 2005 წლამდე მონაკვეთს უკავშირდება. ეს პერიოდი შეიძლება უპირველეს ყოვლისა პროფესორთა კორპუსში საგანმანათლებლო პროცესის რეფორმირების ძლიერი ენთუზიაზმით დახასიათდეს. რომ არა განახლების ასეთი ენთუზიაზმი, ისეთ მძიმე სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში, რომელშიც ქართული საზოგადოება იმყოფებოდა, არათუ რაიმეს განახლება, არამედ სწავლების მინიმალური სტანდარტების დაცვით გაგრძელებაც (ფუნქციონირებაც) კი შეუძლებელი იქნებოდა. თითქმის ყოველ სემესტრში ახალი დისციპლინების და თემების ათვისება ხდებოდა, რათა სტუდენტები სწავლების ახალ რელსებზე გადაგვეყვანა. მოცემულ პერიოდში, მთავარი სიახლე სწორედ ახალი სასწავლო დისციპლინების შემოტანას, ახალი სამეცნიერო კვლევითი ლიტერატურის და დასავლური გამოცდილების ათვისებაში მდგომარეობს. ძველი იდეოლოგიურად დატვირთული სასწავლო დისციპლინებიდან ყველაზე მეტად მარქსიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის მოძღვრება დაზარალდა, რომლის არათუ რაიმე დამსახურების აღნიშვნა, არამედ სახელის ხსენებაც კი სტუდენტებში ძლიერ უარყოფით ემოციებს იწვევდა.

რაც შეეხება უშუალოდ სწავლების პროცესს, პროფესურას სრული უფლება ეძლევა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას იგი, თან ისე, რომ ზემოდან – განათლების სამინისტროდან მითითებები მინიმალურია, ახალი რეფორმების გატარების ინიციატორი კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულება და მისი აკადემიური პერსონალი გახდა. მართალია სწავლების პროცესში ძველი ფორმები ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავს, მაგრამ სიახლე ყოველგვარი იდეოლოგიური მითითებების გარეშე ახალი სასწავლო ლიტერატურის ათვისება გახდა. შესაბამისად, ადრე არ არსებული – არაღიარებული დისციპლინების პროფესიულად ათვისება და სტუდენტებისთვის გასაგებ ენაზე გადაცემა გახდა მთავარი. ამ ეტაპზე მთავარი ხსენებული დისციპლინების ძირითადი იდეების,

თეორიების თუ პრობლემების ათვისებაა, მათი კრიტიკული შეფასება კი სულ ბოლო ადგილზე ინაცვლებს. სოციალურ მეცნიერებებში „მრავალღმერთიანობა, პოლითეიზმი“ იკავებს ადგილს. სიახლეა ისიც, რომ სტუდენტებს სოციალურ მეცნიერებაში არავინ თხოვს ამ საგნების შესწავლისას მკაცრად გამოხატული თეორიული თუ მსოფლმხედველობრივი პოზიცია დაიკავოს. პროფესორის და სტუდენტიც ხარბად ეწაფება ადრე არაღიარებულ სასწავლო დისციპლინებს და მათში მოცემულ თეორიულ შეხედულებებს. იბეჭდება ახალი სალექციო კურსები თუ სახელმძღვანელოები, ხდება პროფესურის ამ ახალი დისციპლინების სულისკვეთებით გადამზადება, დასავლეთიდან გვსტუმრობენ და სოციალურ მეცნიერებებში არსებულ სიახლეებს გვაცნობენ. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევდა ღია საზოგადოება – თავისუფალი საქართველოს „სოროსის ფონდი“, რომელიც სოციალური მეცნიერებების განვითარებისადმი ხელის შეწყობას დღემდე აგრძელებს. ჩვენ, პროფესორებმა და სტუდენტებმა, განსაკუთრებით პროფესორებმა თითქოს ხელახლა აღმოვაჩინეთ ისეთი მოაზროვნეები: კ. მარქსი, ე. დიურკემი, მ. ვებერი, გ. ზიმელი, ვ. პარეტო, გ. მიდი, პ. სოროკინი, ტ. პარსონსი, რ. მერტონი და სხვები. ამიტომ, პოსტ საბჭოთა დამოუკიდებლობის და ჩემი პედაგოგიური გამოცდილების მეორე ეტაპზე უპირატეს მნიშვნელობას ახალი მიმართულებების ათვისება და სტუდენტებამდე მათთვის გასაგებ ენაზე გადაცემას უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობდით, ვიდრე სწავლების ახალი მეთოდების გაცნობიერებულ, მიზანმიმართულ გამოყენებას. თუმცა, უკვე ახალი სიტუაცია დაინტერესებული სტუდენტებისაგან რეალურად მოითხოვდა ისეთი მიდგომების ათვისებას და გამოყენებას, როგორებიცაა ჯგუფური მუშაობა, საინტერესო და აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე პრეზენტაციები, სოციალური მეცნიერების კლასიკოსებზე ესების მომზადება და სხვა, რაც თავის მხრივ არა მხოლოდ სტუდენტებში თეორიული შეხედულებების და კვლევის უნარების, არამედ თა-

ვად სასწავლო პროცესის გაღრმავებასა და განვითარებას ხელს უწყობდა. ჩემი პედაგოგიური გამოცდილების მესამე ეტაპზე, როდესაც საგანმანათლებლო სისტემა თითქმის მთლიანად დასავლურ მოდელზეა გადასული და სწავლების სამ საფეხუროვანი მოდელი – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა მეტ-ნაკლები წარმატებით იქნა დამკვიდრებული, როდესაც პროფესორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობები უფრო თანამშრომლობით ხასიათს ატარებს და მთელი სასწავლო სისტემა ცდილობს სტუდენტზე ორიენტირებას, დადებით მომენტებთან ერთად უარყოფითიც შეიმჩნევა: პირველ რიგში ეს ეხება პლაგიატს და გადაწერას, რაც ყოველგვარ შემოქმედებითობის, კრეატიულობის განვითარების უნარებს სპობს სტუდენტებში. გრძელდება წარსულის ყველაზე ცუდი ტრადიცია, როდესაც სტუდენტი მხოლოდ ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის მისაღებად იღვწის.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ცვლილებების, ინფორმაციულ ეკონომიკასა, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებსა და ინტერნეტის გარემოცვაში ცხოვრების სრულიად ახალ წესზე გადასვლის მოწმენი ვხდებით. ინფორმაციულ – კომუნიკაციური რევოლუციის შედეგად, რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ დაბადებულ თაობებს შორის უფსკრული გაჩნდა. რევოლუციამდე დაბადებული თაობის დიდი უმრავლესობა ჩვეული, ტრადიციული კატეგორიების ჩარჩოებში ვაზროვნებთ, თუმცა ნათლად ვაანალიზებთ იმ უფსკრულს, რომელიც რევოლუციის შემდეგ დაბადებულ თაობებისაგან გვაშორებს. ვართ კი „იმიგრანტი“ თაობის წარმომადგენლები, არა მხოლოდ ახალი ენის(დისკურსის) და ახალი ტექნოლოგიების, არამედ ახალი ღირებულებების, ცხოვრების ახალი წესის(ხასიათის) და ახალი კულტურის მისაღებად მზად. ახალი ეპოქა ინფორმაციის მასობრივი მოხმარების დასასრულს, ე.ი. მასობრივი კომუნიკაციებიდან ინდივიდუალი-

ზირებულ, ერთმიმართულებიანი, ცალმხრივი კომუნიკაციებიდან მრავალი მიმართულების მქონე კომუნიკაციებზე და პასიური აუდიტორიიდან ინტერაქტიურ აუდიტორიაზე გადასვლას ნიშნავს.აქედან კი ის გამოდის, რომ მასწავლებელი, პროფესორი დღეს, მეტად აღარ არის ერთადერთი სარწმუნო, ჭეშმარიტი ცოდნის მატარებელი, სახელმწიფო კი საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტების მატარებელი, ხოლო მოსწავლე – მორჩილი მომხმარებელი. განათლებაში ამგვარი ძვრა სრულიად ახალი ურთიერთობების წარმოშობას მოასწავებს, რომელთა დამკვიდრებაც განათლების სისტემის ნაწილობრივი რეფორმირების გზით შეუძლებელია. აუცილებელია მისი ხელახალი შექმნა, სრულიად თავიდან დაწყება, თანაც (პარადოქსია, მაგრამ გარდუვალი) „რევოლუციამდელი", არც ძალიან „წიგნიერი" თაობების ძალისხმევით.

კომუნიკაციის ენა, რომლითაც დღეს ახალი ეპოქის ახალგაზრდა და „წიგნიერი" წარმომადგენელი ოპერირებს, ფრიად რთულია და თავის თავში ერთმანეთზე აქტიურად ურთიერთზემოქმედ ქვესისტემათა სიმრავლეს მოიცავს. ცხადია, რომ რაც უფრო გვიან იწყებს ადამიანი ახალი ენის შესწავლას, მისი დაუფლება მით უფრო უძნელდება. ყველაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფი ციფრული წიგნიერების მიღწევაში 55 წლის და უფროსი ასაკის ადამიანები არიან. მათ ახალი ენისა და ტექნოლოგიების ათვისება არა მხოლოდ უძნელდებათ, არამედ ახალი ღირებულებების, ცხოვრების ახალი ხასიათის(წესის) და ახალი კულტურის ათვისებაც უჭირთ.

საქმე ის კი არაა, რომ ჩვენ ციფრულ ტერმინებში კარგად ვერ ვაზროვნებთ, არამედ ისაა, რომ ციფრული წიგნიერება იმ სოციოკულტურულ გარემოს განსაზღვრავს, რომელშიც ეს ბავშვები ცხოვრობენ, და მათ შორის ჩვენც ვცხოვრობთ. ისტორიის სანაგვეზე მიდის მასობრივი წარმოების, მასობრივი კომუნიკაციის და მასობრივი განათლების ეპოქა, და მასთან ერთად ისიც, რაც ჩვენთვის ფასეული და ძვირფასი –

ღირებული იყო. მეტად აღარ არსებობს ურყევი ჭეშმარიტებები და ავტორიტეტები – სამყარო ღიაა ახალი იდეების, ჰიპოთეზებისა და ფაქტებისადმი, რომლებიც ელვისებურად – ყოველწამიერ ახლდება და მოწმდება. წიგნი მეტად აღარ არის ცოდნის წყარო – იგი ვერ უსწრებს მას. ცოდნისა და მისი გადაცემის სისტემათა გაზომვის სტანდარტიზებული ინსტრუმენტები მოსწავლეთა მიერ ამ ცოდნის წვდომის ხასიათს უკვე აღარ შეესაბამებიან. უფრო მეტიც, განათლების სისტემაც კი ცოდნის გავრცელებაში თავის პოზიციებსა და პრიორიტეტებს კარგავს. შეიძლება მათ გარეშეც კი ისწავლო და თანაც წარმატებით. ამ ახალ სამყაროში თითოეულმა თვითონ უნდა იპოვოს თავისი თავი, თანაც მასობრივი შეხედულებების თუ ტრადიციული წარმოდგენების საპირისპიროდ, ვინაიდან ყველაზე მთავარი, ღირებულების მქონე საკუთარი იდეების პროდუცირება(წარმოება) უნდა ვისწავლოთ.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას ინტერნეტსა და ინფორმაციულ – კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე ხელი მიუწვდება, შეიძლება ითქვას პროფესორებზე უკეთაც ფლობენ ამ ტექნოლოგიებს, მიუხედავად ამისა, სტუდენტთა ძალიან ცოტა რაოდენობა ეძებს სასწავლო მასალასთან დაკავშირებულ სხვა ახალ ინფორმაციებს და ხშირ შემთხვევაში, სილაბუსში მითითებული ინფორმაციის ზერელე ათვისებით შემოიფარგლება. იგივე შეიძლება ითქვას ესეს თუ რაიმე პრობლემის თაობაზე გასაკეთებელი პრეზენტაციისათვის მზადების პროცესზე. სამწუხაროდ, სტუდენტთა უმრავლესობაში საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებული არსებული მასალების ინტერნეტშითავისუფლად მოძიებისა და შესაბამისად კრიტიკული გაანალიზების მზაობაჯერ კიდევ სასურველისაგა საკმაოდ შორსაა. ამ მხრივ შეიძლება პროფესორებიცსცოდავდნენ, რომლების თავიანთი დისციპლინების განვითარებას კვალში არ მიყვებიან და სიახლეების შემოტანას არ ახორციელებენ. თანამედროვე სწავლების ერთ ერთი უმთავრესი ნაკლი,თუ ძველის გადმონაშთი სწავლის

გადაჭარბებულ თეორიულობაში მდგომარეობს. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების სამივე საფეხურზე თეორიულ და კვლევითი კომპონენტების ათვისებაზე თანაბარი ძალისხმევაა მიმართული, სწავლება უპირატესად მაინც თეორიულ ხასიათს ატარებს. თუმცა ეს ყველა დისციპლინის ათვისებაზე არ შეიძლება ითქვას. ხოლო თუ განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ახლა ემპირიული კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებული უნარ – ჩვევების დაუფლება და გამოყენების სურვილი, უკანასკნელ ათწლეულში გაცილებით შესამჩნევი გახდა. სტუდენტების დიდი უმრავლესობა კვლევითი საქმიანობისადმი დაინტერესებას, მზაობას სულ უფრო მეტად გამოხატავს.

ამ მიმართულებით წარმატებით სვლას ხელს სასწავლო პრაქტიკის თითქმის არ არსებობა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების (თუ ასეთი საერთოდ არსებობს) გაუთვალისწინებლობა და მასთან მხოლოდ ფორმალური კავშირების არსებობა უშლის. ამ პრობლემების წარმატებით გადაჭრა საკმაოდ დიდ მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს, რაც ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე თითქმის შეუძლებელია. დასაქმების ბაზარს კი ვამბობთ, მაგრამ იგი ძალიან შეზღუდულია, ვინაიდან არათუ ახალი სპეციალობის შესაბამისი სამუშაოები, არამედ საზოგადოდ სამუშაო ადგილების რაოდენობა ძალზედ შეზღუდულია. ეს კი უმაღლესი განათლების სისტემებისა და ბიზნესის ურთიერთობების გაღრმავებასა და ურთიერთგავლენას ხელს უშლის. უმაღლეს დამთავრებულთა უმრავლესობა წლების განმავლობაში უმუშევარი რჩება, ან უკეთეს შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციის შესრულებითაა დაკავებული. ამიტომ, როცა სწავლების დასავლურ მოდელზე გადასვლასა და რეალურ ცხოვრებაში მის დამკვიდრებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა დავსვათ შეკითხვა – თუ როგორია არა მხოლოდ სპეციალისტების მიწოდება და რაოდენობა ბაზარზე, არამედ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან მის შესაბამისობა/

თანაფარდობაზე. ეკონომიკური პრობლემები ხშირად უმაღ-ლესი განათლების სისტემის განვითარების ნაცვლად, მის მოხრჩობას, უკეთეს შემთხვევაში კი მისი როგორც საგანმა-ნათლებლო სისტემის ფორმალურ შენარჩუნება უწყობს ხელს. ერთი რაღაც უნდა აღინიშნოს, რომელიც საუბარი თითქმის არ მიდის, როდესაც უმაღლესი განათლების პრობ-ლემებზეა კამათი. ეს არის დაფინანსება, სწავლის გადასახა-დი და პროფესორთა ანაზღაურება, რომელთა დასავლური უნივერსიტეტების მასწავლებლების ხელფასებთან შედარე-ბა მწარე ღიმილს იწვევს. ეს მაშინ, როდესაც მიზერული და-ნახარჯებით, როგორც სწავლების, ისე კვლევის სფეროში, მაქსიმალური შედეგის დადება გვსურს. ყველაზე დიდი ხელ შემშლელი გარემოება სწორედ მატერიალური დანახარჯე-ბით ის მიზერული რაოდენობა, რომელიც, ვერანაირად ვერ უწყობს ხელს იმას, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის, როგორც პროფესორი, ისე სტუდენტი თუ კურსდამთავრე-ბული დასავლეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან ღირსეულ კონკურენციაში შევიდეს.

მისასალმებელია, რომ სწავლების სისტემა ღიაა და თა-ვად უწყობს ხელს ღია საზოგადოების დამკვიდრებასა და განვითარებას საქართველოში, მაგრამ საკითხავია რამდე-ნად ღიაა თავად ქართული საზოგადოება ამ ინოვაციების მისაღებად და დასამკვიდრებლად, რამდენად აქვთ მის წევ-რებს გაცნობიერებული, რომ განათლების სისტემაში ყო-ველწლიურად მეტი ინვესტიციები უნდა ჩაიდოს, რომ ისეთ სამყაროში სადაც საზოგადოება სწორედ, რომ ცოდნით ახა-ლი ცოდნის მოპოვების შედეგად ვითარდება, ღირსეული ად-გილი დაიკავოს.

ჩვენი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სა-სახელოდ უნდა ითქვას ის, რომ მათ დროის უმოკლეს პერი-ოდში შეძლეს ძველის საგანმანათლებლო სისტემის არასა-სურველი მემკვიდრეობისგან გათავისუფლება და დასავლუ-რი სტანდარტების შესატყვისი სწავლების მოდელების დამ-

კვიდრება. მენტალურად, ჩვენი საზოგადოება მუდამ იყო ის საზოგადოება, რომელიც მიუხედავად მატერიალური სიდუხჭირისა განათლებას პრიორიტეტად ისახავდა. ეს პრიორიტეტი მხოლოდ ვირტუალურების სფეროში არ დარჩეს და რეალობად იქცეს, საჭიროა:

1. დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული საგანმანათლებლო სისტემების მიღწევების საკუთარი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ათვისება და დამკვიდრება.

2. დასავლური საგანმანათლებლო სისტემებისათვის დამახასიათებელი თავისუფალი, ღია და კრიტიკული ატმოსფეროს ანალოგის შექმნა.

3. ახლა დროა უფრო გაბედულად შევეჭიდოთ ინოვაციებს და ისეთ ტრადიციებზე არ უნდა ვთქვათ უარი, რომლებიც დღემდე მოიტანეს ქართული საგანმანათლებლო სისტემა, რომელშიც ძირითად ფიგურად მასწავლებელი, პროფესორი, მათი მაღალი კვალიფიკაცია და ავტორიტეტი რჩება. მიზერული გასამრჯელოს მიუხედავად ქართველი მასწავლებლები და პროფესორები დღემდე მოწოდების სიმაღლეზე დგანან.

4. აუცილებელია სხვა მოწინავე უნივერსიტეტებთან არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ პროფესორების გაცვლას და ახალგაზრდა მეცნიერთა ხანგრძლივ მივლინებებს, ან საკვალიფიკაციოდ გადასამზადებლად მივლინებას ხელი შევუწყოთ. ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და კვლევებისადმი ხელის შეწყობა. ქვეყანაში გაიხსნას წამყვანი დასავლური უნივერსიტეტების ფილიალების მსგავსი დაწესებულებები (რისი პრეცენდენტიც უკვე არსებობს სან დიეგოს უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტის სახით).

Amiran Berdzenishvili – Doctor of Philosophy, Professor of Tbilisi Iv. Javakhishvili State University. Prof. Berdzenishvili works in the field of Social and Political Philosophy and Sociology. He has published many scientific works in science fields, including monographs and textbooks**.**

ANALYSIS OF PRINCIPAL STAGES OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA BY THE END OF THE SOVIET PERIOD AND THE BEGINNING OF THE POST – SOVIET PERIOD (ON THE BASIS OF PERSONAL PEDAGOGICAL EXPERIENCE)

ABSTRACT

An attempt to analyze the principal indicators of my pedagogical experience that started in 1978 and has lasted up to the present and to characterize briefly those crucial stages that conditioned fundamental changes of Georgian system of higher education during this period is given in the article.

Conventionally the period can be divided into three stages:

The first stage – 1978 – 1990 – is the period when we had to teach within the framework of the Soviet system of higher education.

The second stage – from 1990 to 2003 – can be called a transitory period when attempts to understand models of up – to – date western educational system and assimilate and establish them in the reality are made.

The third period has started in 2005 – 6 when models of western educational systems are firmly established and spread with more or less success through the whole educational system; this process continues up to the present day.

It is true that at the second and third stages of my pedagogical experience the system of the Soviet education was destroyed, but we should not forget that separate positive as well as negative moments which characterized it are still present. The article highlights such moments and helps to clarify and comprehend them.

ფილოსოფიის ინსტიტუტის ისტორიიდან

FROM THE HISTORY OF THE INSTITUTE OF PHILOSOPHY

მიხეილ მახარაძე

ეპიზოდები ფილოსოფიის ინსტიტუტის ცხოვრებიდან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს, რომელიც 1997 წლიდან ფაქტობრივად მისი სახის მიმცემის სავლე წერეთლის სახელს ატარებს, დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს. აქ, გარდა ფუნდამენტური კვლევებისა, ადგილი ჰქონდა ისეთ არაორდინარულ შემთხვევებსაც, რაც ჩვეულებრივი ამბავია იქ, სადაც გამოჩენილი თუ რიგითი მოკვდავები იღვწიან. სწორედ ამ მოვლენებზე გვექნება საუბარი წინამდებარე მოგონებებში.

* * *

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როცა ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი იყო სავლე წერეთელი, მეცნიერებათა აკადემიაში კვლევითი ინსტიტუტების შემცირების საკითხი დადგა. შესამცირებელთა რიცხვში აღმოჩნდა ფილოსოფიის ინსტიტუტიც. აკადემიაში ამის თაობაზე გამართულა დისკუსია და თითქმის გადაწყვეტილა, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტი შესამცირებელთა რიცხვში უნდა დარჩენილიყო.

ბოლოს სიტყვა აუღია სავლე წერეთელს. მან აღნიშნა, რომ პირველი აკადემია ფილოსოფოსმა პლატონმა დააარსა და რამდენად გამართლებული იქნებოდა აკადემიის სისტემაში ფილოსოფიის ინსტიტუტის გაუქმება.

ძნელია იმის თქმა – რამდენად იმოქმედა ბატონი სავლეს გამოსვლამ აკადემიის მესვეურებზე, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მაშინ ფილოსოფიის ინსტიტუტი არ გაუუქმებიათ.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტს არსებობის მანძილზე არაერთი შეტევა მოუგერიებია. ერთ-ერთი ასეთი შეტევა დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ედუარდ შევარდნაძე. ახალმა კაცმა ახალი წესრიგის დამყარება დაიწყო და მალე მიზანში ამოიღეს ფილოსოფიის ინსტიტუტი. შეიქმნა კომისია, რომელმაც ინსტიტუტს მრავალი „ნაკლი" აღმოუჩინა. კომისიამ საბოლოო დასკვნები ინსტიტუტის საერთო კრებას უნდა გააცნოს. ამას კი, საყოველთაო აზრით, დირექტორის შეცვლა უნდა მოყვეს და მისი ადგილი უნდა დაიკავოს ცკ-ის სასურველმა პიროვნებამ.

სინამდვილეში ეს იყო ცკ-ის გამსვლელი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა იდეოლოგიის დარგის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა აკადემიის წ/კოროსპონდენტი /შემდგომში აკადემიკოსი/ ემილ სეხნიაშვილი.

სხდომა მცირე ინცინდენტით დაიწყო. პოეტი – აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, რომელიც მაშინ აკადემიის ერთ-ერთი ვიცე – პრეზიდენტი იყო, იქ არ დაჯდა, სადაც უნდა დამჯდარიყო. მას სთხოვეს, რომ სტატუსიანი სტუმრების გვერდით დაეკავებინა ადგილი. მან კი უპასუხა: „აქედანაც კარგად ვხედავ ყველაფერსო".

აქ კი ინსტიტუტის დირექტორმა – ნიკო ჭავჭავაძემ მოკლე რეპლიკა ესროლა აბაშიძეს – „თქვენ საერთოდ ყველა ადგილიდან კარგად ჩანხართ". უხერხული სიტუაცია მალე განიმუხტა, რადგანაც მთავარი საქმე დაიწყო.

ეს სხდომა კიდევ ერთი მომენტით არის საინტერესო. როცა სხდომის წამყვანს გაუჭირდა დარბაზის დაშოშმინება, რამდენიმეჯერ მძლავრად დაჰკრა ტორი მაგიდას. აქ კი, მოთმინების ფიალა აევსო ერთ ჩვენს თანამშრომელს და შეუტია შემდეგი სიტყვებით: „ასე გვიბრახუნებდა ხელებს ბალავაძე, მაგრამ ჩვენ აგერ ვართ და ის კაცმა არ იცის სად".

ბალავაძე იდეოლოგიის დარგში ცკ – ს მდივანი ყოფილა იმ დროს, როცა ინსტიტუტის დირექტორი იყო სავლე წერეთელი. ის თავის კაბინეტში ლამის ფიზიკურად შეხებია ბატონ სავლეს – ამ ღვთისნიერ პიროვნებას. ამასთან, უთქვამს – რა გახდა ბოლოსდაბოლოს ეს ჰეგელი, მომიტანეთ მისი წიგნი და ხვალვე გეტყვით ჩემს აზრსო.

მაშინ სავლე წერეთელი მოხსნეს ინსტიტუტის დირექტორობიდან. არ ვიცი როდის, მაგრამ მალე ბალავაძეც მოუხსნიათ დაკავებული თანამდებობიდან.

* * *

ერთ დროს, ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებაში ერთდროულად ირიცხებოდნენ: შალვა ნუცუბიძე და სერგი დანელია, ზურაბ კაკაბაძე და გურამ თევზაძე, არჩილ ბეგიაშვილი და ვაჟა გოგობერიშვილი... განყოფილებას კი ხელმძღვანელობდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის აღიარებული მკვლევარი შალვა ხიდაშელი...

ხიდაშელს არაერთხელ მოუყოლია ერთი ასეთი ფაქტი: მოსკოვის რომელიღაც სამეცნიერო დაწესებულებიდან სარეცენზიოდ გადმოუგზავნიათ სამეცნიერო ნაშრომი, რომლის რეცენზირებაც დაევალა ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას. ნაშრომს გაეცნო განყოფილების ყველა წამყვანი თანამშრომელი სერგი დანელიას გარდა. როგორც იქნა გამოჩნდა სერგი დანელიაც. ხიდაშელმა გადასცა მას ნაშრომი, აუხსნა საქმის ვითარება და თანაც ჰკითხა თუ რამდენ დღეში დააბრუნებდა ნაშრომს და რეცენზიას. მაქსიმუმ ორი – სამი დღე. დანელიას აუღია ნაშრომი, გამომშვიდობებია განყოფილების ხელმძღვანელს და ოთახიდან გასულა. თუმცა მალევე უკან მობრუნებულა და უკითხავს ხიდაშელისთვის,

„ – ნუცუბიძეს რამდენი ხნით ჰქონდა ნაშრომიო“.

„ – ხუთი დღით“, უპასუხია ხიდაშელს.

„ – მაშინ მე ექვსი დღე დამჭირდებაო“ და სწრაფად გასულა ოთახიდან.

* * *

1977 წელი იყო. ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე, სადაც ცოტა მოგვიანებით შევედი, გარედან მოსული სტუმრის სტატიას იხილავდნენ ჟურნალ <<მაცნეს>> ფილოსოფიის სერიაში გამოსაქვეყნებლად. სტუმარი ხანშიშესული და ტანმორჩილი იყო, მორიდებულად ლაპარაკობდა და თანაც ლამის ემუდარებოდა, რათა მისი სტატიის გამოქვეყნებაზე მხარი დაეჭირათ. განხილვისას სტატიამ და მისმა ავტორმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ამის მიუხედავად, სტუმარი უარით გაისტუმრეს. როცა სხდომის წამყვანი მარტო დარჩა, მასთან შევედი და ჩემი გაკვირვება გამოვხატე.

პასუხად ის მივიღე, რომ ეს პეტრე შარიაა, რომელიც ჩვენს მასწავლებლებს იდეოლოგიური ბრალდებებით ებრძოდაო.

რამდენიმე დღეში ეს ამბავი და ჩემი გაკვირვება უნივერსიტეტში ერთ ცნობილ ფილოსოფოსს ვუამბე. მისი პასუხიც სხდომის წამყვანის აზრის იდენტური იყო. ჩემს სახეზე გაკვირვება რომ შენიშნა, დაამატა: „შენ რომ მოსწრებოდი მის საქმეებს, აღარაფერი არ გაგიკვირდებოდაო“.

როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში არაფერი თქმულა თავისთავად ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაზე. მოკლედ, შურისძიება ძალაში იყო, მხოლოდ აქცენტები იყო გადანაცვლებვლი. რის ამაღლება და რის ამაღლებულობა!

* * *

1985 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელ პრეზიდენტს, აკად. ევგენი ხარაძეს ბულგარეთში ყოფნისას უნახავს კარგად გამოცემული ბულგარული ფი-

ლოსოფიის ისტორიის ორტომეული. ეს ამბავი საქართველოში დაბრუნებისთანავე უამბნია აკადემიის მაშინდელი ვიცე – პრეზიდენტ, აკადემიკოს ანდრია აფაქიძისთვის. ამ საუბრის შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ ურიგო არ იქნებოდა შექმნილიყო ქართული ფილოსოფიის ისტორია. ბუნებრივია, ეს საქმე უნდა ეკისრა ფილოსოფიის სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტს.

ბატონმა ანდრიამ რამდენიმეჯერ წერილობით მიმართა ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომ ამის თაობაზე აკადემიისთვის მიეწოდებინათ თავიანთი წინადადება. ფილოსოფიის ინსტიტუტში ამ საქმეს უპერსპექტივოდ მიიჩნევდნენ და ამიტომაც არ პასუხობდნენ ბატონ ანდრიას წერილებს.

იდგა 1985 წლის დეკემბერი. მიხმო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ თამაზ ბუაჩიძემ და მის კაბინეტში შესულს მითხრა, რომ უნდა ვუშველო და მდგომარეობიდან გამოვიყვანო. როგორც მან ამიხსნა, ბატონი ანდრია ძალიან გაბრაზებულია მისი წერილებისადმი ჩვენი დამოკიდებულებით. ბუაჩიძეს კი გამოსავალი იმაში უპოვია, რომ მისთვის უთქვამს – „გამოვაგზავნი თანამშრომელს, რომელიც შეიძლება ამ საქმეში გამოგვადგესო“.

მაშინვე წავედი აკადემიაში და თან გზაზე გეგმებს ვაწყობ. ბატონი ანდრია პირქუშად დამხვდა. მაშინვე საყვედური გამოთქვა ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიმართ. ჩემი აზრით, ფილოსოფიის ინსტიტუტის არსებობას საქართველოში უპირველესად ის გამართლება აქვს, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს შეისწავლის და დაამუშავებსო. კიდევ თქვა რაღაცები და შემომხედა. მის გამომეტყველებაში მარტივად იკითხებოდა გაკვირვება, რომ მე – ინსტიტუტის რიგით თანამშრომელს რა უნდა გამეკეთებინა.

ბატონო ანდრია, მივმართე მას. ეს ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ მისი განხორციელებისთვის არც ხათრი კმარა

და არც ხვეწნა – მუდარა. ბატონ ანდრიას სახეზე გაკვირვება დაეტყო.

აბა რაშია გამოსავალიო და მომაჩერდა.

რაკიღა საუბარი აეწყო, უფრო გავთამამდი და გაბედულად ვუთხარი: ეს საქმე რომ დაიძრას საჭიროა საქმეზე შეყვარებული ნიჭიერი ახალგაზრდა დამატებითი ხელფასით. თუ ვინ არის ასეთი ახალგაზრდა, ამის ძებნა საჭირო არ არის, ის თქვენს წინაშეა.

ბატონი ანდრია გაოცებული მიყურებს. მალე, რატომღაც რუსულად მითხრა: „ტი ოზადაჩილ მენია“ და იქვე დაამატა, რომ ვიფიქრებ ამაზეო და გამომემშვიდობა.

ზუსტად თვენახევრის შემდეგ 1986 წლის 30 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ბატონ ანდრია აფაქიძის წინადადების საფუძველზე მიიღო დადგენილება ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მომზადებისა და გამოცემის თაობაზე. მე ოთხტომეულის სარედაქციო კოლეგიის სწავლულ მდივნად ამირჩიეს ინსტიტუტში ჩემი ხელფასის ნახევრის დანამატით.

ჯერ საბჭოთა კავშირის დაშლისა და შემდგომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო ოთხტომეულის მომზადება გაჭიანურდა. თუმცა 2010 წლის აპრილში გამოცემა დასრულდა და იმავე წლის პირველ ივნისს მეცნიერებათა აკადემიაში მოხდა მისი წარდგინება.

2011 წლის მაისში ოთხტომეულის შემქმნელთაგან ოთხს, მათ შორის მეც, მოგვენიჭა ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში.

აქვე აღვნიშნავ, რომ ოთხტომეული პირველი ტომის გამოცემა დააფინანსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მეორე გამოიცა რუსთაველის ფონდის გრანტით, მესამე დააფინანსა პარლამენტარმა გოგი ლიპარტელიანმა, ხოლო მეოთხე – საქნავთმა /გენერალური დირექტორი – გიორგი მახარაძე/.

მინაწერი. 2013 წელს საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გამოვიდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მეორე შევსებული გამოცემა.

* * *

1988 წელი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობაზე გამოცხადებულ კონკურსში ოთხი პრეტენდენტია, მათ შორის, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკო ჭავჭავაძე და ინსტიტუტის ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი შალვა ხიდაშელი.

მოახლოებული კენჭისყრის წინ ინსტიტუტის ფოიეში პროგნოზებს აკეთებენ. ყველა ნიკო ჭავჭავაძეს უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას. მე ხიდაშელისკენ ვიხრები და ამან ყველა გააკვირვა.

– რას ემყარები, მეკითხებიან.

– საღ აზრს, ვპასუხობ და იქვე ვამატებ: დაწვრილებით არჩევნების შემდეგ მოგახსენებთ.

ჩატარდა არჩევნები, ჩემი ვარაუდი გამართლდა.

რას ვემყარებოდი? შემდეგ გარემოებებს:

1/ ხმის მიმცემთაგან უმრავლესობა თითქმის ხიდაშელის ასაკისანი იყვნენ;

2/ ხიდაშელი ქართულ ფილოსოფიაში მუშაობდა და ხმის მიმცემთა უმრავლესობა მეცნიერების ეროვნულ დარგებში მუშაობდა;

3/ ნიკო ჭავჭავაძე, როგორც ინსტიტუტის დირექტორი, პრინციპული და შეუვალი პიროვნება პრობლემებს უქმნიდა აკადემიის ხელმძღვანელობას და ბუნებრივია ასეთი პერსონის კიდევ უფრო გაძლიერება, მათ გეგმაში ნამდვილად არ შედიოდა;

4/ ხიდაშელმა ბოლო 7 წლის განმავლობაში გამოაქვეყნა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული(!) ფი-

ლოსოფიისა და ქართული (!) რენესანსის საკითხებზე, მათ შორის, ფუნდამენტური – <<ქართული ფილოსოფია>> /1988/.

ვგონებ საკმარისია.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტის ნამდვილი კოლორიტი იყო რომან შენგელია, ნიჭიერი ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი, არაერთ თავგადასავალ გამოვლილი კაცი. გაგანია საბჭოთა ხანაში – გასული საუკუნის 60 – იან წლებში მეჯვარედ გაჰყოლია ახალგაზრდა კოლეგას. გამხელილა ეს საქმე და ამტყდარა ერთი ამბავი. დაუბარებია ბატონი რომანი ინსტიტუტის დირექტორს, დიდ ფილოსოფოსსა და დიდ პიროვნებას სავლე წერეთელს, მიუცია კალამი, ფურცელი და უთქვამს მისთვის: დაწერე ახლა განცხადება ინსტიტუტიდან წასვლაზე, თორემ მე თუ გაგიშვი არსად აღარ მიგიღებენო.

ბატონი სავლე, ეს მთასავით კაცი დადგომია თავზე რომანს და მასაც რა უნდა ექნა, დაუწყია განცხადების წერა. პირველი წინადადება არ ჰქონია დამთავრებული და დირექტორი მისთვის დამახასიათებელი ცხვირში დუდუნით ეუბნება: „მოიცადე, მოვიფიქროთ რამე“.

რამდენიმე დღეში დირექტორმა მოიფიქრა ის, რომ ურჩი და „დამნაშავე“ შენგელია დატოვა ინსტიტუტში, სადაც ის მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

* * *

ოთარ ჯიოთი /ჯიოევი/ მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის უმნიშვნლოვანესი წარმომადგენელი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვითარება დაიძაბა ცხინვალის რეგიონში. ბატონ ოთარს, როგორც ოსი ხალხის შვილს ზოგიერთმა ქართველმა ალმაცერად დაუწყო ყურება. ერთი კომპარტიის ისტორიკოსი ისე შორს წავიდა, რომ ჯიოთის კრიტიკისას გულზე მჯიღს

იცემდა და წარბშეუხრელად წერდა: წიგნი კი არა სტატიაც კი არ დამიწერია ლენინზე და სხვა პარტიულ ლიდერებზე.

ამ პროფესორის კვლევის სფერო ვიცოდი და მისმა ამ თამამმა /უფრო თავხედურმა!/ ნათქვამმა დამაეჭვა. დავინტერესდი მისი „შემოქმედებით“ და რა აღმოჩნდა? ის რამდენიმე 500 – 600 გვერდიანი წიგნის ავტორი ყოფილა ლენინზე, სერგო ორჯონიკიძეზე და სხვ.

ჩემს წერილში ვამხილე ამ სიცრუეების ავტორი. როცა ბატონი ოთარი შემხვდა გამიღიმა და ჩემი აზრით, ასე სადად და მარტივად გამოხატა მან მადლიერება...

ამ წნეხმა ბატონ ოთარზე მაინც იმოქმედა, თითქოს ეჭვიანი გახდა, აღარ იყო ისე ღია და თავისუფალი. მახსოვს დედა ჰყავდა საავადმყოფოდან სახლში გადასაყვანი. იმის მიუხედავად, რომ მე არ ვიყავი მისი განყოფილების თანამშრომელი, დახმარება მთხოვა მის ერთ დისერტანტთან ერთად...

ალბათ, ბატონ ოთარს სრული საფუძველი ჰქონდა იმისა, რაც უთქვამს გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე: „ჩემი ცხოვრება ვერ შედგა, რადგანაც ქართველები ოსობას არ მპატიობდნენ, ხოლო ოსები ქართველებთან სიახლოვესა და მეგობრობას“.

* * *

2003 წლის 25 თებერვალს ოთარ ჯიოთის ხსოვნის საღამოზე სპარტაკ მხეიძემ გაიხსენა, რომ ერთ სუფრაზე ღვინო დაიწუნესო. ჯიოს უთქვამს: სუფრაზე მთავრობის კრიტიკა შეიძლება, ღვინისა – არა!

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობდა ბევრის მნახველი, გამოკვეთილი ანტისაბჭოელი და ნიჭიერი ფილოსოფოსი ჟორეს (გიორგი) ცინცაძე. ის „ყბედობისა“ თუ „ლაყბობის“

/ასეთებად ხასიათდებონენ საბჭოთა ეპოქაში ისინი, ვისაც ეროვნული პრობლემები აწუხებდათ/ გამო, დააპატიმრეს და10 წელი ციმბირში გაატარა.

ბატონი ჟორესი საინტერესო მოსაუბრე იყო. არ ერიდებოდა საბჭოთა სისტემისა და კომუნისტების კრიტიკას. გულს რომ იჯერებდა, ახალგაზრდებს გადმოგვხედავდა და მკაცრი ტონით გვეტყოდა: „ – თქვენ, თქვენ კომუნისტებმა დაღუპეთ ეს ქვეყანა“.

ერთხელაც, ბატონი ჟორესის მხრიდან მორიგი ასეთი შემოტევის შემდეგ, ვუთხარი, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ კომარტიის წევრი. ამას იგი არ ელოდა, თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა. მერე თავი ასწია და ოდნავ გაბზარული ხმით მითხრა:

„ – პარტიაში რომ არ იყავი, სწორედ ამით იყავი პარტიული!“

ამ ფრთიან გამონათქვამში არის გარკვეული სიმართლე თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ პარტიულებიც და უპარტიობიც იმ სისტემაში ვიყავით ჩამოყალიბებული.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტი ისე ცხოვრობდა, როგორც სხვა სამეცნიერო – კვლევითი დაწესებულებები. თუმცა, შიგადაშიგ ზოგიერთი თანამშრომელი წუხდა იმის გამო, რომ ინსტიტუტი მეორე კატეგორიის იყო და ამის შესაბამისად თანამშრომელთა ხელფასები შედარებით უფრო დაბალი იყო.

ერთხელაც მორიგი ასეთი ჩივილებისას თავი გამოიდო პროფესორმა აკაკი ციმინტიამ და მოუწოდა კოლეგებს ჩუმად ყოფილიყვნენ. თუ რატომ, ეს მარტივად ახსნა: „აქ ჩვენ ხელისუფლების კრიტიკის გარდა, მეტს არაფერს ვაკეთებთ და ამაში გვიხდის მთავრობა ფულს. თუ ნამეტანს ვიზამთ,

ერთხელაც იქნება სულაც გაგყვრიან აქედან“, დაასკვნა ბატონმა აკაკიმ.

პროფესორ ციმინტიას ამ სიტყვებში ნამდვილად იყო სიმართლის მარცვალი!

P. S. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე სიტყვა ითხოვა იგივე აკაკი ციმინტიამ. მან აღნიშნა, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბოლო ხანებში ქართველმა ფილოსოფოსებმა, განსაკუთრებით ფილოსოფიის ინსტიტუტში. უკვე დადგა დრო, რომ დავაყენოთ საკითხი ჩვენი ნაშრომების უცხო ენებზე თარგმნის თაობაზეო. სხდომაზე დროებით სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ სახის გამომეტყველებით ძნელი იყო იმის გარკვევა – თუ ვინ რას ფიქრობდა ბატონი აკაკის ამ წინადადებაზე. სიჩუმე ფილოსოფიაში უპრეტენზიო ტიმოთე მეტრეველმა დაარღვია: „დაჯედი /ამ სიტყვას ბატონი ტიმოთე მუდამ რაჭული ვარიანტით გამოთქვამდა/ ქაქუცა /ბატონ აკაკის თავდაპირველად სწორედ ეს სახელი რქმევია/, ძლივს გადმოვთარგმნეთ უცხოურიდან ეს ნაშრომები, ახლა რომ ჩვენი გვგონია და ეს დამახინჯებული ტექსტები იქით რომ გადავთარგმნოთ, რას იტყვიან იქ – ამ ავტორების სამშობლოში?“

რა დოზით იყო სიმართლე ბატონი ტიმოთეს სიტყვებში ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, ამის შემდეგ ეს საკითხი აღარავის დაუყენებია და არც არავის გახსენებია.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში მოღვაწეობდა არაორდინარული პიროვნება, ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და შესანიშნავი საჭადრაკო ეტიუდისტი ოთარ ტაბიძე. მისი საჭადრაკო ეტიუდები არაერთხელ ყოფილა ევროპულ კონკურსებზე. აკად. ანგია ბოჭორიშვილის გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებას. სამწუხაროდ, ნაადრევად გარდაიცვალა 1986 წელს.

ბატონი ოთარი, რომ იტყვიან ნადირობის ტრფიალი იყო. როგორც ეს მონადირეებს სჩვევიათ საერთოდ, ისიც უცნაურ და დაუჯერებელ ამბებს ყვებოდა.

ერთხელ ინსტიტუტის თანამშრომლებს უყვებოდა, რომ ორმოცი გასროლით ოცდაჩვიდმეტი მწყერი მოკლა. თუმცა ნადირობის არაფერი გამეგება, იმდენს მაინც ვხვდებოდი, რომ მონათხრობს არაფერი ექნებოდა საერთო სიმართლესთან. ალბათ, სხვებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ ბატონი ოთარისგან ასეთ რამეებს შეჩვეული იყვნენ და არც არავინ შეკამათებია. თურმე ჯერ სადა ხარ და მცირე პაუზის შემდეგ მან ვითარება უფრო „ნათელი გახადა“:

„ხომ არ გგონიათ ის სამი ტყვია დავაცილე? სამი დუპლეტი ვისროლე!“ ესე იგი, სამი მწყერიდან თითოეულს ერთდროულად ორ – ორი ტყვია დავახალეო...

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში ბოლო ათი წელი (1980-1990 წწ.) დაჰყო ევროპაში ყველაზე აღიარებულმ ქართველმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა. მის შესახებ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა ჩვენში. სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, არც თუ იშვიათად ისეთებიც, წარმოდგენაც რომ არა აქვთ ფილოსოფიაზე, ხშირად ასეთ კითხვას სვამენ – რა თქვა მან ახალი ფილოსოფიაში. რაც არ უნდა უთხრა და უმტკიცო, მაინც თავის აზრზე რჩებიან. აღარფერს ვამბობ მის მასონობაზე, ჯაშუშობაზე, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობაზე და ა.შ.

ბოლო ხანებში ბატონი მერაბის დასაცავად ერთ ხერხს მივაგენი, რაც ჯერჯერობით კარგად მუშაობს. მავანთა მხრიდან ამ ყბადაღებულ კითხვას, ვაგებებ კითხვას: რა გააკეთა ახალი კანტმა, მეორე შემთხვევაში – ნიცშემ, მესამეში – ჰაიდეგერმა და ა.შ. შეკითხვის ავტორებს, როგორც წესი,

პასუხი არა აქვთ და სახტად რჩებიან. ამით ეს უსიამოვნო თემაც ქრება.

* * *

1991 წლის ზაფხული იწყება, საქართველომ უკვე გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ფილოსოფიის ინსტიტუტში მორიგი სხდომის დაწყებამდე ინსტიტუტის დირექტორმა – ნიკო ჭავჭავაძემ მოგვიწოდა თანამშრომლებს, რომ გავაძლიეროთ მუშაობა იმ მიმართულებით, რაც სასიკეთოდ წაადგება ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ერთმა ჩვენმა უფროსმა კოლეგამ განაცხადა, რომ პოლიტიკა რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ხომ ფილოსოფოსები ვართო.

ბატონმა ნიკომ მაშინვე გასცა პასუხი ოპონენტს: „როგორ, პლატონი და არისტოტელე მოცლილები იყვნენ რომ ტრაქტატები მიუძღვნეს სახელმწიფოს მმართველობის ფორმებს და ცდილობდნენ მათგან საუკეთესოს შერჩევას!“

ამ დისკუსიაში მეც ჩემი ვთქვი. როგორც იდეოლოგიური ინსტიტუტი, ჩვენი დაწესებულება ჩართული იყო საბჭოთა წყობილების სამსახურში, საკუთარ დამოუკიდებელ ქვეყანაში ნეიტრალური პოზიციის დაკავება, ყოვლად გაუმართლებელია – ასეთი იყო ჩემი პოზიცია.

* * *

2010 წლის სექტემბერში, სხვა ინსტიტუტებთან ერთად ილიას უნივერსიტეტს დაუქვემდებარეს დიდი ტრადიციები მქონე დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიისა და სავლე წერეთლის ფილოსოფიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტები.

2011 წლის ივნისის დასაწყისში ილიას უნივერსიტეტის ადიმინისტრაციამ აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს ცინიკური ხელშეკრულება შესთავაზა: ორწლიანი უხელფასო კონტრაქტი და არავითარო სამომავლო პერსპექტივა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ჩვენს ხსნას გრანტების მოპოვებაში ხედავდა. ამასთან, თუკი შევძლებ-

დით გრანტის /თუ გრანტების/ მოპოვებას, მისი ნახევარი თანხა უნივერსიტეტის ბიუჯეტში უნდა გადაგვერიცხა. ეს იყო ცინიზმი და სხვა არაფერი. ამით ცხადი იყო, რომ ინსტიტუტების არსებობა ამ ფორმით და ამ შემადგენლობით ილიას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობას არ სჭირდებოდა.

ამგვარ ხელშეკრულებას ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის არცერთმა თანამშშრომელმა ხელი არ მოაწერა. ამის საპასუხოდ, ერთი თვის შემდეგ ილიას უნივერსიტეტის რექტორმა 2011 წლის 8 ივლისის ბრძანებით ორივე ინსტიტუტის უკლებლივ ყველა თანამშრომელი გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან.

ამის შემდეგ თითქმის ერთი წლის განმავლობაში დაიწყო ჩემი ვიზიტები, რომელთა თანმიმდევრობა ასეთი იყო: საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე – ნოდარ სურგულაძე, საქართველოს განათლების მინისტრი – დიმიტრი შაშკინი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი – სანდრო კვიტაშვილი, კვლავ შაშკინი, ილიას უნივერსიტეტი რექტორი – გიგი თევზაძე, კვლავ კვიტაშვილი. შემდეგ სატელეფონო საუბარი შაშკინთან. იყო დაპირებები, იმედები, მაგრამ საბოლოო შედეგი – ნული!

ბოლოს გადავწყვიტე საქართველოს პრემიერ – მინისტრ ნიკა გილაურს შევხედროდი, მით უმეტეს, რომ სწორედ მისი 2010 წლის სექტემბრის ბრძანებით გადავიდა ილიას უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტები. ამასთან, ბატონ ნიკას საჩუქრად მივუტანე ფილოსოფიის ინსტიტუტის საქმიანობის ერთი თვალსაჩინო მიღწევა – <<ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია>> ოთხ ტომად /1995 – 2010 წწ./, რომელსაც 2011 წელს მიენიჭა ეროვნული პრემია მეცნიერების დარგში.

საქართველოს პრემიერთან დაახლოებით 20 წუთი ვისუბრე და გავაცანი საქმის ვითარება. არც უარი უთქვამს და

არც პირობა მოუცია. გამომშვდობებისას ბატონ ნიკას შევახსენე, რომ თუკი ამ საქმეს დადებითად გადაწყვეტდა, ამით შევიდოდა ისტორიაში და არა პრემიერობით. პრემიერმა გაიღიმა და ასე დავშორდით ერთმანეთს.

შედეგი ისევ არ ჩანდა. როცა ტელეფონით შევეხმიანე ბატონ ნიკას, აქეთ მომეშარა – თითქოსდა მე ის შეცდომაში შევიყვანე. ჩემი არგუმენტირებული პასუხის შემდეგ, მან დუმილი ამჯობინა. ამით კი ყველაფერს საბოლოოდ დაესვა წერტილი.

მე არ ვიცი როგორ შევა ნიკა გილაური ისტორიაში, როგორც პრემიერ – მინისტრი, მაგრამ ჩემი ამ გამოსვლით ის ნამდვილად დაამახსოვრდება საზოგადოებას, როგორც დიდი თანამდებობის პირი, რომელიც გულგრილად მოეკიდა ორი უმნშვნელოვანესი სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ბედს.

P.S. აღნიშნული თანამდებობის პირებთან ჩემი ვიზიტების დროს დასამახსოვრებელი იყო ის, რომ მათთვის არაფრისმთქმელი იყო იოანე პეტრიწის, სოლომონ დოდაშვილის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, სერგი დანელიას, კოტე ბაქრაძის, სავლე წერეთლის, ზურაბ კაკაბაძის, მერაბ მამარდაშვილისა და სხვათა სახელები.

P.S. S. 1946 წელს, ფილოსოფიის პროფესორი, აკადემიკოსი და ამავე დროს, საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პეტრე შარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხსნის ფილოსოფიის ინსტიტუტს, რომელმაც 65 წლის განმავლობაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ერის სულიერ ცხოვრებაში. 2011 წელს კი ფილოსოფოსთა გარემოცვაში აღზრდილმა, თვითონაც ფილოსოფიის პროფესორმა გიგი თევზაძემ ფაქტობრივად გააუქმა ეს დიდი ტრადიციების მქონე სამეცნიერო – კვლევითი დაწესებულება. არა მარტო ეს, ასეთივე ბედი აწია დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტსაც.

სტუდენტური ძიებანი*
STUDENT'S INVESTIGATIONS

* ტრადიციულად „ფილოსოფიური ძიებანის“ ერთ-ერთი ნაწილი სტუდენტთა ნაშრომებს ეთმობა, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ მეცნიერებაში, ამიტომ საინტერესო უნდა იყოს მათი ნააზრევის გაცნობა. მთელი ჩვენი საქმიანობა მომავალზე – ახალი თაობის აღზრდაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ბაკალვრიტისა და მაგისტრატურის პროგრამების სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი სტატიებისა თუ სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანების დაბეჭდვა, რომელთაც მკაცრ მეცნიერულ მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ვერ წავუყენებთ. ყველაზე კრიტიკულად განწყობილმა მკითხველმა კი მათ უნდა შეხედოს, როგორც მეცნიერების სხვადასხვა პრობლემის მკვლევართა პირველ ნაშრომებს, რომელთაგან სამომავლოდ მნიშვნელოვან წარმატებებს უნდა ველოდეთ **(სარედაქციო კოლეგია).**

ზურაბ კობაძე – თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი კულტურისა და მედიის სოციოლოგიის განხრით. დაინტერესებულია მედიისა და ხელისუფლების დამოკიდებულების, ინტერპერსონალური და ინტერკულტურული კომუნიკაციების თავისებურებების შესწავლით.

ალბერ კამიუ დაკარგული საზრისის ძიებაში

„მართალია ამქვეყნად თითეული
ჩვენგანი დილეგშია გამოკეტილი, არ უნდა
ვეცადოთ ამ დილეგიდან გაქცევას
და თავის დაღწევას“.
პლატონი, „ფედონი“
(2,11-12).

გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი, ე.წ. „აბსურდის ფილოსოფიის“ წარმომადგენელი, ალბერ კამიუ 1960 წლის 20 იანვარს 48 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი დაღუპვის გამო უილიამ ფოლკნერი წერდა: „იმ წამსაც კი, როცა ხეს შეასკდა, იგი ეძიებდა და კითხვებს სვამდა. არა მგონია, რომ იმ წამის გამაყრუებელ ხმაურში მას პასუხი მოეძებნა, არა მგონია, ეს პასუხი საერთოდ მოიძებნოს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მუდამ გვჭირდება ადამიანურ აბსურდს ნაზიარები კაცი, რათა მას ეძიებდეს. ასეთები ბევრნი არ არიან ერთსა და იმავე დროს. მაგრამ სულ ცოტა, ერთი მაინც მოიძებნება ხოლმე სადმე და ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ყველანი გვიხსნას“ (3,175).

უილიამ ფოლკნერის ამ სიტყვებში ნათლად გამოჩნდა კამიუს, როგორც მოაზროვნის, შეფასება. კამიუს მთავარი შეკითხვაა: „შეუძლია თუ არა ადამიანს მარადისობის დაუხმარებლად, მხოლოდ თავის თავზე დაყრდნობით, თავისი ღირებულებების შექმნა?“ კამიუსთვის ძირითადია ადამიანის

პრობლემა, კერძოდ, კონკრეტული ადამიანის. ამ პრობ-ლემის კვლევის რამოდენიმე ასპექტი არსებობს. ის არის სა-განი ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა. ჰაიდეგერი „ყოფი-ერების“ სფეროდან გამოყოფს „მუნყოფიერებას“, რადგან მხოლოდ მას გააჩნია ეგზისტირების სისტემა და ცდილობს „მუნყოფიერების“ საზრისის პოვნას (20). ჰაიდეგერის მიერ საკითხი ონტოლოგიური ასპექტითაა დასმული. განსხვავე-ბით ჰაიდეგერისაგან, კამიუსათვის მთავარია ცხოვრების საზრისის საკითხის კვლევა. კამიუს აზრით, გალილეის მაგა-ლითი გვარწმუნებს იმაში, რომ „დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, თუ მზე დედამიწის გარშემო, ეს სულ ერთია, უფ-რო ზუსტად რომ ვთქვათ, უმნიშვნელო საკითხია. ცხოვრე-ბის აზრის საკითხი უაქტუალურესია ყველა საკითხთა შო-რის“ (3.174).

კამიუმ უარი თქვა მეცნიერულ ჭეშმარიტებებზე, რად-გან არ ღირს ის სიცოცხლის ფასად, არამედ მას აინტერე-სებს: ღირს თუ არა ცხოვრება? ღირს თუ არა ცხოვრება, თუ ის აბსურდია? თუ ერთადერთი გზა თვითმკვლელობაა? არის კი თვითმკვლელობა ღირებული? ესაა მთავარი, სხვა ყველა-ფერი სამყაროს სამი განზომილებაა აქვს თუ არა ანდა გონს ცხრა – თუ თორმეტი კატეგორია, შემდგომი, უმნიშვნელო საკითხებია.

კამიუს ინტერესი სტოიკურია, მას აინტერესებს ადამი-ანი განიხილოს მორალურ – ეთიკურ პლანში. მისი პრობლე-მატიკიდან გამომდინარე, მას ხშირად აიგივებენ ეგზისტენ-ციალისტ მოაზროვნეებთან. თავად კამიუ კატეგორიულად უარყოფდა მის ეგზისტენციალისტობას, საკმარისია გავიხ-სენოთ მისი ირონიული დამოკიდებულება სარტრის ძირითა-დი დებულების მიმართ: „აღარ შეიძლება ითქვას, ესა და ეს ადამიანი ბოროტი ან უშნოა, უნდა ითქვას, რომ მას სურს იყოს ბოროტი ან უშნო. ეს ნიუანსი მეტად მნიშვნელოვანია...

ამიერიდან ძალზე საშიშია ადამიანთა მოდგმის მსჯავრდადება“ (5.60).

აზროვნება ჰგავს იმ დამპყრობელს, რომელსაც საუკეთესო ქვეყანა ერგო სამეფოდ და ეს კი არ იცის, ამიტომ მთელ ენერგიას სხვისი, უბადრუკი ქვეყნების დაპყრობას ანდომებს, სხვისას ეტანება, თავისი კი უპატრონოდ რჩება. კამიუს აზრით, ფილოსოფიის მიზანია არა აზროვნებით ჟონგლიორობა, არამედ „ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპებზე ჩაფიქრება.“ ცხოვრების პრინციპების კრიტიკული შეფასება.

ახალმა ეპოქამ გამოიწვია ბრძოლა გონების წინააღმდეგ. „არცერთ ეპოქაში არ ყოფილა ისეთი ძლიერი ბრძოლა გონების წინააღმდეგ, როგორც დღეს, იასპერსიდან ჰაიდეგერამდე, კირკეგორიდან შესტოვამდე და ფენომენოლოგებიდან შელერამდე. ყველანი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდნენ გონების შარაგზა გადახერგონ და ჭეშმარიტებამდე მისასვლელი ნამდვილი გზა მონახონ.

„მუნყოფიერების არსება მის ეგზისტენცში დევს“. ადამიანი ისწრაფვის გავიდეს გონების საზღვრებიდან. „ყოველდღიურობიდან“ გასვლა შესაძლებელია გარკვეულად მარადისობასთან შეერთებით, რომელიც ამ „ყოველდღიურ“ ზრუნვას აღემატება. ტრადიციული ფილოსოფიაც ცდილობდა მარადისობაში ეპოვნა ნავსაყუდელი. ამის მაგალითია ქრისტიანობა. მისგან განსხვავებით, ეგზისტენციალიზმს აინტერესებს არა ადამიანი საზოგადოდ, არამედ „ეს“, „აქ მყოფი“ პიროვნების დამკვიდრება მარადისობაში. მარადისობისაკენ სწრაფვისას ადამიანმა არ უნდა დაკარგოს საკუთარი პიროვნული კონკრეტული ინდივიდუალურობა. ევროპას ცუდი გამოცდილება აქვს ამ „ერთადერთ პრინციპზე“. ღმერთმა ყველაფერი წაართვა ადამიანს, რისი წართმევაც შეიძლებოდა, „ზეკაცებმა“ კი კატასტროფის წინაშე მიიყვანეს კაცობრიობა, ამიტომ ხომ არ იმსახურებს ეჭვს მარადი-

სობის ყოველი იდეალი? კამიუ წერს: „ადამიანის ყოველი დაკავშირება მარადისობის იდეალთან რისკის ქვეშაა. გაკვირვება არის არსებულის ყოფიერებასთან უკან დახევა და ამავე დროს შებოჭვა. ეს „შებოჭვა“ უნდა გაცნობიერდეს, როგორც აბსურდის გამოხატულება.

კერპების მსხვრევა

XIX საუკუნის ბოლოს ევროპულ აზროვნებაში გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცშემ პირველად გააცნობიერა მთელი სიგრძე – სიგანით ღმერთის სიკვდილი. იგი წერდა: „სად არის ღმერთი? მე გეტყვით თქვენ! ჩვენ ის მოვკალით – თქვენ და მე! ჩვენ ყველანი მისი მკვლელები ვართ... და ღმერთებიც იხრწნებიან. ღმერთი მკვდარია! ღმერთი არ აღსდგება! ის ჩვენ მოვკალით! როგორ ვინუგეშებთ ჩვენ თავს მკვლელები მკვლელთაგანი! ყველაზე ძლიერი და წმინდა არსება, რომელიც არსებობდა ამ სამყაროში დაიცალა სისხლიდან ჩვენი დანების ქვეშ“ (19.44). თვალი უნდა გავუსწოროთ ნიცშეს სიტყვებს და ვზიდოთ ეს ცოდვა ადამიანებმა უამრავ სხვა ცოდვასთან ერთად. „ნუთუ არ უნდა ვიმსხვერპლოთ ჩვენ მომავალში ყოველნაირი მანუგეშებელი, წმინდა, გამაცოცხლებელი, ყოველგვარი იმედები, მთელი რწმენა ფარული ჰარმონიისა, განცხრომადა სამართლიანობა? არ უნდა ვიმსხვერპლოთ ჩვენ ღმერთი სიმკაცრისადმი, გავაღმერთოთ ჩვენ ქვა, უტვინობა, სიმძიმე, ბედისწერა, არარაობა? იმსხვერპლო ღმერთი არარაობისათვის.“ – ეს პარადოქსული საიდუმლოება უკანასკნელი მრისხანებისა წილად ხვდა ჩვენ თაობას (19.45). რა არის ამის მიზეზი, რომ ასე წუხს ნიცშე ღმერთის დაღპვას? ძნელია ადამიანი შეეგუოს საუკუნეების მანძილზე შეჩვეული მიზნის დაკარგვას და იმას, რომ უარყო ის ტრადიცია, რომელზეც აღზრდილი ხარ. უნდა გადაისინჯოს მთელი ცოდნის მარაგი, რომელიც მასზე

დაყრდნობითაა შექმნილი, ან იძულებული ვიქნებით, დავრჩეთ სამყაროში მიზნისადა მიმართლების გარეშე. ასეთი ყოფა ნიშნავს „არარაობის“ პირისპირ დგომას, სადაც ყველა ღრებულება უფასურდება. მართალია, „ყველაფერი დასაშვებია“, მაგრამ ვერაფერსაც ვერ დავუშვებთ, რადგან ყველაფერს ერთი ფასი აქვს. „არჩევანი განუსაზღვრელია“, მაგრამ რა შემიძლია ავირჩიო? ადამიანმა აფსოლუტური თავისუფლება მიიღო, მაგრამ როგორ გამოვიყენოთ? ადამიანი დარჩა ყოველგვარი მხარდაჭერის და გამართლების გარეშე.

ნიცშესთან ერთად როცა ღმერთს ვკლავდით, ჩვენ ის ტოტი მოვჭერით, რომელზედაც ვიჯექით. ნიცშე პირველი შეეცადა „ზეკაცით“ აღედგინა გადაჭრილი ტოტი. მის ზეკაცს დაკარგული ცხოვრების საზრისის აღდგენა ნებისყოფის სიძლიერით უნდა აღედგინა. ნიცშეს ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ მან ეს ვერ შეძლო, ვერ აიტანა ასეთი ყოფა და ფსიქიკურად დაავადებული გარდაიცვალა. ჰაიდეგერი კი მიხვდა, რომ უაზრობა იყო იმის დაბრუნებაზე ფიქრი, რაც სამუდამოდ დაიკარგა და შეეცადა იმ უფსკრულის ღირებულება განეცადა, საითაც მივექანებოდით, რადგან ძნელი შეიქმნა „გაურკვევლობის მდგომარეობაში“ ყოფნა.

კამიუმ ნიცშესა და ჰაიდეგერზე დაყრდნობით, ნათლად გააცნობიერა, რომ ღმერთსაც აღარ შეეძლო დაკარგულის დაბრუნება და გარდაუვალობის ნათელხილვაზე დაიწყო საუბარი. იმასაც კი ეცადა, რომ მასავით განწირული ადამიანისათვის შეეშველებინა ხელი, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ამაზე მეტყველებს მისი რომანი „ჭირი“, ხოლო მეორე რომანში – „დაცემა“, საუბარია საკუთარი თავის გადარჩენაზე, რომელიც ტრაგედიით მთავრდება.

ღმერთის სიკვდილი ცნობიერდება როგორც ცხოვრების საზრისის დაკარგვა – ღირებულებათა გაუფასურება. ადამიანის ყოფნა სამყაროში, მიზნისა და ღირებულების გარეშე, შეუძლებელია, ამიტომ „უღმერთობა“ „არ ნიშნავს უბრალოდ

უარყოფას, უხეშ ათეიზმს“. კამიუ წერს: „ღმერთი მოკვდა, ნუ ვიგულისხმებთ ამის ქვეშ, თითქოს ის არ არსებობდეს, ის მოკვდა, ის გვესაუბრებოდა ჩვენ და ის დადუმდა, საქმე გვაქვს ცხედართან, ღმერთი მოკვდა, მაგრამ ამის გამო არ გამხდარა ადამიანი ათეისტი.“ ცხოვრების საზრისის ძიება აიძულებს ადამიანს ახალი ღირებულებების შექმნას, ან ძველის აღდგენას. კამიუ ხატოვნად აღწერს, ადამიანებმა ჯერ მოკლეს ქრისტე, ჯვარზე გააკრეს, რათა შემდეგ მკვდრეთით აღედგინათ: „რელიგიურობის“ გარკვეული დოზა ესაა ადამიანის აუცილებელი ნაბიჯი ღირებულებათა შექმნის გზაზე. ღმერთის უარყოფა მთავარი არ არის, რადგან მასზე შეჩერება შეუძლებელია. მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაა და ეს ჭეშმარიტება უნდა იყოს არა ახალი ღმერთის გამოგონება, არამედ ადამიანის ნამდვილი ყოფიერების გაგება. კამიუს გზა ესაა გზა დროებითი ღმერთის მიღების უარყოფის საფუძველზე დაასაბუთოს „ადამიანის ყოფიერება“. მისი აზრით, მაცხოვარი უნდა ვაღიაროთ არა როგორც ღმერთი, არამედ როგორც ადამიანი. საჭიროა გავიგოთ ადამიანი „როგორც ღამის წყვდიადში ჩაფლული გაელვება“(7.109). საჭიროა ადამიანმა საკუთარ ძალებზე დაყრდნობით გასცეს პასუხი ადამიანთა მოდგმას საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიცაა ცხოვრების აზრი, თავისუფლება, ბედნიერება. კამიუს აზრით, „როგორ იქნება ამ ვიწრო გზებზე“.

დაკარგული ყოფიერების ძიებაში

„უტევენით ეგე, რამეთუ ბრმანი არიან და
წინამძღვარნი ბრმათანი; როცა ბრმა ბრმასა
თუ წინა უძღვინ, ორნივე მთხრებლსა შთაცვივიან“
მათე 15:14

კამიუს აზრით, ადამიანი თავისი ყოფიერების ძიების დროს აწყდება უამრავ დაბრკოლებას. ეს დაბრკოლებები

ზოგჯერ გადაულახავი კედლის მსგავსად აღიმართებიან ადამიანთა წინაშე. ძლიერია სურვილი ადამიანისა, დავძლიოთ ეს კედელი. ადამიანი ამ დროს, წერს კამიუ, ჰგავს „ბრმას, რომელსაც ხედვა სწყურია და იცის, რომ ღამეს ვერ გაარღვევს, მაინც მიაბიჯებს“ (7.109). დიდია სურვილი ღამის გარღვევისა, ადამიანი ძლევს უფსკრულში ჩავარდნის შიშს.

რა არის აბსურდი, რომელიც წინ ეღობება გადაულახავ კედლად და რომელმაც ხელი უნდა აგვაღებინოს საკუთარი ყოფიერების ძიებაზე? უპირველეს ყოვლისა, აბსურდს ვრ შეისწავლი, იგი ადამიანს არ ეძლევა ცოდნის სახით თავის ლოგიკურ კატეგორიებში. როგორც ვიცით, გონება ქმნის სინამდვილის სისტემატურ სურათს, სადაც ყველა ცოდნისეულ პროდუქტს, მის მიერ შექმნილ ღირებულებათა ჯაჭვში თავისი ადგილი უკავია. გონება ჩვენს გარშემო ქმნის „ცოდნის კედელს“, ამიტომ აქ „არსებობს ჭეშმარიტებანი და არაჭეშმარიტება.“ ჭეშმარიტებანი უნდა გვაძლევდეს ჭეშმარიტებას, მაგრამ ასე არ ხდება, პირიქით, „ჭეშმარიტება ამავე დროს არაჭეშმარიტებაა“ (ჰაიდეგერი). ტრადიციული ფილოსოფიის შეცდომა ისიც იყო, რომ ჭეშმარიტების ძიების დროს გონებას ეყრდნობოდა, ხოლო გონებისეული სურათი სამყაროსა და თავად ნამდვილ სამყაროს შორის, ერთმანეთს არ ემთხვევა. ე.წ „განჭვრეტილი“ სამყარო აკმაყოფილებს ადამიანის თეორიულ უნარს. თუ კანტის სიტყვებით ვიტყვით, მაშინ გვექნება: თეორიული სუბიექტი კმაყოფილია თავისი სამყაროთი, მასში გამართლებულია ადამიანის ყველა თეორიული მოღვაწეობა. მეცნიერება თავის გამართლებას იღებს, მაგრამ არა პრაქტიკული სუბიექტისათვის. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სულის უკვდავების საკითხს. თუ თეორიული სუბიექტისათვის მთავარი ნიუტონის ფიზიკის გამართლებაა, პრაქტიკული სუბიექტი ისწრაფვსი, გავიდეს თავისი თავიდან, „ტრანსცენდირება განიცადოს“.

გონებისეული სვლა სხვა არაფერია, თუ არა გონების სურათის გაფართოება, ჭეშმარიტების გამოჩენა, რომლის სიღრმეშიც იმალება ჭეშმარიტება, რომელიც უნდა იყოს გაგების ძირითადი მიზანი. რაც უფრო იზრდება ჭეშმარიტებანი, მით უფრო სათუო ხდება ჭეშმარიტების გამოჩენა, ამიტომ, ასეთი გამჩენა დაფარვაა. ჭეშმარიტების გამოჩენის ორი გზა არსებობს:ერთი ტრადიციული ფილოსოფიის მიერ განვლილი გზა, ან უარის თქმა გონებისათვის ჭშმარიტების ძიებაზე.

პირველი გზა პრინციპული შეცდომაა, რადგან იგი ამრავლებს ჭეშმარიტებებს და უფრო ღრმად მალავს ძიების საგანს. იგი განფენილობაში ეძებს ჭეშმარიტებას, როცა ჭეშმარიტება სიღრმეშია. ამ გზის მიღება იქნება საბოლოოდ უარის თქმა ჭეშმარიტების გაგებაზე.

მეორე გზა გულისხმობს უარი თქვას გონებისეული ჭეშმარიტების ძიებაზე. „ტრადიციულმა ფილოსოფიამ“ აჩვენა რაციონალიზმის უსუსურობა. ეგებ შევატრიალოთ მსჯელობა და გონების მაგიერ ნებელობამ გაგვიყვანოს ჭეშმარიტებასთან, ეგებ რაციონალიზმის ჩახერგილი გზა ირაციონალიზმმა გახსნას? ჭეშმარიტებასთან მიმავალი გზა, ესაა გზა – ყოფიერებისაკენ. ირაციონალური ხედვის დროს, ადამიანი გადის გონების საზღვრებიდან და ტკბება მისი სიდიადით, როდესაც პირველი ტკბობა მოგონებად იქცევა, ფიქრდება ადამიანი არსებულ სინამდვილეზე. ეს დაფიქრება აბსურდის აღმოჩენის მაუწყებელია. გამოფხიზლებული ადამიანი აწყდება აბსურდის კედლებს. „თავისთავად სამყარო არაგონიერია, ესაა ყველაფერი, რაც მის შესახებ შეიძლება ითქვას, მაგრამ ამ არარაციონალობის შეტაკება სიცხადის სასოწარკვეთილ სურვილთან, რომლის ძახილი გაისმის ადამიანის არსების სიღრმეებში – აი რა არის აბსურდი. აბსურდი აკავშირებს ადამიანსადა სამყაროს ისე, როგორც შეიძლება ადამიანები დააკავშიროს სიძულვილმა“ (7. 37). ადამიანის

ტრაგედიას ქმნის სწორედ შეუსაბამობა შინაგან სამყაროსა და გარეგან სამყაროს შორის. გარეგანი სამყაროს „ქაოსური მდგომარეობა, რომელიც გაცნობიერდება ჩვენი გასვლით მასში, ყველა ადამიანურ ღირებულებებს ეჭქვეშ აყენებს, ხოლო შედარება ჩვენს ღირებულებებსას და სამყაროსეულ „ქაოსს“ შორის, სიტტუაციას აბსურდულს ხდის. ადამაინი რწმუნდება, რომ მისი ცოდნა ეს არის „თითქმის არაფრის ცოდნა“, ასეთ შემთხვევაში „მე შემიძლია ყველაფერი უარვყო, გარდა საკუთარი სიცხადისა და წესრიგის სურვილისა... მე არ ვიცი არსებობს თუ არა აზრი, რომელიც მას აღემატებოდეს, მაგრამ მე ვიცი, რომ ეს აზრი არ ვიცი, და არამაქვს ამჟამად საშუალება მისი გაცნობისა. მე ვიცი აგრეთვე, რომ არ შემიძლია შევარიგო ორი ეს დარწმუნებულობა... ერთი ჩემი სურვილი წყურვილი აბსოლუტისა, ერთიანობის წყურვილი და სამყაროს შეუძლებელი მიყვანა ერთ რაციონალურ პრინციპამდე. რომელი სხვა სიმართლე ვაღიარო მე კიდევ, ისე რომ არ დავეყრდნო მომავლის იმედებს, რომლებიც მე არ გამაჩნია?“ (7.41)

როგორც ვნახეთ, სინამდვილეში გასვლამაც ხსნა ვერ მოგვიტანა. დაკარგული საზრისისა და ჭეშმარიტების ძიება უნაყოფოა, მაგრამ როგორ შეიძლება ყოფნა მიზნის გარეშე? კამიუ წერს: „მაგრამ არაფერია გარკვეული, ყველაფერი ქაოსია.“

შეუძლია ადამიანს იცხოვროს აბსურდულ სიტუაციაში? შეუძლია ცხოვრება მიზნისა და მიმართულების გარეშე? „გარეთ გასვლას“ სრულებით არ ჩაუყენებია ადამიანი უკეთეს მდგომარეობაში, არამედ დაგვარწმუნა გამოსავლის არარსებობაში. შესაძლებელია დავივიწყოთ ეს სიღრმისეული წიაღსვლები, ზურგი ვაქციოთ და ისევ დავუბრუნდეთ ღმერთს. დარწმუნებული ვარ იგი შეგვინდობს, შენდობა ხომ ქრისტიანობის ძირითადი პრინციპია?

ყოველივე აქედან გამომდინარე უნდა ვთქვათ, მარადისობას ვერ ვეზიარეთ, და ვერც ცოდვებისაგან გავიწმინდეთ, როგორც იტყვიან ხოლმე ის კი არადა უფრო შემცოდე გავხდი და მთლად ამერია გზა – კვალი (5.111). მაგრამ გადაწყვეტილია – ესაა გზა, გზა ღმერთის გარეშე. აბსურდის პირისპირ დგომა, შეიძლება თავის დაღწევა ღმერთის დაუხმარებლადაც. ამ გზას თვითმკვლელობის გზა ჰქვია. „არის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტად ფილოსოფიური პრობლემა – თვითმკვლელობის პრობლემა“(7.36). თუმცა კამიუსათვის, ეს გზაც მიუღებელია, რადგან ეს არის გაქცევა ცხოვრებისაგან. აუცილებელია მოიძებნოს გზა ცხოვრების გასაგრძელებლად. მართალია ეს გზა შეიძლება იყოს ტანჯვისა და წვალების გზა, ამიტომ ისმის კითხვა, „როგორ იქნება ამ ვიწრო გზებზე?“ ერთადერთი ყველაზე რეალური, რომელიც არსებობს, „მუნყოფიერობს“ – ადამიანია, მაგრამ არა ადმიანი საერთოდ, არამედ „აქ მყოფი“, „ეს ადამიანი“, თავისი ვნებებით, სწრაფვით ბედნიერებისაკენ, დამნაშავე და უდანაშაულო, მარტოსული და სოლიდარობის მძებნელი, თავისუფალი და მონობას მოწყურებული, მარადისობის მძებნელი, პასუხისმგებლობის ტვირთით დამძიმებული და ნიჰილისტი, სიკეთესა და ბოროტებას შორის მერყევი, სიყვარულსა და სიძულვილს შორის მოქცეული, კაცთმოყვარე და ეგოისტი, სიცოცხლის მოყვარული და სიკვდილის პირისპირ მდგომი. ადამიანი ,რომელიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, საით მიემართება გზა ნამდვილი ყოფიერების შექმნაში, ღმერთის დაღუპვით დამწუხრებული, ორიენტაციის გარეშე დარჩენილი.

თანამედროვე ადამიანი ეჭვის თვალით შეჰყურებს ღირებულებებს. ბრძოლა ღირებულებების წინააღმდეგ ჩვენი თანამედროვე ადამიანის დამახასიათებელი ნიშანია. მოთხოვნილება ღირებულებებისა და მისი უარყოფა კიდევ უფრო ზრდის აბსურდული სიტაუციების არეს. ოიდიპოსის სიტყვები: „მიუხედავად წელთა სიმრავლისა, გარდახდილ

ჭირთა მიუხედავად, მე ვაღიარებ, რომ ყველაფერი რიგზეა“(7.109). ასე აყალიბებს ადამიანის „აბსურდული გამარჯვების ფორმულას“, მაგრამ არის წუთები „როცა აბსურდის კაცი თავის ტანჯვას შეჰყურებს“. რა არის მიზეზი ტანჯვისა? უპირველეს ყოვლისა სიცოცხლის სიყვარული და სიკვდილის გარდუვალობა, ადამიანის ბედის უაზრობა.

„მე მინახავს როგორ კვდებიან ადამაიანები. ძალიან ხშირად ძაღლების სიკვდილიც მინახავს. მათი ხელის დაკარება ძრწოლით მავსებდა. ასეთ წუთებში ყვავილებზე, ღიმილზე, ქალებზე ვფიქრობდი, და მესმის, რომ მთელი ჩემი შიში სიკვდილის მიმართ სიცოცხლის მხურვალე სიყვარულის ბრალია. მე მშურს იმათი, ვინც იცოცხლებს და ვისთვისაც ყვავილები და ქალები მთელი თავიანთი სისხლ – ხორცით იარსებებენ, შურიანი ვარ, რადგან მეტისმეტად მიყვარს სიცოცხლე, რათა თავკერძა არ ვიყო, რა მესაქმება მარადისობასთან? შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს ლოგინად ჩავარდნილს მითხრა „თქვენ ძლიერი ადამიანი ხართ და ვერ დაგიმალავთ, მალე მოკვდებით!“ შენ კი, რაც ძალი და ღონე გაქვს, სიცოცხლეს ებღაუჭები, შიშით ძრწოლააყვანილი უაზრო თვალებით სიცარიელეს ჩააცქერდები. რა არის ამასთან შედარებით სხვა დანარჩენი! ამის გაფიქრებაზე საფეთქლებში სისხლი მაწვება და ასე მგონია, ირგვლივ ყოველივეს დავლეწავ და დავამსხვრევ“ (3,181). „არარას“ პირისპირ მდგომმა ადამიანმა ღმერთიც კი დაამსხვრია, ცხოვრების საზრისიც აღარ შერჩა, მაგრამ „სიცოცხლის“ ეს უაზრო სიყვარული ადამიანისათვის ყველაფერია, სულ უკანასკნელ დროსაც კი სასწაულს ველდოებით, იმდენად ძლიერია სიცოცხლის სიყვარული. ქრისტეს ყველაზე დიდი სასწაული ის იყო, რომ მკვდრეთით აღსდგა, სიკვდილი დაამარცხა. სიცოცხლის სიყვარულმა შემოინახა ეს სასწაული. „გოეთე სიკვდილის წინ სინათლეს უხმობდა“. თუმცა ადამიანმა იცის გარდუვალობის შესახებ. სიცოცხლის სიყვარული წარმო-

შობს ამ ცოდნას და ზიზღს მის მიმართ. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, შეიძლება შევეგუოთ გარდუვალობას. „ყველაზე უარესს ვვარაუდობდი. ვთქვათ არ მაპატიეს, მაშინ მოვკვდები, სხვებზე ადრე, რა თქმა უნდა, მაგრამ ყველასთვის ნათელია, ცხოვრება არ ღირს იმად, რომ იწვალო. სიკვდილი სიკვდილია, ოცდაათი ცლის ასაკშიც და ხანდაზმულობის დროსაც. სიცოცხლე მაინც დარჩება სხვების სახით და ასე იქნება მუდამ. თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. უკვდავი რომ არ ვიყავი, ახლა, თუ ოცი წლის მერე, მაინც მოვკვდებოდი. ყველაზე მეტად ეს საზარელი ნახტომი მაწუხებდა, ოცი წლით დაკარგული სიცოცხლე, ისღა დამრჩენოდა ჩამეხშო ამგვარი ფიქრები.“

„არსებულის დაფარვა შიშია მის წინაშე. უნდა ვაღიაროთ არსებული, როგორც ის არის. სამყაროში ყოფნა მარტო ოპტიმიზმით არ აგვავსებს. მისი მთანმდევია ტანჯვაც. სიხარული ტანჯვის გარეშე არ არსებობს. „ქარსა და მზეში ამ შმაგმა განბანვამ მთალდ დამიშრიტა სასიცოცხლო ძალები. ჩემ არსებაში ოდნავღა ჰფეთქავდა ნებისყოფა, სიცოცხლე ჩიოდა, გონება სუსტად მეურჩებოდა, მეჩვენებოდა, რომ სულ მალე ქვეყანაზე ყველაფერს და საკუთარ თავსაც კი დავივიწყებდი, ჰაერში გავიფანტებოდი და ამ ქარად, ამ სვეტებად, ამ თაღად, ამ ქვის ფილებად გადავიქცეოდი. ამდენ სითბოს რომ გამოსცემენ. გადავიქცეოდი ამ ფერმკრთალ მთებად, უდაბურ ქალაქს რომ გარს შემორტყმია. აქამდე არასოდეს განმიცდია ესოდენ ძლიერი გრძნობა საკუთარი თავისაგან განდგომისა და სამყაროში ჩემი ყოფნა – არყოფნისა“ (3.180).

დღეს თანამედროვე ადამიანი „ევროპის წყვდიადს მოუცავს. ხანძართა ალზე უცბად გამოჩნდა სამყაროს ძველი და ახალი ნაოჭები.“ ესაა სამყარო, სადაც „...თვით მცირე უმანკოების გარეშე არ არსებობს სიყვარული, მაგრამ სად არის უმანკოება! იმპერიები ემხობოდნენ, ერები და ადამიანები ერთმანეთს ყელს ღადრავდნენ, პირი წაბილწული გვქონდა, თავ-

დაპირველად უდანაშაულოები ვიყავით და ეს თვითონ არ ვიცოდით, ახლა უდანაშაულო დამნაშავეები გავხდით: საიდუმლოება ჩვენს ცოდნასთან მატულობდა. აი, ამიტომ მივსდევდით ჩვენ – განა დაცინვა არაა – ზნეობას. მე ბეჩავი სათნოებაზე ვოცნებობდი! ჩემი უბიწობის ხანაში არ ვიცოდი მზაობა თუ არსებობდა ახლა ეს ვიცი, მაგრამ ძალა არ შემწევს მის სიმაღლემდე ავაღწიო“ (3.189). როცა ბედი ჩვენთან იყო, მაშინ, არც გვიფიქრია მასზე, როცა დავკარგეთ, ახლა გავიგეთ და უკვე გვიანაა, მის უაზრობას ისევე ზიზღით თუ დავძლევთ. ზნეობაც გვქონდა, ისიც დავკარგეთ. ადამიანის ბედის უაზრობას ისიც ამტკიცებს, რომ როცა რაიმეს დავკარგავთ, მაშინ ვგებულობთ მის არსებობას, ისე, რომ დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, „ბრმა, რომელსაც ხედვა სწყურია და იცის, რომ ღამეს ვერ გაარღვევს, ისევ მიაბიჯებს“(7.109). არა გამოსავალი არ იყო „არა, ჩვენ არ გვინდა ასე შეგვექმნა ჩვენი ბედი“. ადამიანის ბედის უაზრობას ისიც ზრდის, რომ „არავინ იცის ვის რა მოელის“. ბედის ეს გარეგნული გარდუვალობა და ჩვენი სურვილი ვიყოთ საკუთარი ბედის შემქმნელი, ისევ უაზრო სიტუაციას წარმოშობს, ბედის უაზრობას, თუ კი მას რაიმე დამტკიცება ან განმტკიცება სჭირდება, ადამიანური კანონებიც ხელს უწყობს: „მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერ შევეგუე ამ ულმობელ გარდუალობას: მის განუხრელ მშვიდ განვითარებას და იმ განაჩენს შორის, რომელმაც იგი დააფუძნა, სასაცილო დისპროპორცია არსებობდა. ის ფაქტი, რომ განაჩენი ოც საათზე წაიკითხეს და არა ჩვიდმეტზე, ის რომ შეიძლებოდა განაჩენი სულ სხვანაირი ყოფილიყო, და რომ განაჩენი გამოიტანეს იმათ, ვინც საცვალს იცვლის. თანაც ფრანგი (თუნდაც გერმანელი ან ჩინელი) ხალხის სახელით, რაც ბოლოს და ბოლოს ერთობ აბსტრაქტული ცნებაა. ჩემი აზრით, ცოტა არ იყოს, სერიოზულობას აკარგვინებდა ამგვარ გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, უნდა მეღიარებინა, რომ როგორც კი გამოიტანეს ეს განაჩენი, მისი ძალა

გახდა ისეთივე რეალური და უეჭველი, როგორც იმ კედლის არსებობა, რომელსაც მთელი სხეულით ვეკვროდი“ (6.51 – 52). ეს ხომ ადამიანის ბედის უაზრობაზე მეტყველებს? ბედის უაზრობას ის ხალხიც ადასტურებს, რომელთაც მაცხოვრის სიტყვები „არცა მე განვიკითხავ“ შეატრიალეს და ახლა ამათ გამოაქვთ განაჩენი და არვის ინდობენ. უფლის სახელით სამაგიერო მოგეზღოსო... ღმერთი ამდენს როდი ითხოვდა მეგობარო?“ (5.117). აი ჩვენი ბედის სახე „... ყველაფერი მართალია და არაფერი არ არის მართალი“, მაგრამ შეიძლება მოიძებნოს გამოსავალი. ეს გამოსავალი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „აჯანყებული და გამარჯვების ვერ მოიმედე, მთელი სიგრძე – სიგანით ხედავს თავისი ყოფის სიდუხჭირეს და ძირს დაშვებისას მასზე ფიქრობს. და ნათელხედბვა, რომელიც მისი წამების საფუძველს უდნა შეადგენდეს, ერთთავად მისი გამარჯვებაცაა, რადგან არ არსებობს ბედი, რომლის დათრგუნვა ზიზღით არ შეიძლებოდეს“(7.109). მაგრამ რა არის და რაში გამოიხატება ეს „ყოფის სიდუხჭირე“! „და რა არის, თავისი არსით, ჭირი? იგივე ცხოვრება და მეტი არაფერი“.

კამიუ წერს: „ეს ცხოვრება მე თავდავიწყებით მიყვარს და შეუჩერებლივ მინდა მასზე ვილაპარაკო. იგია ჩემი ბედი, ჩემი ადამიანური ბედის გამო სიამაყეს მანიჭებს. თუმცა ხშირად უთქვამთ, სულაც არაფერიაო საამაყო, მაგრამ განა საამაყო არ არის ეს მზე, ეს ზღვა, ახალგაზრდულად მოფართხალე ეს ჩემი გული, ჩემი მარილიანი სხეული და ეს თვალშეუდგამი სივრცე, სადაც სინაზე და დიდება ერთმანეთს ყვითელ და ლურჯ ფერებად შხამებია. ეს ყოველივე უნდა დავიპყრო და მას უნდა მოვახმარო მთელი ჩემი ძალა და ჩემი უნარი. ამ ადგილებში ხელს არაფერი მიშლის ვიყო ის, რაც ვარ. აქ არაფერს ვიკრძალავ, არავითარ ნიღაბს არ ვიკეთებ, ჩემთვის საკმარისა მოთმინებით შევისწავლო თუ ვით ვიცხოვრო“(3.178). ადამიანის ბედის უაზრობის მიუხედავად, ცხოვ-

რების სიყვარული წმინდათა წმინდაა, მაგრამ ის, რაც ცხოვ-
რებას აღაფრთოვანებს, ამავე დროს, მის უაზრობასაც
ზრდის (3.187). რა არის ეს ცხოვრება? ესაა „გრძნობდე კავ-
შირს მიწასთან, სიყვარული რამდენიმე ადამიანისადმი, იცო-
დე, რომ ყოველთვის მოიძებნება ადგილი, სადაც შენი გული
თანხმობას პოულობს, ეს რწმენა უკვე დიდი რამაა ადამიანის
ერთი სოცოცხლისათვის, მაგრმ, რა საკვირველია, ეს არ კმა-
რა. ამ სულიერი განწყობილების სამშობლოში ყველაფერს
ახასიათებს განსაკუთრებული წუთისადმი მისწრაფება“
(3.187). მჯერა, რომ არ არსებობს არც ზეადამიანური ბედნიე-
რება და არც მარადიულობა დღეთა მრუდის გარეშე „... ცხოვ-
რება ყოველდღიურობაა, ის ყოველდღიურობა, რომელსაც
ვერსად გაექცევი, რომელიც გვფიტავს, თავს წარმოგვიჩენს
თავის უაზრობაში: დილით გაღვიძება, ტრამვაი, ოთხი საათი
კანტორაში, ან ქარხანაში, სადილი, ისევ ტრამვაი, ოთხი საა-
თი მუშაობა, ვახშამი, ძილი – ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბა-
თი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, ყველაფერი უცვლელი
განრიგით“(7.35). ასეთი ზედაპირული ცხოვრება თიშავს, ფი-
ტავს ადამიანს. ასეთი ადამიანი გარეგნულად ხასითდება
ტლანქი მიხვრა – მოხვრით, „საზარელი გარეგნობით“, მას
ყოველი წუთი გამოთვლილი აქვს, საუზმის დროსაც არ კარ-
გავს დროს, რათა ხელიდან არ გაუშვას ტექნიკის უკანასკნელ
მიღწევათა გამოყენების შესაძლებლობა. მას ახასიათებს
„...ჩამოყალიბებული ჩვევების უცნაურობა, ღრმა საფუძვლის
უქონლობა ცხოვრების გაგრძელებისათვის, ყოველდღიური
საქმეების სიცარიელე, განცდის ზედმეტობა.“ იგი ადამიანუ-
რი ტრაგედიის მიზეზია, მიუხედავად ამისა, ცხოვრება გვბო-
ჭავს და გვაიძლებს ახალი ცხოვრება დავიწყოთ. უნდა სხვა
გზა მოვძებნოთ ცხოვრების გაგრძელებისა. უნდა ვიგრძნოთ,
რომ რწმენას ცხოვრებაში „არავითარი რეალური მნიშვნე-
ლობა არააქვს“, უბრალოდ უნდა ვიყოთ სამყაროში. რატომ
უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ეს ყოფა უკანასკნელი ყოფაა

სამყაროში? არა, სამყარო უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის და მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. ცხოვრება ძალზე წააგავს იმ პატარა თევზის ქცევას, რომელიც თავის მსხვერპლს „პირწმინდად ხრავს“. ასევე ადამიანსაც „პაწაწინა კბილებით ხორცს გლეჯენ, ძვლებამდე ხრავენ“ (5.75). ცხოვრებამ თვით მაცხოვარიც არ დაინდო და ისიც თავის იდუმალ დამნაშავედ გაიხადა. ადამიანი ცდილობს საშველი იპოვოს – საშველი არ ჩანს. „ღმერთო რაისათვის დამიტევებ მე?“ განა ეს ამბოხებულის ძახილი არ იყო?... ქვეყნად ყველაფერი უცნაურადაა მოწყობილი. მიუხედავად ამისა, ადამიანს არ შეუძლია უარი თქვას ცხოვრებაზე, მაშ რა იყო პეტრეს სიტყვები: „მე არ ვიციო კაცი ესე...“ „არა ვიციო რასა იტყვი...“ შიშმა დაუბნელა გონება (5.116). ესაა შიში ცხოვრების წინაშე, ეს შიში საზრდოობს ადამიანის თვითშენახვის ეგოისტური პრინციპებიდან. ამიტომ, ყოველი მორალი, რომელიც აიგება ამ შიშს დაძლევისათვის, სიცრუეზე და სიყალბეზე იქნება დაფუძნებული. ერთადერთი ზნეობრივი ნაბიჯი მისი მიღება და მის მიხედვით მოქმედებაა. თუ ცხოვრებას ადამიანი ასე მიიღებს, მაშინ „დღეიდან უპატრონოდ დარჩნილი სამყარო არც უნაყოფოა და არც უაზრო. ამ ლოდის თითეული მარცვალი, ღამის წყვდიადში ჩაფლულ მთის ქანთა მინერალური გაელვება მისთვის მთელ სამყაროს წარმოადგენს“ (7.109). ადამიანის ასეთი ყოფა მის მარტოობას აჩვენებს. მარტოობა კი არის შიში საკუთარ თავთან და კმაყოფილება თავისი თავის. მარტოობა ძნელი ასატანია „ეს ლოდის გამარჯვებაა, ეს თვით ლოდია, უზომო სასოწარკვეთა ძნელია სატარებლად. ეს ჩვენი ღამეებია“ (7.109). ორი გზა არსებობს, მარტოობა ან სოლიდარობა. ოიდიპოსი მიხვდა, რომ ერთდერთი კავშირი, რომელიც მას სამყაროსთან აკავშირებს, ქალწულის ნაზი და გრილი ხელია, თუმცა ამისათვის საჭიროა „ყოვლისმომცველი სიყვარული“, თუ ეს არ არის, ისევ ჩავარდებით სასოწარკვეთილ მარტოობაში. თავის დაღწევა მარტოობიდან გარკვეულ შუალედებში

შეიძლება. „ყოველდღიურ ჩვენს გაჭირვებაში ბუნტი თამაშობს ისეთივე როლს, როგორსაც დეკარტის „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. ის არის პირველი სიცხადე. ეს სიცხადე აგდებს ადამიანს მისი მარტოობიდან. ის არის ერთობა, რომელიც განსაზღვრავს ყველა ხალხის საერთო ღირებულებას. მე ავჯანყდები, ეს ნიშნავს, მე ვარსებობ. ჩემი არსებობოა სხვათა არსებობის ტოლია და მათი ღირებულებების გაზიარებაა. როგორ შეგვიძლია გავიაზროთ თავისუფლება? – „ჩემთვის საკმარისია სხეულის ყველა ნაკვეთით ვიცხოვრო და ცხოვრება მთელი არსებით ვირწმუნო. სწორედ ესაა თავისუფლება. ცხოვრებაში უშუალო მონაწილეობა, მისი შთაბეჭდილებების უშუალო განცდა თავისუფლების საფუძველია. ამის პოვნა და გაგება გაცილებით ადვილია სამყაროსთან პირისპირ დგომით. „აქ ალბათ ის თავისუფლება მინდოდა მეპოვა, რომლის დავიწყებაც ვერ შევძელი“ (3.188).

საიდან იღებს დასაბამს ადამიანის თავისუფლება? „თუ ღმერთი აღარ არის, აღარც წესრიგია სადმე, თავისუფალი ვართ და ჩვენს თავს თვითონვე უნდა გავუძღვეთ.“ (5,125). ღმერთის სიკვდილმა ადამიანებს განუსაზღვრელი მოქმედების უფლება მიანიჭა. აღარ არსებობს ამკრძალავი ბარიერები. აღარ გვყავს თავისუფლების შემზღუდავი, ტირანია დამხობილია, აღარც სიკეთესა და ბოროტებას შორის არსებობს მტკიცედ დადგენილი საზღვრები. ის, ვისაც შეუძლია უკარნახოს ადამიანებს თავისი კანონები, თავისი საუკუნის ღმერთია, ამიტომ ის ერთადერთია, რომელსაც შეუძლა სრულიად განახორციელოს საკუთარი თავისუფლება, მაგრამ ეს შეიძლება კაცღმერთზე ითქვას, რადგან ღმერთკაცები აღარ არიან. ადამიანებს აფრთხობს თავისუფლების დიადი ტვირთი, რადგან მათ აკრთობთ სასჯელი, რომელსაც აუცილებლად მიუსჯიან ამ თავისუფლების გამო. თავისუფლებით ვერ დავტკბებით ისე, თუ სასჯელიც არ მიიღე. იგი ერთეულების საქმეა. დოსტოევსკის რასკოლნიკოვიც ხომ ცდილობდა დაეჯე-

რებინა თავისი თავი, მისი განსაკუთრებულობის შესახებ? იგი შეეცადა მთლიანად ეზიდა თვისუფლების ტვირთი. ეს რომ შეძლო, უნდა გაუძლო სასჯელს, რომელიც „თანამდევ არს“ თავისუფლებისა (17). რასკოლნიკოვი ისეთივე ზეკაცია, როგორც კამიუს გმირები. რასკოლნიკოვი ხვდება, რომ თავისუფლებას შეიძება გაუძლოს. საკუთარი თავისუფლების განხორციელება ნიშნავს სხვის შეზღუდვას, ამით ეგოიზმი პირველ პლანზე იწევს, გადადის საკუთარი პიროვნებით ტკბობაში.„სიხარბემ ჩვენს საზოგადოებაში პატივმოყვარეობის ადგილი დაიჭირა.“ პატივმოყვარეობა მოითხოვს ღირებულებათა იერარქიაში განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დატკბე იმ თავისუფლებით, რომელსაც ეს ადგილი განიჭებს. სიხარბე კი ისაა, რაც შეიძლება მეტი დაიპყრო, რათა უფრო ძლიერ იგრძნოს საკუთარი ბუნება და უფრო სრულად შეიგრძნო თავისუფლებით გამოწვეული სიხარული.

თავისუფლება და ძალმოსილება

თავისუფლებას ძალაუფლების ბრძოლისათვის ვიყენებთ, ხოლო ძალაუფლებას – თავისუფლების მიღწევისათვის. „წინად, მხოლოდ თავისუფლება მეკერა პირზე... ჩემი სურვილებისა და ძლიერების სამსახურში ჩავაყენე იგი, ზოგჯერ თავისუფლებისათვის უანგარო სამსახურიც გამიწევია... თუმცა ცხადია, თავი არ გამიწირავს, მაგრამ რისკი ხომ გავწიე... ეს მძიმე სამუშაოა, მარტოხელა კაცის ქანცგამომცლელი სირბილი... მარტოდმარტომ უნდა აგო პასუხი საკუთარი თავისა და განმკითხველთა წინაშე, ყველა თავისუფლების წილ სასჯელი მოგველის, სწორედ ამიტომაა იგი მძიმედ სატარებელი“ (5.114). მაგრამ თუ გსურს იყო თავისუფალი, მაშინ კიდეც უნდა ატარო ტვირთი „ ადამიანი დაწყევლილია თავისუფლებით“(სარტრი). გინდა თუ არ გინდა თვისუფლების მსახურად უნდა იქცე, გაიძულებს „რისკი“ გას-

წიო. „ზოგჯერ ამგვარი ცხოვრების გაგრძელებას, დიახ, გაგრძელებას, ზეკაცური ძალა სჭირდება.“ იმისათვის, რომ სრულად გამოავლინო საკუთარი თავისუფლება და აიცილო პასუხისმგებლობა, საჭიროა „მდიდარი იყო“, „იმიტომ რომ ძალაუფლება იგდო ხელთ,“ (5.104). რადგან ასეთ კაცს „ეგ-რერიგად ვერვინ დასდებს ბრალს.“ საინტერესოა იმ რუსი მებატონის მაგალითი, რომელსაც ყოველ სიტუაციაში შეეძ-ლო გამოეყენებინა თავისუფლება და ძალაუფლება მონებ-ზე. შეუძლებელია იცხოვრო ისე, რომ არ მბრძანებლობდე და ვინმე არ იმსახურო. ყველა ადამიანს სჭირდება მონები, ისევე როგორც სუფთა ჰაერი.

ადამიანის მისწრაფებაა იყოს ბედნიერი. ბედნიერება სამყაროსთან ერთიანობაა, ხოლო აბსურდი შეუსაბამობაა სამყაროს ალოგიკურობასთან.ბედნიერების განცდის შემდეგ ისევ გვიბრუნდება აბსურდის შეგრძნება, მაგრამ ჩვენი მარ-ტოობა დაკმაყოფილებულია, ბუნებასთან წუთიერი კავში-რით.

„ბედნიერი რომ იყო სხვებისათვის არ უნდა აიტკიო თავი, გამოდის საშველი არ ყოფილა: ან ბედნიერი და გან-კიცხული უნდა იყო, ან უდანაშაულო და საცოდავი. მე მაინც უსამართლოდ მექცეოდნენ, წარსული ბედნიერებისათვის მდებდნენ ბრალს. დიდხანს მეგონა ირგვლივ სრული თან-ხმობა სუფევს მეთქი, და კიარ ვიცოდი, დაბნეულსა და მომ-ღიმარს ყოველი მხრიდან მსჯავრდადებულთა ისრები და დაცინვმა მაწვიმდა. იმ დღიდან კი როცა გამოვფხიზლდი, თვალი ამეხილა, ყველა ჭრილობა ერთბაშად ვიგრძენი და დავუძლურდი. მთელი სამყარო არახრახდა ჩემს ირგვლივ (5.103). აქ ერთმანეთს ენასკვება აზრი იმის შესახებ, რომ ბედნიერება აუცილებლად ჩემი ბედნიერებაა. თუ შევეცადე სხვას ვაჩვენო ბედნიერება, მაშინ იკარგება თავდაპირველი უშუალო ხედვა სამყაროსთან და ბედნიერებაც ხელიდან გა-მიქრება. თუ ბედნიერებას სხვას უზიარებ, ამით მას კარგავ,

არადა ადამიანები არგაპატიებენ ბედნიერად ყოფნას. ამით ირღვევა თანხმობის გრძნობა ადამიანსა და გარემოს შორის და ძნელი გასაძლები ხდება სამყაროში.“ კამიუ წერს: „თუ მე არამაქვს ცოდნა, არამაქვს ბედნიერება“ (7.38).თანხმობის გრძნობა ცოდნის გარეშე ვერ იარსებებს. „აზრს, რომ შეეძლოს მოვლენათა ცვალებად სარკეებში აღმოაჩინოს მუდმივი არსი, რომელთაც შეუძლიათ ამომწურავად ახსნან ეს მოვლენები თავისი თავით და დაიყვანონ ყველაფერი ერთადერთ პრიციპზე, მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ბედნიერებაზე, რომელთან შედარებითაც ლეგენდა განცხრომის კუნძულზე გამოიყურება სასაცილო არარაობად“ (7.37). მართალია ასეთ საყოველთაო ჰარმონიაზე საუბარი შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია იმ საერთო პრინციპის პოვნა, რომელიც უკლებლივ ყველას ბედნიერებას გვაზიარებდა.

კამიუს აზრით, ადამიანისათვის მთავარია მისი ბედის შეცნობა, ამიტომ ოიდიპოსის სიტყვები „მე ვაღიარებ, რომ ყველაფერი რიგზეა“ – ბედნიერების გამომხატველია. მასში ჩანს აგრეთვე ადამიანის აბსურდული ყოფა. ამ დროს ხდება თანხმობა ადამიანსა და სამყაროს შორის. თავის ბედს თვითონ ქმნის ადამიანი სამყაროსთან თანხმობაში და ეს ნაკლებ აბსურდული როდია. გაცნობიერება იმისა, რომ „მისი ლოდი მისი საქმეა“, იცის ეს „აბსურდის კაცმა“. კაცი, რომელიც თავის ტვირთს მუდამ მიაგნებს. სიზიფე გვასწავლის უზენაეს ერთგულებას, რომელიც უარყოფს ღმერთებს და კლდეებს აბრუნებს. მასაც მიაჩნია, რომ ყველაფერი რიგზეა. დღეიდან უპატრონოდ დარჩენილი სამყარო მისთვის არც უნაყოფოა და არც უაზრო. ამ ლოდის თითეული მარცვალი. ღამის წყვდიადში ჩაფლულ მთის ქანთა მინერალური გაელვება მისთვის მთელ სამყაროს წარმოადგენს, მარტო მწვერვალებისაკენ მიმართული ბრძოლა კმარა კაცის ძალის ასავსებად. სიზიფე ბედნიერად უნდა მიგვაჩნდეს“ (7.109). სიზიფეს ბედნიერება ესაა იმ კაცის ბედნიერება, რომელიც

ცხოვრებას ისე ღებულობს „როგორც არის თავიდან ბოლომდე, მთელი მისი სიგრძე სიგანით, მთელი მის უკუღმართობით,სიდიადითა და მონობით“(5.83).

რელიგიის კრიტიკა

კამიუს ნააზრევში იგრძნობა სევდა დაკარგულ სამოთხეზე. მის ნაშრომში ხშირად ვხვდებით კრიტიკას: ღმერთის, მაცხოვრის, სახარებისეული დოგმატების, პაპობის შესახებ და ქრისტიანობის, როგორც წინააღმდეგობრივი მოძღვრებისა.

კამიუს აქვს ასეთი გამოთქმა: „საუკუნეებმა კვლავ დედის უბეს დაუბრუნეს ნანგრევები იმ სწავლულთა მსგავსად, ვინც მეცნიერებამ ისევ ღმერთის აღარებამდე მიიყვანა“(3.177). ჩვენი აზრით, კამიუმ აქ ის გზა დაასახელა, რომელსაც ადამიანი დაადგა ჯერ კიდევ ძველ მსოფლიოში და რასაც ჩვენ აუცილებლობით მივყავართ თანამედროვე მეცნიერბასა და ტექნიკასთან, ეს კი დაღუპვის გზაა. დადგება დრო, ბუნება დაიბრუნებს თავის დაკარგულ შვილებს, მეცნიერები, რომლებმაც დაინახეს ეს აუცილებელი გარდაუვალობა დასახმარებლად ისევ ღმერთს მიმართავენ. მაღლა ასროლილ ქვას დედამიწის მიზიდულობა უკან აბრუნებს, ასევე ბუნებაც მისგან გასტყორცნილ შვილებს თავისთან დააბრუნებს. მეცნიერება არ არის გამოსავალი ღმერთისაგან განსათავისუფლებლად, არამედ იგი კიდევ უფრო გვაახლოვებს აღსასრულს და მაშასადამე ზრდის რწმენას ღვთის მიმართ, როგორც გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებას.

კამიუს აზრით, ღმერთების შემოყვანა და მათი სხვადასხვა განცდებითა და აღქმებით აღნიშვნა არღვევს უშუალო კავშირს ბუნებასა და ადამიანს შორის. იგი არის გაუცხოების პირველი ფენომენი. დასაწყისია იმისა, რომ შემდეგ ღმერთი საერთოდ წყდება ადამიანს და გვევლინება ადამიანის ბატონად. ეს ბერძნების ბრალია. მათ არ შეძლოთ დარ-

ჩენილიყვნენ სინამდვილის უშუალო განცდის საფეხურზე, ცნებითი აზროვნება თანამედროვე ყოველი დამახინჯების მიზეზია და ამიტომ თანამედროვე ადამიანის ტრაგედიაცაა.

„ეს შეუძლებელია... ყველა ადამიანს სწამს ღმერთი, მათაც, ვინც თითქოს მას ზურგი შეაქცია.“ აქვე იმეორებს კამიუ „მე ერთ ათეისტ მწერალს ვიცნობდი, ყოველ საღამოს ძილის წინ როგორ ლოცულობდა... ასეთ ხალხს სატანური სათნოება ახასიათებს.“ ესენი არიან მორცხვი ათეისტები, რომლებიც უარყოფენ ღმერთს, თუმცა ინარჩუნებენ იმ ღირებულებებს, რომელიც არსებითია ქრისტიანობისათვის. მათ ეშინიათ თავისუფლების და ყოფილი ღმერთის ადგილას, რადგან ძველისადმი სირცხვილი და შიში აქვთ, რათა ხალხმა ყბად არ აგვიღოსო, ახალ ღმერთს წარმოიდგენენ. „მამაო ჩვენო, დროებით მიწაზე რომ ჰხვალ... ჩვენო წინამძღოლებო, მძვინვარე მეთაურებო, ულმობელო და საყვარელო ბელადებო... ერთი სიტყვით, მთავარია თავისუფალი არ იყო და მონანიებისას ვინმეს ემორჩილებოდე, იმას, ვინც შენზე გაქნილია“(5.124 – 125).

„მერწმუნეთ, რელიგიები ცდებიან, როცა ზნეობის მცნებებს ქმნიან. ხოლმე ღმერთი არაა სავალდებულო იმისათვის, რომ კაცს ბრალი დასდო და განაჩენიც გამოუტანო“(5,115). კამიუს აზრით, რელიგიას, რომელიც ქმნის წესებს, ე.წ. ზნეობის ნორმებს, ერთადერთი გამოყენება ისაა, რომ ყველა ადამიანს ბრალი დასდოს და გაასამართლო. ამით იგი მიუთითებს რელიგიაზე, როგორც დამსჯელ ორგანოზე. ქრისტიანობა, მისი აზრით, გადაიქცა, საწინააღმდეგოდ სახარებისა, ადამიანის არა ხსნის, არამედ ბრალის დამდებ ორგანოდ. ქრისტიანობის დღევანდელი არსი ეწინააღმდეგება სახარებისეულ ქრისტიანობას, მათ ვერ გაიგეს ქრისტეს ბუნება. ქრისტე ეუბნებოდა შემცოდე დიაცსს „არცა მე განგიკითხავო“, დღეს, კი ამათ გამოაქვთ განაჩენი და არავის ინდობენ, პირიქით, უფლის სახელით სამაგიერო მო-

გეზღოთო. „უფლის სახელითო? ღმერთი ამდენს როდი ითხოვდა, მეობარო, მას უნდოდა გვყვარებოდა.“ კამიუ ცდილობს ის შეუსაბამობა, რაც არსებობს მაცხოვარსა და დღევანდელ ქრისტიანობას შორის, გაიაზროს, როგორც პეტრეს დანაშაული. „მან წინასწარ განჭვრიტა ეს, ხუმრობის ყადრი იცოდა, პეტრე ხომ გახსოვთ, ლაჩარი პეტრე, როგორ უარყო: „მე არა ვიცი კაცი ესეო...“ „არა ვიცი რასა იტყვი, შიშმა დაუბნელა გონება.“ მოძღვარი კი ხუმრობდა : „ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი.“ როგორ გგონიათ, განა ირონია შეიძლება ამაზე შორს წავიდეს? მათ კი სიხარული შედგომიათ, ასე ბრძანაო. დიახაც ბრაძანა, კარგად უწყოდა ყველაფერი და იმიტომ. მერე კი წავიდა სამუდამოდ და ისინი დაგვიტოვა მსაჯულებად და დამსჯელებად, ვინც სიტყვით პატიებას ჰქადაგებს, გულში კი სამაგიეროს მიზღვა სწადია (5,117).

კამიუ დასცინის ქრისტიანობასა და პაპობას, პეტრე მოციქულს, რომელიც პირველ პაპადაა აღიარებული და ითვლება ქრისტეს მოადგილედ დედამიწაზე. იგი დასცინის თანამედროვე პაპებსაც. კამიუ მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ აირჩია ერთმა ჭკუასუსტმა მორწმუნე ფრანგმა ახალი პაპი, რომელიც მისი აზრით, იმ რომაელივით ტახტზე მჯდომი კი არ ილოცებს, არამედ ტვირთმძიმეთა შორის იცხოვრებს (5,120). ამ ჭკუასუსტი ფრანგის განაწყენება პაპისადმი გამოიწვია იმან, რომ პაპი გვერდში ამოუდგა მოძალადეებს, ფრანკისტებსა და ფაშისტებს. საინტერესოა ისიც, რომ ჭკუასუსტი პაპად ირჩევს ადამიანს, რომელმაც „საკუთარი სისუსტე აღიარა, ყველაზე უფრო სათნოც ეგა ყოფილა და მოდით ეგ ავირჩიოთო“ (5.121). პაპების სათნოებას, მისი აზრით, განაპირობებს ის, რომ ადამიანებზე ბატონებით დატკბეს. ამიტომაა, რომ უნდა შევუნდოთ პაპებს, მათ ეს შენდობა ყველაზე მეტად სჭირდებათ.

ლიტერატურა:

1. ბიბლია, 1989წ. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი;
2. პლატონი „ფედონი“, 1966წ. თბილისი, „ნაკადული“;
3. კამიუ ა. „უცხო“, 1969წ. ჟურნალი „ხომლი“, თბილისი „საბჭოთა საქართველო“;
4. კამიუ ა. „ალჟირული ესეები“, წ. ჟურნალი „საუნჯე, თბილისი „საბჭოთა საქართველო“;
5. კამიუ ა. „დაცემა“, 2011წ. თბილისი გამომცემლობა „აგორა“;
6. კამიუ ა. „უცხო“, 2012წ. გამომცემლობა „აგორა“. თბილისი;
7. კამიუ ა. „სიზიფეს მითი“, 2013.წ გამომცემლობა „აგორა“. თბილისი;
8. კამიუ ა. „შავი ჭირი“, 2012წ. გამომცემლობა „პალიტრაL”, თბილისი;
9. კამიუ ა. „ამბოხებული ადამიანი“, 2019წ. გამომცემლობა „აგორა“ თბილისი;
10. კამიუ ა. „ბედნიერი სიკვდილი“, 2016წ. გამომცემლობა „აგორა“ თბილისი;
11. კამიუ ა. „კალიგულა“, 2008წ. გამომცემლობა „აგორა“ თბილისი;
12. კამიუ ა. „რეკვიემი მონაზონისათვის“, 2011წ. გამომცემლობა „აგორა“. თბილისი;
13. კამიუ ა. „სარჩული და პირი“, 2003წ. გამომცემლობა „აგორა“, თბილისი;
14. კამიუ ა. „ფიქრები გილიოტინაზე“, 1991;
15. დოსტოევსკი ფ. „ძმები კარამაზოვები“, I – IIტ. 2012 წ. გამომცემლობა “პალიტრაL” თბილისი;
16. დოსტოევსკი, ფ. მკვდარი სახლის ჩანაწერები“, 2016წ. გამომცემლობა “პალიტრაL” თბილისი;

17. დოსტოევსკი, ფ. „დანაშაული და სასჯელი“, 1977წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”. თბილისი;
18. დოსტოევსკი, ფ. „ეშმაკნი“, 1991წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო” თბილისი;
19. ნიცშე, ფ. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, 1993წ. გამომცემლობა „ლითერასი“. თბილისი;
20. ჰაიდეგერი, მ. „ყოფიერება და დრო“, 1989წ. თსუ, თბილისი.

Zurab Kobadze – Masters student in sociology of Culture and Media from Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Interested in studying the characteristics of media and government attitudes, interpersonal and intercultural communications.

ALBERT CAMUS – IN SEEKING OF THE LOST MEANING

ABSTRACT

The main problem of the Nobel Prize laureate, Albert Camus, is the seek for a meaning of life. Her characters seek a way out in a world dominated by chaos, glorification of power, and judgment of all immoral personalities, where society is central and personality is neglected.

Albert Camus' personality specific, who seeks out the rest of the world in search of life, and in the process of his search realizes that the world is absurd, and that man is facing this absurdity.According to Camus, we should be able to look at the absurd face to face without the help of religion.Recognition will help one overcome hopelessness and be able to continue living in the face of the absurd.

The meaning of life is to understand absurd. Sisyphus is the winner over the absurd.

წარმოადგინა ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებამ.

ნიკოლოზ მექვაბიშვილი – თავისუფალი უნივერსიტეტის ბაკალავრიატი პროგრამის სტუდენტი.

კონსპირაციული თეორიები, ანუ სხვა თვალით დანახული აქსიომა

რა არის კონსპირაცია და საიდან მოდის კონსპირაციული თეორიები? გვგონია, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანს უმეტესწილად შეცნობილი აქვს სამყარო, თითქოს ყველაფერი ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაშია, თუმცა შესაძლოა ერთ მშვენიერ დღესაც მივიღოთ ინფორმაცია, რომელიც თავდაყირა დააყენებს ჩვენს შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ადამიანის გონება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მიმართულია ყველანაირი მოვლენის გართულებისაკენ, იგი თავისებურად აღიქვამს და ცდილობს მიანიჭოს ყველაფერს იმაზე მეტი მნიშვნელობა და არსი, ვიდრე რეალურად აქვს. სწორედ აქედან გამომდინარეობს უამრავი თეორია დაწყებული „ჯოკონდას“ ღიმილით და დასრულებული ბრტყელი დედამიწის თეორიით, რაც თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ეჭვქვეშ აყენებს ხელოვნების, ლიტერატურისა თუ ემპირიული მეცნიერებების მიერ აღიარებულ აქსიომებს. შევეცდები ჩავუღრმავდე ისეთ თემებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი და შეუმჩნეველია, თუმცა მეორე მხრივ საზოგადოებაში გარკვეულ კითხვებს აჩენს. გაგაცნობთ ისეთ თეორიებს, რომლებიც ობიექტიურად ნაკლებად დასაჯერებელია, თუმცა, ყველა იდეას აქვს არსებობის უფლება.

რით შეიძლება დავიწყოთ ამ თემაზე მსჯელობა, თუ არა „მონა ლიზათი“. არსებობს უამრავი მოსაზრება თუ რა იმალება მისი ღიმილის მიღმა, ვინ არის ეს ცნობილი ქალბატონი და რატომ დაჰქონდა და ვინჩის მისი პორტრეტი ყველ-

გან, სადაც კი მიდიოდა. შევეცდები გაგაცნოთ რამდენიმე დამაჯერებელი თუ დაუჯერებელი თეორია, რომელიც მას უკავშირდება. არსებობს ლეონარდოს შესახებ ექსცენტრიული იდეების სისტემა, რომელიც თეორეტიკოსებს რამდენიმე ნაწილად ყოფს: მისტიკოსი თეორეტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ „მონა ლიზაში“ კოსმოსური ბუნების შესახებ საიდუმლო შეტყობინებებია ჩამალული, ერესის თეორეტიკოსები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ლეონარდო გაწევრიანებული იყო გარკვეული სახის რელიგიურ ჯგუფში, ე.წ. გეო თეორეტიკოსები, რომლებიც შეისწავლიან მონა ლიზას უკანა ფონს, მიმაკუთვნებელი თეორეტიკოსები, რომლებიც ცდილობენ ლეონარდოს სახელი მიაწერონ ისეთ ნახატებს, რომლებიც მისი არ ყოფილა, და ე.წ. დრეგ თეორეტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მონა ლიზა არის ქალად გამოწყობილი თავად ლეონარდო ან მისი ერთ-ერთი მოწაფე. მონა ლიზას შესახებ არსებულ თავსატეხებს შორის მთავარი მისი ვინაობაა. გავრცელებული აზრით, მონა ლიზა ლიზა დელ ჯოკონდოს (ფრანცისკო დელ ჯოკონდოს მეუღლის) პორტრეტია. თუმცა, არსებობს თეორია, რომ მონა ლიზა არის ლეონარდოს დედა. ზოგიერთი თეორეტიკოსი კი ამტკიცებს, რომ მონა ლიზა არის კაცი; შესაძლოა ის იყოს ლეონარდოს ერთ-ერთი მოწაფე ან, თუნდაც, მისი საყვარელი. თუმცა, ყველაზე საინტერესო მაინც ის თეორიაა, რომ ნახატზე თავად და ვინჩია ასახული. თითქმის წარმოუდგენელია როგორი სიზუსტით ემთხვევა და ვინჩის სახე ნახატზე ასახული „ქალბატონისას“.ცხვირთან არსებული ხალებიც კი იდენტურია. სილვანო ვინჩეტი, ხელოვნების ისტორიის მკვლევარი, რომელიც მართავს იტალიის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ კომიტეტს, საფრანგეთის ხელისუფლებისგან მოითხოვს უფლებას, გახსნან და ვინჩის საფლავი და შეადარონ მისი თავის ქალა მონა ლიზას. მხატვრობაში ხშირია ავტორის მიერ ნამუშევარში ფარული ავტო-

პორტრირება. მაგალითად, იერონიმუს ბოსხის ტრიპტიქში „ტკბობის ბაღი“, მიჩნეულია, რომ მან ჯოჯოხეთის კარედში თავისი თავი დახატა. ასევე აღსანიშნავია მოსაზრება, რომ იან ვან ეიკის ნახატში „არნოლფინების პორტრეტი“ , სარკეში თავად არის გამოსახული და მხიარულად უქნევს ხელს მნახველს. ვინჩეტი ასევე აღნიშნავს, რომ მონა ლიზას თვალის გუგებში ჩამალულია ასოები. მისი თქმით, შეუნიღბავი თვალით შეუძლებელია მათი დანახვა, თუმცა, გამადიდებელი შუშით ისინი ნათლად ჩანს. მარჯვენა თვალში, იგი ხედავს ასოებს **L** და **V**, რაც, სავარაუდოდ და ვინჩის ინიციალებია. მარცხენა თვალში ჩაწერილი ასოები თუ ციფრები გაურკვეველია. მიუხედავად ამისა, ვინჩეტი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია მხატვარს ისინი შემთხვევით ჩაეხატა. ლეონარდო ცნობილია შეტყობინებებით, რომელთაც იგი საკუთარ შემოქმედებაში ტოვებს. ამ თეორიაზე უამრავი მკვლევარი მუშაობს. საინტერესო იქნებოდა თვალებში ჩაწერილი ციფრებისა თუ ასოების ამოკითხვა და გაშიფვრა. თუმცა, ლუვრის ექსპერტების თქმით, მათ ჩაატარეს ყველანაირი ლაბორატორიული ტესტი და ვერაფერი აღმოაჩინეს. იმის გამო, რომ და ვინჩის სჩვევია სიმბოლოების გამოყენება, მისი სხვა ნახატებიც შეამოწმეს და ვერც იქ აღმოაჩინეს მსგავსი ასოები თუ ციფრები, თუმცა ლეონარდო და ვინჩის შემოქმედება ყოველთვის ბევრ კითხვას უჩენდა მნახველს. მკვლევარების აზრით ლეონარდოს გენიალური ნახატები უფრო ბევრს მოიცავს, ვიდრე ამას ხალხი აღიქვამს. მისი კიდევ ერთი საკამათო შედევრი „საიდუმლო სერობის“ უზარმაზარი ფრესკაა. ბევრს უჩნდება კითხვა თუ რა უნდა იყოს საკამათო რელიგიურ თემატიკაზე შესრულებულ ნახატზე, მაგრამ სურვილი იმისა, მიანიჭო უფრო დიდი მნიშვნელობა „უბრალო“ დეტალებს, საფუძვლად უდევს არა ერთ კონსპირაციულ თეორიას. რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ფრესკაზე გამოსახული

წმინდანდების ხელების განლაგება ერთგვარ მუსიკალურ კომპოზიციას ქმნის. ერთ-ერთი მკვლევარი კი ამტკიცებს, რომ ფრესკაზე გამოსახული მათემატიკური და ასტროლოგური ნიშნებით ლეონარდო წინასწარმეტყველებას ცდილობდა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ მხატვარს შედევრში დაფარული აზრი აქვს ჩადებული, რომლითაც **4001** წელს აპოკალიფსურ წყალდიდობას იუწყება. ზემოთ აღნიშნულებთან შედარებით უფრო რეალისტური თეორიის თანახმად იესო ქრისტეს მარჯვნივ გამოსახული ფიგურა არა მოციქული იოანე, არამედ მარიამ მაგდალინელია. ცნობილია, რომ ეკლესიამ აკრძალა ვერსია, რომ მარიამ მაგდალინელსა და იესოს შორის რაიმე სახის ურთიერთობა არსებობდა. მიუხედავად ყველაფრისა, ამის არაერთი კონტრარგუმენტი არსებობს. უპირველესად ეს არის ის, რომ და ვინჩი არ იყო პირველი ვინც საიდუმლო სერობა გააცოცხლა, რაც მას არ აძლევდა იმის უფლებას შეეცვალა ფიგურათა წყობა და მითუმეტეს ნახატზე გამოსახული პიროვნებების ვინაობა. მეორე უმთავრესი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ ფრესკაზე იოანე ნათლისმცემელია გამოსახული, ისაა, რომ სახარების თანახმად მარიამ მაგდალინელი საიდუმლო სერობას არ ესწრებოდა. გარდა ამისა ლეონარდოს მცდელობაც კი შეწინააღმდეგებოდა ეკლესიას და „დაემახინჯებინა“ რელიგიური სურათი სავალალოდ დამთავრდებოდა და მხატვარი სავარაუდოდ ინკვიზიციის მსხვერპლიც გახდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კონსპირაცია მიქელანჯელოს „პიეტასაც“ უკავშირდება. ერთ-ერთი შეხედულებით, ღვთისმშობელი ზედმეტად ახალგაზრულადაა გამოქანდაკებული და შეუძლებელია ის იყოს **33** წლის იესოს მშობელი, სწორედ ამიტომ, ვერსიის თანახმად სკულპტურაზე მარიამ მაგდალინელია ის, ვინც გარდაცვლილ იესოს დაიტირებს. თუმცა თეორია საკმარისად არაა არგუმენტირებული, გარდა ამისა, ქანდაკების მხოლოდ სახელიც კი საკმარისია მის უარსაყო-

ფად.სიტყვა პიეტა ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს და მშობლისა და შვილის სიყვარულის განსახიერებაა. გარდა ამისა პიეტას უწოდებენ იესოს დატირების სცენებსაც. შესაძლოა ვოლტერ სიკერტის სახელი ისეთივე ცნობილი არ იყოს ყველასათვის, როგორიც ლეონარდო და ვინჩის, მაგრამ იგი იყო ინგლისური იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ვოლტერ სიკერტის სახელს ერთ-ერთი ყველაზე მისტიური თეორია უკავშირდება. **2002** წელს პატრიცია კორნველმა გამოსცა წიგნი სახელად „ჯეკ მფატრავი: საქმე დახურულია“, რომელშიც ამტკიცებს, რომ ჯეკ მფატრავის ნიღაბს ამოფარებული მკვლელი სინამდვილეში ვოლტერ სიკერტია. პატრიცია არ იყო პირველი, ვინც მხატვარზე ეჭვი მიიტანა, ვინაიდან ვოლტერმა მართლაც მისცა ხალხს ამის საბაბი. მან არაერთ ტილოზე ასახა მფატრავის მკვლელობის სცენები, ასევე რამდენჯერმე დახატა ჯეკ მფატრავის ოთახი. სიკერტი არ მალავდა თავის აღფრთოვანებას სერიული მკვლელის მიმართ, ამბობენ, რომ ერთ-ერთი მკვლელობის შემდეგ მან პოლიციას პირადად სთხოვა კიდეც დანაშაულის ადგილის მონახულება, რათა ჩანახატი გაეკეთებინა. როგორც ვიცით, ჯეკ მფატრავი ყველა დროის ყველაზე სასტიკ სერიულ მკვლელად არის აღიარებული. მის ამბავს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ მისი ვინაობა დღემდე უცნობია. ყველა სერიულ მკვლელს აქვს საკუთარი ხელწერა. მკვლელი ლონდონის ქუჩებში 1888 წელს გამოჩნდა, ამბობენ, რომ გამოაშკარავების საერთოდ არ ეშინოდა და პოლიციასთან კავშირსაც კი ამყარებდა, ის გზავნიდა წერილებს, რომლებზეც უცნაურ ბეჭედს არტყამდა, ზოგჯერ კი ჩანახატებსაც აკეთებდა. პატრიცია კორნელი ამტკიცებს, რომ ჯეკ მფატრავის ჩანახატები ძალიან ჰგავს ვოლტერის სტილს და ასევე ბეჭედი, რომელიც მკვლელის წერილებზეა იდენტურია იმისა, რომელსაც მხატვარი იყენებდა. არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჯეკ მფატრავი მენტალურად არას-

ტაბილური იყო, ამის მიზეზი ძალიან დიდი ალბათობით რთული ბავშვობა, ან ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმა უნდა ყოფილიყო. წიგნის ავტორმა გამოიძია ვოლტერ სიკერტის ბიოგრაფია და აღმოაჩინა, რომ მხატვარს ხუთი წლის ასაკში გადატანილი აქვს სამი სერიოზული ოპერაცია, რომელიც დიდი ალბათობით მისი შეურაცხადობის მიზეზი უნდა გამ-ხდარიყო. ალბათ ყველაზე დიდ მტკიცებულებად ვოლტერის ნახატი "მისის ბარეტი" ითვლება. ნახატზე ჯეკ მფატრავის ერთ-ერთი მსხვერპლია ასახული. როგორც პატრიცია კორ-ნელი ამბობს, ნახატზე თვალსაჩინოდ ჩანს ქალის ყელზე სამკაული, სწორედ ის სამკაული, რომელსაც ჯეკი პოლიცი-ასთან მიწერილ წერილში ახსენებს.მკვლელი ამბობს , რომ ის ქალს თავად აჩუქა, ეს დეტალი კი მხატვარს ტილოზე არ გამორჩენია. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ავტორმა მთე-ლი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ამ თეორიის მტკიცებას, საქმე თითქმის საუკუნე ნახევრის შემდეგაც გაუხსნელი რჩება. ერთ-ერთი სიკერტოლოგი რიჩარდ შოუნი ამ თეორი-აზე ასეთ კომენტარს აკეთებს: „რაც შემიძლია გითხრათ არის ის, რომ მისი ეჭვები და ალიბები ძალიან სუსტი და უსა-ფუძვლოა. მას არ აქვს საყრდენი გარდა ჭორებისა, რომლე-ბიც იმ დროს დადიოდა. რა თქმა უნდა, ვოლტერი მკვლელი რომ ყოფილიყო ჩვენ სხვანაირად შევხედავდით მის შემოქ-მედებას, მაგრამ ხაზი გადაუსვა მთელ მის შემოქმედებას – ეს შეუძლია ადამიანს რომელსაც ხელოვნებაში არაფერი არ ესმის." მხატვარი არ იყო ერთადერთი შემოქმედი, რომელ-საც ჯეკ მფატრავის ვინაობას მიაწერენ, ერთ-ერთი თეორი-ით მკვლელი შესაძლოა უდიდესი მწერალი ოსკარ ვაილდიც ყოფილიყო. ამ ეჭვს ბადებს წიგნში „დორიან გრეის პორტრე-ტი" ავტორის მიერ მკვლელობის დეტალური აღწერა.

ხელოვანთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნე-ბა, რომელსაც კონსპირაციული თეორიები უკავშირდება უი-ლიამ შექსპირია. მართალია შექსპირს სერიულ მკვლელობას

არ აბრალებენ, მაგრამ მისი იდენტობის საკითხი მრავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ცნობილია, რომ იგი დაიბადა წარმატებული მეხელთათმნის ოჯახში. თუმცა, როდესაც იგი 12 წლის იყო, მამამისი რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც ვერ შეძლო ნიჭიერი შვილის უნივერსიტეტში გაგზავნა. შექსპირის განათლების მიღების დოკუმენტური მტკიცებულებების გარეშე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ღარიბი ოჯახის შვილს არ ჰქონდა სათანადო განათლება იმისათვის, რომ ასეთი რთული ნაწარმოებები დაეწერა. ამიტომ, არსებობს რამდენიმე თეორია, რომ ეს ნაწარმოებები არა მისი, არამედ სხვა მწერლების მიერ არის დაწერილი. გრამატიკის სკოლები, რომლებიც იმ დროისათვის არსებობდა, ლათინურს, კლასიკოსი მწერლების ლიტერატურულ ნამუშევრებსა და რიტორიკას შეასწავლიდნენ მოსწავლეებს. არ არის შემორჩენილი არც ერთი სკოლის მოსწავლეთა სია, ამიტომ არ არსებობს დოკუმენტური მტკიცებულება იმისა, რომ შექსპირს უვლია ასეთ სკოლაში. არც ერთ მოსწავლესა თუ მასწავლებელს არ აღუნიშნავს, რომ რაიმე სახის კონტაქტი ჰქონიათ მასთან. ამიტომ, მიიჩნევა, რომ შექსპირს ძალიან მცირე განათლება ჰქონდა ან, სულაც, ნულოვანი. ასეთი ცოდნის მქონე ადამიანის ლექსიკონი თითქმის შეუძლებელია შედგებოდეს 17500 – 29000 სიტყვისაგან. არ არის შემორჩენილი შექსპირის მიერ დაწერილი არც ერთი წერილი ან ხელნაწერი. გადარჩენილია მხოლოდ 6 დადასტურებული ხელმოწერა, რომლებიც ძალიან ჰგავს უბრალოდ ნაჯღაბნს. აღსანიშნავია, რომ იგი სხვადასხვანაირად აწერდა ხელს. საინტერესოა ასევე შექსპირის მიერ სასახლის ვითარების აღწერა. მისნაირი დაბალი სოციალური ფენის ადამიანს შეხება არ უნდა ჰქონოდა არისტოკრატიასთან. არსებობს 87 ვერსია თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო სინამდვილეში იგი. მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ შექსპირის შემოქმედება რამდენიმე ავტორის მიერ არის დაწერილი და

ისინი უბრალოდ ფსევდონიმად იყენებდნენ ამ სახელს. საგულისხმოა, რომ ის ადამიანები, ვისაც შექსპირის შემოქმედებას მიაწერენ, დაბადებისა თუ გარდაცვალების რამდენიმე წლით მაინც სცდებიან შექსპირს. არ არსებობს არც ერთი დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ რომელიმე მათგანი მაინც შეიძლება ყოფილიყო უდიდესი დრამატურგი, ამიტომ, ყურადღება მინდა გავამახვილო ისეთ კონსპირაციულ თეორიაზე, რომელიც მაკბეტის წყევლის სახელითაა ცნობილი. მაკბეტის წყევლა არის უბედურება, რომელიც თავს გადახდებათ პიესის წარდგენის დროს. რამდენადაც შორს არ უნდა იყოს რეალობისგან, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტრაგედია შეიცავს ნამდვილ შავ მაგიას. მათ, ვისაც ეყოფა გამბედაობა, რომ ახსენოს დადგმის სახელი თეატრის კედლებს შორის, არიან რისკის ქვეშ, რომ უბედურება დაატყდებათ თავს. 1937 წელს, მსახიობი ბიჭი, რომელსაც უნდა შეესრულებინა ლედი მაკბეტის როლი, კულისებში გარდაიცვალა პრემიერის დღეს. 1934 წელს ერთი კვირის განმავლობაში ოთხმა მსახიობმა შეცვალა ერთმანეთი. 1937 წელს მოუწიათ მაკბეტის გადადება, რადგან გარდაიცვალა ინგლისელი თეატრალური პროდიუსერი და მენეჯერი. ხოლო 1954 – ში მისი პორტრეტი ჩამოვარდა და დაიმსხვრა პრემიერის ღამეს. წყევლისგან თავის დაღწევის გზა დაკარგულია. თუმცა, გაჩნდა რამდენიმე ვარაუდი, თუ რატომ არსებობს საერთოდ ის. მათ შორის მნიშვნელოვანია ორი: პირველი ის, რომ არსებობდა მისტიური დების შელოცვები. ხოლო მეორე, რომ დადგმას უბრალოდ ზემოთხსენებული ცუდი წარსული აქვს. დადგმაში უამრავი ჩხუბისა და ფიზიკური კონტაქტის მოქმედებაა. გარდაუვალია, რომ მისი წარდგენის განმავლობაში არავინ დაშავდება. მის ერთ-ერთ წარმოდგენაში მაკბეტსა და მაკდაფს შორის ორთაბრძოლის სცენაში მსახიობებს ხელზე ეკეთათ ფარები. მაკბეტს მოქნეული ხელიდან მოსძვრა ფარი, ხოლო მაკდაფმა ინსტინქტურად დახრით აიცი-

ლა იგი. ფარი რამდენიმე მეტრით მოშორებით დაეცა სცენისაგან. პირველ რიგში, ფარის დაცემის ადგილის პირდაპირ ორი მონაზონი იჯდა. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, დადგმა მოიცავს ბოროტ სულს შვეიცარის სახით. წყევლის მოშორების ყველაზე გავრცელებული გზა არის ის, რომ დამნაშავემ უნდა დატოვოს თეატრი, 3-ჯერ დატრიალდეს, გადაიფურთხოს, თქვას ყველაზე უხამსი სიტყვა, რაც მოაფიქრდება და დაელოდოს თეატრში დაბრუნების ნებართვას. სხვა თეორიის თანახმად, დაწყევლილი შემოქმედება აქვს შექმნილი ედუარდ მუნკსაც. მხატვრის თქმით, მის ნახატში „დედის გარდაცვალება“ მან სწორედ დედამისი ასახა, რომელიც ტუბერკულიოზით გარდაიცვალა . ბევრი ადამიანი, ვინც დიდხანს დააკვირდა ნახატს, აღნიშნავს რომ ბავშვის მიმიკა იცვლება და ასევე უკანა ფონზე საბანი მოძრაობს. გავრცელებული აზრით, იდუმალი მოვლენები ხდებოდა მათთან, ვინც შემთხვვით ”გააბრაზებდა” ედუარდ მუნკის ”კივილს”. ამ სურათის ღირებულება 70 მილიონ დოლარს აღწევდა. ის ბევრი კოლექციონერის ოცნება იქნებოდა, რომ არა ერთი ფაქტი – ამბობდნენ , რომ ეს სურათი თითქოს შურს იძიებს ყველა თავის „გამბრაზებელზე“. მაგ: მუზეუმის ერთ-ერთ თანამშრომელი, რომელსაც შემთხვევით დაუვარდა სურათი, დიდხანს იტანჯებოდა თავის ტკივილებით, რამაც საბოლოოდ იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. მუზეუმის სხვა თანამშრომელი, რომელსაც ასევე შემთხვევით დაუვარდა სურათი, რამდენმე დღის შემდეგ საშინელი ავარიის შედეგად რეანიმაციაში მოხვდა, მოტეხილი ჰქონდა თითქმის ყველა ძვალი. მუზეუმის ერთ-ერთ დამთვალიერებელი, რომელიც სურათს ხელით შეეხო, რამოდენიმე დღეში ხანძრის შედეგად დაიწვა. არსებობს უამრავი ისტორია ადამიანებზე, რომლებიც თუკი რამენაირად შედიოდნენ სურათთან კონტაქტში, ავადმყოფობდნენ, ვარდებოდნენ მძიმე დეპრესიაში ან მოულოდნელად იღუპებოდნენ .ამ სურათის ამგვარ ზემოქ-

მედებას თავად მხატვრის ცხოვრებას უკავშირებენ, რომელიც სავსე იყო დაუსრულებელი ტრაგედიებითა და შემაძრწუნებელი ისტორიებით. მხატვარმა გადაიტანა თითქმის ყველა მისი ნათესავის სიკვდილი: დედა გარდაეცვალა ტუბერკულოზით როცა 5 წლისა იყო, საყვარელი და მოულოდნელად დაიღუპა , როცა ის 14 წლისა იყო. ამიტომ, მისი ასეთი ტრაგიკული ბედის გამო, მუნკის ნახატებს, შემაძრწუნებლობის გარდა, უამრავ წყევლასა თუ მისტიურ მოვლენას უკავშირებენ.

ენტონი ქუინი, მექსიკური წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, მხატვარი, მწერალი გარდაიცვალა 2001 წლის ივნისსში, 11 სექტემბრის ტრაგედიამდე 3 თვით ადრე. 2003 წლამდე ცნობილი იყო როლებით ისეთ წარმატებულ ფილმებში, როგორებიცაა „ბერძენი ზორბა“, „ლოურენს არაბი“, „გზა“. ორჯერ მოიპოვა ოსკარი კაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის. თუმცა, 2003 წელს ხელოვნების ნიმუშების სავაჭრო აგენტმა, სტივენ ჰარტიმ, იხილა მისი ნახატი სახელწოდებით „თავისუფლების სახეები“, შესრულებული 1985 წელს. ჰარტიმ მუშაობა დაიწყო ქუინის მეუღლესთვის, რომელმაც მას ნახატების გაყიდვაში დახმარება სთხოვა. მას ეგონა, რომ ქუინის ნახატის ინსპირაცია 11 სექტემბრის ტრაგედია იყო. ის განაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ მხატვარმა ნახატი ტრაგედიამდე 16 წლით ადრე დახატა. ჩამოყალიბდა კონსპირაციული თეორია, რომ ენტონიმ იწინასწარმეტყველა 11 სექტემბერი, რადგან ერთადერთი ახსნა, რომელიც ჰარტიმ მოძებნა, წინასწარმეტყველება იყო. ერთი შეხედვით, ნახატზე გამოსახულია თავისუფლების ქანდაკების ორი, ერთი სევდიანი და მეორე ავის მომასწავებელი სახე, ხოლო მათ მარჯვნივ – თავად თავისუფლების ქანდაკება. „ეს ჩემთვის დიდი სურპრიზი იყო, ვუყურებდი და ვუყურებდი ნახატს და ვხედავდი უფრო მეტს, მეხანძრეებს, ბოლს ცაში, თვითმფრინავების შეჯახებას და ა.შ.“ – ამბობს ჰარტი.

ქუინის ცოლი, კეტრინი, არ ფიქრობს, რომ „თავისუფლების სახეებით“ მისმა მეუღლემ რაიმე იწინასწარმეტყველა, თუმცა, იხსენებს ფრაზას, რომელიც ენტონიმ მას სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე უთხრა: „მოხდება რაღაც საშინელება და არავის ესმის რამდენად მძიმე იქნება ის.“ ცნობილია, რომ ენტონი ხშირად საუბრობდა შავბნელი მოვლენების, წინასწარმეტყველებებისა და სულების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული მოვლენა ნამდვილად შემზარავია და თეორიულადაც საინტერესოა. წლების განმავლობაში სხვა უამრავი თეორია ჩამოყალიბდა, რომელთა მიხედვითაც, მრავალმა მწერალმა, მხატვარმა თუ ანიმატორმა იწინასწარმეტყველა ტყუპი ცათამბრჯენების დანგრევა. მათ შორის გამორჩეულია მეთექვსმეტე საუკუნის ფრანგი ასტროლოგის, მიშელ დე ნოტრდამის, იგივე ნოსტრადამუსის ნაწერები. ერთ-ერთ მათგანში იგი წერს: „ორი ფოლადის ჩიტი ჩამოვარდება ციდან მეტროპოლისში / ცა დაიწვება და ცეცხლი მიუახლოვდება ახალ დიდებულ ქალაქს.“ ასევე უამრავ ანიმაციაში არის ნახსენები ტყუპი ცათამბრჯენები. მაგალითად, მულტიპლიკაციურ ფილმ „ჯონი ბრავოს“ ერთ-ერთ მონაკვეთში კედელზე გაკრულია პოსტერი, რომელსაც ეს ტრაგედია ახატია და აწერია: „მალე“. ეს მოვლენა ასახულია ასევე მარველის ერთ-ერთ კომიქსში. საინტერესოა, რომ ანიმაციური სიტკომის, სიმპსონების ერთ-ერთ სერიაში, ტრაგედიამდე თვეებით ადრე ჩანს გაზეთი, სადაც $ – ის ნიშანი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სექტემბერს ნიშნავს, ხოლო ციფრი 9 და ტყუპი ცათამბრჯენები ისეა მოთავსებული, რომ 9/11 – ს ჰგავს. მიიჩნევა, რომ სიმპსონებში არაერთი წინასწარმეტყველებაა ჩამალული. როგორც შეატყვეთ ანიმაციური ფილმებიც ხდება კონპირაციული თეორიების „მსხვერპლი“ და თან საკმაოდ ხშირად. მაგალითად, „ფინისი და ფერბი“ საბავშვო ანიმაციური სერიალია, რომელიც ორ ძმაზე მოგვითხრობს. ძმებს უფროსი და ჰყავთ, ქენდისი,

რომელსაც მოსვენებას არ აძლევენ. სერიალში ერთ-ერთ ბოროტმოქმედ პერსონაჟად წარმოდგენილია მეცნიერი, დოქტორ დუფენშბერცი, რომელიც ფინისისა და ფერბის გამოგონებების მოპარვას ცდილობს. ერთ-ერთი კონსპირაციული თეორიის თანახმად, ქენდისი ფსიქიკურად არ არის ჯანმრთელი, ფინისი კი მისი პატარა ძმაა, რომელიც დაიღუპა. ფერბი საკმაოდ ასოციალურია და თითქმის არასდროს ლაპარაკობს. ქენდისმა კი საკუთარ წამოსახვაში შემქმნა სამყარო, სადაც მისი ძმები დაუვიწყარ თავგადასავლებში ეხვევიან, სწორედ ამით აიხსნება მულტფილში ის ფაქტი, რომ ქენდისის დედა ვერასდროს ხედავს რას საქმიანობენ მისი პატარა ბიჭები. დოქტორ დუფენშბერცი დიდი ალბათობით ქენდისის თერაპევტი უნდა იყოს, რომელიც გოგონასგან წარმოსახვის „წართმევას“ ცდილობს. მეორე ვერსიით, რომელიც ძალიან ჰგავს პირველს, ქენდისი შიზოფრენიითაა დაავადებული და ფინისი და ფერბი უბრალოდ მისი შინაგანი ხმები არიან. ეს არ არის ერთადერთი ანიმაცია, რომელიც მენტალურ დაავადებებს შესაძლოა აღწერდეს. საბავშვო ლიტერატურისა და ეკრანიზაციის „ვინი პუჰის“ გმირები შესაძლოა მენტალური დარღვევების ვიზუალიზაცია იყოს. მტავარი გმირი ვინი პუჰი კვებითი აშლილობით უნდა იყოს დაავადებული, ვირი დეპრესიით, კრისტოფერ რობინი შიზოფრენიით, ბუ ნარცისიზმით და ასე შემდეგ. საინტერესო ვერსიას გვთავაზობენ ანიმაციურ ფილმ „სპანჯობის“ პერსონაჟებიც. არსებობს თეორია, რომ ანიმაციის პერსონაჟები შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის განსახიერებებია. თეორიის თანახმად, მისტერ კრაბსი სიხარბის და ანგარების განსახიერება უნდა იყოს, პლანკტონი – შურის, სენდი – ამპარტავნების, პატრიკი – უმაქნისობის, სკვიდუარდი – მრისხანების,სპანჯბობის ლოკოკინა – ღორმუცელობის და თავად სპანჯბობი – ვნების. თეორიის მართებულობაში ეჭვი ბევრმა შეიტანა, ვინაიდან საბავშვო ანიმაციაში გარყვნილე-

ბის ცოდვის ვიზუალიზაცია მიუღებელი და წამოუდგენელი იყო. სინამდვილეში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვნების და გარყვნილების ცოდვაში რელიგიურად სხვებისადმი გადამეტებული სიყვარულიც იგულისხმება, მაშინ ეს თეორია საკმაოდ დიდი ალბათობით შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს.

ზოგიერთი თეორია ისტორიულ ფაქტებზეა დაყრდნობილი, მაგალითად მინიონების თეორია ანიმაციიდან „საზიზღარი მე". ისინი სავარაუდოდ იმისთვის არიან შექმნილები, რომ ემსახურონ მსოფლიოს ყველაზე ბოროტ ბატონებს. ერთ-ერთი კონსპირაციული თეორიის თანახმად, ყვითელი მინიონები, რომლებიც ბავშვებს ასე ძალიან უყვართ, სინამდვილეში თავად ებრაელი ბავშვები არიან, რომლებზეც ნაცისტი მეცნიერები ექსპერიმენტებს ატარებდნენ. ჩვენ არ ვიცით რა იყო მათი შექმნის ინსპირაცია. თუმცა, მსგავსება მათსა და ებრაელ ბავშვებს შორის თითქოს ზედმეტად ახლოა, იმისთვის,რომ ეს უბრალოდ დამთხვევა იყოს. ნაცისტების გაზის საკნებში ზუსტად გაზის ის კომპონენტი, ციკლონი ბ, იყო გამოყენებული, რომლითაც ზემოქმედებდნენ ებრაელ ბავშვებზე გაზის ნიღბებით. გაზის ზემოქმედება ბავშვში გონებრივ პრობლემებს იწვევდა, ექსპერიმენტების შედეგად მათი ფსიქიკური მდგომარეობა უარესდებოდა, უქვეითდებოდათ მეტყველების უნარი,ლოგიკა და მანერები, ზუსტად ისე, როგორც ეს ერთი შეხედვით საყვარელ და სასაცილო მინიონებს ახასიათებთ. თუმცა, რეალურად ეს ფოტოები არ არის ებრაელი ბავშვების.

მსოფლიო ხელოვნების ისტორია მოცულია საიდუმლოებებით და უჩვეულობებით, ჩემს მიერ ზემოთხსენებული თეორიები წარმოვადგინე იმ მიზნით, რათა ინტერესიანი მკითხველი კარგად გასცნობოდა კონკრეტულ კონსპირაციულ თეოირებს და არაა მართებული, ეს თეორიები მივიღოთ, როგორც ფაქტები. ფილმში „დასაწყისი" ლეონარდო დიკაპრიო ამბობს ასეთ ფრაზას: „რომელია ყველაზე გამძლე პა-

რაზიტი? ბაქტერია? ვირუსი? ნაწლავის ჭია? იდეა. ის მეტის-მეტად სიცოცხლისუნარიანი და გადამდები გახლავთ. საკმარისია გონებაში აზრი გაჩნდეს, რომ, პრაქტიკულად, მისი მოშორება შეუძლებელი ხდება.“ სწორედ ამიტომ ჩნდება ამდენი კონსპირაციული თეორია. ადამიანის გონება არ წყვეტს მუშაობას და როგორც შესავალში აღვნიშნე, ვფიქრობ, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა იდეას აქვს არსებობის უფლება.

Nikoloz Mekvabishvili – Student of Free University of Tbilisi, Bussiness – School, First Course.

CONSPIRACY THEORIES – QUESTIONED AXIOMS

ABSTRACT

This article provides various theories about different conspirational views about empirical studies connected with art (Painting, cinema, literature). Discussed theories are based on researchings I made about some paintings, films, authors and artists, which may or not are supposed to answer questions mentioned down in the article.

რეცენზიები
REVIEWS

მანანა გაგოშიძე
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

მაია კიკნაძე
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

რელიგიის სოციოლოგიის საინტერესო სახელმძღვანელო
რ ე ც ე ნ ზ ი ა

კახა ქეცბაიას წიგნზე „რელიგიის სოციოლოგია“ (განახლებული ელექტრონული სახელმძღვანელო, 467 გვ.)

სარეცენზიო წიგნი, ძირითადად, სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის და, საერთოდ, რელიგიის სოციოლოგიის შესწავლის მსურველთათვისაა განკუთვნილი. ავტორმა იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ელექტრონული სახელმძღვანელოების კონკურსის ფარგლებში მოამზადა, როგორც გამარჯვებული პროექტი. მასში ავტორის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში სოციოლოგიის მიმართულებაზე „რელიგიის სოციოლოგიის“ განხრით წაკითხული ლექციებია თავმოყრილი. სალექციო თემატიკას თან ერთვის სტუდენტთათვის აუცილებელი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კითხვები და დავალებები, სხვადასხვა სახის სავარჯიშოები, მასალები განსჯისათვის, რელიგიის სოციოლოგიის ცალკეულ ტერმინთა განმარტებები და ა.შ. რელიგიის სოციოლოგიის ისტორიიდან და თანამედროვეობიდან მოტანილი არაერთი საინტერესო მასალა, რომელიც სალექციო თემატიკასთან საკითხავი მასალის სახის არის დაკავშირებული,

სტუდენტებს რელიგიის სოციოლოგიის სფეროში ცოდნის შეძენასა და სრულყოფაში დაეხმარება უთუოდ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არამარტო თსუ-ში, არამედ საქრთველოში მოქმედ ბევრ უმაღლეს საწავლებელში რელიგიის სოციოლოგია, სწორედ, კ. ქეცბაიას სახელმძღვანელოთი ისწავლება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენთვის აღნიშნული სახელმძღვანელოს პირველი ვარიანტი უცხო არ არის. მისი პირველი ვერსია 2012 წელს შეიქმნა და გამოიცა, რის შემდეგ, აუცილებელი ცვლილებების მიუხედავად, არ გამოცემულა. სახელმძღვანელო მაქსიმალურად არის მისადაგებული თანამედროვე სასწავლო სტანდარტებს და სალექციო თემების მიხედვით არის შედგენილი (მთლიანობაში 15 თავს მოიცავს (იხ. სარჩევი). მასში ყველა ის აუცილებელი საკითხი, ცნება, თეორია, მიდგომა და ხედვაა შეტანილი, რომელიც საჭიროა, რომ „რელიგიის სოციოლოგიის“ კურსმა უნდა მისცეს შესაბამისი სპეციალობის სტუდენტს. პედაგოგიური და მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ყოველი სალექციო თემატიკა განხილულია კლასიკური, თანამედროვე და პოსტთანამედროვე თეორიული და ემპირიული კვლევების, ხედვებისა და მიდგომების მიხედვით. ნაჩვენებია საკითხისადმი, რელიგიური პრობლემისადმი სოციოლოგიური მიდგომის თავისებურებანი, რომლის დემონსტრირება ხდება სხვა, არასოციოლოგიურ (მაგალითად, თეოლოგიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, ფილოსოფიური, კულტურ-ანთროპოლოგიური და სხვ.) მიდგომებთან შედარების გზით. სახელმძღვანელო ითვალისწინებს რელიგიის სოციოლოგიის სფეროში არსებულ ავტორიტეტულ უცხოურ (ი. ვახი, თ. ლუკმანი, პ. ბერგერი, სმელზერი, გიდენსი, მასიონისი და სხვ.) და ქართულ (ე. კოდუა, ო. გაბიძაშვილი და სხვ.) ანალოგიურ გამოცემებს. ჩანს, რომ განახლებულ სახელმძღვანელოს დაემატა ცალკეული თემები, მაგალითად, რელიგიური ცნობიერება და სოციალური ქცევა, სეკულარი-

ზაცია, სამოქალაქო რელიგია, რელიგია და ყოველდღიურობა, რელიგია და სოციალური სტრატიფიკაცია, მსოფლიო რელიგიების სოციალური ჰაბიტუსი და მრავალი სხვა, ხოლო რელიგიის შესახებ არსებულ თეორიებს დაემატა მარსელ მოსის, ფერდინად თიონისის, პიტირიმ სოროკინისა და მირჩა ელიადეს კონცეფციები.

სახელმძღვანელოში მარტივი და გასაგები თხრობითი სტილია გამოყენებული და სპეციფიკური ტერმნინები სათანადოდ არის განმარტებული (იხ. დანართი). პედაგოგიური მეთოდიკის თვალსაზრისით სახელმძრვანელო იმგვარდ არის შეკრული და წარმოდგენილი, რომ სტუდენტი არათუ დაინტერესდება რელიგიის სოციოლოგიის პრობლემატიკით, არამედ მას ამ მეცნიერების სამომალო შესწავლის სურვილიც გაუჩნდება უეჭველად. მარტივი სასაუბრო ენა, საილუსტრაციო მასალის სიჭარბე და, ზოგჯერ, დასაშვები განმეორებები სხვადასხვა სოციოლოგიური პრობლემების ახსნის პროცესში, ვფიქრობთ, რომ სტუდენტებს „რელიგიის სოციოლოგიის“ უკეთ შესწავლასა და გაცნობიერებაში დაეხმარება. სახელმძღვანელოს ერთვის ვრცელი მასალა სახელწოდებით რელიგიები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მსოფლიო რელიგიური რუკა, სახელთა საძიებელი (რაც სტუდენტებს სახელმძღვანელოზე მუშაობას გაუადვილებს) და რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

სახელმძღვანელოს ასეთი ვრცელი დახასიათება იმის სათქმელად დაგვჭირდა, რომ ავტორს საკითხები სიღრმისეულად და სათანადო მეცნიერულ დონეზე აქვს განხილული და წარმოდგენილი. მსჯელობები შესაბამისი თეორიული და ემპირიული მაგალითებით არის არგუმენტირებული, რაც უფრო საინტერესოს ხდის სარეცენზიო ნაშრომს. ამასთან უნდა ითქვას, რომ ჩანს ავტორისეული ხედვა და პოზიცია გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, მაგ., გლობალიზაციისა და მსოფლიო რელიგიების ურთიერთმიმართების, რელიგიური იდენტობის, რელიგიური პლურალიზმის, რელიგიური

განათლების, სეკულარიზაციის, რელიგიური ტოლერანტობის, საზოგადოებრივი ცხოვრების დესაკრალიზაციისა და სხვა მრავალ საკითხთან მიმართებაში.* მოცემულ შემთხვევაში სახელმძღვანელო მეცნიერულად დამაჯერებელად არის წარმოდგენილი. სტილისიკასა და ლინგვისტური პარამეტრების მიხედვით ნაშრომი გამართულია და საინტერესოდ იკითხება. დამოწმებული ლიტერატურა განხილული საკითხებთან და პრობლემებთან მიმართებაში რელევანტურია. ვფიქრობთ, რომ სახელმძღვანელო დროის მოთხოვნებისა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებითაა შექმნილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველმა სოციოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, რელიგიის მკვლევრებმა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე მრავალი საინტერესო გამოკვლევა გამოსცეს სტატიების, ვრცელი მონოგრაფიებისა, თუ სახელმძღვანელოების სახით, რითაც გაამდიდრეს და მაღალ საფეხურზე აიყვანეს თანამედროვე ქართული სოციოლოგიური აზროვნება. მიუხედავად ამის, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კახა ქეცბაიას ზემოხსენებული წიგნის მნიშვნელობა, სოციოლოგიური ცოდნისა და კულტურის გავრცელების თვალსაზრისით, ბევრად აჭარბებს აქამდე ქართულ ენაზე გამოცემულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს. მასში რელიგიის სოციოლოგიის მრავალი რთული და საინტერესო პრობლემა ავტორის მიერ მარტივი მეცნიერული ენით არის გადმოცემული, რაც იშვიათობას წარმოადგენს თანამედროვე საგანმანათლებლო სფეროში და, ამდენად, მისასალმებელია.

რელიგიის კვლევისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში, მხედველობაში გვაქვს საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობის წლები, ჩვენში რელიგიის შე-

---

* იხ. სახელმძღვანელოს ის ადგილები, სადაც აღნიშნული საკითხებია განხილული.

სახებ საკმაოდ არაადეკვატური შეხედულებები იყო გავრცელებული და საზოგადოებასა და რელიგიას შორის გაუცხოებას ჰქონდა ადგილი, რაც ორივე მათგანისათვის საზიანო იყო. ბუნებრივია, სახელმძღვანელოს ავტორს მხედველობიდან არ გამორჩენია ტოტალური უღმერთობის ნეგატიური შედეგები ცალკეული ინდივიდისა და საზოგადოებისათვის. ამ ასპექტით სახელმძღვანელოში მრავალი, ადრე ტაბუდადებული, თემა და პრობლემა ღიად და დამაჯერებლად არის განხილული. სარენზიო წიგნი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ სოციოლოგია და რელიგია ხელს არ უშლიან ერთმანეთს.

საყურადღებოა აგრეთვე წიგნის ძირითადი პათოსი, კერძოდ იგი ორიენტირებულია იმაზე, რომ ახალგაზრდებს დაეხმაროს თანამედროვე, ღია, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისათვის აუცილებელი რელიგიური ღირებულებების შემეცნებისა და გათავისების საქმეში. მეცნიერული კვლევა-ძიების მაღალი კულტურა, ობიექტურობა და კეთილსინდისიერება სახელმძღვანელოს სავიზიტო ბარათია უთუოდ, რაც კარგად ჩანს სარეცენზიო წიგნში.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის სფეროსადმი ადამიანები გულგრილნი არასოდეს არიან წიგნის მიმართ არსებითი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია. ერთია მხოლოდ, სასურველია სახელმძღვანელო არა მხოლოდ ელექტრონული, არამედ ნაბეჭდი სახითაც არსებობდეს, ამიტომ მისი გამოცემა ნამდვილად საშურ საქმედ გვესახება.

აკაკი ყულიჯანიშვილი
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

რ ე ც ე ნ ზ ი ა
ნინო მშვენიერაძის წიგნზე „იმანუელ კანტის ანთროპოლოგია“

იმანუელ კანტის ფილოსოფიური მემკვიდრეობა ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების მანიფესტაციას წარმოადგენს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ის საკვანძო მოაზროვნეა, რომლის ეპოქალური ნაშრომებით გარკვეულად შეჯამებული და შეფასებულია მანამდელი ფილოსოფიური მემკვიდრეობის მრავალფეროვნება, ხოლო მის შემდგომი მიმდევრები აუცილებლად ითვალისწინებენ მის ნააზრევს, და მეტიც დავალებულიაც არიან ამ მოძღვრებით.

ახალი დროის ფილოსოფიაში ერთ-ერთ ცენტალურ საკითხად იქცა სუბიექტის აქტივობის პრობლემა. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების მსოფლმხედველობა იცნობდა და აღიარებდა ერთადერთ სუბიექტს – ღმერთს და ამდენად ყოველგვარი აქტივობა მას მიეწერებოდა. ადამიანი საუკეთესო შემთხვევაში გაიგებოდა ღმერთის ნების შემსრულებლად, გამტარად, მედიუმად. ახალი დროის ფილოსოფიამ მოიტანა აზროვნების ახალი პარადიგმა, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის საკუთარი თავის, საკუთარი ყოფიერების დამდგენი, ამდენად ამ მსოფლმხედველობის ფარგლებში ადამიანი წარმოჩინდა როგორც სუბიექტი, რომელიც მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით ქმნის თავის სამყაროს და თავის თავს. ამიტომ ადრეული საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ცნებები ღმერთი, სული, სხეული ახალი დროის ფილოსოფიის გავლენით ტრანსფორმირდა – ადამიანის, შემოქმედების და კულტურის ცნებებად. ყოველივე ეს საბოლოოდ სწორედ, რომ კანტის ფილოსოფიით გაფორმდა. კანტის ცნობილი კითხვები: რა შემიძლია ვიცოდე? რა უნდა გავაკეთო? რისი იმედი შეიძლება მქონდეს? და რა არის ადამიანი? ცხადყოფს ახალი მსოფლმხედველობის სა-

ფუძველზე ახლებური პასუხების დაძებნის აუცილებლობას, ნაცვლად რელიგიურ – თეოლოგიური კონსტანტური, აპრობირებული და გამოცდილი პასუხებისა.

კანტის აზრით, ცოდნა რაციონალური ბუნებისაა, პილატეს ცნობილი ფრაზა „რა არის ჭეშმარიტება?“ მისი დროის ევროპულ აზროვნებას ესმის ემპირიული სულისკვეთებით და არა ბიბლიური მსოფლმხედველობის შესატყვისად, ამგვარად, კანტის აზრით, შეგვიძლია ვიცოდეთ მოვლენათა სამყარო და შეუძლებელია „ნივთი თავისთავადის“ ცოდნა, ამდენად მას მოუწია გაემიჯნა ცოდნისა და რწმენის სფეროები. მისი აზრით, ცოდნა ემყარება დროის და სივრცის ჭვრეტით აპრიორულ ფორმებს და განსჯის კატეგორიებს, კრიტიციზმის პოზიციებიდან ახლებურად დგება ტრადიციული კითხვა – „რა უნდა გავაკეთო?“. დასაძებნია ახლებური პასუხიც და არა ის, რაც რელიგიური ცნობიერებისთვის იყო აპრიორულად დადგენილი ტრადიციული პასუხი – უნდა აკეთო ღვთის სათნო საქმე. კანტი ამ კითხვაზე პასუხისას ითვალისწინებს ადამიანის თავისუფალ ნებას და მასზე დაყრდნობით გვთავაზობს მორალურ კატეგორიულ იმპერატივს, რომლის მიხედვით, ადამიანმა მეორე ადამიანი არ უნდა აქციოს მხოლოდ საშუალებად, ის უნდა იყოს მიზანი. რაც შეეხება მესამე კითხვას, – რისი იმედი შეიძლება გვქონდეს? – ამ კითხვაში ყველაზე ცხადად ჩანს ახალი დროის სულისკვეთება. ტრადიციულად შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის მიხედვით, იმედი შეიძლება გქონდეს ღმერთის, რადგანაც ღმერთი თავადაა რწმენა, იმედი და სიყვარული. კანტის აზრით კი, შეიძლება იმედი გქონდეს სამყაროში არსებული მიზანშეწონილების, რომელიც ვლინდება მშვენიერებაში. მეოთხე კითხვაზე – რა არის ადამიანი? – პირდაპირი პასუხი კრიტიციზმის პოზიციებიდან კანტის ნააზრევში თითქოსდა არ სჩანს, თუმცა მისი რეკონსტრუირება შესაძლებელია, მისივე ცნობილი სამი „კრიტიკის“ გათვალისწინებით და ე.წ. „დოგმატური“ პერიოდის ანთროპოლოგიურ ჩა-

ნაწერებზე დაყრდნობით. სწორედ ასეთ მცდელობად გვევლინება წინამდებარე გამოკვლევა.

ნ. მშვენიერაძის აზრით, კანტის ანთროპოლოგიური კონცეფციის გასაღებს შეიძლება სწორედ მისი კრიტიკამდელი პერიოდის ნაშრომებში მივაგნოთ. კანტის შესახებ სხვადასხვა გამოკვლევების გაცნობისას, რომლითაც ასე მდიდარია ფილოსოფიური ლიტერატურა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ანთროპოლოგიას", როგორც ემპირიულ დისციპლინას, მის სისტემაში უმნიშვნელო ადგილი უკავია. ამდროს ყურადღების მიღმა რჩება ანთროპოლოგიის მეორე ფუნდამენტური განსაზღვრება, რომელიც კანტის მიერვე ასე თვალსაჩინოდაა განმარტებული, ცნობილ კითხვებში და ეს მისთვის არ არის, როგორც ვნახეთ, რიგითი კითხვები, არამედ ახალი მსოფლმხედველობრივი პარადიგმის საფუძველზე წარმოქმნილი არსებითი კითხვებია, რომელზეც პასუხები მოიცავს და მოითხოვს სხვადასხვა ასპექტისა და მიმართულების გათვალისწინებას. და ამასთანავე ადამიანის გაგების ზოგადი ანთროპოლოგიურ ითვალსაზრისისათვის ერთგვარ პროლოგომენად შეიძლება ჩაითვალოს.

შეგვიძლია გაბედულად ვთქვათ, რომ ნ. მშვენიერაძის მონოგრაფია წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და საუკეთესო მცდელობას იმისას, თუ როგორი წარმატებით შეიძლება მოიძებნოს განსხვავებული რაკურსი და ამით შეიქმნას შესაძლებლობა სისტემის ახლებურად ინტერპრეტირებისა, ისე რომ არ დავაზიანოთ კონცეფციის არსი, უფრო პირიქით, გზა მივცეთ თანამედროვე ხედვას და ამით დავძლიოთ სტეროტიპული შეფასებები და აზროვნების ჩვეული სტილი. ამ მხრივაც სანიმუშოა მოცემული გამოკვლევა. ასე რომ, ქართულ აკადემიურ სივრცეს კიდევ ერთი მაღალი დონის წიგნი შეემატა, რომელიც გამოადგება არამარტო შესაბამისი მიმართულების სტუდენტებს, არამედ ყველას, ვისაც უყვარს ღრმა, სერიოზული ლიტერატურა, ვისაც აინტერესებს ადამიანი და ვისთვისაც მნიშვნელოვანია გაიგოს თუ რას ამბობს კანტი ადამიანის სიცოცხლესა და ცხოვრების წესზე.

ნინო თომაშვილი
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

კახა ქეცბაია
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის საინტერესო შენაძენი

სულ ახლახანს ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურას შეემატა ფილოსოფიის დოქტორის ნინო მშვენიერაძის მონოგრაფია „იმანუელ კანტის ანთროპოლოგია". დიდი გერმანელი ფილოსოფოსის შემოქმედების ქართველი მკვლევარებისაგან განსხვავებით ნ. მშვენიერაძე ამ წიგნში უპირველესმიზანად ისახვას კანტის ნაშრომთა ანალიზით თვალსაჩინო გახადოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ორგანულია ადამიანის პრობლემატიკა კანტის შემოქმედებისათვის, და რომ მისი სისტემა გამართული, სრულყოფილი ანთროპოლოგიური კონცეფციაა. წიგნში კვალიფიციურადაა ნაჩვენები, რომ სამი „კრიტიკა" ადამიანის სამი ძირითადი უნარის გამოკვლევაა, და შესაბამისად პასუხია სამ ფუნდამენტურ კითხვაზე: რა შეიძლება ვიცოდე? რა უნდა გავაკეთო? და რისი იმედი შეიძლება მქონდეს? ძირითად ნაშრომებთან ერთად, არჩეული რაკურსით დალაგებულია კანტის თითქმის მთელი მემკვიდრეობა, დაწყებული პირველი პუბლიკაციიდან უკანასკნელ სტატიამდე. ამ ფრიად მასშტაბური გამოკვლევის შედეგად კი მივიღეთ კარგად გამართული, მოწესრიგებული, არჩვეულებრივად საინტერესო ანთროპოლოგიური კონცეფცია – პასუხით კითხვაზე: რა არის ადამიანი?

მეცნიერული კვლევის პროცესში ნ. მშვენიერაძემ წარმატებით გამოიყენა თანამედროვე ჰერმენევტიკული მიდგომა და შესაბამისი ფენომენოლოგიურ-ანთროპოლოგიური მეთოდი, რითაც შეძლო კანტის ფილოსოფია აღმოეჩინა და

შეეფასებინა, როგორც მთლიანი, უნივერსალური ინტელექ-ტუალური პროდუქტი, მისი შემოქმედების კლიშედ ქცეული ფორმალური, კრიტიკამდელ და კრიტიკულ პერიოდებად და-ყოფის გარეშე. ავტორის აზრით, ტრადიციული დოგმატური მეთოდი კანტის მიერ „სისტემაშივე იმანენტურადაა უარყო-ფილი“ და ჩანაცვლებული კრიტიკული მეთოდით.

ამდენად, ნ. მშვენიერაძის მიერ ჩატარებული ამ მეტად რთული სამუშაოს რეზულტატს წარმოადგენს ორიგინალუ-რად ინტერპრეტირებული, და რაც მთავარია, კანტის სისტე-მაში ორგანულად ინტეგრირებული ანთროპოლოგიური კონ-ცეფცია, რაც წიგნს სამართლიანად სძენს გამორჩეულ ღი-რებულებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქარ-თულ აკადემიურ სივრცეს შეემატა მაღალი დონის მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო მონოგრაფია, რომელიც უთუოდ გამოადგება შესაბამისი კვალიფიკაციის არა ერთ მკვლევარს. ვიმედოვნებთ, წიგნს ასევე დიდი ინტერესით წა-იკითხავს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია კლასიკური მემ-კვიდრეობა, აინტერესებს ანთროპოლოგიური თემატიკა და აქვს მძაფრი რეფლექსია ექსისტენციური გამოწვევების მი-მართ.

ᲙᲚᲝᲕᲜᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ
GOOD MEMORY

ოთარ გაბიძაშვილი – 90

ქართველ ფილოსოფოსთა არაერთი თაობის აღმზრდელს, თვალსაჩინო ქართველ ფილოსოფოსს, ოთარ გაბიძაშვილს 2019 წლის ოქტომბრის თვეში 90 წელი შეუსრულდებოდა (დაიბადა 1929 წლის 4 ოქტომბერს სოფელ დერჩში – წყალტუბოს რაიონი). ბატონი ოთარი 1957 – 1960 წწ. – ში ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი იყო, ბევრი მისი მოწაფე კარგა ხნის მანძილზე (ინსტიტუტის დახურვამდე) წარმატებულ სამეცნიერო საქმიანობას ამ ინსტიტუტში განგრაძობდა. ესენი ის ადამიანები არიან რომელთათვისაც ძალზე ძვირფასია ოთარ გაბიძაშვილის სახელი.

მას უსაზღვროდ უყვარდა და დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებლებს – ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სკოლის კორიფეებს: შალვა ნუცუბიძეს, სავლე წერეთელს, სერგი დანელიას, კოტე ბაქრაძეს, რევაზ ნათაძესა და ვასო ფრანგიშვილს. ბატონი ოთარი ლექციას ისე არ დაასრულებდა, რომ მათ შესახებ საინტერესო ამბავი არ მოეთხრო სტუდენტებისათვის.

ფილოსოფიის ინსტიტუტში იგი დიდმა სავლე წერეთელმა მიიღო. ამ ფაქტმა განსაზღვრა მისი სამეცნიერო კვლევა –

ძიების ძირითადი მიმართულება – რელიგიის ფილოსოფია და რელიგიათმცოდნეობა. დიდი მასწავლებელი მას რელიგიის პრობლემების დამუშავებას ურჩევს. შემდგომში სწორედ ამ განხრით წარიმართა მისი სამეცნიერო საქმიანობა. მარქსისტული იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში, როდესაც რელიგიის წინაღმდეგ სამკვდრო – სასიცოცხლო ბრძოლა იყო გამოცხადებული, ეს ძალზე სარისკო საქმიანობა იყო, მაგრამ ბატონ ოთარს უკან არ დაუხევია. რაც შემდგომში მის ჯანმრთელობაზეც აისახა, რადგანც ძალზე ძნელია შინაგანად ღრმა სულიერებისა და მაღალი ზნეობის მატარებელი ადამიანი გულგრილი ყოფილიყო ათეისტური იდეოლოგიის მიმართ. ყოველივე ამას გაძლება ხომ უნდოდა. ვინმეს ხომ უნდა ეტვირთა ეს მძიმე ჯვარი, რომელიც ბედისწერამ ბატონ ოთარს არგუნა წილად. ვინც ბატონ ოთარს კარგად იცნობდა, დაგვეთანხმება იმაში, რომ მან ეს ტვირთი ღირსეულად ატარა ისე, როგორც ეს ჭეშმარიტად ქრისტიანული ტრადიციების მატარებელ კაცს, ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსსა და მაღალი ზნეობის ადამიანს შეეფერება.

აღსანიშნავია მისი წიგნი „რელიგიათმცოდნეობა," რომლითაც იგი ჩვენში ამ დარგის ფუძემდებლად, ამ სფეროში გზის გამკვალავად გვევლინება; ამით მან საფუძველი ჩაუყარა რელიგიის მეცნიერული ანალიზის საუკეთესო ტრადიციებს. ამ სფეროს ნებისმიერი სერიოზული მკვლევარი დღეს გვერდს ვერ აუვლის და გულგრილი ვერ იქნება ბატონი ოთარის ამ წიგნის მიმართ. იგი დიდი მოწონებით სარგებლობს არა მარტო სპეციალისტებსა და სტუდენტ ახალგაზრდობას შორის, არამედ სკოლის პედაგოგები და მოსწავლეებიც წარმატებით იძენენ ცოდნას ამ წიგნით.

ბოლო დროს ბატონი ოთარი ინტენსიურად ამუშავებდა „რელიგიის სოციოლოგიის" პრობლემატიკას. ამ განხრით ლექციების კურსსაც კითხულობდა თსუ – ს ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე. განზრახული ჰქონდა სტუდენტებისათვის „რელიგიის სოციოლოგიის" სახელმძღვანელო დაეწერა. მის მრავალ სხვა სასიკეთო განზრახვასთან ერთად, სამწუხაროდ ესეც განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ

დღეს იგი მიჩნეულია საქართველოში რელიგიის სოციოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებლად.

ბატონი ოთარის სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად აღსანიშნავია მისი პედაგოგიური ნიჭი და უნარი. როგორც პედაგოგსა და აღმზრდელს მას ძნელად მოეპოვება ბადალი ჩვენში. მისი ესოდენ დიდი ნიჭი განსაკუთრებით თსუ – ში წლების მანძილზე ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანობისას (15 წლის მანძილზე იყო ფაკულტეტის დეკანი) და კათერის გამგეობისას (13 წელი ხელმძღვანელობდა კათედრას) გამოვლინდა.

ობიექტური და პრინციპული დეკანი საოცარ გულისხმიერებას, თანაგრძნობასა და თანადგომას იჩენდა სტუდენტების მიმართ. ამ შემთხვევაში მისთვის უცხო იყო ასაკობრივი ზღვარი და სტუდენტს ისე ეპყრობოდა თითქოს იგი მისი თანატოლი, ოჯახის წევრი და ყველაზე ახლობელი ადამიანი ყოფილიყო, ამიტომაც უსაზღვროდ უყვარდათ სტუდენტებს.

მისთვის ფაკულტეტის დეკანობა საპატიო თანამდებობა კი არ იყო, არამედ საშუალება კეთილი საქმეების საკეთებლად, იმ სიკეთისა რომლის მაცოცხლებელ მადლსა და ძალას დღესაც გრძნობს მრავალი ჩვენგანი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბატონი ოთარის ღვაწლი თავის დროზე ყოველი მეცნიერისათვის საპატიო ჯილდოთი – ივანე ჯავახიშვილის მედლით დააფასა.

ვფიქრობთ, რომ ბატონი ოთარის ფილოსოფიური შემოქმედების შესახებ მომავალში არაერთი საინტერესო ნაშრომი დაიწერება. ამჯერად კი ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ფასდაუდებელია ბატონი ოთარის ღვაწლი საქართველოში ფილოსოფიური განათლებისა და მაღალი პიროვნული და ინტელექტუალური კულტურის დამკვიდრების საქმეში. ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი მასწავლებელი გვყავდა.

საქრთველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმი

ედუარდ კოდუა – დაბადებიდან 90 წელი

ქართველი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნეს. გამომსვლელებმა: ამირან ბერძენიშვილმა, კახა ქეცბაიამ, დოქტორანტმა ილონა გოგიამ, სტუდენტებმა ზურაბ კობაძემ მისი მეცნიერული და აკადემიური მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტები წარმოაჩინეს და თსუ – ში სოციოლოგიის სპეციალობის დაარსების საქმეში მის დამსახურებას გაუსვეს ხაზი.

ედუარდ კოდუა (1929 წ. 14 ოქტომბერი, ქ. სენაკი, 2002წ. 20 სექტემბერი, თბილისი) ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და სოციოლოგია. თსუ – ს ფილოსოფიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ორი წელი გერმანული ენის მასწავლებლად მუშაობდა მშობლიურ სე-

ნაკში. შემდეგ მან პროფ. კ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით დაასრულა თსუ – ის ასპირანტურა და წარჩინებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1965 წელს სადოქტორო დისერტაცია ისტორიის ფილოსოფიის დარგში, რომელიც საეტაპო თხზულებად იქცა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. XX საუკუნის 60 – იანი წლების დასასრულს, იგი მუშაობს სოციოლოგიის თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრობლემებზე; აღასანიშნავია მისი გამოკვლევები ჰ. სპენსერის და ორგანიცისტული სოციოლოგიის სხვა წარმომადგენლების შესახებ. 1989 წელს იგი აქვეყნებს ქართულ სოციოლოგიაში საეტაპო მნიშვნელობის შრომას: „სოციოლოგიის შესავალი“, სადაც მან ჩვეული სიღრმითა და მასშტაბურობით გაანალიზა თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები და საკვანძო მნიშვნელობის კატეგორიები, რითაც დიდი როლი ითამაშა საქართველოში, კერძოდ თსუ – ში სოციოლოგიის ჯერ სპეციალობის, შემდეგ კი მიმართულების დამკვიდრების საქმეში.

სიცოცხლის ბოლო წლებში, მან შექმნა დიდძალი სამეცნიერო და სასწავლო – აკადემიური ღირებულების მქონე წიგნები, რომლებზეც აღიზარდა დღევანდელი ქართველი სოციოლოგების უმრავლესობა და დღესაც წარმატებით იყენებენ მას ქართველი სტუდენტები. ამ შრომებიდან აღსანიშნავია: 1. „სოციოლოგიის ისტორია“ I და II ტომი, რომელშიც გადმოცემულია თეორიული სოციოლოგიის განვითარება ანტიკურობიდან, ვიდრე XX საუკუნის 30 – იან წლებამდე. მასში კარგად არის გაანალიზებული ისეთი სოციალური მოაზროვნეების დამსახურება სოციალური და სოციოლოგიური აზრის განვითარებაში, როგორებიცაა: ჰერაკლიტე, პლატონი, არისტოტელე, ნ. მაკიაველი, თ. ჰობსი, თ.რ. მალთუსი, ჰ. სპენსერი, გ. ლებონი, გ. ტარდი და მრავალი სხვა. ასევე დიდი როლი შეასრულა ქართველი სტუდენტი სოციოლოგების მომზადებაში. მის მიერ გამოცემულმა „სოციოლოგიის“ ორტომეულმა, სადაც პირველად ქართულ ენაზე სისტემური სახით გაანალიზებული და დალაგებული იქნა თანამედროვე სოციალური მეცნიერების კატეგორიები და მიმართულებე-

ბი. ასევე საეტაპო მნიშვნელობის შრომაა მის მიერ 2000 წელს გამოცემული „კულტურის სოციოლოგია“, რომელშიც გაანალიზებულია კულტურისა და სოციუმის ურთიერთდამოკიდებულებისა და მიმართების პრობლემები.

ცალკე აღსანიშნავია პროფესორ ე. კოდუას წვლილი ქართველი მოაზროვნეების ფილოსოფიური და სოციოლოგიური მემკვიდრეობის სისტემატიზაციისა და გამოყენების საქმეში. მისი თაოსნობით გამოიცა კოტე ბაქრაძის (10 ტ.), სერგი დანელიას (4 ტ.), დ. უზნაძის გამოკვლევები (2 ტ.), კ. კაპანელის (2 ტ.). თხზულებათა კრებულები; გიორგი ნანეიშვილის, კიტა მეგრელიძის, ალექსანდრე ჯანელიძის, კოტე გორდელაძის ნაშრომები. მან მონოგრაფიული კვლევა მიუძღვნა ქართული სოციოლოგიური აზრის გამოჩენილი თეორეტიკოსების ნააზრევის ანალიზს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას, რასაც შედეგად მოყვა ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა „ივ. ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“.

პროფესორ ედუარდ კოდუას დიდი წვლილი მიუძღვის მრავალი საერთაშორისო კონფერენციის გამართვაში, სამეცნიერო გრანტების მოპოვებაში, რომელთა საფუძველზეც მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები სოციოლოგიაში, ასევე აღსანიშნავია მისი როლი სოციოლოგიის როგორც სასწავლო დისციპლინის კურიკულუმისა და სილაბუსების დასავლური სტანდარტების შესაბამისად მოდიფიცირებაში. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და აკადემიური მნიშვნელობა და სოციოლოგიის შემსწავლელი სტუდენტობისათვის სამაგიდო წიგნებია.

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდუმი

აკად. გურამ თევზაძე

წელიწადნახევარი ხდება გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, ქართველ ფილოსოფოსთა არაერთი თაობის აღმზრდელის, აკადემიკოს გურამ თევზაძის გარდაცვალებიდან.

გურამ თევზაძე დაიბადა 1932 წლის 30 იანვარს ქ. თბილისში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. 1954-1957 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ფილოსოფიის ისტორიის განხრით.

ქართულ ფილოსოფიაში გურამ თევზაძეს სხვებთან ერთად წილად ხვდა იმ დიდი ფილოსოფიური ტრადიციების გაგრძელება, რასაც საფუძველი ჩაუყარეს – შალვა ნუცუბიძემ, დიმიტრი უზნაძემ, სერგი დანელიამ, კონ-

სტანტინე კაპანელმა, მოსე გოგიბერიძემ, კოტე ბაქრაძემ, კიტა მეგრელიძემ, ანგია ბოჭორიშვილმა, სავლე წერეთელმა, რომელთა მოღვაწეობამაც ჩამოაყალიბა მე – 20 საუკუნის ქართული ფილოსოფიის სახე.

1958 წელს გურამ თევზაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – <<*თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა*>>; 1963 წელს კი, ფილოსოფიის დარგისთვის უჩვეულო – 31 წლის ასაკში იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე – <<*გერმანელი ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია*>>. 1970 წელს მას ირჩევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად.

გურამ თევზაძე 1958 – 1971 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტშია, ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ერთ-ერთ მთავარ დანაყოფს – ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას.

1971 – 2005 წლებში გურამ თევზაძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე იყო. 2005 წლიდან კი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშია. ბოლო წლებში ამავე უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი იყო.

გურამ თევზაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. 1988 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ – კოროსპონდენტად, ხოლო 1993 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. მას 1993 – 2007 წლებში ეკავა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს – მდივნის, 2002 – 2013 წლებში კი – აკადემიის ვიცე – პრეზიდენტის თანამდებობები.

გურამ თევზაძე იყო 215-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, არაერთი ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ჩინურ ენებზე. მისი შრომები უპირველესად ყურადღებას იმსახურებს ფილოსოფიური თეორიის სწორედ ფილოსოფიურ გარემოსთან და არა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებთან კავშირში განხილვას, როგორც ამას მაშინდელი – საბჭოთა ოფიციალური ფილოსოფია და იდეოლოგია მოითხოვდა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგანაც ქართული ფილოსოფიური აზროვნების ტრადიცია ფილოსოფიის არსებას უყურებდა, როგორც თავისთავად ღირებულს, რაც საბჭოთა ეპოქაში თამამი პოზიციის გაცხადება იყო.

სწორედ ამ პოზიციიდან არის დაწერილი მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები, მათ შორის, <<*გერმანელი ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია*>> /1963/ და <<*ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა*>> /1967/. ეს უკანასკნელი ორიგინალურობით გამოირჩევა იმანენტურისა და ტრანსცენდენტურის ურთიერთობის თევზაძისეული გადაწყვეტით. საერთო აზრით, მიჩნეული იყო, რომ არ არსებობს ლოგიკური გზა ცნობიერებიდან არსისკენ. გურამ თევზაძე დეკარტის შეეჭვების მეთოდზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ აზროვნება თავისი ინტერნაციონალური ბუნების გამო მიმართულია თავის გარეთ არსებულ საგნობრივზე. ამდენად, ცნობიერების ყოველგვარი შინაარსი აუცილებლად მიუთითებს აზროვნებისგან დამოუკიდებელი რეალობის არსებობისკენ.

გურამ თევზაძის მონოგრაფიულ გამოკვლევათა გვირგვინია – <<იმანუელ კანტი>> /1974/, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი კანტის თეორიული ფილოსოფია. ამ მონოგრაფიაზე გურამ თევზაძის გამორჩეული მოწაფე, პროფესორი *გერონტი შუშანაშვილი* წერდა: „საყურადღებოა, რომ მარქსიზმის მიერ ‘მოძულებულ’ ბევრ

პრობლემას ერთ-ერთმა პირველმა (თუ ერთადერთმა არა) ყოფილ სსრკ – ის ფარგლებში, ქართულმა ფილოსოფიურ-მა აზროვნებამ გაუღო კარი. ის, რომ ქართველი ხალხი საკაცობრიო მნიშვნელობის ფილოსოფიური მონაპოვრის სრულუფლებიანი მემკვიდრეა, ამაში პროფ. გ. თევზაძის წვლილი და დამსახურება ძალზე დიდია“.

გურამ თევზაძის მოღვაწეობის გამორჩეული სფერო იყო როგორც მსოფლიო, ისე ქართული ფილოსოფიის ისტორიაა. მას ეკუთვნის ფილოსოფიის ისტორიის კურსები ანტიკურობიდან დღემდე ექვს წიგნად. ეს არ არის მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიის ფაქტების უბრალო აღნუსხვა და დალაგება. ეს არის ღრმა და საფუძვლიან კვლევებით მიღებული შედეგების გადმოცემა. მის შრომებში – *ანტიკური ფილოსოფია* (1995 [მე – 2 გამოცემა 2015 წ.]), *შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია* (1996), *აღორძინების ეპოქის ფილოსოფია* (2008), *ახალი ფილოსოფიის ისტორია* (ნაწ. I, 2010; ნაწ. II, 2012), *XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია* (2002), მოცემულია დემოკრიტეს, პითაგორას, სოკრატეს, პლატონის, ავგუსტინეს, თომა აქვინელის, მაისტერ ეკჰარტის, ნოკოლოზ კუზელის, დეკარტის, სპინოზას, ლაიბნიცის, ბერკლის, ჰიუმის, რუსოს, კანტის, ფიხტეს, შელინგის, ჰეგელის, დილთაის, ნიცშეს, ბერგსონის, ჰუსერლის, რასელის, ჰაიდეგერის, სარტრის და სხვათა შემოქმედების ღრმასაფუძვლიანი ანალიზი.

ორიგინალურობით გამოირჩევა გურამ თევზაძის ნაშრომები კაპადოკიელთა რენესანსზე საქართველოში (იგულისხმება კაპადოკიელ მამათა შრომების განმეორებითი თარგმნა ქართულად და ჩვენი წინაპრების მხრიდან მათი იდეების გათავისება), დასავლეთის თანამედროვე მარქსიზმზე, პოსტმოდერნზე და სხვა.

გურამ თევზაძემ ასევე დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის ისტორიის ისეთი კურსების მომზადებასა და გამოცემაში როგორებიცაა: *შუა საუკუნეების ფილოსოფი-*

ის ისტორიის პრობლემები (ნაწ. I, 1981; ნაწ. II, 1984), *XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია* (1970), *თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია* (XX ს. მეორე ნახევარი) (1988). ყველა ამ გამოცემის შემდგენელი, რედაქტორი და სტატიების დიდი ნაწილის ავტორია გურამ თევზაძე.

გურამ თევზაძემ ასევე გამოსცა რეპრესირებული ფილოსოფოსის მოსე გოგიბერიძის /1897 – 1949/ ოთხტომეული და გამოჩენილი ფილოსოფოსის სავლე წერეთელის /1907 – 1966/ გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

დიდია გურამ თევზაძის წვლილი ფილოსოფიური ლიტერატურის თარგმნის საქმეში. მან გერმანული ენიდან თარგმნა და გამოსცა ჰაიდეგერის ეპოქალური ნაშრომი – <<*ყოფიერება და დრო*>>, კანტის – <<*რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში*>> და ნიკოლაი ჰარტმანის – <<*ონტოლოგიის ახალი გზები*>>. მანვე დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ფილოსოფიური ლიტერატურის შედევრის – კანტის <<*წმინდა გონების კრიტიკის*>> თარგმანის /მთარგმნელი – შალვა პაპუაშვილი/ რედაქტირებასა და გამოცემაში.

გურამ თევზაძის თანარედაქტორობით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით მოსკოვში, <<*ფილოსოფიური მემკვიდრეობის*>> სერიაში დაიბეჭდა ილია ფანცხავას მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი იოანე პეტრიწის თხზულება – <<*განმარტებაჲ პლატონურისა ფილოსოფიისა და პროკლე დიადოხოსისა*>> /1984/.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისში გურამ თევზაძე დიდ ინტერესს იჩენდა ქართული ფილოსოფიისადმი. ჯერ კიდევ ასპირანტობის წლებში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი – <<*ი. პეტრიწის ბოლოსიტყუაჲს გაგებისათვის*>> გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ ორგანოში – <<*მოამბე*>> /1955, № 9/. აღსანიშნავია, რომ გურამ თევზაძის ფუნდამენტური ნაშ-

რომების გვერდით კუთვნილი ადგილი აქვს მიჩენილი ქართული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვან წარმომადგენლების /პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, მოსე გოგიბერიძე, სავლე წერეთელი და სხვა/ შემოქმედებას.

გურამ თევზაძემ ასევე დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მომზადებასა და გამოცემაში. აკად. შალვა ხიდაშელის გარდაცვალების შემდეგ ის იყო ოთხტომეულის მთავარი რედაქტორი. ეს გამოცემა დასრულდა 2010 წელს და 2011 წელს იგი აღინიშნა მეცნიერებაში საქართველოს ეროვნული პრემიით.

როგორც მაღალი დონის ფილოსოფოსს გურამ თევზაძეს დიდ პატივს სცემდნენ საზღვარგარეთ. აღსანიშნავია მისი მონაწილეობა საზღვარგარეთის არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, მათ შორის, კანტისადმი მიძღვნილ სამ – III, V და VII საერთაშორისო კონგრესებში. მან კანტზე, ჰეგელსა და ჰარტმანზე ლექციები წაიკითხა მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იენასა და ბოხუმში /გერმანია/, ჩანჩუნში /ჩინეთი/, ათენში /საბერძნეთი/და სხვა.

გურამ თევზაძის დამსახურება სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

მართალია დიდი მეცნიერი ჩვენს გვერდით აღარ არის, მაგრამ მის საქმეს აგრძელებენ ქართველ ფილოსოფოსთა ახალი თაობები, რომელთა ზოგიერთი წარმომადგენელი უშუალოდ გურამ თევზაძემ აღზარდა. ასე რომ, გურამ თევზაძის დაწყებული საქმე გრძელდება ...

მიხეილ მახარაძე

ოთარ ნაკანის გახსენება

ოთარ (მურმან) ნაკანი დაიბადა 1952 წლის 14 ოქტომბერს დაბა მესტიაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და 1972 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა (ფილოსოფიის სპეციალობით). მისი განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს რელიგიის ფილოსოფიური პრობლემები წარმოადგენდადა სადიპლომო ნაშრომიც ამ თემაზე დაიცვა. საზოგადოებაში რელიგიური ტრადიციების მარეგულირებელი ფუნქციის კვლევაა მისი საკანდიდატო დისერტაციაც (1988 წ), რომლის მეცნიერული დასკვნები გამყარებული იყო სვანეთში გავრცელებული რელიგიური წეს – ჩვეულებების მაგალითებით.

მიუხედავად იმისა, რომ ო. ნაკანს მეცნიერის პოზიციაზე არ უმუშავია და ძირითადად საჯარო სამსახურში საქმიანობდა (სხვადასხვა დროს იყო კონტროლის პალატის თანამშრომელი, მესტიის რაიონის გამგებელი, თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი, პოლკოვნიკის წოდებით), მას მეცნიერული კვლევები არ შეუწყვეტია. გატაცებული იყო სვანეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლით. ამ თემაზე

სამი წიგნი გამოსცა: „სვანეთი – ღმერთების საკრებულო“, „სვანეთი – უპირველესი საზრუნავი“, და „ჩვენი წინაპრები ხარები იყვნენ“ (ხარი იყო სვანების ფეტიში, როგორც სიძლიერის, ნაყოფიერების და ერთგულების სიმბოლო). ესაა სვანური ეთნოსის გენეზისის, ეთნოტერიტორიის, ეთნოენის და ეთნოეთოსის (ზნე – ჩვეულებების) შესახებ კვლევები. ავტორი იზიარებდა თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც შავიზღვისპირეთის ცივილიზაცია შუმერული კულტურიდან იღებს სათავეს. სვანურ ენაში ეტიმოლოგიური ძიებებით, აღმოსავლური ლიტერატურული და ისტორიული დოკუმენტებისა თუ ისტორიკოსთა ნაშრომების შესწავლითა და ანალიზით იგი აკეთებდა ორიგინალურ დასკვნებს, არ ერიდებოდა ისტორიკოს ავტორიტეტებს და ამა თუ იმ სადავო საკითხის შესახებ გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებს, რომელიც ზოგ ეპიზოდში მკვეთრად უპირისპირდება ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ თვალსაზრისებს.

ო. ნაკანის ბოლო ნაშრომი „მეცხრამეტე საუკუნის სვანეთი და რუსეთი“ (გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ, 2018 წელს) სვანეთის რუსეთთან შეერთების ისტორიის კვლევაა. აქ წარმოდგენილია საქართველოში რუსეთის ეტაპობრივი დამკვიდრების პროცესი. მოკლედაა განხილული ამ პერიოდში ქართლ – კახეთის და იმერეთის სამეფოს მდგომარეობა, ვითარება სამეგრელოს სამთავროში და თავად სვანეთის ყოფა. ავტორი კვლევის პროცესში ყურადღებას იმ ისტორიულ ფაქტებზე ამახვილებს, სადაც კარგად ჩანსბალსზემო სვანეთის მცხოვრებთა წინააღმდეგობა რუსი მმართველებისადმი.აღსანიშნავია, რომ მცირე მოცულობის მიუხედავად ეს წიგნიქართველ ისტორიკოსთა მიერ სვანეთთან დაკავშირებით უკვე მოკვლეულიმასალის მნიშვნელოვან შევსებას წარმოადგენს.

ოთარ ნაკანზე საუბრისას შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი პიროვნული თვისებები. მრავალმხრივი ინტერესების მქონე აქტიური ადამიანი იყო. უყვარდა სპორტი. ინტელექ-

ტუალური შრომის პარალელურად ფიზიკური გარჯაც არ ეზარებოდა. თბილისში ორჯერ გააშენა ხეხილის ბაღი. მათგან ერთი ისეთ კლდოვან ნიადაგზე, მცენარეთა გახარების მცირეოდენ შანსსაც რომ არ იძლეოდა, მაგრამ წლების შემდეგ უმშვენიერესი ყვავილნარით, ხეხილითა და ვაზის ხეივნებით მოირთო.

სიძნელეებს არ უშინდებოდა და მთელი არსებით ჩაებმებოდა იმ საქმეში, რომელიც აინტერესებდა. ოცნებობდა დიდი საქმეები ეკეთებინა სვანეთისათვის. ამიტომაც დაბრუნდა თსუ – ს დამთავრების შემდეგ მესტიაში და ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად ენთუზიაზმით, მონდომებით და სიამოვნებით აკეთა რაიონისთვის სასარგებლო საქმეები (ახალგაზრდება საკუთარი ხელებით აშენეს სპორტული კომპლექსები, ახალგაზრდული კლუბები), ამიტომაც წავიდა 90 – იან წლებში სვანეთში გამგებლად და თავდაუზოგავად შრომობდა მოსახლეობისათვის უკიდურესი გაჭირვების შესამსუბუქებლად. საკუთარი სიცოცხლის გარისკვით, ავტომატით ხელში იცავდა ყაჩაღებისგან ჰუმანიტარული დახმარებით შემოტანილი პროდუქტით დატვირთულ მანქანებს.

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი, მას უყვარდა ადამიანები, მეგობრები. საკუთარ და სხვის თავისუფლებას პატივს ცემდა და იცავდა. პიროვნული ღირსების შელახვად მიაჩნდა ყველაფერი, რაც აიძულებდა ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობებში არათანაბარ მდგომარეობაში ჩაეყენებინა სხვა ან საკუთარი თავი.

გარდაიცვალა 2018 წელს. ნათელში ამყოფოს უფალმა ოთარ ნაკანის სული იქ, სადაც ჭეშმარიტი თავისუფლება სუფევს.

საქართველოს ფილოსფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

სამეცნიერო ინფორმაციები

2019

SCIENTIFIC INFORMATIONS

1. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რამაზ გახოკიძე** დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული პრემიით.
2. ამერიკაში ჟურნალ **American International Journal of Social Science (№8)** გამოიცა საქართველოს საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების **ამირან ბერძენიშვილის** და **კახა ქეცბაიას** სტატია „**Radical Humanist Paradigm and the Problem of the Crisis of Education“.**
3. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის ნებართვით დაიბეჭდა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **კახა ქეცბაიას** მიერ ალექსანდრე მენის ცნობილი წიგნის – **„ძე კაცისა**“ თარგმანი“.
4. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **რამაზ გახოკიძე** აირჩიეს ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოების წევრად.
5. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრები: **ირაკლი იმედაძე** და **კახა ქეცბაია** სტუ-ს მუდმივმოქმედი სადისერტაციო საბჭოს წევრებად აირჩიეს სოციალურ მეცნიერებათა განხრით.
6. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მამუკა დოლიძე** იმყოფებოდა საბერძნეთში (ქ. ათენში) ფილოსოფიურ კონფერენციაზე.
7. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მამუკა დოლიძე** იმყოფებოდა ლიტვიაში ფენომენოლოგიის შესახებ გამართულ კონფერენციაზე.

სარჩევი

მთავარი რედაქტორის წინასიტყვაობა.....3

ნაწილი პირველი

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ცნობარი.....7

ნაწილი მეორე

ფილოსოფიური ძიებანი

ონტოლოგია, გნოსეოლოგია

მამუკა დოლიძე – ფენომენოლოგია და მეტაფიზიკა (ინგლ. ენაზე) 15

ნინო თომაშვილი – ენის დომინანტი ფუნქციები ფილოსოფიურ დისკურსში.....26

მეცნიერების ფილოსოფია

რამაზ გახოკიძე – მეცნიერება და მორალი 36

ეთერ ორმოცაძე – ნეოპოზიტივისტური და ფიზიკური ნატურფილოსოფია სივრცისა და დროის თეორიების ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ.....56

შოთა შოშიაშვილი – ადამიანი, ყოფიერება, კოსმოსი, ღმერთი 68

პოლიტიკის ფილოსოფია

გურამ აბესაძე – დემოკრატიული ტრანზიტი და ეროვნულ – პოლიტიკური იდენტობის ფორმირება საქართველოში 98

დავით ზაქარაია – დემოკრატიული ავტორიტარიზმი.....108

მამული ბერია – „ახალი მემარჯვენეების“ პოზიციები აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.....118

ბადრი ფორჩხიძე – ნეოლიბერალური ფაშიზმის იდეოლოგიურ – მსოფლმხედველობრივი წანამძღვრები 123
მამული ბერია – საქართველოს რესპუბლიკური პარტიის პოზიციები აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტასთან დაკავშირებით 144

სოციოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია

მექი ლობჟანიძე, კახა ქეცბაია – მარსელ მოსი: რელიგია და სიმბოლური გაცვლა ტრაიბალურ სოციუმებში..... 151
ნესტან ლომაია – გენდერისა და ფემინიზმის ზოგიერთი საკითხისათვის 166
მანანა გაგოშიძე – თანამედროვეობის რისკები და საფრთხეები 176
რაულ ღიბრაძე – სოციოლოგიის ძირითად ცნებათა შესახებ..... 186
გრიგოლ კიკალიშვილი – მცირე არაფორმალური სოციალური ჯგუფების არსი და მნიშვნელობა ორგანიზაციაში 196
ლია მეტრეველი – დისტანციური სწავლება, როგორც თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთ-ერთი ფორმა 206
მარიამ ხეთაგაშვილი – ოჯახის ფუნქციები, აღზრდის სტილი და მისი როლი პიროვნების ფორმირების პროცესში 217

რელიგიის ფილოსოფია და რელიგიათმცოდნეობა

კახა ქეცბაია – გეორგ ზიმელი რელიგიის შესახებ 228
ნოდარ აბსესაძე – მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე ქართული ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობა 237

მანანა ჩიტეიშვილი – ტაძრის მსხვრევის, ანუ
განწმენდის გაგებისათვის 250

ესთეტიკა

ნანა გულიაშვილი – ფრიდრიხ შლეგელი ანტიკური
ხელოვნების და რომანტიზმის შესახებ 262

ეთიკა

მიხეილ ხალვაში – რატომ არის ბედნიერება
წარმავალი? 274

ქართული და უცხოური ფილოსოფიის ისტორია

არსენ ბურჯალიანი, ფიქრია დიდებაშვილი –
ე. კასირერის შეხედულებანი შემეცნებისა და
თვითშემეცნების როლის შესახებ მითოსურ
აზროვნებაში 292
არსენ ბურჯალიანი, იაშა (კოკა) კუტუბიძე –
ანრი ბერგსონის შეხედულებები ცნებისა
და ინტელექტუალური ინტუიციის შესახებ.....304

ფილოსოფიური ანთროპოლოგია

ირაკლი გოგიჩაძე – პიროვნება და სიკეთის იდეა 310

სამეცნიერო დისკუსია

ამირან ბერძენიშვილი – უმაღლესი განათლების
ძირითადი მომენტების ანალიზი საბჭოური
პერიოდის დასასრულისა და პოსტსაბჭოური
პერიოდის დასაწყისის საქართველოში (საკუთარი
პედაგოგიური გამოცდილების მიხედვით) 332

ფილოსოფიის ინსტიტუტის ისტორიიდან

მიხელ მახარაძე – ეპიზოდები ფილოსოფიის ინსტიტუტის ცხოვრებიდან 351

სტუდენტური ძიებანი

ზურაბ კობაძე – ალბერ კამიუ დაკარგული საზრისის ძიებაში.....367
ნიკოლოზ მექვაბიშვილი – კონსპირაციული თეორიები, ანუ სხვა თვალით დანახული აქსიომა 392

რეცენზიები

მანანა გაგოშიძე, მაია კიკნაძე – საინტერესო სახელ-მძღვანელო რელიგიის სოციოლოგიაში რეცენზია კახა ქეცბაიას წიგნზე „რელიგიის სოციოლოგია“ (განახლებული ელექტრონული სახელ-მძღვანელო) 407
აკაკი ყულიჯანიშვილი – რეცენზია ნინო მშვენიერაძის წიგნზე „იმანუელ კანტის ანთროპოლოგია“ 412
ნინო თომაშვილი, კახა ქეცბაია – ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის საინტერესო შენაძენი.....415

ხსოვნა კეთილი

ოთარ გაბიძაშვილი – 90 418
ედუარდ კოდუას დაბადებიდან 90 წელი.....421
აკად. გურამ თევზაძე 424
ოთარ ნაკანის გახსენება 430

სამეცნიერო ინფორმაციები

ინფორმაციები (2019).....434

CONTENTS

Preface – **Irakli Kalandia**.....3

FIRST PART

Reference Book of the Academy of PhilosophicalSciences of Georgia 7

SECOND PART

Philosophical Investigations

ONTOLOGY, GNOSEOLOGY

Mamuka Dolidze – Phenomenology and Metaphysics.....15

Nino Tomashvili – Dominant Functions of Language in the Process of Philosophical Thinking 26

PHILOSOPHY OF SCIENCE

Ramaz Gakhokidze – Science and Morals 36

Eter Ormocadze – The neo-positivist and physical naturophilosophy on some aspects of the relationship between space and time theories 56

Shota Shoshiashvili – Human, Existence, The cosmos, God.....68

PHILOSOPHY OF POLITICS

Guram Abesadze – Democratic transit and the formation of national – political identity in Georgia 98

David Zakaraia – Democratic Autoritarianism 108

Mamuli Beria – New Rights Party's standpoints regarding conflict resolution of Abkhazia 118

Badri Porchkhidze – The Ideological – world viewspre conditionsof liberal fascism.....123

Mamuli Beria – Republican Party of Georgia's standpoints regarding conflict resolution of Abkhazia 144

SOCIOLOGY AND SOCIAL PSYCHOLOGY

Meki Lobjanidze, Kakha Ketsbaia – Marcel Mauss: Religion and SymbolicExchange in Tribal Socius 151
Nestan Lomaia – For some issues about Gender and Feminism 166
Manana Gagoshidze – The risks and dangers of modernity..... 176
Raul Gibradze – Main notions of sociology 186
Grigol Kikalishvili – Essence and Importance of Small Social Groups in an Organization..... 196
Lia Metrevli – Distance learning – one of the forms of modern information technologies..... 206
Mariam Khetagashvili – Family functions, parenting styles and their effects in children's personality development... 217

PHILOSOPHY OF RELIGION AND RELIGIOUS STUDIES

Kakha Ketsbaia – Georg Simmel on Religion 228
Nodar Abesadze – Orthodox Church and modern Georgian national – political..... 237
Manana Chiteishvili – For the Understanding of Temple Breaking or Purification 250

AESTHETICS

Nana Guliashvili – Friedrich Schlegel on Antique Art and Romanticism..... 262

ETHICS

Mikheil Khalvashi – Why is Happiness Transient?..... 274

GEORGIAN AND FOREIGN HISTORY OF PHILOSOPHY

Arsen Burdjaliani, Piqria Didebashvili – E. Cassirer on the Role of Cognition and Self – Knowledge in Mythological Thinking.....292
Arsen Burdjaliani, Koka Kutubidze – Henri Bergson on Concept and Intellectual Intuition 304

PHILOSOPHYCAL ANTROPLOGY

Irakli Gogichadze – The Idea of Kindness and Personality 310

SCIENTIFIC DISCUSSIONS

Amiran Berdzenishvili – Analysis of Principal Stages of Higher Education in Georgia by the End of the Soviet Period and the Beginning of the Post – Soviet Period (On the Basis of Personal Pedagogical Experience) 332

FROM THE HISTORI OF THE INSTITUTE OF PHILOSOPHY

Mikhael Makharadze – Episodes from the Life of the Institute of Philosophy.....351

STUDENTS' INVESTIGATIONS

Zurab Kobadze – Albert Camus – In seeking of the lost meaning 367
Nikoloz Mekvabishvili – Conspiracy theories – Questioned axioms 392

REVIEWS

Manana Gagoshidze, Maia Kiknadze.....407

Akaki Kulidjanishvili 412
Nino Tomashvili, Kakha Ketsbaia.....415

GOOD MEMORY

Otar Gabidzasvili 418
Eduard Kodua.....421
Guram Tevzadze.....424
Otar Nakani 430

SCIENTIFIC INFORMATIONS

Informations (2019) 434

ავტორთა საყურადღებოდ!

1. „ფილოსოფიურ ძიებანში“ იბეჭდება მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევის შედეგები, ორიგინალური შინაარსის მქონე სტატიები, რომლებიც წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ სიახლეს ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. პოპულარული, განმანათლებლური ხასიათის სტატიები დასაბეჭდად არ მიიღება.
2. აუცილებელია სტატიის წარმოდგენა ელექტრონულ ფორმატში და მითითებულ ელ.ფოსტაზე გამოგზავნა.
3. სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ თაბახს {80 000 სასტამბო ნიშანი}.
4. „ფილოსოფიური ძიებანი“ სამეურნეო ანგარიშზე იბეჭდება; სტატიის ავტორი იხდის დაბეჭდვის ღირებულებას. თუ სარედაქციო კოლეგია სტატიას არ მიიღებს, მაშინ თანხა ავტორს დაუბრუნდება სტატიასთან ერთად.
5. სტამბური წესით აწყობილ სტატიაში არსებითი ხასიათის ცვლილებების შეტანა მიუღებელია.
6. სტატიას თან უნდა ახლდეს ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები არაუმეტეს ნახევარი გვერდისა (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
7. სტატიას აგრეთვე თან უნდა ახლდეს რეზიუმე უცხო {სასურველია ინგლისურ} ენაზე დაახლოებით 1600 სასტამბო ნიშნის {კრებულის ერთი გვერდი} მოცულობით, რომელშიც ნაჩვენები იქნება გამოკვლევის შედეგები.
8. ლიტერატურა ერთვის ბოლოს, ტექსტში მითითებული ციფრების მიხედვით.
9. სტატიის წარმოდგენის ბოლო ვადაა 25 დეკემბერი. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატია არ მიიღება.
10. სტატია გამოგზავნილი {ან მოტანილი} უნდა იყოს აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის ან აკადემიკოსი – მდივნის სახელზე.

„ფილოსოფიური ძიებანის“ სარედაქციო კოლეგია
ტელ: **595 – 79 – 56 – 56,**
599 – 39 – 31 – 07
ელ/ფოსტა: **ketsbaiak@mail.ru**
kalandiai@mail.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com